

გურამ ქეჩაშვილი

ფეოდი

ღ

ფეოდალი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი, **თეიმურაზ ფანჯიკიძე**

მხატვარი დიზაინერი **გიორგი ზაგაშვილი**

© გ. ქერაშვილი, 2023

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-322-3

რედაქტორის წინათქმა

ექიმმა-დასტაქარმა, მედიცინის დოქტორმა გურამ ქერაშვილმა, რომელიც აქტიური საექიმო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დაინტერესდა და ინტენსიურად დაიწყო მშობლიური ქვეყნის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული შესწავლა, დაამთავრა თავის კვლევა და დასასტამბად გაამზადა ნარკვევების მეოთხე წიგნი სათაურით: „ფხოვი და ფხოველნი“.

მკითხველს გავახსენებ, რომ მანამდე გამოვიდა მისი ეთნოგრაფიული კვლევების სამი წიგნი: ჯერ კიდევ 2012 წელს „ხევი და მოხევეები“, 2017 წელს „საარაგვო და არაგველების“ პირველი ნაწილი, ხოლო 2020 წელს მისი მეორე ნაწილი. ამჯერად, მეოთხე წიგნის ჯერი დადგა, სადაც იგი მიმოიხილავს აღმოსავლეთ და მთლიანად საქართველოს ორ მარგალიტ კუთხეს: ფშავსა და ხევსურეთს.

ჩემი აზრით, ავტორი სამართლიანად თვლის, რომ ეს ორი კუთხე მემკვიდრენი არიან ფხოვის და ფხოველებისა.

აქედან წიგნის ასეთი სათაურიც.

თავის საინტერესო კვლევაში ავტორი კარგად იყენებს ამ თემაზე უკვე არსებულ ლიტერატურას, ცნობილი ავტორების: ისტორიკოსების, ფილოლოგების, ეთნოგრაფების ნაშრომებს; საარქივო მასალებს, ეთნოგრაფიულ მონაცემებს, საკუთარ დაკვირვებებს, მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით ფოლკლორს, რომელშიაც კარგად არის ასახული მთიელთა ისტორია, კულტურა, ყოფა, ცხოვრება, ტრადიციები, ზოგადად ცხოვრების წესი, დღესასწაულები, ტკივილი და სიხარული, მათი ამჟამინდელი მდგომარეობა და თანამედროვე პრობლემები.

ისევე როგორც წინა წიგნებში, გურამ ქერაშვილის მეოთხე წიგნშიც, აღწერილია ამ ორი კუთხის გეოგრაფიული მდებარეობა, ზღაპრული ბუნება, ისტორიული წარსული, სოფლები, უმეტესად ნასოფლარები, გზები, ეკლესიები, სალოცავები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, მათი ზომები და ახლანდელი მდგომარეობა.

დაწვრილებითაა აღწერილია აქაური მოსახლეობაც, სხვადასხვა გვარები, მათი წარმომავლობა, ყოფა და ცხოვრება, ადგილობრივი გმირები, რელიგიური წარმოდგენები, ანდრეზები, ტრაგიკული ისტორიები, მთიელთა შეუპოვრობა და სიმამაცე, ბრძოლა თავისუფლებისა და გადარჩენისათვის, „კარგი ყმობისათვის“ და ბოლოს, გამოთქმულია ჩვენი დიდი დარდი, წუხილი და ტკივილი ამჟამად დაცარიელებული მთის გამო.

წინა წიგნების სარედაქციო წინათქმებში არაერთხელ აღვნიშნე და ახლაც უნდა გავუსვა ხაზი, თუ რა კეთილსინდისიერად უშრომია ავტორს, რა დიდი ენერგია დაუხარჯავს საჭირო მასალის მოსაპოვებლად, თითოეული სოფლის მონაცემების მოძიებაზე, რა დიდი დრო დაუხარჯავს მათი გვარების, წარმომავლობის, ისტორიის, რა-ოდენობის დადგენაზე, მათ შორის გამორჩეული ადამიანების საქმიანობაზე...

ნათქვამი რომ შევაჯამოთ, დაინტერესებული მკითხველი, გურამ ქერაშვილის ნაშრომისაგან მრავალ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას მიიღებს, რომელიც დაეხმარება მას საქართველოს ამ ორი, უმშვენიერესი კუთხის გაცნობა-გათავისებაში.

წიგნი მთავრდება ჩვენი დროის შესანიშნავი ქართველი პოეტის ბალათერ არაბულის ლექსით, რომელიც ნათლად გამოხატავს იმ წუხილს და ტკივილს, რომელიც ჩვენი მთის დაცარიელებას მოჰყვა:

„.... ყველაფერს, დიდი ხანია, უკვე სძინავს
ხევსურეთის ნალვლიან მთებში!“ ...

ისევე როგორც წინა სამი წიგნი „ფხოვი და ფხოველნიც“ დაწერილია კარგი ქართული ენით, ლალად იკითხება და მკითხველს ბევრ საინტერესო მასალას მიაწვდის.

P.S. პირად საუბარში ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან მისი კვლევის მიღმა დარჩა თუშეთი, თავისი მეტად საინტერესო ყოფით და ისტორიით.

ნარმატება და ნათელი გზა გურამ ქერაშვილის ამ ახალ წიგნს მკითხველის გულებამდე!

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

წიგნი მთებზე, გმირებსა და მითებზე

დღევანდელი ფშავ-ხევსურეთი საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით მოსახლეობისგან ყველაზე მეტად დაიცალა და გაუკაცრიელდა. ფშავ-ხევსურების, ამ ლალი და მამაცი ხალხის, ტრადიციული ყოფის სურათი დღეს მხოლოდ ფშავ-ხევსურული საგმირო ბალადებითა და მითოლოგიური გადმოცემებით, საკულტო სიმღერებითა და საწესჩვეულებო ტესტებით შეგვიძლია აღვადგინოთ. იყო დრო, როცა იქ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა: კულტმსახურები ჯვარ-ხატთა სადიდებლებს ალავლენდნენ; რჯულის კაცები ზნეობრივ და ადათობრივ კოდექსებს ქმნიდნენ; მამაკაცები „მეკოპრეობდნენ“ და მტერს რისხვად ევლინებოდნენ; მეგანძურები ჯვარხატის საარაკო განძს საიდუმლო ადგილზე აბინავებდნენ; მონადირეები ჯიხვებზე ნადირობდნენ; მჭედლები გრდემლზე უროს ურტყამდნენ და მტრის მოსაგერიებელ რკინისმკვეთელ ხმლებს ამზადებდნენ; ნისქვილში მარცვლეულის დაფქვას ვერ აუდიოდნენ; მიჯნურები სწორფრობდნენ; ძმობილები ლექსობდნენ და კაფიაობდნენ; ჭაბუკები შულლობდნენ და კეჭნაობდნენ; უხუცესები თათბირობდნენ და მოსისხლეებს ერთმანეთთან არიგებდნენ; აქიმ-დოსტაქრები დაჭრილებს წყლულებს უხვევდნენ და თავის ქალის ტრეპანაციებს აკეთებდნენ; მზეს მიფიცხებული დედაბრები თითისტარით ძაფს ართავდნენ; პატარძლები კარ-მიდამოებში ფუსფუსებდნენ და ქმარშვილის მოსაკაზმვად ავგაროზებით მორთულ ტალავარს ამზადებდნენ; მასპინძლები სტუმრებს ტაბლასთან ეპატიუებოდნენ; ბერიკაცები შვილიშვილებს ანდრეზებს, ცხენით ჯირითსა და ხმლის მოქნევას ასწავლიდნენ. ფშავ-ხევსურეთის ვიწრო და მიუვალ ხეობებში, კლდეებზე აკრულ სოფლებში რა არ იმართებოდა: სალვოთ და მუშანი, ძეობა და ქორნილი. ირგვლივ მუდამ ურიამული იდგა. რას არ გაიგონებდა კაცი? ბანებიდან და კერიებიდან საქორწილო სიმღერებისა და „ბუზიკის“ ხმა მოისმოდა, სათიბებიდან – მთიბლურები და გვრინი, საგოდებლებიდან – ხმით ნატირლები; ღვთის მადლითა და მფარველი ჯვარ-ხატების შთაგონებით ქადაგები საყმოს მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

და რა სამწუხაროა, რომ ჩვენი ამ „გუმინდელი“ ყოფის, მართლაც, ზღაპრული და საკრალური ნაწილი დავკარგეთ, დავივიწყეთ, წარსულს გავატანეთ, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა წიგნებში დავტოვეთ.

მშობლიური კუთხის, მთის, ფშავ-ხევსურეთის სიყვარულმა ააღებინა კალამი ღვაწლმოსილ მამულიშვილსა და არაერთი წიგნის ავტორს გურამ ქერაშვილს და დააწერინა ფართო მოცულობის, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „ფხოვი და ფხოველნი“. გურამ ქერაშვილი არ არის პროფესიონალი ფილოგ-ფოლკლორისტი და ისტორიკოს-ეთნოლოგი. ის პროფესიით ექიმია, მედიცინის მეცნიერებათ დოქტორი, რომელიც წლების მანძილზე მედიცინის დარგში უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფშავ-

ხევსურეთთან დაკავშირებით მას საფუძვლიანად შეუსწავლია ამ დიდებული კუთხის ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები, მიგრაციული პროცესები, ისტორიული წყაროები. გ. ქერაშვილის ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების დიდი ნაწილი ქართულ მეცნიერებაში ეთნოლოგებისა და ფოლკლორისტების მიერ კარგად არის შესწავლილი. როგორც ჩანს, ავტორს მიზნად ჰქონდა ფმავ-ხევსურეთის შესახებ შექმნილი მთელი ამ უზარმაზარი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-მითოლოგიური მასალის, მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაგროვილი მთელი ამ ცოდნის ერთი წიგნში გადმოცემა, თანაც ისე, რომ თხრობა მკითხველისთვის მიმზიდველი და საინტერესო ყოფილიყო.

ავტორი ფშავლებისა და ხევსურების საკრალურ ისტორიას, ასე ვთქვათ, შიგნიდან დანახული და აღქმული პოზიციიდან მოგვითხრობს. გ. ქერაშვილი თვითონაც მთის შვილია, მთიელთა ტრადიციულ სამყაროში აღზრდილი. იგი თავის წიგნში მისთვის მეტად ძვირფას და ახლობელ სამყაროზე გვესაუბრება. მართალია, გ. ქერაშვილის წინაპრები ხევის სოფელ ახალციხეში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი საგვარეულოს ისტორიული ფესვები ხევსურეთის ღრმა წარსულში იკარგება. ქერაშვილები განთქმული ყოფილან მტერ-მოყვრობით, ჰურადობითა და გულადობით, არაერთხელ აღზევებულან და ერთ მამამდეც დალეულან, ბოლოს ისევ ხევსური ძმადნაფიცის წყალობით გვარის ერთადერთი წარმომადგენელი ოჩიაურთ ქალზე დაქორწინებულა და ამდენი სისხლისმღვრელი ბრძოლებისა თუ უამიანობის შემდეგ ქერას შთამომავლები სასწაულებრივად კვლავ აღორძინებულან. გ. ქერაშვილმა რამდენიმე წლის წინ მშობლიურ კუთხეს უძღვნა უაღრესად საინტერესო წიგნი „ხევი და მოხევეები“ (2012 წ.), რომელშიც შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი მოხევეთა ტრადიციული ყოფის თითქმის ყველა სფერო.

წიგნში „ფხოვი და ფხოველნი“ გ. ქერაშვილი აღნერს ფშავ-ხევსურეთის თითოეულ თემ-სოფელსა და ნასოფლარს, რადგან ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ფხოვი თანამედროვე ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიას მოიცავდა და მისი საზღვრები კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა. ისტორიული ფხოვი და შემდეგ ფშავ-ხევსურეთი ჩვენი ქვეყნისთვის ჩრდილოეთის ფორპოსტის როლს ასრულებდა არა მხოლოდ ფეოდალური მონარქიის, არამედ რუსული მმართველობის პერიოდშიც. მთელი ისტორიის მანძილზე ფხოვი იყო საქართველოს შემადგენლობაში და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქ არც არის რამე საკამათო და დაუზუსტებელი. მაგრამ განა გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფხოველები ნამდვილად იყვნენ დღევანდელი ფშავ-ხევსურების წინაპრები? შეიძლება ასეც არის, მაგრამ განა არის საკმარისი ისტორიული წყაროები ამის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად? ან რა ენაზე ლაპარაკობდნენ მოუსვენარი ფხოველები, რომელსაც არაერთი ამბოხი და მწარე გამოცდა მოუწყეს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. ივანე ათაბაგის სასტიკი ლაშქრობის შემდეგ, რომელსაც სამი თვე დასჭირდა მრისხანე ამბოხების ჩასაქრობად, ფხოვი და ფხოველნი ისტორიულ წყაროებში აღარ ხსენდებიან. სად გაქრა ეს მეომარი ტომი? რატომ აღარ იწოდებიან ფშავ-ხევსურები ფხოველებად? იქნებ საერთოდ გადაშენდა ეს მამაცი მოდგმა? არ ვიცით, რა შედეგები მოჰყვა ივანე ათაბაგის ლაშქრობას ფხოვში. ვიცით მხოლოდ ის, რომ ფხოველები დამარცხდნენ და „მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდო და ფხოვი“.

ან რას მოგვითხრობენ ფშავ-ხევსურეთის უცნაური ტოპონიმები? ეს საკითხები,

ალბათ, საიდუმლოდ დაჩება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამას ოდესმე სრული ნათელი მოეფინოს და ბოლომდე დაზუსტებული პასუხი მივიღოთ. ისტორიული ცნობები მეტად მწირია, ხოლო მათი მომთხრობი ადამიანები ცოცხლები აღარ არიან. ამ საკითხებს წიგნის ავტორიც არ განიხილავს, რადგან თანამედროვე მეცნიერება ფხოველებს ფშავ-ხევსურების წინაპრებად მიიჩნევს, ფხოვს კი ფშავ-ხევსურეთის ძველ სახელწოდებად. გ. ქერაშვილის აზრით, საკითხისადმი ამგვარ მიდგომას მეტ დამაჯერებლობას ისიც ანიჭებს, რომ ფშავში არის სოფელი შუაფხო (შუაფხოვი), ხევსურეთსა და გუდამაყარს შორის მდებარეობს ფხიტურის უღელტეხილი, ხოლო მეზობელი ინგუშები და ჩეჩენები ხევსურებს დღესაც ფხიეს (ფხოველებს) უწოდებენ.

ავტორი წიგნში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფშავ-ხევსურეთის ტრადიციული საზოგადოებების, ე. წ. საყმოების, მფარველი ღვთისშვილების – კოპალას, იახ-სრის, პირქუშის – საკრალურ ისტორიებს. გ. ქერაშვილი მათ წინარექრისტიანულ ღვთაებებს უწოდებს. გურამ ქერაშვილის აზრით, „ფხოველთა სარწმუნოება წარმართული ხასიათის იყო“. უალრესად მწირი წყაროებისა და ბუნდოვანი ინფორმაციის გამო, ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაჭრით რამის თქმა ძნელია. ცხადია, რომ ფხოვში ქრისტიანობა, ისევე როგორც მთელ ქართლის სამეფოში, პირველი საუკუნეებიდანვე ვრცელდებოდა, ხოლო IV საუკუნის I ნახევრიდან, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მისმა გავრცელებამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კიდევ უფრო ინტენსიური და შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

სამწუხაროდ, ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელი ეპოქის წერილობით წყაროებს და მატერიალური კულტურის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამდენად არ ვიცით, ქრისტიანობამდელ ეპოქაში რომელი ღვთაებები ჰყავდათ ფხოველებს, რა თვისებებითა და ფუნქციებით იყვნენ ისინი წარმოდგენილი კულტ-მსახურთა მიერ აღვლენილ სადიდებლებში, საკულტო სიმღერებსა და მითოლოგიურ თქმულებებში. არც წერილობითი და არც სხვა დოკუმენტური მასალით არ მტკიცდება, რომ ქრისტიანობამდელ ეპოქაში ფხოველები ეთაყვანებოდნენ (ან არ ეთაყვანებოდნენ) კოპალას, იახსარს, პირქუშსა და სხვა ღვთისშვილებს. არქეოლოგებმა ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე და მის გადაღმა – დიდოეთში, ღილლისა და ძურმუკეთში – ადრეფეოდალური ხანის არაერთი ქართული ქრისტიანული ტაძრის ნაგრევს მიაკვლიერ. ქართველ და ჩრდილოეთკავკასიელ მთიელთა რელიგიურ კულტურაში ქრისტიანობის არქაიზმი ეჭვს არ იწვევს, ხოლო პაგანიზმი მათ ტრადიციებში გვიანდელ დანაშრევს უნდა წარმოადგენდეს. ზეპირი გადმოცემების ჩანერა ფშავ-ხევსურეთის საყმოების მფარველი ღვთისშვილების შესახებ დაიწყო გვიან, XIX საუკუნის II ნახევრიდან. ადგილობრივი მოსახლეობა კოპალას, იახსარსა და პირქუშს არ უწოდებს ღვთაებებს, მათ ხალხურ ტექსტებში ჰქვიათ ღვთისშვილი, ღვთისნაბადი, ღვთისნასახი, ჯვარი, ხატი, სალოცავი, მფარველი წმინდანი, რომლებიც სადიდებლებში სხვადასხვა ქრისტიანული ეპითეტებითა და სიმბოლოებით ხსენდებიან. ასე რომ ფშავ-ხევსურეთისა და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატები, საყმოების მფარველი ღვთისშვილები, შეიძლება ითქვას, რომ იგივე გახალხურებული, ასე ვთქვათ, ფოლკლორიზებული ქრისტიანული წმინდანები არიან, რომლებიც იმარჯვებენ ბოროტების შავბნელ ძალებთან ბრძოლაში და მფარველობენ თავიანთ საყმოებს.

გურამ ქერაშვილი ფხოვისა და ფხოველთა წარსული სურათის აღსადგენად, ის-

ტორიული ცნობების გარდა, ეყრდნობა მთიელთა მიგრაციის ამსახველ დოკუმენტებსა და გადმოცემებს, ზეპირ ისტორიებს, მითოლოგიურ თქმულებებს, ისტორიული ძეგლებისა და საკრალური ნაგებობების აღწერილობებს, არქეოლოგიურ მონაცემებს. წიგნის ავტორის ყურადღების მიღმა არ რჩება ფშაველ-ხევსურთა წარსული ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი ეტაპი: ზურაბ ერისთავთან ბრძოლები, ბახტონის აჯანყება, ასპინძის ომი, კრწანისის ბრძოლა, ბოლოს კი სასტიკი ბრძოლები რუსული ჯარის წინააღმდეგ. გურამ ქერაშვილი დიდი პატივით მოგვითხრობს მტერთან ბრძოლაში დაუღლელ სახალხო გმირებზე, რომელთა სახელებიც ხალხურმა პოეზიამ შარავანდედით შემოსა. ავტორმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა თავის წიგნში ღვთისაგან დავლათიანი მოლაშქრე-მეომრები: მამუკა ქალუნდაური, მარტია მისურაული, ხირჩლა ბაბურაული, ნადირა ხოშურაული, ძალლიკა ხიმიკაური, ბითურათ აბა და სხვები, რომლებიც თაობებმა ხევსურული ანდრეზებისა და ბალადების პერსონაჟებად აქციეს. მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ისეთ მღელვარე ეპიზოდებს მთიელთა ცხოვრებიდან, როგორიც იყო 70 შატილელი მებრძოლის მიერ შამილის სახელგანთქმული ნაიბის ახვერდი-მაჰმადის ხუთიათასკაციანი ლაშქრის დამარცხება, ნაიბის მოკვლა და სირცხვილნაჭამი მტრის უკან გაბრუნება; ალექსანდრე ბატონიშვილის წინამდლოლობით ქისტებისა და ხევსურების ერთობლივი ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ქაქუცა ჩოლოყამვილის ბრძოლები ფშავსა და ხევსურეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვ.

გ. ქერაშვილი ფშავ-ხევსურეთს წარმოგვიდგენს როგორც გმირების ძლევამოსილ სამეფოს, რადგან ფშავ-ხევსურეთის მეომრულ საზოგადოებებში შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა გმირობის იდეალი, „კაიყმობის“ ერთგვარი ინსტიტუტი. მოყმეები ბაძავდნენ დემონურ არსებებთან მებრძოლ თავიანთ მფარველ წმინდანებს. ისინი მითოსური დროის საგმირო ამბებში „კაიყმობის“ ეტალონს პოულობდნენ და მტერს რისხვად ევლინებოდნენ. გ. ქერაშვილი მოგვითხრობს სახელოვან მოყმეებზე: ბალათერა ჯაბუშანურზე, ივანეურ თეთრაულზე და სხვებზე, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით, საქციელით, ეგზისტენციალური არჩევანითა და ბოლოს სიკვდილით საპატიო ადვილი დაიკავეს საგმირო სიმღერებსა და ბალადებში. ავტორი განადიდებს ამ გმირებს, რადგან მათ იცოდნენ სიცოცხლის ფასი და ღირებულება, მაგრამ ყველაფერზე მაღლა, თვით სიცოცხლეზე მაღალა, ადამიანური ღირსება დააყენეს.

წიგნი არ მოგვითხრობს ფშავ-ხევსურეთის განთქმული რელიგიური დღესასწაულების – ხატობა-ათენგენობების შესახებ, რადგან იგი თავის დროზე სკრუპულოზურად აღწერა ალ. ოჩიაურმა თავის „ქართული ხალხური დღეობების კალენდარში“. გ. ქერაშვილი ფშავ-ხევსურეთის თემ-სოფლების აღწერისას მიუთითებს სათემო და სასოფლო სალოცავებზე, საკრალურ ადგილებზე, სადაც კონკრეტული რელიგიური რიტუალი ან მფარველი წმინდანისადმი მიძღვნილი დღესასწაული იმართებოდა. თუმცა ზოგიერთი ცნობა კიდევ უფრო მეტ დაზუსტებასა და ახსნა-განმარტებას საჭიროებს. დათვისჯვარზე გამართულ რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს გ. ხორნაულის ცნობას: „შატილისკენ გადასასვლელ უღელტეხილზე მდებარე დათვისჯვრის მთაზე ადრე ხატის ნიში ყოფილა, ქვის ჯვარი მდგარა. ხახმატელებს ვაჟი რომ შეეძინებოდათ, იქ უნდა მიებარებინათ, იქ უნდა შეეწირათ საკლავი.“ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ხახმატელები ამ რიტუალს მხოლოდ წარსულში ასრულებდნენ. ეს

ტრადიცია ხახმატში დღემდე თითქმის ცოცხალია, რადგან 2009 წლის 27 ივლისს, ათენგენობაზე, აბულა წვერის ანგელოზის ხატობის მეორე დღეს, დათვის ჯვრის მთაზე დავესწარი ვაჟების ჯვარში მიბარების საიდუმლო რიტუალს, რომელსაც ხახმატის ჯვრის ან გარდაცვლილი ხუცესი გოგი ალუდაური უძღვებოდა.

გ. ქერაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს წმინდა ადგილებში, კერძოდ, ჯვარსალოცავებში განთავსებულ საკრალურ ნივთებს, მათ შორის მოგვითხრობს ზარებზე შესრულებული წარწერების შესახებ, რომლებიც ძირითადად მე-19 საუკუნეს მიეკუთვნება. ეს წარწერები ზოგჯერ უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავენ და საჭიროა მათი საფუძვლიანი შესწავლა. ერთ-ერთი მათგანი, რომელზეც გ. ქერაშვილი მოგვითხრობს, არის ბუდე ხევსურეთის სოფელ ატაბეს დიდ კვირაეს ჯვარში შებმული ზარი. ავტორი თავის წიგნში იმოწმებს ვ. ბარდაველიძის მიერ ამ ზარზე ამოკითხულ წარწერას: „შემოგწირეთ ესე ზარი ჩვენ ოთხი მამის კაცთ წელაურთ ბეიდოურთა ქუელნურთა და წითელაურთ ჩვნო ბატონო ჭებეს წმინდაო გიორგი... ჩყლგ (1833) წელსა“. გ. ქერაშვილი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ წარწერის დამკვეთნი ფშავლები არიან. იქვე იგი აღნიშნავს, რომ „ჭებეს წმინდა გიორგის საბრძანისი, სამწუხაროდ, ვერ დაადგინა“.

მინდა მოკრძალებით შევნიშნო, რომ დასახელებული ზარი, მასზე შესრულებული წარწერით, მოვინახულე 1990 წლის ივლისში სოფელ ატაბეს დიდ კვირაეს ჯვარში, ათენგენობის დღესასწაულზე. ვფიქრობ, ზარზე ამოკითხულ „ჭებეში“ მოიაზრება უკანა ფშავის ნასოფლარი „ჭეშე“. ამდენად, წარწერაში იგულისხმება ჭეშეს წმინდა გიორგი. ასევე განმარტებას მოითხოვს ზარის წარწერაში მოხსენიებული გვარის აღმიშვნელი სიტყვა „ქუელნურთა“. ამ გვარის ხალხს უკანა ფშავში არასოდეს არ უცხოვრია. წარწერაში უნდა იგულისხმებოდეს არა „ქუელნურთა“, არამედ „ჯველაურთა“ ან „ჯუელაურთა“. ამდენად, ატაბეს დიდ კვირაეს ჯვარში ჩამოკიდებული წარწერიდან ირკვევა, რომ 1833 წელს უკანა ფშავში მცხოვრებ ოთხი გვარის წარმომადგენლებს – წელაურებს, ბაიდაურებს, ჯველაურებსა და წითელაურებს – ეს ზარი თავიანთი სალოცავისთვის – ჭეშეს წმინდა გიორგისთვის შეუწირავთ.

გ. ქერაშვილი ასევე მოგვითხრობს ფშავ-ხევსურეთში მცხოვრები გვარების ისტორიას, განიხილავს საგვარეულო ანდრეზებსა და ფშავ-ხევსურთა მიგრაციას კახეთში. ფშავ-ხევსურეთიდან ცალკეული გვარების კახეთის სოფლებში მიგრაციასთან დაკავშირებით გ. ქერაშვილი ძირითადად რ. თოფჩიშვილის შრომებს ემყარება.

გვარებთან დაკავშირებული ისტორიების გადმოცემა განსაკუთრებით ფაქიზ და ზუსტ მიდგომას საჭიროებს. ფშავში ტრადიციულად ერთი გვარის სხვადასხვა მამიშვილობა, არცთუ იშვიათად, სხვადასხვა გვარს ატარებდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ბიძაშვილთა შვილები სხვადასხვა გვარზე დაწერილან, ამიტომ ფშავში უფრო მეტი გვარები იყო, ვიდრე ხევსურეთში. ხევსურები განსაკუთრებით იცავდნენ ძველ გვარს და ახალ გვარზე არ ეწერებოდნენ. გვარი იმ თემს, იმ საზოგადოებას მიეკუთვნება, რომლის სალოცავის ყმადაც ის ითვლება. გუდანის ჯვრის სამაგანძუროს შეადგენენ მხოლოდ არაბულები, ჭინჭარაულები და გოგოჭურები. ღულელი ქისტაურები თავიანთი ჯვრის – იახსრის ყმებად ითვლებოდნენ, ხოლო ბისო-ხახმატის მცხოვრები ხახმატის ჯვრის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდნენ.

ფშავ-ხევსურეთის თემებში, სადაც წინაპრების კულტს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, სისხლით ნათესაობას მამიშვილობების მიხედვით არჩევდნენ. აქედან გამომდი-

ნარე, ხევსურეთის თემ-სოფლების აღწერისას გ. ქერაშვილს მოჰყავს საგვარეულო ანდრეზები ამა თუ იმ მამიშვილობის წარმოშობის შესახებ. სოფელ ხახმატის აღწერისას ავტორი მიუთითებს, რომ გამლივარაულების მამიშვილობა მომდინარეობს ლივა-დან, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ხახმატის ფუძემდებლად ითვლება. ზეისტე-ჩოელ ხირჩლა ბაბურაულზე კი აღნიშნავს, რომ ის თემროზაულთა მამიშვილობას მიეკუთვნებოდა.

წიგნის დიდი ნაწილი ხალხურ გადმოცემებს ემყარება. ხალხურ ნაწარმოებს კი, ეს ბალადა იქნება, ანდრეზი თუ ყოველგვარ მხატვრულ შემკულობას მოკლე-ბული საგვარეულო გადმოცემა, აქვს ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება. შეუძლებელია ხალხური ტექსტის ინვარიანტის მოძიება, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ზეპირ, არადოკუმენტურ შემოქმედებასთან. ასეთ სიტუა-ციაში მკვლევარი არ არის დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისა და უზუსტობების-გან. ეს ეხება გ. ქერაშვილის წიგნსაც. გაუმართლებელია, ხალხური ტექსტის ერთი რომელიმე ვარიანტისადმი განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება, რადგან ვარი-ანტები ერთმანეთისგან გამომდინარეობენ და ავსებენ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში მკვლევარს განსაკუთრებული სიფრთხილე, დაკვირვება და ზომიერება მართებს.

გ. ქერაშვილის წიგნში „ფხოვი და ფხოველნი“ უმეტესად თხრობა სჭარბობს და არა მტკიცება. ის წარმოგვიდგენს ამბავს და ხშირად კონკრეტულ საკითხთან და-კავშირებით ავტორი საკუთარ პოზიციას არ გამოხატავს. მაგალითად, ვეფხვისა და მოყმის ბალადასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე განსხვავებული პოზიცია ტექსტის შექმნის ადგილსა და გამომთქმელთან დაკავშირებით. წიგნის ავტორი ამ საკითხზე მკითხველს საკუთარ აზრს არ უზიარებს და მოჰყავს მხოლოდ ირაკლი გო-გოლაურის ცნობა იმის შესახებ, რომ ბალადის გამომთქმელი ახადელი ჭორათ ბახა ყოფილა, ხოლო ლექსის მთავარი გმირის პროტოტიპი – ჭიდალელი აფხაზ ჯველაუ-რი. თუმცა ვეფხვისა და მოყმის ბალადის ინვარიანტთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც.

მეტად ფასეულია წიგნში წარმოდგენილი სასოფლო და საგვარეულო ანდრეზე-ბი. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ზეპირსიტყვიერების კრებულებსა და ეთ-ნოლოგთა შრომებში. ნაწილიც პირველად ქვეყნდება, თუმცა გადმოცემებს ზოგჯერ არა აქვთ მითითებული ე. წ. პასპორტი, მთემელისა და ჩამწერის ვინაობა, ჩაწერის დრო და ადგილი, რომლის გარეშეც ხალხური ტექსტი ავთენტურობას კარგავს. მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომელი წყაროდან სარგებლობს წიგნის ავტორი.

გ. ქერაშვილის წიგნი „ფხოვი და ფხოველნი“ განკუთვნილია ფშავ-ხევსურეთის წარსულითა და ტრადიციული ყოფით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგა-დოებისთვის. ავტორმა პოპულარული ენით გადმოგვცა ფშავ-ხევსურეთის თემ-სო-ფლებისა და ნასოფლარების ისტორია, მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ეტიმოლო-გია, ლანდშაფტი, მატერიალური კულტურის ძეგლები, ჯვარ-ხატები და სალოცავი სიწმინდეები, საკრალური ნივთები, იქ მცხოვრები გვარებისა და ქვეგვარების ისტო-რია, ცნობები თემისა და თითოეული გვარის სახელოვან წარმომადგენლებზე.

დასასრულს ალვნიშნავ, რომ, ვისთვისაც ძვირფასია ქართველი ხალხის ჰეროი-კული წარსულის, გმირობის იდეალის, ფშაველ-ხევსურთა ზნეობრივ-მორალური ფა-სულობების გაცნობა, გურამ ქერაშვილის წიგნში აუცილებლად იპოვის დიდ სულიერ

საზრდოს, რადგან ის ხალხი, რომელზეც ავტორი გვიყვება, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ღვთისადმი უდიდესი რწმენითა და სიყვარულით იცავდა საკრალურ წესებს, ქმნიდა პოეტურ სამყაროს, აყალიბებდა კაიყმობის რაინდულ ეტიკეტს და თაობიდან თაობას მაღალ ზნეობრივ ფასეულობებს გადასცემდა.

ხვთისო მამისიმედიშვილი
ფილოლოგის დოქტორი, ფოლკლორისტი, კავასიოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ს ტ ე მ უ ლ ი

ფხოვი (ფხოეთი) ფშავ-ხევსურეთის უძველესი სახელწოდებაა. ქართულ მატიანე-ში ორივე კუთხე მოიხსენიება ერთად – როგორც „ფხოვი“ („ფხოველნი“, „ფხოეთი“). მისი ტერიტორია ჩეჩენეთ-ინგუშეთის ნაწილსაც მოიცავდა. აღმოსავლეთით ესაზ-ლვრებოდა დიდოელთ ქვეყანას (დაღესტანს), სამხრეთ-აღმოსავლეთით – თუშეთსა და ერწო-თიანეთს (ივ. ჯავახიშვილი).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჩრდილო კავკასიელი მთიელები ხევსურს – „ფხიას“ უწოდებდნენ, ფშაველს – „შუას“; მათ საცხოვრისს – „ფხიების“ ქვეყანას. გუდამაყრის ქედის გადასასვლელს, რომელიც ხევსურეთს მდ. ბაკურხევის ხეობას-თან აკავშირებს, დღესაც, ფხიტურის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

საკულტო ძეგლების ლოკალიზაციის მიხედვით, სავარაუდოა, რომ ფშავ-ხევ-სურეთის სალოცავები, პირველად, ისტორიული ფხოვის შუაგულში, დღევანდელი უკანაფშავის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

ფხოველთა სარწმუნოება წარმართული ხასიათის იყო.

მთავარ ღვთაებად მორიგე ღმერთი ითვლებოდა; მისი ხელქვეითები იყვნენ – სხვადასხვა თემ-სოფლის ხთისშვილი (იახსარი, კოპალა, პირქუში...), რომლებსაც დამხმარედ – ზებუნებრივი, ზოომორფული ან ადამიანური სახის არსებები ჰყავდათ. ისინი „ხან მწევართა სახით არიან წარმოდგენილნი, ხან გველის, დათვის, პანია ბავშვების ან ქალების სახით. მაგალითად, არხოტელთა რწმენით, არხოტის ჯვრის დობილნი ბავშვების სახით მზის სხივებს მოჰყვებიან და სამლოცველოს დაბლა მინდორში თამაშობენ, შებინდებისას აიკრიფებიან და ისევ მზის სხივებს მისდევენ. ვაი მას, ვინც დობილებში „აეხვევა“, ან ღვთის საწყენ რამეს მოიმოქმედებს – ავადობას შეჰყრიან, ნაწველ-ნადლვებს უზარალებენ, საქონელს დაუზიანებენ...“ (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

ღვთაებათა სიძლიერის მსაზღვრელი მათი ფუნქცია იყო.

საკუთარი საყმოს მფარველობის გარდა, თითოეულ მათგანს, კონკრეტული ძალაც მიენერებოდა: – ზოგი დარ-ავდრის გამგებლი იყო, ზოგი უნაყოფო-უშვილობას ბედს უხსნიდა, ზოგი ავსულთა ამლაგმვლელად ითვლებოდა, ზოგიც გარკვეული ხელოსნობის მფარველად, ან ამა თუ იმ დაავადების მკურნალად.

ხალხმრავალი გვარის და თემის ხთისშვილები უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მცირე საყმოსი.

ფხოველთა მეზობლები სხვადასხვა წარმომავლობის და განსხვავებული ტრადიციების მატარებელი ტომები იყვნენ. ცხოვრების გაუსაძლისი პირობები ჰქონდათ და, თითო მტკაველი მინისათვის, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთ-მანეთს.

ფშავლებთან და ხევსურებთან მათი დაპირისპირება უხსოვარი დროიდან დაიწყო. ალბათ, ჯერ კიდევ მაშინ (ძვ. წ. III ს-დან), როცა საურმავმა საქართველოს მთიანეთში ჩრდილო-კავკასიური ტომები – „კავკასიანები“ ჩამოასახლა და გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა.

უკომპრომისო იყო ფხოვის თემებს შორის არსებული დაპირისპირებაც. არბევდ-

ნენ და ძარცვავდნენ ერთმანეთის ჯვარ-სალოცავებს.

მათი ინტერესების დაუკაებელმა შეჯახებამ ხალხურ ზერსიტყვიერებაში ასახვა ჰქოვა – ხთიშვილთა და დევ-კერპთა, გადამთიელთა და აბორიგენთა, მოქცეული და წარმართი მოსახლეობის ბრძოლების სახით – რაც ალეგორიული ასახვაა განსხვავებული სარწმუნოების მთიელების დაპირისპირებისა.

აღნიშნული ხანა ერთ-ერთი დიდი სისხლისმღვრელი პერიოდია – ფხოვის ისტორიისა.

მორიგე ღმერთის შემწეობით, ღვთისშვილი ამარცხებენ დევებს. განდევნიან მათ „ადამიანთათვის განკუთვნილი მიწა-წყლიდან და აარსებენ ჯვარის თაყვანისმცემელთა ანუ რჯულიანთა საყმოებს“ (ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, 1996 წ.).

ხთისშვილი და დევ-კერპებთან ბრძოლა

დევ-კერპთა განადგურებისა და ღვთისშვილთა მიერ მათი ნასადგურალს დაპატრონების ამბებს – მითოლოგიური თქმულებები გვამცნობენ. ფხოველნი – ჯერ, „ნახორცივლარ ღვთაებათა“ შემწეობით იგერიებენ ავსულთა (ანუ, გადამთიელთა და წარმართა) ძალმომრეობს, მერე – თვითონ გადადიან იერიშზე: – ლაშქრავენ და ავინწროებენ მეზობლებს, უწვავენ სახლ-კარს, ძარცვავენ და თავად იკავებენ მათ სადგომ-სალოცავებს – ეპატრონებიან დამარცხებულთა მამულებს.

*

ხთისშვილების თავდაპირველი სადგომ-პანთეონი გერგეტ-ბეთლემია.

„რაც ფშავ-ზევსურეთში ხთის ნაბადებნი არიან სულ გერგეტში, ოქროს აკვანში დაბადებულნი და გაზრდილნი არიან... იქ კვრივია, სადაც კაციშვილს ფეხი ვერ დაუდგამს“ (ვ. ბარდაველიძე).

ქრისტიანობის გავრცელების საწყის პერიოდში, ლეგენდის თანახმად, ფხოვის ტერიტორიის დიდი ნაწილი დევ-კერპებით იყო დასახლებული. ისინი სასტიკად ტანჯავდნენ მის მცხოვრებთ: – იჭერდნენ ხალხს, ხოცავდნენ და ჭამდნენ... შეურაცხყოფდნენ მათ სალოცავებს, ქალ-რძალს, „მათის შიშით ადამიანები ველარსაით მიდიოდნენ.“

მორიგე ღმერთმა ხალხის ვედრება შეისმინა და მხსნელად „ანგელოსური არსები“, „ნახორცივლარი ღვთაებანი“ მოუვლინა. „იახსარს და კოპალას, ერთურთის მოძმე ორივ წმინდა ბერს მიულოცა ძალი და შეძლება – დევების განადგურებისა.“

ავსულთა ძირითადი ადგილსამყოფელი როშკასთან და ციხეგორს ყოფილა (აკუშოსთან); სამხრეთ-აღმოსავლეთით კართანამდე (მაღაროსკარის მიმდებარე ტერიტორიამდე) აღწევდა. მათ საცხოვრისადაა მიჩნეული უკანაფშავის (სოფ. ახადის) მიდამოები და გამხვეურთის გორი (სოფ. შუაფხოსთან). დევთა ნასახლარებზე მიუთითებენ – გუდამაყრის და სოფ. უკენახოს საზღვარზე, ე.წ. „ნახიზნარებში“ („დინიფხოს“).

დევ-კერპთა საცხოვრისი ყოფილა ივრის ხეობის სოფლებშიც: – ბაჩალში, ხაშარში, ქუშხევში, კორსავში, ბეღელთანას და იხინჭაში.

აღნიშნული დასახლებებიდან ზოგი გადმოცემებშია მოხსენიებული; ზოგში – ძვე-

ლი ნასახლარებია შემორჩენილი, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი დევთა კუთვნილებად მიიჩნევენ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

კოპალა

წინაქრისტიანული ღვთაებაა. მის სახელთან დაკავშირებულია ღვთაებრივი, ჰეროიკული და რომანტიკული მოვლენები: – დემონურ ძალთა ალაგმვა, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, საარაკო ღონე... ხალხური ზეპირსიტყვიერება მას მრავალი ეპითეტით ამკობს (გმირთა-გმირი, მშვენიერი, მხარ-თეთრი, ლახტიანი)... არწივის მხრები აქვს – სწრაფია და გამჭრიახი. ადრე, ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა.

საარაკო საქმეთა გამო მოხდა მისი გაღვთისშვილება.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

„იხინჭას ბერად ყოფილა. შესმენია, რომ ფშავი დევებისაგან დიდად შეწუხებული და შევიწროებულია, ამდგარა და ხალხის მოსაშველებლად წამოსულა.“

მისი ძირითადი საბრძანისი – ფშავში, სოფ. უძილაურთა იყო; ხევსურეთში – აკუ-შოს ხეობა (ჭალაი სოფელი).

დევ-კერპები ციხეგორის მიდამოში უხოცია და ხალხმა იქ დაუდგა ამქვეყნიური საბრძანისი. სალოცავის ძველთაძველი ნაგებობების კვალი დღემდეა შემორჩენილი.

იქიდან იწყება საკულტო დღეობები უძილაურთ თემისა და ლიქოკელი ხევსურების მონაწილეობით.

ხატის კურატების მწყემსნი ჩორხაულები და ღანიშანი ყოფილან.

ლიქოკელები კოპალას მამულებში სახლობდნენ და „დანადებად“ ჰქონდათ – ხატობისათვის, ყოველწლიურად – ღუდის მოდულება.

„ხორციელების“ ჰერიოდში, კოპალა – ლახტით, ხმლითა და მშვილდ-ისრით ყოფილა შეიარაღებული. „მისი წმინდა სული“, დღესაც, თურმე, იმავე იარაღით „დაუქროლებს“ ხოლმე, მისგან დახოცილ დევ-კერპთა სულებს – რომლებიც ეშმაკებად გადაქცეულან და დახოცვის შემდეგ, ფშავის კლდე-ლრებში მიმალულან... კარატს დიდი სახელი და პატივი მოუხვეჭია მარტო ხევსურეთში კი არა, სხვაგანაც. კარატის ხატიონი ეხლაც თუშეთში დაიარება, დროშით ხალხს ამწყალობლებს, საწირავს ჰკურეფავს. ამბობენ, რომ წინად ხარკიც ედვა თუშეთს კარატის სასარგებლოდ (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

თუშები დიდად მომზადებულნი ხვდებოდნენ ხევსურთა ჯვარიონს: – იმ დროისათვის ხარმავდნენ ღუდს, ხოცავდნენ სამსხვერპლო საკლავს და ა.შ.

იახსარი

ღვთისშვილთა შორის იახსარი ერთ-ერთი პირველთაგანია როგორც ძალით – ფალავნობით და გამბედაობით, ისე ხალხის სამსახურით და ქველმოქმედებით; უფლებამოსილია – პირისპირ წარსდგეს მორიგე ღმერთთან და საყმოსთვის მაღლი გამოსთხოვოს.

„პირველად, ისიც ხორციელი ყოფილა“: –

„წმინდა ბერი, ხვთის მლოცავი და... ხვთიდანვე ჰქონდა მიცემული ძალა, რომლითაც ებრძოდა და ანაბეჭურებდა დევებს.“

მუხის ხეებით დაბურული მისი პატარა სამლოცველოს ნანგრევი დიდხანს იყო შემორჩენილი – ნინახში, კლდის თავზე.

ერთ ძირზე – ოთხი მუხა ყოფილა იქ ამოსული... „ქორბუდიან მუხათ“ ეძახდნენ.

ლეგენდის თანახმად, იახსარი იქედან ყარაულობდა „ერთ დიდსა და მდიდარ დევს – გამხვეურას, რომელიც გახვივებული, გამრავლებული და გამდიდრებული იყო ცოლ-შვილითაც და ცხოვრებითაც.“

დევის სახელწოდებიდან შეერქვა, თურმე, ამ ადგილს – გამხვეურთ კარი.

„მის პირდაპირ – არაგვს გაღმა, დევების კიდევ ერთი სოფელი იყო – თხილიანა.“

ამ ორ სოფელს შორის ჰქონდა დევებს ფაცერი გაბმული.

„არაგვის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჭერდნენ და ჭამდნენ.“

ლეგენდის მიხედვით: –

გამხვეურთკარსა და თხილიანაში მათი განადგურების შემდეგ, გაქცეულ დევებს იახსარი – ივრის ხეობაში დაედევნა. იხინჭას ამოწყვიტა მათი დიდი ოჯახი და ხალხმა მისი სალოცავი იქაც ააგო.

ერთი დიდი დევი „ხთისშვილს“ ხევსურეთისკენ გაექცა. „დაედევნა მასაც... არაგვი შეიარა იმის კვალზე, ქმოსტ-რომეა აიარა“ და მთაზე დაეწია... დევმა აბუდელაურის ტბას შეაფარა თავი. იახსარი წყალში ჩაყვა და იქ მოკლა...“

დევის სისხლმა ტბის ზედაპირი ისე დაფარა – გზა შეიკრა. ველარც ხთისშვილი ამოვიდა წყლიდან.

სამ წელიწადს ყოფილა დაკარგული.

საყმომ მკითხავის მეშვეობით მიაგნო და დიდი ძალისხმევით შეძლო მისი გადარჩენა.

„ტრედის აღით“ ამოფრინდა იგი ტბიდან. „გაფრინდა და ლიქოკის თავს, კარატის მთაზე – წვერის ანგელოზის სახელით დაფუძნდა.“

ხალხმა იქ მისი ნიში და საზარე ააგო.

იახსარის ძირითადი ასპარეზი შუაფხო იყო.

მისი ამქვეყნიური ადგილ-სამყოფელიც იქ დამკვიდრდა. უპირატესად – ქისტაურთ თემის სალოცავად იქცა, ავისგორა და ნინახი შეირჩია საბრძანისად.

*

გადმოცემის თანახმად, კოპალასა და იახსარს მორიგე ღმერთისგან ჰქონდა ავ სულებთან ბრძოლის კურთხევა – საყმოს დაცვის, გასაჭირში მათი დახმარების და ლაშქრობაში ხელის შეწყობის ფუნქცია-ვალდებულება.

კოპალა – უძილაურთ მიწებს პატრონობდა; იახსარი – შუაფხოს. სხვა თემებს არ აძლევდნენ ისინი თავიანთი საყმოს მამულებში შეჭრის უფლებას.

ძმურად გაინაწილეს საბრძანისიც: –

იახსარს კოპალასთვის უჩუქებია მაშარა; კოპალას იახსარისათვის დაუთმია – „თავისი ადგილის ბოლო მხარე.“

„წამოსულა ქადაგი დროშით და გაუმიჯნავს მიცემული მამულები.“

პირქუში

პირქუშის არეალი სოფ. ახადი იყო – ფშავის გოდერძაულთ თემის სამკვიდრო ადგილი.

„ნინ-ნინ ისიც კაც ყოფილ – მჭედელი... მგელას შვილი დავითი.“

ლეგენდის თანახმად, ხორციელების პერიოდში, პირმშვენიერი ჭაბუკი იყო. ქალები მოსვენებას არ აძლევდნენ და მორიგე ღმერთს – მათგან თავდახსნა სთხოვა... პირმწყაზარი უზენაესმა პირქუშად აქცია.

„იორზე სახლობდა ის... ჰერინდა სამჭედლო... აწრთობდა იარალს,“ ამზადებდა ოქრო-ვერცხლის სამკაულებს და ხელობის სინატიფით აოცებდა ხალხს.

წყაროსთაულს წმინდა გიორგის ის უკეთებდა-ო მშვილდ-ისარს...

იორზე მოსახლე დევებიც დაინტერესებულან პირქუშის ხელობით. მისი ხელში ჩაგდება განუზრახავთ, მაგრამ მჭედელს – კოპალა და წყაროსთავის წმინდა გიორგი დახმარებიან.

სამივე ღვთისშვილს ერთად გაუნადგურებია ავსულნი.

„პირქუში რო მამკვდარ – ხთის ნასახად... სულინმინდად გადაქცეულ... და ახადს მისულ.“ იქ შეურჩევია თავისი ამქვეყნიური საბრძანისი.

თავისი საყმოს, ანუ გოდერძაულთ თემის ხევისპერთა სადიდებელში პირქუში მოიხსენიება, როგორც „ცეცხლისალიანი, ყანიმმშვენიერი, ზინზილიანი“ – ღვთისშვილთა იარალის მჭედელი – ხელოსნობის მფარველი და დევ-კერპთა ამომწყვეტი ღვთაება. მასზე ლოცულობენ: – ჩურჩაყეური, ველგუჯაური და ბიჩინაგური არაბულები – ოხერხეველი და გუდამაყარელი ფიცხელაურები.

ხევსურეთში – პირქუში, ბაცალიგოს დაბლა მდებარე საუკეთესო ადგილზე დამკვიდრდა – რომელსაც „ლეკერთის“ ვაკეს ეძახიან. იქ ტარდება მისი რელიგიური რიტუალები (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

„ლეკე ეძახან იმ სოფელს ბაცალიგოსთან“, სადაც, ხორციელების პერიოდში, მჭედელი პირქუში მდგარა... ხევსურებ გაბევრებულ არ იქნებოდ მაშინ“ (ალ. ოჩიაური).

დიდხანს ძმობდნენ, თურმე, ერთმანეთს – პირქუშის ახადელი და ბაცალიგველი ყმანი.

კვირია

ფშავ-ხევსურეთის, თითქმის, ყველა სოფელში გვხვდება ამ სალოცავის ნიში.

„ლოცვა-დიდების დროს“, მოიხსენიებენ როგორც „კარვიანს“... „ხმელთ მოურავს.“

„რაც კი რამე ხდება, ან უნდა მოხდეს დედამიწაზე – მისგან არის.“ მორიგე ღმერთის უშუალო ხელქვეითია. მის სიახლოვეს „კარავი უდგას, სადაც სამწერლო აქვს გამართული.“

კვირა-ღვთისშვილის ერთ-ერთი მძლავრი საკულტო ცენტრი (საკვირაო, სადაც კვირაცხოვლობას აღნიშნავენ) – ფშავშია, თამარის ხატისკენ მიმავალი ტყიანი ხეობის თავში. მის შემადგენლობაშია: – საზარე, სასანთლე, საკურთხეველი და საპერო დარბაზი.

დარბაზის უკან, ტყიანი კონცხის აღმოსავლეთ კიდეზე, კვრივი მდგარა, რომელიც, ხატობის დროს, ფშავის თორმეტივე თემის „დროშათ საბრძანისს“ წარმოად-

გენდა. დღეს მხოლოდ მისი კვალია შემორჩენილი.

საზარე – ფიქლის მშრალი წყობით ნაგები შენობაა. შედგება: – სწორკუთხა კვარცხ-ლბეკის, მის კუთხეებზე აღმართული ოთხი სვეტის და ორ იარუსიან-სანაწვეთებიანი ოთხფერდა სახურავისაგან – რომელსაც თავზე სპილენძის გუმბათი და ჯვარი ადგას.

სალოცავში არსებულ მომცრო ზარზე ასეთი წარწერაა: –

„აფშინათ შვილებმა ხუთძმათ ნადირს და ელისბარს და ბერიძეს და მარადოს დათვიამ შემოგწირეთ კვირა პატიოსანისა... ცოცხალის სადლეგრძელოდ კვდრის სა-სულიეროდ ჩყკთ (ანუ, 1829) წელსა“.

დიდ ზარზე ასეთი წარწერა იკითხება: –

„ჩყმე (ანუ, 1845) წელსა შემოგწირე ესე ზარი ლაშარისა ღელესა შუა ბატონო კვირა ცხოველო მე სოლომონ ჰაუშტროვმა ჩემად საბედიანოთა და ჩვენ სასულივ-სასულიეროთა ამინ“.

საკვირაოს ქვემოთ მდებარე ვაკეზე ერთი საერთო საჯარე მდგარა, სადაც ფშა-ვის ყველა თემის „მედლეობენი“ სხდებოდნენ.

სალოცავი ამჟამად მიტოვებული და გაპარტახებულია.

ფხოვის ისტორიული ეპიზოდები

ფხოვის არეალი ბრინჯაოს ხანიდან ყოფილა დასახლებული.

„როდესაც პომპეიმ (ძვ. წ. 106-48 წ.წ.) გამოიარა ურიცხვი ჯარით, ფხოველნი რიცხვით სამასი კაცი დაუხვდნენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინ ხართ? გყავთ მეფე თუ არა? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისგან არიან ისინი დაყენებულნი მეფის ჯარის მცველებად. როგორ იომებდითო, ჰკითხა პომპეიმ, რომ ვინცობაა მომესია თქვენთვის ჯარიო? მაშინ ფხოველთ გაიძვრეს ხმლები, იფარეს ფარები და დაერივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათის ხელმარჯვეობით, იარაღის ხმარებით, დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გაისტუმრა მშვიდობით“ (ვაჟა-ფშაველა).

ფხოვი მოიხსენიებულია VII ს-ის „სომხურ გეოგრაფიაში“ და ლეონტი მროველის (XI ს.) „ნინოს ცხოვრებაში“. მისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი, სავარაუდოდ – უკანაფშავში იყო განთავსებული, იქ, სადაც ციხე-გორის, იახსარის ხატის და ძველ ნასოფლართა ნანგრევებია შემორჩენილი.

ოდითგან მომდინარე – ფხოველთა საადგილმამულო დავა (ხშირად ცალკეული გმირების აღზევებასთან და ურთიერთჭიდილთან დაკავშირებული) – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემთა (საყმოთა) სალოცავების სახელით (მათი დროშებით) მიმდინარეობდა: –

„ქაჯავეთის ლაშქრობა“ და „დიდი დიდოეთის გაბეგვრა“ – ხახმატის ჯვარის სალაშქრო დროშით მოხდა.

ბარისახოს ხმალას ჯვრის გამძლო-ხევისბერის – სანაგ სანაგისძის, დათვისელი გიგა გიგაურის და აკუშელი შიო სამხარაულის წინამძლოლობით – ფხოველნი მთავარანგელოზის დროშით ლაშქრავდნენ მუხრანბატონებს.

„გუდანის ჯვარის სამეტოქეოდ“ – მათ ხმალას ჯვარში ააბეს „წითელ-ატლასის“ სალაშქრო დროშა.

არაგვის ხეობის ძლიერი გვარები მეგანძურთა წინააღმდეგ გაერთიანდნენ – მაგრამ ეს ბრძოლა არაბულ-გოგოჭურ-ჭინჭარაულების გამარჯვებით დამთავრდა. დაემსო ხმალას, ხახმატისა და კარატის ჯვართა ჰეგემონია. აღზევდა გუდანის ჯვარი.
„მაისტის გატეხა“ – ლაშარისა და გუდანის სალაშქრო დროშებით მოხდა...

*

„ქართლის ცხოვრების“ (IX ს.) თანახმად: – მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ იბერების სამეფო მოაქცია (323-337 წ.წ.), ეპისკოპოს იოანესთან ერთად დაიძრა, „სახარებითა და ჯუარით პატიოსნითა“ – ფხოვის მოსაქცევად.

მეფემან მირიანმა მათ „თანა წარატანა ერისთავი ერთი“, ლაშქრის თანხლებით, რადგან მისია მეტად სახიფათო იყო.

მთიელებმა ახალი რელიგიის მიღება არ ისურვეს.

„ფხოველნი“ და მათთან ერთად სხვა „მთიულნი“ – „უკუიქცნენ...“ „არა ინებეს ნათლისლება...“ მახვილი აღმართეს და „ერისთავმან მეფისამან... ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.“

ქრისტიანი და წარმართი მოსახლეობა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში – მთაში, ერთმანეთის გვერდით, მშვიდობიანად სახლობდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მათი თანაცხოვრება დაპირისპირებაში გადაიზადრა, რადგან ამ პროცესს ახლდა – მთიელთა დამორჩილებისა და არაქართული მოსახლეობის მოქცევა-ასიმილაციის მცდელობა.

იძულებითმა გაქრისტიანებამ სასურველი შედეგი ვერ გამოილო.

ფხოველთა დიდი ნაწილი „არ მოექცა;“ ნაწილმა – დატოვა საცხოვრისი და „თუ-შეთს გარდავიდა.“

ბაქარ მირიანის ძის მეფობისას (362-364 წ.წ.), წმინდანმა „აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი არაგუსა აღმოსავლეთანი...“

*

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საქართველო ამით საბოლოოდ გაემიჯნა სპარსულ ორიენტაციას და დაუკავშირდა ქრისტიანულ რომს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ფრთას – მომავალ ბიზანტიას და კონსტანტინეპოლის.

*

XI საუკუნის ფხოვი კახეთის შემადგენლობაში შედიოდა და კვეტერის საერისთაოს ექვემდებარებოდა.

1014 წელს, როცა ქორიკოზმა კვირიკე II დიდმა – კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთაოები დააწესა – ერწო-თიანეთთან, ძურძუკებთან და ღლილვებთან ერთად – მოხსენიებულია ფხოველთა ქვეყანაც (ფხოვლნი).

XII-XIII სს მიჯნაზე, ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია და მთაში ბატონყმობის დამყარებას შეეცადა. ფხოველთ – უკვე ქრისტიანებად, ჯვრის მსახურებად მიიჩნევდნენ, მაგრამ, რეალურად, ისინი ისევ წარმართები იყვნენ. არ ეჭაშნიკათ სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაზრდა; უბრძოლველად არ დათ-

მეს გვაროვნულ-თემობრივი ცხოვრების წესი.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: – თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დიდოელთა და ფხოველთა სერიოზულ „განდგომას“ ჰქონდა ადგილი. ფხოველნი, რომლებიც „ქრისტიანობას იჩემებდნენ“, წარმართ დიდოელებთან ერთად, განუდგნენ ქრისტიან მეფეს: – „ინყეს რბევად... ხოცად და ტყუეობად – ცხადად და ღამით“.

თამარმა ივანე ათაბაგს მიანდო მათი დასჯა: –

„მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიულთა, დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა...“ – წარავლინა ისინი დიდოელთა და ფხოველთა ზედა.

განდგომილებს მიუვალი ადგილები ეჭირათ.

ივანემ „გონიერად ყო“ (ბრძნულად მოიქცა): –

ჯერ „აღვიდა მთასა ხადისასა, წარვლო წუერ-წუერად და წარადგა ფხოველთა და დიდოთასა.“

ათაბაგმა „ზეიდალმან დაიწყო ბრძოლა“, რომელმაც სამ თვეს: – ივნისს, ივლისს და აგვისტოს გასტანა.

„მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხონი.“

ამბოხებულებმა ზავი ითხოვეს. „მოსცეს მძევლები და აღუთქვეს მსახურება... ხარჯა... პირი სიმტკიცისა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 527-529).

*

იოანე ბატონიშვილი (1768-1830 წ.წ.) თავის ნაშრომში, „ისტორია ქართლისა“, მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ლაშა გიორგის (1192-1223 წ.წ.) შესახებ.

კვლევა „მოთავსებულია მის „კალმასობაში“, როგორც ორგანული ნაწილი ამ ღირსშესანიშნავი ენციკლოპედიური შრომისა“ და ჯერჯერობით, გამოცემული არ არის. მზადდებოდა „კალმასობის“ მესამე ტომად, პროფესორების, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის მიერ. ცნობილი გახდა 1911 წლიდან, „მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა გაგრძელება ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „კალმასობისა“. მოთავსებულია ის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში H 2134, რომელიც 1923 წელს დაბრუნდა საქართველოში რუსეთიდან. არის ავტოგრაფი, რომელიც ერთადერთ ცალად შენახულა...“ (კ. კეკელიძე, „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის“, უნივერ. შრომები, ტ. XVI, 1940 წ.).

ბატონიშვილი მოგვითხრობს ლაშა გიორგის – ფხოვში სამისიონერო მოგზაურობის შესახებ (ნაშრომი XIX-ს განეკუთვნება და მკვლევარი მას ფშავ-ხევსურეთად მოიხსენიებს): –

„უამთა ამათ შინა ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა, გარნა ვერა ეპყრათ რიგიან, ქურდობდნენ და ესხათ ოროლი და სამ სამი ცოლი და იქცეოდნენ არაწმინდებით. მაშინ მეფე გიორგი წავიდა ფშავს და წარილო მოჭედილი ჯუარი და ნაწილი წმინდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველი, მეფემან შეიწყნარა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი... დაასვენა ნაწილიცა იგი და მიუპოძა ბავრაყი. აგრეთვე ხევსურეთსა შინა მიბრძანდა და მათაცა მისცა ჯუარი და ბავრაყი... იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იღეს... ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარად“, ხოლო ხევსურნი „გუდანის ჯუარად“ და მოძმეთ ბაგრატიონთა უწოდებენ...“

როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, ლაშა გიორგის ფხოვში გამგზავრება – აუცილებლობით იყო განპირობებული.

ვაჟა-ფშაველას ცნობით: –

„ლაშამ ეს ხატი შესწირა ზავის გულისათვის ძველის ჩვეულებისამებრ და ეკლესიაც იმიტომ ააშენა... სწორედ წმინდა გიორგის ხატის შენირვიდამ ლაშასაგან ერქმევა დღეობას ლაშარობა... მართლაც თუ ლაშასაგან არ იყოს შენირული ხატი ზავისა, თორმეტი ტომი ფშავისა არ მიიჩნევდა იმას საერთო სალოცავად....“

უამთაღმწერელისგან განსხვავებით, იოანე ბატონიშვილი სხვაგვარად მოგვითხრობს ლაშა-გიორგის სიყვარულის (მისი მორალური სახის) შესახებ – აბათილებს ბრალდებებს და შესაბამის წყაროზეც მიგვითითებს: –

„ინება მეფემან ლაშა კახეთსა შინა წასვლა და წარვიდა მცირისა უკუე კაცთა და მოვლო ადგილ-ადგილ კახეთისა ადგილი... უამსა ამას იყო დღესასწაულობა ჭერემისა ეკლესისა... ინება მეფემანცა მუნ წასვლა... მოილოცა წმინდა ესე ეკლესია და მერე ინყო ქვეითად სიარული ერთა შორის... იხილა ქალი ვინმე მშვენიერი, რომელიცა სთნა მეფესა და მშვენიერებამან მისმან მოიცო გული მეფისა... უბრძანა ერთსა თვისისა სანდო მსახურსა, რათა გამოიკითხოს საქმე მის ქალისა, ვისიშვილობა, ანუ უქორნინია, ანუ არა... მეზობელთ აცნობეს: – ესე ქალი არს ქალწულ და შვილი გაღარიბებულთა და ძველთა თავადთა კლდე-კარის ერისთავთა გუარისა მიწობილიძეთა მონათესავეთაგანი, გარდმოცვივნული არშაკუნიანთა (ფარნავაზიანების) დროთავე შინა და აწ გლეხად მცხოვრები... ჰერქუა ქალსა სუსანა“.

ჭაბუქმა მეფემ საკუთარი მოძღვარი დააფიცა (არავისთან გამთქვაო) და – „წარგზავნა მღუდელი იგი დედმამისა თანა მის ქალისა და ითხოვა ცოლად თვისად... შემდგომად ამისა წამოვიდა მეფე, დედოფალი სუსანა დაუტევა თიანეთს და თვით მოვიდა ტფილისა შინა“.

იოანე ბატონიშვილის ცნობით: –

ლაშა გიორგის „სჯულიერი ქორწინების“ მოწმენი ყოფილან: – „კათალიკოზი ევთვიმი და მოძღუარი მეფისა – გიორგი ხარჭოშელი.“

„დავით-საულიანშიაც მოიხსენიება ლაშას სჯულიერი ცოლი და კათალიკოზი ანტონიც იტყვის თავისა „წყობილ-სიტყუასა შინა“.

„შემდგომად ერთისა წლისა... კვალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა. მაშინ მიუწერა მეფემან დედოფალსა სუსანას, რათა გარდავიდეს (ფხოვში) და დაამშვიდოს იგინი...“

„...დედოფალი წარვიდა, მოეგებნენ სრულად ფშავ-ხევსურნი... დიდის პატივითა და სიხარულით მიიღეს... ყოველნივე დამორჩილდენ ბრძანებასა მისსა“.

„სამი თვე დაჲყო დედოფალმან“ მთაში. ქვეითად დადიოდა ვიწრო და კლდიან ადგილებში, სადაც ცხენი ვერ გაივლიდა. „გაცივდა ღამე ნაოფლი და შეიქმნა ძლიერად ავად. წარმოილეს ხელისა სკამითა, ვერარა არგო მკურნალმანც. მთის ამოსავალს, საშუალ ადგილს გარდაიცვალა დედოფალი იგი – ბაჩალზედ“ – თიანეთისკენ მიმავალ გზაზე, სადაც „მუნ არის ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე...“

„მეფე იქნა დიდად მწუხარე, მოვიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის (ხარჭიშმოს) ეკლესიასა შინა.... ყრმა იგი დავით წარმოიყვანა და მიაბარა დასა თვისსა რუსუდანს.“

„შემდგომად ყოვლისა ევედრნენ დიდებულნი, რათა შეირთოს ცოლი მეფემან, გარნა არღა ინება და დაადგრა უცოლოდა...“...

*

სუსანას გარდაცვალების ადგილას, ყოველ წელს მიდიოდნენ ფშაველნი – საკლავს კლავდნენ, აღაპს იხდიდნენ და ღმერთს ავედრებდნენ დედოფლის სულს... (იოანე ბატონიშვილი, „ისტორია ქართლისა“).

*

მემატიანის ცნობით: –

ბათო ყაენთან მიმავალმა ულუ დავითმა (1247-1270 წ.წ.) კახეთის გამგეობა – სახელოვან კაცს, კახეთის ერისთავს – თორლუა პანკელ ძაგანისძეს ჩააბარა.

„ჰერი რა არღა მოსვლა მეფისა, უკუდგა (თორლუა ძაგანისძე) პანკისაა ციხესა, თავისად დაიჭირა კახეთი... არღა რა მორჩილებდა დედოფალსა და მესტუმრესა ჯიქურსა...“

ამავე პერიოდში, ფხოველთა ნაწილიც აუჯანყდა სამეფო კარს, წარმართობას დაუბრუნდნენ და განრისხებული დედოფლის, ჯიგდა ხათუნის დავალებით, სახელმწიო საქმეების გამგებელი, მესტუმრე ჯიქური – ცეცხლით და მახვილით შეიჭრა მთაში; ხელახლა განანათლა – „მოხარკედ და მაჯორედ ყვნა კაცნი იგი მხეცისა ბუნებისანი“ – მაგრამ ფხოვის შეუვალ მთებს შეაფარებული თორლვა პანკელის შეპყრობა – ვერ შეძლო.

მშვიდობით დაბრუნებული ულუ დავითი შეწირდა თორლვას, მაგრამ „არა მოვიდა ის კარად მეფისასა – შიშისათვის... ვერ ეძლო გულპყრობად მისვლა.“

ბოლოს, მაინც შეიპყრეს – „წარიყვანეს კლდეკართა და მუნით გარდმოაგდეს...“

*

ვარაუდობენ, რომ აღნიშნულის შემდგომ, ფხოვის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები, თითქმის მთლიანად წყდება.

ფხოველებმა მონღლოლების შემოსევით ისარგებლეს – სამეფო კარს ისევ განუდგნენ და დამოუკიდებელ თემურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ.

*

„პოლიტიკურად დაშლილ-დაწინკნილი, ფიზიკურად ჯანდაშრეტილი, დაკნინებული სულიერად, ზნეობრივად დამხობილი“ – იყო ქვეყანა. „იდგა დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთისა ღალატედ დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და მრავალფერნი ულუსობანი...“ (ჭ. ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“).

ასეთ ვითარებაში მოევლინა საქართველოს – მეფე დიმიტრი II თავდადებულის ძე, რომელმაც ისტორიაში გიორგი ბრწყინვალეს სახელით დაიმკვიდრა ადგილი (1314–1346 წ.წ.).

ჯერ გორს მიადგა იგი, „სადაც მარბიელად მოვარდნილი ოვსნი აფარებდნენ თავს... ძლიერი ალყის და იერიშის შემდგომ აიღო გორის ციხე. ქალაქიდან „განასხნა“ და კავკასიონს გადაღმა გადარეკა ისინი.“

„იმ ალყობასა და ოვსთაგან გორის ციხიდან ლტოლვაში – ქსნისა და არაგვის საერისთაონიც მონაწილეობდნენ.

ამათ შორის ქართველთა სამარცხვინო თვისებამ იჩინა თავი – ცილობამ იმის გამო, თუ რომელი საერისთაოს ლაშქარმა დადო მეტი ქველობა საქმეს.

ეს თითქოსდა სიცილის მომგვრელი დავა იმდენად გამწვავდა, რომ მოსისხლე მტრობად იქცა.

ვერაფერს გახდა მთაში საგანგებოდ მისული უფლისწული დავით გიორგის ძე, რომელმაც არღარა აუშვა მხარეები საომრად, განყარნა ხევისთავნი, მოაშორა იქაურობას ბარელი აზნაურნი, ბოლოს უგუნურ სისხლთათხევისათვის გამზადებულ თანამოძმეთა შორის ჩავარდა, მუხლებზე დაიჩოქა და ხატებზე აფიცა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მთიელთ არა იღეს ყურად სიტყვა და მუდარა დავითისი, ლომისის მთაზე საშინელი ხმალთაკვეთებით ერთმანეთს შეაწყდნენ ქსნისა და არაგვის ქართველობა. გაჩაღდა ხოცვა-ულეტა ძმათაშორისი საზიზღარი...

მოჰყვა ამას ერთმანეთისა ზედა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა და კოშკთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა – გაცუდდა სამართალი... ტომნი და თემნი თავმოყვარეობის მცირედი შელახვისა გამო ბრძოდნენ ერთმანეთს ვითა მოსისხლენი. ზოგზოგნი მიცვალებულებზეც კი იყრიდნენ ჯავრს, გლეხნი დიდებულთა ძარცვასაც აღარ ერიდებოდნენ... (ჭ. ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“).

ასეთი „აღრევით ყოფა“ გახდა გიორგი ბრწყინვალეს მთაში მისვლის მიზეზი.

დიდი ამალით – „უინვანში“ ავიდა და „ჯვრის ყელზე“ გადავლით, დარიალამდე მიაღწია. სოფელ-სოფელ, თემ-თემად და ხევ-ხევად მოიარა მთიანეთი.

„ყველგან, ხალხთან და ხევისბერ-ჰეროვანებთან ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით – მთიელები მტკიცედ დაარწმუნა, რომ სიცოცხლის ფასად აზღვევინებდა (ყველას განურჩევლად „დიდთა“ და „მცირეთა,“) ვინც კი გაბედავდა რაიმე „უსამართლობასა და მძლავრებულობას,“ ქართველთა შორის ურთიერთმესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, „ციხეთა დაქცევას,“ სხვისი ცოლის „წაგურას,“ საკუთარის „დაგდებას,“ მოყვასის საფლავის ხელყოფას და სხვათა მსგავსთა „ულუსობათა.“

მთიელთა „აღრეული ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების მიზნით“, მეფემ სპეციალური კანონმდებლობა (სამართალი) შექმნა („ძეგილს დადება მთიულთათვის“) – რომელიც, მოგვიანებით, მთელ მთაზე გავრცელდა.

ამ კანონთ-კრებულის მიხედვით, საქართველოს მთა უბრუნდებოდა თავის ძელ, ტრადიციულ წესრიგს და ზნეობრიობას, ფეოდალური განკერძოება გზას უთმობდა სამეფო კარის შეუვალ და განუყოფელ უზენაესობას – რაც დავითისა და თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას ნიშნავდა...

*

ვარაუდობენ, რომ ფხოვის ფშავ-ხევსურეთად გაყოფა – XIII საუკუნიდან დაიწყო. XV ს-ში ორივე ტომი უკვე ცალ-ცალკე სახელდება.

ისტორიულ ფხოვთან მიახლოვებული სახელწოდება შემორჩა: – ფშავის სოფელ შუაფხოს, ფხიტუს უღალტეხილს, ხევსურეთის სოფელ დინიფხოსა და ფხიჭოურს (ფხოველთა ჭალას) – არხოტის ხეობაში...

ფხოვის დაშლის და მისგან ორი კუთხის (ფშავ-ხევსურეთის) წარმოქმნის მიზეზე – მემატიანე არაფერს გვამცნობს.

არავინ იცის, რა გახდა – ეთნიკურად და კულტურულად ერთიანი ხალხის ორად გახლეჩის მიზეზი.

საერთო ჰქონდათ ენა, ტერიტორია, რელიგია, კულტურა. მსგავსი ეპოსი და პოეზია აქვთ – ერთმანეთის მიბაძვით შექმნილი თქმულებები; ფშავის აღიარებული თემებიდან – გიგაურები და ხახაბოელნი ხევსურეთის ტერიტორიაზე სახლობენ; უძილაურები და ლიქოკელები – კოპალას ყმები არიან; ცაბაურ-გოგოჭურები და ზურაბაულნი მთავარანგელოზის ყმანი.

მთელი რიგი გადმოცემები გვამცნობენ – ფშავიდან ხევსურეთში სხვადასხვა გვარების მოგრაციაზე.

ფშავის ტერიტორია, თავის მხრივ, ხევსური მოსახლეობის უწყვეტი მიგრაციის არეალი იყო.

„გიორგწმიდაში“, ადრე, თურმე, ფშავლები მდგარან. ლეკების ლაშქარს გაუწყვეტია ისინი. მათი შეტაკების ადგილს „ნასისხლარს“ ეძახიან.

„პირქუშ რო ახადს მისულ და იქ დაარსებულ... ბაცალიგველნიც იქა მდგარან – ძმობა ხქონავ ახადელთან... პირქუშ რო მამკვდარ, ბაცალიგვლენ წამასულან და პირქუშის ჯვარიც აქ გამახყოლივ...“

დაუსრულებლად შეიძლება ფშავ-ხევსურთა კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბარი, მაგრამ არსებითი სხვაობებია ამ ორი მონათესავე ტომის ბუნებაში, დიალექტში, საზოგადოებრივ ყოფასა და ხასიათებში.

გეოგრაფიული მეზობლობის მიუხედავად, ისინი განსხვავებული ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. ბართან მეტი კავშირისა და სიახლოვის გამო, ფშავში შედარებით ადრე დაიწყო არქაული ტრადიციების მსხვრევა. ხევსურეთი უფრო დიდხანს ცხოვრობდა ძველი წეს-ჩვეულებით. ახალი ამბები იქ შედარებით გვიან აღწევდა და მამაპაპური ტრადიციებიც – უფრო მტკიცედ იყო შენარჩუნებული.

თვალში საცემია მათი განსხვავებული სამოსი. ფშაური – საქართველოს სხვა კუთხეთა იდენტურია. ხევსურული ტალავარის მსგავსი – არცერთ ჩვენს კუთხეში არ ჩანს.

არავინ უწყის რა გახდა ამ ორი დიდებული ქართული ტომის, ოდითგან მომდინარე – დღეს უკვე ღიმილის მომგვრელ – შულლსა თუ ქილიქს. მათი დაუსრულებელი ქიმპობის საწყისი მიზეზი (თემის, პიროვნებების თუ მტრის ინტერესები).

სხვა მთიელების მსგავსად, მათაც ჰქონდათ სადაცო ადგილები (სოფ. აკუშო, უბისთავი, მაშარა, მოწმაოს მიმდებარე სათიბები...). რამდენჯერმე სისხლისმღვრელი შეტაკებაც მოხდარა მათ შორის, მაგრამ საადგილმამულო დავა – რომელ ქართულ ტომს არ ჰქონდა?!?

დაპირისპირების საწყის მიზეზად ზოგი, ორწყალთან მომხდარ შემთხვევას მიიჩნევს: –

„ძველს დროს“, ხევსურები იქ, მარილით აბარგულები მისულან. ცხენ-ჯორებისთვის ხიდს ვერ გაუძლია, წყალში ჩაცვენილან და ფშავლების საქონელს – მარილიანი წყალი უხვად უსვამთ.

იმ დროს, მთიელთათვის მარილზე ძვირფასი არაფერი იყო;

„არც არაფერი იმაზე მეტად საწუხარი, როგორც საქონლისათვის მარილის ჭმევა.“

ასეთი შემთხვევა შულლის მიზეზი, მართლაც გახდებოდა, მაგრამ ფხოვის ისტო-

რია – ძლიერი მტრების მზაკვრულ ხრიკებსაც არ გამორიცხავს: –

თუმა თილისძემ, თორლვა ძაგანის ძის დავალებით დალაშქრა, კახელი დიდებულების წაქეზებით – მის წინააღმდეგ ამხედრებული ფშავი.

არაგვის ერისთავები თავგამოდებით ცდილობდნენ მთიელთა შორის შუღლის გაღვივებას.

ზურაბ ერისთავმა მზაკვრულად დაუპირისპირა ერთმანეთს თემები, გვარები; მტრობა ჩამოაგდო ნარჩევ მთიელებს შორის; ხატის მსახურებს ასაჩუქრებდა და ბარში მამულებს ჰპირდებოდა.

მისმა კაცებმა გიგაურებს, სისვაურებსა და სამხარაულებს შორისაც – ჩამოაგდეს მტრობა. გათიშეს საარაგვოს მცველი სამი ძლიერი გვარი.

შუღლის მთესველად – ხშირად, ცალკეული „გმირები“ და მათი ინტერესები იკვეთება.

ეს მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

თუ ჭირ და

ტერიტორია და საზღვრები

ფშავის სახელწოდება შესაძლებელია მოდიოდეს – „შავი მდინარიდან“, „შავი წყლიდან“... ან დაკავშირებული იყოს „ფშა“-სთან, რაც მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს ნიშნავს (პლ. ოსელიანი, გაზ. „კავკაზ“, 1872 წ. № 134).

კავკასიონის მთავარი ქედი (ჩრდილოეთის მხრიდან) მას პირიქითა ხევსურეთისგან, აღმოსავლეთით – თუშეთისგან და ერწო-თიანეთისგან „განჟყოფს“. დასავლეთით ესაზღვრება – პირაქეთი ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი; სამხრეთით – შიდა ქართლის მთისწინა ზოლი.

„ვინაიდგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე... უბრძოლველი მთითა და კლდითა და ტყითა, ამისათვის იმყოფებიან მშვიდად და სიმწირისათვის მონობენ ვისაც უპყრავსთ თიანეთი...“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ადრე – ისტორიული ფშავი კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. დღეს, ძირითადად, დუშეთის რაიონშია მოქცეული.

ძველთაძველ მის სამხრეთის საზღვარს – კართანასთან (მაღაროსკარის ზემოთ, სამიოდე კილომეტრზე) ვარაუდობენ. მოსახლეობის მიგრაციამ, აღნიშნული მიჯნა, თანდათან, უფრო ქვემოთ გადასწია. არაგვის დაგუბებამდე – ის, სოფ. გუდრუხიდან იწყებოდა (ძველი უინვალიდან 4 კმ-ზე) – უკანაფშავისკენ მიემართებიდა და კავკასიონის მთავარ ქედს ეკვროდა.

*

ჩრდილოეთიდან უკანაფშავს ეკვრის – ბორბალოს, ბოთანას, ჭიჩოს, მისელურის, ქადაოშანას, უბისთავის, წითელოს და ახუნის მთები.

ივრის ხეობის ზემო წელში ერწო-თიანეთის რეგიონია განთავსებული – მთიდან ბარში გარდამავალი ზონა, მთისწინეთი.

როგორც დ. ხიზანაშვილი გვამცნობს: –

„არაგვისა და ივრის ხეობებს შუაზე უძევს და ჰყოფს მთა, რომელსაც ერთი სახელწოდება არა აქვს, იწოდება სხვადასხვა ალაგს სხვადასხვა სახელით, მაგალითად: იკვლივი, იალნო, საბადური, უღლისი, გორმალალა და სხვ...“

...ივრისა და ილტოს ხეობებსა ჰყოფს ბორბლის მთიდანვე დაწყებული სხვა მთა, რომელიც ფშავეთის ქვემოთ ცივ-გომბორის მთად იწოდება... ფშავში იმ მთას არა აქვს არანაირი სახელწოდება. უწოდებენ სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა სახელს, მაგალითად: დამასტე, ჭიაურა, საგამი, კორსავი, გარეჯა, დარბაზის თავი და სხვ.“ („გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა,“ „ივერია“, 1889. №138).

*

ფშავის არაგვის სათავეს წარმოადგენს ბორბალოს და ბოთანას მთებიდან მომდინარე სამი ხევი (ბოთანასწყალი, ასისხევი და ბოგონჩარისხევი).

„მათში იწურებიან კავკასიონის დახრამული მწვერვალებიდან გადმონახეთქი პატარ-პატარა ნაკადები.“

ბორბალოდან პატარა ნაკადული გამოდის, რომელსაც, წყაროსთავის სალო-ცავთან, ასისხევი ერთვის; მარცხნიდან მას ბოთანურა უერთდება – იქვე ბოგოჩარისხევი გამოდის...

ამ პატარა მდინარეთა შეერთებით იქმნება უკანაფშავისწყალი, რომელსაც – უფრო ქვემოთ, დამასტეს ხატთან, მარჯვნიდან ერთვის: – მათურხევი, ჩალახევა, ღამეხევა და ლაშარულა; მარცხენამხრივი შენაკადებია: – ფხინხევა, ახადისხევი და წანადა (რომელიც, ვარეულასთან ერთად, ახადთან უერთდება).

მათურხევის შესართავიდან ორწყალამდე, უკანაფშავისწყალი – არაგვის სახელ-წოდებას იღებს.

მარჯვნიდან მას: – მუქოურა (მუქუსხევი), ჭაფნაგასხევი, ხატისხევა და საქობისხევი ერთვის; მარცხნიდან: – ჭიჩოურა, ბინდაურა და თემაშორის ხევი... ნაროულა და თეთრახევა სოფ. შუაფხოსთან უერთდება. იქიდან 7 კმ-ით ქვემოთ, ფშავის არაგვი სამხრეთით უხვევს და ხევსურეთის არაგვს უერთდება – იქმნება ე.წ. „ორწყალი“ (ანუ, ფშავ-ხევსურეთის არაგვი).

ეს ადგილი „მიჯნაა ხევსურეთისა და ფშავეთისა. მარჯვენა ტოტს ფშავლები უწოდებენ „ხევსურეთულას“, მარცხენას – არაგვს. „ხევსურეთულას“ ხეობაზე დასახლებულნი არიან ხევსურები... არაგვის ხეობაზე, ორწყლის ზევითაც და ქვევითაც – ფშავლები... მხოლოდ ერთი სოფელი, სახელდობრ კანალხევი, დასახლებულია ფშავლებითა და ხევსურებით, რომლებიც თითქმის სულ გაფშავლებულან“ (დ. ხიზანაშვილი, „გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა,“ „ივერია“, 1889. №138).

*

ორწყლის ქვემოთ (დაბა უინვალამდე) ფშავ-ხევსურეთის არაგვს მარჯვნიდან ერთვის: – ბეტისჩრდილისხევი, კიშხეურა, აფშოურა, კანალხეურა, ბეშახევა, უკვენტ-ბურა, მაღაროულა, კანატიისხევი და ბებრისციხისხევი.

მარცხენამხრივი შენაკადებია: – ვანხეურა, ხომურა, ჩარგლურა, ყოფჩიურა, აკამა-თურა, ხუნწრანთხევი, შარახეულა, თვალივურა, გუდრუხისხევი და ქაფოხევა.

ხსენებული მდინარეები პატარ-პატარა ხეობებს ქმნიან, რომლებშიც ფშაველთა ამავე ზომის სოფლები იყო განთავსებული.

ადრე, ფშავ-ხევსურეთის და მთიულეთ-გუდამაყრის არაგვი ერთმანეთს ძველ უინვალთან უერთდებოდა; ამჟამად, წყალსაცავში ჩაედინებიან.

ფშავის ტერიტორიალური და გვაროვნული თემი

როგორც დ. ხიზანაშვილი გვამცნობს: – „ძველს დროში“, ფშავლებს მხოლოდ არაგვის ხეობაზედ უცხოვრიათ, იმ სოფლებში, რომლებიც შუაფხოს სამამასახლისოს ეკუთვნოდენენ და არაგვის სათავეში მდებარეობდნენ.“ „საკუთრივ ამ კუნძულს“ უწოდებდნენ ისინი „ფშავისხევს;“ წმიდათანმიდა ადგილად მიაჩნდათ და ფშაველი „არ გასცვლის მას არც უკვდავების ხეზედ და არც სხვის ქვეყნის სამოთხეზედ“; არა-

სოდეს „გამოვა ფშავისხევის წილიდგან“ („გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა,“ „ივერია“, 1889 წ. №138).

ფშავის თითოეულ სოფელში, ადრე, მხოლოდ ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა (თემ-სოფელს ქმნიდა) და, თავის მხრივ, უფრო დიდ ტერიტორიულ თემში იყო გაერთიანებული.

რაფ. ერისთავის ცნობით, ისინი 11 ოჯახიდან არიან წარმომდგარნი და წინაპრების სახელები აქვთ გაგვარებული („ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები“, 1986 წ.).

„ყველა თემს სათავეში ერთი საერთო წინაპარი ედგა, ვისი სხელიდანაც მომდინარე ძირგვარი თანაბრად ეკუთვნოდა მთელ მის ჩამომავლობას.

ახალი გვარის გაჩენას განაპირობებდა თავგამოჩენილი გმირის პატივისცემაც და მისით სიამაყეც. სახელოვანი პირვენების სახელი მთელ საგვარეულოს უდებდა სათავეს“ (ირ. გოგოლაური).

ჯერ კიდევ გვიანდელ შუა საუკუნეებში დაიწყეს ფშავლებმა ინტენსიური დაშლა – მამიშვილობებად და ქვეგვარებად.

XX საუკუნეში უკვე 300-მდე გვარი იყო დაფიქსირებული.

რამდენიმე მათი, ერთი და იგივე სახელწოდების გვარი, დამოუკიდებელი წარმომავლობისაა და სხვადასხვა სახელიანი წინაპრისგან მოდის (კერძოდ: – ჯაბანიშვილები, ბაიაშვილები, პატარაშვილები).

დროთა განმავლობაში, თემ-სოფლებმა, გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა წარმომავლობის გვარები შემოიერთეს: („აქეთ-იქით გაუშენებიათ სოფლები“) და ტერიტორიალურ-გვაროვნულ თემებად ჩამოყალიბდნენ.

„ყველა გვარი 12 თემ-ხატის მიხედვით დაჯგუფდა.“

*

„ფშაური თემი იყო კარგად ჩამოყალიბებული, მოწესრიგებული, სამართლიანი – რელიგიით და სისხლით ნათესაობით შეკრული საზოგადოება. თემის წევრებს შორის ქონებრივი განსხვავება მხოლოდ ოჯახის სიძლიერესა და შრომის ნაყოფიერებას ემყარებოდა. შეძლებული ოჯახი ვერანაირ ზეწოლას ვერ მოახდენდა მეორე პირზე ან ოჯახზე. თემებსა და სოფლებს შორის დაცული იყო საზღვრები. ერთი თემის წევრი მეორის ტყეში უნდართვოდ ხესაც ვერ მოჭრიდა (ვ. ბერიძიაშვილი).

არაგვის ერისთავთა მოურავები ფშავის შინაურ საქმეებში ვერ ერეოდნენ – „მოლაშერებს ჰკურებდნენ და ხარჯს იღებდნენ.“

ყველა თემს თავისი ხევისბერი ჰყავდა, რომელიც – ადათ-წესებით (სახალხო სამართალით) მართავდა მათ.

როცა საკითხი თემების საერთო გადასაწყვეტი იყო, ხევისბერები ლაშარის ჯვარში იკრიბებოდნენ და თავხევისბერის მეთაურობით იღებდნენ გადაწყვეტილებას.

იქ წყდებოდა საერთო საჭირბოროტო პრობლემები.

თავხევისბერს ემორჩილებოდა ყველა.

მკვლელობის და „ჭრა-ჭრილობის“ გარდა, ის აგვარებდა მამულების და საქონლის თაობაზე ატეხილ დავებს.

ლაშარის დროშით ხელში ჯვარზე აფიცებდა და წინ მიუძღვოდა საომრად მიმავალ ლაშქარს.

*

ომისა და ზავის საკითხს ყველა თემის თავყრილობა წყვეტდა.

ხევისბერები და „სიტყვა-პასუხიანი“, ჭკუასაკითხავი, სიდარბაისლით და სამართლიანობით გამორჩეული ბრძენ-კაცები მათურხევასთან იკრიბებოდნენ – დამასტეს მინდორზე, ან ლელეში, სადაც ღამისთვით დგებოდნენ...

იქიდან – ღამარის გორზე ადიოდნენ და ფიცს დებდნენ.

რადგანაც ფშავი „საშუალო ალაგია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა... სალაშქრო ბჭობა ამ სამ მოძმე-მეზობელთა შორისაც... ღამარის გორაზე მოხდებოდა ხოლმე – ძველ დროში“ (დ. ხიზანაშვილი).

ხომარის გორზე დღემდე შემორჩენილია „ხუთმეტი დროშით ნალოცი“ ისტორიული ძეგლი, რომელიც ხომარის სახუთმეტოს სახელით არის ცნობილი.

გადმოცემის თანახმად, იქ, ფშავის თხუთმეტი თემი გაფიცულა.

დღეს, მხოლოდ 12 თემის არსებობა დასტურდება.

ზოგი მათგანი ზურაბ არაგვის ერისთავმა „დედაბუდიანად აჟყარა და დაქსაქსა.“

*

ვახტანგ მეფის „დასტურლამალის“ ცნობილი ხელნაწერის თანახმად, 1789 წელს, ფშავის შემადგენლობაში 11 თემ-სოფელი იყო გაერთიანებული: 1. უკანაფშავი, 2. ახადი, 3. წითელაურთა, 4. ხომარა, 5. ჭიჩო, 6. მუქუ, 7. მათურა, 8. გოგოლაურთა, 9. ცაბაურთა, 10. უძილაურთა და 11. შუაფხო.

ჩამონათვალი ფშავის არაგვის სათვაიდან იწყება და, ხეობის ჩამოყოლებით, სოფ. შუაფხოსთან მთავრდება. ხსენიებული თემ-სოფლები, დღესაც, იგივე თანამიმდევრობით არიან განლაგებულნი. წაროადგენენ იმ არეალს, სადაც ამა თუ იმ თემის ძირითადი ადგილსამყოფელი და მათი სათემო ხატების საბრძანისი იყო განთავსებული.

1812 წელს – ალექსანდრე ბატონიშვილი ფშავის 12 თემს მოიხსენიებს.

1886 წელს – ვაჟა-ფშაველა შემდეგი 12 თემის არსებობას გვამცნობს: – 1. გოგოჭური, 2. გაბიდოური, 3. უძილაური, 4. გოგოლაური, 5. ჭიჩოელი, 6. ახადელი, 7. უკვენა ფშაველი, 8. წითელაური, 9. ქისტაური, 10. წონკურაური, 11. ტურანი და 12. მისრიანი.

დ. ხიზანაშვილის ცნობით (1889 წელს), ფშავები შემდეგ 12 თემად „განიყოფებიან“: – 1. უკანა ფშაველები, 2. გაბიდოურები, 3. გოგოლაურები, 4. ჭიჩოელები, 5. ჩარგლელები, 6. ახადელები, 7. ქისტაურები, 8. მათურელები, 9. წონკურაული, 10. უძილაურები, 11. ტურანი და 12. მისრიანი.

ს. მაკალათიას მიხედვით, ფშავლები ჯერ „დაყოფილი ყოფილან“ 11 თემად: – 1. უკანაფშაველები, 2. გაბიდოური, 3. გოგოლაური, 4. ჭიჩოელი, 5. ცაბაური, 6. გოდერძაული, 7. ქისტაური, 8. მათურელები, 9. წონკურაული, 10. უძილაური და 11. წითელაური. შემდგომში, „ამ 11 თემს მიემატა ფშავის ხევიდან გასახლებული ჩარგლელების კიდევ ერთი თემი და მთელს ფშავში 12 თემი ჩამოყალიბდა“.

ვ. ბარდაველიძე 11 თემს აღნიშნავს (1. უკანაფშაველები, 2. გაბიდოურნი, 3. გოგოჭურნი 4. გოგოლაურნი, 5. ჭიჩოელნი, 6. გოდერძაულნი, 7. ქისტაურნი, 8. ზურაბაულნი, 9. წონკურაულნი, 10. უძილაურნი, 11. წითელაურნი), მაგრამ – „ჩარ-

გლელებს“ და „ცაბაურნს“ – ერთად, „გოგოჭურნი“-ს სახელწოდებით მოიხსენიებს.

უკანაფშავის თავხევისბერს, ბიჭურ ბადრიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვ. ბარდაველიძე იმასაც გვამცნობს, რომ – წარმოდგენილი 11 თემის მსგავსად, ლაშარის ჯვარში, მისრიანთ გვარსაც ჰქონდა თავისი საჯარე, სადაც, ფშავის თემების გვერდით, ლაშარობას, სადლესასწაულო სუფრას აწყობდნენ. მათივე ცნობით: – ხახაბოელნი ფშავის XII თემს წარმოადგენდნენ; მათაც, ლაშარის ჯვარში, საკუთარი „საჯარე“ ჰქონდათ.

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს: – ვაჟა-ფშაველას, დ. ხიზანაშვილის, ს. მაკალათიას და ვ. ბარდაველიძის მიერ მოწოდებულ ფშავის თემთა ჩამონათვალში, არსებითი განსხვავება არ არის: –

დ. ხიზანაშვილის ჩარგლელები, ს. მაკალათიას ცაბაურნი, ვაჟა-ფშაველას და ვ. ბარდაველიძის გოგოჭურები, რეალურად, ერთი და იგივე, გოგოჭურ-ცაბაურ-ჩარ-გლელთა თემის წარმოადგენლები არიან; გოდერძაულები – იგივე ახადელები.

რაც ეხება ვაჟა-ფშაველას და დავით ხიზანაშვილის მიერ მოხსენიებულ „ტურანს“, ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ეგენი მჭედლურები იყვნენ სოფელ აფშოდან ქუთხში გადმოსახლებულები... იქიდან კახეთისკენ წასულან.“

ბაბუა ალუდაურის ცნობით, სოფელ ხახმატის მიმდებარე ერთ ვაკე ადგილს „მჭედლურთა“ ჰქვია. ხევსურული ანდრეზის მიხედვით, მჭედლურები იქიდან წასულან.

*

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა ცნობილი ხევისბერების: – გარა თურმანაულის, ბიჭურ ბადრიშვილის, იოსებ ელიზბარაშვილის, მიხეილ ხიბლაშვილის, პეტრე კუნაშვილის, ბენინა ბალიაურის, გიორგი ბობლიაშვილის, ჭრელი და იოსებ კოჭლიშვილების, თათარ ჩორხაულის, ხევსურა თათარაშვილის და სხვ. სახელები.

ბოლო უამს, გოგოლაურთის მთავარმოწამეში უშანგი თანდილაშვილი ხევისბრობს, ქმოდის წმიმდა გიორგის სალოცავში – ფილიპე ბალიაური; მათურის მთავარანგელოზში – სიკო თადიაური, წყაროსთაველში – ივანე წელაური (კუჭალა), მუქოში – ვახტანგ წონკოლაური. ლაშარის ჯვარის და ხოშარის სახუთმეტოს მოქმედი ხევისბერი – ბეგლარ ძებნიაურია, შუაფხოს ლალი იახსრისა – ლაზარე ელიზბარაშვილი (რომლის დედის ძმაც – უძილაურთ თემის ცნობილი ხევისბერი, იოსებ კოჭლიშვილი – ციხეგორსა და ირემთკალოში მოღვაწეობდა).

*

ფშავის გვაროვნული თემის ტერიტორიალურ თემებად ტრანსფორმირების შემდეგ (ანუ, მას შემდეგ რაც – გაძლიერების მიზნით, მათ სხვა გვარებიც შემოიერთეს) – ფშავის მოსახლეობა იმდენად გამრავლდა – „ადგილის სივიწროვის გამო,“ მიგრაციული პროცესები დაიწყო.

მოსახლეობის ნაწილი წინაფშავის მიმართულებით მიგრირებდა; ნაწილი – კავკა-სინის გადაღმა – ჯერ ივრის, ილტოს და ალაზნის სათავეებში დამკვიდრდა, მერე – ერწო-თიანეთსა და კახეთის ბარში.

ამჟამად, „კუნძულებივით არიან მიმოფანტულნი“ – არაგვის, ივრის, ილტოს და

ალაზნის ხეობებში, გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში.

დედაფშავიდან წასულების უმრავლესობამ საკუთარი თემის სახელწოდება შეინ-არჩენა (გოგოლაურები გოგოლაურებად დარჩენ, ახადელები – ახადელებად...). მხ-ოლოდ ორიოდე თემს ვერ შერჩა ძველი – სათემო სოფლის სახელი.

*

მოსახლეობის მასიური მიგრაციის დაწყებამდე ფშავი ცხრამეტ სოფელს აერ-თიანებდა და, ძირითადად, დღევანდელი შუაფხოს თემის ტერიტორიაზე იყო გან-თავსებული.

ძველი ფშავი მთავრდებოდა იქ, სადაც ვანხევი ფშავის არაგვს უერთდება.

დროთა განმავლობაში, კომპაქტურად დასახლდნენ ფშაველები – ივრის ხეობის ზემო წელში მდებარე, ე.წ. „ივრის ფშავის“ სოფლებში: – ლორდაში, ზემო და ქვემო არტანში, სახევში, ქუშხევში, თეთრულებში, ბოდახევში, სხლოვანში, კვერნაულაში, ლიშმოში...

XIX ს-ის ბოლოს, მათი რამდენიმე დასახლება უკვე ნასოფლარად იყო ქცეული: – კორსავი, ბაფხისხევი, ყვარა, ხილიანი, ბაჩალი, ხაშარი, საშუბი, სოფლიონი... ფშავლ-თა ნასოფლარებზე მიუთითებენ აგრეთვე: – ჯაბლევში, ხატხეორხში, მგელათციხეში, ყაფარში, თიქონში, ჯლანაურაში...

ჭ. მახაურის ცნობით, „არტანში – ფშავის სხვადასხვა თემებიდან გადმოსახლე-ბული ხალხი ცხოვრობს: – ხიზანიშვილები, კურჭელაურებში მცხოვრები, პაპიაშ-ვილები, ფეტვიაშვილები, ჭამაშვილები, ქისტაშვილები, თეთრაულები, ხუმარაშვილე-ბი, ბაინდურაშვილები, ლვინიაშვილები, წვეროშვილები, ხიბლაშვილები“.

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული და საარქივო მონაცემებით: –

თიანეთის ჩრდილოეთით მდებარე, ჭურჭელაურებში მცხოვრები – სოფლის თანა-მოსახლე გვარი, ფშავის სოფ. ახლიდან, ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისშია წამო-სული – სოფ. ქაშოსა და აჯაგვში (დღევანდელ ჭურჭელაურებში).

ამავე პერიოდში ჩამოსახლებულან ერწო-თიანეთში: – ბალიაშვილები (ჩარგლიდან), ბიჩინაშვილები და შუშანაშვილები (შუაფხოდან); ქისტაურთ თემის ხუცურაულები – ვანხევიდან.

რამდენიმე სოფელში დასახლებულან ჩარგლიდან მოსული კბილცეცხლაშვილები და მათი განაყარი ქიტესაშვილები; სიმონიანთხევში დამკვიდრდნენ – ჩარგლელი ბა-იშვილები.

ერწოს სოფელ ვეძათხევში (ყოფილი უნგიაძე), 1850-იან წლებში მოსახლეობდნენ: – ფშაველი მათურიშვილები, ხინჩლაშვილები და ლურქელაშვილები. უკანაფშავიდან მოსულან ჩეკურიშვილები. 1873 წლის შემდეგ დასახლებულა გოგოლაურების 6 კომ-ლი. ამავე სოფელში დაუდვია ბინა – გაბიდაურების და ჭიჩოელთ თემის ფშავლებს. 1866 წელს, ისინი – ჩაბანოდან, ქუშხევიდან და არტნიდან მისულან.

XIX ს-ის I ნახევარში – სოფ. ბოჭორმა გაბიდაურთ თემის ფშავლებით დასახლდა: – ბზიკურთიდან ჩამოსახლდნენ ციხელაშვილები, საღირაშვილები, ბერიშვილები და ლეგაშვილები; ქუშხევიდან – მგელაშვილები, ჩარგლიდან ბაიაშვილები.

ამავე პერიოდში, ხოშარადან თრანში გადასახლდა გაბიდაურების 5 კომლი. სოფ. უძილაურთიდან ერწო-თიანეთში მისულან თეგერაშვილები; გოგოლაურთიდან – ლევერაშვილები. წითელაურების სოფელ ნაკვალესავიდან – ზემო თიანეთის სოფელ

წიკვლიანთკარში გადასახლდნენ ბაჩანაშვილები.

ცხვარიჭამიაში, ფშავლები, 1850-იან წლებში – მუქოდან და ნაკვალესავიდან გადმოსახლდნენ.

საყარაულოში, XIX ს-ის 50-იან წლებში, ფშავის სოფ. ყაფრიდან მისულა გოდერ-დაულთ თემის ერთი კომლი. მაგრანეთში – არტინდან ფშავლების 21 კომლი ჩასახლდა; უკულმართში დასახლდნენ – ახადიდან და შუაფხოდან მოსული ფშავლები.

სოფ. ჭიოტანთკარში – მაღაროდან გადმოსახლდნენ: – გოგოლაურთ თემის; ლი-შოდან – გაბიდაურთ და ახადიდან – გოდერძაულთ თემის ფშავლები. სიონში მისულან ხოშარელი გაბიდაურები; დილმელაურში – მაღაროელი გოგოლაურები; ჯიხოში – ახადელები და ცაბაურთელები.

ფშავლთა კომპაქტური დასახლებები მიმოფანტული იყო ერწო-თიანეთის სხვა სოფელებშიც: – ჩაბანოში, ჯიჯეთში, ვერხველში, თეთრახევაში... ისინი სახლობდნენ არაგვის ხეობის მთისწინეთში: – ნოჯიკეთში, ხეობაში, ნოჯაში; გარე კახეთში, შიდა კახეთსა და ახმეტის რაიონში – მდ. ილტოს და პანკისის ხეობებში (რ. თოფჩიშვილი, ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია...).

*

აპ. ციგროშვილის ცნობით – სოფ. ლაფანყური, XX ს-ის დასაწყისში, არაგვისა და ივრის აუზის სოფლებიდან ჩამოსახლებულმა ფშავლებმა დააარსეს.

ილტოს ხეობა ფშავური კაფიის დიდოსტატთა სამშობლოდ იქცა.

მის სოფლებში (ჭართალა, შახვეტილა, ვეძები), XIX-XX სს სახელგანთქმული მოლექსეები ცხოვრობდნენ: – გოგა და ციფერა უძილაურები, ფილიპე (რუსა) გედებური, შალვა ალბუთაშვილი, ფილიპე (ჭიბიტანა) ღვინიაშვილი და სხვ.

გომბორსა და შირაქში (ქვემო ქედში) ფშავლები XX ს-ის პირველ მეოთხედში დამკვიდრდნენ.

ისინი ფშავის თითქმის ყველა თემიდან არიან ჩამოსულნი. ცაბაურთიდან: ცაბაურაშვილები, ჩიტოშვილები, მჭედლურები, რაზიკაშვილები, მარტიაშვილები, ბეროშვილები; შუაფხოდან – ქისტაურები, ელიზბარაშვილები, ხუცურაულები, ბერიაშვილები, ქოჩაშვილები; გოგოლაურთიდან: გოგოლაურები, მახაურები, ბალიაურები; ხოშარიდან: აფშინაშვილები, ბოძაშვილები; მათურიდან: ხუციშვილები, ქისტაურები, გახუტელაშვილები; უძილაურთიდან: უძილაურები, ლოსეურაშვილები, პაპაიშვილები; უკანაფშავიდან: ჯაბანიშვილები, გამიაშვილები, ბაინდურაშვილები; კოტიიდან: წითელაურები; ჭიჩიდან: მინდოდაურები; ახადიდან: გორელაშვილები, ხელაშვილები; მუქუდან: წონკოლაურები; ხახაბოდან: ხახაბოელები. ქვემო ქედში ვნახეთ ერთი კაცი – გრიშა ხახაბოელი. მაშასადამე, გვარი ხახაბოელიც არსებობს და იგი წარმოქმნილია სოფლის სახელწოდებიდან (ტ. მახაური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, 2011 წ.).

*

მიგრირების მიუხედავად, „ფშავის ყველა თემი, დღესაც, ფშავის ხევის მკვიდრად და მფლობელად ითვლება. იქა აქვს თავისი სალოცავი. ყველა მათგანს ფშავის ხევის მიწა-წყალში წილი აქვს და ამას ვერ გამოსწირავს ვერც თვით ფშავის ხევის დღევან-

დელი მკვიდრი-მცხოვრები, ვერც ვინ სხვა“ (დ. ხიზანაშვილი).

*

დროთა განმავლობაში, ისტორიული ფშავის ტერიტორია – ორ ნაწილად (უკანაფშავად და წინაფშავად) დაიყო.

XIX ს-ის ფშავი „ოთხის სამამასახლისოსაგან შედგებოდა“: – ორი (არტის და ბოჭორმის), ივრის ხეობაზე იყო; ორიც – არაგვის ხეობაზე (შუაფხოსი და მაღაროსკარის)... „არაგვის ხეობაზედ – მოზრდილი სოფლები იყო: – ხოშარა, შუაფხო, ახადი, მათურა...“ XIX-ის ბოლოს, სამამასახლოსოების ნაცვლად, ორი ახალი ადმინისტრაციული სასოფლო საზოგადოება ჩამოაყალიბეს: – შუაფხოს (უკანაფშავის) და მაღაროსკარის (დ. ხიზანაშვილი, „გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა,“ „ივერია“, 1889, №138).

არტის სამამასახლისო თიანეთიდან ივრის დასაწყისამდე აღწევდა. მის შემადგენლობაში მყოფი 15 სოფლიდან შედარებით მოზრდილი იყო: – არტანი, ლიშო, ყვარა, ბოდახევა, ლიჩანური და მგელათციხე.

ბოჭორმის საზოგადოება ერთოს ქვევით მდებარეობდა და 3 სოფლისგან შედგებოდა. ფშავლები იქ ადგილის სივიწროვის გამო გადმოსახლებულან სხვადასხვა თემებიდან – 40-50 წლის წინათ (დ. ხიზანაშვილი, „ივერია“, 1889, №138)..

ციტირებული მკვლევარის ცნობით, თიანეთის მაზრაში 7612 ფშაველი ცხოვრობდა – ორივე სქესისა. ილტოს და ალაზნის ხეობებში ფშავლები დამოუკიდებელ საზოგადოებებს არ ქმნიდნენ. იქ მათ რამდენიმე სოფელი გაუშენებიათ – XIX საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ.

ამავე პერიოდში, ფშავლები სახლობდნენ დუშეთის მაზრაში (არანისსა და ნოჯიკეთში), ცხვარიჭამიის საზოგადოებაში, ზემო თიანეთისა და თიანეთის – საყარაულოს და ნაქალაქარის საზოგადოებებში. ფშავლებით დასახლებული რამდენიმე სოფელი იყო ქართლშიც – გორის მაზრაში.

ისინი „დიდი ხნის გადასახლებულები არიან, მაგრამ თავის წინაპართ სამშობლო ჯერაც არ დავიწყებიათ, არ დავიწყებიათ მეტადრე თავიანთი მამა-პაპის სალოცავები. თიბათვეში, როდესაც ფშავში „ხატობებია“ და ბარშიც ცოტა მოცლილობა, ხშირად დაიარებიან ფშავში – სალოცავად და ნათესავების სანახავად“ (დ. ხიზანაშვილი).

*

დედასოფლებიდან წასულ ფშავლებს თან მიჰქონდათ საკუთარი სალოცავების ნიში (უპირატესად, ადგილის დედა – დედალვთიშობელი).

ზემო არტის სიახლოეს, ნასოფლარ ხაშარასთან, მდინარე ხაშრეულის და აონისხევის შესართავთან, გვიანდელი შუა საუკუნეებს კოპალას ხატია შემორჩენილი.

ნასოფლარ ღორღადან 2 კმ-ზე, მდინარე ხატისხევის მარცხენა ნაპირზე მდგარი ლაშარის ხატი – XIX ს-ის ბოლოს აუგიათ.

სოფ. კვერნაულას სამხრეთით მდებარე საყდარასგორაზე, ტყეში, გვიანდელი შუა საუკუნეების ლაშარის ეკლესიაა; სოფ. უებოტას დასავლეთით, გვიანდელი შუა საუკუნეების კოპალას საყდარი; ნასოფლარ იხინჭის მიდამოებში – მშრალი ხევის მარჯვენა მხარეს – ამავე პერიოდის ლაშარის ჯვარის ნიშია შემორჩენილი.

*

XIX ს-ის II ნახევარში, 1860 წლის აღწერის მონაცემებით: – ბუდეფშავში, ივრის, ერნო-თიანეთის და არაგვის ხეობის მთისწინეთში – ფშაველთა საერთო რაოდენობამ 6572 სული (1186 კომლი) შეადგინა. რიცხვმრავალ თემებს შორის იყვნენ: –

გოგოჭურები – (1156 სული, ანუ, მთელი ფშაველების 17,6%);

გაბიდაურები – (1140 სული, ანუ, მთელი ფშაველების 17,4%);

გოგოლაურები – (865 სული, 13,2%);

ქისტაურები – (629 სული, 9,5%);

ჭიჩოელები – (612 სული, 9,3%);

დანარჩენი თემებიდან: – გოდერძაულები (574 სული, 8,7%), მათურელები (460 სული, 7%), წონკოლაურები (324 სული, 4,9%), უძილაურები (307 სული, 4,7%), უკანაფშაველნი (277 სული, 4,2%), წითელაურები – 233 სული, 3,5% (რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ.).

1860 წელს, ბუდეფშავში, უკანაფშაველთა თითქმის 100% სახლობდა. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო კახეთში (ფშაველსა და ლალისყურში) ნასული.

სხვა რეგიონებში ნაკლებად იყვნენ მიგრირებული ქისტაურები და წითელაურები. ბუდეფშავში – ქისტაურთა თემის 66,7% მკვიდრობდა; წითელაურების – 64,4% (რ. თოფჩიშვილი).

აღნიშნულის მიზეზი, ალბათ ისიც იყო, რომ – ქისტაურებს ფშავშიც ჰქონდათ ასათვისებელი ადგილები; წითელაური კი, მცირერიცხოვანი თემი იყო.

ბუდეფშავში იყო დარჩენილი: – უძილაურების 38,7%, მათურელების 25,8%, გოგოლაურების 19,3%, გოგოჭურების 14,9% და ჭიჩოელთა 8,7%.

ჭიჩოელების დიდი ნაწილი, ივრის ხეობის სოფლებში – არტანსა და ბოდახევში გადასახლდა. ამავე არეალში დამკვიდრდნენ გოდრეძაულები (ფშავში მათი 15,5% იყო დარჩენილი). უკანაფშავში დარჩა: – წონკოლაურების 5,5% და გაბიდაურების 3,5% (მათი 69,3% „ივრის ფშავში“ ნავიდა). დანარჩენი თემების მნიშვნელოვანი ნაწილი – წინაფშავში (38%) და არაგვის ხეობის მთისწინეთში (56,5%) იყო დასახლებული.

ცაბაურთადან ჩარგალში გადასახლდნენ; უძილაურთადან წიფრან-კანატიაში; ხოშარიდან კუჭეჭა-მარახევში; გოგოლაურთადან – ხომსა და კუდო-ხილიანში. უძილაურები დამკვიდრდნენ აგრეთვე – წიფრანსა და კანატიაში; გაბიდაურები – კუჭეჭასა და შარახევში; გოგოლაურები – გომენარში და მაღაროში; გოგოჭურები: – მიგრიაულთაში, გუდარახში, აფშოში, ჩარგალსა და ბუჭყინტაში; მათურელები (ზურაბაულები) – ყოფჩაში; წონკოლაურები – არბაჩხანსა და ინოში.

*

1886 წლის კამერალური აღწერით – ფშავში, 42 სოფელი დარეგისტრირდა: – 20 ბუდეფშავში, 22 – წინაფშავში.

ბუდეფშავში სიდიდით გამორჩეული იყო – ზურაბაულების სოფელი მათურა (57 კომლი, 276 სული); შუაფხოში – ქისტაურების 40 კომლი აღირიცხა (215 სული), გოგოლაურთაში (40 კომლი, 206 სული), ცაბაურთაში (33 კომლი, 153 სული), უკანაფშავში (26 კომლი, 141 სული). „წვრილ“ სოფლებს შორის მოიხსენიება: – ქუთხი (4 კომლი, 9 სული), მისრიანთვარი (3 კომლი, 18 სული), მუქო (5 კომლი, 36 სული).

წინაფშავის ყველაზე დიდი სოფელი იყო ჩარგალი (68 კომლი, 347 სული); გომენარში (58 კომლი, 285 სული) დარეგისტრირდა; კუდოში – ქალილოსთან ერთად (49 კომლი, 207 სული), კანალხევში (42 კომლი, 202 სული), წინკარში, ანუ მიგრიაულთაში (45 კომლი, 237 სული), წიფრანში (37 კომლი, 183 სული). „წვრილ“ სოფლებში მოხსენიებულია: – არბაჩხანი (5 კომლი, 45 სული), პირველი ნეძიხი (6 კომლი, 31 სული), მეორე ნეძიხი (7 კომლი, 31 სული), წიფრანი (3 კომლი, 11 სული), კუჭეჭა (9 კომლი, 52 სული).

„ივრის ფშავის“ მოზრდილი სოფლები იყო: – არტანი (96 კომლი, 591 სული), ლიშო (53 კომლი და 273 სული).

*

ისტორიული ფშავის ტერიტორია, ადრე, კახეთის რეგიონში (თიანეთის მაზრაში) შედიოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დუშეთს რეგიონს მიაკუთვნეს; მაღაროსკარის და უკანაფშავის თემსაბჭოდ გაყვეს.

უკანაფშავის 19 სოფელში 212 კომლი (552 მამაკაცი და 510 ქალი) სახლობდა. ცენტრი იყო სოფ. შუაფხო.

მაღაროსკარის თემსაბჭოში გაერთიანდა – 13 სოფელი (358 კომლი, 732 მამაკაცი და 701 ქალი).

1939-1982 წ. მონაცემებით, უკანაფშავის სასოფლო საბჭოში გაერთიანებულია 16 სოფელი: – 1. უკანაფშავი, 2. ახადი, 3. ხოშარა, 4. მათურა, 5. მუქუ, 6. გოგოლაურთა, 7. ცაბაურთა, 8. შუაფხო, 9. თხილიანა, 10. უძილაურთა, 11. არახიჯა, 12. ბეტისჩრდილი, 13. ბულალაურთა, 14. ვანხევი, 15. ქუთხი 16. ჭიჩო.

1939 წელს, მათი კომლების საერთო რაოდენობა იყო – 161 (777 სული); 1982 წელს 64 კომლი დარეგისტრირდა – 181 სული (ლ. ბოძაშვილი, „ფშავი და ფშაველები“, 1988 წ. გვ. 7).

ამავე პერიოდში, მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 17 სოფელი: – 1. მაღაროსკარი, 2. გომენარი, 3. ჩარგალი, 4. ხილიანა, 5. კუჭეჭა, 6. კანატია, 7. თხილიანა, 8. წიფრანი, 9. საშევარდნო, 10. შარახევი, 11. მიგრიაულთა, 12. გუდარახი, 13. აფშო, 14. ინო, 15. ხომი, 16. კანალხევი, 17. არბაჩხანი.

XX ს-ის ბოლოს, უკვე აშკარად იჩინა თავი ფშავიდან მოსახლეობის მასიურმა გადინებამ, მისი ბუნებრივი ნამატის შემცირებამ და ხანდაზმული მოსახლეობის ხველრითი წონის ზრდამ. ჩამოყალიბდა რეგრესული მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ტიპი. რამდენიმე სოფელი სრულიად გაუკაცურდა, გამოჩნდა დაქცეული ნასახლარები, სახლის ლიბოზე გალალებული ჭინჭარი... ფშავის არაგვი უკვე ნასახლარებს მიუყვება. შუაფხოს ზემოთ, თითო-ოროლა – 70 წელს გადაცილებული ბერიკაცი შემორჩა. ელიაგზაში, ჩალახევში, ვაკისოფელში, ხოშარაში, ჭიჩოსა და სხვა სოფლებში – ბავშვის დაბადება აღარ ახსოვთ...

საგზაო კომუნიკაციები

ფშაველთა მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი უგზოობა იყო.

მათი სოფლები (უძილაურთა, ცაბაურთა, წითელაურთა, ახადი) მაღალ მთებზეა განთავსებული – განცალკევებული კუნძულებივით მოჩანან და, დღესაც – საცალ-ფეხო ბილიკებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ასეთივე დაკლაკნილი ბილიკებით და გადასასვლელით უკავშირდებოდა ფშავის მოსახლეობა მეზობელ კუთხეებს.

პირიქითა ხევსურეთში ორი ბილიკი გადადიოდა: – ერთი (სოფ. მათურიდან) მა-თურის გადასასვლელით (3167 მ.) – ხახაბოში ჩადიოდა; მეორე – (სოფ. უკანაფშავი-დან), ანდაქის გადასავალით (2748 მ.), არდოტში ეშვებოდა და ფშავის არაგვის აუზს – პირიქითა ხევსურეთთან (მდ. ანდაქის ხეობასთან) აკავშირებდა.

პატარა ბორბალოზე გადადიოდა – საყორნისა და ანდაქის უღელტეხილების და-მაკავშირებელი ბილიკი.

მუქოდან – საცალფეხო გზა, მოსელურსა და სასოეთ თავზე გადავლით – არ-თანში ჩადიოდა...

მთიულეთ-გუდამაყრისკენ მიმავალი ბილიკი სოფ. კანალხევთან გადის და ლუთხ-უბ-წინამხარისკენ მიემართება.

თუშეთის ბილიკი – უკანაფშავიდან ბორბალოს გადასავალზე (3135 მ.) გადადის და ალაზნის ხეობისკენ ეშვება.

ახადიდან და უკანაფშავიდან საცალფეხო გზა – ფუტკარაულის ქედზე (2920 მ.) გადავლით – ივრის ხეობაში ჩადის.

იორისკენ მიემართება ბილიკები – ჩარგლიდან, ხილიანიდან და შარახევიდან.

*

ძველთაგან – ფშავს ბართან ორი ძირითადი გზა აკავშირებს: – ერთი, ივრის ხეო-ბიდან, მეორე – არაგვის ხეობის გავლით.

პირველი, მდინარე ივრის მარჯვნივ მდებარე, „ჯეროვნად შეკეთებული არ არის, მაგრამ ს. ლიჩანურამდე შეიძლება, დიდის გაჭირვებით კი – ურმით მოგზაურობა... ივრის ჭალა ფართოა და ადიდებული იორი ადვილად ვერ აზიანებს გზას – ისე ხშირად, როგორც ესა ხდება არაგვის ხეობაზედ“ (დ. ხიზანაშვილი, „გეოგრაფიული მდებარეობა ფშავეთისა,“ „ივერია“, 1889. №138).

არაგვის მიმართულებით მიმავალი – ადრე, საკმაოდ ვიწრო და სახიფათო ბილიკი, დღეს, „განიერ, ვაკე გზას წარმოადგენს, სადაც ურემიც კი თავისუფლად გაივლის. მისი გაყვანა-გაგანიერება საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო. განზრახულია ორწყლი-დან მისი უკანაფშავამდე და ბარისახომდე მიყვანაც (ს. მაკალათია, 1934 წელი).

ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური მაგისტრალის (დუშეთი-ბარისახოს) მშენებლობა – ლ. ბერიას თაოსნობით, 1930 წელს დაიწყო და 1934 წელს – საზეიმოდ გაიხსნა.

ლაშარის ჯვარი

მთელი ფშავი ერთი დიდი სალოცავის, ლაშარის ჯავრის, დროშის ქვეშ იყო გაერთიანებული.

უფრო ადრე, „ლელეში“ (სადაც ამჟამად თამარის ხატია) – წარმართთა მზექალის სალოცავი ყოფილა.

მისი სახით, ალბათ, მზის კულტის თაყვანისცემასთან გვქონდა საქმე, რომლიც, შემდგომში – „თამარმა“ ჩაანაცვლა.

„ლაშა“ – მანათობელს (მთვარეს) ნიშნავს.

როგორც ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს, საქართველოში მთვარის კულტის შერწყმა წმინდა გიორგისთან მოხდა.

მოქცეული საყმოსათვის – ლაშა გიორგის იმ ადგილას აუგია სალოცავი, სადაც, ისტორიულად, ძველი წარმართული, ასტრალური ბუნების ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომელსაც ქრისტიანულ ხანაში, ლაშა გიორგის კულტი შეერწყა – ისევე როგორც თამარ-აქიმ დედოფლის კულტს – თამარ მეფისა (ვახუშტი ბატონიშვილი).

გონივრული პოლიტიკის წყალობით, თამარმა და ლაშა გიორგიმ, სასურველ კომპრომისს მიაღწიეს: – წარმართულ რელიგიურ კულტს ქრისტიანული სალოცავები შეუწყვილეს და, თანდათან, მის ნაცვლად დაამკვიდრეს.

6. ხიზანაშვილის (ურბნელის) ვარაუდით, სალოცავის სახელწოდება ლაშქარს, ლაშქართ ჯვარს უკავშირდება. მკვლევარის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, იქ იყრიდნენ თავს ძველი მეომრები – ფიცს სდებდნენ... და მოღალატეებს სდევნიდნენ თემიდან.

*

ლაშარის ჯვარი – უკანაფშავის ტერიტორიაზე, ახადის პირდაპირ, ფშავის არაგვის ზემო წელშია განთავსებული – ე.წ. ხმელგორაზე (ანუ, ლაშარის გორზე).

გვერდით ლაშარისწყალი ჩამოუდის.

ხმელგორი მაღალია, უტყეო და ძნელად მისავალი. მწვერვალი ოდნავ მოვაკებული აქვს.

გ. თევდორაძის ცნობით: – ვაკეს, ბებერი იფნები ამშვენებენ. ხელოვნურად გაკეთებული მოედანი – ყორით არის შემოვლებული. ყორის შიგნით რამდენიმე დარბაზი და ქვის გრძელი სკამებია. ერთი ბებერი იფნის ტოტზე დიდრგოლებიანი ჯაჭვია შემოხვეული (ჯალანდარი, რომელიც, მოგვიანებით, გალავანზე გადაკიდეს).

„გალავანში მოჩანს ეკლესის ნანგრევი და რამდენიმე შენობა: – საბეროები და საზარე. საზარეში ჰკუდია რამდენიმე ზარი, მათ შორის ერთი ზურაბ არაგვის ერი-სთავისგან შენირული“ (დ. ხიზანაშვილი, 1889 წ.).

ახალი საზარეს ქვემოთ, დაცულია ლაშარის ძველი – პირამიდულ სახურავიანი საზარე და ხატის ბელელი; აგრეთვე, საბერო, სალუდე, სახარბაკე და სხვ. ნაგებობები, რომელთა ნაწილიც, უკვე დანგრეულია (ს. მაკალათია, 1934 წ.).

„ძველ საზარეში სამი საზედაშე ქვევრია ჩაფლული“.

წინათ, ლაშარს თავისი ზვრები ჰქონია ახმეტაში... იქიდან ეზიდებოდნენ კულუხს. საზარეში ორი ზარი ჰკუდია; ერთზე ასეთი წარწერა იკითხება: – „შემოვნირე მე

ერისთავმა რევაზ შენ წმინდანს გიორგის ლაშას“.

„ამ ზარს ფშავლები „ერისთავისეულს“ ეძახიან და მას ზურაბ არაგვის ერისთავს უკავშირებენ“.

მეორე ზარზე ასეთი წარწერაა: –

„შემოვწირე სახლთუხუცესმა ბებურიშვილის პაპუას მოსახსენებლად ფშავის ლაშარის გიორგის ქას ტავ“ – ანუ 1628 წელს (ს. მაკალათია).

ლაშარის ჯვრის კარზე აღმართული სასანთლე კოშკი – ბიჭუა და გიორგი ხახაშვილებს „გაუკეთებიათ“ (ვ. ბარდაველიძე).

საკმაოდ დიდ ფართობზე განთავსებული სალოცავი – მუხის და იფნის ხეებით არის დაჩრდილული.

საჯარები შიშველ ალაგზეა – მზის გულზე.

„ამ გორაზე წინათ ერთი დიდი მუხა ყოფილა, რომელსაც – კენწეროზე ოქროს შიბი ჰქონია გაკეთებული. მუხა იმდენად მაღალი იყო, მისი კენწეროდან შორს მანძილზე მოჩანდა მიდამო და მომავალი მტრის დანახვა შეიძლებოდა. ეს მუხა საყარაულო-საზვერაო იყო. ამიტომ, მტრებს სურდათ მისი მოჭრა-მოსპობით – საზვერაო და ოქროს შიბი ჩაეგდოთ ხელში (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1939 წ. გვ.72-73).

გ. ხორნაულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, „ლაშარის ძირს, ხატის წისქვილი ყოფილა. ცხრაულელა ხარით გაკეთებული, ცხრა ოჯახისაგან ცხრა საკლავით დანათლული – ცხრა თემიდან“.

*

წმინდა გიორგი, როგორც „ლაშქართ მფარველი და წინამძღვარი ხატი“, ფშავლებს მეომარი მხედრის სახით ჰყავთ წარმოდგენილი – ის „შეიარაღებული ზის ლურჯის ფერის, შავ-ძუა-ფაფარიან ცხენზედ, თან დაჰყვება უხილავად თავის ყმათა ლაშქარს და სცდილობს, ყველა განსაცდელისგან დაიფაროს იგი“: –

„ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი ჰსახივის გიშრისა,
შავდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.“...

ფშავლები თუ „ომს დააპირებდნენ, წინდანინ, ლაშარის ჯვარს დაეკითხებოდნენ... თუ ქადაგი გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა – მაშინ იღებდნენ ლაშქრობის გადაწყვეტილებას... მათ მიმართ განეულ ყველა წინააღმდეგობას (თუ ომს) – ისინი ლაშარის ჯვრის სახელით წარმართავდნენ და საღმთო ხასიათს აძლევდნენ. ამის მოწმობენ – ჯალაბაურებთან, არხოტელ ხევსურებთან, წოვა თუშებთან თუ ზურაბ არაგვის ერისთავთან წარმოებული ბრძოლები... ჯალაბაურები იქამდე მისულან, რომ „ფშაველთა გასაჯავრებლად და დასამცირებლად“ დიდი რკინის ბორკილი გაუკეთებიათ – „ვითომდა ლაშარის ჯვრის დასაბმელად... ამის გამო, ხატმა – „მოამიზეზა“ ისინი და ხსენებული ბორკილი (ე.წ. ჯალანდარი) – „თავისის ხელით მოატანინა ლა-

შარის ჯვარში“ (დ. ხიზანაშვილი).

ამბობენ რომ: – ფშავლებმა, „ვინცკი მტერი შემოირიგეს, ყველამ რაიმე ნიშანი დატოვა ლაშარის ჯვარიში: ჯალაბაურებმა – „ჯალანდარი“, ზურაბ არაგვის ერი-სთავმა – ზარი, თუშებმა და არხოტელებმა სამანი...“

*

ხატის ტერიტორიაზე რამდენიმე სამანია ჩადგმული.

მხოლოდ ორი მათგანის ისტორიაა შემორჩენილი.

ერთი არხოტელებს ეკუთვნის. ისინი, ლაშარობა დღეს, სამტროდ შემოპარულან ფშავში. თავხევისბერ ფოცხვერა მახინცაურს შეუტყვია მათი განზრახვა – შეუპყრი-ათ მომხდურნი და, მერე – ქადაგის ჩაგონებით შერიგებულან.

ფიცის გაუტეხლობის ნიშანად ჩაუდგამთ არხოტივნებს ეს სამანი...

მეორე ძეგლი – თუშთა ბელადის, თილისაძის, ჩასმულია. შერიგების და თავსისხლის საზღაურად – ქორა ხარიც შეუწირავს მას ლაშარისათვის.

*

მიგრაციული პროცესების პიგზე, ლაშარის ჯვარის ნიშებით მოიფინა აღმოსავ-ლეთ საქართველოს მთა და ბარი. საყმომ „ნაიმძღვარა“ ისინი: – მაღაროსკარში, ჩარ-გალში, აფშოში; „ივრის კუდებში“, ერნო-თიანეთში, კახეთში და დუშეთის რაიონის სოფლებში (ჯიქურაულთკარში, ბიჩნიგაურთკარში, ნადიბაანთში)...

ლაშარის ყმობას აღიარებდნენ – ხევსურები, თუშები, ქართლ-კახეთის ფეოდალები და თვით სამეფო ოჯახის წევრებიც კი (აღნიშნულის დასტურად – ვ. ბარდაველიძეს 20 ისტორიული დოკუმენტი აქვს წარმოდგენილი).

სალოცავი უამრავ განძს – ადგილ-მამულებს, კახეთში ზვრებს და სხვა მრავალ სიმდიდრეს ფლობდა (მათ შორის მეფეთაგან ბოძებულს).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: – ეკლესიას „შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი... წიგნი და... აქუთ სასოება მას ზედა ფრი-ად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ხევსური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერსად იხმარებენ თვისად, არამედ მიუძღვის ლაშას ჯვარს“.

გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი დღეობის დროს, ლაშა გიორგი მისულა სალოცავში – თავისი მხლებლებით. საკადრისად გაუმასპინძლდნენ, თურმე, ფშავლები და როცა მეფე წასულა – „ხატისთვის გამოუგზავნია დიდი ზომის ჯვარი, რომელიც შიგნით ოქროსი იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა გადაკრული.“

ეს ჯვარი, ბოლო დროს, ერთმა ბერმა (ახადელმა ილარიონმა) წაიღო და სადღაც დაკარგა.

1915 წელს, „სახალხო ფურცლის“ №257-ში გამოქვეყნებული წერილით, ვაჟა-ფშაველა ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

შუაფხოს მრევლის მოძღვარმა, ფარნაოზ ზაბახიძემ, წყაროსთავის მონასტრის სიგელის საშუალებით, ამავე მონასტრიდან 5-6 ადლის დაშორებით, მიაკვლია მიწაში ჩაფლულ სამ ჯვარს, რომელთაგან ერთი – ლაშარის ჯვრისთვის ლაშა გიორგისგან ყოფილა შენირული; მეორე – თამარის ხატისა და მესამე – წყაროსთავისა.

„ერთი ამ ჯვართაგანი, სახელდობრ ლაშარის ჯვარი, მე ჩემის თვალით ვნახე. ეს

ჯვარი ზაბაზიძეს გადაეცა თამარ მეფის ბერის ილარიონისათვის. ეს ჯვარი იქნება თავის ტარიანად არშინნახვარი. ტარი ვერცხლით საუცხოვოდ არის მოვარაყებული. ჯვარი ვნახე მაღაროსკარმი ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილთან, სადაც ბერ-მონაზონ ილარიონს მოეტანა გასაკეთებლად, რადგანაც ტარი ჰქონდა მოტეხილი. უნდა მამა ილარიონს შევნიშნოთ, რომ მან ამ ჯვარის აქეთ-იქით ხურჯინით ზიდვაზე რომ ხელი აიღოს, ურიგო არ იქნება. სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარს ტარი მოსტყდა და გახდა მჭედლების საკეთებელ მასალად...

...მე კარგად ვიცი, რომ ამ ერთი კვირის წინად ბერმა ილარიონმა ეს ჯვარი ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოს ანტონთან (საუცხოვო ნიშანი აქვს ამ ჯვარს: მარ-ჯვენა ტოტის ბოლო გახვრეტილი აქვს და ზედ 6 გოჯის სიგრძე მათხახი ჰკიდია). მე ასე ვფიქრობ, რომ ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა ჰსურს, მიბრძანდეს და ადგილობრივ ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდანაც მოუვიდეს რუსის ეპისკოპოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღე და თვალით გვიჩვენეო. მაშ იქაც უნდა გააქანოს? არა, მე როგორც შვილი იმ თემისა, რომელსაც ჯვარი ეკუთვნის და, მაშესადამე, სრული უფლების მქონებელი, მოვითხოვ, რომ ბერმა ილარიონმა ლაშარის ჯვარი თავის ადგილას მიიტანოს, დაასვენოს და აქეთ-იქით საჩვენებლად არ ატაროს, რადგან ამისთანა ნივთის მატარებელს ხიფათი თან დასდევს...“

*

როგორც არქეოლოგი პრ. უვაროვა გვამცნობს: –

1896 წელს – მას ლაშარის ჯვარის ხევისბერმა, ქერჩო გოდერძაულმა უჩვენა – უკანაფშავის თემის ეკლესიდან (ანუ, წყაროსთაველის წმინდა გიორგიდან) წამოლებული, ვერცხლის სამი ჯვარი, რომელთაგან, ორი – გოდერძაულის ინფორმაციით, ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა, მესამე კი – ზომით უფრო მცირე (ვითომ !), თამარ მეფის შენირული იყო – მისი სახელობის (თამარ-ლელის) ხატისათვის.

საშუალო სიდიდის ხატი, ხევისბერის ცნობით, ზურაბ არაგვის ერისთავის დამტვრეული იყო (მარჯვენა მკლავი აკლდა) – ანუ, ლოგიკის თანახმად, ქერჩო გოდერძაულს – ეს საშუალო ზომის ხატი მიაჩნდა ლაშასეულად.

პრ. უვაროვას თანახმად, დიდ ჯვრებს ქართული წარწერები ჰქონდა. პატარა (ვითომ თამარისეული) – მთლიანად ოქროთი იყო დაფერილი; საშუალო ზომის (ანუ, გოდრეძაულის მიხედვით, ლაშასი) – ნაწილობრივ.

რუსმა მკვლევარმა სამივე ხატი აღწერა, მაგრამ ქართული წარწერები ვერ ამოიკითხა. შესაბამისად, მათი კუთვნილების დადგენა ვერ შეძლო. ხევისბერის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი, ეჭვქვეშ დააყენა, რადგან ქერჩოს – თამარისეულად მიჩნეულ ხატზე გამოსახული ღვთისმშობელი – თამარ მეფედ მიაჩნდა.

პრ. უვაროვას აღწერილი (ზომით ყველაზე მოზრდილი) ჯავრი, რომელიც, ქერჩო გოდერძაულის მიხედვით, ადრე, ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა – რიგი ნიშნების მიხედვით, თანხვდება – ვ. ბარდაველიძის მიერ, XX ს-ის II ნახავარში, გიორგი წყაროსთაულის სათემო ხატში აღმოჩენილ და მის მიერ აღწერილ ლაბარუმს, რომელიც, წარწერის თანახმად, უკანაფშავის სათემო ხატს – წყაროსთაულის წმ. გიორგის ეკუთვნის.

თანხვდება თუ არა, პრ. უვაროვას აღწერილი საშუალო ზომის ხატი (რომელიც,

ქერჩო გოდერძაულის მიხედვით, ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ იყო ლაშარის ჯვარში დამტვრეული და მარჯვენა მკლავი აკლდა) – იმ ჯვარს, რომელსაც შუაფხოს მრევლის მოძღვარმა, ფარნაოზ ზაბახიძემ, წყაროსთავის მონასტრის სიახლოვეს მი-აკვლია (და ვაჟა-ფშაველამ აღწერა) – ძნელი სათქმელია.

პრ. უვაროვა, საშუალო სიდიდის ჯვარზე, ქართული წარწერის არსებობას ადასტურებს. ფარნაოზ ზაბახიძის აღმოჩენილ ხატზე წარწერის შესახებ კი – ვაჟა-ფშაველა არაფერს გვამცნობს.

წარმოუდგენელია, ჩარგლელ გენიოსს ლაბარუმზე პატარა მათრახის საკიდისთვის მიაქცია ყურადღება და ქართული წარწერა არ შეამჩნია.

სავარაუდოდ, სხვადასხვა განძზეა საუბარი, მაგრამ ამის ზუსტი დადგენა, ჯერ-ჯერობით, შეუძლებელია.

ფ. ზაბახიძის მიერ მიკვლეული ჯვრების როგორც აღწერილობა, ისე სიგელი, რომლის მეშვეობითაც ისინი მოიძებნა – დაკარგულია...

*

გაპარტახებულ ლაშარის ჯვრში, XX ს-ის დასასრულს, არავითარი განძი აღარ იყო.

მის მოვლა-პატრონობაზე აღარავინ ზრუნავდა.

დღეობას უდროშოდ და უხატოდ ატარებდნენ.

ბოლოს, სალოცავმა ისევ იმძლავრა – საყმოს ძალა მოაკრებინა და ხალხმა, მისი ამქვეყნიური საბრძანისი აღადგინა.

ხვთისო არჩემაშვილის წამოწყებული საქმე – ირაკლი გოგოლაურის თავკაცობით დასრულდა.

1999 წლის 19 ივლისს, ლაშარის ჯვრიდან მთელ საქართველოს ისევ მისწვდა – ლირსი მამების ლოცვის მადლი.

თამარის ხატი

თამარის ხატის საბრძანისი ლაშარის გორის მოპირდაპირე – არაგვს გალმა მდებარე მთაა.

იმ ადგილს „დელეს“ („გადასასვლელს“) უწოდებენ.

დელე ტყიანია.

ხატამდე, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს – 7 კმ-ია.

აღმოსავლეთით მას წანადის ხევი ჩამოუდის.

„ძველს დროში“ – დელის გორზე, გაბიდაურების თემს უცხოვრია.

„სალოცავმა რო თავი იჩინა“, ისინი იძულებით გაასახლეს – სოფ. ხოშარაში.

„ხატის გაჩენა“ – გაბიდაურთ დედაკაცს, სანათას, უკავშირებდა. მას დაუწყია იქ „სანთლის დანთება და თამარის ხევისბერულად დიდება;“ მანვე მოითხოვა ხატისთვის ადგილის დათმობა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება – „ღვთის რისხვის გარეშე“ ვერ მოხერხდა...

„ურწმუნო თომებმა“ ღმერთის ნიშანი მოითხოვეს და, როცა დელეში მცხოვრები გაბიდოურები, „ღამე, კალოს ლენავდნენ – ხარებს რქებზე ცეცხლი შენიშნეს.“

ამის შემდგომ, მკითხავმა უკვე დაბეჯითებით ამცნო ხალხს – თამარ მეფის ხატის გაჩენა.

განსხვავებული ვერსიის თანახმად – ღელის გორზე, სალოცავი მას შემდეგ გაჩინდა, რაც თამარმა მას საკუთარი ხატი შესწირა.

იმასაც ამბობენ – თამარის საფლავიც იქ არისო.

იმ ადგილს თამარის კუპოს ეძახდნენ.

საყმოს ღრმა რწმენით, თამარის, ანუ, „აქიმ-დედუფლის“ ხატი – სწორი მფარველი და მკურნალია; „ლამ-ლამობით, ყველას როცა სძინავს, ის სწორი მოდის და უხილავად წამლობს.“

სალოცავის ხეების ჩრდილში გამომდინარე ანკარა წყაროსაც – სამკურნალო თვისებებს მიაწერენ.

*

ხატის საბრძანისი მაღალი გალავნით იყო შემოზღუდული. მის შიგნით, ყორით ნაგები და „სიპის ქვით დახურული“, ორი – ძველი და ახალი (1910 წელს აგებული) ეკლესია; იქვეა ორი საზარე, საბერო, სადასტურე, სალუდე, სასანთლე – ილარიონ ბერის (გვიანდელი, ნახევრად ქალაქური ტიპის) საცხოვრებელი სახლი და სხვა – გაურკვეველი ნაგებობების ნაშთები.

ახალი ეკლესიის საზარე – სწორკუთხა ფორმის მაღალ კვარცხლბეკზე დგას. მრგვალ სვეტებზე მოწყობილ მის ოთხფერდა სახურავს – კონუსის მოყვანილობის სპილენძის გუმბათი ადგას – თავზე ბუშტითა და ჯავრით დამშვენებული (ვ. ბარდავ-ელიძე).

სამრეკლოს შედარებით მოზრდილ ზარზე – ასეთი წარწერაა:

„ჩყმე (ანუ, 1845) წელსა შამოგნირეთ ბატონო თამარ ნეფეო ჩვენ თერთმეტმა თემა ფშაველმა ამ ზარში შვიდი თუმანი ჩვენ მივეცით ხუთი თუმანი საკუთრივ აფ-შინა ქავთარამ მივეცი ჩემდა და ჩემის სადლეძლოთ. ხევისბერმა ელისობას – ჩოლ-აგაურ ბეწინა ბერი“.

პატარა ზარზე ასეთი წარწერა იკითხება:

„შემოგნირეთ თამარ მეფეს ხუთმეტი მანეთის ზარი ზურაბ ქეშიკაშვილმა მისმა ძმამა საღირ-მა თავისა საბედნიეროდა და საწყალობლოდა ამაზე ხელს ვაწერ გელაძე ლვდელი მუქუს ღვთისშობლის ეკლესიის აღმშენებელი 1871 წელსა თიბათვის კთ“.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს ძევლი ეკლესია საყურადღებო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია. „ქრისტიანული ეკლესიისათვის მახასიათებელ კონსტრუქციულ ელემენტებთან ერთად, იგი ითავსებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უაღრესად ტრადიციულ საკულტო-სამეურნეო და წმინდა საკულტო ნაგებობათა – ბელლებისა და ე.წ. კოშკების ისეთ ორიგინალურ ელემენტს, როგორიცაა მრავალიარუსიან-სანაწვეთიანი ორფერდა გადახურვა. ასეთივე კონსტრუქციის ეკლესია დამოწმებული აქვს რადეს, ხევსურეთის სოფელ ბლობი. ამასთანავე, იქაც – ეს ქრისტიანული ძეგლი მოქცეულია ჯვარ-ხატის ნაგებობათა კომპლექსში, ე.ი. ორივე შემთხვევაში ეკლესია უშუალო კავშირსა და სიახლოვეშია წარმართულ საკულტო ძეგლებთან“.

„თამარობა“ – ლაშარობის მეორე დღეს იმართება. „ღელედ წოდებული ალაგი“ და მთლად ის გორა, სადაც თამარის სალოცავია, თავისი მდებარეობით, წყაროებითა და

მცენარით – მშვენიერს სურათს წარმოადგენს... ლაშარის გორისგან განსხვავებით, რომელიც – მწირ, უწყლო, უმცენარეო და ხმელს ალაგს წარმოადგენს.“ აღნიშნულის გამო, უმეტესი ნაწილი ლაშარის მლოცველებისა, იმავე საღამოზედ მიდის თამარ მეფის სალოცავთან ლამის სათევად (დ. ხიზანაშვილი).

*

XX ს-ის ბოლოს, ფშაველმა კაი ყმამ, გურამ გუშარაშვილმა – თუნუქის სახურავი გადახურა თამარლელის ახალ ეკლესიას.

თამარის საფლავი

როგორც მემატიანე, ისე თანამედროვე ისტორიკოსები – თამარის საფლავის არსებობას გელათში ვარაუდობენ.

სხვაგვარად ფიქრობენ მთაში.

იქ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით – ეს უწმინდესი და დღემდე მიუკვლეველი ადგილი – ფშავშია, თამარის სახელობის ხატის ტერიტორიაზე – „თამარლელეში.“

ამ მოსაზრებას საგულისხმოს ხდის რამდენიმე ისტორიული დოკუმენტიც, კერძოდ – მეფე თეიმურაზის წყალობის წიგნი და ფშაველი დეკანოზებისადმი მიმართული ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები.

ორი ამონარიდი აღნიშნული საბუთებიდან (წყაროს და თარიღის მითითების გარეშე) – ციტირებულია პ. სხვიტორელის სტატიაში (გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წელი, №257) – სადაც, დეკანოზ ხახასადმი მიმართულ თეიმურაზისულ დოკუმენტში, ასეთი ფრაზაა: – „ჩვენის მოძმის საფლავის დეკანოზო ხახავ, მაგ სასოებას თამარის საფლავს ვნირავ ვენახს ადარნაზესულს...“

გამიხარდი მისრიაშვილისადმი მიმართულ ალექსანდრე ბატონიშვილის წერილში – დაპირებაა: – „თამარის საფლავის დეკანოზო გამიხარდი... თუ ღმერთმა მამაჩვენის ტახტზე დაგვსვა, სამაგიერო წყალობას მიიღებთ...“

მესამე დოკუმენტში, რომელიც ნ. მისრიაშვილმა 2014 წელს გამოაქვეყნა – ალ. ბატონიშვილის ასეთი ფრაზაა: – „ძმური სიყვარულით მოგიკითხავთ, თამარ დედოფლის საფლავის დეკანოზო, გამიხარდი მისრიაშვილო...“ („მისრეთიდან მისრიანთკარამდე“, 2014 წ.).

გადმოცემის თანახმად, მისრიანთ წინაპრები „თამარ მეფეს შეჰპარებიან და დღესაც, მისის ნების დართვითა და მფარველობით სახლობენ – ღელის გორზედ.“ დეკანოზობის გარდა, ისინი – თამარის საფლავის მცველნი იყვნენ და „თითო მათი კაცი მეფის ცხვარსა ჰყავდა მწყემსად მიჩემებული“.

თამარის ცხვარი

ვაჟა-ფშაველა ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

„ძველისძველადანვე შეურაცხიათ თამარი ფშავლებს წმინდანად, „ხატად“ და დაუდვიათ მის სადიდებლად დღეები, 2-3 ივლისი, ე.ი. ლაშარობის მეორე დღიდან; ხოლო მის სახსენებლად, სადიდებლად ჰყავთ ფარა ცხვრისა, რომელსაც „თამარის

ცხვარი“ ენოდება და ამ სახელით ზამთრობით იგი იკვებება შირაქში, ხოლო ზაფხულობით – ფშავის მთებში. მაჩვენეთ სადმე მსგავსი მაგალითი საქართველოს სხვა კუთხეში. ეს საყურადღებო ამბავია ჩვენი ისტორიკოსთათვის... ერთს საზოგადოებაში როგორლაც სიტყვამ მოიტანა და ვახსენე „თამარის ცხვარი“. ყველამ ყურები ცქვიტა და მომაძახეს: რაო? თამარის ცხვარიო? სად არის, რას ამბობს ეს კაცი?! შეკაი კაცო, სადა ხარ აქამდის, ერთხელ როგორ არაფერი დასწერე ამ საგანზე?“ მეთუ დღესნამდის არაფერი ვსთქვი და არაფერი დავსწერე და არ აღვნიშნე, ეს მართლაც და საყურადღებო მოვლენა, მიზეზი ისაა, ბატონებო, რომ არ ვიცოდი თუ ეს ამბავი არ იქნებოდა საზოგადოების ყურამდე მისული. რა მაფიქრებინებდა იმას, რაც მთელმა მთის ხალხმა, მდაბიო ერმა, მთელმა კახეთმა იცის, ის ჩვენს ინტელიგენციას არ ეცოდინებოდა...“

„თამარის ცხვარს მოსავლელად ჰყავს მიჩნეული ფშაველი ერთი კაცი, რომელიც ამორჩეულია ხატისაგანვე მკითხავ-ქადაგის პირით. ეს კაცი განაგებს ცხვრის საქმეს, მთაბარობის მოწესრიგებას, იმაზეა მინდობილი მწყემსების დაჭერა. შემოსავალს ცხვრისას იგი თავის ნებაზე ხმარობს. რაც ცხვარზედვე იხარჯება, ხომ იხარჯება, რაც არა და იგი დღეობის მოწყობას ანდომებს; მაგ. იმანვე ღვინო, რამდენსაც კი შეძლებს, უნდა იყიდოს და მოიტანოს დღეობისათვის; აგრეთვე კისრულობს თამარის ზვრის გაკეთებას სოფელ ახმეტას, კახეთში...“

„საკუთარი ზვრები აქვთ კახეთში ქართველ მეფებისაგან შეწირული არა მარტო თამარ მეფის ხატს, არამედ სხვებსაც, როგორც მაგ. ლაშართ ჯვარს, მთავარ ანგელოზს (ცაბაურთობა), ჩარგლის ღვთისმშობელს. მოსავალი ამ ზვრებისა იხარჯება დღეობის დროს, ზოგი, თუ მოქარბებულია, ის იყიდება და ჰემარდება ზვრების შემუშავებას. ბევრჯელ გამოტყვერება ისეთი წელი, ხევისბერებმა არამც თუ მოიტანონ დღეობის დროს „კულუხი“, ან გაყიდონ მოქარბებული და ამ ფულით ვენახი გააკეთონ, არამედ მიჰმართონ ხალხს შემწეობისათვის და თითო-ოროლა შაური მოჰკრიფონ და ზვრები იმათი შეიმუშავონ. თამარ მეფე ერთადერთი ხატია ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც ჰყავს მოლოზნები, „ხატის ქალებად“ წოდებულნი...“ (ვაჟა-ფშაველა).

*

როგორც ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი, 1851-1906 წ.წ.) გვამცნობს: –

„თამარ-მეფის ცხვრის ფარა ამჟამად ათას ცხვარს აღემატება. თუ ვინცობაა ცხვარი დაზარალდა, ყველა თემი ვალდებულია შეავსოს ფარა; ცხვარი იკვლის თამარის დღეობას, ფარა ცხვრისა თამარის საკუთრებაა და, რასაკვირველია, ხალხი არასოდეს არ იყაბულებს, რომ „აქიმ-დედოფალს“, რომლის მადლი საქონელსაც იფარავს, თავისი საკუთარი ცხვარი ცოტა ჰყავდეს. პირველადვე ცხვრის მოკრება თამარის სასარგებლოდ მკითხავის საქმე ყოფილა; მეცხვარეების დაყენება და ამორჩევაც მკითხავისგან მომხდარა. ეხლაც მკითხავი, ეს ხატის მონა და მისი გულის-პასუხის მაღიარებელი, ირჩევს სახატო მეცხვარეებს. მაგრამ რაკი მკითხავი ერთხელ ამოირჩევს მეცხვარეს, იმის გამოცვლა და გადაყენება არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ თამარის მეცხვარეც ხატის კაცია და ხატის კაცის თანამდებობიდან გადაყენება არავის შეუძლიან, ჩვეულების წინააღმდეგია. სახატო მეცხვარეობა ერთსა და იმავე გვარეულობაში ტრიალებს. ეხლა ხატის მეცხვარეები ორი გვარიდან არიან – მისრიაშვილებისა და ბოძაშვილების გვარიდგან. თამარის ცხვარს ცალკე, საკუთარი საძოვარი მთა

აქვს, რომელსაც ასთაჯურის მთას ეძახიან. ეს მთა მისრიაშვილებს ეკუთვნის. ცხ-ვრის მოვლა და მოშენება მეცხვარეების საკუთარი საქმეა და ანგარიშს ისინი არავის აძლევენ. მეტი არ იქნება ისიც შევნიშნოთ, რომ მისრიანთ და გაბიდაურიანთ თემი (ბოძაშვილები გაბიდაურიანთ თემისანი არიან) ღელის ხატისა და ხატი-ხევის, ე.ი. თამარ მეფის ხელქვეითია. ეს ორი თემი, თუმცა-კი რიცხვით მცირე, ემორჩილება დიდებულს მეფეს, რომელიც თავის მფარველდ და პატრონად მიაჩნია.“

ფშაველთა სათემო და სასოფლო სალოცავები

საერთო საფშაველო სალოცავების გარდა, ფშავის ყველა თემს საკუთარი ხატიც აქვს: – ქისტაურები იახსარის ყმებად ითვლებიან; გოგოლაურთა ხატი – ქმოდის წმინდა გიორგია; უძილაურთასი – კოპალა (ციხეგორობა); ცაბაურთ-გოგოჭურების – მთავარანგელოზი; უკანაფშავლები – წყაროსთავის წმინდა გიორგის ლოცულობენ; გოდერძაულთ თემი (ახადელები) – პირქუშს; წონკურაულთა (მუქოლების) სალო-ცავი – მოხარნადე ღვთისმშობელია; წითელაურთ თემის – კოტიას წმინდა გიორგი; მათურებისა (ზურაბაულთა) – მთავარანგელოზი; ჭიჩოლების – პირცეცხლი და მთავარანგელიზი.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ფშაველთა ნაწილი თაყვანს სცემდა აგრეთვე: – პირიმზე ფუძის ანგელოზს, ლომისის წმინდა გიორგის და ხახმატის ჯვარს.

ზოგიერთ სათემო ხატში სხვა სალოცავის ნიშიცაა ჩადგმული – უფრო ხშირად კვირიასი (კვირაცხოვლობის).

დ. ხიზანაშვილის ცნობით: – „ყველა სოფელს თავისი საკუთარი სალოცავი აქვს, რომელიც იწოდება ადგილის დედად. ზოგიერთ სოფელს სხვა წვრილმანი სალო-ცავებიცა აქვსთ, ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ, ნიშები, მაგრამ ადგილის დედას მათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფშავლის აზრით, იგი სოფლის მახ-ლობელი და მფარველი ანგელოზი უფროა, ვიდრე სხვა სალოცავები. იგი ითარავს სოფლის მცხოვრებთ ყოველგვარის უბედურებისა და სენისგან, საქონელს ჭირისა და თურქულისაგან, ბუნების მავნე მოვლენათაგან...“

„...ადგილის დედად მიაჩნიათ და ამ სახელით ლოცულობენ ფშავლები ღვთისმშო-ბელს...“

ადგილის დედის დღეობას, ანუ „ჯვარობას“ ისინი დღესასწაულობენ – ამაღ-ლების, მარიამობის და აღდგომის შემდეგ უქმე დღეებში...“

ფშავის ხევიდან წასულ ფშაველს, უფრო ხშირად, სოფლის მფარველი ანგელოზი – „ადგილის დედა“ წაჲყოლია. საერთო და სათემო სალოცავები კი, ფშავის ხევში ადგილუცვლელად დარჩენილან, რის გამოც ფშავის ყველა თემის წევრი მოვალეა, ფშავის ხევში სალოცავად იაროს... მასთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არ შესწყვი-ტოს“ (დ. ხიზანაშვილი, ივერია, 1889, № 177).

*

ფშაველ კაი ყმათა ქველმოქმედებით, XX ს-ის ბოლოს – კელავ მწყობრში ჩადგა: მაღაროსკარის, ჩარგლის, შუაფხოს, მუქუს და თამარ-ლელის ეკლესიები.

ფშავის ისტორიული ეპიზოდები

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, ფხოვის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები, თითქმის მთლიანად წყდება.

XV ს-დან ფშავ-ხევსურეთი – ცალ-ცალკე ტომად მოიხსენიება.

ისტორიული მასალა საკმაოდ მნირია.

მხოლოდ მოკლე ცნობებია შემონახული.

ფშავის ტერიტორია ძველად სახასო საკუთრება ყოფილა, მაგრამ სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში, მის მიტაცებას ადგილობრივი ფეოდალები ცდილობდნენ. ცდას არ აკლებდნენ, მასზე ბატონობის დამყარებას.

ფშავლები – ვერც ცენტრალურ ხელისუფლებას ეგუებოდნენ და ვერც ფეოდალების ძალადობას. იძულებით არჩევანს – მეფესთან კავშირზე აკეთებდნენ.

*

თემურ-ლენგის განდევნის შემდეგ, ფშავი ჯერ კვეტერის საერისთაოში შედიოდა, შემდეგ ერწო-თიანეთის სამოურავოში. საეკლესიო მმართველობის მხრივ კი, ხარჭა-შოს საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა (ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 137).

მას შემდეგ, რაც საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და კახეთის მეფედ გიორგი I დაჯდა (1466-1476 წ.წ.) – ფშავი, ხევსურეთთან და თუშეთთან ერთად – „ისევ განუდგა სამეფო კარს“.

გიორგი I-მა კვლავ „დაიპყრა სრულიად კახეთი. მოსპონ ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავი დიდთა და მცირეთა ადგილთა...“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 158).

კახთა მეფე ალექსანდრე I-ის დროს (1476-1511 წ.წ.) ფშავი ისევ კახეთის ფარგლებში მოიხსენიება.

ამ პერიოდში გაუქმდა კვეტერის საერისთაო და ფშავ-ხევსურეთი – ერწო-თიანეთის მოურავს დაექვემდებარა; ეკლესიურად კი – ხარჭიშოს საეპისკოპოსოში დარჩა.

ავგიორგის მეფობის ბოლო პერიოდში, ფშავ-ხევსურეთი – კახეთის სამეფოს ისევ განუდგა, მაგრამ – მას შემდეგ, რაც მისმა მემკვიდრემ, ლევანმა (1520-1574 წ.წ.), სამეფო ხელისუფლება განიმტკიცა, კახეთის მთაც მორჩილებაში მოიყვანა (ძალის გამოყენების გარეშე). მთის მოსახლეობა ეკონომიკური ზემოქმედებით დაიმორჩილა; გაითვალისწინა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ბართან კავშირის სასიცოცხლო აუცილებლობა, ლაშარის ჯვარს „ზინათი მიართვა და მთამაც – ლაშქრისა და ბეგარის მიცემა აღუთქვა.“

XVII ს-ის დასაწყისში, შაპ აბას პირველმა: – „ქვეყანასთან ერთად სამეფო ტახტიც გაანადგურა, მიწასთან გაასწორა; მეფობა ცარიელ სახელად დარჩა და აჩრდილი-ლა იყო; ერისთაობა განდიდდა, თავს გავიდა, არავის არაფრად აგდებდა... გალა-

ღებულ ფეოდალებს ფეხ-ქვეშ გაჰქონდათ და გამოჰქონდათ მრავალტანჯული საქა-რთველო... (ნ. სიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

მემატიანეს ცნობით: –

„ქართველობის ამოგდებაზე მეოცნებე შაპმა,“ ქართლ-კახეთის მოოხრების შემდეგ, ლაშარის განძის ხელში ჩაგდება განიზრახა და მის დასარბევად ჯარი გაგზავნა... ფშავ-ხევსურნი – „ნაწერთაში“ (არაგვის ვიწრო „გასავალში“) დახვდნენ და იმდენი ყიზილბაში დახოცეს – ორი კვირის განმავლობაში, „არაგვის წყალი არ დაილეოდა.“

*

1614 წლის გაზაფხულზე, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე (ჟალეთთან), სერიო-ზული შეტაკება მოხდა შაპ-აბასის ურდოებსა და ქართველებს შორის. გადმოცემის თანახმად, უამრავი აბორიგენი ტყვე წარიტაცა ირანის შაპმა.

ადგილობრივ მკვიდრთა „დალევაში“ „დიდი წვლილი შეიტანა“ ლეკიანობამაც.

დევენაანთხევის ნასოფლარად ქცევას, მათ უკავშირებენ.

ამ ქარტეხილებს გადარჩენილი აბორიგენი მოსახლეობის მცირე ნაწილი, დროთა განმავლობაში, კახეთის ბარში გადასახლდა.

XVII-XIX საუკუნეებში მათი ადგილი ქართველმა მთიელებმა დაიკავეს.

შემდგომში, „თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, ისრუტავდა ერწო-თიანეთი საქართველოს მთის (ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის...) ნამატ მოსახლეობას.“

*

თეიმურაზ I (1589-1663 წ.წ.) იძულებული გახდა – არაგვის ერისთავების მიმართ ლიბერალური პოლიტიკა ენარმოებინა, დაუმოყვრდა ზურაბს და საერისთაო – ფაქტობრივად, მის მამულად (სათავადოდ) აქცია.

საქართველოს მეორე ხმალი არაერთგზის მიუხდა მთიულეთს, ხევს, ერწო-თიანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს – „დასაპყრობად და დასაყმევებლად.“ ბევრი სისხლი დაღვარა და ბევრიც მას ადინა თავისუფლების მოტრფიალე მთამ – რომელმაც „ცოტა ხნობით მაინც სწია მონობის უღელი, ცოტად მაინც იგემა ყმობის გემო.“

„წყევითა და კრულვით იგონებს მთის ხალხი იმ შავსა და ბნელს დროს...“

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ერისთავმა, პირველად, მთიულეთ-ხევისკენ გაილაშქრა. ძლიერი ბრძოლებით დაიპყრო იგი. მერე, როშკის გადასასვლელით, ხევსურეთში გადავიდა – დამარცხდა და, ცოტა ხნის შემდგომ – ფშავის მხრიდან სცადა ფხოვში შეღწევა.

ძლიერი შეტაკება მოხდა „ორწყალთან“ – ორი არაგვის შესაყართან.

ფშავ-ხევსურთა საერთო ძალისხმევამ „ცხელი დღე აყენა“ მრისხანე ფეოდალს – უკუაქციეს და სამარცხვინოდ განდევნეს: – „თვალივის ყელში რო მიხვედ, იქ მოგაგნდა ცხენიო“ – აბითურებს მას ხალხური მთქმელი.

შურისძიების ჟინით შეპყრობილი ზურაბი, ბოლოს, მათურის მხრიდან (ჩრდილო-ეთიდან) დაეცა ფშავს. პირველი შეტაკება იქაც წააგო, რადგან – რიგორც ლეგენდა გვამცნობს, ფშავლებს – ლაშარის ჯვარი და მისი ბერმუხა მფარველობდა, რომელიც „ზეცასთან ოქროს შიბით იყო მიბჯენილი“ და მასში „მოლაშქრეთ წინამძღვარი – ამ კუთხის მფარველი ანგელოზი ბუდობდა.“

„მუხა ისე დიდი მაღალი და გამხვივებული იყო – მზის ამოსვლისას, ხოშარაში ფორის საფეხს ჩრდილავდა“.

ზურაბმა მისი მოქრის განკარგულება გასცა.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გადმოცემის თანახმად: – „ცული არ ეყარებოდა წმინდა ხეს...“

მიზეზის დასადგენად – ერისთავმა ხევისბერები შეკრიბა, აწამა – გამოსატეხად უწმინდური ცხოველების ხორცი აჭამა, მაგრამ საიდუმლო მათ მაინც არ გათქვეს...

ამ თავდადების გამო, წონკოლაურებს – „მუცელგველიანები“ უწოდეს; გოგოჭურებს – „ძალლის მჭამელნი“ – მათმა წინაპარებმა ხატს არ ულალატეს.

ახადელმა შავშალიკამ დაიდო ეს ცოდვა.

მამა-პაპის სალოცავის საიდუმლო მან გაანდო არაგვის ერისთავს და ზურაბმა – ძირს დასცა წმინდა ბერმუხსა; განაფრთხო ფშაველთა მფარველი ანგელოზი. შემუსრა და დაარბია ფშავი, გაძარცვა სალოცავები – სასტიკად გაუსწორდა დამარცხებულებს: –

„საკირეზე ლუდის და არყის სახდელი ქვაბები დადგა – „ხევსურებ ხინკლად ჩაყარა, ფშავლებ შაუნთო შეშადა...“

ამბობენ რომ – ფშავიდან წალებული ოქრო-ვერცხლი მოხმარდა ანანურის ეკლესიის საზრეს და ზარს.

ფშაველები იქ, დღესაც, არ შედიან – დარისხებული აქვთ!

*

ზურაბის სასტიკი ანმგარიშსწორებით შეძრული ფშავის მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხიზნა, ნაწილი ერისთავმა დაქსაქსა – ბევრი გაყიდა კიდეც.

მისი ვერაგობით შეურაცხყოფილმა ხალხმა, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და სასტიკი ბრძოლების მიუხედავად, ზურაბმა ფშავ-ხევსურეთის საბოლოოდ დამორჩილება ვერ შეძლო.

„შავ შალიკა ფშავიდან მოკვეთეს და სამუდამოდ დასწყევლეს.“

„ცოდვების მონანიების მიზნით“, ზურაბ არაგვის ერისთავმა, ბოლოს, ფშავლების შემორიგება სცადა და – „ლაშარის ჯვარს ზარი შესწირა...“

ტრაგიკული გამოდგა მისი ბედიც.

სამეფო ტახტზე მეოცნებე სიძეზე თეიმურაზ I-მა გული აიყარა, საფურცლეს ჩაიტყუა და – ფშავის მოურავმა, ელუმ თუღუმიშვილმა, „მარცხენა ძუძუში შეუგდო სატევარი...“

*

თეიმურაზ I-ის რუსული საგარეო პოლიტიკით შეშფოთებულმა მუსლიმანურმა სამყარომ, მალე, დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ.

შაჳ აბას II-მ ააღორძინა მამის უბოროტესი განაზრახი – კახეთიდან კახელების აყრის და მათ ნაცვლად თურქმანების ჩამოსახლების თაობაზე.

ორი წლის განმავლობაში 80000 ელი-თურქმანი დაასახლეს კახეთის ბარში.

„ქვეყანა ზღუდემოხდილ ვენახს დაემსგავსა და მოპყურდნიდნენ მას ყოველი

თანაწარმავალნი გზისანი“.

დიდმა ეროვნულმა საფრთხემ, 1659 წლის ზაფხულში, საყოველთაო აჯანყებას მისცა ბიძგი – ლეგენდარული თუშის, ზეზვა გაფრინდაულის, ხევსური ნადირა ხოშარეულის, გურგენ ჭინჭარაულის, ბერდია გიგაურის, ფუნჩია და გოგოთურ არაბულების, გოგოლაურის, ძმები გულუხიძეების, ალავერდელი ფუნჩიაშვილის, შველაიძის, სალირაშვილისა და სხვათა მონაწილეობით.

ქვეყანა აღსდგა ქრისტეს რჯულის და თავისუფლების დასაცავად: – კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე – ზვავად მოსკდა; „თურქმენთა დასახლებებს მოედვნენ და დედა-წულიანად გაულიტეს ყველა, ვისაც წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური სალოცავი მიწისა და წყლის შებილ-წვაში“.

მთიელთა ეს გმირობა შარავანდად გასდევს ვაჟა-ფშაველას გენიალურ „ბახტრიონს...“

*

ფეშანგი ფაშვიბერტაძის პოემის, „შაპნავაზიანის“, მიხედვით, ვახტანგ V-მ (შაპნავაზმა, 1658-1675 წ.წ.), გაჭირვების ჟამს – შიკრიკი აფრინა მთაში, დახმარების თხოვნით: –

„კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ, სიტყუა დავედრა ხადელთა,
მოხევეთა და მთიულთა, იმა ომისა მწადელთა.

ფშავის ხევს დიდად მებრძოლთა, მტერთ ხმლითა დამამხობელთა...“

*

ქართველი ხალხი, რომელიც „თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, სისხლსა დღვრიდა და ბოლოს, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, თვითმყოფადობითი სული ისე დალია, რომ არავისი ვალი და ვახში არ დასდებია“ (ი. ჭავჭავაძე) – ასევე „უვალოდ და უვახშოდ,“ მაგრამ უმეფოდ და უიმედოდ შევიდა XIX საუკუნეში.

უზარმაზარმა სახელმწიფომ, ფეხქვეშ გათელა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი და 1801 წლიდან, მფარველის ნაცვლად, დაუნდობელ აგრესორად მოევლინა დაუძლურებულ საქართველოს, რომელიც თითქმის ყველა დამპყრობლის ხელში ინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ მთავრობას, ენას, კანონმდებლობასა და სარწმუნოებას.

საზეიმოდ გამოცხადებული მანიფესტიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ „საშველად მოსული ერთმორწმუნე მფარველების წინააღმდეგ“, 1802 წლის ივლისში – კახეთის აჯანყება დაიწყო.

რუსეთმა „სასტიკის, ვერაგულის გზით ჩაკლა“ ქართველი ხალხის ეს ჯანყი და არნახული ძალადობის მსხვერპლი შეიქმნა სამეფო ოჯახი.

იმპერატორი – რუსეთში მათ გადასახლებას ლამობდა.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, მეუღლემ, მარიამ დედოფალმა, ფშავლებს და მთიულებს მიმართა; მათი დახმარებით შეეცადა მთაში წასვლას და გადასახლებისგან თავის დაღწევას.

მთიელებმა თავიანთი ვერდიქტი გამოიტანეს:

– საქართველოს დედოფალი „ტყვეობიდან უნდა ვიხსნათ, ჩვენთან წავიყვანოთ, იქ ტახტზე დავაბრძანოთ, დარიალი ხელ-ახლა ჩავკეტოთ და შიგ დაშთენილ რუსთ – მამა-პაპურად გავუსწორდეთო...“

შეთქმულთა გეგმით, 1803 წელს 19 აპრილს, მარიამი – მთაში, ხელახლა უნდა ეკურთხათ საქართველოს დედოფლად.

იოპანს ვილლეს აღნერილი აქვს, თუ „როგორის მოუთმენლობით ელოდნენ ისინი იმ დღეს – როცა ფშავლები რუსებს კლანჭებიდან გამოჰვლეჯდნენ საყვარელ დედოფალს, მის შვილებს და მთაში გაიყვანდნენ, რათა ამ გმირულ დინასტიას, კვლავ სახელოვნად განეგრძო თავისი ისტორია... ხევსურეთი ფიცს სდებდა, რომ მის დედას, საქართველოს დედოფალს – ურყევ ჯებირად შემოერტყმოდა... მამაცი ფშაველი, სახელად გადილა, დედოფლის წასაბრძანებლად თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ ბედის სამწუხარო ირონიით, ზუსტად 1803 წლის 19 აპრილს, განთიადისას, გენერალმა ლაზარევმა – ალყა შემოარტყა დედოფლის სასახლეს და – რუსეთში მისი გამგზავრების მზადყოფნა ამცნო... (თამარ და აკაკი პაპავა, „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, ბუენოს აირესი, 1956 წ.).

*

XIX ს-ის ფშავი, ისევ თემური წყობილებით ცხოვრობდა.

მიწა თემების მიხედვით ჰქონდათ დანაწილებული. მისი ინდივიდუალური საკუთრება არ არსებობდა. სახნავი ფართის სიმცირის გამო, მოსახლეობა, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევდა: – ჰყიდდნენ ცხვარს, მატყლს და შინამრეწველობის ნაწარმს. ივნისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე, მთაში ცხოვრობდნენ; მერე, მათი უმეტესობა, გაზაფხულამდე – ივრის გადაღმა მინდვრებზე გადადიოდა. ცხვარს – ზამთრობით, კახეთის ველებსა და შირაქში აძოვებდნენ – მსხვილფეხა საქონელი ადგილზე ჰყავდათ.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგომ, მათი ცხოვრების წესი მკვეთრად შეიცვალა. ცვლილება განიცადა ტრადიციულმა ყოფამ. სასოფლო და სათემო საკუთრება კარძო საკუთრებამ ჩაანაცვლა. XIX ს-ის II ნახევრიდან ამოძრავდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალი, „რამაც კერძო საკუთრების სისტემა განამტკიცა, დაასწრაფა თემური წყობილების და მიწათმფლობელობის ძველი წესების რღვევა. დამკვიდრდა მიწების ყიდვა-გაყიდვის რუსული სისტემა. შეძლებულმა ოჯახებმა დაინტეს განაყარ-გადასახლებულ მოთემეთა ადგილ-მამულების შესყიდვა. ტრადიციული თემური წყობილების რღვევამ განაპირობა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენცირება. წარმოიშვნენ მდიდრები და ღარიბები, ცხვრიანნი და უცხვრო-უსაქონლონი. მდიდრებმა ბარში გადასახლება დაიწყეს (ს. მაკალათია, ფშავი).

სხვა მთიელებისგან განსხვავებით, აღნიშნულ პერიოდში, ფშავლები – შედარებით შეძლებულად ცხოვრობდნენ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მათი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა. ცხვრის სულადობამ მოიმატა. ზოგიერთ მეცხვარეს 20000-ზე მეტი სული ჰყავდა.

მდიდარ მეცხვარეთა შორის მოიხსენიებენ – მამისიმედ ხარანაულს, ძმებს: – დავით, ივანე (ხუმარა), პავლე ნადირაშვილებს (გუგუდაანებს) და სხვ.

ამბობენ, რომ გუგუდაანთ პავლემ, თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე III-ს, საგანგებოდ არჩეული ასი ჭედილა მიართვა და გოლოვინის პროსპექტზე ცხ-

ვრის ფარა დაუბრკოლებლად გაატარა.

ხარანაულებს 20000 სული ცხვარი ჰყოლიათ, 300-ზე მეტი ცხენი, მრავალი ძროხა და ხარი...

*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, „მარქსისტული იდეებით მოხიბლული ბევრი ქართველი სიხარულით შეეგება ქვეყნის ხელახალ ან-ექსიას და დამპყრობთა მხარეს დადგა. ბოლშევიკური ჭრი სწრაფად მოედო ერის სხეულს. თითქოს ქვესკნელის ბნელი წიაღიდან ამოიზარდნენ უღვთო, ურნმუნო, უეროვნებო, სისხლის მაძიებელი, სასტიკი ადამიანების ლეგიონები. მოწამლეს ახ-ალგაზრდების გული და გონება. ახალი წყობილების მშენებლად წოდებული ახალ-გაზრდებისაგან იქმნებოდა საგანგებო რაზმები, იზრდებოდა მილიციის რიგები. ვინც მათთან არ იყო ყველა მტრად გამოცხადდა და უნდა განადგურებულიყო. სისხლმა ახალი სისხლი მოითხოვა და ისინიც ყოველგვარი ყოყმანის, სინაულის გარეშე სპო-ბდნენ, ვინც სულ მცირე ხნის წინ მათი თანამემამულე, თანასოფლელი, თანამეინახე იყო.“

ფშავ-ხევსურეთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა 1922 წლის აჯანყებამ და პირადად ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. ბევრი ფშაველი ვაჟკაცი შეეწირა – „ამ განწირულის სულისკვეთებას“: – მიხა ხელაშვილი ღალატით მოკლეს. მხოლოდ მისი მეგობრების მცირე ნაწილი გადაურჩა უეჭველ სიკვდილს. უმეტესობა: – კოფა გორე-ლაშვილი, იაკობ მარწყვაშვილი, გიორგი მგელაშვილი, გიორგი ხუცურაული, გიგია ჭინჭარაული, დათვია და გიგია ლიქოკელები, ლევან ხავაზური (ხავაზურაშვილი), ალექსი მისრიაშვილი, ლევან რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას შვილი), ჯანგირ ხირ-ჩლაშვილი, გიორგი დავითაშვილი, კაცა ხავაზური, ივანე აფშინაშვილი, ბენინტურ ლოსეურაშვილი, ივანე მთიბელაშვილი, გიორგი ზურაბაშვილი, ნიკო ხორნაული, ბლუაი მამიაური, გიორგი თურმანაული, გიორგი თანდილაშვილი მიშა ნაცვლიშვილი... – შეტაკებების, ან მიგზავნილი მკვლელის ხელით დახოცეს; ზოგი დააპატიმრეს და ციხეში დახვრიტეს.

ამ ამბებს მოყვა კიდევ უფრო სისხლიანი 1924 წელი, როცა, თითქმის, მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგება. გაანადგურეს პროდასავლურად განწყობილი ქართული ელიტა.

*

1933 წელს, კოლექტივიზაციის უზენაესი „კანონით“ – მდიდარ ფშაველ მეცხვა-რეთა ქონება საკოლმეურნეო საკუთრებად გამოცხადდა. ცნობილი საოპერო მომ-ლერლის, ნიკო ქუმისიაშვილის მამა – გიორგი კარატიელი, რომელიც ერთ-ერთ შე-ძლებულ ცხვრის მესაკუთრედ ითვლებოდა, იძულებული გახდა – თავისი 2500 სული ცხვარი კოლმეურნეობისთვის გადაეცა.

ასეთივე ბედი ენია სხვა ფშაველ მეცხვარეებსაც.

უკანაფშავის თემი

არაგვის სათავეებში იყო განთავსებული.

ჩრდილოეთიდან – ბორბალოს, ბოთანას, ჭიჩოს, მისელურის, ქადაოშანას, უბისთავის, წითელოს და ახუნის მთები ეკვროდა.

მის შემადგენლობაში შედიოდა, სხვადასხვა გვარებით დასახლებული, რამდენიმე სოფელი (ბოთანა, ცოხი, ელიაგზა, ჩალახევი, ჭიდალი, ჩერუხთა, ვაკისოფელი, გოქცი, ქაგარა, მოქელი).

„მენაპირ“ თემს უწოდებდნენ, რადგან უშუალოდ ესაზღვრებოდა ქისტეთ-ჩეჩენეთის ტერიტორიას.

ჩალახევი – „ელიაგზის უბანი უფრო იყო“ (გ. ხორნაული).

ქაგარამ – სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით შეწყვიტა არსებობა: –

დიდთოვლობის დროს, მთელი სოფელი გზის გასაკვლევად გამოვიდა... ყველა – „მთიდან წამოსულმა ზვავმა გაიტაცა და დაახრჩო.“

ბორბალოს ძირში განთავსებული ბოთანა, ძნელად მისადგომი ადგილი იყო; იქიდან ხალხი, ჯერ გოგციში გადასახლდა, მერე ჩერუხთა-ვაკისოფელში.

სოფ. უკანაფშავის სახელწოდებით, ადგილობრივი მკვიდრნი, ადრე, ელიაგზას მოიხსენიებდნენ – ხეობის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე დასახლებას.

გ. თევდორაძე ცნობებს გვაწვდის – ვაკესოფლის, ელიაგზას და ჭიდალის შესახებ (სოფ. უკანაფშავს არ მოიხსენიებს).

ვ. ბარდაველიძის ცნობით, უკანაფშავის თემი, თავის მხრივ იყოფოდა – ელიაგზას, ჭიდალის და ვაკისოფელის თემებად.

უფრო ზუსტად კი, აღნიშნული სამი პატარა ტერიტორიული თემი გაერთიანდა დიდ ტერიტორიულ თემში და მცირე თემებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეინარჩუნეს თემობრიობის ნიშნები (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, 2003 წ. გვ. 63).

ყველა ზემოაღნიშნული დასახლება – XX ს-ის 40-იან წლებში, ერთი საერთო (კრებსითი) სახელწოდების ქვეშ მოაქციეს და სოფ. უკანაფშავი უწოდეს.

1876 წელს – იქ, 24 კომლი სახლობდა;

1926 წელს – 12 კომლი (54 სული);

1934 წლის აღნერით – 11 კომლი (66 სული) დარეგისტრირდა: – კარატიელები, წელაურები, ცოკილაურები, ამირანაშვილები და არჩემაშვილები.

*

თემის ყველა გვარ-სოფელი საერთო სალოცავს – გიორგი წყაროსთაულს (ანუ, წყაროსთავის წმინდა გიორგის) – საყმო იყო.

ერთმანეთში სისხლის აღრევა აკრძალული ჰქონდათ.

ხევისბერობა მოუდიოდა ორ გვარს – ბობლიაშვილებს და სოხურაშვილებს.

*

სალოცავი – ფშავის არაგვის და მდ. კაწალხევის შესართავთან მდებარეობს, მთის ფერდობზე.

მორღვეული გალავნის შიგნით, იფნის ხეებს შორის – რიყის ქვით გარშემოვლებული ხატის ბეღელია განთავსებული; დასავლეთით – თავმორღვეული ციხე დგას; სამხრეთ-დასავლეთით – საზარე, რომლის ზარზეც ასეთი წარწერაა: –

„შემოგწირეთ შენობით სოფელმა წყაროსთავს წმინდა გიორგის მარტის კთ უკა.“

მეორე ზარზე, რომელიც იატაკზე დევს და ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგია გამოსახული – შემდეგი წარწერაა: –

„წყაროსთავს წმინდა გიორგისთვის ქჩინა (1851) წელსა შვიდი თუმნის ზარი შემოგვისწირამს... სიოხიორის შვილიშვილთა ეს ზარი თავის სახლის სამწყალობლოთა და თავის კაცისა ცხვრისა და მეცხვარისა... რომელნიცა არიან ამ ზარში წყალობა მიე“. *

*

ხატის ირგვლივ ტყეა, რომელშიც არყის, ცაცხვის, ცირცელის, წნორის ხეები და თხილია – ალაგ-ალაგ მოიპოვება მუხაც.

მთავარი გალავნის გარეთ, მდინარის პირას, ქვების ხელოვნური წყობა შეიმჩნევა, რომელიც საჯარეების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვ. ბარდაველიძის ცნობით: –

ხატის „ბეღელში შესავალი კარის საპირისპირო კედელთან, მის ძირში, აღმოჩნდა ლაბარუმი, ანუ „ჯვართ-ენის“ მიხედვით, ალვისტანი. იგი ვერცხლისაა, ოქროთი დაფერილი, დაზიანებულია. აღდგენილი სახით წარმოადგენს სამქიმიან ჯვარს, რომელსაც ქვემო ნაწილში აქვს ბუშტი და ტარი. ლაბარუმის ჩინჩიზი ხისაა, რომელზეც გადაკრულია ვერცხლის ფირფიტები – დაჭრელებული სხვადასხვა სახეებით; ერთი ნაწილი შემკობილია ცვარედი ტექნიკით. ლაბარუმის მარცხენა ტოტის კუთხეში გამოყვანილია ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ადამიანის სქემატური გამოსახულება შუბით ხელში, რომელიც გველეშაპს გმირავს. ამავე ტოტის ფირფიტაზე, ზურგის მხრიდან, შემორჩენილია მხედრული წარწერის ფრაგმენტები...“

ზემოაღნიშნული – XX ს-ის II ნახავარში აღმოჩენილი ლაბარუმი, რიგი ნიშნების მიხდვით, თანხვდება, 1896 წელს, პრ. უვაროვას მიერ აღწერილ ერთ-ერთ (ზომით ყველაზე მოზრდილ) ჯავრს, რომელიც – მასზე არსებული წარწერის თანახმად, უკანაფშავის სათემო ხატის, წყაროსთაულის წმ. გიორგის საკუთრება იყო.

ლეგენდის თანახმად, გიორგი წყაროსთაველი ახადელთა თემის საერთო სალოცავის, პირქუშის, ძმობილი იყო. ბოროტი სულები (დევ-კერპნი) მათ, ახადსა და უკანაფშავში – ერთად დახოცეს.

აქედან დაინტო-ო აღნიშნული ორი თემის ტრადიციული მეგობრობით დადგენილი ადათ-წესები: – წყაროსთაველის ხატში დადგმულ „ლაბაზზე, პირველად სამმა ახადელმა უნდა ესროლოს, პირქუშის ხატში – სამმა უკანაფშაველმა.“

უკანაფშავის მეორე სათემო სალოცავი, მარიამ წმინდა – წყარისთაულის მახლობლად – მაღალი მთის წვერზეა განთავსებული.

*

თემის საგვარეულო და სასოფლო სალოცავები – ვაკისოფლის და ელიაგზას სიახლოვეს მდებარეობდნენ.

ამ კუთხის მკვიდრის, ტარიელ ცოკილაურის, ცნობით: –

სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია (9X10 მ. ზომის) ეკლესიის ნანგრევები. მის სამრეკლოში – ახადელი კაცის შემოწირული (თიანეთიდან მოტანილი) – 19 ფუთიანი ზარიაო ჩამოკიდებული.

ცოხი და მეგრელანი

არსებობს ისტორიული ცნობები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – მეგრულ-ჭანური მოსახლეობის პიროვნული და ჯგუფური მიგრაციის შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად – ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების თუ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრების უშიშროების მიზნით (ვახტანგ გორგასალიდან მოყოლებული), ქართველი მეფეები, მთაში – დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ჩასახლებას ცდილობდნენ.

ყოფილა სტიქიური შემთხვევებიც, კერძოდ: –

1614 წლის გაზაფხულზე – შაჰ-აბასის ჯარსა და ქართველებს შორის (ჟალეთთან) მომხდარი ბრძოლის შემდეგ, გიორგი წყაროსთაველის სალოცავში მიუღწევია დაჭრილ მეომარს, რომელსაც – ლამის მთევლებისთვის, ხატის წინ დამხობილს უთქვამს: – მეგრელი კაცი ვარ, გზა ამებნა და, ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ – მოვაღწიე აქამდეო.

დაჭრილი მეომარი, ცოხში, სათემო სალოცავის ზემოთ დაასახლეს და უმამისახლო ფშაველი ქალი შერთეს.

შეეძინათ შვიდი ვაჟი.

მათ შთამომავლებს დაერქვათ მეგრელანი (რომლებიც, დროთა განმავლობაში, ოთხ მამიშვილობად – ცოკილაურებად, ამირანაშვილებად, ჯაბანაშვილებად და მეგრელაშვილებად დაიყვნენ).

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ერთ-ერთ მათგანს – ცხვრის ფარის მოპარვის მცდელობისას, შეუპყრია ქისტი, სახელად ქუჯეგი; ლაშარის ჯვარისათვის შეუწირავს იგი და უთქვამს: – ამ სალოცავმა განსაჯოსო შენი საქციელი.

„ხატმა“, თურმე – ქორა ხარი და, ყოველწელს, თითო ცხვრის შეწირვა „მოითხოვა.“

ქისტებმა ამ პირობით გამოიხსნეს თანამოძმე და დანადებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იხდიდნენ.

ამ ამბის შესახებ ხალხური მელექსეც გვამცნობს: –

„მითხოში ქუჯეგმ იკითხა: ბორბალს ცხვარი სძოვს ვისაო?

– მეგრელთა მეგრელაია, თოფ ბეჭედ გაუდისაო!

ძმასა ჰყითხოდი, ჩოთასა: რა დაწონა აქვს მტრისაო.

მითხოთ მაუდის ტყვეები, ხელნ უკვენ გაუკრნისაო,

ლაშარს მიართვის ბატონსა, სამანზე დაუბისაო...“

ელიაგზა და ბობლიაშვილები

ბორბალოს მთის მისადგომებთან, უკანაფშავის ერთ-ერთი ბოლო სოფელი იყო ელიაგზა (ზ.დ. 1750 მ-ზე).

მის სიახლოვეს რამდენიმე ძველი ნასოფლარის არსებობა დასტურდება.

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს: – ელიაგზის „მკვიდრი გვარი“ ბობლიაშვილები, წინათ, დავითიანები ყოფილან. დღეს ისინი (ანუ, დავითიან-ბობლიანთა ფრატრია) – „ოთხ თაობას შეადგენენ“ (დავითიანი, ბობლიანი, სოხურანი და ხიბლანი).

ამავე სოფელში სახლობდა „ერთი სხვა გვარიც – მამიაური, ჩამომავლობით ხევ-სურნი. მათი განაყოფნი ცხოვრობდნენ სოფ. ჭიდალში“ (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930 წ.).

1873 წლის აღწერით, ელიაგზაში – მამიაურები, სოხურაშვილები, ბობლიაშვილები, ნარიმანიშვილები და დავითაშვილები მკვიდრობდნენ.

1934 წელს – ბობლაშვილების და ჯაველაურების 7 კომლი დარეგისტრირდა (26 სული);

1973 წელს გ. ხორნაულმა მხოლოდ ერთი – ბობლიაშვილების 6 სულიანი ოჯახი აღწერა.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ელიაგზადან წასული ხიბლაშვილები, ხევსურეთში, არაბულთა მიწაზე დასახლდნენ. ახალ საცხოვრისს უწოდეს – „ხიბალე“.

მოგვიანებით, ისინი ახმეტაში გადასახლდნენ და რკინაულებად დაეწერნენ.

მათი წასვილს შემდეგ, ხიბალეში – ხიტალიშვილები (რკინაულების ერთ-ერთი მამიშვილობა) დასახლდა და სოფელს „ხიტალე“ შეარქვა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), ელიაგზაში, მდ. ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე – გვიანდელი შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლი – მამუკა ბობლიაშვილს ორსართულიანი სახლი დგას, რომელიც ფერდობზე ტერასულად არის განლაგებული.

ელიაგზელთა სასოფლო სალოცავი – ადგილისდედა ციხისანგელოზის ხატი – დღეს, ყორის გალავანით შემოვლებული, კვრივად ნაგები – სასანთლე კოშკის სახით არის წარმოდგენილი.

სოფელი მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრეა: –

„ერთ ელიაგზელ მოხუცებულ თუშს, გვარად ბობლიაშვილს, თორმეტი ძე გაუგზავნია ერეკლეს ლაშქარში... და ყველანი ერთ დღეს გამწყდარან“.

ვინმე ჩანთელს (ალბათ, ჭანთელ ქისტის) ამავე სოფელში ქალი მოუკლავს. დასწევიან მას ელიაგზელი ყმანი და აფთარაულს გაუმართავს მასთან – სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება.

მათი ბრძოლის შესახებ სახალხო მთქმელიც გვამცნობს: –

„ვინ მოხველ ელიაგზასა, საკმით ვინ მაჟყალ ქალია?

დილით ვინ გამაიდევნე, დილით უზმონი ყმანია?

ჩანთელ და აფთარაული ორნივ შაიბნეს ხარნია.

ხმლით ჩანთელს აფთარაულმა ზედ მიანაყა ტარია.

ზოვში ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზოვის წყალია.

ზოვს ქვემოთ ამეედინა ჩანთელის თოფის ხმანია:

„თუ მოგხვდა, აფთარაულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარია.
თუ დაგცდა ჩემი ნასროლი, დიდხანს ცოცხალიმც ხარია...“

*

მწერალმა ადამ ბობლიაშვილმა (ალვანელმა), II მსოფლიო ომის დასაწყისში, თავის მეგობართან – მიხეილ იმედაძესთან, ერთად „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტების“ („სამანს“) საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნა, რომელიც მიზნად ისახავდა – საბჭოთა რეჟიმის შეიარაღებული აჯანყების გზით დამხობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

როცა მათი წინამორბედი საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაციის აქტივისტები (პროფ. მ. ზანდუკელის თავკაცობით) დააპატიმრეს, ა. ბობლიაშვილი და მ. იმედაძე თუშეთში გაიხიზნენ – რათა ახალი თანამზრახველები შემოკრიბათ და ჩეჩენეთში მოქმედ ანტისაბჭოთა მეამბოხეებს დაკავშირებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისმა სამსახურმა შეთქმულთა ნაწილი გადმოიბირა, ნაწილი დააპატიმრეს. მეთაურებს (მათ შორის ა. ბობლიაშვილს) თავები მოკვეთეს და დასაშინებლად უჩვენეს – საგანგებოდ თავშეყრილ ხალხს.

*

ბობლიაშვილთა გვარი, დღეს, თბილისში, ახმეტის და გარდაბნის რაიონებში სახლობს. ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 28 ბობლიაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 21, გარდაბანში – 19 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ჩალახევი და ჩეკურიშვილები

ჭიდალსა და ელიაგზას შორის მდებარე სოფ. ჩალახევში – ჩეკურიშვილები, ვაჩეიშვილები, მურლვაშვილები და ბაიდაურები ცხოვრობდნენ.

დღეს, ნოვადან მისული ბუჩუკურის შთამომავალი – ერთადერთი ოჯახი სახლობს.

მკვიდრი გვარების უმეტესობა – ერწო-თიანეთსა და კახეთში გადასახლდა.

ჩეკურიშვილებმა ივრის მარჯვენა მხარეს დააფუძნეს სოფელი ჩეკური (შემდგომში, ჩეკურიანთგორი), რომელიც მრავალ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული.

ამ გვარის წარმომადგენლები არიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

საქართველოს აგროტექნიკური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტომ ჩეკურიშვილი – 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. იყო საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სპორტული ორიენტირების ფედერაციის პრეზიდენტი, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგე, პროფესორი.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რევი ჩეკურიშვილი – წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რენტგენოლოგიურ განყოფილებას.

პოეტი ბელა ჩეკურიშვილი – ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორია;

სერგი ჩეკურიშვილი – ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტი;
ნუცა ჩეკურიშვილი – ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თბილი-
სის პროფესიული სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის სოლისტი.

მათი გვარის ხალხი დღეს – გურჯაანში, თბილისში და ახმეტის რაიონში სახლობს.
ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში 203 ჩეკურიშვილი ცხოვრობს,
გურჯაანში – 410, ახმეტაში – 116 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ჭიდალი და ჯუელაურები

ნასოფლარი – ვაკისოფლის გაღმა მდებარე შევაკებაზეა შემორჩენილი.

1876 წელს – იქ, 12 კომლი სახლობდა;

1934 წელს – მურლვაშვილების, კოჭლაშვილების და წელაურების – 8 კომლი აღ-
წერეს. „სიმრავლით გამოირჩეოდნენ წელაურები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად,
თუშეთიდან არიან მიგრირებულები“ (ს. მაკალათია).

1973 წელს – გ. ხორნაულმა წელაურებისა და ჯაბანიშვილების 6 სული აღწერა.

გ. თევდორაძის ცნობით: –

ვაკისოფელის, ელიაზის, ჭიდალის და ჩალახევის მთელი მოსახლეობა ერთი ხა-
ტის ყმად ითვლება და სისხლის აღრევა აკრძალული აქვთ (ხუთი წელი ფშავ-ხევ-
სურეთში, 1930 წ.).

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

გენიალური ბალადის, „ვეფხვისა და მოყმის“, გმირის პროტოტიპი – ჭიდალელი
მოყმე, აფხაზ ჯუელაურია.

შერკინება „სპეროზიას“ ჭიუხში მომხდარა, სადაც, გადმოცემის თანახმად, ვეფხ-
ვები ბუდობდნენ.

აღნიშნულის დასტურად მოყავთ ხალხური ლექსი: – „ვეფხვსა ჰგავ ბნკალსისხ-
ლიანსა, სპეროზიას კლდისასო...“.

ჯუელაურები კახეთში გადასახლებულან.

მათი მამიშვილობებია: – ლამაზანი, სუტინანი, ბორონი და პაპაინი.

ვაკისოფელი და კარატიელები

ვაკისოფელი (ანუ, უკანაფშავის თემის ადრინდელი ადმინისტრაციული ცენტრი) –
შუაფხოდან 12 კმ-ზე, არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, შედარებით დაბლობში
– „მიწოლილ (შევაკებულ) ფერდობზე“.

მის მიმდებარედ, ე.წ. „ნაღრანტან“, გამოვლენილია ნამოსახლარი, რომელიც ძვ.
წ. III ათასწლეულს განეკუთვნება.

სოფელს გადმოჰყურებს მოხანდრე ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მიმდებარე
დასახლებების საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრს წარმოადგენდა.

მისგან დასავლეთით, საკუთრივ ვაკისოფლის სალოცავებია – ადგილისდედა-
ღვთისმშობლი და კვირაცხოვლის ნიში.

მრავალს მეტყველებენ გ. ხორნაულის მიერ ვაკისოფელში თავმოყრილი ტო-
პონიმები: – ბედეს, გოგცის და ვაჩეთკარის ნასოფლარები; „თორლვათ ნაწისქვილარი“,
„მათურელანთ ნასახლარი“, „სოხურათეული სახნავი მამული“ და სხვ.

როგორც ალ. ოჩიაური გვამცნობს, ვაკისოფელში – წელაურები, კარატიელები, ამირანაშვილები, არჩემაშვილები და ცოკილაურები სახლობდნენ. გოგციში – მხოლოდ წელაურები.

ძირითადი გვარი კარატიელი იყო.

მათ ნასახლერზე მოსულან ჯაბანაშვილები და წელაურები.

ვაკისოფლის „სხვადასხვა მოდგმის გვარების ფრატიაში“ გ. თევდორაძე აერთიანებს: – წელაურებს, კარატიელთ, ჯალაბაურებს და მეგრელანთ.“

„კარატიელი ყველაზე ძველი გვარია, მაგრამ... ცოტანი დარჩნენ. „დანარჩენნი გადასახლებულნი არიან ზემო თიანეთსა და პანკისის ხეობაში... ბოკვერანი უძველესი განაყრნი არიან კარატიელებისა... გვარ-სისხლის კავშირი მათში დღესაც მტკიცედაა დაცული... მეგრელანი სამეგრელოდან არიან გადმოსახლებულნი, ჯალაბაურნი ქისტეთიდან.“

კარატიელებიდან მოდიან: – გოგილანი, თეთრანი, გიტურანი და ბოკვერანი;

წელაურნიდან: – ხახვერანი, იაუანი, მათურელანი და ფილანი;

ჯალაბაურნიდან: – არჩემანი, მურლვანი, კოჭლანი და ცინკორანი (გ. თევდორაძე, „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, 1930 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობებით, ვაკისოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, ადრე – 90 კომლამდე აღწევდა.

1973 წელს – გ. ხორნაულმა მხოლოდ 3 კომლი (ცოკილაურების და წელაურების 12 სული) აღრიცხა.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), ვაკისოფლის ცენტრალურ ნაწილში, არქიტექტურული ღირებულების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას, რომელიც XIX ს-შია აგებული და მ. კარატიელს ეკუთვნოდა.

ამ გვარის წარმომადგენლები, დღეს – თბილისში, თელავის და დედოფლისწყაროს რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თელავში 20 კარატიელი ცხოვრობს, თბილისში – 11, დედოფლისწყაროში – 13 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

წინოთ კარატიელი (ბაიაშვილი-წინოშვილი, რომელიც გომენარში ცხოვრობდა) ვაჟა-ფშაველას თანამედროვე ხალხური მოლექსე იყო.

პოლკოვნიკი რეზო კარატიელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ჯავშანსატანკო მომზადების კათედრის უფროსი მასწავლებელია.

*

ვაკისოფლის ჩერუხთა დასახლებაში, რომელიც სოფლის თავში მდებარეობდა – არჩემაშვილები, აპრილაშვილები, ასათაშვილები და ხოხობაშვილები სახლობდნენ. ამჟამად, წელაურების მხოლოდ ერთი კომლია შემორჩენილი.

ხოხობაშვილების უმეტესობა – თბილისში, ახმეტის და თელავის რაიონებში ცხოვრობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 500 ხოხობაშვილი სახლობს, თბილისში – 79, თელავში – 18 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

თინათინ ხოხობაშვილი – ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორია, მრავალი სა-

მეცნიერო ნაშრომის და გამოგონების ავტორი. საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

თამარ ხოხობაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების კოორდინატორი.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, უკანაფშავის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, დროთა განმავლობაში, ერწო-თიანეთსა და პანკისის ხეობაში გადასახლდა, ნაწილი – მაღაროსკარის თემში შემავალ სოფლებში დასახლდა.

არჩემაშვილების უმეტესობა, დღეს – თბილისში, თიანეთის და თელავის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თიანეთში 78 არჩემაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 49, თელავში – 45 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გიორგი არჩემაშვილი საქართველოს კონსული იყო აშშ-ში.

ილია არჩემაშვილი თიანეთის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს VI მოწვევის პარლამენტის წევრი.

ლვთისავარ არჩემაშვილი – ცნობილი ჟურნალისტი.

გოდერძაულთ (ახადელების) თემი

თემის ფუძე სოფელი, ახადი – ფშავის არაგვის მარცხენა მხარეს, ტყიანი ფერდობის მაღლა მდებარეობს, ლაშარის გორის მოპირდაპირე მხარეს, ზ.დ 1920 მ-ზე; ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური გზატკეცილიდან 14 კმ-ის დაშორებით.

მასზე გადიოდა ივრის სათავეების და პანკისის ხეობისაკენ მიმავალი გზა.

ხშირად არის მოხსენიებული ფშაურ ხალხურ პოეზიასა და გადმოცემებში.

იქ რომ ახვიდე, „მუხლის ღონეც უნდა მოგდევდეს და, რაც მთავარია, უნდა გქონდეს სერიოზული მიზეზი და მიზანი, რის გამოც ეს გარეგან უჩინარი, ტყე და ტყე მიმავალი დაუსრულებელი აღმართი უნდა აიარო“ (ა. არაბული).

ძველად, 100 კომლიანი სოფელი ყოფილა.

ძირითადი გვარი გოდერძაული იყო.

„ისინი არიან ერევნიდან გადმოსახლებული მაჰმადიანების ჩამომავალი და ამ-უამად ცხრა ძმათა თაობად იყოფიან“: – (ზურაბაული, ბათხანი, კულალალანი, ჭრელანი, გოდერძაულები, ძროხილანი, გორილანი, ხელანი და ლომნიანი).

„ყოველ ამათგანს ჰყავს ახლო განაყარნი. ამ ფრატრიაში სხვა გვარის წარმომადგენლებიც ურევიან, მაგრამ ისე არიან ერთმანეთში შერწყმულნი, რომ მათი გამოცალკევება საჭიროდ არ მიგვაჩნია. სოფ. ახადში ცხოვრობს ერთი სხვა გვარიც დავითიანების მოდგმისა, რომელიც ეხლა ბობლიაშვილების გვარს ატარებს. ყველა ესენი ერთი ხატის ყმებად ითვლებიან და, როგორც საერთო წესია ფშავში, სისხლის აღრევა ეკრძალებათ“ (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930 წ.)..

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„გოდერძაულები ძირითადი ირანიდან ყოფილან. იქიდან გამოქცეული თათრის გვარზე დაწერილან. გოდერძი ჰქვივნებლივ იმას. მაშინ აქ ხალხი არავინ ყოფილა, მემრეა

აშენებული ეს ხატები, გოდერძის მემრე.“

დროთა განმავლობაში, გოდერძაულებდან ორმოცამდე ახალი გვარი წარმოსდგა. მათი განაყარები არიან: – ბეროშვილები, ბერიშვილები, ჭორაშვილები, ჭრელოშვილები, კულალალაშვილები, ძროხელაშვილები, ლომნიაშვილები, ჯულაშვილები, გორელაშვილები, ქერჩოშვილები, ყველუჭმელაშვილები; ჩეკურაშვილები, ბურკვაშვილები, ბურკაშვილები, სამუკაშვილები, თილილაურები, გახუაშვილები, პატარაშვილები, სოხურაშვილები, მაშვინიაშვილები, ლაგაზაურები, ლაგაზაშვილები, მესაბლიშვილები და სხვ.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს:

– „თემის ერთ-ერთი დიდი გვარი ხელაშვილია.
– ბურკვაშვილიც „საგოდერძაულოთა ძირითადი გვარია – საკობიანოში (კახეთში) გადავიდნენ.“

– ჭორაშვილების ადრინდელი გვარი შალიკაური ყოფილა.
– ნამდვილი გოდერძაულები იყვნენ ბერიშვილები: – „ზოგი დაიხოცა, ზოგი ახმეტის თავში წავიდა, ინგეთს.“
– „გოდერძაულთა ძირ-გვარიდან არიან გამოსულნი“ – ჭრელაშვილები და კულალალაშვილები.“

„ჭრელო და კულალალა ბიძაშვილები ყოფილან. მათ დაუდიათ სათავე ახალი გვარებისთვის. კულალალას მამა ხევისძერიც ყოფილა.“

– ნამდვილი გოდერძაულები არიან ძროხელაშვილები. ისინი „თიანეთის ახლოს, ჩეკურაანთგორას ცხოვრობენ“. „მაგათი მოგვარები, გორელაშვილები – ქედში არიან და ზოგი, ღარიბაშვილობით იწერება.“
– „მაჩურიშვილები გათავდნენ... ბობლიაშვილები – გომბორს გადასახლდნენ.“

რ. თოფჩიშვილის ცნობით:

– ლომნიაშვილები გოდერძაულთ თემში შედიოდნენ, მაგრამ ძირად გოდერძაულები არ იყვნენ. მათი წინაპარი, ახადში, ამირანაშვილის გვარით მოსულა; თავდაპირველად კი, რაიბულები ყოფილან. XVII-XVIII სს-ში, ეს გვარი ქართლ-კახეთში იყო განსახლებული.

ჯ. ლომაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ჯულაშვილების გვარიც სათავეს ახადიდან იღებს. ისინი „ლაშარის ჯვრის საბუთებში ფიგურირებენ, როგორც მატან-მარილისის მცხოვრებნი – ლაშარის ჯვრის მამულების დაცველნი და ქომაგნი.“

1860 წლის აღნერით, ახადის მცხოვრებთა დიდი წანილი, გოდერძაულის ნაცვლად, ახადელის გვარით არის ჩანერილი. არიან ორივე გვარით მოხსენიებულნიც (გორელაშვილი-ახადელი, ჭრელაშვილი-ახადელი...).

იგივე ითქმის, ივრის ხეობაში გადასულ, ამ თემის სხვა წარმომადგენლებზე: – სოფ. ხილიანაში ფიქსირდება – „ხარებაშვილი-ახადელი“, „ქურციკაშვილი-ახადელი“, „ფოცხვერაშვილი-ახადელი“, „ბერიშვილი-ახადელი“, ხუნჩიშვილი-ახადელი“ და „პატარაშვილი-ახადელი“.

1934 წლის აღნერით, ახადში – 19 კომლი სახლობდა (78 სული): – ბეროშვილები, გოდერძაულები, ბერიშვილები, ბობლიაშვილები, გორელაშვილები, ლომნიაშვილები, ხელაშვილები და ჭარელაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 4 კომლი აღწერა (6 სული) – ხელაშვილებისა და გორელაშვილებისა.

*

ფშავის საგვარეულო კოშკებს შორის გამორჩეული იყო, სოფ. ახადში მდგარი – გოდერძის ციხე.

გოდერძი გოდერძაული – ძლიერი და შეძლებული კაცი ყოფილა.

„მის ციხეს ქისტ-ლეკები და არაგვის ერისთავები მტრობდნენ.“

მშვენიერი ხალხური ლექსი და თქმულებაა შემორჩენილი მის შესახებ: –

ქისტი, სახელად ხოხობი – გოდერძის ციხის გასატეხად და მისი ულამაზესი ასულის (თინას, თუ ხორეშანის) მოსატაცებლად – თავის შვიდ ვაჟუაცს აგზავნის...

„ციხე გასტეხს ქისტებმა.“ „იქით ქალ გამაიყვანეს“;

„მაჰყავთ, მოსტირის გზაზედა...“

ლამის, სამშვიდობოს გასულ მომხდურებს – გზად, მათურელი კაი ყმა, თადია თადიაური შემოყენა: –

„შამახვდა თხისტყავიანი, ამბავი ჰკითხა ჭკვაზედა.“

„შვიდ ქისტმა ერთმა ფშაველმა ხელი გაიკრეს ხმალზედა...“

„შვიდთავ თავ მასჭრა ფშაველმა...“

„ქალი შინ გამააბრუნა, მამას მიჰყვარა კარზედა...“

გადმოცემის თანახმად: – გოდერძის ციხე ლეკებთან და ქისტებთან ბრძოლაში დაიქცა.

დღეს – მხოლოდ მისი ნაშალია შემორჩენილი.

„ლახვჩის გორაზე“ – ახადელები მიუთითებდნენ დიდ საფლავზეც, ბორცვზე, სადაც, გადმოცემის მიხედვით, დასაფლავებულია – „გოდერძის ქალი თინა“ (მეორე ვერსიის მიხედვით – ხორეშანი).

*

ფშავში – „დედაკაცი დაჩაგრული იყო, მაგრამ ზოგზოგის საგვარეულოს ქალებს საპატიო ადგილი სჭერიათ. ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ ლაშარის საბჭეო სკამზე ორი თაობა მჯდარა გოდერძაულების გვარის ქალი; საბჭეო სკამი თავხევის-ბერს ეკუთვნოდა. თავხევისბერობა გოდერძაულების საგვარეულოდან მოდიოდა...“ (ვაჟა-ფშაველა, „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“, თხზ. ტ. IX").

ამბობენ რომ: – გოდერძაულების სათემო ხატი, პირქუში – პირველად, აონგორს დაარსდა – ახადს გადაღმა, პირიქითა მხარეს – „ივრის კუდებში“... „სადაც ახადელი ხალხი მდგარა – 60 კომლი...“

„მერე, ახადს მოსულა ეს ხატი და იქ დამკვიდრებულა“ – ხის ძირში.

მის „მარჯვე – ღვთისმშობლის ხატია (ადგილის დედა).

მათგან ჩრდილოეთით – პატარა სამანია ჩადგმული, რომლის იქით – ქალებს ეკრძალებათ მისვლა.

სათემო სალოცავის შემადგენლობაშია: – „თამარლელის ხატის სადასტურო,“ ორი კალო, სასანთლე, საკვირაო კოშკი, ხატის სამჭედლო (იორზე); „ღვთისმშობლის ხატ-თან საზიარო ბელელი,“ სალუდე და საჯარე; კვრივი, ქადა-პურის შესანირი სიპი, საკვირაო კოშკი, სასანთლე, საკვირაო კოშკი, ხატის სამჭედლო (იორზე); „ღვთისმშობლის ხატ-თან საზიარო ბელელი,“ სალუდე და საჯარე; კვრივი, ქადა-პურის შესანირი სიპი,

დროშათ საბრძანი კოშკი და სხვ.

ახადელთა სამთო სალოცავი ჭეხის ანგელოზია: – „სოფლის თავზე არის ბექი და იმ ბექზე ერთი პატარა კოშკი დგას.“

როგორც უკვე აღვნიშნე: – ორი მეზობელი და მეგობარი თემის, ახადელების და უკანაფშაველების ტრადიციული ადათ-წესებს თანახმად, წყაროსთაველის ხატში დადგმულ „ლაბაზზე პირველად სამმა ახადელმა უნდა ესროლოს; პირქუშის ხატში – სამმა უკანაფშაველმა.“

იმასაც ამბობენ რომ: – ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტის, „ვეფხვისა და მოყმის,“ ბალადის ავტორი – ახადელი ჭორათ ბახაი იყო. მოყმის პროტოტიპი – ჭიდალელი აფხაზ ჯუელაური.

გოდერძაულების მიგრაცია ივრის ხეობის და კახეთის მიმართულებით მოხდა. თავიანთი სოფლები მათ – ერწო-თიანეთში (ჩეკურაანთგორაში), კახეთში (საკობიანოში) და შირაქში დააფუძნეს.

ისინი არაგვის ხეობის ბარში არ წასულან.

ამ მიმართულებით წავიდნენ: – გოგოლაურები (კუდო-ხილიანა, გომენარი, მაღარო, უკვენ მაღარო, ქალილო); გოგოჭურნი (მიგრიაულთა, გუდარახი, ჩარგალი, აფშო); გაბიდაურნი (კუჭეჭა, შარახევი, საშავარდნე); უძილაურები (წიფრანი, კანატია); წოწკოლაურნი (არბაჩხანი, ინო, ბუქალო); ივრის ხეობის მიმართულებით წავიდნენ – მინდოდაურნი (ჭიჩოელნი) და სხვ.

ხელაშვილები

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – გოდერძაულთ თემის ერთ-ერთი დიდი გვარის, ხელაშვილის, „საფუძვლის ჩამყრელი ყოფილა ვინმე ხელა – ერთი მძლავრი კაცი და ის დაწერილა გვარად.“

მერე (დროთა განმავლობაში), ხელაშვილები ახადიდან წასულან – „ზოგი დაიხოცა, ზოგი ქედში ცხოვრობს.“

ქართული პოეზიის საგანძურში შევიდა ტრაგიკული ბედის მქონე ახადელი მოლექსის, მიხა ხელაშვილის – გულის სილრმიდან ამოსული შეძახილი – „ლექსო ამოგთქომოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე – და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე...“

პოეტი-მეამბოხე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა. ქაჯუცა ჩილოყაშვილის შეფიცულთა რაზმს წევრი იყო და, მისსავე დაბადების დღეს, ლალ-ატით მოკლეს.

ჯარჯი ფხოველი ლექს-ანდრეზად გვამცნობს ამ ამბავს: –

„ერთი პოეტი

ჩარგალში მოკლეს 25 წლის...

წინასწარმტვრეტი არ ყოფილა,

მაგრამ იმ ლამეს,

ნაქეიფარმა,

მეგობრებს უთხრა, როგორც სიტყვა სამადლობელი:

ვიცი, დღეს ჩემზე ხელს აღმართავენო...

და დაიძინა,

უდარდელმა,

სამუდამოდ თავისუფალმა...
ყაჩალი ერქვა,
თუმცა ღმერთის რჩეული იყო:
უფლის კარნახით
დიდებული ლექსები შექმნა.“

*

ხელაშვილების გვარს წარმოადგენენ – ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აშშ-ის მეცნიერებათა წაციონალური აკადემიის წევრი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ანზორ ხელაშვილი – თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე, პრორექტორი სამეცნიერო დარგში – საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატია.

თსუ-ს პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი – იოსებ ხელაშვილი.

დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს ცნობილ ექიმთან და მეცნიერთან (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან) – ქალქის ყოფილი IX საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგესთან, აკაკი (კაკო) ხელაშვილთან.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ხელაშვილები, – ძირითადად, თბილისში, გურჯაანის და სილნალის რაიონებში სახლობენ. გურჯაანში 318 ხელაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 507, სილნალში – 192 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

სამუკაშვილები

ისტორიას შემორჩა საოცარი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული – XIX ს-ის ფშაველი მელექსის, ვაჟა-ფშაველას დედის დობილის – „სამუკათ ხვარაზმეს“ (სამუკაშვილის) სახელი.

სვიმონ პეტრეს ძე სამუკაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო.

მსახიობი და ლიტერატორი (მთარგმნელი) ნინო სამუკაშვილი – მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

ცნობილი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე) – მზეო სამუკაშვილი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალისტი, მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი – საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის მხატვრული ტანვარჯიშის ვიცე-პრეზიდენტია.

რევაზ სამუკაშვილი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

ამ გვარის ხალხი, დღეს – თბილისში, ახმეტის და დედოფლისწყაროს რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 49 სამუკაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 77, დედოფლისწყაროში – 14 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

მესაბლიშვილები

გოდერძაულთ თემის ამ თვალსაჩინო გვარის წარმომადგენელი, ბექა მესაბლიშვილი – საქართველოს პარლამენტის პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელობდა; იყო – საქართველოს გენერალური საკონსულოს მრჩეველი სტამბულში; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ანსამბლების გენერალური მდივნის თანაშემწე; დღეს – „საპარტნიორო ფონდის“ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სამსახურის უფროსია.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი), ბაჩუკი მესაბლიშვილი – სტუ-ის ასოცირებული პროფესორი.

ბავშვთა ხელოვნების ცენტრის „გალას“ დამფუძნებელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, დალი მესაბლიშვილი – საგანმანათლებლო აკადემიურ ცენტრს, „პარადიგმას“ ხელმძღვანელობს.

გიორგი მესაბლიშვილი – 20 წლამდელ ძიუდოსტთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორი და ახალგაზრდებს შორის ევროპის თასის ორგზის გამარჯვებული.

აკაკი მესაბლიშვილი – კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი.

ამ გვარის ხალხი – თბილისში, თელავის და თიანეთის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თელავში 138 მესაბლიშვილი ცხოვრობს, თბილისში – 68, თიანეთში – 56 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გორელაშვილები

გვარის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია – საქართველოს დამსახურებული არტისტი, პიანისტი – რომან გორელაშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორის საფორტეპიანო ფაკულტეტის ყოფილი დეკანი და პროფესორი.

ლევან გორელაშვილი – კომპანია „სამართლის გზის“ დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ამ გვარის ხალხი, დღეს – თბილისში, საგარეჯოს და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საგარეჯოში 54 გორელაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 111, ახმეტაში – 41 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

პატარაშვილები

საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირი, ვასილ გიორგის ძე პატარაშვილი, გორის მაზრის სოფ. ფხვენისში დაიბადა. ოქროს მედლებზე დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და კიევის სასულიერო აკადემია. ენეოდა სამეცნიერო საქმიანობას; აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს; წერდა ლექსებს; იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების წევრი.

ფშავიდან წასული პატარაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, ახმეტის და თელავის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 74 პატარაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 68, თელავში – 37 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

წითელაურთ თემი

ლაშარის გორის ჩრდილოეთით მდებარე სამ პატარა სოფელში (ნაკვალესავში, ქინოში და ჭიჩეში) იყო განთავსებული ფშავის ეს თემი.

ფუძე სოფელად მათი კრებსითი სახელი ითვლებოდა – წითელაურთა.

უფრო ადრე, ის მათურის ერთ-ერთი უბანი იყო – ხეობის მარჯვენა მხარეს.

გ. თევდორაძე – წითელაურებს სოფ. მათურის ფრატრიაში მოიხსენიებს.

მათი სამკვიდრო – ფშავის ერთ-ერთი მოზრდილი დასახლება და ერთადერთი სოფელი იყო, სადაც გარედან მოსული გვარები არ სახლობდნენ. მხოლოდ წითელაურებით და მათი შტონაყარი გვარებით იყო დასახლებული.

ცხოვრობდნენ: – გულბათანი იგივე გარანი, ჩოფანი, ბაიდაურნი, მოკვერანი, გამიანი, ჭოლიკანი, ჩიანი, ბაჩანაშვილები...

1750 წელს – ფშავ-ხევსურთა მიერ გრიგოლ ჩოლოყაშვილისადმი გაგზავნილ შერიგების წიგნში, სხვა თავკაცებს შორის, მოხსენიებულია – როსტევან წითელაურიც.

1876 წელს, გ. რადემ – ნაკველესავში 30 კომლი აღწერა;

1934 წელს, წითელაურთაში, 9 კომლი (36 სული) აღრიცხეს: – ჩიაშვილები, ბაიდაურები, გოგიაშვილები, ბუწვაშვილები, მოკვერაშვილები და ჩოფანაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა, ქინოში – გამიაშვილების მხოლოდ ერთი 3 სულიანი ოჯახი აღწერა. „ყველაზე ადრე, იქ, ბაჩანაშვილები მისულან – მერე გამიანები.“ მათი დიდი ნაწილი კახეთში გადასახლდა, საკობიანოში (ყვარლის რაიონში).

ნასოფლარ ქინოს დასავლეთით მდებარე მაღალ ბორცვზე, ქინოვაკის ხატია – რომელსაც, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, კოტიას გორი გადმოსცერის.

*

წითელაურების სათემო სალოცავი – კოტიას წმინდა გიორგის ხატი, მაღალ მთაზე, ნასოფლარ ჭიჩედან ოთხიოდე კმ-ზეა განთავსებული – ზ.დ. 2370 მ-ზე.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საზარე, სასანთლე და საბერო.

გალავნით შემოსაზღვრული კომპლექსის გარეთ – პატარა სასანთლე კოშკი დგას.

სამრეკლოში ჰკედია – პატარა ძველებური ზარი, შემდეგი წარწერით: –

„შემოგწირე მე... დედამა თამარმა ზარი ესე შენ კოტიას ჯვარს ჩემი სული გებრალებოდეს“.

ლეგენდის თანახმად, თავისი ამქვეყნიური მისია – ხატს ლვთისშვილთა ყრილობაზე განუცხადებია: –

„დამბადებელმა ღმერთმა მომილოცა დიდ ჭირთან ბრძოლა-გადასხვავება და – თუ ჩემთ ყმათ შორის გაჩნდება იგი – ლვთისა და ლვთისშვილთა ორგულ-მუხანათებზე გადავიტან-გადავასხვავებ და ერთგულ მლოცვავთ დავეხმარებიო“.

თავის თავდაპირველ საბრძანისად – ხატმა კოტიას მთა შეარჩია, მაგრამ, რაკი დიდთოვლობას, საყმო იქ მისვლას ვერ ახერხებდა – „გადმოსულა და სოფ. ჭირეშიც“ – იმავე წმინდა გიორგის სახელით დამკვიდრებულა.

სალოცავის ხევისბრობა თემში შემავალ ყველა გვარს მოუდიოდა.

ცნობილ ხევისბერად მოიხსენიებენ – ქავთარას, რომელიც ჩიათ მამიდან მოდიოდა – „ამ ხატს ორი ათასი სული ცხვარი ჰყავნდა მაშინ.“

გაბიდაურთ (ხოშარელების) თემი

გაბიდაურების ფუძე სოფელი, ხოშარა – „ფშავისხევის საშუალზე მდებარეობს“, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს – ზ.დ. 1520 მ-ზე.

შემორჩენილი ტოპონიმების გათვალისწინებით, მის ირგვლივ – ბევრი წვრილ-წვრილი სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ – დღეს, თემი მხოლოდ ამ ერთი სოფლით არის წარმოდგენილი.

„ხოშარა მთავარი ფოკუსია ფშავის დასახლებისა... ფშავლების თქმით, მათ პირველ წინაპრებად გაბიდოურები უნდა ჩავთვალოთ... ამ 50 წლის წინათ, სოფ. ხოშარაში, გაბიდაურების 70-მდე კომლი ყოფილა; ეხლა 3-4 კომლილაა; დანარჩენები გადასახლებულან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... ამ 3-4 კომლს მოემატნენ ჯალაბაურები (ამჟამად მისრიაშვილები), რომლებიც სოფ. მისრიანთკარში ცხოვრობენ და მეტად მცირე ჩამომავლობა ჰყავთ“ (გ. თევდორაძე, „ხუთი წელი ფშავ-ხევ-სურეთში“).

გაბიდაურების ფრატიაში – ციტირებულ მკვლევარს 23 გვარი აქვს გაერთიანებული (რუსულანი, ბეწუკელნი, ჩოხელნი, ლუსკნი, გონჯელანი, ტეტიანი, დალულანი, მამიანი, ხახანი, აბშინანი, ნაკვეთაურნი, გაბიდოურნი, მოძინი, ტუქსნი, პარასკევ-ანი, ფხიზელანი, ახალაურნი, ჯაბაურნი, ჭიჭონი, მჭედლურნი, კოჭლანი, წიბლანი და თეაყანი).

თითოეულ ამ გვარში „კიდე ბევრი მამათაობა შედის“ (გ. თევდორაძე).

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად, გაბიდაურები „თუშის მოდგმისანი არიან.“

ფშავში მათ, „ძველს დროში“ – ღელის გორაზე უცხოვრიათ, იქ, სადაც თამარ მეფის სალოცავის საბრძანისია.

„თამარ აქიმ დედუფლის“ ხატი, პირველად, „გაბიდოურთ დედაკაცს, სანათას, ჩვენებია“. მას დაუწყია მისთვის „სანთლის დანთება და ხევისბრულად დიდება“. სალოცავისთვის, თურმე, ადგილის დათმობაც მოითხოვა, მაგრამ „ხალხმა არ გაუგონა“... „ამის გამო გაჯავრებულა ხატი“: – ირმებად მოუჩვენებია ადამიანებისათვის ერთმანეთი და ისინი – „მშვილდ-ისრებით დარევიან ერთმანეთს.“

„ვინც გადამრჩალა – მაინც არ წასულა...“

ხატისგან რამე ახალ ნიშანს დალოდებიან და როცა, „კალოს ლენვის დროს, ხარის რქებზე დანთებული კელაპტრები მოსჩვენებიათ“ – შეშინებულან, აყრილან და ხოშარაში გადასახლებულან.

არც იქ მოუნია, თურმე, გაბიდაურების თემს მშვიდად ცხოვრებამ: – ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელი ტომები, იტაცებდნენ ცხვარ-ძროხას, იკლებდნენ სოფელს...

ცნობილი თუში – თილისძე, თორლვა ძაგანის ძის დავალებით, რამდენჯერმე ლაშერავს, კახელი დიდებულების წაქეზებით – მის წინააღმდეგ ამხედრებულ ფშავს. ხეობის თავკაცებს ლაშარის ჯვარში იბარებენ და მორჩილების ფიცს ადებინებენ. ღალატით კლავენ – ნაკვეთაურსა და კუკუმაურს...

ძაგანის ძემ – უჩვეულო, დამამცირებელი ბეგარი დაადო ფშავს: –

საისრედ „არწივის მხარი“ და თოვლიანი გზის სამშრალებლად „ნაცრიანი გუდა.“

ამბობენ რომ: – არწივის მხარი ისრისთვის სჭირდებოდა თორლვას, ნაცრიანი გუდა კი, ანდაკის თოვლიანი მთების გასამშრალებლად, რათა მის ცხენს – კარგად მოეკიდა ნალი.

მტრად ქცეული მეზობლების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხოშარასთან მოხდა.

ფშავლებმა სასტიკად გაანადგურეს მომხდურნი.

მხოლოდ თილისძე გადაურჩა სიკვდილს და თანასოფლელებს თავად ამცნო – „თუშთა დალევის ამბავი“: –

„დაგვლივნა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოენამა,
ვიწრო-ვიწრობა ხევ-ხუვმა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წოწკოლაურის ისრისა
უწყალოდ გამოდენამა,
ნაკვეთაურის ფრანგულმა,
სანათაურის ენამა,
მათურელ ვაჟებისამა
გორის-პირ ჩამოდენამა“....

ამბობენ რომ – ამ მარცხის შემდგომ, თალისძემ შესარიგებლად „ქორა ხარი“ მიჰვარა ლაშარის ჯვარს.

რელიგიური რიტუალი ძმად გაფიცვით დასრულდა და მისი სიმტკიცის ნიშნად – მტერ-მოყვარე მეზობლებმა, ლაშარის ჯვარში, სამანი ჩადგეს.

დ. ფიცხელაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, თილისძე თუშეთში ამანათად მისული ხევსური ყოფილა, გვარად ფიცხელაური („პირქუში ფიცხელაურების სალოცავია“, 2019 წ.).

*

ხოშარაში, ძირითადად, გაბიდაურები და მათი შტონაყარი გვარები სახლობდნენ. იყვნენ მოსულებიც: – ხახაშვილები, მამიაურები, კუდიანაშვილები, ნაკვეთაურები, ტეტიაშვილები, მგელუაშვილები, აფშინაშვილები, ზეზვაშვილები, ხოშურაულები და წელაურები (რ. თოფრიშვილი).

ალ. ოჩიაურის ცნობით: –

ჯავახეთიდან წამოსული ნაკვეთაურების პაპა – ხოშარის თემში შეხიზნულა და მათ სალოცავს დაყმობია. გაბიდაურებს დაუყენებიათ ის თავიანთ სოფელში – თავიანთი თემის წევრად მიულიათ.

ხახანი ძირად ქისტები ყოფილან.

ტეტიაშვილების წინაპარი კახეთიდან გამოქცევია ბატონს.

1876 წელს, ხოშარაში, 18 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღნერით 7 კომლი დარეგისტრირდა (26 სული) – გელუაშვილები, მამიაურები, ხახაშვილები, მისრიაშვილები, ნაკვეთაურები და ტეტიაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 6 კომლი აღრიცხა (18 სული) – ტეტიაშვილები, მგელაშვილები, ბენვაშვილები, ხოშურაულები და ხახაშვილები.

*

გაბიდაურების სალოცავი – ხოშარის სახუთმეტო ძელის ანგელოზის სათემო ხატი – სოფლიდან მარცხნივ, ზ.დ. 1595 მ-ზე მდებარეობს.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საზარე, სასანთლე, „სახუთმეტოს კვრივი“, თამარ მეფის ხატის კალო და სხვა ნაგებობები.

სახუთმეტოს კვრივი – „იფნიანის“ (თამარის კალოს) ზემოთ მდებარეობს. გადმოცემის თანახმად: – „ადრე, იქ (ძელის გორაზე), სოფელი ყოფილა; დღეს, აფშინაანთ ნასახლარებს ეძახიან; გაბიდოურები მდგარან. სახუთმეტოს აუყრია ისინი და სხვაგან დაუსახლებია...“ მერე – მათი ახალი სამოსახლო, „თამარის ხატს „მოუნდომებია თავისად“, „იქიდანაც აუყრია გაბიდაურები და ხოშარაში გადაუსახლებია.“

ხოშარის გორზე – დღემდება შემორჩენილი, „ხუთმეტი დროშით ნალოცი“ ისტორიული ძეგლი – ე.წ. „სახუთმეტოს კვრივი“, რომელიც ხოშარის სახუთმეტოს სახელით არის ცნობილი. ამბობენ რომ – იქ, ფშავის თხუთმეტი თემი გაფიცულა. ზოგიერთი მათგანი (მაგ. გიგაურები) ზურაბ არაგვის ერისთავმა აყარა და სხვადასხვა მიმართულებით დაქსაქსა.

თამარის ნიში (ე.წ. „კოშკის კარი“) სოფლის თავზე (ჩრდილო-დასავლეთით) მდებარეობს. ქვის ღობით შემოსაზღვრული ფართე ტერიტორიის შიგნით, დიდი ზომის თლილი ქვით ნაგები (ამჟამად დაცული) სადასტუროა მოქცეული. მის ზემოთ, დიდი კაკლის ხე დგას, ე.წ. „თამარის კაკალი“ – „რომელიც სოფელს გადაჰყურებს“.

დასახლების ჩრდილოეთით, დიდი თლილი ქვებით ნაგები – დედალვითისმშობლის ხატია, რომელსაც ხოდაბუნის ანგელოზის სახელით მოიხსენიებენ. მისი კარის სიახლოვეს, კედელში გამაგრებულ ძელზე, ჰქიდია ზარი – შემდეგი წარწერით: –

„ეს ზარი ხოდაბუნის ანგელოზის ხატსა შევწირეთ ხელერთიანად მთისა და ბარისა ხოშარელ გაბიდოური კოჭლი ნადირა ფოცხარავური იმათი თავობაში მოტანილი ამის მომტანი ბობლია და ჭუჭა და პაპაი ქქს უჟგ“.

სოფლის სიახლოეს, ე.წ. „ტიკაის წყალთან“ მდებარე, „წელაურთ ჯვარი“ – ამგვარის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრს წარმოადგებდა.

გაბიდაურთა დასახლების განაპირას პატარა ჯვარი დგას – „შვიდი ძმის დედის საფლავს იტყვიან... ერთ დღეს დაცემულან მისი შვილები, ერთ ბრძოლაში – მამასთან ერთად.“

გაბიდაურების თემის მიგრაცია XVII საუკუნიდან დაიწყო ივრის ხეობის ზემო წელსა და ერწო-თიანეთში.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

XVIII ს-ის წინარე ხანაში, ივრის ხეობაში – მათ უკვე რამდენიმე სოფელი ჰქონდათ დაფუძნებული (ბაჩალი, ლიშო, ქუშხევი, სხლოვანი, ყვარა...).

იქაური მოსახლეობის ნაწილი, XVIII-XIX სს-ში, უკვე შეცვლილი გვარებით გვევლინება (კერძოდ: – ნიბლოშვილი, ხარანაული, დოჯურიშვილი, ფხიკლეშვილი, ნაკვეთაური, მამსიკაშვილი).

სოფ. ბაჩალში მათ გადმოტანილი ჰქონდათ თავიანთი სათემო სალოცავის (ძელის ანგელოზის) ნიში, რომელიც მათი თავშეყრის ადგილს – მათ საკულტო ცენტრს წარმოადგენდა.

ივრის ხეობის ზემო წელში მცხოვრები გაბიდაურთ თემის გვარსახელებიდან რ. თოფჩიშვილი მოიხსენიებს – „მხოლოდ ზოგიერთს“, კერძოდ: – ნიბლოშვილებს, ნაკვეთაურებს, ბენუკლიშვილებს, მექობიშვილებს, კეურიშვილებს, ხვლეურებს, ციხელაშვილებს, ბათურიშვილებს, თიაყიშვილებს, ბუჭყურაშვილებს, დადალაურებს, ახალაურებს, ხავაზაურიშვილებს, კუდიანაშვილებს – რომლებიც ძირად თუშები ყოფილან და კოჭლიშვილებს – რომელთა თავდაპირველი გვარი მახინცაურია. ისინი გაბიდაურთ თემში შესულებად ითვლებიან (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, 2003 წ.).

*

XVII საუკუნიდან დაიწყო გაბიდაურთ თემის მიგრაცია თიანეთის სიახლოვეს მდებარე, სოფ. მოლამურის ტერიტორიაზე.

ვარაუდობენ, რომ თეთრახევა მას შემდეგ დაერქვა ამ სოფელს.

ძებნიაურების და ბადურაშვილების წინაპარი – სოფელ ხოშარადან, ამავე პერიოდში (XVII ს), გადასახლდა ერწო-თიანეთში.

ძებნიაურები – თავიანთი გვარის თანამოსახელე სოფელში დასახლდნენ, ბადურაშვილები – უებოტაში.

გადმოცემის თანახმად, აღნიშნულ გვარებს – ფშავიდან გადმოსახლებულმა ძმებმა, ძებნიამ და ბადურმა – დაუდეს საფუძველი.

XVIII ს-ში – ხოშარიდან გადასახლებულან ერწო-თიანეთში აქიმიშვილები. მათი ადრინდელი გვარი ბუჭყურაშვილია.

ამავე პერიოდში, თიანეთსა და ჩაბანოში დასახლდნენ ჯიმშიტაშვილები.

ისინი ხოშარადან ჯერ ივრის ხეობაში, სოფ. ბაჩალში მისულან; იქიდან წამოსულან ჩაბანოსა და თიანეთში (რ. თოფჩიშვილი, ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია....).

*

გაბიდაურების მიგრაცია მოხდა არაგვის ხეობის მთისწინეთშიც, კერძოდ – შარახევსა და კუჭეჭაში.

შარახევში მოსახლე გაბიდაურთ თემის გვარსახელებიდან – რ. თოფჩიშვილი მოიხსენიებს: – გედეშურებს, ხმალგრძელიშვილებს, რაიბულიშვილებს, ბენინაშვილებს, თათარაშვილებს, ხარანაულებს და ბოძაშვილებს.

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად, ბოძაშვილების ადრინდელი გვარი გელეხაურია; მეორე გადმოცემის მიხედვით – ვედრაული.

ვედრაულებიდან მოდიან-ო ხარანაულებიც.

გაბიდაურების შტონაყარ გვარებად მიიჩნევიან აგრეთვე: – დოჯურიშვილები, ფხიკლეშვილები, მამსიკაშვილები, აფშინაშვილები, ჭიჭოშვილები, ლომიაშვილები, ბერიძიაშვილები, ხოშარაულები (არიან ხევსური – გორშელმელი ხოშარაულებიც – არაბულთა გვარის ერთ-ერთ მამიშვილობა)...

მთიულეთში მცხოვრებმა ნადიბაიძეებმა, უშარიძეებმა, ბედოიძეებმა, სვიანაიძეე-

ბმა და ბექიშვილებმა – კარგად იციან, რომ ძირად ფშაველი გაბიდაურები არიან (ლაშარის ჯვრის ნიშიც აქვთ გადატანილი).

ისინი, ხოშარიდან, ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშერობის მერე აყრილან.

გაბიდაურების თემთან არის დაკავშირებული არჩემაშვილების ერთი შტოც.

გადმოცემის თანახმად, მათი ქალი გაბიდაურთ თემში ყოფილა გათხოვილი (გვარი არ ახსოვთ). დაქვრივებულა, დარჩენია ვაჟი და მამის სახლში განუზრახავს დაბრუნება. მამულეთს უთქვამს: – „თუ ბალს ჩვენ გვარს მისცემ, მაშინ დაბრუნდიო.“ შეუცვლია ქალს შვილისთვის გვარი და მამის სახლში დაბრუნებულა.

არჩემაშვილების ამ შტოდან მოდის, ცნობილი უურნალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხელოსნი, სოფ. ყვარაში, უცხოვრიათ, მერე, თიანეთის მახლობლად დასახლებულან – სოფ. თეთრახევაში.

დღეს, იქ, არჩემაშვილების 25 კომლი სახლობს.

*

ივრის ფშავის სოფელ სხლოვანში, XIX ს-ის შუა წლებში უცხოვრია, ვაჟა-ფშაველას დედის ალალ ბიძას, პარასკევა გაბიდოურს (ფხიკლეშვილს) – რომელსაც ფშაური ხალხური სატირული პოეზიის მამამთავრად მიიჩნევენ. „პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შეჰქმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“ (ვაჟა-ფშაველა).

ძმები რაზიკაშვილების (ვაჟას, ბაჩანას, თედოს) მიმდევარი იყო ცნობილი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი – გრიგოლ აფშინაშვილი. წერდა „ფშაველიშვილის“ ფსევდონიმით. XIX ს-ის 90-იან წლებში აქვეყნებდა ფშავური პოეზიის ნიმუშებსა და წერილებს: – „ჯეჯილში“, „კვალში“, „აკაკის კრებულში“, „ივერიაში“. მასწავლებლობდა კახეთსა და საინგილოში. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, არაერთი სკოლის დამარსებელი. საინგილოს საქართველოს შემადგენლობაში შენარჩუნების მიზნით, მონაწილეობას იღებდა – ქართველთა წინააღმდეგობის მოძრაობაში...

აფშინაშვილების გვარი, დღეს, თბილისში, დედოფლისწყაროს და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დედოფლისწყაროში 19 აფშინაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 13, ახმეტაში – 7 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

„ზეპირსიტყვიერების მკვლევართაგან არავინ მოელოდა, თუ ოცდემეერთე საუკუნის დასაწყისში კვლავ გამოვლინდებოდა ქართული ხალხური ეპიკური ნაწარმოები... მკითხველის წინაშეა გოგია ჭიჭოშვილის ეპოსი. ესაა მეოცე საუკუნეში ტყეში გასული ერთი ყაჩალის მიერ ნათქვამი და აგრეთვე მის შესახებ არსებული ლექსები, რომლებიც თითქმის სამოცი წლის მანძილზე გადიოდნენ ფოლკლორიზაციის პროცეს... ლექსები მოიძია და ერთიან სიუჟეტურ ქარგაზე აასხა მიხეილ ლანიშაშვილმა“ (ტ. მახაური).

*

გაბიდაურთ თემიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

ფშავის მოსარჩევე და მოამაგე – ცნობილი ლიტერატორი და ტელეჟურნალისტი, ვანო ბერიძიაშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა წინამდებარე ნაშრომის სრულყოფილად წარმოდგენის მცდელობაში.

საქართველოს დამსახურებული არტისტი, ლიანა ლომიაშვილი – ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი.

ლარისა ლომიაშვილი – ომსკის სახელმწიფო-სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, თერაპიული კათედრის გამგე – პროფესორი.

გიორგი ლომიაშვილი – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტის ერთ-ერთი სამართველოს უფროსი.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, თინათინ ნიბლოშვილი;

ცნობილი სამართალმცოდნე, გირშელ ძებნიაური;

მელვინეობის ცნობილი სპეციალისტი, ანზორ ძებნიაური.

თამარ ლომიაშვილმა მაგისტრატურა – აშშ-ს ადელფის უნივერსიტეტში გაიარა; დოქტორანტურა მასაჩუსეტის უნივერსიტეტში (განათლების პოლიტიკის, კვლევისა და ადმინისტრირების კონცენტრაციით); ხელმძღვანელობდა ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო ცენტრს, მუშაობდა ნიუ-იორკის განათლების დეპარტამენტში.

თემო ბადურაშვილი, 1985-1990 წ.წ. საქართველოს კულტურის მინისტრი იყო.

ვიცნობდი ბავშვობიდან. მომსწრე ვარ მისი და ლალი მაღრაძის (ფილმში – „დიდოსტატის მარჯვენა“ – შორენას როლის შემსრულებელის) – სიყვარულის, მათი პარნასზე ყოფნის და უამრავი ტრაგედიისა. ისიც მახსოვს, სამივე (ქ-ნ მედიკოსთან ერთად), როგორ ვედექით თავზე – სიკვდილთან მებრძოლ იოსებ ნონეშვილს...

თემო კახელობდა. ძალიან უყვარდა მთაც, მთის ხალხი – ამაყობდა თავისი წარმომავლობით. არაერთხელ უთქვამს, რომ ბებიაც მთიელი ყავდა – თანაც, ჩემი მოგვარე...

ერეკლე ბადურაშვილი – დამდგმელი რეჟისორი იყო ფილმებისა: – „ავტოპორტრეტი“, „ცოდვის დღესასწაული“, „თბილისი ჩემი სახლია“, „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, „ხიდი“.

ნინი ბადურაშვილი – ცნობილი მომღერალი და მსახიობია.

მისრიანთკარი და მისრიაშვილები

მისრიათკარი პატარა სოფელი იყო თამარ მეფის ხატის მიმდებარედ.

ნასახლარები, სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევები და რკინის სადნობი ღუმელის ნაშთები – დღემდება შემორჩენილი.

ხატის მინა ყოფილა და მხოლოდ მისრიაშვილები სახლობდნენ.

ვაჟა-ფშაველა მათ ფშავის მეთორმეტე თემად მოიხსენიებს.

ვ. ბარდაველიძის ცნობით:

მისრიანი, ადრე, ჯალაბაურის გვარს ატარებდნენ; ხევსურეთიდან არიან ფშავში

გადასახლებულნი და „მეთორმეტე თემია ფშავისა.“

„დანარჩენი 11 თემის მსგავსად, ლაშარის ჯვარში, თავისი ლია საჯარე ჰქონდათ და, ისევე როგორც ფშავის დანარჩენი თემები, ლაშარობას... სადღესასწაულო სუ-ფრას აწყობდნენ.“ („აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, ტ. I, გვ. 23).

გვარის მამის შესახებ რამდენიმე ლეგენდაა შემორჩენილი: –

ერთი ვერსიის თანახმად: –

მისრიაშვილების წინაპარ ჯალაბაურებს – პირიქითა ხევსურეთში უცხოვრიათ, არღუნის ხეობაში – შატილთან ახლოს. ძლიერი გვარი ყოფილა და ქისტებთან ერთად, ფშაველთა „მეკობრეობაში“ მიუღიათ მონანილეობა. ფშავლებს შურისძიება განუზრახავთ, მაგრამ მტრად ქცეული მეზობლების დამარცხება, იოლი არ იყო.

„რიცხვით მათზე ნაკლებნი არ იყვნენ და მიუდგომელს კლდეებში სცხოვრობდნენ“. ფშავლებმა – „გიორგმინდელ საგინას“ (ჯალაბაურების სიძის, საგინაშვილების პატრონიმის) თანადგომით, თითქმის მთლიანად „ამოსწყვიტეს“ ჯალაბაურები და მათი საცხოვრისი გაანადგურეს.

მხოლოდ ერთი ჯალაბაური „გაპეცევია“ შურისძიებას... „ლაშარის ჯვარს შეპბარებია...“ „გაპფიცებია...“ – გოგოლაურების თემში „ჩარიცხულა“ და სოფ. ჯიგრაულთას დაუსახლებიათ.

ის გამხდარა მისრიაშვილების გვარის პატრონიმი.

„მისი ჩამომავლობანი დღესაც ზოგიერთები ჯიგრაულთაშივე ცხოვრობენ, შუაფხოს სამამასახლისოში. სხვები – სოფელს ალაჭანში, წიკვლიაანთკარში, ზემო თიანეთის სამამასახლისოში. ეკუთვნიან ისევ გოგოლაურების თემსა და იწოდებიან გორგიაშვილებად“ (დ. ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშავლები).

განსხვავებული ვერსიის თანახმად: –

თამარის მეფობის პერიოდში, „მტრის ბანაკიდან გადმოსულა მისრელი კაცი“ – დაუწყია ჯარ-ჯარ სიარული და ძახილი: – ხმალი მაქვს გასაყიდი, ვის გინდათო... რაკი ხმალი არც ხელში ეჭირა და არც წელზე ერტყა – სასაცილოდ აუგდიათ...“

თურმე, „თავისი გაკეთებული – დაგირგვლული ხმალი, ჯიბეში სდებიყო... გადაუხსნია თასმა – ხმალი გამლილა და გასწორებულა როგორც ლარი... დაუგირგვლავს და ისევ ჯიბეში ჩაუდია...“

ამ ამბავს თამარის ყურამდე მიუღწევია. დაუბარებია „მისრელი კაცი“ და თავის სალოცავთან დაუსახლებია – როგორც კარგი მჭედელი და ხატის მცველი.

იმასაც ამბობენ რომ: – მჭედელი მისრია ჯალაბაური თამარს – ფშავში „არ მაჲყვებოდა.“

მეფემ – თავისივე ხელით „გააჭედვინა“ მას (დღეს უკვე ლაშარის ჯვარის კუთვნილი) ჯალამბარი. „კისერზე დაადო და ისე წამაიყვანა.“

ლაშარის ჯვარში დააბა ლეგენდარული მჭედელი. „მანამდე ჰყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა, რომ აღარ წავალო“. „

„მას აქეთ, იმათ გვარში, არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მჭედელი არ იყოს და ერთი ხევისბერი. ეს ორივე მოდენილობით აქვთ მილოცვილი თამარ-ნეფისა და ლაშარის ჯვარისაგან“ (დ. ხიზანაშვილი).

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ლაშარის გორის ბებერ იფ-ნზე შემოხვეული ჯაჭვის“ (ანუ ჯალამბარის) ისტორია ასეთია: –

თამარს – ქისტები დაუმარცხებია. იქ შეხვედრია მჭედელი ჯალაბაური – განთქმული ხელოსანი, რომელიც დასაკეც ხმლებს აკეთებდა.

მეფეს მისი წამოყვანა განუზრახავს, მაგრამ მჭედელს უარი უთქვამს.

მაშინ, ისეთი ჯაჭვი გამოსჭედე, მისი რგოლი ყველა კაცს მოერგებოდეს კისერზეო – უბრძანებია თამარს.

„ჯალაბაურმა ასეთი ჯაჭვი რომ მიართვა, თამარმა უბრძანა: – ჯერ შენს კისერზე სცადეო. მჭედელმა რომ ჯაჭვი ჩამოიცვა, შებოჭეს და წამოიყვანეს ფშავში, რადგან ჯალაბაურს უთხოვნია, სადმე მივარდნილ ადგილას დამასახლეო და თამარსაც აუსრულებია თხოვნა.“

„იმ ადგილს დაერქვა მისრიანთკარი, რადგანაც ჯალაბაური მისრეთიდან ყოფილა. მისი მოდგმა ამჟამად მისრიაშვილებად იწერება. მისი ხელობა კი, მჭედლობა – მის ჩამომავლობაში თაობიდან თაობაზე გადადის. დღესაც არის იქ მჭედელი ბუთლა მისრიაშვილი. ამ სოფელში სხვა გვარის კაცი არ სცხოვრობს.“ (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1939 წ. გვ. 74).

მშვენიერი ხალხური ლექსი ამშვენებს მისრიაშვილების ერთიან ისტორიას:

„ხმალმა თქვა მისრეთს ნაკვერმა –

მისრეთს მისრიამ გამკვერა,

ამამამლერა პატრონმა,

ჩამაგო, ჯვარი დამწერა.“

*

ისტორიას შემორჩა ლაშარის ჯვარის ცნობილი ხებისბერის, გამიხარდი მისრიაშვილის სახელი, რომელსაც – სპარსეთში გადახვეწილი აღ. ბატონიშვილი „სიყვარულით მოიკითხავდა“, როგორც თამარ მეფის საფლავის დეკანოზს და მის მცველს.

პოეტი-მეამბოხე, მიხა ხელაშვილი – რამდენჯერმე მოიხსენიებს, პირველი მსოფლიო ომის მონაწილეს და, XIX ს-ის 90-იან წლებში, გერმანიიდან ფშავში დაბრუნებულ პატრიოტს – ალექსი მისრიაშვილს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იგი – მაღაროისკარის თემსაბჭოს კომისრად დანიშნეს – მაგრამ, 1922 წლის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პიკზე – ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გვერდით დადგა.

დაასმინეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს..

*

1876 წელს – გ. რადემ, მისრიანთკარში – 3 კომლი აღრიცხა;

1886 წლის აღწერით მისრიაშვილების 3 კომლი დარეგისტრირდა (სცსა, ფ. 254, აღმ. III, დოკ. 1746).

მათი ბოლო ოჯახი დედასოფლიდან 1952 წელს გადასახლდა.

დღეს – ისინი თბილისში, თელავსა და რუსთავში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში 29 მისრიაშვილი ცხოვრობს, თელავში – 11, რუსთავში – 7 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ჭიროელთ თემი

თემის ფუძე სოფელი, ჭირო – ხოშარის პირდაპირ, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე ფერდობზეა განთავსებული.

„ჭიროს დათხოვდა ქალები, ჭირო ბალდადი ჰეგონაო... იარონ ბინდაურთასა, ითრიონ ფიჩხის კონაო“ – ქილიკობს სახალხო მთქმელი – რადგან, სოფელის ზემოთ (ალ-პურ ზონაში), ხეები აღარ იყო და მოსახლეობა შეშას ქვემოდან ზემოთ ეზიდებოდა.

ადრე, იქ, 60-მდე კომლი სახლობდა.

„მტრიანობამ დააცოტავა ხალხი... ლეკები ეცემოდნენ, თურმე და ტყვეებს ერევებოდნენ“.

„უკანასკნელად, ერთი ტყვე ქალი მახაჩკალაში წაუყვანიათ და იქ გაუთხოვებიათ.“

მისმა შვილიშვილებმა, აბდულამ და ზაქარამ – „ამ რამდენიმე წლის წინათ, ხევისბერ პეტრე კუნაშვილს ჭედილა დააკვლევინეს და არაყიც მოიტანეს – „ჩვენი ბებო აქაური ქალი იყო და აქ უნდა ვილოცოთ“ (ვ. ბარდაველიძე).

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს: –

ჭიროს ძირითადი მცხოვრებნი „გულბათაანი“ იყვნენ.

„ამჟამად მათი მხოლოდ რამდენიმე კომლია. სხვები სხვადასხვა სოფელშია გაფანტული... მათ გვარს ჰყოლია ერთი განთქმული ვაჟკაცი“, რომელზეც ასეთი ლექსია გამოთქმული:

„ჩოლოგაურთა გულბათო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,
თორმეტთა შუა დაბრუნდი,
როგ მეკალოე ხარია.
მარჯვენა მოგჭრეს ლეკებმა,
მარცხნივ იხმარე ხმალია.“

გულბათების ფრატრიაში, ციტირებული მკვლევარი 16 გვარს აერთიანებს: – ჭუქანს, ალუიანს, ჭამიანს, ბოლვერანს, ჩოხელნს, თეთრაულთ, პაპიანს, ბატარანს, ჯგუთანს, ფეტვიანთ, ჩათიანთ, ხიზანაანთ, ბურდიაულთ, გულიანთ, ნადირანთ და ჩოლოგაურთ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჭიროში ცხოვრობდნენ აგრეთვე – მინდოდაურები, ელყაშვილები, ქეშიკაშვილები...

დროთა განმავლობაში, იქ, ბევრი ახალი გვარი წარმოიქმნა; ზოგიც სხვა მხრიდან მოვიდა და მათ შეეკედლა.

„მინდოდაურებიც ყოფილან აქა; ჩაქიანთ ნასახლარიც ბევრია; ხაზინანიც აქაურები იყვნენ“ (ვ. ბარდაველიძე).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოსულან: – კინთულრნი, ბურდულნი, თავბერაულნი, კუკუმაურნი...

კინთურები – კახეთიდან (თიანეთსა და ახმეტას შორის მდებარე) სოფ. კინთიდან მოსულან.

როგორც ალ. ოჩიაური გვამცნობს: –

მათი წინაპრისათვის – ჭიროელებს თავიანთი სოფლის პირდაპირ, ჯვართ ღელები, მიუციათ ადგილი და ისინიც სათემო სალოცავის – პირცეცხლის, ყმებად ქცეულან.

მესისხლეობის გამო შემოხიზნულან ჭიროელთ თემში ბურდულები. ჯერ ამანათად მიუღიათ, მერე, ადგილი მიუციათ და თავიანთი სალოცავების ყმებად გაუხდიათ.

ხევსურეთიდან მოსულან და ჭიროელებს შეჰყურიან თავბერაულებიც.

ძირად ხევსურები არიან აგრეთვე: – ხუმარაშვილები, ჯღუთაშვილები და ჭითოელი თეთრაულები.

მათი წინაპარი, გვარად კუკუმაური (რომელიც თუშთა წინამძღოლის, თილისძის, წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა) – ხევსურეთიდან იყო გადმოსახლებული. აღნიშნული გვარები მის შთამომავლებად ითვლებიან და, დღეს, ივრის ხეობაში სახლობენ.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: – კუკუმაური უძველესი ხევსურული გვარია და რაკი ფშავშიც არის მოხსენიებული – იმაზე მიუთითებს, რომ – იგი, სამ ზემოაღნიშნულ განშტოებად, შედარებით გვიან დაიმალა.

*

1876 წელს – გ. რადემ, ჭიროში – 20 კომლი აღრიცხა;

1934 წლის აღნერით – 6 კომლი დარეგისტრირდა (25 სული): – ჩოლოგაურები, ხიზანაშვილები და ბურდულები.

1964 წელს – ერთი მოხუცი ქალიღა ცხოვრობდა. მერე, ისიც აყრილა და გოგოლაურთაში გადასულა (ვ. ბარდაველიძე).

ამჟამად, მხოლოდ 87 წლის ხევისბერის, ვახტანგ ჩოლოგაურის ერთი ოჯახი სახლობს.

ჭიროელთა და გაბიდაურთა თემებს დავა ჰქონიათ – „მთა გრძელაზე არსებულ დაშუშანის ვაკეზე.“

ჭიროელებს ერეკლესთვის მიუმართავთ.

მეფის ბრძანებით, ორივე თემს უნდა დაეფიცა – როგორც ადათის მიხედვით (ხელში თასით და დროშით), ისე – ქრისტიანული წესითაც – სახარებითა და ხატით.

„ჭიროელებს დაუფიცნიათ.“

„გაბიდაურნი მტკიცედ დამდგარან თემურ ადათზე“. მეფის გადაწყვეტილება არ შეუსრულებიათ და, უარესიც: – თავიანთ სამანზე დაურისხებიათ ისინიც, ვინც ჭიროელებივით კიდევ მოიქცეოდნენ და ლაშარის გორის იქით (ანუ, სამეფო კარზე) ეძიებდნენ სამართალს.“

სადავო მამული ჭიროელებს დარჩათ.

*

ჭიროელთა სათემო სალოცავი ოთხი კომპლექსის – „პირცეცხლის“, „თამარ მეფის“, „მთავარანგელოზის“ და „ლვთისმშობლის“ ხატებით არის წარმოდგენილი (ვ. ბარდაველიძე).

„თამარის სალოცავი“ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთის აყოლებაზეა; დანარჩენი სამი – სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით – ჯვართლელის გაღმა – სადაც ჭიროხევა ჩამოედინება.

„პირცეცხლი“ ზ.დ. 1675 მ-ზეა. მას „ზემო ხატსაც“ უწოდებენ, რადგან – „მთავარანგელოზის თავზე დაჰყურებს.“

„დედალვთისმშობლი“ უზარმაზარი ცაცხვების ტყეში მდებარეობს – ზ.დ. 1594 მ-ზე. მისგან ზემოთ „მთავარანგელოზის“ საზარეა, რომელიც კვრივად ნაგები მართკუთხა შენობის სახით არის წარმოდგენილი.

„თამარის ხატი“, მისი წყარო, „ნაყევრალები“, კალო და ბელელი – ზ.დ. 1830 მ-ზე მდებარეობენ.

ჭიროელთა სამთო სათემო სალოცავი, „მთაწმინდა“ – „მისრიანთ და ჭიროელთ ზევით მდებარეობს“.

(სამი თანამოსახელე მწვერვალია ფშავში: – ცაბაურთის, ჭიროს და ახადის მთაწმინდა).

„თოვლი იქ მკათათვეშიც იცის და მარიამობისას ახალსაც ჩამოთვს ხოლმე.“

მეორე სამთო სალოცავი, „თეკლესია“, მაღალ მთაზე – სოფლის დასავლეთით მდებარე – ერთი პატარა კოშკით არის წარმოდგენილი („თეკლეს ილოცავდნენ“ და სახელწოდება აქედან მოდის).

*

ჭიროელების, გაბიდაურთა და გოდერძაულების თემი, პრაქტიკულად, თითო-თითო სოფლით იყო წარმოდგენილი.

გაფართოების საშუალება არ ჰქონდათ.

რთული რელიეფური მდებარეობა და მიწების ნაკლებობა გახდა მათი ნაადრევი – მასიური მიგრაციის მიზეზი.

ჩოლაგაურები გომბორის მხარეს გადასულან; ელყიანნი – პანკისის ხეობაში; ფეტვიანი – იორისაკენ; ქეშიკანი – არტანში.

„ჭამიათ ერთი ნაწილი – გომბორშია, მეორე – ომარაულში“; „ჯღუთანი, 60 კომლი ყოფილან და სულ ქედში წასულან“ (ვ. ბარდაველიძე).

ჭიროელებს – თავიანთი დასახლებები ჰქონდათ ივრის ხეობის ზემო წელში (სოფ. არტანსა და ბოდახევაში).

„მათი მცხოვრები თემის საერთო სალოცავის, პირცეცხლის, ყმები არიან და თავს აღნიშნული თემის წარმომადგენლებად მიიჩნევენ; იმის მიუხედავად, რომ ბუდეფშავიდან დიდი ხნის (XV-XVI სს) წასულები არიან“ (რ. თოფჩიშვილი).

1860 წლის აღწერით, არტანსა და ბოდახევში მკვიდრობდნენ ჭიროელთა თემის შემდეგი გვარები: – გულიაშვილები, ბუთხაშვილები, ნადირაშვილები, გოგოლიშვილები, პაპიაშვილები, ჩერქეზიშვილები, ბურდიაშვილები, მჩითავიშვილები, მაჩოშვილები, ხულიაშვილები, კურეტიშვილები, ხევსურიშვილები, ბაინდურაშვილები და ხუმარაშვილები.

*

ჭიროელთ თემიდან – ძველთაგან, წარმომავლობენ ცნობილი მთისკაცები: –

სახელგანთქმული მოლექსის პარასკევა გაბიდოურის (ფხიკლეშვილის) ერთ-ერთი ლირსეული მეტოქე იყო – „ბაჩლელი გოგრისყელა, ჭიროვლელთა თემიდან.“

შემორჩენილია მათი პაექრობის რამდენიმე ფრაგმენტი.

ცნობილ „მოკაფიავედ“ მოიხსენიებენ „ჭიროელ ძოძიას.“

ისაკ ივანეს ძე ახალაური ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო;

ხვთისო მინდოდაური ლაფანყურელი პოეტის სახელით არის ცნობილი.

*

ქეშიკაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, ახმეტის და დედოფლისწყაროს რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში 20 ქეშიკაშვილი ცხოვ-რობს, ახმეტაში – 72, დედოფლისწყაროში – 9 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

თელავში ცხოვრობდა ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი, ივანე ქეშიკაშვილი. მის ოჯახში თავს იყრიდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენ-ლები – მწერლები, საზოგადო მოღვაწენი.

ალბათ, საკუთარმა გენმა მისცა ბიძგი – მის ქალიშვილს, პოეტ გვანცა ქეშიკაშვილს, გაეკეთებინა ის, რასაც მხოლოდ მაღალი ზნეობის ადამიანები ახერხებენ – შვილის შემთხვევითი მკვლელი – მის მეგობრებში არ უძებნია:

„არ მქონდა უფლება, მისი რომელიმე მეგობარი ციხისთვის გამეწირა... ვთქვით, რომ იარაღი ვახოსი იყო...“

ხიზანაშვილები

ჭიროელთ (მინდოდაურთა) თემიდან წარმომავლობდა ცნობილი მეცნიერი: – იურისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი – ნიკოლოზ ხიზანაშვილი („ურბნელი ნიკო“). აქტიურად საქმიანობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი დარგი გახლდათ ქართული სამართლის ისტორია. თანამშრომლობდა მის თანამედროვე უურნალ-გაზეთებთან („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

*

როგორც ხ. მამისიმედიშვილი გვამცნობს: – „ფშავზე გამოქვეყნებული პუბლიკა-ციების ავტორთა შორის დავით ხიზანაშვილი ერთ-ერთი პირველი მკვლევარ-პუბლი-ცისტი იყო, რომელმაც მშობლიური კუთხე და მისი ყოველდღიური ყოფა შიგნიდან დანახული თვალით აღწერა“.

მის მოღვაწეობაზე დიდი გავლენა იქონია „ურბნელი ნიკოს“ გულთბილმა დამოკიდებულებამ და თანადგომამ.

1887 წელს, ვაჟა-ფშაველამ მადლობა გადაუხადა და მაღალი შეფასება მისცა მის მრავალწლიან ფოლკლორისტულ ნაშრომ-ნამოღვაწარს.

მისი შემოქმედება შეისწავლა და მასწავლებელთა „მეგზურში“ გამოაქვეყნა თიანე-თის მკვიდრმა, ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატმა, ელიზბარ მგელიაშვილმა.

დ. ხიზანაშვილის წერილების სერია, „ფშავეთი და ფშავლები“, გაზეთ „ივერი-იდან“ ამოკრიფა ტრისტან მახაურმა.

წიგნად გამოიცა 2018 წელს, პროფ. ხ. მამისიმედიშვილის რედაქტორობით.

*

ხიზანაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, ქარელის და კასპის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში 36 ხიზანაშვილი ცხოვრობს, ქარელში – 69, კასპში – 21 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ნადირაშვილები

ბევრი ღირსეული მამულიშვილი მოდის ნადირაშვილების გვარიდან. ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი, დიმიტრი უზნაძის სახ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი – 12 მონოგრაფიისა და 250 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, შოთა ნადირაშვილი (დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში).

დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს ეროვნული გე-შტალტ ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – დიმიტრი ნადირაშვილი – 6 მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი – გიორგი ნადირაშვილი.

ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი – მერაბ ნადირაშვილი.

მედიცინის დოქტორი – თამარ ნადირაშვილი, ცნობილი რეპროდუქტოლოგი.

ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „რეროს“ ყოფილი სოლისტი და ანსამბლ „ორერას“ ხელმძღვანელი – გენო ნადირაშვილი.

*

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთმა პატრიარქმა, გიორგი ნადირაშვილმა, თბილისის პიონერთა სასახლეში ჩამოაყალიბა პირველი ქართული ხალხური საკავების ორკესტრი – „საუნჯე.“ შემდგომში, მის ბაზაზე ტრიო „საუნჯე“ შეიქმნა (გიორგის ვაჟების: – ნიკო, რაულ ნადირაშვილებისა და გია ასანაშვილის შემადგენლობით).

ნადირაშვილების ოჯახმა განავითარა ქართული ხალხური საკრავების ხელოვნება და პოპულარიზაცია გაუნია უცხოეთში.

90-იანი წლების უმძიმეს პერიოდში, მათ საქართველო დატოვეს. ამჟამად, აშშ-ში დაარსებულ ბენდ „საუნჯეში“ აგრძელებენ მამულიშვილურ საქმეს – ნიკო ნადირაშვილის ხელმძღვანელობით; რომელმაც, ზემოაღნიშნულის გარდა, ბრუკლინში შექმნა ქართული კულტურის ცენტრი და ქართულებოვანი რადიო – „საუნჯის“ სახელწოდებით.

*

ნადირაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, გორში და სილნალის რაიონში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში – 1123 ნადირაშვილი ცხოვრობს, გორში – 240, სილნალში – 341 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ფეტვიაშვილები

ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთრების თანახმად, XVIII ს-ის I ნახევარში, ფეტვიაშვილების ნაწილი, უკვე, კასპის რაიონის სოფ. ქვემო გომში სახლობდა.

აღნიშნული დასტურდება XIX ს-ის კამერალური აღწერებითაც (სცსა, ფ. 254, აღნ. I, დოკ. 544, 1246; აღნ. II, დოკ. 246).

ამ შტოდან მოდიან – ჩემი ბავშვობის მეგობრები, ძმები: – ვლადიმერ, ვახტანგ და დავით ფეტვიაშვილები.

ვლადიმერი – გამოჩენილი ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი იყო – ნობელის პრემიის ლაურეატის, აკად. ი. ტამის სახელობის პრემიის ლაურეატი.

სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი.

ასეთი აღიარება შეუძლებელი იყო – მაღალი ნიჭიერების, უდიდესი ძალისხმევის, პროფესიული ერთგულებისა და პიროვნული სისპეტაკის გარეშე.

მისი ორი ვაჟი აშშ-ში აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას, ერთი მოსკოვში. ქალიშვილი – მხატვარია.

მოქანდაკე ვახტანგ ფეტვიაშვილი ქართული რაგბის ერთ-ერთი პიონერი იყო; საბჭოთა კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი.

დავით ფეტვიაშვილი – ქიმიის დოქტორია და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტერში მოღვაწეობს.

ოჯახის ტრადიციას აგრძელებს – დღეს უკვე სახელგანთქმული გრაფიკოსი და ფერმწერი – რუსულან ფეტვიაშვილი.

შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის გამოცემულ წიგნში – „XX ს-ის მსოფლიოს ორი ათასი გამოჩენილი ადამიანი.“

6 წლისას პქონდა პირველი პერსონალური გამოფენა (თბილისში); 8 წლისას – ორი პერსონალური გამოფენა – მოსკოვში; 13 წლისამ რამდენიმე გამოფენა მოაწყო საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში.

მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში – ნიუიორკის, ვაშინგტონის, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის და სხვ. ქალაქების კერძო კოლექციებში. მოხატა თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის ფოიეს კედელი. მისი უწმინდესობის კურთხევით შეასრულა წმინდა ოთხთავის დიდი უნიკალური ხელნაწერის ილუსტრაციები.

*

ფეტვიაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, თიანეთში და დმანისის რაიონში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში – 82 ფეტვიაშვილი ცხოვრობს, თიანეთში – 64, დმანისში – 47 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

წოწკოლაურთ თემი

წოწკოლაურების ფუძე სოფელი, მუქო (მუქუ), მათურხევის თავზე მდებარეობს, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვრის გოგოლაურთას.

„ბევრი ადგილი აქვს საერთო გოგოლაურებთან.“

წოწკოლაურთ თემს ეკუთვნოდა მუქოს მიმდებარე სოფლებიც – ფიჭვიანი და მოკვერათყარი.

მოკვერათყარი – მუქუს გვერდით ფერდობზე იყო განთავსებული. მხოლიდ ერთი გვარის ხალხი – მოკვერანი (ანუ, მოკვერაშვილები) სახლობდნენ – იქ მდებარე ხონეს მთავარანგელოზის უნჯი ყმანი.

ერთი გადმოცემის თანახმად, მათი წინაპარი უკანაფშავიდან არის მოსული; მეორე ვერსიის მიხედვით – გუდამაყრიდან.

უკანაფშავში (ვაკისოფლში) – მოკვერანი (ბოკვერანი), მართლაც, სახლობნდნენ.

მათი ბოლო კომლი, იქიდან – სოფ. საქობეში წასულა; მოკვერანთყარიდან – ივრის ფშავში გადასულან, სოფ. ჯიჯეთში.

„სოფ. მოკვერათყარი და მთავარანგელოზის ხატი – დიდი ხნის მიზოვებული ჩანს... ბეღლის გარდა ყველა შენობა ნანგრევებად არის ქცეული“ (ვ. ბარდაველიძე).

გადმოცემის თანახმად, ბლოელ გიგაურთა წინაპარი – გიგა, არდოტელი ზვიად-აურების წინაპარი – ზვიადი, მუქოელი წოწკოლაურების წინაპარი – წოწკურა და ჭიმლელ თეთრაულთა წინაპარი, თეთრა – ძმები ყოფილან.

მათი თავდაპირველი საცხოვრისი იყო სოფ. ბლო.

მუქუ და მოკვერათყარი, ადრე, გოგოლაურების ყოფილა. მერე – თემის გასაძლიერებლად მოუყვანიათ ბლოველი წოწკურა გიგაური, მუქოში დაუსახლებიათ და მისთვის – „უწილადებიათ ეს ადგილი.“

წიწკურასგან წარმომდგარმა გვარმა დასაბამი მისცა ფშავის ახალ თემს – რომელიც გოგოლაურებთან არ გაერთიანდა; ცალკე ტერიტორიულ თემად ჩამოყალიბდა და საკუთარი სათემო ცენტრი დააფუძნა – მოხარნდე ლვთისმშობლის ხატის სახით.

ს. მაკალათიას ეთნოგრაფიული მასალის თანახმად:

როცა გიგაურთ წინაპარი ზვიადაური ხევსურეთიდან მუქოში მოსულა, „მთელი ეს სოფელი ნემსაურს სჭერია და მისთვის უთხოვია ადგილი.“

ნემსაური შეძლებული კაცი და შვილმკვდარი მამა ყოფილა.

ივრის ხეობელ ოჩონელს მოუკლავს მისი ერთადერთი ვაჟი.

„თუ ჩემი შვილის სისხლს აიღებ, მუქო შენთვის დამითმიაო“ – უთქვამს ზვიად-აურისთვის გამწარებულ მამას.

მოუკლავს ზვიადაურს ოჩონელი და სისხლის ფასად დარჩენია მუქო მის შთამომავლობას.

იქ – მარტო წონკოლაურები ცხოვრობენ და „პატარა გვაროვნულ ფრატრიას წარმოადგენდნენ.“

მასში შედიოდნენ: – ბერანი, ხუმარანი, ცქიფანი, ხადილანი, ბანანანი და მამუკანი.

„ამ ფრატრიიდან ზოგი თურმანაულების ძმადნაფიცია – გოგოლაურების ხატისა“ (გ. თევდორაძე).

*

მუქოს თავზე მდებარე ფერდობზე, ძველ ნასოფლარში, სახალხო გმირის – სუმელჯის ციხის ნაშალია შემორჩენილი. ის თურმე, – თალისძის სარდლობით შემოჭრილ თუშების ეომებოდა.

იანვარ წონკოლაურს – ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში უსახელებია თავი: – „იანვარ წონკოლაურო, შვილდ ძალზე გეზიდებისა, ელიზბარ ფოცხვერაშვილო, ხმალ გაჭერ გეუბნებისა, ერისთვის აზნაურებსა ყორნებ ბწკლით ეზიდებისა“ – გვამცნობს სახალხო მთქმელი.

გვარის კიდევ ერთ სახელოვან წარმომადგენელს, ლონიერ წონკოლაურს – ვაჟა-ფშაველა „ფშავ-ხევსურულ ავ-კარგში“ მოიხსენიებს.

*

წონკოლაურთა „საერთო გვარში“, ანუ, წონკოლაურთ თემში შედიოდნენ: – პაპიაშვილები, ხადილაშვილები, ცქიფაშვილები, ლომაშვილები (არბაჩხანი), ღუბიანურები, ფოცხვერაძეები, მწარიაშვილები, ქავთარაშვილები, ჩოხელაშვილები, სალირაშვილები, მალალაშვილები (ინო), ზარავანდაშვილები, ხუმარაშვილები (ხეობა, არბაჩხანი), ლაშქარაშვილები, ხულიაშვილები, დავითაშვილები, მამუკაშვილები (ნოჯა), სვიმონიშვილები, ლეგაშვილები, მამისიმედაშვილები (ხეობა). ამათგან, ზოგიერთი გვარი ძირად წონკოლაურია, ზოგიც, სხვადასხვა მიზეზით მოსული და მათთან შეკედლებული (რ. თოფჩიშვილი).

1876 წელს – გ. რადემ, მუქოში – 6 კომლი აღრიცხა;

1886 წლის აღწერით: – წონკოლაურების – 3; მოყვარაშვილების – 2; ცოცხალაურების, მახარაშვილების და გურგენიძეების 1-1 კომლი სახლობდა (სცსა, ფ. 254, აღნ. III, დოკ. 1746).

1934 წელს – 6 კომლი (23 სული) დარეგისტრირდა: – წონკოლაურები და მთიბელაშვილები.

1973 წელს – გ. ხორნაულმა აღწერა 3 კომლი (12 სული) – წონკოლაურები და ბალიაურები.

დროთა განმავლობაში, წონკოლაურთ თემის მოსახლეობამ მიგრაცია დაიწყო: – წინაფშავში (ინოსა და არბაჩხანში); არაგვის ხეობის მთისწინეთში მდებარე ნოჯასა და ხეობაში; თიანეთის რაიონის სოფ. ჩაბანოში. პანკისის და ბოჭორმის მიმდებარეომარაულის მცხოვრებნიც – მუქოდან არიან წასულები.

XX ს-ის 90-იან წლებში, მუქუში, წონკურაულები უკვე აღარ ცხოვრობდნენ. „ამ ათიოდე წლის წინ, ხეობაში გადასახლდა მათი უკანასკნელი 2-3 კომლი“ (ვ. ბარდავ-ელიძე).

მუქოში – ისევ გოგოლაურები დასახლდნენ.

ხეობაში მიგრირებული მამისიმედაშვილები ძირად ფშაველი გოგოჭურები (ცა-

ბაურიშვილები) უნდა იყვნენ. 1886 წლის აღწერით – ხეობაში, ორი ნებისმიერი დაფიქ-სირებული: ერთში – ორტოლაშვილები, კარიაულები, კობაიძეები, ჩოხელები და გულმაღარაშვილები სახლობდნენ (სულ, 11 კომლი, 27 მამაკაცი და 32 ქალი). მეორე ნებისში – მხოლოდ ცაბურაშვილების 5 კომლია დაფიქსირებული, 13 მამაკაცი და 10 ქალი (სცსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1814).

*

წონქოლაურთა სათემო სალოცავი – „მოხარნადე ლვთისმშობლი“, მუქოს მიმდებარე მთის დავაკებაზეა განთავსებული. მის ტერიტორიაზე მდგარ ხეებს ხემხვივანს უწინდებენ (უმეტესობა იფებია). ამბობენ რომ, მათი გაშენების ტრადიცია, კონკრეტულ მიზეზს – ერთი ავადმყოფი წონქოლაურისთვის სამადლოდ დარგვას უკავშირდება.

ცნობილი ხევისბრების – ბენინა გოგოლაურის და პეტრე კუნაშვილის ცნობით, „უწინდელს დროში,“ ხატი უფრო ზემოთ, გორზე, იყო დაბრძანებული, სადაც – თავისი „საარსოს“ ბოლოს, საკუთარი წყარო ჰქონდა.

ხატამდე – სადაც ალმართი თავდება, პატარა შენობის ნანგრევია, რომელსაც „ძველ ეკლესიას“ ეძახიან.

ახალი ეკლესია – გალავნის შიგნით დგას – ადგილობრივ მღვდელს, გვარად წონქურაულს აუგია.

მის შთამომავლებს საერთო სახელით – „მღვდლიანით“ მოიხსენიებენ.

სამთო – წმინდა გიორგის სალოცავი, მუქოს გადაღმა, ე.წ. არყოვნის თავზე იყო განთავსებული და ყორით ნაგებ პატარა სასანთლე კოშკს წარმოდგენდა.

*

წონქოლაურთ თემიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები.

ერის საამაყო და სამაგალითო ქალბატონია, თხილიანაში მცხოვრები ირმა ცქიფაშვილი – 10 შვილის დედა – შუაფხოს სკოლის დირექტორი.

დავით წონქოლაური – საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსია.

წონქოლაურები თემს წარმოადგენენ: –

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი – ფიქრია წონქოლაური.

ცნობილი სამართალდამცავი და სპორტსმენი (ძიუ-დოისტი), მცხეთის რაიონის შესამმართველოს ყოფილი უფროსი, ბესიკ წონქოლაური.

პოლიციის პოლკოვნიკი (სპორტსმენი-მძლეოსანი), დავით წონქოლაური – საქართველოს შსს ბრაკონიერების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ყოფილი თავკაცი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – გიორგი წონქოლაური.

უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი, გივი ღუბიანური – საექსპერტო-კრიმინალისტური სამმართველოს ყოფილი უფროსი. მისი ქველმოქმედებით აღორძინდა – მოხარნადე ლვთისმშობლის სათემო სალოცავი.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამ-მართველოს უფროსი – ელენე ლუბიანური.

ზურაბაულთ (მათურელების) თემი

თემის ფუძე სოფელი, მათურა – ხეობის სიღრმეში – შუაფხოდან 5 კმ-ზე მდებარეობს, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე მათურულას (მათურხევის) ორივე მხარეს.

ძლიერი თემ-სოფელი ყოფილა; სიმამაცით განთქმული – „ბევრის დარ-ავდრის გადამყრელი“.

„წინავ, აქ, სამოც-ოთხმოცი კომლი ყოფილა და მაგრებიცა ყოფილან ზურაბაულთ მამა-პაპანი.“

ერთხელ, როცა სოფლის კაცები – „მარიამ წმინდაში“ ღამისთვით ყოფილან, მაშინ დასცემიან ხონვლები – „ლამურონი და ხაიაურნი“ (ძირად ქისტები), „თორმეტი ხევისბერი მაუკლავთ და თას-განძი წაულიათ.“

როგორც ანდრეზი გვამცნობს: –

„იმ ლიტანიას საღამოს“, მდ. მათურულამ – „საოხომაო თორმეტი მშვილდი წამაილო“.

„ხატის მიზეზი დასდგომია“ მომხდეურებს – „შვიდ წელს აღარ გაემაკათ, თურმე, არც ძროხა, არც ცხვარი.“

„იძულებული გამხდარან – თავადვე ეთქვათ თავის დანაშაული...“

თემ-სოფელი – ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ფორპოსტი იყო.

(მათურის ულელტეხილი ერთმანეთთან აკავშირებს ხევსურეთის და ფშავის არაგვის ხეობებს).

„ზურაბი რო დასხმია, ვერა და ვერ გაუტეხავ“ ეს სოფელი. მაგრა დახვედრიან ფშავლები – ჭრელო თადიაურის თავკაცობითა... ამბის მამტანიც აღარ გაუშვიათ, ისე ამაუწყვეტიათ ისეები.“

სარკაზმით და სიამაყით აღწერს ამ ამბავს ფშაველი მელექსე: –

„ლაშქარნ რა უყვენ, ზურაბო, ნაგროვებ შვიდის წლისანი?

– ჩავყარენ მათურაშია, ამბავ არ ვიცი გზისანი,

ღოლოვნის ვაკეს შავრთენით თეთრი ფარები ცხვრისანი,

მათურელნ შამაგვეწივნენ, ლაღნი არწივნი მთისანი,

გვესროლეს კილონითელი მაკრატლიანნი ისარნი,

ჩაგვყარეს ტერელოშია ნაჭოთნი სიკვდილისანი,

მენაც გამაბეს მხარშია მაკრატლიანი ისარი,

ჩამოგვყენენ პიროფლიანნი ჯოგნი ნაშობნი მგლისანი,

გადავრჩი მარტუკელაი, არ დამრჩა ამბის მიმტანი.

ამ ბრძოლის შემდგომ: – „ი, ძალლი – ახადელი შავშალიკაი გამასძლოლია ზურაბის ჯარს... უთოვლო ზამთარი მდგარა და ხევსურეთზე გადმოსულან, მათურის თავზე. საგათენებოდ დასცემიან ხატში ღამისმთევლებს, დაურტყამთ ალყა. დარევიან უი-არალო ხალხსა, დიაც-ყმაწვილსა და სუ გაუწყვეტიათ...“

„ჭრელო თადიაური სალუდის სახურავზეით ამძვრალა, სიპ გადაუცურებავ და გაქცეულა...“

„მემრე, თურმე, გვარზე თითო კაცი გამაიყვანეს – ხევისბერები: განძი გვასწავლეთო...“

„იმათ არ გასცეს და ყველანი ჩამაარჩვეს...“

„ქობთსამალთ ვეძახით იმ ადგილს, ბახიას თავზე არი. იქა ჰქონიათ ხევისბერებს ჩადგმულ-დამალული ხატის თას-განძით სავსე სპილენძის დიდი ქობი... ი, მოღალატეს აზრითა სცოდნია ეს, წასძლოლია და მიუვნავ...“

„კაცი გათავებულა მაშინ მათურასა... მარტო სამი-ოთხი მეცხვარე გადამრჩალა – კახეთს ცხვარში წასული. ერთიც კიდენ, მუქული ქალი თავის (ხუციანთ) ვაჟითა – მამისახლში წასული.“

„რაღას იზამდა მარტუა თადიაური. ზედაც დიდი თოვლი მოსულა და იმ ზამთარს მათურაში დამრჩალა. ცოდვა-ჭირით გასულა იოლას. მემრე – ქისტეთში გადასულა – ძმად გაჰვიცვია იქაურებს და სოფ. ფოლაში დასახლებულა.“

აუშენებია საკუთარი ციხე. „იქაურ ქალი შაურთავ (ძუდაი)“.

შვიდ წელს ყოფილან იქა და სამი ვაჟი შესძენიათ: – თადია, ხიბლა და ბაჩუა...

„ქისტეთიდან გამოპარულა, მემრე, მთელი ოჯახი.“

„მათურაში დაბრუნებულან და საკუთარ წაფუძარზე დასახლკარებულან.“

მშობლიურ სოფელს დაბრუნებია – მუქოში „დამრჩალი“ დედა-შვილის (ხუციანთ) ოჯახიც.

„მემრე, თურმე, სხვებიც მობრუნდნენ და მათურა, თანდათან, ისევ აშენდა...“

გადმოცემის თანახმად, ქისტეთიდან გამოქცეული ჭრელო თადიაური – განაწყენებულმა ცოლეურებმა მოკლეს.

ახალწლის ღამეს ხატში მიუხტნენ – მარტოდმარტო ღამისმთეველ სიძეს.

განძის სამალავი არ გათქვა ვაჟკაცმა – ბრძოლით შეაკვდა მომხდურთ.

თანასოფლელებმა – ხატის დარბაზთან დამარხეს.

ჭრელოს უფროსმა ვაჟმა, თადია თადიაურმა – სახალხო გმირის სახელი დაიმკვიდრა.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მას „თხისტყავიანის“ ეპითეტით მოიხსენიებენ – რადგან ჯაჭვის პერანგს – გარედან, თხის ტყავი უფარავდა.

ლექსებისა და გადმოცემების მთელი წყებაა მის შესახებ შემორჩენილი.

ხალხური ბალადის („შატილს გადიდდა ხოხობი“) – მთავარი პერსონაჟია.

როგორც თ. რაზიკაშვილი გვამცნობს – თადიას თემთან კონფლიქტი ჰქონია; „მოკვეთილი ყოფილა და სოფლიდან გაძევებული“.

მიზეზად – სიყვარულის ინტრიგა სახელდება.

ამბობენ, რომ: – „მაგარ გმირ ყოფილა, სახელიანი.“

„იმას გამაუხსნავ ახადელი გოდერძის ქალი – ქისტი ხოხობის შვილებ რო ამოუხო-ცავ მარტუასა: –

„შვიდთ მურგვალთ შამაუარა,

შვიდთავ თავ დასჭრა წამზედა,

აჰყარა იარაღები, მკვდარი შაჰყარა მკვდარზედა,

ქალს თავის ფრანგულ შააბა, უთხრა: მშვიდობით გზაზედა,

აქამდი ნაძრახნ ვიყვენით, ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა,

ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, ნუ გამფენ ქვეყანაზედა!“

*

იმასაც ამბობენ რომ: – აღნიშნულის შემდგომ, თადიამ – ლეკთა ტყვეობისგანაც იხსნა თავისი დად-ნაფიცი, ახადელი გოდერძაულის ასული, თინა (განსხვავებული ვერსიით – ხორეშანი).

თორმეტი ლეკი შეეწირაო ამ ამბავს.

თორმეტი დაბმული ცხენი დარჩაო – გოდერძათ კარზე.

დიდი ხმა დაირხა თადიაურის ვაჟკაცობაზე.

არც მტერი დაელია.

ცილისწამებით იქნა თემიდან გაძევებული.

თავის სოფელს მაინც დარაჯობდა – იქიდან მოკვეთილი ვაჟკაცი.

იცავდა გარეშე მტრებისგან. „თავს უვლიდა ფშავის მთებს.“

მის ძმადნაფიცს – ხალაისძეს (სახალხო გმირსაც): – „ველარა უქნავ, ველარსაით მიჰშველებია.“

„აბა, თემის გადაწყვეტილებას რაღას უქამდა.“

(„თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა!“).

„სულ იმის ცდაში იყო, როგორმე სოფელს გული მებრუნებინა თადიაურისკენ. მათურაზე წამოსული მტერი თვითონ ამოწყვიტა, მაგრამ სოფელს უთხრა – თადიაურმა გადაგარჩინათო („სახელი აჩუქა ძმადნაფიცს“)...“

ბოლოს, როგორც იქნა, „გაირკვა, რო თადიაური ცამდე მართალი იყო.“

„შეწუხდა სოფელი. იყიდეს ხარი და შემოირიგეს.“

ამბობენ, რომ გმირულად დაიღუპა იგი – ერეკლეს გვერდით.

მეფის ნაჩუქარ მის საომარ აღჭურვილობას, როგორც უძვირფასეს განძს – დიდხანს ინახავდნენ მისი შთამომავლები.

*

„ძნელია თქმა, მართლა ერეკლე II-ს თანამედროვე იყო თუ არა მებრძოლი თადიაური, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბალადა „შატილს გადიდდა ხოხობი“ შექმნილი უნდა იყოს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, არაგვის ხეობაში ზურაბ ერისთავის შემოსევიდან ერეკლე მეორის ხანამდე. უფრო ადრე ამ საგმირო ლექსის შექმნა გამორიცხულია“ (ტ. მახაური, ქართული ხალხური საგმირო ბალადა, 2003 წ.).

გ. თევდორაძის ცნობით: –

„სოფ. მათურაში მთავარი გვარია თადიაური, ცხრა ტოტად გაშლილი (თადიაური, ხუციანი, გახუტელანი, წითელაური, ბერუანი, თუთულანი, ბაჩუანი, ჯარიანი და ცინგლანი).“

„რომელ ტოტში რამდენი თაობაა, ვერ გავიგეთ. ამიტომ ყველანი ერთ გვაროვნულ ფრატრიაში მოვაქციეთ.“

„ამ ფრატრიაში შემავალი ზოგიერთი გვარი წარმოშობით უცხო ტოტისაა...“

„მათურის კარგა მოშორებით არის სოფ. ბახია. იქ ორი კომლია ქისტაურების განაყარნი, სოფ. შუაფხოდან წამოსულნი, გვარად ელიზბარაშვილი.“

„ბახიას ახლო, სადღაც მთის ძირში, სახლობს ერთი კომლი – გიორგი ხუციშვილი,

განთქმული მოშაირე. გადმოსახლებულია სოფ. ქუთხიდან, სადაც მისი ძმა ცხოვ-რობს" (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930 წ.).

აღნიშნული გვარების გარდა, მათურელების თემში შედიოდნენ: – სალირაშვილები, მამუკაშვილები, ციხელაშვილები, მათურელები, ლიჯურაშვილები, მაჩურიშვილები, თალაურები...

ისინი 3-4 კომლებად ბინადრობდნენ, ამჟამად უკვე ნასოფლარებად ქცეულ, ზურაბაულთ თემის სხვა სოფლებშიც: – ქუჯას, ჭეჭყეთს, ბახიას, ჩხუბას, ჭალი-სოფელში, მალაჩში, მუჯას, ბროლაში და სამთო ადგილას – საყაჭეზე.

ჭალისოფელი მათურას უბანი იყო არაგვის თავზე, კოპალას ქვიდან ბეშახევამდე.

ქუჯა (ქუჯი) – ნასოფლარია მათურასთან მდებარე გორზე, ხატის მარჯვენა მხ-არეს. იქ: – დიდი ფიჭვის ხე დღას (ე.წ. „შალვათ ფიჭვი“) ერთადერთი – მთელს უკანაფშავში. „როდინდელია, ვინმესგან დარგული თუ თავისით ამოსული – არავინ იცის“ (გ. ხორნაული).

მათურელთა თემის მიგრაცია მოხდა: – ყოფჩაში, ბზიკურთაში, ნეძიხში, ერწოს სოფელ ომარაანსა და უებოტაში.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, მათურელები – XVIII ს-ის დასაწყისში გახდნენ უე-ბოტის მკვიდრნი. ამავე სოფლიდან ჩამოსახლდნენ – დოლიაშვილები, ივანაურები, ბადრახიშვილები, გულოშვილები და აკობაშვილები.

ერთ დროს, უებოტას – მათურიანთკარსაც (მათურელებსაც) უწოდებდნენ.

ერწოს სოფელ ომარაულში, ამავე პერიოდში გადმოსახლებულან მათურიდან: – ზურაბაულნი, ფუნჩიაშვილები, ხუციშვილები, ქისტაურნი, მაჩურიშვილები, ხიბლაშ-ვილები, გახუტელაშვილები, თადიაურნი, გუგეჩაშვილები, ტარტიკახელნი და ლი-ჯურაშვილები (რ. თოფჩიშვილი, ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია...).

უებოტის სიახლოვეს, ნასოფლარ იხინჭის მიმდებარედ – მშრალი ხევის მარჯვენა მხარეს – ლაშარის ჯავრის ნიშია, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ძირად მათურელები არიან ხევსურეთის სოფელ ხახაბოში მცხოვრები მინდიკაურები.

იქ არის მათი მამა-პაპის ნაქონი ქავციხე.

სამი ძმანი წასულან მათურიდან: – ერთი ხახაბოში დასახლებულა, მეორე – ხახ-მატში, მესამე – გუროს.

ხახაბოში დასახლებულის შთამომავლები – მინდიკაურები არიან; ხახმატში დასახლებულისა – ალუდაურები; გუროში დასახლებულები – გოგოჭურებად იწერებიან.

*

1876 წელს, გ. რადემ – მათურაში, 50 კომლი აღწერა;

1934 წლის აღწერით 27 კომლი (134 სული) დარეგისტრირდა: – ხიბლაშვილები, წითელაურები, ხუციშვილები, ზურაბიშვილები, თათარაშვილები, ქისტაურები, ბაჩუ-აშვილები, გახუტელაშვილები, თადიაურები და წოწკურაულები.

1973 წელს გ. ხორნაულმა აღწერა 4 კომლი (24 სული): – თადიაურები და ხიბლაშ-ვილები.

XX ს-ის 80-იან წლებში მათურა მთლიანად დაცარიელდა.

90-იან წლებში, ხატის დანაღების გამო, ოჯახთან ერთად დაბრუნდა, წინამურში მცხოვრები სიკო თადიაური.

*

მათურას სიახლოვეს, პატარა ველია – მადლსათხოვარს ეძახიან.

იქიდან პირველად ჩნდება ზურაბაულების მთავარი სათემო სალოცავი – მათურის (იგივე ჯიხურთის) მთავარანგელოზი.

კაცები, იქ, ცალ მუხლზე იჩოქებენ, ქუდს მოიხდიან, პირჯვარს გადაიწერენ და ლოცვას ალავლენენ.

იქვეა „ალექსის წყარო“, რომლის თახჩაში შესმულ ქვაზეც – ასეთი წარწერაა:

– „ვარ მე ალექსი გედეხაური ხვთისოს ძე, დანო და ძმანო მაღირსეთ შანდობა, წყარო ამიშენა დედამ 1924 – 1943 წ.წ.“

გ. ხორნაულის ცნობით: –

„ეს ბიჭი ომში წასვლას თავარიდებული ყოფილა.“ ღალატით მოუკვლევინებია მილიციას ნათესავისთვის. დედას ჩუმად დაუსაფლავებია, მაგრამ, მილიცია რომ მოსულა, „თავისი ხელით ამოუთხრევინებიათ, ზურგზე წამოუკიდიათ და შუაფხომდე ჩამოუტანინებიათ, 15 კმ-ზე“.

*

მთავარანგელოზის ხატი – ქუჯას და წითელაურთის ალმოსავლეთით მდებარე მაღალ გორზეა განთავსებული.

მის შემადგენლობაშია: – საბერო, საზარე, საკვირაო, ბეღელი, სალუდე, საჯარე და სხვ. ნაგებობები.

საზარეში – 1880 წლით დათარიღებული ზარი ჰკიდია.

მისგან ჩრდილო-ალმოსავლეთით, ორი დიდი ციხე-კოშკის ნაშალია შემორჩენილი.

ხატის გალავნთან ერთი იფნის ხე მდგარა – „ცოცხალ-მკვდარი“... ეგ იფნიო – ამბობდნენ მოხუცები, „ორასი წლის ცოდვიანიაო... ფოთოლსაც ისხამს, კიდეცა სცვივა, მაგრამ არ იზრდება, იმათ რო ზედ სამი ხევისბერიაო ჩამამრჩვალი...“

სათემო ხატის თავხევისბერობა ხუციანთ გვარს მოუდიოდა.

მეზარე, მედროშე და სხვ. ხევისბერები სხვა გვარებიდან იყვნენ.

მათურელთა სასოფლო და საგვარეულო სალოცავები – ღვთისმშობლის სამი ხატით არის წარმოდგენილი: –

ვანხევის მახლობლად მდებარე მარიამ წმინდა დედალვთისმშობლის სალოცავს, მხოლოდ სასანთლე აქვს;

ჭალისოფლის მიმდებარე ვაკის დედალვთისმშობელს – სასანთლე და დარბაზი;

მათურხევის დედალვთისმშობლის ხატი წარმოდგენილია: – კვრივით, ციხით და ხატისგან დაჭერილი ნასახლარით – სადაც, გადმოცემის თანახმად, მათურის პირველმოსახლე, ხუციანთ გვარის კაცი მდგარა. ნაგებობებს ყორის გალავანი აქვს შემოვლებული. გარეთ – დედალვთისმშობლის სასანთლე კოშკი დგას.

მათურელებს ორი სამთო სალოცავი ჰქონიათ: – საყაჭის სვეტის ანგელოზის სასანთლე კოშკი და არყოვნის თავის წმინდა გიორგის სასანთლე.

*

მათურელთა თემის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა კაი ყმის სახელი: – ხალხურ მეხსიერებას შემორჩა – ლაშარის ერთგული, ხალხის დამცველის და სინდის-ნამუსიანი მეომარის – ჩონთას სახელი.

ტუნკით ივანეც – ცნობილი ვაჟკაცი იყო;

ნიჭიერი მოლექსე და სანაქებო ხევისბერი ყოფილა ფუნჩია, „თემის ბრძენი თავკაცი – ცხოვრების ავ-კარგზე რიგიანად დაკვირვებული“.

ბოლოს, სიბერეში უთქვამს საკუთარ თავზე: –

წუთისოფელ წამივიდა,
გამიარა ქარივითა,
შამამაცვდა ჯეელობა,
ფეხზე ცხენის ნალივითა...“

*

ზურაბაულთ (მათურელების) თემს წარმოადგენენ: –

საზოგადო მოღვაწე, პროფესიონალული საქმიანობის აქტივისტი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე – ეთერ მათურელი.

ცნობილი სპორტსმენი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი სამბოში – ანზორ ზურაბაული.

გიორგი დოლიაშვილი საქართველოს ჩემპიონი იყო კრივში.

გოგოლაურთ თემი

თემის ფუძე სოფელი, გოგოლაურთა – ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მათურხევის და მდ. ნაროულის შესართავთან – ზ.დ. 1450 მ-ზე.

დიდი და ძლიერი ყოფილა გოგოლაურ-თურმანაულების (თუ, თურმანაულ-გოგოლაურების) საერთო ძალისხმევით შექმნილი გოგოლაურთ თემი.

„თითქმის, ნახევარი ფშავი აქედან არის გამოსული.“

მისი სოფლები (თურმანაულთა, გოგოლაურთა, ჯიგრაულთა, ხიშმუ, ჭაფნაგა, ზარისჭალა, ბინდაურთა, კადაჩალი, ხადო) – არაგვის გაღმა-გამოლმა იყო განფენილი, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს.

თემის შემადგენლობაში შედიოდა „მთლიანად მუქუ და მოკვერათკარიც“.

შემდგომში, როცა თემის გასაძლიერებლად ხევსურეთიდან მოყვანილი – წონკურაულთ წინაპარი (წონკურა) – ძმადშეფიცულა გოგოლაურებთან, მუქუს ადგილები მისთვის მიუციათ.

ზემოაღნიშნული სოფლების უმეტესობა, დღეს – ნასოფლარებად არის ქცეული.

მრავალს მეტყველებენ გ. ხორნაულის მიერ იქ თავმოყრილი ტოპონიმები: –

„კადაჩალის“ ნასოფლარი, „ზენაულთა“ და „თოხაურთა“ უბნები;

„ბუდურათ“, „ღრუბელათ“, „ხოვლების“ და „თანდილათ“ ნასახლარები;

„თურმანაულთა ძველი ნასოფლარი: – ნანგრევები, იფნები, ხატი...“

„ჯიგრაულთა ნასახლარები“ – ძველი უბანი („ლიგანგა“), სადაც, 1873 წლის აღ-ნერით, ბალიაურები სახლობდნენ;

„ყარტაულთ“ საცხოვრისის ნანგრევები;

„ბაინდურთ“ უბანი, არაგვს გალმა (სადაც 1973 წელს ორი მოსახლე – შეთე ხოხ-ონიშვილი და ნიკო ნაცარაშვილი ცხოვრობდა).

„ბაიათ“, „ჩიტუათ“, „გოჯიტათ“ და „ბერიძის“ მამულები;

„ზარისჭალა“ – უბანი ციხეგორის დაბლა, არაგვის პირზე – სადაც ხატის შუ-რისძიების ნიაღვარმა ზარი ჩაიტანა;

„ვაჩეთ“, „მთიბელაის“ და „შამშალაურთ“ წყალი;

„ჭაფნაგა“ – უბანი კლდიან გორზე, სადაც მგელა-ციგათ მამაშვილობის (მგე-ლიაშვილების) თავდაპირველი საცხოვრისი იყო;

„ვერძაულთ გორი“, „მახაურთ ახო“ და სხვ.

*

გოგოლაურთა ერთიანი თემი – სხვადასხვა გვარების შეყრა-შეფიცვით არის შე-ქმნილი.

თავკაცები ამით ცდილობდნენ მის გამრავლება-გაძლიერებას.

„ხალისით იერთებდნენ ამანათებს და „მოყვანილთ“.

დროთა განმავლობაში მათთან გაერთიანდნენ: – სოფ. ყოფჩაში მცხოვრები ნაყ-ეურები; ხევსურეთის სოფ. გიორგინმინდადან გადმოსახლებული ხახონიშვილები (ხახ-ონი); თუშეთიდან ამანათად მოსული კუნაშვილები (კუნანი, იგივე სულხანიშვილები); დალესტნელი ტყვის შთამომავლი მახაურები (განსხვავებული ვერსიით ისინი მითხო-დან, ჩეჩინეთის მელხესტის თემიდან არიან მოსულები)...

კაკაბლიშვილები გარე კახეთიდან მოსულან; ჩიტოშვილები (ჩიტონი) დვალეთი-დან; კაკუჩანი და თაკვანი – ხევიდან; ჯიგრაულები – თუშეთიდან. წონკურაულნი – სოფ. ბლოდან და გიორგინმინდადან; კოფანი – გუდამაყრიდან.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

კაკაბეთში, ბატონს – კაცი შეუბამს კევრში. ამის გამო, მის ძმას – თავი მოუჭრია ბატონისათვის.

გამოქცეულან ძმები და ფშავის სოფ. კუდოში შეხიზნიან გოგოლაურებს.

მათი მოდენილობა, დღეს – კაკაბლიშვილების გვარს ატარებს.

იაკ. ახუაშვილის ცნობით, ქისტეთიდან მოსულან და გოგოლაურთ თემს შეხიზ-ვნიან ლადურნი (იგივე გოჯიტანი), თანდილანი და მუშტანი – რომლებიც ხიშმუში დაუსახლებიათ.

გოგოლაურთ თემში შემოხიზნულან – სხვა მამების თუ საძმოების გვარ-სახელე-ბით ცნობილი – თემის სხვა მდგენელთა წინაპრებიც – ნებით მოსულები თუ დაპყ-რობილები.

*

1873 წლის აღნერით, გოგოლაურთაში – 15 კომლი სახლობდა (გოგოლაურები, ნადირაშვილები, ყაყიჩაშვილები, უჭყუაშვილები, ბადაშვილები, ძუგარაშვილები და საღირაშვილები).

1934 წელს – 21 კომლი დარეგისტრირდა (68 სული): – თურმანაულები, სულხანიშვილები, ნადირაშვილები, ბალიაურები, მგელაშვილები, ბეყოშვილები, ბადურაშვილები, ბუთხაშვილები, თანდილაშვილები, ყინწაშვილები და ხახონიშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 4 კომლი აღრიცხა (24 სული): – ლომნიაშვილები, თურმანაულები და მგელაშვილები.

*

გოგოლაურების ერთიან თემს გ. თევდორაძე – ორ, თურმანაულების და მახაურების ფრატრიად ყოფს.

თურმანაულები 5 საგვარეულოდ აქვს დაყოფილი: – ლადურნი, ბეყონი, თურმანაულნი, ბრიყვანი და ლურბელანი.

1. ლადურნიდან მოდიან თანდილანი;
2. ლურბელანიდან – თაგვანი.
3. ბეყონიდან: – ხადიანი, ნაცარანი, საფარანი და ჯანანი;
4. ბრიყვანიდან: – ნაროზანი, უჭყუანი, ქაჯმეფენი და გარანი;
5. თურმანაულებიდან მოდიან: – უგონურნი, საბადურანი, ბრიყვანი, სულხანანი, მაჩურიანი, თალანი, წელანი, ბლავანი, კაჭაროზანი, იანვარანი, ჯაბანანი და ლონიერანი.

მკვლევარის თანახმად: – გოგოლაურთაში სახლობს სხვადასხვა მოდგმის კიდევ 10 გვარი, ათი განაყოფი (მახაურნი, მგლიანი, ტუნტურიანი, კაკაბელნი, საყვარელანი, ჩიტუანი, ბუდურანი, ხახონი, ჯიგრაულანი და გიგაურნი). ავტორი მათ მახაურების ფრატრიაში აერთიანებს და 4 საგვარეულოდ (მახაურებად, გიგაურებად, ჯიგრაულებად და ბუტურანად) ყოფს.

აღნიშნავ იმასაც რომ: – ისინი თურმანაულების ფრატრიაში შედიან არა სისხლის ნათესაობით, არამედ ერთი ხატის ყმად შეფიცულობით.

1. მახაურებიდან მოდიან: – ხახონი, მგლიანი, ჩიტუანი, ტუნტურანი, კაკაბელნი და საყვარელანი.

2. გიგაურთ განაყარები არიან: – წონკურანი, მღვდლიანი და ცქიფანი;
3. ჯიგრაულნიდან მოდიან: – ბალიაურნი, ნადირუანი და ყაყიჩანი.
4. ბუტურანს – განაყოფი არა ყავთ.

„ყველა ესენი... სხვადასხვა ჩამომავლობისანი არიან, მაგრამ ერთი ხატის ყმად შეფიცულებად ითვლებიან... ამიტომ ერთი ხატის ფრატრიად შეიძლება რომ ჩავთვალოთ.“

„რამდენიც ახალი, უცხო გვარის კაცია შეხიზნული და ხატს შეფიცული – სოფ. გოგოლაურთაში იმდენი სამანია ჩაყრილი (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევ-სურეთში, 1930 წ.).

გოგოლაურები

მკვლევართა ნაწილის (გ. თევდორაძე, გ. ცოცანიძე, იაკ. ახუაშვილი) თანახმად, გოგოლაურთ თემის ორ ძირითად გვარს, გოგოლაურებს და თურმანაულებს – საერთო წარმომავლობა არა აქვთ. „თურმანაულთა გვარი გოგოლაურთ თემში შედიოდა და არა მათ გვარში.“

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ისინი – ერთი საერთო შორეული წინაპრისგან მოდიან.

გადმოცემის თანახმად, უკანაფშავში სტუმრად მისულ ქისტებს – გოგოლაურების ერთი (მასპინძელი) ოჯახი ამოუწყვეტია. გადარჩენილა ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცი – სახელად თურმანი, რომელსაც თანასოფლელებმა ახალგაზრდა ქვრივი შერთეს. მათ შთამომავლებს გაუგვარებიათ მამის სახელი, თურმანაულებად დაენერნენ – ანუ, „მოხუცი გოგოლაურის სახელი თურმანი (თურმანა) დასდებია სათავედ თურმანაულთა საგვარეულოს... ამიტომაც, ყველა თურმანაული გოგოლაურიცაა, მაგრამ ყველა გოგოლაური არ არის თურმანაული...“ (ირ. გოგოლაური).

ქუბრიაშვილების ძირი გვარიც გოგოლაურია.

გადმოცემის მიხედვით, სამ გოგოლაურ ძმას – ხატში რაღაც დაუშავებიათ. ორი მათგანი, ამის გამო, ჭირს მოუკლავს; მესამესთვის – მარჩიელს უთქვამს: „წადიო!“ და ის – ბულაჩაურთან ჩამოსახლებულა.

„ქუბრია რემევია იმ კაცსა.“ მის შთამომავლებს გაუგვარებიათ ქუბრიაშვილობა.

ერთი მთხოვნელის თანახმად: – გელაშვილებიც წამდვილი გოგოლაურები არიან; ლომიაშვილები კი, მოსულები. ისინი, ადრე, მამიაურები ყოფილან.

ამბობენ რომ: – სამმა გოგოლაურმა ძმამ: – ჩიტუამ, სალირამა და ნადირამ – დაუდო სათავე სამ ახალ გვარს: – ჩიტუაშვილს, სალირაშვილსა და ნადირაშვილს....

*

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ხევსურეთის საფელი „ბისო სამჯერ გათაულა მტრისაგან თუ ავადმყოფობისაგან. ბოლოს ერთი ბალლიდა დარჩენილა ცოცხალი – უპატრონოდ! ამ ამბავს შესწრებია ერთი გოგოლაური მეცხვარე; აუყვანია ეს ბალლი, წამოუყვანია და გოგოლაურთაში გაუზრდია.“

ბიჭი რო დავაუკაცდა, წამოიყვანა, თურმე, და თავის ნაფუძვარში დაასახლა.

იმ ობლიდან მოდიან, თურმე, დღევანდელი ქეთელაურები.

„ამ საშვილიშვილო სიკეთისთვის, სალუდე დარბაზის წინ – მათ „საწინაო სკამი დაუდგეს გოგოლაურებს.“

„მოუტანიათ ქვა და ბისო-ხახმატის მთავარ ჯვარში დაუდვიათ!“

*

გოგოლაური – დიდი ტრადიციების მქონე ისტორიული გვარია.

ბევრი მათი კაი ყმის სახელი შემოინახა ხალხურმა მეხსიერებამ: –

სამ გოგოლაურ ძმას: – „ლომს, ხუზაურსა და მესამე – კოჭლს“, თავი უსახელებია ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგივე ძმები „მაჰშველებიან“

მეზობელ თემს – როცა „მტრის ჯარ დასცემია ცაბაურთას.“

1659 წ. კახეთის აჯანყების დროს, ყიზილბაში დამპყრობების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავი ისახელა გმირმა გოგოლაურმა, რომელიც, ხალხური პოეზიის თანახმად, ფშაველთა რაზმის მეთაური იყო.

იმასაც ამბობენ რომ: – ამავე ბრძოლის მონაწილე თუში სახალხო გმირის, ზეზვა ფუნჩიას ძე გაფრინდაულის თავდაპირველი გვარი – სალირიშვილია.

(არიან როგორც თუში, ისე ფშაველი სალირაშვილები – მრავალფუძიანი გვარია გ.ქ.).

1747 წლით დათარიღებულ ერეკლე მეფის ერთ-ერთ განჩინებაში მოხსენიებულია ფშაველი გოგოლაური, რომლსაც მეფის მოურავის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის, მოკვ-ლის მცდელობისთვის – „თოთხმეტჯერ თექვსმეტი“ ხარის გადახდა დააკისრეს.

სახალხო მთქმელი – სახელგანთქმულ შალვა ხოშარელთან ერთად მოხსენიებს – ტუნტურ გოგოლაურს: –

„შალვა შავიდა შავეთსა, შავად შაალო კარები,

წინ ტუნტურ გამაეგება, მაართვა კელაპტარები...“

გმირად მოიხსენიებენ აგრეთვე ტუნტურის შვილიშვილს, ქურსიკს, რომელსაც, გრ. ორბელიანის ჯარში, შამილის წინააღმდეგ უბრძოლია და ჭარ-ბელაქანის მამა-სახლისი ყოფილა.

როგორც ირ. გოგოლაური გვამცნობს: – „ბევრი მწყემსის სისხლია დაღვრილი შირაქ-ტარიმანაში. ბევრი ბრძოლებია გადახდილი... ტარიმანა ქურსიკის ხმლით არის დაჭერილი...“

გმირი წინაპრების სიამაყით, გოგოლაურების ნაწილი – ტუნტურიშვილის გვარზე გადასულა.

*

გოგოლაურთ გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუდოში, გურამ გოგოლაური;

მრავალი მამულიშვილური საქმის ორგანიზატორი და მრავალმხრივი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ფშავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საუნჯის, ხუთტომეულის ავტორი – ირაკლი გოგოლაური; ლაშარის ჯვარის ნანგრევებად ქცეული კომპლექსის აღდგენის ერთ-ერთი თავკაცი და უშუალო მონაწილე, ალმანახ „პირომზის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ლამარა გოგოლაური;

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის – „ერი-სონის“, მუსიკალური ხელმძღვანელი, იური გოგოლაური.

40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თსსუ-ს ფარმაკოლოგიის კათედრის პროფესორი – მანანა გოგოლაური;

აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონი – ჯიუ-ციუში, სპორტის ოსტატი – ლევან გოგოლაური;

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, თამილა გოგოლაური;

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ზაქრო გოგოლაური;

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, თებრო გოგოლაური.
საქართველოს მრავალგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, გიორგი გოგოლაური.
ცნობილი პედაგოგი – ვლადიმერ (ლადო) გოგოლაური.

თურმანაულები

ერთი ვერსიის თანახმად: – გოგოლაურთ თემის თავდაპირველი მკვიდრნი, თურმანაულები ყოფილან (ანუ, თემი პირველმოსახლე გვარის სახელს არ ატარებს). მათ სჭერიათ სოფ. თურმანაულთა, ხიშმუ და არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები.

ამ გვარის წარმომადგენლები დგებოდნენ სათემო ხატის – ქმოდის წმინდა გიორგის ხევისბერებად და თავხევისბერებად.

მათი ეპონიმი, სახელად თურმანი, გადმოცემის მიხედვით, ბატონის უსამართლობას გამოქცევია ბარიდან.

მისი დავლათიანი (ლვთის ნიშნით გაჩენილი) შთამომავლები – „სამჯერ მისულან დალევამდე, მაგრამ არ დალეულან.“

ერთხელ, როცა მათი გვარი ოთხმოცი წლის მოხუცამდე დასულა – თემს, რაღაც უბედურებასთან დაკავშირებით, ხომელი თანდილაანების სამი კაცის ჩაქოლვის გადაწყვეტილება მიუღია.

სიკვდილმისჯილებმა – დახმარებისათვის თურმანაულ ბერიკაცს მიმართეს.

მისმა რჩევამ იხსნა – თურმე, სასიკვდილოდ განწირულები.

ამის სანუქფოდ, ანუ, მადლიერების ნიშნად, თანდილაანებმა – მოხუცს თავიანთი ქვრივი რძალი შერთეს.

მათგან აღორძინდა დალევამდე მისული თურმანაულების სამი ახალი მამიშვილობა: – დურაყანი, ბრიყვანი და გარანი.

დურაყათ მამიდან წარმოსდგნენ: – თალანი, კაჭაროზანი და ლონიერანი;

მომდევნო ორისგან, ერთი ვერსიის თანახმად, თერთმეტ-თერთმეტი მამა მოდის; მეორე ვერსია – ბრიყვასგან შვიდ მამას ითვლის; „გარათაგან“ – ექვსს.

გარა თურმანაული

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: –

„სამი თურმანაული ძმიდან უმცროსი – გარაი, ბეჩავი ყოფილა. განდგომილად დადიოდა, თურმე, ხატის მიდამოებში და თავისთვის ლაპარაკობდა... ყველა დასცინოდა. ქალს არავინ აძლევდა.“

ძმებმა – მგზავრს წაართვეს ცოლი და ისე მიჰვარეს.

თემმა „არ იყაბულა“ ადათის დარღვევა.

შეიკრიბნენ ლამარის ჯვარში და გარას ჩაქოლვის გადაწყვეტილება მიიღეს... ის კი – დავლათიანი აღმოჩნდა...

ზ. კიკნაძის ცნობით: –

თურმანაულთა საგვარეულოს „სახელოვანი – შეიძლება ითქვას, დავლათიანი წარსული აქვს. მისმა ეპონიმმა, თურმანმა, რომელიც, ანდრეზის თანახმად, ბატონის

უსამართლობას გამოქცევია ბარიდან, დააარსა როშკა-ქმოსტის საყმო ხევისბერეთში და ჯვარიც „აღმოუჩინა“ მას...“

„როგორც მონადირე, ჯვარჩინის მხილველი შეიქნა ჭიუხებში და ჯვარი, მტრედის ალით გამოცხადებული, მოჰვარა საყმოს. ეს იყო მისი დავლათი, რომელიც გადადის მის შთამომავლობაში, როგორც საკუთრება, და ეს ხდება ამ გვარის გაბუდაყების საფუძველი.“

„როგორც გარა არის გაბუდაყებული თურმანაულთ საგვარეულოდან, ასევე თურმანაულთა საგვარეულოა გაბუდაყებული გოგოლაურთა საყმოში, რომელიც, თავის მხრივ, გაბუდაყებულია მთელს ფშავის ხევში, ლაშარის ჯვრის თორმეტ საყმოში...“

„ჯვარი და საყმო არ „ხდენილობენ“ გაბუდაყებას, ამიტომაც ჯვარმა სამგზის მიიყვანა ცალკე თურმანაულნი, ცალკე გოგოლაურნი „დალევამდე“ (მიზეზად ანდრეზი წმიდობის დაუცველობას ასახელებს).“

„საყმო „ილეოდა“, მაგრამ რაღაც სასწაულით, კვლავ აღორძინდებოდა.“

„ანდრეზი მოგვითხრობს, რომ თურმანაულნი ჯვარმა ერთ კაცზე დაიყვანა, ოთხმოცი წლის ბერიკაცზე, რომელსაც სხვა გვარის წარმომადგენლებმა, მათადმი განეული სიკეთის საზღაურად, თავიანთი ქალი შერთეს. თურმანაულები მესამედ აღორძინდნენ, კვლავ გამრავლდნენ და იმ ბერიკაცისგან მესამე თაობაში იშვა გარა, აშკარად გამოხატული გაბუდაყების ნიშნებით...“ (ზ. კიკაძე, ქართული მითოლოგია, I, 1996 წ. გვ. 180-182).

იმასაც ამბობენ რომ: –

„რაღაც დანაშაულისათვის, ფშავის თერთმეტმა თემმა გოგოლაურებს ჩაქოლვა გადაუწყვიტა; მოაქუჩეს კიდეც საქოლავი ქვა, რომ დღეობა დღეს ყველანი ერთად ჩაექოლათ. ამ საქმეში მთელი პასუხისმგებლობა გარას ეკისრებოდა, როგორც განსაკუთრებული მეტობის გამომჩენს საგოგოლაუროში („მეტობას აკეთებს, თავს წავიდა“ – ასე ხასიათდება მთხრობელის სიტყვებით მისი ქცევა).“

„პირველი დარტყება მას უნდა მიეღო, მაგრამ გარამ თავის გვარისა და გოგოლაურთის სხვა ყმებთან ერთად გასტეხა მაისტი, ქისტების გაუტეხელი ციხე, რაც ქაჯავეთის გატეხას ედრებოდა და – გამორეკა იქიდან უთვალავი ცხვარ-ძროხა ლაშარის ჯვარისაკენ, რათა, წესისამებრ, ჯვარისათვის შეენირათ ნათავარი და მერე გაენანილებინათ ნადავლი.“

„გარას, თურმანაულებს და საერთოდ, გოგოლაურებს – ეს ქმედება დავლათში ჩაეთვალათ.“

ხევისბერებმა აპატიეს დანაშაული: –

„რაკი მაისტი გატეხაო, უთქვამს მათურის ხევისბერს: – მე ვირიგებო... დანარჩენმა თემებმა – თავად იციანო...“

„ვერცალა სხვა თემებმა ქნეს რამე“...

„შესანიშნავია ისიც, რომ მაისტის გატეხა პროვოცირებული იყო ლაშარის თავხევისბერის მიერ – მისდა უნებურად. გარასთვის, ჯერ კიდევ პირტიტველა ყმისთვის უთქვამს: – „აქაო, რა დიდი გულითა ხარო, რა, მაისტის ცხვარ-ძროხა მამიტანეო“?!“

ამ სიტყვებმა აანთო გარას სული, გაახელა „ნითელი ხარი“ და, როგორც თქმულება გადმოგვცემს, თხუთმეტი წლის ჭაბუკმა ხელი დაავლო ლაშარის ჯვრის დროშას, არაგვისაკენ დაეშვა, სამგზის იბანა არაგვში და დროშაც გაბანა. მერე ჯვარში ავიდა და ხალხს გამოუცხადა: – ქისტეთს მივდივარ, მაისტი უნდა გავტეხოო...“

ეს სრულიად დაუშვებელი საქციელი იყო – ხევისბერის ფუნქციის უზურპაცია, დროშის ხელყოფა. მაგრამ გარა არ ისჯება.

მან თავისი დავლათით გაამართლა, რაც გაბედა: – დროშით ხელში, როგორც ხევისბერმა და მეომარმა, გატეხა მაისტრი...

გარა გამონაკლისია, მისი გაბედვა არ არის ანდრეზად დადებული. მის საქციელს ვერავინ გაიმეორებს დაუსჯელად (ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, 1996 წ. გვ. 180-182).

გაბუდაყებულმა გარამ, სხვადასხვა გარიგებებით მიიმხრო ხევსურთა მომიჯნე გვარები – რომელებმაც ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე მდებარე სადავო ადგილები დაუთმეს და ლაშარის ჯვარში დაუსაკუთრეს.

მოგვიანებით ის მითხო-შატილს დაეცა; დაარბია თორლვა ძაგანისძის ყმანი; მოკლა შატილის ციხისთავი, ვარდან ჯალაბაური და დავლა-ალაფით გამობრუნდა უკან.

მისი ხევისბრობის უამს (სავარაუდოდ, XIII საუკუნეში), გოგოლაურთ თემის ზრდა – უფრო ინტენსიური გახდა: – ზოგი ტყვეების სახით შემოემატა, ზოგი ამანათად მოვიდა, ზოგი „მოყვანილი“ შემოუერთდა და თემი – რომელშიც ბევრი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი გაერთიანდა – კიდევ უფრო გამრავლდა და გაძლიერდა.

ამჟამად – თურმანაულები თბილისში, ახმეტის და დუშეთის რაიონში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 27 თურმანაული ცხოვ-რობს, თბილისში – 53, დუშეთში – 24 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გარაშვილები, რომლებიც – დღეს, ივრის ხეობაში – ლიშოსა და არტანში სახლობენ, „იმ ლეგენდარული ფშაველი გმირის, გარა თურმანაულის შთამომავლები არიან – თავისი დავლათით ლაშარის ჯვარს რომ ეჯიბრებოდა და ქისტეთიდან მორეკილ ცხვარსა და ძროხას უპოვარ-უქონელ მოსახლეობაში ანაწილებდა“ (ა. არაბული).

დღესაც ბევრი ლირსეული მამულიშვილი წარმოადგენს თურმანაულების გვარს. მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, მედიკოსები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები... (იხ. „მაღაროსკარის თემი“).

მგელიაშვილები

მგელათ წინაპარი – გადმოცემის თანახმად, კახეთიდან (სოფ. ბოდბედან) გამოქცევია ბატონს და ამანათა შესულა გოგოლაურთ თემში.

ბატონს მოუძებნია დაკარგული ყმა და უკან წაუყვანია. ის – ისევ ფშავში გამოქცეულა. ხელმეორედ მოჭრილ ბატონს, აღარ გაჰყოლია და – რაკი პატრონი ვეღარ იმორჩილებდა, დამასტეს ხატისთვის შეუნირავს – „მე ვერ დავიმორჩილე და შენ დაიყმეო“.

„მას შემდეგ დამასტურმა დაიჭირა მგელათ პაპა.“

„მას შემდეგ არის მაგათი გვარის თითო კაცი დამასტურის ხევისბერი.“

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისინი ჭაფნაგას დააყენეს გოგოლაურებმა.

*

ვ. ბარდაველიძის ცნობით: –

მათურხევში, ფშავის არაგვის მარჯვნივ მდებარე ფერდობზე მდგარ, დამასტუ-

რის წმინდა გიორგის ხატს – ხევისბერები „დამასტე მარიამ დარ-ავდრის უფროსად“, „მათურხევის მარიამ-წმინდა გიორგიდ“ და „მგზავრისად მყოლ ანგელოზად“ მოიხსენიებენ.

ძირითადად, ფშავის ხევის (უკანაფშავის) საერთო სალოცავად გვევლინება“ და „კახეთიდან მოსულად ითვლება“.

ხატის დარბაზის კართან – ხის ოთხ სვეტზე აღმართული, სპილენძის გუმბათიანი საზარე მდგარა, რომელსაც ყორის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. სალოცავისთვის ზარი წონეთრულ ჩქიფას შვილებს შეუწირავთ; მათ შორის – გიორგი ბატონის ნათლულ, პავლეს.

მკვლევარის ვარაუდით, მისი ნათლია, შესაძლებელია, ერეკლე მეორის ვაჟი, გიორგი ბატონიშვილი ყოფილიყო, რომელიც საქართველოში 1796-1801 წ.წ. მეფობდა – ზარიც XVIII ს-ის II ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს (ვ. ბარდაველიძე).

დამასტეობა – ყველიერის კვირა დღეს მოდიოდა. ხევისბერობა „პაპიდანვე“ მოუდიოდა მგელათ.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

XIX ს-ის პირველ ნახევარში, სოფ. კუდოში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული გოგოლაური, სახელად მგელია (მრავალრიცხოვანი ოჯახის და ცხვრის პატრონი), რომელმაც თავის ჩამომავლობაში სათავე დაუდო მისი სახელის გვარად გადაქცევას და ახალი გვარის – მგელიაშვილის წარმოშობას.

„მგელია“ იმიტო ჰქვივნებია, რო მგელივით ყოჩალი ყოფილა.“

მის სისხლისმიერ ნათესავს, მოგვიანებით (ცოლის შეურაცხყობისათვის), დამნაშავე მეზობელი მოუკლავს.

სოფელში მკვლელობას ადათი კრძალავდა და თემმა – მისი ოჯახი მოიკვეთა; ნაწილი კომშიანაში გადასახლდა, ნაწილი ლახატოში.

ლახატოში წასულებმა თავიანთი დიდი პაპის სახელი, „მგელია“, გაიგვარეს და მგელიაშვილზე დაეწერნენ...

კუდოელი მოსისხლენი, დროთა განმავლობაში – „შარიგებულან...“

დაზარალებულებს „დაუბარებავ: – დაბრუნდითო თავის სოფელში...“

კომშიანში წასულები დაბრუნებულან და თავის ნაფუძარზე დამდგარან.

ლახატოელები – აღარ მობრუნებულან.

მოსწონებიათ იქაობა.

„იმათ უფროს კაცს (ჭრელი ჰქვივნებია) იმას უთქომ და დამრჩალან.“

ასე გაიყო ორად – მგელია გოგოლაურის ჩამომავლობა.

შემდგომში, კომშიანიდან დაბრუნებულმა მგელიას ჩამომავალმა, რომელიც „ტუნ-ტურის“ თიკუნით იყო ცნობილი, სათავე დაუდო კიდევ ერთი ახალი გვარის – ტუნ-ტურიშვილის გაჩენას (ირ. გოგოლაური).

მგელიას სახელს უკავშირდება გოგოლაურებთან შეფიცული კიდევ ერთი გვარის, ტუჩიაშვილის, ისტორიაც.

მათი წინაპარი მგელიას ძმადნაფიცი ყოფილა და მისი ერთგულებით დასახლებულა გოგოლაურთას.

„იმის ჩამომავალნი არიან გოგოლიანი.“

*

1873 წლის აღნერით (სცასა, ფ. 254, III, დოკ. 274, გვ. 624), ზემო თიანეთის სოფელ ზარიძიანთკარში მგელიაშვილების 4 კომლია აღნერილი: –

1. პატარა დავითის ძე მგელიაშვილი (38 წლის); მისი შვილები: – თევდორე (19 წლის), ივანე (17 წლის), შიო (15 წლის), თომა (7 წლის).
2. იორამ დავითის ძე მგელიაშვილი (47 წლის); მისი შვილები: – კიკო (23 წლის), ზაქარია (17 წლის), სისოურე ? (8 წლის).
3. კიდულა ? ეყიდულა ?) დავითის ძე მგელიაშვილი (52 წლის); მისი შვილები: – ტატა ((33 წლის), გრიგორი (25 წლის), ბამითა ? (ვამითა?) (21 წლის); ტატას შვილი გიორგი (12 წლის); გრიგოლის შვილი, ეგნატე (2 წლის), ქიტესა (1 წლის).
4. პაპა კიდულას ძე მგელიაშვილი (21 წლის).

1886 წლის აღნერით (სცასა, ფ. 254, III, დოკ. 1735), ზემო თიანეთის სოფელ ტუშურებში მგელიაშვილების 7 კომლია დარეგისტრირებული: –

1. (№ 44) მგელიაშვილი იაკობ ბერის ძე (39 წლის); მისი შვილი გიორგი (17 წლის).
2. (№ 45) მგელიაშვილი აბრამ გიორგის ძე (15 წლის); მისი შვილი დათიკო (ასაკი მითითებული არ არის);
3. (№ 70) მგელიაშვილი ილია ივანეს ძე (38 წლის); მისი შვილი ბესო (2 წლის).
4. (№ 71) მგელიაშვილი ალექსი ბიჭიკოს ძე (16 წლის); მისი ძმები: – პილატე (14 წლის), გრიგორი (10 წლის), გიორგი (7 წლის), დავითი (4 წლის).
5. (№ 72) მგელიაშვილი ზაქარია ივანეს ძე (36 წლის); მისი შვილი, ივანე (17 წლის).
6. (№ 73) მგელიაშვილი დავით ივანეს ძე (32 წლის); მისი შვილი, ვანო (7 წლის).
7. (№ 74) მგელიაშვილი კიკო მარტიას ძე (32 წლის); მისი შვილები: მიხა (7 წლის), ვანო (1 წლის).

ამავე, 1886 წელს, თიანეთშია (რატომდაც?!?) აღნერილი: –

1. (№ 99) მგელიაშვილი აბრამ დავითის ძე (47 წლის); მისი შვილები: – ნიკოლოზი (23 წლის), ზაქარია (17 წლის). ნიკოლოზის შვილი, იაკობი (14 წლის); ზაქარიას შვილი, ლვითისო (4 წლის).
2. (№ 100) მგელიაშვილი პატარა დავითის ძე (38 წლის); მისი შვილები: – თევდორე (19 წლის), შიო (15 წლის), თომა (7 წლის), სოლომონი (14 წლის), ივანე (12 წლის).
3. (№ 183) მგელიაშვილი გრიგორი კიდულას ძე (25 წლის); მისი შვილები: – ეგნატე (15 წლის), ქიტო (14 წლის), მარტია (5 წლის). გრიგორის ძმა – ზალიკო; მათი ნათესავები: – მიხა და ალექსი – ზაალის შვილები.
4. (№ 184) მგელიაშვილი ივანე პატარას ძე (30 წლის).

მგელიაშვილების გვარი, დლეს – თბილისში, ახმეტის და თიანეთის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 48 მგელიაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 50, თიანეთში – 147 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

ყრუვ-გიორგი (მგელიაშვილი) ცნობილი მოლექსე იყო; გელა მგელიაშვილი – თიანეთის რაიონის პროკურორი; მედიცინის დოქტორი – თეიმურაზ მგელიაშვილი, საქართველოს III მოწვევის პარლამენტის წევრი; დავით მგელიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა.

ბალიაურები

ფშავის ერთ-ერთი ისტორიული გვარი ბალიაურია.

თუშეთიდან (სოფ. ჭონთოდან) შემოხიზული ჯიგრაულის განაყრები არიან (ისევე როგორც ნადირუანი და ყაყიჩანი). „თურმანაულების ფრაგრიაში შედიან არა სისხლის ნათესაობით, არამედ ერთი ხატის ყმად შეფიცულობით“ (გ. თევდორაძე).

სათემო სალოცავის, ქმოდის წმინდა გიორგის მიმდებარედ შემორჩენილ, თუშური ყაიდის ჩარდახიან ციხეს – ისინი თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ.

ლეგენდის თანახმად, მათი გვარის კაცს, – „მდინარე იორზე (ფაცერზე) – მოუკლავს დევი.“ ამის გამო, ბულალაურთელ ბალიაურებს – „დევის თავი ემართათ“.

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა გოლიათი ვაჟკაცის, ბეწინა ბალიაურის, სახელი.

როგორც აღ. ჭინჭარაული გვამცნობს:

– ერთხელ, მას – „ახალში კიდობანი უყიდია და შუაფხოში ჩამოტანა დაუპირებია. გამყიდველს უთქვამს: დამალე კიდობანი, ფიცრები დანომრე და ნელ-ნელა ჩაზიდეო (ახადიდან შუაფხომდე 10 კილომეტრია, ბილიკი საცალფეხო და ციცაბო, კაცს უტვირთოდაც უჭირს სიარული) – არა, კაცო, ამას დაშლა რად უნდა, ეგრეც კარგა წავიღებო – უთქვამს ბეწინას – „დაუსაბლავს“ კიდობანი – ღვედის ჭაპანი მოუხვევია და ვიდრე წამოკიდებდა, გახსენებია, რომ ერთი ტომარა (არანაკლებ 100 კგ-ისა) კარტოფილი აქვს აქედან შუაფხოში ჩასატანი. ამდგარა და ის კარტოფილიც კიდობანში ჩაუყრია („ამის პატრონიც გაწყდა, ამისთვინ აქ სადღა ვიაროო“) და ეს უჩვეულო ტვირთი შუაფხომდე ჩამოუტანი“ (აღ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 95).

ამ გვარის ხალხი, დღეს – თბილისში, ლანჩხუთში და დედოფლისწყაროს რაიონში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ლანჩხუთში 9 ბალიაური ცხოვრობს, თბილისში – 8, დედოფლისწყაროში – 7 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

გოგოლაურთ თემის საერთო სალოცავებია – ქმოდის წმინდა გიორგი და ხიშმუს მთავარმოწამე.

გადმოცემის თანახმად:

„პირველად, წმინდა გიორგის ხატი გაჩენილა“ – რომელიც (უპირატესად!) თურმანაულების საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. მისი კომპლექსი ორადგილას – ქმოდის გორზე და ნასოფლარ თურმანაულთაშია განთავსებული.

ხატი – „ჯერ, ქმოდის გორზე დაარსებულა – მერე, გორს ქვემოთ მდებარე სოფელი (თურმანაულთა) აუყრია და „მის ნახოლარებში დაბრძანებულა“.

კომპლექსის შემადგენლობაშია: – წულის გასარევი კოშკი, საზარე, სასანთლე, საკურთხეველი, სათასე (ანუ, სასუფეველი), გალავანი, თეთრი გიორგის კოშკი და გაურკვეველი დანიშნულების ნანგრევები.

საზარეში ჩამოკიდებულ ზარზე ასეთი წარწერაა: –

„წმინდაო გიორგი ჩვენ სამწყალობლოდ მოგვე შენი წყალობა ქ. ჩყლზ (1837) წელსა შემოგწირეს ეს ზარი ერთობლივ გოგოლაურებმა...“

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„იმის მემრე, რაც თურმანაულების გვარში სამი ძმა: – დურაყა, ბრიყვა და გარა სამ მამად გაკეთდა – წმინდა გიორგის თავხევისბერი გარაის მოდენილობიდან დგება; მესუფრეობა (სუფრაჯობა) – ბრიყვაის მოდენილობას ეკუთვნის; მეკვლეობა – დურაყაის მოდენილობას...“ მესანთლე ხევისბერობაც თურმანაულებზე იყო მიკუთვნებული. დასტურობა – გოგოლაურთ თემის ყველა კაცს – მორიგეობით მოუდიოდა (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, გვ. 115, 1974 წ.).

მუქოსკენ მიმავალ გზაზე, იქ, სადაც ხატის ტერიტორია მთავრდება, დიდი ლოდი დევს – „სანაკვეთო ქვას“ ეძახიან.

მიჯნა იყო.

თემიდან მოკვეთილი კაცი ამ ადგილს ვერ გადმოლახავდა.

სალოცავის მიმდებარე მთის ფერდობზე, შემორჩენილია თუშური ჩარდახიანი სახლის მსგავსი კოშკი, რომელიც სოფ. მუქოს გადასცექის.

გოგოლაურები მას, თავიანთი წინაპრების – სამი ძმის, ლომ-ხუზარელთ საკუთრებად მიიჩნევენ.

ამავე ციხეს თავიანთ საკუთრებად თვლიან – ჯიგრაულები და მის აშენებას საკუთარ წინაპარს უკავშირებენ, რომელიც თუშეთიდან (სოფ. ჭონთოდან) შემოხიზნულა და გოგოლაურებს გაფიცვია.

სპეციალისტების აზრით, ნაგებობა ტიპიური თუშური ხასიათისაა.

დღეს, მხოლოდ მისი კედლებია შემორჩენილი და ხატად ქცეული. იქ ციხის წვერანგელოზობას აღნიშნავენ.

ხეთანის მთავარმოწამის სათემო ხატი – გოგოლაურთის დასავლეთით მდებარეობს. უპირატესად, სულხანაანთ (ძირად თურმანაულების), თანდილაანთ და საერთოდ, ხიმშუში მოსახლე გვარების სალოცავი იყო (ხევისბერებიც მათგან დგებოდნენ) – მაგრამ, გოგოლაურთ თემის საერთო სალოცავსაც წარმოადგენდა.

ლეგენდის მიხედვით: –

„ციოთ სვეტად ჩამოსულა და გოგოლაურთის მოპირდაპირედ მდებარე „მასთალას“ დაარსებულა.“ იქ ყოფილა მისი თავდაპირველი საბრძანისი.

ხატის მამულზე – გოგოლაურებს და შუაფხოვლებს დავა ჰქონიათ: –

ქისტაურები ხარ-გუთნით მისულან, მიწის დამუშავებას შესდგომიან, მაგრამ ხატი გაჯავრებულა; წამოსულ „შურისძიების ნიაღვარს“ ხარ-გუთანი და ხატის ზარი – არაგვში ჩაუტანია...

„ზარი თურმე“, გოგოლაურებმა ამოიღეს და იქვე, ჭალაში ჩამოუკიდეს.

იმ ადგილს „ზარის ჭალას“ ეძახიან.

განსხვავებული ვერსის თანახმად: –

„როცა შუაფხოვლებს მაუნდომებავ, რო გოგოლაურებისად ადგილები წაერთვა;

გადასულან ნაროულაის ხევსა (მიჯნას!) და დაუწყავთ გოგოლაურთ მამულების ხვნა. შაყრილან გოგოლაურები, გამოსძლოლია მათ საფარაი, გაურეკიან შუაფხოვლები და ძველ მიჯნაზე სამანი ჩაუდგამს... „ე.ნ. „საფარაის სამანი“ (მაღალი ქვის სვეტი), რომელიც, დღესაც, ორი მეზობელი თემის მიჯნას წარმოადგენს: –

„ნაროულას ხევს იქით გოგოლაურების ადგილებია, ხევს აქეთ – ქისტაურებისა.“

*

გოგოლაურთ თემის ზოგიერთ გვარს საკუთარი სასოფლო და საგვარეულო სალოცავებიც ჰქონდა: –

თურმანაულთა ადგილისდედა (დედალვთისმშობლის ხატი) – გოგოლაურთას დასავლეთით, „ქერაულთ მთის ფერდობზე“ მდებარეობს, ბებერი იფნების ტყეში. „ჯვართშუად“ წოდებული ადგილით ესაზღვრება მთავარმოწამის ხატს. სალოცავის შემადგენლობაშია – საბერო და სასანთლე.

შენობათა ნაშალში მიუთითებენ ხახმატის ნიშზეც.

ვანთის გორის გამოლმა, ხეთანის მთავარმოწამის პირდაპირ (არაგვის მარცხენა მხარეს) – ნასოფლარ კადაჩალის ქვემოთ და სოფ. ბინდაურთას დასავლეთით მდებარე დაბურულ ტყეში – მასთალას სვეტის ანგელოზის ხატია. მის შემადგენლობაშია: – საზარე, სიპით გადახურული დარბაზი, ქვის გალავანი და ორი დიდი ქვევრი. დარბაზზე მიდგმულ ორსვეტიან სამრეკლოში ჩამოკიდებულ ძველებურ ზარზე, ასეთი წარწერაა: – „ჩიტოანთ ერთი მამის კაცსა და ქალს შეგვინირამ გოგოლაურის ხატში თავარმოწამეში 1872 წ“. საზარეს საყრდენი ქვის ფეხზე, შიგნითა მხრიდან – დიდი ზომის ჯვარია გამოსახული. ასეთივე ჯვარია ამოჭრილი მარჯვენა სვეტზე, რომელსაც ზევიდან თაღოვანი რკალი აქვს და დაბლა ორნამენტი დაუყვება. ფასადის მარჯვენა მხარეს, კედლის წყობაში დატანებულ დიდ ქვაზე – სამი სხვადასხვა ზომის ხელის ანაბეჭდია გამოსახული.

მარიანგას ღვთისმშობლის სასანთლე კოშკი – ნასოფლარ ხიმშუს დასავლეთით მდებარეობს – გორის თავზე, მარიანგად წოდებულ პატარა მოედანზე. მისი აღმოსავლეთი ნაწილი – უტყვეო, პირიმზითი ადგილია; დასავლეთი – ე.ნ. „ნაროულას ჩრდილი“ – ტყიანი, სადაც, ახალგაზრდა ხეებთან – ბებერი მუხებიც დგანან.

*

გოგოლაურთ თემის ნამატი მოსახლეობა, დროთა განმავლობაში, ბუდეფშავის სოფლებმა ვეღარ დაიტია და ხალხმა – წინაფშავის ტერიტორიაზე დაიწყო დასახლება (მაღაროსკარში, გომერნარში, ქალილოში, ყოფჩაში, ხომს, კუდოს, ხილიანას, „უკვენ-მაღაროს,“ გუდარახში, კუდოსა და ხომში).

ბუდეფშავში განთავსებულ გოგოლაურთ დასახლებებს, თუ წინაფშავის ზემოაღნიშნულ სოფლებსაც დავუმატებთ, შეიძლება ითქვას რომ: – თავისი განფენილობით, ეს თემი, ფშავის ერთ-ერთ მოზრდილ ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენდა.

„წინაფშავში გადასახლებულ გოგოლაურთ თემის ფშავლებს, დასახლებულნი იყვნენ რა, გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე ერთმანეთის მეზობლად – გაჩენილი ჰქონდათ ცალკე თემად წარმოქმნის ტენდენცია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ტენდენცია იყო და წინაფშავში გოგოლაურთ თემის ფშაველთა

დასახლება არასდროს გადაქცეულა ცალკე თემად (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, 2003 წ. გვ. 56).“

*

XX ს-ის II ნახევარში, სოფ. გოგოლაურთიდან თიანეთში გადასახლებული მაჩ-ურიშვილები – გოგოლაურების და თურმანაულების განაყრებად მიიჩნევენ თავს.

ძირად გოგოლაურები არიან უებოფაში მცხოვრები სალირაშვილები და ლახა-ტოელი მგელიაშვილები.

„ეს უკანასკნელი სოფ. კუდოდან გადმოსახლებულან.“

„ამავე სოფლიდან ვერხველში მოსულან ტუნტურიშვილები.“

ერწოს სოფელ ორხევში – გოგოლაურთ თემის ფშავლები სოფ. მაღაროდან არიან გადმოსახლებულები (რ. თოფჩიშვილი, ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია).

*

გოგოლაურთ თემის სხვადასხვა გვარებს თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: – ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, 250-მდე სა-მეცნიერო ნაშრომის და 22 გამოგონების ავტორი – შერმაზან ყაყიჩაშვილი;

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის ყოფილი უფროსი – გიორგი ყაყიჩაშვილი;

სალომე ლევერაშვილი – ამსტერდამის ნაციონალური ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალერინაა. XII საერთაშორისო ქორეოგრაფიული კონკურსის, „რიგის გაზაფხული 2016“ – ის ოქროს მედლის და გრან-პრის მფლობელი;

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა „ლაფანყურელი მოლექსის“, ალექსი წვეროშვილის (იგივე ფრუშკას, იგივე ქოთილას) სახელი;

ლევარსამ პავლეს ძე სალირიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო;

ზაზა მადურაშვილი – საქართველოს VII მოწვევის პარლამენტის დეპუტატი.

ცაბაურთ (გოგოჭურთ) თემი

ფშაველი გოგოჭურების დედასოფელი, ცაბაურთა – „მთის შეფენებაზეა“ გან-თავსებული, ზ.დ. 2051 მ-ზე – „ცასა ჰქიდავ ზარივითა“. აღმოსავლეთით – სოფ. გო-გოლაურთა ესაზღვრება, დასავლეთით – უძილაურთა; ჩრდილოეთით, მაღლა აზიდ-ული მთები; გვერდით – ლუნხევი და ნაროულასხევი ჩამოუდის.

ფშავის ერთ-ერთი ძლიერი და ხალხმრავალი თემი იყო.

მათი წარმომავლობის საკითხი – დღემდე სადავოა.

მკვლევართა ნაწილი (ალ. ოჩიაური, გ. ხორნაული) მათ ხახაბოდან გადმოსულ ხევსურებად მიიჩნევს, ნაწილს – ფშავიდან მიაჩნიათ ხახაბოში წასულებად; ნაწილის აზრით, დამოუკიდებელი წარმომავლობის თემია.

ვ. ბერიძიაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ფშაველი „გოგოჭურების გვარს სათავე დაუდო გოგოჭა ცაბაურმა. მის შემდეგ ამ

თემის ხალხი ხან გოგოჭურებად იწოდებიან, ხან კი ძველი სახელით – ცაბაურებად. ამ ორ სახელწოდებას შორის არავითარი განსხვავება არ არის. მათში მხოლოდ ერთი თემი იგულისხმება. ამ გვარს ეკუთვნოდნენ ძმები სულა და კურდლელა და ვაჟა-ფშაველას წინაპრები. ფშავში რაიმე გადმოცემა, მითუმეტეს, საბუთი არ არსებობს, რომ ამ თემის ხალხის წინაპარი საიდანმე მოსულიყოს. ასე რომ, უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ამ გვარის ფშავრი წარმომავლობა...

ფშავრი სათემო გვარის – გოგოჭურების პარალელურად და, დღეს, სრულიად დამოუკიდებლად, ხევსურეთში არსებობს გვარი გოგოჭური... აქვთ თუ არა რაიმე კავშირი ფშაველ და ხევსურ გოგოჭურებს, თუ უბრალოდ, ეს გვარი ამ ორ კუთხეში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა? დღეს რაიმეს დაბეჯითებით დამტკიცება ალბათ გაჭირდება, მაგრამ ვარაუდი კი, ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა შეიძლება...“ (ვ. ბერიძიაშვილი, სიყალბე მეცნიერების მანფიაში, 2010 წ.).

ხევსურული ანდრეზების მიხედვით: –

პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრი „ბურუკურების განაყარი გოგოჭურთ გვარი“ – თორლვა ძაგანისძემ დაასახლა ფშავში, თუმეთსა და პირიქით ხევსურეთში.

მეორე გადმოცემის თანახმად, მონაცემის მატულებზე დავის დროს, ცაბაურ-გოგოჭურთა ჩამომავალმა, ბეკი ბეკურაულმა პრეტენზიულად განაცხადა: – ეს ადგილი ჩემიც არის, რადგან მაგანძურის ძმა, გოგოჭა – პაპა იყო ჩემი...

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: –

მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – გოგოჭურთა (ფშავის ტერიტორიალურ) თემში ხარ-ქაბით იყვნენ შეყრილნი, მიღებული ჰქონდათ გოგოჭურის გვარი და მოგვიანებით (ალბათ, ხახაბოში გადასახლების შემდეგ, სადაც გოგოჭურებთან ერთად მათ ფშავის ახალი – ხახაბოელთა თემი დააფუძნეს, გ.ქ.) – ალიდგინეს საკუთარი გვარ-სახელი (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, გვ. 26, 2003 წ.).

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„ცაბაურთაში სამი მთავარი გვარია“ – გოგანი, ბეკანი და მიგრანი.

„ვილაცის, შორიდან მოსულის ჩამომავლები არიან“.

გოგა, ბეკი და მიგრი ძმები ყოფილან.

მკვლევარი მათ „სოფ ცაბაურთას სხვადასხვა გვარის (!) ერთ ფრატრიაში აერთიანებს.“ აღნიშნავს, რომ: – მიგრანიდან მოდიან – ბაჩხონი, ბუთხანი, ციოლანი, ხარებანი, ნარიმანი და ლეგუანი; ბეკიანიდან: – კუდურანი, ჩიტონი და ხვეტანი; გოგანიდან, ანუ, გოგნელანიდან: – ბულანანი, ჭამიანი, წუბრანი, ანუ, ბახანი, ჭყრუნანი, იორამნი და ბალიანი.

როგორც ირ. გოგოლაურის მთხოვნელი გვამცნობს: –

მთელი საგოგოჭურო დიდი თემი ყოფილა. „პირიქითაცა ყოფილან და პირაქეთაც... ჭორმეშაველებიც – სუ ჩვენებია... გოგნელანი, გოგოჭურები ვართ ძირადა, გოგნელაშვილობით კი ვეწერებით ეხლა. გოგნელაი ყოფილა დიდ პაპაი, მაგარ კაცი. იმის სახელზე გაკეთებულა ჩვენი გვარი. ვინაც გადასახლებულები არიან, ჩვენის გვართემისები, ზოგი გოგნელაშვილობით იწერებოდეს, ზოგი გოგოჭურობითა. ისიც კი არი, რო ორი ძმიდან ერთი გოგოჭურად ეწერება, მეორე გოგნელაშვილობითა“.

„ბეკურაულებიც ცაბაურები არიან, საგოგოჭურო თემის ხალხი – ზოგი ჩიტოშვილებადაც იწერებიან – ბეტიჩდილში ცხოვრობენ.“ ამავე სოფელში სახლობენ ხო-

შურაულები. „ისინიც ცაბაურთიდან არიან წამოსულები... ფშავლები იყვნენ იმ თავი-დან ამ თავამდინა... ხევსური ხოშარაული სად გაგონილა?!“ (ირ. გოგოლაური).

*

„წინათ – ცაბაურთაში, სამოცამდე კომლი მკვიდრობდა. ეზლა რო ხატებია, იქ სუ მაგათ ნასახლარები მოჩანს...“

1876 წელს – გ. რადემ 31 კომლი აღრიცხა;

1934 წლის აღწერით – 14 კომლი დარეგისტრირდა (46 სული): – მჭედლურები, გოგნელაშვილები, ჭყრუნიშვილები, გედეხაურები და ჩიტოშვილები;

1973 წელს გ. ხორნაულმა გორელაშვილების მხოლოდ 1 კომლი აღწერა (2 სული).

*

გოგოჭურ-ცაბაურთა შტონაყარ და მათთან შეფიცულ გვარებად მიიჩნევენ: – ლომიშვილებს, გოგნელაშვილებს, პატარაშვილებს, დულუზაურებს, მაჩხოშვილებს, ბაჩიაშვილებს, მიგრიაულებს, ხოშურაულებს, შავერდაშვილებს, გორზამაულებს, მაუბარაშვილებს, გამიხარდიშვილებს, გოდერძიშვილებს, გედეხაურებს, დათვიაშვილებს, ხადილაშვილებს, ბუთხაშვილებს, გარსევანიშვილებს, ქუმსიაშვილებს, წინილაშვილებს, ურჯუკაშვილებს, ბაიაშვილებს, ჭყრუნიშვილებს, ივანეშვილებს, ქავთარაშვილებს...

ცაბაურთ თემში შედიოდა სოფ. ჩარგალი და მიგრიაულთა.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით – დღეს, დუშეთში 4 ცაბაური ცხოვ-რობს, თბილისში – 25, ახმეტაში – 1 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

XIX ს-ის საარქივო მონაცემებით, ცაბაურთ თემის არც ერთი წევრი – გოგოჭურის გვარს აღარ ატარებს.

ახალი მამების სახელები აქვთ გაგვარებული – შვილი სუფიქსებით.

რიგმა გვარებმა (მჭედლური, გედეხაური, გორზამაული, გურასპაული, მეგრე-ლაური, ცაბაური, ხოშურაული, ბეჟურაული...) შეინარჩუნეს თავიანთი თავდაპირველი გვარ-სახელი (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, 2003 წ. გვ. 50-51).

„როგორც ფშავის სხვა თემების მოსახლეობა, გოგოჭურების თემის წევრებიც ძირითადად ახალ გვარებს ატარებენ და ამჟამად, ერთმანეთის ოდინდელ ნოესაობა-ბიძაშვილობას იშვიათად იხსენებენ. ამის მიზეზი რამდენიმეა: თემის წევრები დი-დიხანია (ალბათ რამდენიმე საუკუნე მაინც) რაც ძირითად დედაგვარს გამოეყვნენ და სხვადასხვა გვარებს ატარებენ. ტერიტორიულად შორი-შორს ცხოვრობენ და ხშირად არც იცნობენ ერთმანეთს. დაკარგეს რელიგიური რწმენა, რაც წარსულში მტკიცედ აკა-ვშირებდა ერთმანეთთან“ (ვ. ბერიძიაშვილი, სიყალბე მეცნიერების მანტიაში, 2010 წ.).

*

საგოგოჭუროს მთავარი სალოცავი ცაბაურთის მთავარანგელოზის სათემო ხატი ორ კომპლექსს მოიცავს: –

ერთი – სოფლის თავზე მდებარეობს, ღუნხევთან და ლოცვაში – „ღუნხევ მაბურთალი ანგელოზის“ ეპითეტით მოიხსენიებენ. მის შემადგენლობაშია გალავნით შემოზღუდული ორი ნაგებობა.

ერთი მთის ფერდობზეა განთავსებული, მეორე – მიმდებარე ვაკეზე.

მთის ფერდობზე მდებარე სამრეკლოში ჩამოკიდებულ ზარზე, ასეთი წარწერაა:

– „შემოგწირეთ ეს ზარი ერთობლივ შენ ყმათ ცაბაურთას მთავარანგელოზს ჩყლჲ (1839) წელს ჩვენს სამწყალობლოთა მოგვე შენი წყალობა“.

მეორე კომპლექსი – ღუნხევის აღმოსავლეთით მდებარეობს, მთის დავაკებაზე, რომელსაც ბეღლისკარი ეწოდება. მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, ძველი და ახალი საზარე, სასანთლე კოშკი, სალუდე, საჯარე და სხვა გაურკვეველი დანიშნულების შენობათა ნაშალი.

დედასოფლიდან წასული საგოგოჭუროს გვარები, დიდ დღეობებში, ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატში მიდიოდნენ და სათემო ხატის ვალს – მის ძირითად საბრძანისზე იხდიდნენ.

„წულის გაყვანის“, „წულის სანთლის დანთების“ და რიგ სხვა მნიშვნელოვან წესებსაც, ცაბაურთის სათემო ხატში ასრულებდნენ.

ჰქონდათ სასოფლო სალოცავებიც: – ღვთისმშობლის სახელობის და ორიც სხვა, რომლებიც ადგილობრივი ნიშები იყო ცენტრალური საფშავლო ხატებისა – ლაშარის ჯვრისა და თამარ-ლელის ხატისა (ვ. ბარდაველიძე).

*

თემის სამთო სალოცავი, რომელიც მთაწმინდაზე მდებარეობს, ერთი საზარე კოშკით არის წარმოდგენილი. ზამთარში იქ მისვლა ჭირდა, სარისკო საქმე იყო და საყმომ – მზილას, ნაროულასხევის თავზე ააგო სალოცავი, სადაც ახალწელიწადთან დაკავშირებულ იმ რიტუალს აღავლენენ, რომელიც ადრე მთაწმინდაზე ტარდებოდა.

გედეხაურები

გადმოცემის თანახმად, სასოფლო ხატების – ადგილისდედა ღვთისმშობლის და ხიან ღვთისმშობლის მიდამოებში მდგარან.

მთის ფერდობი – „ნახოლარებით“, ძველ ნაგებობათა ნაშთებით არის მოფენილი. ამბობენ – მათი ნასოფლარი ადგილიაო.

ხატს – გედეხაურებისთვის მკითხავის პირით უთქვამს – აქაურობას მოშორდითო. გაკერპებულან და არ წასულან.

ამის გამო გამხდარან ავად; ბევრი დახოცილა და შიშით გასცილებიან იქაურობას. იმასაც ამბობენ რომ, ხატის დანადებიც აქვთ: –

„ამაღლება დღეს საკლავი უნდა მიიყვანონ ხიან ღვთისმშობელში“.

სალოცავის საზარეში ჩამოკიდებულ ზარზე ასეთი წარწერაა: –

„შემოგწირეთ ეს ზარი ჩვენ ოთხ კომლთ გედეხაურთ საბურთის ღვთისმშობელს ჩვენ სამწყალობლად მოგვე შენი წყალობა ჩყნსა (1852) წელსა.

გედეხაურების გვარი, დღეს – თბილისში, ახმეტის და თიანეთის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 33 გედეხაური ცხოვრობს, თბილისშიც – 33, თიანეთში – 21 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია – სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1993-1994 წ.წ.), მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და სამგზის მეორე პრიზიორი (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში), სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე – გურამ გედეხაური.

ჭყრუნიშვილები

გ. თევდორაძის ცნობით: –

„ცაბაურთაში სამი მთავარი გვარია“ – გოგანი, ბეკანი და მიგრანი.

გოგა, ბეკი და მიგრი ძმები ყოფილან.

ჭყრუნანი – გოგას (გოგანის, გოგნელანის) ჩამომავლები არიან.

„სოფ. ცაბაურთაში, ერთი განსაკუთრებული ძეგლია, სადაც ტაბოსტა ჭყრუნიშვილი მარხია, დიდად სახელგანთქმული ვაჟკაცი“ (გ. თევდორაძე, „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“).

ამ გვარის ხალხი, დღეს – დუშეთში, თელავის და თიანეთის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში – 5 ჭყრუნიშვილი ცხოვ-რობს, თელავში – 3, თიანეთში – 41 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ლაჭაურები

საგოგოჭუროს თემში შედიოდნენ ლაჭაურებიც.

გადმოცემის თანახმად, მათი სახელოვანი წინაპრის და პატრონიმის (ლაჭაურას) მეთაურობით ამოულიტეს ფშავლებმა – აფხუშოსა და ჩარგალის დამრბევი ლეკები... „60 ტყვე ქალ-ვაჟი დააყრევინეს და გაათავისუფლეს.“

ამ გმირობის შემდგომ, როცა, ცაბაურთას სახატო დღეობებში, ფშავლები საყეენოს წესის შესრულებას შეუდგებოდნენ – პიროფლიანთა შესანდობარს ლაჭაურის ხსენებით იწყებდნენ (ირ. გოგოლაური).

ცაბაურების ადგილისდედის სალოცავის სასანთლე კოშკთან, დღესაც – უჩვეულო ფორმის დიდი ლოდი – ხელოვნურად გათლილი შირიმის ქვა დევს – საყინოს საბრძანისა წარმოადგენს და ხალხი „ლაჭაურის ქუდად“ მოიხსენიებს...

XVIII ს-ის დასაწყისში, მისი შთამომავალნი კახეთში წასულან.

*

სახალხო გმირად მოიხსენიებენ ბეკი ბეკურაულს (ცაბაურს): – „ბეკმა თქვა ბეკურაულმა, ხმალმა ვერ შამაშინაო, თუშის, გიგნაის, ფრანგულმა ფეხ უკვენ დადა-დგმივაო, დაგლიჯა ფარის რგოლები, ციბროან დამავლივაო“...

ხალხურ მეხსიერებას შემორჩია ცაბაურთელი ვაჟკაცის – ქერნია ჩიტოშვილის (ბეკურაულის) სახელიც.

*

ცაბაურთადან მიგრირებული საგოგოჭუროს გვარები კომპაქტურად სახლობდნენ:

– გუდარახში, შარახევსა და ბუჭყინტაში; მთიულეთის არაგვის და ივრის ხეობებში.
რ. თოფჩიშვილის ცნობით:

XVIII ს-ის დასაწყისაში, ერწო-თიანეთის სოფ. გორიმზვერაში (კვერნაულა) და არხალში მთლიანად გოგოჭურთ თემის ფშავლები სახლობდნენ (შავერდაშვილები, ტურაშვილები, გორზამაულები და გურასპაულები).

სოფ. დულუზაურში (ყოფილი არხალი) – ერთი მამიდან მომდინარე, გოგოჭურთ თემის ორი დიდი გვარი მოსახლეობდა – დულუზაურები და ჯაბანაშვილები. მათი წინაპრები, XVIII ს-ის I მეოთხედში, ჩარგლიდან გადასახლებულან და სოფელ არხალისთვის – დულუზაურთკარი შეურქმევიათ.

დულუზაურთკარში სახლობდნენ ზაუტაშვილებიც; 1843 წლის საოჯახო სიებში ისინი ორი გვარით (ზაუტაშვილ-დულუზაურით) არიან წარმოდგენილნი. მათი წინაპარი, რომელსაც ზატუა რქმევია, ყვარლიდან გერად მოჰყოლია ვინმე ჯაბანაშვილს; მისი შთამომავლები ზაუტაშვილებად დაწერილან და მთავარანგელოზის ყმები გამხდარან.

სულა და კურდლელა

გოგოჭურთ თემის ამ ორი სახელიანი ძმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დ. გოგოჭური.

გთავაზობთ ფრაგმენტებს მისი ბესტსერელად ქცეული წიგნიდან „ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები“:

„სოფ. ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლიდან აღმართს რომ ავუყვეთ, დაახლოებით 1 კმ-ის შემდეგ პატარა დავაკებაზე გავალთ. იქ კორომად მდგარ ვეებერთელა მუხებისა და იფნების ჩეროში შეხიზნულან შემუსრული ნასახლარ-ნაკოშკარები და ხავსმოკიდებული სახატო ნაგებობათა ნანგრევები.

ადგილი მართლაც რომ ჩინებულია: დაბლა ხალიჩასავით გადაშლილა ჩარგლის მთელი მიდამო, უფრო ქვემოთ მოჩანს მშთოთვარე არაგვის ხვეულები... ამ ნანგრევთა და ნამუსრევთა პირისპირ... კუშტად აღმართულა ახუნის მთა.

ნანგრევებიდან ცოტა მოშორებით ცალკე დგას ვეებერთელა ლოდებით ნაგები ციხის ნაშალი, რომელსაც ხალხი „სულა-კურდლელათ“ უწოდებს. იქვე გვერდით შეინიშნება სხვა ნაგებობათა კვალი და პატარა სამლოცველოს ნიში, რომელიც ყველა სხვა ნაგებობაზე უკეთესად შემონახულა.

ციხის კედლის სისქე ორ მეტრამდე აღწევს და ულამკიროდ, „მშრალი ყორით“ არის ნაგები. კედლები ძალიან ძველი ჩანს, მისი ლოდები გალეულან, გადახრეშილან, ერთმანეთს შესდულებიან.

უყურებ ამ ნამუსრევს და თვალწინ გიდგება ვაჟა-ფშაველასგან დახატული დაუვიყარი სურათი:

„გორი რამ ჩასდგამს შების წვრად.

მუხა-იფნებით ფარული.

იქ ჰყრია დიდი ლოდები

შავ-ფერი, ციხის კარული,

ლიბო დათხრილი კოშკები,

უმზეოდ ჩამოგვალული...“

ძველად, აქ ორ გმირ ძმას – სულას და კურდლელას უცხოვრია. მათ შესახებ ხალხს აუარებელი სიმღერა და თქმულება-გადმოცემა შეუქმნია და დღემდე მოუტანია. ფშავ-ხევსურეთში დღესაც თითქმის ყველა მთქმელმა ზეპირად იცის სულასა და კურდლელას დატირების ვარიანტები. ვაჟა-ფშაველამ ამ ორი ძმის ხსოვნას პოემა უძლვნა.

ვინ იყვნენ ეს ძმები, ან რა ჩაიდინეს ისეთი, რომ ხალხს თავისი სახელი საუკუნეთა განმავლობაში დაახსომეს?

მათზე შექმნილი სიმღერების ვარიანტები – მათი გმირობისა და დაღუპვის შესახებ კონკრეტულს არაფერს გვეუბნება. ზოგადად მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ისინი უშიშარი მებრძოლები, უბადლო მონადირეები და კარგი მთიბელები ყოფილან. შემდეგ – მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულან ჩარგლის მისადგომებთან.

თქმულება-გადმოცემებში შედარებით უფრო ვრცლადაა მოთხრობილი ამ ორი ძმის ცხოვრების ეპიზოდებისა თუ დაღუპვის მიზეზების შესახებ...

გმირთა სახეების დიდოსტატს ვაჟას, იშვიათად რომელიმე გმირისთვის თუ შეუსხამს ისეთი ხოტბა, როგორითაც ის სულასა და კურდლელას ამკობს.

პოემის მიხედვით, ამ უბადლო მამაცებმა აშკარად უთანასწორო ბრძოლა გაუმართეს სამშობლოს დამპყობლებს და გმირულად განირეს თავი უთვალავი მტრის წინააღმდეგ შერკინებაში. თავისი სიცოცხლე მტრებს ძვირად დაუსვეს, არაგვის კიდეები მათი სისხლით მორწყეს, სძლიერ და უკუაქციეს, მაგრამ სული თვითონაც ბრძოლის ველზე დალიეს.

კაიყმების გმირულად დაღუპვა სახალხო გლოვა-მწუხარებად ქცეულა“... (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, გვ. 39-42, 1977 წ.).

თ. რაზიკაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, სულას და კურდლელას დაუპირისპირდნენ ფშავლები, რადგან დამონებული ჰყავდათ მათი სოფლები.

ხალხი ლალატით შესულა მათ ციხეში, ძმები დაუხოციათ და ციხე დაუწიათ.

ნაციხარისგან მხოლოდ უკანა კედელია შემორჩენილი.

ნაგებია დიდი ლოდებით – მკვიდრად და დიდი ოსტატობით.

დღეს, სალოცავად არის ქცეული („ღვთიშობლობით ლოცულობენ“).

*

როგორც თ. ოჩიაური გვამცნობს – სულა და კურდლელა გოგოჭურები ყოფილან; ცხოვრობდნენ ჩარგალში.

„ამ გვარს რომ იქ ოდითგან უცხოვრია, სულასა და კურდლელას ციხის ზემო გორაზე შემორჩენილი ნამოსახლარიც მიუთითებსა, რომელსაც დღესაც „გოგოჭურებს“ ეძახიან... შემთხვევითი არც ჩარგალთან, სულა-კურდლელას ნასახლარში, ნიშის ჩადგმა და მისი სალოცავად გადაქცევაა... გოგოჭურების თემს ასეთი „ჩვევა“ ჰქონდა (ნასახლარების სალოცავად გადაქცევა). გავიხსენოთ ჭორმეშავში გახა მეგრელაურის „ფიცრული“, ბეგენთ-გორზე მამუკა ქალუნდაურის სამანი და მარტია მისურაულის ციხის ნანგრევები ჭორმეშავში (თ. ოჩიაური).

დ. გოგოჭურის მთხრობელის მიხედვით (ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, გვ. 44-46, 58-59-61, 1977 წ.): –

„სულაიდ კურდლელა ჩვენის გვარისანი ყოფილან (გოგოჭურები) – ხათაბალანი, უფერნი, წინპირთ წარმდგენი ნეფესთანაცა, სხვადაც. იმათ ერთს ომშიით... ერთ თა-

თრის ტყვე მაუყვანავისა, აღარ გაუშვავის. ის თათარი კაი მჭედელ ყოფილასა, იმაად აღარ გაუტევავის. ი თათარს მისრია ქვივნებულასა, დასჩენივ იმას ბევრი შვილები. მემრ იმას ჩარგალში ადგილის წილ მაუთხოვავის – ბევრა შვილები მყავისავო...

მა შვილებსავ კურდლელა დაგიცოტაებისავ, აწიდგესავ თუ ეგივ კიდევ წამაგცდავ – უთქვამს კურდლელას.

მემრ, აღარც სხვა ჩარგლელთ მიუცავ წილი – ჯერავ ის არ გაძლევსთავ, ვისანიც ტყვენი ხართაოდ, ჩვენ რაღად უნდა მაგცათავ.

ი სულასა კურდლელას თავ-მეთავეობა ვისთანამ ჰქონივასა. ი მესისხლეთ შეუსისინებავის მისრიაი – დახოცენივ ეგენიო, წილიც შენი იყვასავო.

მემრ სათიბზე ყოფილან ისენი, ორნივ ძმანი, დაძინებულნი ღალატით დაუხოციან ი მისრიას. მაგაზე სიმღერენიც იყვნიან, მთიბლურად შამავძახნიდით: –

შვილნი წავლალენ სათიბზედაო,
ვხედავ, ნამხრევნი არ აჩინდესო,
იქნებ მშავლებმა დამიხოცესო,
მშავლებმა ღალატიანებმაო.
შვილნო, სულაოდ კურდლელაო,
იმედი მამეშალა თქვენიო.
ეგ გინდათ, სხვაი უარეიო
მემუქარეთა მშავლისათაო,
ახუნს დაგლივნათ მისრიამაო,
მარტომა გინადირათ ორნიო...

პეტისჩრდილი

პატარა სოფელი იყო, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს (ზ.დ. 1480 მ-ზე) – ორწყლის ქვემოთ და გზის ზემოთ – ერთი კმ-ის დაშორებით. ამჟამად, ნასოფლარად არის ქცეული.

სოფ. პეტისჩრდილთან, ქუთხის ძირში, იყო ე.წ. „გძელხიდი“, რომელიც დაახ. 40 მ-ის სიგრძეზე იყო არაგვზე გადებული. ამჟამად, პეტონის მოკლე ხიდით არის შეცვლილი, მაგრამ სახელი ძველი შემორჩა.

1934 წლის აღწერით – პეტისჩრდილში, 7 კომლი აღრიცხეს (24 სული): – ხოშურაულები, ბეკურიშვილები და ჩიტოშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა მხოლოდ ჩიტოშვილების ერთი ორ სულიანი ოჯახი აღწერა.

სოფლის სამივე მკვიდრი გვარი – გოგოჭურთა თემის შემადგენლობაში შედიოდა; ცაბაურთის სათემო ხატის – მთავარანგელიზის ყმები იყვნენ.

ისინი, როგორც გოგოჭურბის თემის წარმომადგენლები – „ახალიწლის მეკვლედ მაინც ცაბაურთაში მიდიოდნენ და ღამეს სათემო ხატში ათევდნენ.“ – იმის მიუხედავად, რომ მათი სოფელი ცაბაურთიდან 9-10 კმ-ით იყო დაშორებული.

ხოშარაულების ერთი შტო ხევსურეთში, გორშელმის ხეობში, სახლობდა (არაბულების ერთ-ერთი მამიშვილობაა).

არიან ფშაველი (გაბიდაურთ თემის) ხოშარაულ-ხუშურაულებიც (ხოშარის სახუთმეტოს ძელის ანგელოზის ყმანი).

როგორც ანდრეზი გვამცნობს: –

სახელის ძიებით შეპყრობილ არხოტელ იონეურ (ივანეურ) თეთრაულს, ცაბაურ-თაში – „მთიბელში მყოფი კაცი მოუკლავს“ (ერეკლეს ჯარში ნამყოფი სახალხო გმირი – ყარტიულისძე) – გაქცეულა და მთავარანგელოზის ხატისთვის შეუფარებია თავი.

მათ სალოცავში თავშეფარებულს ცაბაურთელნი ვერ მოკლავდნენ და ეს საქმე ბეჭისჩრდილელ მეომარს, ხოშურაულს მიანდეს.

ერთ ხელში სანთლით და მეორეში – ხმლით შესულა ის – „ბნელს სალოცავში“.

მისი სანთლიანი ხელი ივანეურს – ხმლით გაუსხეპია, ანუ, „დაუხოშია“.

(ამ სიტყვიდან წარმოსდგაო ფშაველი ხოშურაულების გვარი).

სანთელი ჩამქრალა, მაგრამ ბეჭისჩრდილელს მაინც მოუკლავს ხატის „სტუმარი“ – დაუდვია მიუტევებელი ცოდვა:

– „თავს მასჭრის ბატყანივითა, შაჟრევს ჯვარს, ჯვარის კარსაო.“

ამბონენ რომ: – აღნიშნულის გამო, ხატმა დაამიზეზა ხოშურაულები და დანადები დაეკისრათ.

მთავარანგელოზის სალოცავში ისინი დიდხანს დადიოდნენ პატიების თხოვნით.

ყოველ წელს კურატს კლავდნენ და თეთრაულ ივანეურის – „თავის დანაგორებ ადგილზე აგორებდნენ კურატის მოჭრილ თავს.“

ტურანი და მჭედლურები

ვაჟა-ფშაველა და დავით ხიზანაშვილი ფშავის ერთ-ერთ თემს „ტურანის“ სახელ-წოდებით მოიხსენიებენ.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, „ეგენი მჭედლურები იყვნენ სოფელ აფშოდან ქუთხში გადმოსახლებულები“ („იქიდან... კახეთიკენ წასულან“).

ხახმატის განაპირას დღემდე შემორჩენილია ტოპონიმი „მჭადლურთა“, საიდანაც – ანდრეზის მიხედვით, ეს გვარი ფშავში გადასახლდა.

ერთი ვერსიის თანახმად, ისინი ცაბაურთ თემის ცნობილი ხევისბერის, იმ გამახარე ხოხორდაულის ჩამომავლები არიან, რომელმაც მთავარანგელოზის ხატს თავი დაამეტა და გაანაწყენა.

სამთო სალოცავი, საიდანაც ხოხორდაული ზვავმა წამოილო, მთაწმინდაზე მდებარეობს.

„გარშემო სულ საზოვე ადგილები ახვევია“.

„ახალწელინადს დადენილა ხატიონი იქ სალოცავად“.

ერთხელ, დიდი თოვლი მოსულა, მაგრამ მეკვლენი მაინც ასულან.

დილისთვის – „ყელამდე თოვლი დაიქცეულა“ და ხატიონი, თურმე, საგონებელში ჩავარდა: – „აღარ იცოდნენ, როგორ დაბრუნებულიყვნენ სახლებში.“

ამ დროს გაქადაგდა ხევისბერი, გამახარე ხოხორდაული: –

„აიღო ხელში სამი ვერცხლის თასი, მხარზე ხატის დროშა გაიდო და პირდაპირ საზოვე კლდეზე დაეშო – პირთავქვე.“

„გატყდა დიდი ზოვი და ზედ დამჯდარივით წამოილო ხევისბერი.“

„მზილას“ დამდგარა, ბოლოს – ზოვის წამოღებული;“

„შაბერტყა, თურმე, დროშაი,“ მშვიდად ჩამოვიდა ნამზღვლევიდან და დაიქადნა:

– „ბეჩავ, ჩემო მთავარანგელოზო, დროშა გადაგირჩინე – მე გიშველეო!“

„თავი დაამეტა ხატსა ი ბრიყვმა!“

გადმოცემის თანახმად, იწყინა მთავარანგელოზმა ეს და ცხრა ძმა ხოხორდაულებს, ყველას, „დალევა დაუპირა.“

ლაშარის ჯვარი გამოესარჩლა, თურმე, მათ მოდგმას: – „სადა მყავს დასალევი ყმანიო და ახლაც არიან მათი მოდენილობის ხალხი – მჭედლურები, სოფ. აფშოში, ქუთხში და თითო-ოროლა სხვა სოფლებშიც“ (გ. თევდორაძე).

*

კიშხევის პირდაპირ, არაგვის მარცხენა მხარეს, ხეობაა – „კაკლიან რუვს“ ეძახიან. იმ რუვის მარჯვნივ არი ძველი ნასახლარები და ველიანები, რომელსაც „ლომის ახოს“ ეძახიან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: – ამ ადგილში გამოსულა სანადიროდ აფშუელი მონადირე კაცი, გვარად მჭედლური. მოინადირა, თურმე და უკან დაბრუნებულს, გზაზე შეხვდა არახიჯელი კაცი – ქისტაური, სახელად მამალა.

აქ ტყეც ჩემია და ნადირიცაო, უთქვამს მამალას – უკრია თოფი და მაუკლავ მჭედლური. ატეხილა დავა.

იმ კაცის თავსისხლში მისცეს არახიჯელებმა აფშოველ მჭედლურებს, ადგილი – ქუთხი.

„ჩამოიდნენ ტურანი და ქუთხში დასახლდნენ.“

„მერე, ცალკე თემად გამოყოფას ცდილობდნენ... რეალურად კი, „ისევე როგორც აფშოვლები, ისინიც გოგოჭურთ თემიდან იყვნენ – ცაბაურთის მთავარანგელოზის ყმები“ (ირ. გოგოლაური).

მჭედლურები, დღეს – ახმეტის, დუშეთის და თელავის რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში 45 მჭედლური ცხოვრობს, ახმეტაში – 50, თელავში – 48 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

მიგრიაულთაში დაიბადა ცნობილი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი პოეტური და პროზაული კრებულის, პუბლიკაციების და კრიტიკული წერილების ავტორი – ვაჟა-ფშაველას და შალვა დადიანის პრემიების ლაურეატი, დავით მჭედლური – სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა: – გამომცემლობა „მერანის“ მთავარ რედაქტორად, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

უძილაურთ თემი

თემის თანამოსახელე სოფელი – ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 1200 მ-ზე, ორწყალიდან – 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ადრე, ორ ნაწილად იყოფოდა:

„უძილაურთა – მაღლა მთის ძირში და – მუხრიანი, ანუ, მუხის ტყით დაფარული ადგილი – დაბლა.“

„მერცხლის ბუდესავით შეკრული თემია“ – ერთი სოფლით წარმოდგენილი, სადაც „შვიდი მთავარი გვარი ცხოვრობს, სხვადასხვა მოდგმისა“: – ლოსეურანი, ლაშეარანი, კოჭლანი, მაღურანი, ბაზიერანი, ცუბერანი და ჩორხაულნი (გ. თევდორაძე).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – კოჭლაშვილები, ბაზიერაშვილები და ლაშქარაშვილები უძილაურთ ძმათაშვილები არიან – მამის სახელები აქვთ გაგვარებული. პაპიაშვილების, ლოსეურაშვილებს და თათარაშვილებს დედაგვარიც – უძილაურია.

თემში „მოსული მარტო ჩორხაული იყო...“ ისინი – „კოპალას მუდმივ დასტურად ემსახურებოდნენ“, „ხატის თას-განის მეთვალყურეობაც მათი მოვალეობა იყო... და საერთო გვარსაც იჩემებდნენ – უძილაურს...“ (ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღესასწაულები აღმ. საქ. მთიანეთში, 1991 წ. გვ. 290-292).

ჩორხაული – „ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან ამანათად მოსულნი...“ „მათი გვარიდან დამდგარი მუდმივი დასტური უძღვებოდა თემის როგორც სამინათ-მოქმედო მეურნეობას, ასევე მესაქონლეობას. იგი ითავსებდა მეპურე ხევისბერის, მეკურატე ხევისბერის და მეთასგანძე ხევისბერის ფუნქციებს“ (ვ. ბარდაველიძე).

უფრო გვიანდელი ეთნოგრაფიული ცნობებით: – მადურაშვილების წინაპარიც მოსულია; ნეძიხიდან არისო გადმოსახლებული.

*

უძილაურთა სათემო სალოცავია კოპალა; აკუშოსთან, „მწვერვალ კარატეს ას“ მისი მთავარი საპრძანისი.

ირემთ კალოს და ციხეგორს ამოუწყვეტია ხთისშვილ კოპალას დევების ძლიერი საბუდარი – მათ სამოსახლოს დაპატრონებია.

სალოცავი – სოფლის დასავლეთით მდებარე ფერდობზეა განთავსებული. გარს წმინდა ხეები არტყია. სამხრეთით, ფშავის არაგვს გასცერს; დასავლეთით – ხევსურეთის არაგვს.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საყეინოს საპრძანისი, სასანთლე, საზარები, საბერო, მარანი, სალუდე და ბეღელი. გალავანი მთლიანად დანგრეულია.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, საკმაოდ მდიდარი სალოცავი ყოფილა. „მისი ხოდაბუნები ორწყლამდე აღწევდნენ“. „ხატის განძი... სამალავში ინახებოდა – მეგანძური ხევისბერის მიერ.“

„სახმარად მხოლოდ დღეობებზე გამოჰქონდათ.“

„ახალი საზარე და ზარი ადგილობრივ მოსახლეს, ღვერაშვილს შეუწირავს – თავის სამწყალობნოდ.“

სალოცავის კარის თავზე, მოთავსებული იყო ვერცხლგადაკრული და ორნამენტირებული ხევისბერის ყავარჯენი, ანუ არგანი – მისი ინსიგნის (ძალაუფლების) ნიშანი.

„თავხევისბერი, ჭრელი კოჭლიშვილი „ჩიოდა, რომ ხატის განძის ოცდახუთი ნაჭერი ჩამოართვეს“ (ვ. ბარდაველიძე)...“

სალოცავის დროშას – თავზე ჯვრიანი ვერცხლის სფერო ეკეთა, შემდეგი წარწერით: – „დროშა ეს წმ. გიორგისა შემოვწირეთ ჩვენ უძილაურიანთ თემმა წმ. კოპალასა 1890 წ“ (ს. მაკალათია).

კოპალას ხატის ზემოთ, მთის წვერზე (ზ. დ. 1900 მ-ზე), უძილაურების „საკვირაო ხატია,“ რომელიც მუხის ხეებს შორის მდგარი – ორი (სასანთლე და სადროშე) კოშკით არის წარმოდგენილი.

უფრო ზემოთ მდებარე მთის დავაკებაზე (ზ. დ. 2226 მ-ზე) – კიდევ ერთი სალო-

ცავია – „ირემთ-კალო“, რომელსაც ყორის გალავნი აკრავს. მის შიგნით სასანთლე და საზარე კოშკებია.

გალავნის შესასვლელთან განთავსებულია – ბრტყელი სიპი, „საყენოს საბრძანისი“.

სამრეკლოს ოთხფერდა სახურავზე – პირდაღმაა დაყუდებული ძველი, მწვანე პატინით დაფარული ზარი.

მასში ჩადგმულია თუნუქის ჯვარი, რომლის ქვემო ღერძზე არსებულ ბუშტზე – რამდენიმე შემწირველის გვარი იკითხება: – ნაოგურის ბაზიერიშვილი, შიო გოგიაშვილი, სოსიკა აბრამიშვილი, მამუკა პაპისშვილი, გულო კოჭლიშვილი, ხუმარა ჩორხური და თევდორე თეგერაშვილი.

ირემთკალოს მოპირდაპირედ აკუშოს და კიმხის სანახები მოჩანს.

ადრე იქ – ფშავლები (სამხარაულები და ბულალაურები) სახლობდნენ.

ისინი ლიქოკელებმა აყარეს – მაგრამ ადგილის ბეგარას მაინც აძლევდნენ: – აკუშოს, ქობულოს, მალრანის, კიმხის თითო მეკომურს, ათენგენობას – კობალას სალოცავში უნდა მიეყვანა თითო ცხვარი (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

*

1860 წლის აღწერით – უძილაურთაში სახლობდნენ: – გოძიაშვილები, ფუნჩურიშვილები, ქავთარაშვილები, ბეროშვილები, თინიბეგიშვილები, პაპაშვილები, ობოლაშვილები და ჯანგირაშვილები.

1934 წელს – 16 კომლი დარეგისტრირდა (66 სული): – ჩორხაულები, ლაშქარაშვილები, კოჭლიშვილები, თათარაშვილები, ლოსეურაშვილები, ქავთარაძეები და ბაზიერაშვილები.

1973 წელს – გ. ხორნაულმა 9 კომლი აღწერა (19 სული) – ჩორხაულები, ლაშქარაშვილები, კოჭლიშვილები, თათარაშვილები და ლოსეურაშვილები.

*

„მთელ ფშავში თავისი სიბრძნით ცნობილი იყო ჭრელა უძილაური, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პიროვნება, მოლექსე და მოკაფიავე, ნიჭიერი შემოქმედი, კარგი მთქმელი და მოსაუბრე, დიდი დარდისა და სევდის გადამყრელი, გაუტეხელი კაცი, გასაოცარი მეხსიერების მქონე.“

მას ეკუთვნის ცნობილი ხალხური ლექსის პერეფრაზირება:

„ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში ჭავჭავაძეო,
თავში გჭირს სამი ნახმლევი,
ზედ ერბო-კვერცხი გაძეო,
ადვილად აღარ მორჩები,
ლოსეურაის ნაჭრეო...“

ლოსეურა – უძილაურების დიდ პაპა ყოფილა. მას დაუჭრია ჭავჭავაძე. მისი შთამომავლები ლოსეურაშვილებად იწერებიან და უძილაურთ ბიძაშვილებად ითვლებიან (გ. თურმანაული, ცისკარი, 1981 წ. №3, გვ. 108-121).

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, უძილაურები, დღეს – ახმეტის, დედოფლისნებროს და დუშეთის რაიონებში სახლობენ.

ახმეტაში – 234 უძილაური ცხოვრობს, დედოფლისნებროში – 84, დუშეთში – 45 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

უძილაურებთის მიგრაცია XVII ს-დან დაიწყო.

თიანეთის რაიონის სოფელ სახასოში მცხოვრები ჯამარაულები – აღნიშნულ პერიოდში ჩამოსახლდნენ უძილაურთიდან.

XVIII ს-ში მისულან ერწო-თიანეთში ტილინაშვილები.

წინაფშავის სოფ. კანატიაში წასული უძილაურები უკვე რამდენიმე მამიშვილობას ითვლიან (ჯუთუანი, ქურსიკანი, გუტიანი, ხარებანი, თახანი, გენჯელანი, მაჩხურანი...) – მაგრამ ისევ ძირგვარს – უძილაურს ატარებენ. ივრის ხეობაში მიგრირებული უძილაურების ნაწილი კი, მამიშვილობათა შესაბამისად, რამდენიმე ახალ გვარზე არის გადასული.

*

უძილაურთ თემს წარმოადგენენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო-სამშენებლო განყოფილების – თავ-დაცვის, საავიაციო და ქიმიური მშენებლობის მხარდამჭერი საზოგადოების თავკაცი, 1937 წელს რეპრესირებული – ვასილ კოჭლაშვილი.

ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გიორგი კოჭლაშვილი, რომელიც – წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „მიონს“ – დიდი ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას.

მწერალი – მევლუდ ლოსეურაშვილი ავტორი წიგნებისა: „შავი სატანა“ და „მგლები გამთენისას ყმუიან“.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მსაჯთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, მერაბ ლოსეურაშვილი – 2007 წლის სეზონის საუკეთესო მსაჯი.

ცნობილი მეცნიერი (ფილოლოგი და თეოლოგი) მეცნიერებათა დოქტორი – ზელიმხან უძილაური;

პოეტი ნინო უძილაური – „ფშაველი ქალი“;

ბერძნულ ენაზე მთარგმნელი ლიტერატორი, საბერძნეთში საქართველოს ელჩის თანაშემწე – ანი უძილაური;

ცნობილი უურნალისტი და პუბლიცისტი გიორგი უძილაური;

კაფიის დიდოსტატი და საკუთარ ლექსებზე რამდენიმე მუსიკის ავტორი – ელგუჯა უძილაური.

კულტურის მეცნიერებათა მაგისტრი, პარაოლიმპიელი სპორტსმენების და შშმ პირების ფიზიკური დატვირთვის მწვრთნელი, ტექნოჯიმის მასტერ ტრენერი – ია უძილაური.

ლანიშაშვილები

გვიანდელი ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, უძილაურთა თემიდან მოდის ლანიშაშვილების გვარიც.

ახმეტის სოფელ ჭართალაში დაიბადა ცნობილი ლიტერატორი – პოეტი, მწერალი და უურნალისტი – მიხეილ ლანიშაშვილი (ილტოსპირელი). მუშაობდა: ახმეტის რაიონული გაზეთის „ბახტრიონის“ მთავარ რედაქტორად, თბილისის ერთ-ერთი კერძო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, გამომცემლობა „ჩირალდანის“ მთავარ რედაქტორად. როგორც სამხედრო უურნალისტი ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა აშშ-სა და გერმანიაში. ცხოვრობდა კიევში, სადაც აქტიურად იყო ჩართული ქართული სათვისტომოს საქმიანობაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობა განაგრძო. 10 წიგნის ავტორია. მისი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, პუბლიცისტური სტატიები და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის წერილები თარგმნილია – ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ, შვედურ, რუსულ და ჩეჩენურ ენებზე.

მისი ინიციატივით ფუნქციონირებს ორი ლიტერატურული პროექტი: „მიხეილ ლანიშაშვილის მუდმივმოქმედი ლიტერატურული სემინარები“ (თბილისში) და ლექსობაკაფიაობის ფესტივალი (ჭართალაში).

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ლანიშაშვილების გვარი, დღეს – ახმეტაში, თიანეთში და თბილისში სახლობს.

ახმეტაში – 36 ლანიშაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 7, თიანეთში – 24 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ნათელაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სამი ქმის – გელანას, ბაგრატას და დათიკოს წინაპრები – ბუდეფშავში, ხევსურეთის სოფელ უკანახოდან მისულან (წინა გვარი არ სახელდება); მერე – უინვალის მახლობლად გადასახლებულან, სოფ. ავენისში; იქიდან მისულან ბაზალეთში, სადაც – ლალიაანი, ნატრაძიანი და ეპიტაანი დახვედრიან. იმათ უთქვამთ: – „აქ დავაყნოთ, ლეკებს არ მოუშვებენო“ და დაუსახლებიათ – წმინდა გიორგისთვის შენირულ ადგილზე – ანუ, ხატის მიწაზე.

ისინიც „მიბარებიან ამ ხატს – მისი ყმანი გამხდარან“.

ამის შემდგომ, ბაზალეთის წმინდა გიორგის დეკანოზი ლალიაშვილების და ნათელაშვილების გვარიდან დგებოდა.

ამბობენ, რომ ბაზალეთში მისული სამი ქმა უკვე ნათელაანთ გვარს ატარებდა და სამად იყო გაყოფილი: ბაგრატას შთამომავლები – თევდორაანი გამხდარან; გელანასი – პაპაანი; დათიკოსი – დათიკაანი.

იმასაც ამბობენ რომ: – ბაზალეთში მოსულ გელანას, ლაშარის ჯვარი გამოჰყოლია და მისი სამოსახლოს გვერდით დაპრძანებულა.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს: ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, 1947 წელს, სოფ. ბაზალეთში ნახეს ნათელაშვილების მკვიდრი სალოცავი: – ლაშარის წიში (მარანი და საზედაშე ქვევრები).

„სამი ქვევრი ყოფილა დაფლული: – ერთი, თევდორაანთ ეკუთვნოდა, მეორე – პაპაანთ, მესამე – დათიკაანთ.“ ლვინოს ჭილურტში ყიდულობდნენ. საღმრთოს გადახდისას, სამივე ძმის შთამომავლები საერთო ხარჯს იღებდნენ.

სალოცავის დეკანოზი მათი გვარიდან დგებოდა და ქადაგის ფუნქციასაც ას-რულებდა.

ბულალაურთა

დღეს უკვე ნასოფლარად ქცეული, ბულალაურთაში ყოფილი საცხოვრისი (სოფ. ბულალაურთა) ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე, აკუშოს და უძილაურთას შუა მდე-ბარეობს – ალპურ ზონაში, მდ. აკუშურას (აკუშოს ხევის) სათავეში.

„ბულანანი“ – სოფ. ცაბაურთას ერთიან ფრატრიაში, გოგანის, ანუ გოგელანის საგვარეულოში ყავს გ. თევდორაძეს მოხსენიებული.

მკვლევარის თანახმად, ისინი მიგრის (მიგრიაულების პატრონიმის) ძმიდან – გო-გასგან მოდიან.

„მათი ჩამომავლობა პანკისის ხეობაში ცხოვრობს – სოფ. პანკისსა და კინთაში“. ბულალაურთაში მცხოვრები ბობლიაშვილები კი, ელიაგზის მკვიდრნი არიან (გ. თე-ვდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930 წ.).

ჭრელა უძილაურს ვერსიით – მათი დიდ პაპა ლოსეურა იყო.

მისი შთამომავლები ლოსეურაშვილებად იწერებიან და უძილაურთა ბიძაშვილებად ითვლებიან (გ. თურმანაული, ცისკარი, 1981 წ. №3, გვ. 108-121).

სოფლის მიმდებარედ, ფშავ-ხევსურეთის საზღვართან მდებარე მაღალი მთის თავზე, პატარა დავაკებაა, რომელსაც კარატის წვერს ეძახიან.

„ერთ მხარეზე გადახედავს სოფელ ბულალაურთას, ფშავის სოფელს, მეორე მხ-არეზე – ლიქოკის ხეობას...“

„ზაფხულობით იქ ამოდის როგორც ბულალაურთის საქონელი, ისე ლიქოკელები-სა და ამ მთის სიმაღლეზე სანიაოზე დგებიან... იქ ამოდიოდნენ და ერთად საუ-ბრობდნენ ორივე სოფლის მწყემსები“ (ალ. ოჩიაური).

გადმოცემის თანახმად, კარატის ჯავრის (კოპალას) დაარსებამდე, იმ ადგილას საქონელს მწყემსავდა ლიქოკელი გოგონა (მინან ბასხაჯაური) და ბულალაურთ პა-ტარა ბიჭი (ბულალაურ ნანდაური) – „უყვარდათ ერთი-მეორე როგორც და-ძმას... ერთხელაც... ციდან ჩამოსული შიბი და ხატი იპოვეს. წილის ყრის შედეგად, ხატი, რომელიც შემდეგ კარატეს დაარსდა – გოგონას დარჩა“ და მინანი – შემდგომში, ამ სალოცავის მკადრე გახდა (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

1934 წლის აღწერით, ბულალაურთაში – 5 კომლი სახლობდა (30 სული): – ბობლი-აშვილები და ჯველაურები.

1973 წელს გ. ხორნაულმა ბულალაურების ერთი 6 სულიანი ოჯახი აღწერა.

XVIII ს-ის I მეოთხედში – ბულალაურების გვარი უკვე ერწოს სოფელ ახიელაში (დულუზაურებში) იყო დასახელებული.

დღეს – ისინი თბილისში, რუსთავში და დუშეთის რაიონში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში 30 ბულალაური ცხოვრობს, თბილისში – 20, რუსთავში – 6 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ქისტაურთ თემი

თემის მთავარი სოფელი – შუაფხო, ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ზ.დ. 1320 მ-ზე, ორნყლიდან 5 კმ-ის დაშორებით. მის სახელწოდებას მკვლევარები უკავშირებენ „ფხოვს“ – რომლის ადმინისტრაციულ ცენტრსაც, სოფ. შუაფხოსა და გოგოლაურთას შორის ვარაუდობენ – იქ, სადაც ციხე-გორის, იახსარის ხატის და სხვა ნასოფლართა ნანგრევებია შემორჩენილი.

ლეგენდის თანახმად:

„იმ ადგილას – დევები მდგარან;“ „მათი სადგური იყო“ და ერქვა „ავის გორი.“ გამხვეურაში – დევების მრავალსულიანი ოჯახი სახლობდა.

ამ დასახლებიდან მოდის ზეპირსიტყვიერებით ცნობილი დევის სახელწოდება – გამხვეურა, ანუ, „გამხვივნებული, გამრავლებული – გავსებული ხალხითა და დოვლათით...“

ნასოფლარში 40-მდე ნასახლარი ფიქსირდება... მათ ზემოთ – მიწის ქვედა ორი აკლდამაა შემორჩენილი (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

ციხე-გორის ციტადელი ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე (შუაფხოდან 2 კმ-ის დაშორებით), მაღალი კლდოვანი მთის თხემზეა განთავსებული.

მის შემადგენლობაშია: – ციხე, ძველი ნასახლარები და სამაროვანი.

კომპლექსი იფნის ტყით არის დაფარული.

ნატეხი ქვით მშრალად ნაგები ციხიდან (25X14 მ.) – მხოლოდ 1-2 მ. სიმაღლის კედლებია შემორჩენილი. მის ქვემოთ (მთის აღმოსავლეთ კალთაზე), ნამოსახლარები და განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვანია; დასავლეთით, ამავე პერიოდის მიწისქვეშა აკლდამა – რომლის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ინვერნტარი (ვერცხლის რგოლები, ყურძნის მტევნისებრი საყურეები, მოჭიქული და მოუჭიქავი წითელკეციანი კერამიკის ფრაგმენტები...) – დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული.

კერძო კოლექციაში ინახება ბრინჯაოს ირმის ქანდაკება.

სოფლის განაპირას, თავხევისბერების – დიდი ორსართულიანი სახლი დგას. ხევისბერ შალვა შიოლაშვილს აუგია („ქოჩანა“ მამას); მის მშენებლობას, თურმე, „შვიდი წელი მოუნდა.“

უკანასკნელად, იმ სახლში – თავხევისბერი ბიჭურ ბადრიშვილი ცხოვრობდა.

მრავალს მეტყველებენ გ. ხორნაულის მიერ შუაფხოს ტერიტორიაზე თავმოყრილი ტოპონიმები: – „ბადრიანთ (ბადრიშვილების) ნასახლარი“, „ბუჩქულთ“ (ბუჩქულანთ, ანუ ხიბლაშვილების) ჭალა, „ოჩიაურთ სათიბი“; „ჩარბოდაანთ“, „ბიჭურთ“, „სალირთ“ და „ხაზარათ“ ნაწისქვილარები; „ტოხიცანთ“, „ფოცხვერთ“, „ყარტაულთ“, „ჯაბანათ“, „ჯიხვიანთ“ და „ჯერვალიძეთ“ ნასახლარები; „დარჩიათ კალო“; „ლანიშოს“, „მირინაულნის“, „ზენა და ქვენა ჭანიშოს“ ნასოფლარები...

*

თემის ძირითადი, ძირძველი გვარი (ქისტაური) შუაფხოში მოსულად ითვლება. ქისტის მოდგმისანი არიან და სოფ. ღულ-ჩხორეგოდან ნამოსულან – მესისხლეობის გამო.

სამი გადმოხვეწილი ძმიდან – ერთი, ხევში (სოფ. გაიბოტენში) დასახლდა, მეორე – ხევსურეთის სოფ. ლულში, მესამე – შუაფხოში.

„ფშავში დასახლებულ ძმას – „ქისტაური“ დარქმევია და ეს სახელი ქცეულა მერე მათ გვარად“.

ქისტაურების ფრატრიაში (ლულელებთან ერთად) გ. თევდორაძე 18 გვარს აერთიანებს (ჯიხვიანს, ყენიანს, ჩარბოდანიანთ, მთვარელანთ, გამახარენს, ფოცხვერანს, ციგრონს, ჩაქუნანს, ბადრიანს, ხუცურაულებს, ქისტაურთ, ყუჯიანს, ქოჩანს, ბერიკაულებს, თათარანს, ხუტიანთ, ალუდანს და კუჭუნანს).

1886 წლის აღწერით, შუაფხოში სახლობდა – ჯიხვიშვილების 3 კომლი; ბერიშვილების – 2; ბადრიშვილების – 10; ელიზბარაშვილების – 5; ყენინიშვილების – 3; ბერიკაულ-ბერიკაშვილების – 4; დათუკაშვილების, შიომლაშვილების და კლეტაურების 2-2; ფოცხვერაშვილების, ავთანდიშვილების, ცვარეიშვილების (რუსული ტექსტია, ცუდად იკითხება, გ.ქ.), შუშანაშვილების, ბენინტურიშვილების, ტარიელაშვილების, ჩარბდაშვილების და ყლარტიაულების 1-1; სულ – 41 კომლი (სცსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1760).

1934 წელს – 26 კომლი დარეგისტრირდა (114 სული): – მთვარელაშვილები, ელიზბარაშვილები, ბადრიშვილები, ავთანდილაშვილები, ჯაბანიშვილები, შუშანაშვილები, ქოჩაშვილები და ჯიხვიშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 16 კომლი აღრიცხა (38 სული): – თვარელაშვილები, ელიზბარაშვილები და ბადრიშვილები.

როგორც ჩანს, სხვადასხვა მამიშვილობად დაყოფილმა ქისტაურებმა, დროთა განმავლობაში, მამის სახელები გაიგვარეს და, აღნიშნულის შესაბამისად – ზემოაღნიშნულ აღწერებში მათი ძირი გვარი (ქისტაური) აღარ ფიქსირდება.

1873 წელს, შუაფხოში მცხოვრები 34 კომლიდან (222 სული), მხოლოდ ერთი ატარებდა ქისტაურის გვარს. დანარჩენები – ელიზბარაშვილის, ბადრიშვილის, ჯიხვიშვილის, ქოჩაშვილის, შუშანაშვილის, ჯაბანიშვილის, თვარელაშვილის და ხუციშვილის გვარით ჩაეწერნენ.

ქისტაურები და მათი შტონაყარი გვარები სახლობდნენ როგორც ბუდეფშავის სოფლებში (შუაფხოს, მათურას, თხილიანას, არახიჯას და ვანხევს), ისე ხორხშიც – ამჟამად, უინვალის სათემო საბჭოში შემავალ სოფლებში (სწროფავსა და ნეძიხში).

მათი ერთიანი თემი აღნიშნული სოფლების სამეზობლო ერთიანობას წარმოადგენდა და ჩამოყალიბდა, ძირითადად: – ქისტაურების, ხუცურაულების, ციგროაულების, ბერიკაულებისა და სხვა გვართა გაერთიანებით.

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს: – ყველა მათგანი ძირად ქისტაური არ არის. კერძოდ – ქოჩანი, ბერიკაული და ჩარბოდანი.

აღ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ჩარბოდაშვილების წინაპარი დვალეთიდან მოსულა.

ბერიკაშვილ-ბერიკაულები და ციგროშვილ-ციგროაულები – ქისტაურთ გვარიდან არ მომდინარეობენ. ისინი ქისტაურებთან შეფიცულები არიან.

*

ქისტაურების სათემო სალოცავი, იახსარი – გადმოცემის თანახმად პირველად, „წვერის ანგელოზის სახელით“, „კარატეს მაღალ მთაზე“ დაარსდა. დევების გა-

ნადგურების შემდეგ კი, ავისგორი და ნინახი შეირჩია საპრძანისად.

საყმომ – სწორედ იქ (შუაფხოს დასავლეთით მდებარე ფერდობზე), ააგო მისი სალოცავი. თემი იქ იყრიდა თავს. იქ ხდებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა.

სოფლიდან მიმავალი ბილიკი პირველად ავისგორს მიადგება. იქ იყოფა ორად: – ერთი, ჩრდილოეთისკენ უხვევს და ხატის ნაგებობათა შორის იკარგება; მეორე – ხატისხევს გადალახავს და ნინახში მიდის.

კომპლექსის შემადგენლობაშია: – ღვთისმშობლის ხატი, ორი საჯარე, სალუ-დე, ორი საზარე კოშკი, საკულუხე, საბერო – ლაშარის, მთავარანგელოზის და ღვთისმშობლის კოშკები.

ამ საკმაოდ ფართე ტერიტორიას – ადრე, ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული.

ლაშარის ჯვრის საერთო საფშაველო დღეობაში, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მხოლოდ ქისტაურთ თემის მთავარი სალოცავის – იახსარის დროშას მია-ბრძანებდნენ.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს: –

XX ს-ის 70-იან წლებში, იახსარის ხატის განძს შეადგენდა 26 ვერცხლის თასი და ალვისტანი, ანუ, ოქროთი დაფერილი ჯვარი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, 300 წლის იყო.

*

იახსარის ხატის სამხრეთ-აღმოსავლეთით შუაფხოს ადგილისდედა-ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს. განეკუთვნება XIX-ს. ძლიერ დაზიანებულია.

პრ. უვაროვას, 1896 წლს, იქ უნახავს – იახსარის სალოცავიდან მოტანილი ვერცხლის ჯვრები – მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის გამოსახულებებით.

„ეკლესიის სალუდის უკანა ბოძზე, მიკრული იყო ირმის რქის ჩხა; მის ტოტებზე ეკიდა თიხის სურა, ორი ხელადა, სპილენძის დაღესტნური ხელობის მაღალფეხიანი სურა, საკადრისები, სპილენძის საწვნე, ვერცხლის ძენკვი, ზარის ენა, ზანზალაკების შეკვრა და მარლის ფუთა – რომელშიც ინახებოდა: – სამი ვერცხლის სასმისი; ერთი მათგანი შემკული იყო გოთური სტილის სახეებით და ჰქონდა წარწერა: – „მინა ვარდანაშვილი“, დანარჩენ ორს – მცენარეული ორნამენტი ამკობდა“ (ვ. ბარდაველიძე).

ავისგორზე მდებარე საბეროს და ლაშარის კოშკს შუა, გადმოცემის თანახმად – ორი სამანი იყო ჩადგმული, რომლებიც – არხოტიდან გადმოსულ და იახსარის ხატში გაფიცულ ხევსურებს ეკუთვნოდა.

ამბობენ, რომ ავისგორზე სხვა სამანები და აკლდამებიც იყო.

*

ქისტაურთ თემის მიგრაცია – ძირითადად, ერწო-თიანეთის მიმართულებით მოხდა.

XVIII ს-ის I ნახევარში – ზემო თიანეთში მისულ ფშაველთა შორის სახელდებიან შუაფხოდან გადასახლებული გიანაშვილები, ქაჩლიშვილები და ტუშურები.

ტუშურები დასახლდნენ – ქაშოში, თანგანთკარში; დააფუძნეს მათი გვარის თანამოსახელე სოფ. ტუშურები.

ქისტაურების რამდენიმე მამიშვილობამ (ლეგაანთ, ჯილალაანთ...), მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ერწო-თიანეთის სოფელ ამტნისხევში (დღევანდელი ღულელები) – თავად ხიმშიაშვილისაგან შეიძინა მამული და – იქ დასახლდა (რ. თოფჩიშვილი, ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია...).

*

ქისტაურთ თემს წარმოადგენენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუს შინაგან სწრაფულებათა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი – ალექსანდრე ქისტაური.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა ქისტაური.

ეკონომისტი და ფინანსისტი, ამერიკის ეკონომიკის ასოციაციის წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ლევან ქისტაური.

გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ინფორმატიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 80-მდე სამეცნიერო წამრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის ავტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნეს აკადემიის ასოცირებული პროფესორი – მერაბ ფხოველიშვილი.

ცნობილი მოლექსე და მოკაფიავე, ვახტანგ თვარელაშვილი,

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობი – მაია ჩარბოდაშვილი.

ქისტაურები, დღეს – თბილისში, თიანეთის და დუშეთის რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში – 219 ქისტაური ცხოვრობს, თიანეთში – 114, დუშეთში – 109 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ხუცურაულები

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, იახსრის პირველი ხევისბერი ხუცი ხუცურაული ყოფილა.

„მას დაუწყია იქ ხევისბერობა... ხატის ქონებისათვის ხელმძღვანელობა.“ მისგან და კიდევ დანარჩენი ოთხი მამიდან იახსრის ყმანი მალე გამრავლებულან. წულიანობა ბევრი ყოფილა, სიკვდილობა ნაკლები; „ამიტომ სხვა ხატების ყმებზე ორჯელ და სამჯერაც მალე მეტნი გამხდარან“ (ვ. ბარდაველიძე).

ხუცურაულები სამეზობლო პრინციპით გაერთიანდნენ ქისტაურთ თემში.

დამოუკიდებელი წარმომავლობის გვარია.

ალ. ოჩიაურის ცნობით, ისინი „პირველად – ერთს ვიწრო ხეობაში, ვანხევში ცხოვრობდნენ... იქედან გადასახლდნენ სხვადასხვა სოფლებში... ბევრნი ცხოვრობენ ხორხში და იქიდანაც ემსახურებიან თავის ბატონს, იახსარს“.

*

მწერალმა მარიამ ხუცურაულმა დააფუძნა პოეტ ქალთა ლიტერატურული კონკურსი „ხვარამზეობა“.

„მისი ენთუზიაზმის წყალობით გაცხადდა რეალობად ჩვენი სიზმარივით მითის, ხვარამზეს სახელი. მთელი ივრის ხეობა იმოსება ამ დღისათვის. ამ დღისათვის ყველა ქართველი პოეტი ქალი მღელვარედ ემზადება. ეს დღე განსაკუთრებულად ამაღლებულია, განსაკუთრებით უნიკალურია იმით, როთაც ხვარამზემ გაასწრო თავის თანამედროვე და კარგ ფშაველ პოეტებს – იქცა ქართველ პოეტად – ამაღლებულით, უჭირნობი, დროისგან მოურევნელ სიყვარულზე გალობით“ (ბესიკ ხარანაული).

ბადრიშვილები

ხუცურაულების შემდგომ, იახსრის ხატის ხევისბრობა – ქისტაურების ბადრიანთ და ჩაქუნანთ მამიშვილობებს მოუდიოდა.

ბადრიშვილები, დღეს – თბილისში, გარდაბნის და ახმეტის რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში – 43 ბადრიშვილი ცხოვ-რობს, გარდაბანში – 26, ახმეტაში – 15 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ქარელის რაიონის სოფ. ფცაში დაიბადა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცნენარეობის კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ბადრიშვილი.

გივი გიორგის ძე ბადრიშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნათია ბადრიშვილი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია.

შუშანაშვილები

ლეგენდის თანახმად, შუშანაშვილებს – „დევის თავი მართებთ.“

როცა ხთისშვილისგან დევნილი ავსული აბუდელაურის ტბაში ჩაიმალა – „შუშანათ კაცს დროშა მიუტანია და ტბისათვის დაუკრავს: – „მე დავჰკარ, დიდო იახსარო, და შენც დაჰკარო!“

„მე რაღა დაკვრა მინდოდაო – უთქვამს განწირულ დევს და ამის შემდეგ დას-დებია შუშანათ მისი თავი“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

ამ გვარის ხალხი, დღეს – თბილისში, თიანეთის და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თიანეთში – 126 შუშანაშვილი ცხოვ-რობს, თბილისში – 63, ახმეტაში – 20 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია ალექსანდრე (ალე) შუშანაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი – ყოფილი მთავარი სამხედრო პროკურორი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი.

ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო გენერალური დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

გერონტი შუშანაშვილი – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია.

ელიზბარაშვილები

ცნობილი მოლექსე-მოკაფიავის – მათურელი გიორგი ელიზბარაშვილის (მოლექსე ფუნჩია ხუციშვილის შვილიშვილის) ძირი – შუაფხოდან მოდის.

მოგვიანებით არის მათურაში – დედეულებთან გადასული.

მათურელი ყოფილა ხვთისო ქისტაურიც – წარმოსადეგი, ტანადი, გრძელი და გაგრეხილი ულვაშების გამო, „ბუდიონად“ სახელდებული ვაჟკაცი – წინაპართა ამ-ბების კარგი მცოდნე.

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიისა და მოლეკულური ინჟინერიის ინსტიტუტის ორგანულ და მაღალმოლეკულურ ნაერთთა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, სამეცნიერო-შემეცნებითი უურნალის, „ქიმიის უწყებანის“ – მთავარი რედაქტორი; 100-ზე მეტი სამეცნიერო წარმომის და 8 სახელმძღვანელოს ავტორი.

არიან არა ფშაური წარმომავლობის ელიზბარაშვილებიც.

ფშავლები – შუაფხოდან წასული ელიზბარაშვილები არიან – ლალი იახსრის ყმანი.

მათი ხევისბერი – ლაზარე ელიზბარაშვილია.

ალბუთაშვილები

XX ს-ის I ნახევარში თელავში ცხოვრობდა ცნობილი ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პედაგოგი და მწერალი – პანკისის ხეობაში სწავლა-განათლების ფუძემდებელი, მათე ალბუთაშვილი („ქისტი ჩობანი“).

მოგვიანებით, სოფ. ჯოულოს წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი გახდა.

მისი მოღვაწეობით პანკისის ხეობაში აღდგა ქრისტიანული წირვა-ლოცვა – აშენდა პირველი სკოლა...

გიორგი ალბუთაშვილი ცნობილი სპორტსმენია – მკლავჭიდელი; 2006 წლის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატში (მანჩესტერში) გამარჯვებული; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

ალბუთაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, დუშეთის და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 63 ალბუთაშვილი ცხოვრობს; თბილისში – 62, დუშეთში – 53 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

შუაფხოელი ოჩიაურები

შუაფხოში არხოტიდან შემოიხიზნა ალექსი ოჩიაურის და ნათელა ბალიაურის ოჯახი.

18 წლის მამის ნებიერა ცოლად გაყვა ამავე სოფლის მკვიდრს. დაარღვიეს თანასოფლელი ქალ-ვაჟის ერთმანეთზე დაქორწინების აკრძალული წესი და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მმობლიური კუთხე.

მივიდნენ სოფ. შუაფხოში და დამკვიდრდნენ.

მათი ოჯახის კარი ლია გახდა ყველა სტუმრისათვის, ვინც ფშავ-ხევსურეთისკენ წასვლას განიზრახავდა. „ორსართულიანი სახლის აივანზე თავს იყრიდნენ სტუმარ-მასპინძლები და მონუსხულები გადაჰყურებდნენ ზღაპრულ ხეობას“.

ოთხი საამაყო შვილი აღუზარდა ამ ოჯახმა სრულიად საქართველოს: – პროფესორები (ბოტანიკოსი) დედიკა და (ეთნოგრაფი) თინათინ ოჩიაური; ცნობილი მოქანდაკეები: – ირაკლი და გოგი ოჩიაურები.

ნათელა ბალიაურის უახლოესი ადამიანები (ლადო, თომა, გაბრიელ და ერასტ ბალიაურები) – ხევსურული ინტელიგენციის პირველი წარმომადგენლები იყვნენ.

თხილიანა

ორწყლიდან მესამე კმ-ზე მდებარეობს (ზ.დ 1350 მ-ზე).

ქვემოდან პირველი სოფელია – ფშავის არაგვის მარცხენა მხარეს.

ადრე, შუაფხოს უბანს წარმოადგენდა.

იქ მდებარე ხატის მამულებს თემი „ხარნადით“ ხნავდა.

სახნავად გასვლის წინ, ადათის მიხედვით – სანთელი უნდა დაენთოთ.

საყმოს – ადიდებულ არაგვზე გადასვლა უჭირდა და მოხარნადე ანგელოზის სახელზე – სახატო მამულის თავზე ააგებინეს სასანთლე კოშკი – მოწმაოელ ხევსურს.

ხარ-ნადთან დაკავშირებული სავალდებულო ხატმსახურება, შემდგომში – იქ სრულდებოდა.

მოგვიანებით, შუაფხოვლებმა – სასანთლე კოშკი ხატად აქციეს და იქ – მარიამობის დღეობა დააწესეს.

ბევრის მთქმელია გ. ხორნაულის მიერ თხილიანაში თავმოყრილი ტოპონიმები: – „გეჯურათ“, „ბენინტურთ“ (იგივე „შუმანათ“), „ქოჩათ“ (ქოჩაშვილების) მამულები; „ბერიათ“ და „ჯაბანთ“ სახნავი; „სალირათ სათიბი“, „ჩიტუათ“ (ჩიტოშვილების) ახო, „კუჭუნათ“ (ელიზბარაშვილების) სახნავ-სათიბი; „შიოლათ“ (მამაშვილობით ქოჩაშვილების) გორა; „ჯიხვიანთ ბაკი“ – „გამხვეურთკარის“, „მირნაულთგორის“, „ზემო და ქვემო მაშარას“ ნასოფლარები...

*

1939 წლის აღწერით, თხილიანაში, 12 კომლი სახლობდა (68 სული);

1973 წელს გ. ხორნაულმა 17 კომლი (48 სული) აღწერა – ჯაბანიშვილები, სალირაშვილები და ქოჩაშვილები.

სოფლის სასაფლაოს გარეთ – პატარა ველია (ძმათა სასაფლაოს ეძახიან). განთქმული მოლექსე, შეთე ხახონიშვილი და ნიკო ჯერვალიძეა იქ დაკრძალული. „ორივე უშვილძირო ყოფილა; სიბერის უამს შეკედლებიან თხილიანველ კაი ყმას – დავითო ქოჩაშვილს. ორივე მას დაუმარხავს. პირველი – ნათესავად ერგებოდა; მეორე – სამადლოდ“ (გ. ხორნაული).

ციგროშვილები

თანამეკალმენი – გულიანი პოეტის ეპითეტით მოიხსენიებენ თხილიანელ ჯარჯი ფხოველს (დავით ციგროშვილს).

თეთრი ფურცლებით იყო მოფენილი მისი გზა; „თეთრი ფოთლებით გადათოვ-ლილი“...

მეციხივნე იყო ციხე-კოშკების!

„ძველისძველი მეტაფორებივით ჩახლართულების ისტორიის ყვავილწნულებში...“

*

ამავე სოფლის მკვიდრი იყო პოეტი – ირაკლი ციგროშვილი.

მთელი სიცოცხლე ფშავში გაატარა – სხვათა სამაგალითოდ!

იქ, „იმ მყუდრო თხილიანაში“,

„სადაც ერთი-ორი თუღაა კომლი;

მიჩუმქრულია შუა ზამთრის ნისლით და თოვლით“ –

მისი ფანჯრიდან გასული შუქი“ – ანგელოზებს უნათებდაო გზას (თ. ბექიშვილი).

სიონის ზარივით რეკს პოეტის სულისშემძვრელი მოწოდება: –

„წადი უერთგულე, უპატრონე სოფელს, ლაფში ჩაფლულ ურემს, კაცს, ურვაში მყოფელს. წინაპრის სულს უხმე, სულს ღმერთივით მართალს, და დაეცი მუხლზე იახსარის კართან...“

*

ლაფანყურის მკვიდრმა – ქველმოქმედმა ლიტერატორმა, აპოლონ ციგროშვილმა – მშობლიურ სოფელში აღადგინა „ვაჟაობის“ მივიწყებული სახალხო დღესასწაული; კულტურის სახლის ეზოში დადგა ვაჟას ბიუსტი. მისი თაოსნობით შენდება ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. გამოიცა ფშაური ლექსების კრებული – „ილია და ლუკა მთიბელაშვილები“.

*

„ციგრონი“, დღეს – თბილისში, თელავის და ახმეტის რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში – 31 ციგროშვილი ცხოვრობს, თელავში – 44, ახმეტაში – 24 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ქუთხი

პატარა სოფელი იყო შუაფხოს მთის – უბისთავის დაბლა მდებარე ფერდობზე.

„ბოლოზე გაუვალი კლდეები ეკრა.“

ჭალაზე ჩამოსასვლელად „ეშმაკთრუვაის“ ბილიკით უკავშირდებოდა არახიჯის გზას.

ქუთხისკენ წასასვლელი მეტი გზა არ იყო.

ეს ადგილი, ადრე, შუაფხოვლების ყოფილა, მერე – კაცის სისხლში მიუციათ აფ-შოვლებისათვის: –

„ქისტაურს – აფშუელ კაც მაუკლავ და იმის თავში მაუცავ ჩვენთვის ეგ ადგილი – ერთ კუთხ მივცათო.“

მოგვიანებით, ქუთხში, აფშოდან გადმოსული მჭედლურები დასახლდნენ.

1876 წელს – იქ, 5 კომლი სახლობდა;

1934 წელს 3 კომლი (17 სული) აღნერეს: – მჭედლიშვილები (ალბათ – მჭედლურებად ყოფილი, გ.ქ.) და ხუციშვილები;

ნასოფლარად 1941 წლის შემდგომ იქცა.

მოსახლეთა ნაწილი თხილიანაში გადავიდა.

სოფლის მიმდებარე ღვთისმშობლის ხატი – ერთი სასანთლე კოშკით არის წარმოდგენილი.

აფშო

ძველთაძველი სოფელი იყო. ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს, მდინარე კიშხევის შესართავთან მდებარეობდა, ზ.დ. 1400 მ-ზე; ცაბაურთიდან 10-12 კმ-ის დაშორებით.

მისი ძველი სახელწოდებაა – წიკო.

ძირითადი უბანი მაღლა ქედზე იყო განთავსებული – ხომის პირდაპირ.

ადრე, შუაფხოს საზოგადოებაში შედიოდა, მერე – მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში მოაქციეს.

სოფლის უძველესი გვარი გოგოჭურია (ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღესასწაულები აღმ. საქ. მთიანეთში“, 1991 წ. გვ. 290-292).

იქ სახლობდნენ: – ვოქიანი, ხუზაურანი, შამაქიანი (შამქიაშვილები), მჭედლურნი, ვარდანანი (ვარდანიშვილები) და დაქუზანი (დაქუზაშვილები). „ამათი საერთო გვარია გოგოჭური. ჩამოთვლილი გვარები ნაწარმოებია ცაბაურთიდან პირველად გადმოსახლებული აფშოელების წინაპართა სახელებიდან...“ ისინი საგოგოჭუროს თემს ეკუთვნიან და ცაბაურთ მთავარანგელოზის ყმები არიან (ვ. ბარდაველიძე).

მრავალს მეტყველებენ გ. ხორნაულის მიერ აფშოში თავმოყრილი ტოპონიმები: – „მაუბარანის“, „ნემსანის“ და „სადუციანთ“ ნასოფლარები; „ბათირას“, „ბერიძის“, „გოგოთურთ“, „დოქუზათ“, „ყბაილათ“, „ქავთარაის“, „ძალლიანთ“ და „ქეშიკურიშვილის“ ნასახლარები; „ბუნუკელთ“, „ხუზაურთ“ და „ელგუჯათ“ გორი; „ვარდანათ“, „მწირიას“, „ლეგუას“ და „თათართ“ მამული; „მგელას“ და „ჩოხელას“ ნაბინავარი; „წიწილას ნასამჭედლოვარი“; „ჯუღურანთ უბანი“...

სოფლის მიმდებარედ მაუბარას ხეობა – უდაბური, ტყიანი ხევი იყო, სადაც მაუბარაშვილებს ძველი ნასოფლარია შემორჩენილი.

ხეობის კუდში, მდებარეობდა – პატარა აფშო (ანუ, შალმა სოფელი, კილდუანი), სადაც 4-5 კომლი სახლობდა.

1860 წლის აღნერით, აფშოში ცხოვრობდნენ: – ელგუჯაშვილები, მგელაშვილები, ჭრელაშვილები, ციხელაშვილები, ქურციკაშვილები, ხარებაშვილები, მამუკიშვილები და ჯაბანიშვილები.

1876 წელს გ. რადემ 28 კომლი აღრიცხა;

1934 წლის აღნერით 34 კომლი (221 სული) დარეგისტრირდა: – ბუსურიშვილები, ვარდანაშვილები, მჭედლურები, მაუბარაშვილები, დაქუზაშვილები, მაჩურიშვილები, ხუზაურაშვილები, ყაბაილაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 8 კომლი აღწერა (15 სული): – ვარდანაშვილები, მაუბარაშვილები, მაჩურიშვილები და დოქუზაშვილები.

*

აფშოელთა სალოცავი, თამარ მეფის ხატი – ნასოფლარის შუა ადგილას მდებარეობს – „სალოცავთ გორაზე.“ „ხევისბრები ვარდანანთ გვარიდან გამოდიოდნენ“. ხატის სიახლოეს, „შალმ-აფშოს გზაზე, თამარ-ნეფის წყაროა.... ცხრა ლვდლისგან ნაკურთხი... ხავსიან შირიმი უონავს... ავადმყოფს ძალიანა შველის... მომაკვდავს გამააბრუნებს... კამკამა წყალია, გემრიელი“.

სოფლის აღმოსავლეთით (1,5 კმ-ზე), ტყით დაფარულ ქედზე მდებარე, ლაშარის ჯვარის სასოფლო ხატი – შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია ($5,7 \times 3,6$ მ.), ნაგებია კლდის ნატეხი ქვით და რიყის ქვით. გარეთა კუთხეების წყობაში გამოყენებულია შირიმის თლილი ქვაც. ძლიერ დაზიანებულია. კედლები შემორჩენილია $0,9-1,2$ მ-ის სიმაღლეზე. ინტერიერი ნანგრევებით არის ამოვსებული. აღმოჩენილია შირიმის ქვაში ნაკვეთი ემბაზი.

სოფლის დასავლეთით (3 კმ-ზე), ფშარაოს მთის წვერზე მდებარე წმინდა გიორგის დარბაზული ($5,9 \times 3,8$ მ.) ეკლესია – საზიაროა ფშაველთა და გუდამაყრელთათვის. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეების წყობაში გამოყენებულია შირიმიც. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი აქვს $1,3-1,6$ სიმაღლის კედლები. სამხრეთის და დასავლეთის მინაშენები მთლიანად დანგრეულია.

*

აფშოს მკვიდრი იყო – ვაჟა-ფშაველას თანამედროვე ცნობილი მელექსე – დაქუზათ პაპი. ნიჭიერი მოკაფიავე, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფოთოლათ მერცხალასთან და ხაჩით ჯაბანთან.

მათი კაფიებიდან ჩანს რომ – ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან.

„დუქუზანი“, ანუ, დუქუზაშვილები აფშოს იმ ნაწილში სახლობდნენ, რომელსაც „გაღმა სოფელს“ ეძახიან.

ცაბაურთ, ანუ, საგოგოჭუროს თემს ეკუთვნოდნენ (ისევე როგორც ფოთოლათ მერცხალა).

პაპი, ზოგან, დოდრონაშვილად მოიხსენიება – პაპის სახელის (დოდრონას) მიხედვით.

*

ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ერთი სახელოვანი აფშოელი მეომრის სახელიც: –

„ვაჟიკა მაჩურიშვილი მარცხნივ ჩაპხედავს ლიშანსა. მარტუა მეკოპარს წავა, გულსა ვენაცვლე ყმისასა. საქარავნოსას ნამუა, გაივლის ბორბლის მთისასა. გარდითა ჰკითხავს ამბავსა თუშებსა ლეკებისასა – აღარ დადისა, თუშებო, ლეკები თქვენი მთისასა? მაჰლავს თავის ძმის მაკლავსა, წყალს მისცემს დაღესტნისასა...“

*

აფშოს ქვემოთ, არაგვის დინების მიმართულებით, ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური გზის ორივე მხარეს, წინაფშავის კიდევ რამდენიმე სოფელია; მარჯვნივ: – კანალხევი, მიგრიაულთა და გომენარი; მარცხნივ: – ხომი, ინო, გუდარახი, ჩარგალი, ყოფჩა და ქალილო.

კანალხევი

ჩარგლის ცოტა ზემოთ (მოპირდაპირე ხეობაში) – არაგვის მარჯვენა მხარეს და მისგან 4-5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე – ზ.დ. 1200 მ-ზე.

ამ ადგილის სანახავად, XIX ს-ის I ნახევარში, სამიგრაციოდ განწყობილ წყალსიქითელ (ხევსურ) ხორნაულებს – კაცი გამოუგზავნიათ: – ნახე, „რახელ ადგილ ასავ“ (ანუ – საცხოვრებლად როგორი ადგილია)...

„კა წყალ-ხევიარ“ – უთქვამს უკან დაბრუნებულს და – აქედან წარმოდგარა სოფლის სახელწოდება.

1876 წელს, გ. რადემ – იქ, 43 კომლი აღწერა;

1934 წელს – 35 კომლი დარეგისტრირდა (131 სული): – ანთაურები, ცაბაურაშვილები, ხორნაულები და ზარიძეები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 22 კომლი აღწერა (42 სული): ხორნაულების – 8; ზარიძეების – 2; ქისტაური – 2; არაბული – 2; ანთაური – 3; წიკლაური – 3; ცაბაურაშვილი – 2. მკვლევარის ცნობით: – კანალხევში მცხოვრები იარაჯულების, ზარიძეების, ცალულელაშვილების წინაპრები, XIX ს-ის შუა წლებში, ზემო თიანეთის სოფლებში გადასახლდნენ და მათი სახლ-კარი ბლოს ხეობელმა ხორნაულებმა შეისყიდეს.

მოგვიანებით, მათი ნაწილი ნებისმი გადასახლდა – ნაწილი ბოდავში, ნაწილი – თიანეთში. სოფელ ჩიტაურთკარში მცხოვრები ჩიტაურები ძირად ხევსური ხორნაულზარიძეები არიან. ჭართლელ ჩიტაურებთან საერთო არა აქვთ.

ბლოველ ხორნაულ-ზარიძეთა ადგილობრივი სალოცავი – კანალხევის წმინდა გიორგი (იგივე ეხთავის ხატი) – სოფლის „მაღლა ფერდობზე“ მდებარეობს, ველის კუთხეში, რომელიც „ეხთავად“ იწოდება (ესის გამოქვაბულის თავზეა განთავსებული) და „მინდვრის ჯვარსაც“ ეძახიან.

როგორც გ. ხორნაული გვამცნობს: –

„წითელა კლდიას თავზე,“ ტყეში, ე.წ. „ატაბურათ“ ველი და ნაქოხარია. ატაბურა ზედმეტ სახელად „ჰქვივნებია“ ატაბედან (ხევსურეთიდან) გამოთხოვილ ქალს, რომელიც, მოხუცებულობის უამს (უქმროდ დარჩენილი) განაგებდა ოჯახს. ამიტომ მოიხსენიებენ-ო ამ კომლს „ატაბურანი-ს“ სახელწოდებით. საარაგვოზე ვაჟკაცობით განთქმული – ატაბურათ ნიკო (ხორნაული) ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო. „ლახვაჩათ ნასახლარში“ აუშენებია მას სახლი. ადრე იქ მცხოვრებ ხორნაულს ზედმეტ სახელად „ჰქვივნებია ლახვაჩა“ – ცაცია ყოფილა (ხევსურულად ლახვაჩა ცაციას ნიშნავს).

„მზისყანა – უბანია კანალხევის სათავეში; მაღლა, ფუნდუკის გორზე – გუდამაყრისკენ გადასასვლელ მთაზე, სადაც ბლოელი ანთაურები ცხოვრობდნენ; მერე, იქ,

ხევსურეთიდან ჩამოსული ქისტაურები დასახლებულან... ხატმა არ მოიხდინა და აიყარნენ“ (გ. ხორნაული).

*

ხალხურ მესიერებას შემორჩა ფშავ-ხევსურთა სამეზობლო ურთიერთობის ერთი უსიამოვნო ეპიზოდიც: –

ჩარგლისკარს ზემოთ – ხორნაულ მწყემსს წყალზე ჰყოლია საქონელი.

მისულა ვიღაც ჩარგლელი – მოაშორე შენი საქონელიო. მოსვლიათ ჩხუბი.

მწყემსს – კოდში ჩაუხრჩვია მოძალადე.

იმ კაცის თავში ხორნაულებს სამოცი წლით მიუციათ ჩარგლელებისთვის სოფ. გუდარახის ადგილი (სამოც ძროხად შეფასდო მოკლულის თავი).

მარტიაშვილ-ბაჩიაშვილები არც 60 წლის შემდეგ გასულან გუდარეხიდან. ხორნაულებმა, ამის გამო, სადავო ადგილი თავიანთ სალოცავს, „ჭიხეშის ჯვარს“ მიაბარეს – შენ გაასამართლეო ისინი.

ცუდად წასულა ადათის დამრღვევთა საქმე.

ცალულელაშვილები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ცალულელაშვილების წინაპრები ხორნაულ-ზარიძეთა გვიანდელი განაყრები – ანუ, ძირად ხევსურები არიან. კანალხევიდან ჯერ ბოდავში წასულან, მერე ზემო თიანეთში გადასულან საცხოვრებლად.

ამბობენ რომ – გვარის სახელწოდება ერთი ყოჩადი ქვრივი ქალის სამი (ცალი და ულელი) ვაჟიდან მოდის.

მათგან წარმოსდგაო თიანელი ცალულელაშვილების რამდენიმე შტო: – პრავიანი, ანდრიანი, დალაქიანი...

1831 წლის აღწერით ზემო თიანეთის სოფლები დიფერენცირებული არ არის. ყველა ერთადაა აღრიცხული. მოხსენიებულია: – ტუშურები და ტუშურაშვილები, სე-თურიძები, ჯანგირაშვილები, ერდნაულები, ზარიძეები, ბოდაველები, ჩიტიშვილები, უსენაშვილები, ადუაშვილები, კენკიშვილები, ცოცხალაშვილები...

მათ შორის ფიქსირდება ცალულელაშვილების ორი კომლი: –

1. ნინია ცალულელაშვილი, 20 წლის; მისი ძმა, დიმიტრი – 27 წლის; დიმიტრის შვილები: – ნოდარი, 4 წლის და ზურაბი ორი წლის; ნინიას ბიძაშვილი, მატვეი – 20 წლის.
2. გიორგი ცალულელაშვილი, 40 წლის; მისი შვილები: გლახა – 10 წლის, სოსია (ძნელად იკითხება) – 8 წლის, იაკობი – 4 წლის (სცსა, ფ. 254, აღნ. I, დოკ. 1252, 1831 წ.).

1843 წლის კამერალურ აღწერაში მოხსენიებულია: –

1. ილარიონ ცალულელაშვილი-ტუშური, 25 წლის – ცხოვრობს ტუშურებში (მითითებულია, რომ გარდაცვლილი გიორგის შვილია); ილარიონის შვილებია: გომერი – 5 წლის და ივანე – 2 წლის; მითითებულია, რომ გიორგის შვილიშვილი, გურგენი – 19 წლის ასაკში გარდაიცვალა.
2. ნინია ცალულელაშვილი – ცხოვრობდა ზარიძეებში, გარდაცვლილია 42 წლის ასაკში; მისი შვილებიდან შიო – 18 წლისაა, პეტრე – ? ცხოვრობენ ზარიძეებში.

3. ნინიას ბიძაშვილი, ჯომშერი, 39 წლისაა; მისი შვილები: – ნოდარი 16 წლის, ზურაბი 14 წლის და ალექსი 12 წლის – გარდაცვლილები არიან.
4. ნინიას ბიძაშვილი, მატვეი, 32 წლისაა. ცხოვრობს ზარიძეებში.
5. გიორგი ცალულელაშვილი 57 წლის ასაკშია გარდაცვლილი; მისი შვილები-დან: – გლახა 22 წლისაა, სოსია – 20 წლის, მიხეილი – 10 წლის. გიორგის გარდაცვლილი ნათესავის (...პე... ურა...- პეტრუს?? არ იკითხება) შვილი, ზურაბი – 13 წლისაა.
6. ბეჟან ზარიძე-ცალულელაშვილი, 72 წლის, მისი შვილი, გიორგი, 22 წლის; ბეჟანის ძმა, ადამელი – 42 წლის ასაკშია გარდაცვლილი; ადამელის შვილებია: დავითი – 28 წლის, ივანე – 25 წლის; ივანეს შვილებია: – ხავაზური – 19 წლის, ნიკოლოზი – 16 წლის, გიორგი – 10 წლის, პეტრე – 7 წლის, ზაქარია – 8 თვის. ცხოვრობენ ზარიძეებში (სცსსა, ფ. 254, აღნ. I, დოკ. 2042, 1843 წ.). ცალულელაშვილები, დღეს – თბილისში, თიანეთის და ახმეტის რაიონებში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თიანეთში 187 ცალულელაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 136, ახმეტაში – 22 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი დასტაქარი, ალექსანდრე ცალულელაშვილი – საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ამერიკის ქირურგთა ასოციაციის წევრი, ნიუ ვიუენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – 300-ზე მეტი პუბლიკაციისა და 8 მონოგრაფიის ავტორი.

მიგრიაციულთა

არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ჩარგლის მოპირდაპირედ – გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე – ზ.დ. 1400 მ-ზე.

ბეჟანევა მიჯნავს გუდარახთან. უფრო სწორად, მიჯნა მიგრიაციულთას და კანალხევს შორის, რადგან – გუდარახი, „წინ-წინ“, კანალხევის ტერიტორია ყოფილა.

ადრე, როცა ამ სოფელს წინკარი ერქვა – გიგაურთ თემით იყო დასახლებული. ისინი ზურაბ არაგვის ერისთავმა აყარა და „დაქსაქსა.“ მათ ადგილზე დასახლდნენ ცაბაურთელი გოგოჭურები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: – ცაბაურთაში მცხოვრები სამი გოგოჭური ძმიდან (მიგრი, გოგა და ბეკი), ერთი – უუმური, მიუკარებელი კაცი ყოფილა. ამის გამო დარქმევია – მიგრი. ვერ შეგუებია თავისიანებს და წინკარში გადასახლებულა.

მის სახელზე გაიგვარა გოგოჭურების ამ მამიშვილობამ – მიგრიაციი. წინკარი ამის შემდგომ იქცა მიგრიაციულთად.

როგორც გ. ხორნაულის მთხრობელი გვამცნობს: –

„ამ ჩვენ (გოგოჭურების) ადგილში ხალხ ვინამ მოსულა – სასახლკარო ადგილს თუ ეძებდენ... ტყეს, თურმე, შჩეხენ და მასვლიათ ჩხუბი... იმ მოსულებს გაყრა მაუნდომებიათ ჩვენი ცოტეებისა, მაგრამ ამათ ერთი დევივით კაცი ჰყოლიათ – გადმაჰფრენია კეტითა და სუ ერთურთისად მაუხვედრებისავ ეს ხალხი.“

„გაქცეულებისთვის უკითხამთ: – ამოდენა ხალხი რარიგად გამოგაქციესო...“

„რარიგად და ერთ ისითა რაიმა ჰყვანდათ, მიგრივითაო...“

„იმაზე შაურქმევიათ სოფლისათვის მიგრიაულთა“.

ირ. გოგოლაურის ცნობით: – „მიგრიაული გოგოჭურთა ძირგვარის შტონაყარი გვარია, მაგრამ ძირგვარია ერთი სოფლის – წინკარის მცხოვრებთათვის, რომლებიც გიგაურების ასახლების შემდეგ დასახლდნენ მათ ნასოფლარში და შექმნეს თავიანთი საგვარეულო – „მიგრის“ სახელის მიხედვით... მიგრიაულთა გვარმა, შემდგომში, ადგილზე განიცადა სეგმენტაცია; დაიშალა მამიშვილობის „შვილზე“ დაბოლოვებულ გვარებად: – მაჩხო შვილებად, ბალია შვილებად, ბუთხა შვილებად, სულხანი შვილებად და ა. შ.“

ბარში წასულმა მიგრიაულებმა თავიანთი გვარი შეინარჩუნეს – მიგრიაულებად დარჩნენ.

მიგრის ჩამომავლები არიან: – ბაჩხონი, ბუთხანი, ციოლანი, ხარებანი, ნარიმანი და ლეგუანი (გ. თევდორაძე).

უფრო მოგვიანებით, მიგრიაულთაში ჩანან აგრეთვე: – ხელდადგმულაშვილები, თევდორაშვილები, მუნჯაშვილები, ბენუნაშვილები, ნადირაშვილები, გოძიაშვილები, როსტიაშვილები, მამუკაშვილები, იმედაშვილები...

*

1876 წელს, გ. რადემ – წინკარში, 43 კომლი აღწერა;

1934 წლის აღწერით, 40 კომლი დარეგისტრირდა (100 სული): – ბუთხაშვილები, სულხანიშვილები, სესიაშვილები, მჭედლურები, ბალიაშვილები, მაჩხოშვილები და ნარიმანაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 14 კომლი აღწერა (36 სული): – ბუთხაშვილების – 5 და მგელაშვილების – 3; სხვები: – ბალიაშვილები, მაჩხოშვილები, მჭედლურები და ბატარაშვილები იყვნენ.

*

მიგრიაულნი (როგორც გოგოჭურები) – ცაბაურთის მთავარანგელოზის სათემო ხატის ყმანი არიან.

სოფლის მიმდებარე ფერდობზე, მისი ადგილობრივი სალოცავიც აქვთ.

ზარზე ასეთი წარწერაა: –

„ესე ზარი შამაგვიწირავს გიორგისათვის წინკარს მცხოვრებელთა მიგრილელთა წელდისა წყალობის თვალით ბრძანდებდეს ბაქნელ ბედანი“.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს: –

სალოცავის სალუდის შუაბოძის ბალიშზე განთავსებულ ერთ-ერთ ყუთში ინახება ხატის თას-განძი: – სხვადასხვა ზომის თასები, ვერცხლის მაღალყელიანი სასმისები, ზარაკები, ჯამები და სხვ. მეორე ყუთში დაცულია ხატის უნჯი – ერთი მოზრდილი ზარი, საკადრისები და ჯვარი – რომელზეც ასეთი წარწერაა: – „შესწირ სულხანამ მიგრიაული ხარებას შვილმა თავისი და თავის ძმების სამწყალობოთ და თავის ოჯახ-ის სამწყალობოთ თავის სოფის წმიდის გიორგისათვის წმიდა ჯვარი...“

სოფლის თავზე მდგარა ადგილისდედის კოშკი, მისგან მარცხნივ მდებარე მთაზე,

მარიამ წმინდის ნიში, უფრო შორს, მთის წვერზე – ე.წ. „საჯვარონი“.

დასახლების სიახლოვეს, მდ. კოპალურას მარცხენა ნაპირზე, მცირე ამაღლებული ბორცვია. მის თავზე კოპალას ხატია დაბრძანებული – სავადასხვა ჯიშის ხეებით (ნეკარჩხლით, მურყანით, მუხით, იფნით) – გარშემოვლებული. ყველა წმინდა ხედ ითვლება. „მოჭრას ხატი კრძალავს... ხმელი ტოტების გატანაც კი, აკრძალულია.“ სალოცავის საზარე კოშკის გვერდით, სიპი ქვით ნაგები დაბალი ზღუდეა – „რკალისებურად მოყვანილი“. მის ცენტრში ხატის მთავარი საკულტო ძეგლის – კოპალას (დიდი, წონოლა, უსწორმასწორო და ალაგ-ალაგ ჩალრმავებული) ქვის საბრძანისია. მორწმუნენი მასზე „ნაბილჩვარებისა და ნასაბლარების ნაკვალევს ამჩნევენ“.

მიგვანიშნებენ დევებთან ბრძოლის სხვა „მტკიცებულებებზეც“, კერძოდ: – კოპალას ნალახტარსა და გაქვავებულ ავთანდილზე.

ნალახტარი ეწოდება, ხატის ჩრდილოეთით მდებარე, შვეული კლდის მოშიშვლებულ და საკმაოდ გამოფიტულ ნაწილს – ჩამორეცხილი და ალაგ-ალაგ ატკეცილი ზედაპირით.

ლეგენდის მიხედვით, ანატკეცი ადგილები კოპალას ლახტით არის დაფშვნეტილი. „მუსა დევს რომ ლახტი ესროლა – ამ კლდეს მოხვდა და ზედაპირი დაუფშვნიტა.“

„გაქვავებული ავთანდილი“ ეწოდება უზარმაზარ ლოდს, რომელიც ფშავის არაგვის გაღმა დევს და, გადმოცემის თანახმად, კოპალას მიერ გაქვავებული დევი – ავთანდილია.

*

„აღწერილი ხატის კომპლექსი, თავისი ძეგლების სიმრავლით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდეს. ამ ხატში შემონახული ბეღელი მეტად ძველი ჩანს და თავისი სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, თვალსაჩინო. არ არის გამორიცხული, რომ ეს ხატის კომპლექსი მომსახურებას უწევდა არა მარტო სოფელ მიგრიაულთას, არამედ მთელ ხეობას. ყოველივე ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესევას იმასაც, რომ, ამ ხატში ჩვენი ყოფნისას, ექსპედიციამ დაადასტურა – სალუდები ხატის კუთვნილი სარიტუალო თას-განძი“ (ვ. ბარდაველიძე).

*

როგორც გადმოცემა გვამცნობს: – შირაქ-ტარიმანას („ტარიმანას“) სახელწოდება – სადაც „ბევრი მწყემსის სისხლია დალვრილი და ბევრი ბრძოლებია გადახდილი – მიგრიაულთელ დევივით კაცთან – ნარიმანასთან, არის დაკავშირებული.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ნარიმანას – „ოთხასამდესული ჰყვანდა. თავის იმედი ჰქონდა და ცხვარში სუ მარტუა დადიოდა. დიდი გუდაცა ჰქონია. შიგ, თურმე, ორის თვის ჯერი ჩადიოდა. შირაქში ხმას ვერავინა სცემდა შიშითა. ერთხელაც, ორი თათარი მისულა; დაუჭირავთ ცხვარშიით ორ დიდ ჭედილაი და წაყვანა დაუპირებავთ. გაჯავრებულა ნარიმანაი, დასტევებია იმათა, დაუჭირავს ორნივა, შამაუწყვეტებავ ერთურთისა, წამაუქცევავ და ორნივ ერთად შაუკონია...“.

„თათრები ნარიმანას თარიმანას ეძახდნენ. იმ ადგილებისთვინაც, სადაც ის ცხვრებს აძუებდა, თარიმანა მაუქვივნებავთ და იმის სახელზე მაჟევივნებია „ტარიმანაი“.

*

მიგრიაულთა მიგრაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოხდა.
დღეს, ძირითადად – თბილისში, გარდაბნის და კასპის რაიონებში სახლობენ.
ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, გარდაბანში 93 მიგრიაული ცხოვ-
რობს, თბილისში – 252, კასპში – 73 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

*

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, რონ მი-
გრიაული – საქართველოს ადვიკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

ბალიაშვილები

ძირითად ფშავლები არიან. იქიდან წასულან ქსნის ხეობაში, ჭართალში და შიდა
ქართლში.

ს. მაკალათია მათ სოფ. მიგრიაულთას „მეკომურად“ მოიხსენიებს.

გადმოცემის თანახმად, ჭართალში მცხოვრები ერთი ბალიაშვილი – მთელ ხეობას
პატრონობდა. სადაც მტერი იყო, იქ ჩნდებოდა... მისი ყველა ახლობელი დახოცილა,
გადაშენების საფრთხის წინაშე დამდგარან და ერთხელაც, გვარის ამ უკანასკენელ
მამაკაცს – ლეკატაგან გატაცებული ქალები დაუხსნია. ყველა მათგანი რო სახლებში
დააბრუნა, თურმე, ერთი ობოლი გოგო შერჩა ხელში. ცოლად შეირთო და მათგან
ალორძინდა ჭართლელი ბალიაშვილების საგვარეულო.

ისინი დღეს – თბილისში, გორში და ქარელის რაიონში სახლობენ.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ქარელში 743 ბალიაშვილი ცხოვ-
რობს, თბილისში – 327, გორში – 354 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია – დ. უზნაძის სახელმძღვანელის სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი, ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, მარინა ბალიაშვილი.

საქართველოს III და IV მოწვევის პარლამენტის წევრი იყო – ცნობილი საზოგადო
მოღვაწე, ნინოწმინდის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე და რაიკომის
I მდივანი, ივანე ბალიაშვილი.

მაჩინშვილები

სოფ. მიგრიაულთა – განთქმული მოლექსის, ფოთოლათ მერცხალას (გამიხარდი
მაჩინშვილის), სამშობლოა („ფოთოლა“ – მერცხალას დედის, გვარად გოგოლაურის,
სახელი იყო). მისი ოჯახი წინკარის იმ უბანში სახლობდა, რომელსაც ხილიანას ეძა-
ხდნენ და მხოლოდ მაჩინშვილებით იყო დასახლებული.

გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია – საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის
სახ. თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის გამგე, ნიუ-იორკის
მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი – რევაზ მაჩინშვილი.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და პოლიციის პოლკოვნიკი – როს-

ტომ მაჩხოშვილი (მიგრიაული), აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დღეს – არასამთავრობო კავშირის – „ფშავის აღორძინება-განვითარების“ თავმჯდომარეა.

მისი თაოსნობით მოხდა სახელგანთქმული ფშაველი ქალის, სანათას, და მისი გმირულად დაღუპული ქმარ-შვილის აკლდამის კეთილმოწყობა – სოფ. ხოშარაში – მიმდინარეობს კართანას ეკლესის რესტავრაცია.

მთიელის გულს კბენს, მშობლიური კუთხის ნასახლარით განცდილი, მისი სულის-შემძვრელი პოეტური შეძახილი:

„განა სახურავახდილი,
ან კედლებჩამონგრეული.
ლიბოიანად მოთხრილი,
სახლი შამბნარად ქცეული!
დრო-ჟამის ხელით ნაწერი,
ყდებშემოცლილი რვეული.
სამშობლოს ერთი ფურცელი,
გულიდან ამოხეული.“

მაჩხოშვილები, დღეს – თბილისში, დუშეთის და თელავის რაიონებში სახლობენ. ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში 23 მაჩხოშვილი ცხოვრობს, თბილისში – 6, თელავში – 4 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ბუთხაშვილები

სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობს იქაური ქართული სათვისტომოს („ივერიის“) ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელი – ავთანდილ ბუთხაშვილი.

„იქ, დიდ რუსეთში, თითოეულ ქართველში თავის სამშობლოს ხედავს და სწორედ ამიტომ, თანამემამულებისთვის ზრუნვა პირად მოვალეობად აქვს მიჩნეული. ასე-თივე გულისხმიერია მისი მეუღლე, ქალბატონი ლალი ხორნაული, ცნობილი ფოლკლორისტისა და სახალხო მთქმელის, ვანო ხორნაულის ქალიშვილი.

ავ. ბუთხაშვილი რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის წევრია. გამოცემული აქვს ლექსების კრებული – ხუთი ქართულ და სამი რუსულ ენაზე („არაგველები“).

ბუთხაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, დუშეთის და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში 46 ბუთხაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 32, ახმეტაში – 10 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

არბაჩხანი

ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, მიგრიაულთას და მაღაროს შუა – მაღლა, ტყიან ფერდობზე; ჭალიდან 1,5 კმ-ის დაშორებით – ზ.დ 1365 მ-ზე.

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, სოფლის სახელწოდება მოდის სიტყვიდან „აბეჩხარი“, „რაც უნაყოფო, ხრიოკ მიწას ნიშნავს (იმის მიუხედავად, რომ ფშავის სხვა სოფლებისგან განსაკუთრებული სიხრიოკით არ გამოირჩევა).“

1876 წელს გ. რადემ, იქ, 4 კომლი აღნერა;

1934 წელს 8 კომლი დარეგისტრირდა (21 სული): – ბატარაშვილები, ბენუკლიშვილები და ცქიფაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 3 კომლი აღრიცხა (7 სული) – სესიაშვილები და ცქიფაშვილები.

სოფლის განაპირა ჭალაში – მთავარანგელოზის ხატია (თამარის ნიში). თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. გეგმით კვადრატთან მიახლოვებული სწორკუთხედია ($4,8 \times 4,3$ მ.). ნაგებია მოზრდილი ზომის კლდის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია. კედლები შემორჩენილია 1 მ-ის სიმაღლეზე. შიგნით, აღმოსავლეთის კედლის კუთხეებში, ქვით ნაშენი ორი მართკუთხა ტრაპეზი დგას. მიწატყეპნილი იატაკი – ქვის თხელი ფილებით არის მოფენილი.

ხატის ინტერიერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა დამწვარ-დანაცრებული 0,5 მ. სისქის ფენა, რომელიც შეიცავდა მოუჭიქავი უხეში კერამიკის ფრაგმენტებს და ოსტეოლოგიურ მასალას. ვარაუდობენ, რომ სალოცავი საგანგებოდ არის ხანძრით განადგურებული. 20-30 სმ. სისქის ნაცრიან ფენაში, აღმოჩნდა XIV-XV სს დამახასიათებელი – თიხის ხელადის, ქოთნის, ქილის და ქვევრის ნატეხები, რომელიც დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

სალოცავს გარს ევლებოდა კვადრატული მოხაზულობის (12X11 მ.) დაბალი გალავანი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

გომენარი

მაღაროსკარიდან ხუთიოდე კმ-ის დაშორებით მდებარეობს, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე მაღაროულას (მაღაროსხევის) ორივე ნაპირზე – ზ. დ. 1480 მ-ზე.

ხეობის თავში, მაღალი მთის თხემზე, ხელოვნურად მოსწორებულ ციცაბო ბაქანზე, ადრინდელი შუა საუკუნეების „სიმაგრეულის ციხეა“ შემორჩენილი – რომელიც ხორხის ხეობიდან მომავალი გზის დამცველ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა.

ამჟამად, მთლიანად დანგრეულია.

გადმოცემის თანახმად, „გაუტეხელი ციხე იყო“.

ერთხელ, ლეკები „მაზდგომიან და ვერანაირად ვერ გაუტეხავთ.“ „წყალი სიმაგრეულას ხევიდანა ჰქონიათ გამოყვანილი. იმ წყალს კალმახიც მაჰყვებოდა, თურმე. ერთ ფშავლის ქალს, თავისი უჭყუობითა, კალმახ გადმოუგდავ ციხიდანა.“ ამით მიმხვდარან ლეკები ციხის საიდუმლოს. „შაუყვნენ, იპოვეს სათავე და გადაუგდეს.“ ასე „აუღავ ლეკებს ეს ციხე... ქალებ კლდიდანა ცვივნილან – ტყვედ არ წაგვიყვანონ“.

„ნაციხვარის“ ქვემოთ, სამ ბუნებრივ ტერასაზე, ქვითკირის ნაგებობათა ფრაგმენტებია შემორჩენილი. უფრო ქვემოთ კი, ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე, საკმაოდ დაზიანებული – ერთი სწორკუთხა და ორი ზურგიანი კოშკი დგას.

*

მრავალს მეტყველებენ გ. ხორნაულის მიერ სოფ. გომენარში თავმოყრილი ტოპონიმები: – ბარძუკათ ნაწისქვილარი, ბენუკელათ და ჭრელათ მამულები, ბიბინათ

წყალი, ბუჯირთ და გუტიათ წყარო, გენჯელათ ქოხი, დოჯურათ ხოვლები, ბახათ, თაგვათ, ხარებათ, ხუზაურთ, კოკოდაანთ და ლეგოათ (ხადიაშვილების) ნასახლარები; ტუნტურიანთ და კაკაბელთ ნაბინავარი, მამიაურთ და მარცვალათ მამულები, მაჩხურათ წყალი, ორტოლათ საძოვარი (ორტოლაშვილების ყოფილა, მერე ლურბელანი თიბდნენ), რაჯათ ველი, ფოცხვერთ ნასახლარი (სადაც ფოცხვერანი – გვარად მუშტაშვილები სახლობდნენ), ჩიტუათ წყარო, ძუგარათ (გვარად მახაურების) ველი; წიკლაურთ ვაკე (რომელიც გუდამაყრიდან გადმოსულ ოჯახს გაუველებია); წიწიკათ (გვარად მახაურების) ნაქოხვარები, წიწოთ (კარატიელის) ნასახლარი და სხვ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, წიწოთ კარატიელი კარგი ხელოსანი, დიდი და მრავალრიცხოვანი (გაუყოფელი) ოჯახის თავკაცი ყოფილა. სათიბად – მათგან, თურმე, 17 კაცი გამოდიოდა (წიწოს სიკვდილის შემდეგ, მისი შთამომავლები კახეთში წასულან).

*

მდინარე გომეწრულას და შარახევის შესართავთან, ტყიან ქედზე – ყელყვითელას ზურგიანი ციხე დგას.

ერთი გადმოცემის მიხედვით, იქ, „ოქროთი სავსე ოქროს კოკა გამოჩენილა“ და ამიტომ შეურქმევიათ ეს სახელი.

მეორე ვერსიის თანახმად – როგორც ქედის, ისე თანამოსახელე ციხის სახელწოდება – ნიადაგის ყვითელ ფერს უკავშირდება.

იმასაც ამბობენ რომ – შიშიანობის დროს, იქ, „კოკით ჩაუფლიათ ოქრო... მერე, მიწა ჩამოშლილა და ყვითელი ყელი დასჩენია კოკას“ – „ყელყვითელი.“

ციხე-კოშკი – განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. შემორჩენილი აქვს 3-4 მ. სიმაღლის (1,5 მ. სისქის) კედლები. აღმოსავლეთით, მკვეთრად დაქანებული ფერდობის – შვიდ ხელოვნურ ტერასაზე, სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი...

მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო, რომელიც თიანეთის და მთიულეთ-გუდამაყრის დამაკავშირებელ გზას იცავდა.

ყელყვითელას ციხეზე, 1944 წელს, აღმოჩენილ იქნა ნარწერიანი ქვა, რომელიც X ს-ის ეპიგრაფიკულ ძეგლს წარმოადგენს: –

რუხი ფერის მოგრძო და სწორკუთხა ქვის სამი გვერდი – ტლანქად არის დამუშავებული, მეოთხეზე – ოთხსტრიქონიანი ასომთავრულ ნარევი – ნუსხური ნარწერაა – ნანილობრივ დაზიანებული. ასოები დაუდევრადა ამოკვეთილი, სტრიქონები უსწორმასწოროა, სიტყვები ერთმანეთისგან დაცილებული არ არის. ტექსტის დასაწყისში, სამივე სტრიქონის წინ ამოღარულია მოგრძო ჯვარი.

ნარწერა ცნობილია – „ჰელი მუშალა გოგლეურის“ სახელწოდებით.

ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ძეგლია, რომელიც ცნობას გვანვდის – კაცის მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურით დასჯის შესახებ. ტექსტის შინაარსი ბუნდოვანია, მაგრამ გასაგები ხდება, რომ კაცის მკვლელს – სამას ორმოც სახნისს ახდევინებენ...

ძეგლი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, გვ. 237, 2008 წ.).

*

1876 წელს გ. რადემ – გომენარში, 52 კომლი აღწერა;

1934 წელს 46 კომლი დარეგისტრირდა (223 სული): – მახაურები, წიკლაურები, თავაშვილები, ლურბელაშვილები, მუშტაშვილები, ხადიაშვილები, ბექაურები, ვაჩევიშვილები, ფარნაოზაშვილები, სულიაშვილები, ბეწუკლიშვილები, რაჯაშვილები და ბულალაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა აღწერა 51 კომლი: – მახაურების – 10, მჭედლურების – 10, ლურბელაშვილების – 6, ვაჩევიშვილების – 6, მუშტაშვილების – 5; დაფიქსირდა კიდევ 13 სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი (სულ 135 სული).

1982 წელს 46 კომლი (137 სული) აღწერეს: – ვაჩევიშვილები, მუშტაშვილები, ბულალაშვილები, ლრუბელაშვილები, მახაურები, ხადიაშვილები და ლაგაზიშვილები...

გომენარში დასახლებული ფშავლები ყმობდნენ – როგორც მათ ადრინდელ სათემო სალოცავებს, ისე ახალი სამოსახლოს მიმდებარე სასოფლო ხატებს: – მაღაწლის წმინდა გიორგის, კოპალას და ადგილისდედა ღვთისმშობელს.

*

წმინდა გიორგის ხატი მაღალ მთაზე – „მაღაწელზე სუფევდა“.

ფეხით იყო მისასვლელი.

„საცხენო გზა „საზრუტუნასთან“ მთავრდებოდა.

სალოცავის სიახლოვეს – ერთმანეთის მიჯრით განლაგებული, შეუა საუკუნეებს 45-მდე წარმოადგინდა (წასოფლარი).

*

კოპალას ხატი სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, სალუდე, ბელელი და საზარე.

საყმო – სალოცავის სიახლოვეს, მიგვითითებს ქვაზე – რომელიც, ლეგენდის თანახმად – „კოპალას და დევის გამოკრულია“.

მას, თურმე – „დევის წახელარი ეტყობა“.

სიამაყით გვამცნობენ რომ: – საერთო საფშაველო დღეობების დროს, ლაშარის ჯვარში, სადაც თავს იყრიდა ფშავის ყველა სათემო ხატის ატრიბუტიკა – ბუდეფშავიდან ნაპარტყი არც ერთი სოფლის სალოცავის დროშა არ მიჰქონდათ – გარდა გომენარის კოპალას ხატისა (ანუ, ფშავის სათემო დროშებთან ერთად, გომენარის სასოფლო ხატის დროშასაც მიაბრძანებდნენ).

იმასაც გვამცნობენ რომ: – გომენარიდან ლაშარისკენ მომავალ კოპალას ხატიონს – რიტუალურ შეხვედრებს უწყობდნენ გზაზე მდებარე სათემო სოფლები: – „ხატის გამძღონი“ თავიანთ დროშებს ერთმანეთს ამთხვევდნენ და ადათით დადგენილ წესს აღავლენდნენ.

*

„კოპალას“ სიახლოვეს ფიქსირდება გომენარის ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი – პატარა კოშკი სასანთლე შუქუმით, სადაც ხევისბერი სანთელს ანთებდა; ადგილისდედა ღვთისმშობელს ახსენებდა და მლოცველთ ამწყალობნებდა.

სოფლის მიმდებარედ, მთის კალთის შევაკებაზე მდგარ – XIX ს-ის ღვთისმშობლის დარბაზულ ეკლესიას (8,5X6 მ.) – XX ს-ის 30-იან წლებში, სახე შეუცვლეს და სკოლა გახსნეს.

დღეს – სამლოცველოდ არის აღდგენილი.

მის აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადზე, აგურის წყობით, თითო შეღრმავებული ჯვარია გამოყვანილი.

*

გომენარი – კაფიის ოსტატთა სიმრავლით ცნობილი სოფელია.

„ერთი საუკუნის წინათ აქ უცხოვრიათ განთქმულ მოლექსეებს: მუშტათ ჭრელას და წიწოთ კარატიელს (ბაიაშვილს). მათ შემდეგ ამ პოეტურ ტრადიციას აგრძელებდნენ: დავით ბექაური, თათარ თანდილაშვილი, ლექსო მუშტაშვილი და სხვანი. ამჟამად კი გომენრელ მოხუცთაგან მხოლოდ მოსე მახაური ქმნის კაფიებს. ხანდაზმული ხალხისაგან გამოვიყითხე და გავიგე, რომ წიწოთ კარატიელის ფსევდონიმით სარგებლობდა კარატიელ ბაიაშვილი, ხოლო მუშტათ ჭრელას სახელით – ჭრელა მუშტაშვილი. ისინი კარგი მეზობლები იყვნენ, ერთადაც პურმარილობდნენ, მაგრამ კაფიაში მნარედ დასცინოდნენ ერთმანეთს. ორივე მოპაექრე მოუთმენლად ელოდა იმ დროს, რომ თავის მოწინააღმდეგეზე რაიმე სასაცილო ამბავი გაეგო და გალექსების საბაბი გასჩენოდა...

მოლექსე დავით ბექაური გუდამაყრიდან გადმოსახლებულა სოფელ გომენარში. მას ისე კარგად შეუთვისებია ფშაური წეს-ჩვეულებანი, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ვერაფრით გაარჩევდით. დავითი მახვილისიტყვაობის საოცარი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. მისი მოპაექრე იყო მეზობელ სოფელ კუდოში მცხოვრები თათარ თანდილაშვილი“ (ჭ. მახაური, გაზ. კომუნიზმის გზა, 1984 წ. 28 აგვისტო).

ტრისტან მახაური

გომენარის მკვიდრი, ცნობილი ქართველი მწერალი, ფოლკლორისტი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, ტრისტან მახაური – 2018 წლის 9 იანვარს, მშობლიური სოფლის მიწამ მიიბარა.

„მრავალი პოეტური კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი იყო. აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც ეწეოდა, არ აკლდებოდა არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც იმართებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში. მისი ომახიანი ხმა ხშირად გაისმოდა ჯვარ-ხატთა დღესასწაულებზე, „ვაჟაობასა“ თუ მიხა ხელაშვილის ხსოვნის საღამოებზე. ბოლო წლებში უძლვებოდა სახალხო დღესასწაულ „სანათობას“, რომელიც ყოველი წლის სექტემბერში იმართება გმირი დედის მოსაგონებლად ფშავის სოფელ ხოშარაში“ (ხ. მამისიმედიშვილი).

მახაურების გვარი, დღეს – თბილისში, დუშეთის და ახმეტის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, თბილისში 38 მახაური ცხოვრობს, დუშეთში – 34, ახმეტაში – 26 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ხომი

არაგვის მარცხენა მხარეს – მაღლა მთაზე, ჭალიდან 3 კმ-ზე მდებარე ლამაზ სერზეა განთავსებული.

ქვემოთ – ხევის მარცხენა მხარეს, პატარა ველია – „კბილსავარცხელანთ სახნავს“ ეძახიან. სანამ გზას გაიყვანდნენ, ეს ადგილი უდაბური ყოფილა. გადმოცემის თანახმად – „დევებს უცხოვრებავ. ერთი ქალი რაიმა ჰყოლიათ, სავარცხელივით კბილი სდგმიან, ხალხსა შტამდაო. ეხლაც ეშინიათ ლამე იქ გავლის...“ (გ. ხორნაული).

ადრე, თურმანაულების საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო.

1876 წელს – 25 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღწერით – 34 კომლი დარეგისტრირდა (109 სული): – ნავროზაშვილები, ფოთოლაშვილები, ხაჩიშვილები, კაცობაშვილები, იანვარაშვილები, გარაშვილები, წელაშვილები, თურმანაულები და ღონიერაშვილები.

1973 წელს – გ. ხორნაულმა 7 კომლი აღრიცხა (30 სული): – ხოზაურაშვილები (3), ნავროზაშვილები და ფეტვიაშვილები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ამავე სოფელში მცხოვრები – კაჭაროზაშვილების, ბუჭიაშვილების, იანვარაშვილების, უგუნურაშვილების, ვაჟიკაშვილების, გამიხარდაშვილების და ჯაბანიშვილების – ძირი გვარი თურმანაული იყო.

*

ხომის მკვიდრი ყოფილა განთემული მოლექსე-მოკაფიავე – ხაჩით-ჯაბანი (გო-გოლაური), რომელიც, ფოთოლათ მერცხალასთან ერთად, ვაჟა-ფშაველამ პირველ მოლექსედ წარუდგინა საზოგადოებას და ახალი ფშაური ხალხური პოეზიის სახელ-მოხვეჭილ მოლექსედ გამოაცხადა.

მისი შთამომავლები – კახეთში წავიდნენ საცხოვრებლად და დღეს – ხაჩიშვილებად იწერებიან.

ხომში დაიბადა ცნობილი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგის კათედრის გამგე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის „კლინიკური ფარმაკოლოგიისა და თერაპიის“ საზოგადოების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი თურმანაული – 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. რესპუბლიკის ყოფილი მთავარი ფარმაკოლოგი და საქართველოს ფარმაკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ვანხევი

ქისტაურთ თემის ეს პატარა სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) – ხომს ზემოთ, მისგან ჩრდილოეთით მდებარეობდა.

„იქაური ხალხი“ იახსარის საყმო იყო და მისი მამულების ხარნადშიც იღებდა მონაწილეობას.

1876 წელს – 12 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღწერით 10 კომლი დარეგისტრირდა (50 სული): – ხუცურაულები და

სოხურაშვილები;

1973 წელს გ. ხორნაულმა – მხოლოდ მათე ხუციშვილის (მონადირის და მოლექსე კაცის) – ერთი ექვსი სულიანი ოჯახი აღნერა.

მოგვიანებით – მისი შვილები მაღაროსკარში ჩამოსახლდნენ.

არახიჯა

ქისტაურთ თემის შემადგენლობაში მყოფი ეს სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) ვანხევის მარჯვენა ფერდობზე – ტყეების თავზე მდებარეობდა – ალპურ ზონაში.

ხევს გაღმა-გამოლმა იყო – ორ კლდიან გორზე გაშენებული.

ხალხური ეტიმოლოგია მის სახელწოდებას – „დღისით ცხვრის დასაყარ ადგილს“ უკავშირებს.

საცხოვრებლად უვარგისი მდებარეობა ჰქონდა და მოსახლეობამ ადრე მიატოვა.

„ეს თუ არი არახიჯა, ეს ხეთისაგან დაწყეული, აქ როგორ არა ცვივიან, ან ბე-ბერი, ან სნეული, პირალმ ვერ შამობრუნდება, კატა პირთავქვ გაქცეული“ – ირონიით გვამცნობს ხალხური ლექსი.

1876 წელს – 13 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღნერით, ციგროშვილების 6 კომლი (22 სული) დარეგისტრირდა;

1973 წელს – გ. ხორნაულმა მათი ერთი ექვს სულიანი ოჯახი აღნერა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, იახსარის სათემო ხატის გარდა, მის მცხოვრებთ საკუთარი (სასოფლო) სალოცავებიც ჰქონდა – არახიჯას კარატის და იახსარ-კარატის ნიშების სახით წარმოდგენილი.

ნასოფლარის მიმდებარედ – „უბისთავს“, ორი ერთმანეთის მოპირდაპირე მაღალი ბორცვია, რომლებზეც საზარე კოშკები დგას. აღმოსავლეთით მდებარე კოშკი – იახსარ-კარატეს სახელობისაა; დასავლეთით მდგარი – არახიჯას სასოფლო კარატე – სადაც ორი ქვევრი ყოფილა მიწაში ჩაფლული: – ერთში საზედაშე ღვინო მდგარა, მეორეში – წყალი ჰქონიათ მომარაგებული.

ინო

ჩარგლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ნასოფლარია, ქედს გადაღმა.

ჩარგლის თემის შემადგენლობაში შედიოდა.

1876 წელს 17 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღნერით, 6 კომლი დარეგისტრირდა (21 სული): – მაღალიშვილები, მარწყვაშვილები, უძილაურები და წვეროშვილები.

1973 წელს – გ. ხორნაულმა 3 კომლი აღრიცხა (7 სული): – თაგვანი, მარწყვანი და ჯალაბაურნი.

გუდარახი

პატარა სოფელი იყო, ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე – კაწალხევსა და მიგრიაულთას შუა; გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარე ტყერ-

დობის თავზე; ზ.დ. 1340 მ-ზე.

ეს ადგილი, „ადრე, კაწალხევისა ყოფილა“ – მერე, „კაცის თავში მიუციათ“ ჩარგლელებისთვის.

„ჩარგლის კარს ოდნავ ზემოთ, კლდის ძირში ამოდიოდა, თურმე, მლაშე წყალი, რომელსაც კოდი სდგმია – საიდანაც საქონელს ასმევდნენ.“

„რაკი წყალს გაღმა იყო, ჩარგლელები თავისად თვლიდნენ და, პირველ რიგში, ისინი ასმევდნენ საქონელს...“

„ერთხელ, ვიღაც ხორნაულს – უფრო ადრე მიურეკია საქონელი. ჩარგლელი კაციც მალე მისულა და დაუწყია ყვირილი – მოაშორე შენი საქონელიო.“

გამხდარა ჩხუბი.

ხორნაულ მწყემსა – ჩარგლელი „კოდში ჩაუყუდებია და ჩაუხრჩვია.“

იმ კაცის თავში მიუციათ გუდარახი ჩარგლელებისთვის.

1876 წელს – 14 კომლი სახლობდა;

1886 წელსაც 14 კომლი დარეგისტრირდა: – შავერდაშვილები, მარცვალაშვილები, ზურაბაშვილები და გულბათაშვილები.

1934 წლის აღნერით, 7 კომლი აღრიცხეს (25 სული): – მარტიაშვილები, გურას-პაულები, ზურაბაშვილები და ურჯუკაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 3 კომლი აღნერა (14 სული): – მარტიაშვილები, მგელაშვილები და ფიცხელაურები.

აფხუშო

ამჟამად, ნასოფლარად ქცეული აფხუშო – ჩარგლის მიდამოების თავდაპირველი დასახლების ადგილად არის მიჩნეული.

როგორც ნასახლარებიდან და ციხე-კოშკების ნანგრევებიდან ჩანს, ადრე, მჭიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილი.

სასაფლაოზეც მრავალი ჩაქცეული აკლდამაა შემორჩენილი.

დასახლებას ციხე-გალავანი ჰქონდა შემოვლებული – რადგან მეზობელი მარბიელი ტომები ეცემოდნენ, ძარცვავდნენ და ტყვეებს იტაცებდნენ.

*

ჯიშიანები ყოფილან აფხუშოელნი.

როგორც ვაჟა-ფშაველა გვამცნობს, ერთხელ – „თათრის ჯარს აუკლავ აქაურიბა, ტყვეებიც ბლოვნად წაუსხამ. უინვანის ხიდზე გაუთვლიათ – სამოცი კაცი და სამოცი ქალი. აბა უყურეთო, უთქომ იმ წყეულ შეჩვენებულს ხანსა, თუ ერთი ან კოჭლი, ან თვალმრუდი იყოსო, თუ ვისმე რამ წუნი შაიძლება დაედვასო?!” (ეთნოგრაფიული წერილები, აფხუშოობა).

აღნერილ ეპიზოდთან დაკავშირებით, თქმულება არსებობს – აფხუშოელი სახალხო გმირის, ღაჭაურას შესახებ: –

„თათრების შემოჭრის უამს – ის, სათიბსა ყოფილა... რო მოსულა – სოფელი აოხრებული დაპხვედრია. თითო-ოროლობით მაუგროებავ ხალხი და დასდევნებია მტერს... მასწევია და კარავში ნაჯდომ ხანს შაპვარდნია... უცავ ხმლით მუზარადზე... მაუკლავ. ოქრო-ვერცხლი ბევრი წამაულია და ტყვეებიც დაუბრუნებია...“

გადმოცემის მიხედვით, მრავალ ჭირ-ვარამს გამოვლილი თავისი საბრძოლო აღ-ჭურვილობა, ღაჭაურამ – ბოლოს, ხატს შესწირა.

მისი მუზარადი მუხლზე უდევს ვაჟა-ფშაველას – ერთ-ერთ ცნობილ ფოტოსუ-რათზე.

*

აფხუშო – რაზიკაშვილების ძირძველი საცხოვრისი იყო.

ბაჩანა 12 წელი მასწავლებლობდა იქ.

დიდხანს ყოფილა შემორჩენილი მისი „ბერძნული თხილის ხით გამართული“ სახ-ლი.

ამავე სოფელში უცხოვრია სახალხო გმირს – ბერ ლუხუმს.

აფხუშოელია ვაჟას „ბახტრიონის“ ლუხუმიც.

„ლუხუმი“ – ცნობილი მამიშვილობა იყო: –

„ჩარგალს მოიდა ლაშქარი, სერემაული წინა, აფხუშოს ჩამაიძრახნა: „ლუხუმთი ვინ ხართ შინაო?“ „შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, სახ-კარ არ გაგვიწირაო...“

აფხუშოდანაა „ბახტრიონის“ კიდევ ერთი უკვდავი გმირი: –

„სანათაი ვარ მე, შვილო,

აფხუშოური ქალია...“

არსებობს ანდრეზი აფხუშოელი ანას შესახებაც: –

ძველ ნასახლარებთან, ერთ ტყიან ფერდობზე, მისი სახელობის („ანაის“) წყაროა. იქ დაუტყვევებიათ ის ქისტებს. მოუხერხებია და მტრისავე იარაღით მოუკლავს ანას – მათი ბელადი....

*

დროთა განმავლობაში, აფხუშოს მოსახლეობა – ჩარგალში, გუდარახში, ბუჭყინ-ტას, ზემო შარახევში, კვერნოვანაში და სხვ. სოფლებში დამკვიდრდა.

ს. მაკალათიას ცნობით, 1934 წელს, აფხუშოში – მხოლოდ ჩარგლიდან გადმო-სახლებული ჟამიაშვილების ორი კომლი სახლობდა. ისინი, უფრო ადრე, ქსნის ხეო-ბიდან მოსულან, ჩარგალში დასახლებულან და რაზიკაშვილებს გაფიცვიან.

1973 წელს, გ. ხორნაულმა მხოლოდ ერთი სული დააფიქსირა: – ხელაშვილი -ჟამიაშვილისა.

ნასოფლარი, დღეს – იფნის დიდი ხეებით არის დაფარული და სალოცავ ადგილად ქცეული.

შემორჩენილ ნიშთან ამაღლების მესამე დღეს ლოცულობენ.

ჩარგალი და ვაჟა-ფშაველა

ფშავ-ხევსურეთის მთავარ გზას, მიგრიაულთადან 2,5 კმ-ზე, განეტოტება ჩარგ-ლისკენ მიმავალი შარა, რომელსაც ფშაველი გენიოსის სამყაროში შევყევართ.

შაბლონით ხომ ვერ მივალთ ვაჟასთან.

„ვაჟა მაღლაა და მის ცხოვრებას უფსკრული ავლია წრედ.“

„სადაც ვაჟა სუნთქავდა განიერ მკერდით, იქიდან გარეული ფრინველები დას-

ცინიან ჩვეულებრივ საბრძანებელს...“

ვ-ციტირებ: – მეხსიერებაში შემორჩენილ ფრაგმენტების პ-ნ ვახტანგ კოტეტიშვილის ნაშრომიდან...

„არც ერთი ზომა არ მიუდგება ვაჟას...

მისი გუნება ისეთივე აწყვეტილია, როგორც მისი პოეტური ტემპერამენტი. დროსაც კი არ უნდა დაემორჩილოს და მარტო მთას თუ დაუჩირქებს, მხოლოდ ლაშარის მორჩილი.

მისი პოეზიის თილისმა არის: ფშავის გაჭედილი მთები და არაგვის დაჭრილი ტანი. მისი გაქანებაც პორიზონტს როდი საჭიროებს, ვერტიკალურად იძვრის მისი სტრიქონი: რიყიდან ლურჯ კლდემდე.

ვაჟას უნდოდა და იყო კიდეც ფშავის დედამიწის ამონახილი. მასში აღდგნენ ძველი მოგონებები და სინამდვილე. ენა ამოიდგა მთამ, ამ ფანტასტიკური შხამის ქვეყანამ.

სოფელი ჩარგალი, პირჩაშავებული ხეობა. უმზეური ტყე, დაპნელებული, გიგანტ მთებს რომ ეხვევა მუხლებზე ფანტასტიკური კვართივით.

აქა-იქ – მოსახლეობა, შორიდან მდევის ნაფეხურებს რომ ჰგავს.

არაგვი აქაც იმტვრევს ხერხემალს კლდეების ფაფარზე.

თუ არსებობს სადმე კუთხე, სადაც გეოგრაფია ლეგენდად იქცევა, ფშავიც მასთან იქნება.

აქ ჯერ კიდევ ცოცხლობს მითოლოგია. დღესაც იქმნება აქ ლეგენდა. ყველგან რომ დაიკარგოს იგი, აქ ივლის როგორც ჯანყი.

აქ დაიბადა ვაჟა-ფშაველა.

ამ ნისლის შესაკრებზე თავს იღებს პატარა ხევი – ჩარგლულა. თითქოს მთების შეხლის დროს გადმომსკდარაო, ისე მოდის ეს დაუდეგარი ცოტა წყალი. ერთ პატარა დავაკებულ ადგილს იგრიხება ეს ტანმორჩილი მდინარე. ამ ვაკეზე დგას უკმეხი სახლი, დალარული, გულ-მიუსვლელი, ტყის და მდინარის შუა დგას, დავიწყებულ სამანივით.

აქ ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა.

ამ დაფანტულ სოფელს ჩარგალი ჰქვიან. ვაჟამდე ეს სოფელი უსახელო იყო. ან რა სახელი უნდა მთას?

ვერც ვაჟა დაიწუნებდა ჯიხვის ამ მივარდნილ ბუნაგა.

იქ დღესაც ცოცხლობს ზღაპრად ქცეული სახელი ლეკთა მდევარის იმედა რაზიკაშვილისა. იქ ვაჟვაცობის კულტია დღესაც. ყანწში ხანჯლით ვერცხლის ჩათლა უფრო სარწმუნოა იქ, ვიდრე ზიარება.

რაზიკაშვილების მოდგმას დღემდე იმედას სახელი იფარავდა დროშასავით. მით უმეტეს, რომ ჭკუით განთემულ იმედას, გადმოცემის მიხედვით, ერეკლესათვის უთქვამს: ორი შენ მიბრძანე ბატონო, მაგრამ მესამე კი ჩემიც გაიგონეო.

გოგოჭურების თემს, რომელსაც რაზიკაანი ეკუთვნიან და რომელნიც ძველიდანვე ტონს აძლევდნენ მთელ ფშავს, იმედას შვილი გივიც კლდესავით დარაჯობდა. ამაყი მთიელი მტკიცედ იცავდა თურმე მთის შეუვალობას. გაიგო, რომ მისი შვილი პავლე, გუთანზე მუშაობის დროს, „რაღაც ქაღალდებს“ კითხულობდა და იწყინა. ეს თემის ღალატად ეჩვენა. გივიმ მოსაკლავადაც კი გაიმეტა „სჯულის გამტეხი“, და თოფითა სდევდა „გზა-ამცდარ“ შვილს. პავლე კი წიგნს გაჰყვა და გაიქცა. მონასტერში მივიდა

და მალე ფშაური ტალავერი მღვდლის ანაფორაზე შესცვალა.

ეს პავლე მღვდელი ვაჟა-ფშაველას მამა იყო. დედა კი – გაბიდოურების თემს ეკუთვნოდა, ფხიკლეთ გვარსა იყო კარგი მოლექსე, რომელიც თავის ძმასაც კი ეჯი-ბრებოდა, პარასკევას, მთელ ფშავში რომ ყოფილა სახელგავარდნილი, როგორც დიდი მოლექსე.

სად თავდება ვაჟა და სად იწყება ფშავი – ძნელი გასარკვევია, თითქოს ფშავმა ვაჟას სახე მიიღო და ათასი ხმით სათქმელი, ათასი კაცის განცდილი, ვაჟამ გამოთქვა და ისე, რომ ყოველ სიტყვას თითქოს ერთი კაცი კი არ ამბობს, არამედ რაღაც უხილავი ჯარი, ამბოხებული რეჩიტატივით.

ის ჯარი, რომელიც ვაჟამდე ცნობილი იყო, როგორც მეომართა კასტა, ვაჟას შემდეგ კი წარმოსდგა როგორც უდიდესი პოეზიის ფანტასტიკური ქვეყანა.

ვაჟამ მთელი საქართველო გაოცებით მიახედა ფშავის მთებისკენ და მოწინებით ქუდი მოახდევინა.

ეს სასწაულს უდრიდა, რადგან საქართველოს გაოცება დიდიხანია დავიწყებული აქვს“ (ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, ქართული ლიტერატურის ისტორია, წიგნი I, 1965 წ.).

ჩარგლელთა თემი

ბუდეფშავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის წინაფშავში დამკვიდრების შემდეგ, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციული დაქვემდებარების საჭიროებიდან გამომდინარე, ფშავის ისტორიული თემების სხვადასხვა წარმომადგენელთა – ტერიტორიალური პრინციპით გაერთიანება მოხდა.

საბოლოოდ – ორი ახალი („გვიან გაჩენილი“) თემი ჩამოყალიბდა – ჩარგლელთა და მაღარისკარის.

ბუდეფშავიდან – ჩარგალში მიგრაცია XVII ს დაიწყო.

თავდაპირველად, იქ – ცაბაურთიდან ჩამოსახლებული გოგოჭურები დასახლდნენ.

ჩარგალი იმ მამაკაცის სახელი ყოფილა, რომელიც ცაბაურთიდან პირველი ჩამოსახლდა.

მისგან წარმოსდგა ახალი სამოსახლოს სახელწოდება.

როგორც დ. გოგოჭური გვამცნობს: –

ჩარგალი, „ძველად, ფშაურ თემთა სათვალავში არ ითვლებოდა.“ 1789 წლის ცნობით, თერთმეტ თემს შორის არ იხსენიება. არც 1795 წლის დოკუმენტის მიხედვით არის დასახელებული მის თემთა შორის. ფშავის მეთორმეტე თემად მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისიდან გვევლინება.

„ერთი გვარის თემი არასოდეს ყოფილა, რადგან სხვადასხვა თემებიდან მოსულმა გვარებმა შექმნეს.“

„სავარაუდოა, რომ ფხოვის ქვემო სოფლები და მათ შორის ჩარგალიც ბარიდან დამპყრობთა მოძალების გამო არაერთხელ იქნებოდა აყრილი და უფრო საიმედო ადგილას ღრმა მთებში შესიზნული. ამაზე მიუთითებს არა მარტო ზეპირი გადმოცემები, არამედ გომენრის, ჩარგლის, აფხუშოსა და სხვა ქვემო სოფლების ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი ნაგებობანი, რომლებსაც შემდეგ ჩამოსახლებული მოსახლეობა უბრალოდ „წინა კაცთა ნადგომს“ უწოდებს და მეტი მათ შესახებ არაფერი

იცის. ეს მაშინ, როდესაც ფხოვის სიღრმეში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას – თქმულებებისა და ლეგენდების ამოუწურავი ციკლები მოეპოვებათ ყოველ უმნიშვნელო ნაგებობასა თუ ტოპონიმზე (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, გვ. 44).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავის სიკვდილის შემდეგ – მისი შემით გახიზნულმა, ტყვედ წაყვანილმა თუ გაყიდულმა ფშავლებმა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნება დაიწყეს.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ოსეთში გაყიდული ტყვის შთამომავალი – პირქუში, ჩარგალში დაბრუნდა და მასმა შთამომავლებმა პირქუშაშვილის გვარი მიიღეს.

– ლეგეთში გაყიდული ტყვე-ქალს ორი ვაჟი – რაზიკა და შავერდი, დედის ანდერძის თანახმად დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს.

– ბაიათ წინაპარი – თათრეთიდან დაბრუნებულა; გორზამაული – ქისტეთიდან; გურასპაული – ხევიდან.

ზემოაღნიშნული ექვსი ძირითადი გვარით (პირქუშანი, შავერდანი, რაზიკაანი, ბაიანი, გორზამაულნი, გურასპაულნი) და მათთან შეყრილ-შეფიცული სხვა მთიელებით შეიქმნა ჩარგლის ახალი თემი.

დროთა განმავლობაში, ისინი, კიდევ რამდენიმე მამიშვილობად დაიყვნენ და განაყარი კომლის მამების სახელები გაიგვარეს.

პირქუშიანიდან წარმოსდგნენ: – ფადიურაშვილები, ბაჩიაშვილები, მოლოდინაშვილები, მამუკაშვილები;

შავერდაანი დაიშალნენ: – გარსევანაშვილებად, მარტიაშვილებად, ურჯუკაშვილებად.

რაზიკაანიდან წარმოსდგნენ: – ქუმსიაშვილები, მამუკაშვილები, ბეროშვილები... ამავე საგვარეულოში გაერთიანდნენ უამიაშვილები, რომლებიც ქსნის ხეობიდან მოსულან და რაზიკაშვილებს გაფიცვიან (ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 118).

ბაიანთ საგვარეულოდან მოდის თათარაშვილების და პეტრიაშვილების გვარი;

გურასპაულებიდან მოდიან: – მარცვალაშვილები და მთიბელაშვილები;

გორზამაშვილებსა და ზურაბაშვილებს, ხალხური მეხსიერებით – განაყარი გვარები არა აქვთ.

ყველა ზემოაღნიშნული გვარი თავს ერთმანეთის ნათესავად მიიჩნევს და საკმაოდ ფართე ტერიტორიალური განფენილობის – გოგოჭურთა (იგივე ცაბაურთა) თემს განეკუთვნება. ჩარგლის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა: – აფშო, ბეტისჩირდილი, ქუთხი, მიგრიაულთა (ანუ, წინაკარი), გუდარახი, ბუჭყინტა, შარახევი...“

ძირითადად, გოგოჭურებით დასახლებულ ამ სოფლებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ჩარგლელებთან.

ყველანი ცაბაურთას მთავარანგელოზის ყმები იყვნენ.

იქ დადიოდნენ სალოცავად.

„ხატის ნადშიაც იქ დადენილან – სახნავადა, სამკალადა, მამულების საღირღვადა...“

გვიანობამდე, იქ არსებულ საგვარეულო სასაფლაოზე ხდებოდა, მათი მიცვალებულების დაკრძალვაც.

*

ჩარგლის ხეობა მოიცავდა ერთმანეთის მიმდებარე სოფელებს: – აფხუშოს, ბონას, ბაჩალს, საშუალს, დიყელას და – რამდენიმე უბნად დაყოფილ ჩარგალს.

პავლე რაზიკაშვილის ცნობით – უძველეს დროში, თიანეთის რაიონში მდებარე კვერნოვანა და ლიშოც – ჩარგლის თემის კუთვნილი სოფლები იყო.

(სოფ. კვერნაულაში „ჩარგლელი შავერდაშვილების პაპები მდგარან“).

ბაჩალი – ივრის ხეობის კუდებში, არტნიდან ჩარგლისკენ გადასასვლელ მთაზე მდებარეობდა.

ბონას, ჩარგლის ხეობის აღმოსავლეთ კუდში, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე იყო განთავსებული. გ. ხორნაულმა, იქ – 1973 წელს, ზურაბაშვილების ერთი 5 სულიანი ოჯახი აღნერა.

ჩარგლის ერთ-ერთი უბანი, „ჭალის სოფელი“, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, შედარებით გვიან დასახლდა. მისი პირველმოსახლე ვაჟას მამა, პავლე რაზიკაშვილი იყო. მათ ოჯახს ჯერ აფხუშოში უცხოვრია, მერე – ბონასში; ბოლოს – ჭალის სოფელში დამკვიდრდნენ.

დიყელა – ახუნის მთის დაბლა იყო განთავსებული – ჩარგლის მიმდებარედ.

ნასოფლარის სასაფლაოზე მდგარი ეკლესია XIX ს-ის II ნახევრით თარიღდება. დარბაზულია ($8,2 \times 5,9$ მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. შიგნითა კედლების წყობაში გამოყენებულია კვადრატული აგურიც. კამარა ჩაქცეული აქვს. ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. უაფსიდოა; ფასა-დებზე შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა (2008 წ.)).

ქართლის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე სასოფლო ხატი – შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია ($6,1 \times 4,6$ მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ჩაქცეული აქვს კონქი და კამარა. კედლების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. ნანგრევებში არეულია შირიმის თლილი ქვებიც.

*

1873 წელს, ჩარგალში – 74 კომლი სახლობდა;

1876 წელს გ. რადემ 69 კომლი აღრიცხა;

1934 წლის აღნერით – 49 კომლი დარეგისტრირდა (213 სული): – უამიაშვილები, მოლოდინაშვილები, ბაჩიაშვილები, მარტიაშვილები, კობაიძეები, რაზიკაშვილები, მარცვალაშვილები, ბუკუკიშვილები, გორზამაულები, თიბელაშვილები, ფადიურაშვილები, ბაიაშვილები, ვეშაგურები და პირქუშაშვილები.

გ. ხორნაულმა, 1973 წელს, 48 კომლი აღნერა (117 სული): – რაზიკაშვილების – 3 კომლი, ზურაბაშვილები – 7, გარსევანაშვილები – 7, ბაიაშვილები – 2; სახლობდნენ აგრეთვე – პირქუშაშვილები, ბაჩიაშვილები, მარცვალაშვილები, გორზამაულები, გურასპაულები და მოლოდინაშვილები.

*

1860 წლის მაისში, „მთელს არაგვის ხეობაზედ“ არსებული ერთადერთი სასწავლებელის – ჩარგლის სკოლის შესახებ, გაზეთ “დროებაში“ ვკითხულობთ: –

„შკოლის წინ იყო მშვენიერი ბალი, მშვენიერივე გზებითა, ხეხილი იმგვარი, რომელიც სრულიად არ მოიპოვება არაგვის ხეობაში, გზების აქეთ-იქით წყლის მილებია სხვადასხვა მხარეს მიმდინარენი, რომლებმიც უჩინრად მიმდინარეობს წყლის ნაკადულები. ისინი შეუა ბალში ერთ აუზში იკრიბებიან. შკოლის გვერდით წყლით სავსე დიდი აუზია, რომელშიც თევზი გამოულევლად ჰყოლიათ... ბევრგან მინახავს შკოლა დიდი და მდიდრული მოწყობილი, მაგრამ ამგვარი მორთული შკოლის ეზო, არსად შემხვედრია“.

ყოველივე ზემოაღნიშნულს – კორესპონდენტი რ. ძამსაშვილი, სკოლის ყოფილი მასწავლებლის, ჯაფარიძის, დამსახურებად მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ მის ნაცვლად დავით როსტომაშვილის დანიშვნის შემდეგ, „დიდად შეცვლილა ხსენებული შკოლის ეზო, ბალის გზებს შეუკეთებლობა ეტყობა, აუზი ტალახით ამოვსებულა. ერთი სიტყვით, ახალ მასწავლებელს არავითარი შრომა არ მიუღია თავისი შკოლის ეზო-ყურის სიმშვენიერის და გამართულობის დასაცველად“.

უარესი მოხდა, ამავე სკოლის მასწავლებლად, ქართულის უცოდინარი, ვინმე ანი-სიმოვის, დანიშვნის შემდეგ: –

ბავშვებმა უარი თქვეს სწავლაზე, მშობლებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და სკოლა დაიხურა.

მთიელები სწავლის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ ისეთი განათლების მიღებას ითხოვდნენ, ცხოვრებაში რომ გამოადგებოდათ – საკუთარი თავის რჩენის, ან სწავლის გაგრძელების საშუალებას თუ მაინც მისცემდა.

*

ჩარგლის ძირითადი მოსახლეობა (ძირად გოგოჭურები) – ცაბაურთის მთავარანგელოზის ყმები იყვნენ. დიდ დღეობებში იქ მიდიოდნენ და სათემო ხატს ადგილზე უწევდნენ მსახურებას.

ჰქონდათ სასოფლო სალოცავებიც – „ღვთისმშობლის სახელობისა და ორიც სხვა, რომლებიც ადგილობრივი ნიშები იყო ცენტრალური საფშავლო ხატებისა – ლაშარის ჯვრისა და თამარ-ლელის ხატისა.“

სოფლის შეუა ადგილი თავისუფალი იყო და სამივე ხატი, იქ – ერთმანეთის მიმდებარედ განთავსებული (ვ. ბარდაველიძე).

სახატო დღეობები თემს – გვარებზე ჰქონდა დანაწილებული: –

ბაიათ გვარს ამაღლების დღეობა ჰქონდა მინდობილი; გურასპაულთ, ანუ მარცვალათ გვარს – აღდგომის (ახვესების) გადახდა ევალებოდა; პირქუშაანი – სახუთმაბათო ამაღლებას იხდიოდნენ; რაზიკაანი, ზურაბაანი და გორგამაულნი – „ერთურთს მიმდგარნი იყვნენ“, როგორც მცირეკომლიანი გვარები და სამივე ერთად მარიანობას უძღვებოდა – თავ-თავისი ხარჯით (ვ. ბარდაველიძე).

*

1935 წელს, ჩარგალში – საზემოდ გაიხსნა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი.

მის შესასვლელთან, შავი მარმარილოს კვარცხლბეკზე – პოეტის ბრინჯაოს ქანდაკება დგას (ავტორი ბ. ავალიშვილი) – არწივის მზერით და მრისხანე გამომ-ეტყველებით. სახურავიდან – მისი პოეტური შთაგონებით შექმნილი, ამავე მოქანდა-

კის – არწივის ბრინჯაოს ქანდაკება გადმოგვყურებს.

რაზიკაშვილები

თავისი წარმომავლობის შესახებ ვაჟა-ფშაველა თავად გვამცნობს: –

„თუ ვისმე გეპრიანებათ ჩემი ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახ-სენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით“ („ჩემი წუთისოფელი“).

ვაჟას მამის, პავლე რაზიკაშვილის ცნობით, მათი გვარი, „მოხეური წარმოშო-ბისაა. თავდაპირველად ისინი ღუდუშაურები ყოფილან და ცხოვრობდნენ სოფელ სნოში. სნოდან მათი ერთი შტო ფშავში სოფელ ცაბურთში გადასახლებულა, ცა-ბურთიდან აფხოშოში, აფხოშოდან კი ჩარგალში. ხევიდან ფშავში მისვლის დროს, ღუდუშაურებს გვარი გამოუცვლიათ და ერთ-ერთი მათი წინაპრის სახელი – რაზიკა გვარად გამოუყენებიათ“ (დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1989 წ.).

ციტირებული მკვლევარის ცნობით: –

„ღუდუშაურები – რაზიკაშვილებთან დამოყვრებას დიდ ცოდვად თვლიდნენ და ეგზოგამიის დაცვის აუცილებლობას ქადაგებდენ – ერთი საერთო წინაპრიდან წარ-მომავლობის გამო.“

„მათი ერთობის ტრადიცია გამოხატულებას რელიგიური დღესასწაულის შეს-რულებაშიაც პოულობდა, როცა „რაზიკაშვილები, ღუდუშაურთა სალოცავში მიდ-იოდნენ საკლავ-სასმელ-საწირით.“

წარმოდგენილი არგუმენტებით – დ. ბენაშვილი „რაზიკაშვილებსა და ღუდუშაუ-რებს შორის ოდესლაც არსებული ერთობის სინამდვილეში“ გვარწმუნებს. უფრო მეტიც, ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ასკვნის რომ – რაზიკაშვილები ღუ-დუშაურების ისმელეთ შტოს – „სამუკეთ“ განაყრები არიან და „თუკი მეცნიერებაში დადგენილი წესის მიხედვით თაობათა დისტანციას 35 წელს ვიანგარიშებთ – რა-ზიკაშვილების გვარს სამი საუკუნის ისტორია უნდა ჰქონდეს.“

დ. გოგოჭურის ცნობით: –

როგორც რაზიკაშვილები, ისე ღუდუშაურები – გოგოჭურების მამიშვილობებია.

რაზიკაშვილების გვარი მოდის რაზიკა გოგოჭურიდან, რომელიც გამოჩენილი პიროვნება ყოფილა.

პავლე რაზიკაშვილი, თავის ავტობიოგრაფიაში – წინაპრების გადმოცემას იმოწ-მებს, იმის თაობაზე, რომ ღუდუშაურები და რაზიკაშვილები ერთი გვარისანი არიან: – „სნუში (სნოში) მე თვითონაც მოხევისაგან გავიგონე, ჩვენი გვარისები ხართო – გ ო გ ო ჭ უ რ ე ბ ო ვ ო“. „

პირადად ვაჟას დამოწმებითაც (რომელიც, თავის ნაწერებს გოგოჭურის გვარი-თაც აქვეყნებდა): –

რაზიკაშვილთა თავდაპირველი გვარი გოგოჭურია. ჩვენი წინაპარი რაღაც და-ნაშაულის გამო გაუდევნიათ გოგოჭურთა თემიდან და სნოში თავისიანებთან გადა-სულა; „იქაც რაღაც ავკაცობა ჩაუდენია – მისი გამოძევება იქიდანაც განუზრახავთ, მაგრამ თვითონ „დაუსწრია“: – გაუტეხია სამლოცველო, გამოუტანია ხატი, ჩაუსვამს გუდაში, მოუპარია ვისიმე ცხენი – ფშავში გადმოსულა და იქ დამკვიდრებულა ხუც-ესად – „თავისი“ ხატით.

„მოუსვენარნი ვყოფილვართო,“ გვამცნობს ვაჟა-ფშაველას მამაც...

რატომ გაიქცა ჩარგალში რაზიკაშვილების სწოველი წინაპარი? რატომ მიიტანა იქ სწოდან გატაცებული ხატი? და, რაც მთავარია, რატომ „დაამკვიდრეს“ იქ – სხვა კუთხიდან გამოქცეული – ხუცესად?

„მხოლოდ იმიტომ, რომ ჩარგალსა და მის შემოგარენში მათი წინაპარი გოგოჭურები ცხოვრობდნენ, რომელთა საგვარო ხატი ხახმატის ჯვარი იყო, სადაც სალოცავად მიდიოდნენ როგორც ხევსურები, ისე ფშავლები, თუშები, მოხევეები და მთიულები. იქ როგორც ძველთაძველ საგვარო ხატში საკლავს კლავდნენ და სანთელს ანთებდნენ ღუდუშაურებიც, რაზიკაშვილებიც და გოგოჭურებიც. ამ ხატობას არაერთხელ დასწრებია ვაჟა; მამამისი, მღვდელი პავლე, სწორედ ხახმატში მოღვაწეობდა და „ნარმართი ხუცესები – ალბათ, მხოლოდ იმიტომ ითმენდნენ მისგან ქრისტიანობის ქადაგებას, რომ ისიც ხახმატის ჯვრის ყმა იყო.“

*

რაზიკაშვილების დიდი წინაპარის, იგივე მამისიმედის, გოგოჭურობა (რომელსაც ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში ხშირად მოიხსენიებენ როგორც უშიშარ მეომარს და დარბაისელ კაცს) – 1750 წლის 6 ივლისით დათარიღებული საბუთით დასტურდება. დოკუმენტი ერეკლე II-ის მიერ გამართულ ხალხურ სასამართლოს („თემურ რჯულს“) ეხება, სადაც მამისიმედ გოგოჭური „რჯულის კაცთა“ (მსაჯულთა) შორის არის მოხსენიებული.

ფშაველ-ხევსურნი – ერეკლეს მოურავს, სახლთუხუცეს გრიგოლ ჩოლოყაშვილს – მათი თვისტომის, დემეტრე ასათაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებდნენ... („შერიგების წიგნში“, რჯულისკაცებად (მოსამართლებად) მოიხსენებიან აგრეთვე: – „ლაშარის ჯვარის დეკანოზი ჩოხელაშვილი ნადირა, ბერდაული პაპა, გოგოლაური გამიხარდი, ჯუთუ დავითისაშვილი, როსტევან წითელაური, კურდლელა მათურელი, თორლა ჭიჩოელი, კურდლელა გოდერძაული, ქავთარ თიანელი, მოსე განჯილაშვილი, ქამხაძე აბრამა და ივანეურის შვილი გახუტელი“ (ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები).

პავლე რაზიკაშვილის ცნობით: – ამ იმედა (გოგოჭურის) შვილი იყო მამამისის ბიძა ბერი. ანუ, ვაჟა-ფშაველა მამისიმედის ჩამომავალი მეოთხე თაობა ყოფილა (ბერო – გივი – პავლე – ვაჟა).

XIX ს-ის კამერალურ (მათ შორის ხორხის ხეობის სოფლების) აღწერათა მონაცემებით, სავარაუდოა რომ, მამისიმედ გოგოჭურის შთამომავლებმა მისი სახელი გაიგვარეს – ანუ, მამისიმედაშვილის გვარზე გადავიდნენ.

ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები

ბაჩანა – დიდებული პოეტი იყო.

მისი ლექსი – „ვინა სთქვა საქართველოზე, ეგ არის, ლომი კვდებაო“ – ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ჰიმნად იქცა;

„თქვენი „მუხა“ და „კესანე“ შედევრებიაო!“ – გალაკტიონს უთქვამს ბაჩანასათვის.

ლიტერატურულ საღამოებზე – ვაჟა ხშირად კითხულობდა ძმის ლექსებს.

*

სისტემატურად იბეჭდებოდა პრესაში – ხალხური ზეპირსიტყვიერების დიდი მოამ-აგის, თედო რაზიკაშვილის ლექსები, მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები.

განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი საბავშვო მოთხრობები.

ტყუილად ბორგავდა ჭაბუკი თედო:

„ვაითუ, ისე სოფელმა
მიწის ლოგინი დამიგოს,
რომ ჩემი მოსვლა ან წასვლა
ერთმაც არავინ გაიგოს:
არ დამიტიროს მამულმა,
არც წმინდა ძეგლი ამიგოს!“

*

სამი რაზიკაშვილი ძმიდან ერთი მთაწმინდაზე განისვენებს – ორი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლევან რაზიკაშვილი

როგორც გიგლა ბაჩანას ძე რაზიკაშვილი გვამცნობს: – ვაჟა-ფშაველას შვილი, ლევანი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი კლასის ამხანაგები იყვნენ.

1922 წლის ზაფხულში, როცა ლევანს მაღაროსკარის საბჭოს თავმჯდომარის (კომისრის) თანამდებობა ეკავა – ქაქუცას შემონათვალი გადასცეს: – ჩემი რაზმით ხევსურეთისკენ მოვდივარ და უნდა გამატაროო.

ლევან რაზიკაშვილმა – არაგვის წალკოტში, ქართული ნადიმიც მოუწყო მეგობარს.

როგორც შეფიცულთა რაზმის წევრები გვამცნობენ: –

„მაღარისკარის მრძოლის შემდეგ, ხევსურეთისკენ რომ მივდიოდით, ხომის ძირს, პეტრეს დუქანთან შევისვენეთ. ამ დროს ცხენების დრგიალით მოგვადგა მილიციელთა რაზმი. ის იყო ერცხვას უნდა ვსცემიყვენით, რო ქაქუცამ ხელის აწევით შეგვაჩერა. წავიდა მოწინააღმდეგისკენ, იქიდან იმათი მეთაური გამოემართა და სახეგანათებულები გადაეხვივნენ ერთმანეთს. მაშინ ვნახეთ პირველად ვაჟას შვილი ლევანი. ისიც მშვენიერი ვაჟუკაცი ყოფილიყო“ (ივ. ლიქოელი, ხევსურები და ქაქუცა).

ქაქუცასთან მეგობრობა ლევან რაზიკაშვილის ბედისწერად იქცა.

ფხიტურთან მარცხის შემდეგ, მეგობარი მან სამშვიდობო გზაზე გაიყვანა და გააცილა. ალყაში მოქცეული ჩოლოყაშვილი საბჭოთა ხელისუფლებას ხელიდან გაუსხლტა, გაქრა. სახკომსაბჭოს საგანგებო დავალება ვერ შეასრულდა და მიზეზად – რაზიკაშვილის ღალატი დასახელდა.

ლევანს – დახვრეტა მიუსაჯეს.

ფშავის მოსახლეობამ საკუთარი სიცოცხლე სასწორზე დადო. 56-მა ადამიანმა მოაწერა ხელი მისი გათავისუფლების თხოვნას.

მწერლებმა მთავრობას მიმართეს: – შალვა დადიანი, პავლე ინგოროვა და ალექსანდრე აბაშელი – სერგო ორჯონიკიძეს ეახლნენ და ლევანის გათავისუფლება სთხოვეს.

დაძაბული სიჩუმის შემდეგ, სერგომ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და კბილებში გამოსცრა: – „ვაჟა-ფშაველას შვილი კი არა, თვით ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო“.

პავლე ინგოროვამ ქუდს ხელი დაავლო და პირველი გამოვარდა კაბინეტიდან, დანარჩენებიც უხმოდ მიჰყვნენ...

ბაჩიაშვილები

როგორც უკვე აღვნიშნე, ზურაბ არაგვის ერისთავის სიკვდილის შემდეგ – შიშით გახიზულმა, ტყვედ წაყვანილმა თუ გაყიდულმა ფშავლებმა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნება დაინყეს.

გადმოცემის თანახმად, ოსეთში გაყიდული ფშაველის შთამომავალი – პირქუში, ჩარგალში დაბრუნდა და მისმა შთამომავლებმა – პირქუშაშვილობა გაიგვარეს. დრო-თა განმავლობაში, მათი გვარი – ფადიურაშვილებად, ბაჩიაშვილებად, მოლოდინაშვილებად და მამუკაშვილებად დაიყო.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, ბაჩიაშვილების წინა გვარი თაღლაურია და არტნელი სახალხო გმირის, თაგვა თაღლაურის შთამომავლები არიან.

ლეკებთან ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის, თაგვას – კახეთის ბატონმა, თურმე, სოფ. არტანი უწყალობა – ივრის ხეობის სათავეებში.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, თაღლიაური (თაღლაური) – მთიელი სახალხო გმირების ტიპიური წარმომადგენელია. როცა საქმე მტერთან ბრძოლას ეხება „კაი ყმაა“ – თანამოძმეთა განსაკუთრებულ დაფასებას იმსახურებს. სახელის მოპოვების შემდგომ კი – ძლიერებას პირადი სარგებლობისათვის იყენებს; ხალხს თავზე ახვევს საკუთარ ინტერესებს და მათ გულისწყრობას იმკის (ისევე როგორც სულა და კურდლელა ჩარგალში, არხალი – არხალში, ცხრა ძმა ბუჩუკური – ბუჩუკურთაში; მუცოლი თორლვა, ცხრა წიფორელი ძმა, მირიანული – გუდამაყარში და შიოლა ღუდუშაური ხევში).

„ისე გადიდებულა თაგვა, რომ მთებს აქეთ თუ რამე გადმოვიდოდა – ცხვარი თუ საქონელი... იჭერდა თავისთვინა და თვისობდა.“ თემი „ვეღარ ჰგუმბდა მის თავმეტობას“ (მისი ძირითადი პრინციპი თანასწორობა იყო. სიმდიდრე მეტობის უფლებას არავის აძლევდა).

ბოლოს – როცა გმირი-მეომარი „ჩაბანოს იყო წასული“ – ხალხმა მისი კარ-მიდამო გადაწვა.

შინ დაბრუნებული თაღლაური – გამოჰკიდებია მომხდურთ, დასწევია და ხოცვა-ულეტა გაუმართავს. „ოცამდე რო მოუკლავ... დაბრუნებულა და ჭალაში რო ჩამოსულა, ერთი კაცი კიდევ იქ შახვედრია – მომხდურთაგანი.“

„თავ უნდა მამეჭრა შენთვისო – უთქვამს თაგვას.“

„მე ბეჩავი ვარო,“ უპასუხია კოჭლს: – „სოფლის პირი იყო და რას ვიქმოდიო.“

თაღლიაურს დაუნებებია თავი.

„იმ კოჭლს გამაუდებნავ ისარი, ბეჭებში უკრავ და მაუკლავ“.

*

საქართველოს დამსახურებული ექიმის, კიმო ბაჩიაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ჩარგალში უცხოვრია სახელგანთქმულ მეომარს, იოკიმე (თაღლაურა) ბაჩიაშვილს, რომელზეც ასეთი ხალხური ლექსი არსებობს:

„თაღლაურასა იტყვიან,
ბაჩიაშვილის გვარსაო,
წინ მიუძღვოდა ლაშქარსა,
მთიდან ჩამოსულს ბარსაო.
ლეკათა ლაშქარში შეიჭრა,
არა ზოგავდა თავსაო,
ბევრ ლექს წააჭრა მარჯვენა,
მარჯვედ იქნევდა ხმალსაო...
მტერს მიენდობა ბოლოსა
და დაიღუპავს თავსაო...“

კ. ბაჩიაშვილის ცნობით: –

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის, სამეფო კარმა – იოკიმეს, იყალთოს დასავლეთით მდებარე ტყიანი ადგილი უწყალობა.

იქ ჩამოსახლდა მეომარი; მის სახელზე დაერქვა სოფელს – თაღლაურა.

მისი შთამომავლობა, დროთა განმავლობაში, 7 მამიშვილობად დაიყო: – იოსე-ბაანი, კაკიაანი, მჭედლიაანი, პეტრუაანი, ზაქარაანი, ლაზარაანი და ულაყაანი.

იოკიმე (თაღლაურა) ბაჩიაშვილს შთამომავლები არიან: –

საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ალექსანდრე ბაჩიაშვილი – 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის, ერთი გამოგონების და 2 სასარგებლო მოდელის ავტორი. მუშაობადა თბილისის სამედიცინო აკადემიის კლინიკის დირექტორად; იყო რესპუბლიკის მთავარი ქირურგი.

გიორგი ბაჩიაშვილი – საქართველოს თანაინვესტირების ფონდის დამფუძნებელი და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ფინანსების მართვის მაგისტრია.

ბაჩიაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, ახმეტის და თელავის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, ახმეტაში 42 ბაჩიაშვილი ცხოვრობს, თბილისში – 88, თელავში – 263 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ქუმსიაშვილები

საქართველოს სახალხო არტისტის, ერთ დროს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტის – ნიკო ქუმსიაშვილის ცნობით: –

მისი „წინაპრები ცაბაურთის თემიდან ჩარგლის მცირერიცხოვან მკვიდრთა შორის – ერთ მეტად მყუდრო და რომანტიკულ ადგილას, ბოწახში დასახლებულან... როგორც უფროსთა გადმოცემით ვიცი, ყოფილა ვინმე რაზიკა, რომელსაც ყოლია შვილი ქუმსი. ამ ქუმსის მეხუთე შტოს ეკუთვნის პაპაჩიმი ნადირა, რომელსაც, ფშაველთა ტრადიციის მიხედვით, მიუღია თავისი საგვარეულოს უფროსის სახელი-დან წარმომდგარი გვარი ქუმსიაშვილი. იქნებ უფრო სამართლიანი ყოფილიყო, რომ ჩემს წინაპრებს მიეღოთ გვარი ცაბაური, როგორც ფშაველთა ერთ-ერთი ძირეული

თემიდან ცაბაურთაგან გამოსულებს“.

„ცნობილი მოლექსე – ნადირა ქუმსიაშვილი, წარმოადგენდა ქუმსის მეხუთე და რაზიკას მეექვსე თაობას (ვ. გარსევანიშვილი, ახალი ცნობები რაზიკაშვილთა საგვა-რეულოს შესახებ, პირიმზე, 1993 წ. №1).

ქუმსიაშვილების გვარი, დღეს – თბილისში, გურჯაანის და ყვარელის რაიონებში სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, გურჯაანში 281 ქუმსიაშვილი ცხოვ-რობს, თბილისში – 246, ყვარელში – 57 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ყოფჩა

ჩარგლიდან სამხრეთით მდებარე ნასოფლარია – დიყელის გადაღმა ფერდობზე.

1876 წელს – იქ, 8 კომლი სახლობდა;

1934 წლის აღნერით, ყოფჩა-ქალილოში ერთად, 20 კომლი დარეგისტრირდა (61 სული). ქალილოში – ნაყეურების და ფიცხელაურების 5 კომლი; ყოფჩაში: – მარაშ-ვილების 15 კომლი.

1973 წელს, „ერთი მოხუცი კაცილა იყო – თევდორე ნაყეური, ჩვენი, მონადირეების, მასპინძელი. იმან ჩამანერინა – ძირად მათურელები ვართო“ (გ. ხორნაული).

ყოფჩელი ნაყეურები გოგოლაურთ თემს ეკუთვნოდნენ. მათი სათემო ხატი გოგოლაურთის წმინდა გიორგი იყო. სასოფლო სალოცავები – ადგილისდედა ღვთისმშობელი და საყდრის წმინდა გიორგი (ირ. გოგოლაური).

ღვთისმშობლის ხატი სოფლის დასავლეთით იყო განთავსებული. მისგან 0,5 კმ-ზე საყდრის წმინდა გიორგის სალოცავი მდებარეობდა – ეჭირა, დაბურული ტყით გარშემორტყმული, პატარა ველი, სადაც წმინდა გიორგის სახელზე ნაგები კოშკი იდგა. ხატის ტყეში ხარობდა მუხა, წიფელი, ცაცხვი, იფნი, თელა და სხვ. ჯიშის ხეები. სალოცავს მხოლოდ ნაყეურები ემსახურებოდნენ – „დასტურებითაც და ხევის-ბრობითაც“ (ვ. ბარდაველიძე).

„ყოფჩაში ცხოვრობდა განთქმული აქიმი, ბუთლა ნაყეური. იმის მაურჩენელ ავადნყოფ არ იყო. ერთნაირად კარგად სწამლობდა და შველდა – კაცსა და საქონ-საცა. შორი სოფლებიდანაც მოდიოდნენ იმასთანა. კაი კაცი იყო ძალიანა. მოკვდა და მიწაში წაიღო თავისი ცოდნა“ (ირ. გოგოლაურის მთხრობელი).

ყოფჩაში დაიბადა მიხეილ (მიხა) ნაყეური: – პოეტი, ხალხური სიტყვიერების უბადლო მცოდნე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ცნობილი ფინანსისტი-მენეჯერი, ზურაბ ნაყეური – მშობლიურ კუთხესთან კავ-შირს არ წყვეტს...

ნაყეურების გვარი, დღეს, თბილისში, დუშეთის და ახმეტის რაიონებში. სახლობს.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, დუშეთში 58 ნაყეური ცხოვრობს, თბილისში – 16, ახმეტაში – 10 (გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

ქალილო

არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობს, მაღარისკარიდან 1 კმ-ზე – ზ.დ. 1000 მ-ზე.

1926 წლის – 3 კომლი სახლობდა (17 სული);

1934 წლის აღწერით, ნაყეურების და ფიცხელაურების 5 კომლი დარეგისტრირდა.

XX-ს-ის 40-იან წლებში, ხომიდან ქალილოში ჩამოსახლდა ორი კომლი: – გარაშვილი და თურმანაული; ადგილი ყოფჩისა იყო და მათ ჯიბრზე – ყოფჩელი ნაყეურებიც იქ ჩამოსახლდნენ (გ. ხორნაული).

1973 წელს – ქალილოში, 20 კომლი აღირიცხა (მათ შორის ნაყეურების 13); ცხოვრობდნენ აგრეთვე ბეყოშვილები და გარაშვილები (სულ – 55 სული).

*

სოფლის ჩრდილოეთით (1,5 კმ-ზე) მდებარე ყოფჩისკარის კომპლექსი განვითარებული შეუა საუკუნეებით თარიღდება. მის შემადგენლობაშია – ნანგრევებად ქცეული სწორკუთხა კოშკი, პატარა დარბაზული ეკლესია და გაურკვეველ ნაგებობათა, მათ შორის – გალავანის ნაშთი.

ეკლესია (5,5X3,8 მ.) ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით და დუღაბით. აქა-იქ გამოყენებულია შირიმის კვადრებიც. თითქმის მთლიანად დანგრეულია.

სალოცავის მიმდებარედ ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა.

გაითხარა კლდის ნატეხი ქვით და შირიმის კვადრებით ნაგები აკლდამა. აღმოჩნდა: – 25 ჩონჩხი. გამოვლინდა მინის მძივები, ბრინჯაოს ბეჭდები, საყურები, სამაჯურები და ლილები, რკინის ისრისპირი... მასალა დუშეთის არქეოლოგიურ ბაზში ინახება.

კართანა

ძველი ნასოფლარი და „ნაციხვარია“ მაღაროდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით; მდ. კოპალურას არაგვთან მიერთების ზემოთ – „მაღლა გორაზე“. ლეგენდის თანახმად, ადრე – იქ, დევები მდგარან.

დასახლების ქვემოთ მდებარე არაგვის ჭალის (ყოფჩისკარის) მარჯვენა მხარე – არბაჩხანს ეკუთვნოდა; მდინარის მარცხენა მხარე – ყოფჩას.

„კართანა – ძალიან ვიწრო ადგილიზეა, გაღმაც ფრიალო კლდეა და გამოლმაც. ისეთი ვიწროა, რომ არაგვი ძლივს ეტევა“.

კლდის თავზე – ერთი ვიწრო გადასასვლელი იყო („კარი“). „მის ამოქოლვას აპირებდნენ, თურმე, კართანელი დევები. ქვას აგროვებდნენ წყალი რომ დაეგუბებინათ და ფშავ-ხევსურეთი წაელეკათ.“ ერთმა დევმა ციხეთ გორის სამლოცველოდანაც მოიპარა ტრაპეზის ქვა და იქ მიჰქონდა.

„გაიგო ეს ამბავი კოპალამ. წამოენია დევს, ესროლა ლახტი და მოკლა.“

გორის ძირში, არაგვის მარჯვენა მხარეს შემორჩენილი ის ლოდი – ე.ნ. „კოპალას ქვა“, სოფელ ხომის მოსახლეობამ „გზისთავზე აიტანა,“ ახლაც იქ არის და ფშავ-ხევსურთა საერთო სალოცავის წარმოადგენს.

„იქ ილოცავენ გმირ კოპალას...“

„ნალახტარი კლდეს ეტყობა და ნასაბლარი იმ ქვას.“

*

ნასოფლარის მიდამო მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით: –

„კოპალას ხატის ზემოთ, მთის ფერდობზე – VIII-X სს ეკლესია მდგარა. მისი მხოლოდ კედლებია შემორჩენილი“ (ც. ბარდაველიძე).

მდინარის მარჯვენა მხარეს გამოვლენილი სამაროვანი 154 ქვის სამარხს და 4 აკლდამას მოიცავს – განეკუთვნება V-IX სს. მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალულნი. ფიქსირდება დაკრძალვის წინაქრისტიანული წესის გადმონაშთებიც. სამარხთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაძარცულია. გათხრებით მოპოვებული ინვენტარი (ვერცხლის და ბრინჯაოს ბეჭდები, ბრინჯაოს სამაჯურები, მშვილდსაკინძები, ქამარი, აბზინდები, მინის ბეჭდები, სარდიონის მძივები და სხვ.) დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

არაგვის მარჯვენა მხარეს, მთის თხემზე მდებარე ეკლესია X-XI სს თარიღდება. დარბაზულია (13X7 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით; კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმის თლილი ქვები. ძლიერ დაზიანებულია. კედლების მნიშვნელოვან ნაწილს, გარედან, მინაყრილი ფარავს. საკურთხეველში შემორჩენილია ფიქლის ფილებით მოგებული იატაკის ფრაგმენტები. შუაში, შირიმის ბლოკებით ნაგები ტრაპეზი დგას.

მდინარის ამავე ნაპირას მდგარი კოშკი, გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. გეგმით სწორკუთხაა (11X8 მ.), აგებულია კლდოვან კონცხზე. ნაგებია ნატეხი ქვითა და შირიმით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე.

არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე ეკლესია (7,2X5,3 მ.) – შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 0,5X0,7 მ-ია. საკურთხევლის ბაქანზე მიდგმულია კუბური ფორმის კვარცხლბეკი, რომელიც, ალბათ, ჯვრისთვის იყო განკუთვნილი.

მალარო

მალაროსკარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთის ფერდობზე იყო განთავსებული – ტყეების თავზე.

ამბობენ: – მისი სახელწოდება სიტყვა „მალარო-ს“ უკავშირდებაო.

იმასაც ამბობენ რომ: სიღნაღის რაიონში მდებარე მის თანამოსახელე სოფელს – სახელი, ფშავში მდებარე მთის – „მალაროს“, მიხედვით დაერქვა.

ფშავლები – ქიზიყში, XV ს-ში ჩაასახლეს (თ. თოდრია, ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 1982 წ.).

ფშავის მალაროში, 1886 წლის აღწერით, 20 კომლი სახლობდა: – ბეკოშვილების – 9, პაპაშვილების – 4, მგელაშვილების – 3, ციხელაშვილების – 2, უფროსაშვილებისა და საყვარელაშვილების 1-1. სოფლის დროებით მცხოვრებლებად აღრიცხეს: – შამანაურები, არუთინოვები და ლუარსაბაშვილები (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1746).

1934 წელს, იმავე სოფელში – 14 კომლი დარეგისტრირდა (76 სული): – გელაშ-

ვილები, ბეყოშვილები, საფარაშვილები, ჯანაშვილები, უფროსაშვილები, ივანიშვილები და ციხელიშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 3 კომლი აღწერა (8 სული) – ჯანაშვილები, საფარაშვილები და მგელაშვილები.

მაღაროსკარი

და

მაღაროსკარის თემი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ფშავი – ორ (მაღაროსკარის და უკანაფშავის) თემისაბჭოდ გაიყო.

მაღაროსკარის თემის შემადგენლობაში შევიდა 17 სოფელი (მაღაროსკარი, გომენარი, ჩარგალი, ხილიანა, კუჭეჭა, კანატია, თხილიანა, წიფრანი, საშევარდნო, შარახევი, მიგრიაულთა, გუდარახი, აფშო, ინო, ხომი, კანალხევი და არბაჩხანი).

დღევანდელი ფშავის ადმინისტრაციული ცენტრი, სოფ. მაღაროსკარი, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, მდ. მაღაროულას და ფშავის არაგვის შესართავთან, ზ.დ. 920 მ-ზე.

ადრე – ეს ადგილი დაუსახლებელი იყო და სოფ. მაღაროს – „კარს“, მასთან მისავლელს წარმოადგენდა (როგორც „ჩარგლისკარი“, „ყოფჩისკარი“, „კანალხევისკარი“).

2005 წელს – იქ, 104 კომლი სახლობდა (262 სული). თვალში საცემია გოგოლაურთიდან მოსული თანდილაშვილების, კაკაბლიშვილების, თურმანაულების და ტუნტურიშვილების სიმრავლე.

მათ გვერდით, ფშავის თითქმის ყველა ისტორიული თემის წარმომადგენელი ცხოვრობს.

სოფელს (რომელიც რამდენიმე უბნისგან შედგება) მდ. მაღაროულა შუაზე ჰყოფს. ნასოფლარ მაღაროს ქვემოთ, ფერდობის ძირში – ოქრომჭედლიათ ნასახლარებია.

ვეტუბანი (ანუ ჯანას ჭალა) XX ს-ის 20-იან წლებამდე დაუსახლებელი იყო.

პირველი სახლი – ოქრომჭედელმა დავით ჯანაშვილმა აიშენა.

კომუნისტებმა ჩამოართვეს და სკოლად გამოიყენეს.

მოგვიანებით, მის ზემოთ, ვეტსამკურნალო გაიხსნა.

მიმდებარედ, XX ს-ის 60-იან წლებში დასახლდნენ.

„სკოლის უბანი“ – „ოქრომჭედლიანთ ჭალაშია“, არაგვის მარჯვენა ნაპირს მიუყვება და „ბაბუკთ ჭალასაც“ მოიცავს. მის იქით, სოფ. არბაჩხანის ადგილები იწყება.

*

მაღაროსკარის მოსახლეობა მათი ძირძველი სათემო სალოცავებს საყმოა. ახალ სამოსახლოში იხდიან – კოპალას, ბზიანას და ადგილისდედა ღვთისმშობელის დღეობებს.

კოპალას ნიში – ჩარგალს და მაღაროს შუა (კართანასთან) მდებარეობს – ერთი დიდი ლოდი დევს, რომელსაც კოპალას ქვას ეძახიან.

მაღაროს „კარის“ სოფლად ქვევამდე, ბზიანას ხატის საბრძანისი – კუდოს ადგილში იყო, სოფლის სასაფლაოსთან. მის ირგვლივ – ბზები ხარობდნენ.

პირველი ბზა (გადმოცემის თანახმად) თამარ მეფეს დაურგავს.

სალოცავი წარმოდგენილია საზარე კოშკით, რომელიც ბზის ბუჩქების გვერდით, ვაკე ადგილზე არის განთავსებული.

მის მიმდებარედ, ხატის ტყეში იდგა ადგილისდედა ღვთისმშობლის პატარა ნიში, სადაც ამაღლებას, მარიამობას და გიორგობას იხდიდნენ.

საყმოს – ბზიანის ტერიტორიაზე მცხოვრები გოგოლაურები ემსახურებოდნენ.

მდიდარმა მეცხვარემ, იოსებ ხარანაულმა, XIX ს-ის I ნახევარში – მაღაროსკარ-ში ააშენა წმინდა გიორგის სახელობის (ფშავ-ხევსურეთში ერთადერთი გუმბათიანი) ეკლესია.

ნაგებია რიყის ქვით (11X11 მ.). ფართო და მაღალი თაღოვანი შესასვლელი აქვს. საკურთხევლის ბაქანი ეკლესიის იატაკის მიმართ ერთი საფეხურითაა შემაღლებული. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე დაყრდნობილი გუმბათის ყელში ასიმეტრიულად არის განლაგებული ხუთი ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმელი. ეკლესიის კედლები და გუმბათის ყელი თაროსებრი ლავგარდნითაა დასრულებული. ცხრაწახნაგა გუმბათს – პირამიდული სახურავი აქვს. გადახურულია თუნუქით (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

აღნიშნული ეკლესიის გალავანში, ვაჟა-ფშაველამ საიდუმლო ფიცი დაადებინა – ხმალზე დააფიცა ფშავლები საქართველოს ერთგულებაზე – თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს იყო 1905 წლის რევოლუციას გამოძახილი.

რიტუალის დროს, ხალხი ჯერ ჯვარს ემთხვეოდა, რომელიც მღვდელს ეკავა – მერე ხმალს, ვაჟა-ფშაველამ სიმტკიცის სიმბოლოს, რომელიც თვითონ ვაჟას ეპყრა ძარღვიან ხელში. მას შეუდგენია მოწოდების ტექსტიც და ფიცის ფურცელიც. შემუშავებული ჰქონდა თვითმპყრობელობის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გეგმა. ჯანაშვილ-ოქრომჭედლიანთ სახლში დაიწერა მისი „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“, რომელიც დავით ჯანაშვილმა 40 წელზე მეტხანს შემოინახა და 1948 წელს გადასცა სამეცნიერო ექსპედიციას.

*

მაღარისკარის სკოლასთან, 1922 წლის აგვისტოში, სერიოზული შეტაკება მოხდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმსა და სამთავრობო ჯარს შორის.

ბრძოლა შეფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა.

ორას ორმოცდათი კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი (რომელთა უმრავლესობა რუსული რეგულარული არმიის მეომრები იყვნენ) – სამოცდახუთმა შეფიცულმა დაამარცხა. ბრძოლაში ფშაველი პატრიოტებიც მონაწილეობდნენ: – ძმები შიო და იოსებ თურმანაულები, ჯანგირ ხირჩლაშვილი, ივანე მთიბელაშვილი... მათ გვერდით იდგნენ ადგილობრივი საბჭოთა მოხელეებიც – ლევან რაზიკაშვილი და ალექსი მისრიაშვილი – ქაქუცას თანამდგომნი და მიხა ხელაშვილის მეგობრები.

ჯანგირ ხირჩლაშვილი, პავლე შანიძე (სტუდენტი-ფედერალისტი) და გიორგი თანდილაშვილი (ქუჯეგათ გიორგი – მიხა ხელაშვილის შინში) – ბრძა შემთხვევის წყალობით მაღე დაატყვევეს და დახვრიტეს.

ჯანგირ ხირჩლაშვილის ცხედარი – დედამისმა ლამით ამოთხარა და მაღულად დაკრძალა სოფ. ხომში (ივ. ლიქოკელი, „ხევსურები და ქაქუცა“, 2006 წ.).

*

ცნობილი ფინანსისტის და ეკონომისტის, ვალერიან დავითურის გვარი „ხანდოსხ-ევიდან მოდის“, მაგრამ მაღაროსკარში დაიბადა და გაიზარდა. იყო რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფროსი, ბადრი პატარკაციშვილის ფონდის ფინანსური კონსულტანტი და – პირველი, რაც ცნობილ მეცენატს სთხოვა – მაღაროსკარში „იმედის“ ტელეარხის მიღება იყო.

გაკეთდა ანძა და ფშავლებს – „იმედთან“ ერთად, სხვა ტელევიზიების მაუნიერლობის მიღების შესაძლებლობაც მიეცა.

მაღაროსკარიდან იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგის კათედრის გამგე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის „კლინიკური ფარმაკოლოგიისა და თერაპიის“ საზოგადოების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი თურმანაული – 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი – რესპუბლიკის ყოფილი მთავარი ფარმაკოლოგი და საქართველოს ფარმაკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

„ვისაც 70-80-იანი წლების ფშავის არაგვის ხეობაში უმოგზაურია, უთუოდ გაიგონებდა, რომ მაღარისკარში ცხოვრობდა პიროვნება – გიორგი (გოგი) თურმანაულის სახით, რომელშიც სისხლხორცეულად იყო შენივთებული ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ფშავის ლეგენდად ქცეულ მხარეს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა ზნეობის კანონად შექმნილი. სამწუხაროდ, მის მიერ დანთებულ საღვთო და საერისკაცო სანთელს დიდხანს წვა და ნათება არ ეწერა“ („არაგველები“).

„ჭეშმარიტად კაი ყმა იყავი, ლაშარის ჯვრის პიროფლიანი... შენით ხარობდა არაგვის ხეობა, შენით ეძლეოდა ფერ-მადლი... რაღა იქნება აქაობა უშენოდ?! დას-ეტყვილი ხე იქნება, ტოტებდამსხვრეული! შენ მარტო შენს დედას არ მოუკვდი, არც მარტო მეუღლესა და შვილებს, არც ახლობელ-ნათესავებს, შენ ყველას მოგვიკვდი! თემ-სოფელს დაკლდი და მთელ საარაგვოს, საქართველოს დაკლდა კაი ყმა და მამულიშვილი...“ (ირ. გოგოლაური).

*

მაღაროსკარის ქვემოთ, არაგვის დინების მიმართულებით, ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური გზის ორივე მხარეს, წინაფშავის კიდევ რამდენიმე სოფელია განთავსებული. მარჯვნივ: – კუდო-ხილიანა, კანატია და წიფრანი; მარცხნივ: – კუჭეჭა, საშევარდნო და შარახევი.

კუდო-ხილიანა

კუდო ნასოფლარია მაღარისკარის უკან (გომეწრისკენ) – ხეობის შეყოლებაზე.

„ცალკე სოფლად აღარ მოიხსენიება, რადგან მაღაროსკარს გადაება“.

1876 წელს – 50 კომლი სახლობდა;

1973 წელს გ. ხორნაულმა – ჯარიაშვილების და ქისტაურების 4 კომლი აღწერა (12 სული).

კუდოს მთაზე, არაგვის მარჯვენა მხარეს, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა (11,7X11,3 მ.). განეკუთვნება VIII-IX სს. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეებში, კონსტრუქციულ ნაწილებში და კარ-სარკმელთა წირთხლების წყობაში გამოყენებულია შირიმის კარგად გათლილი ქვები. ძლიერ დაზიანებულია. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე – ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, რომელსაც ნახევარწრიული თაღი აგვირგვინებს (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

*

ხილიანა – „მაღაროსკარსა და კანატიას შუა მდებარეობს – არაგვის მაღლა ტაფობში. თავისი ადგილი ბევრი არ ჰქონდა, მოზიარე იყო კუდოსთან“.

კუდო-ხილიანაში ერთად, 1926 წელს – 38 კომლი სახლობდა (161 სული);

1934 წლის აღნერით, 37 კომლი დარეგისტრირდა (147 სული) – თანდილაშვილები, კაკაბლიშვილები, ტუნტურიშვილები, ჯანგირაშვილები, ნავროზაშვილები, ბაიაშვილები, ქისტაურნი, თურმანაულნი, გელიაშვილები, ლონიერაშვილები, თალაშვილები და წელაშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა – 12 კომლი აღრიცხა (33 სული): – ბაიაშვილი – 3, წელაშვილი – 2, უძილაური – 3.

*

მშობლიური ხილიანას მიწას მიაპარეს, უცხოეთში გადახვეწილი კარგი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი, ომარ თურმანაული.

კანატია

არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე – მაღაროსკარის ქვემოთ 2 კმ-ზე.

ადრე, უფრო მაღლა – მთის ფერდობზე ყოფილა განთავსებული.

1939 წელს, წიფნარ-კანატიაში ერთად, 16 კომლი (72 სული) სახლობდა.

1973 წელს, გ. ხორნაულმა 12 კომლი აღწერა (33 სული): უძილაური – 9, ბულალაური და კიდევ რამდენიმე სხვა გვარი.

სოფელი მაშინ, „ჯერ კიდევ მაღლა იყო. ეხლა იქ აღარავინ ცხოვრობს. ყველა არაგვის ჭალაზე, კანატიის ძირს ჩამოსახლდა და სოფლის სახელიც ჩამოიტანეს...“

ლოსეურანის (იგივე მაჩხურანის) უბანი იყო მაღლა.

„მაჩხურანი“ მამიშვილობაა, ლოსეურანი – გვარი. უძილაურთიდან არიან და ზოგმა უძილაურობა მიიღო გვარად“ (გ. ხორნაული).

კანატიის მკვიდრი იყო ცნობილი მოლექსე, ჭრელა უძილაური

წიფრანი

ნასოფლარია – არაგვის მარჯვენა მხარეს. სოფელი, ადრე – უფრო მაღლა ყოფილა; მოგვიანებით ჩამოსახლებულან ჭალაზე.

1973 წელს გ. ხორნაულმა – იქ, 18 კომლი აღწერა (55 სული): პაპიაშვილი – 6; ბულალაური – 4; ლაშქარაშვილი – 3 და კიდევ რამდენიმე გვარი.

სოფლის მიმდებარედ, შუა საუკუნეებს ორი აკლდამაა: – ერთი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით – ნამწვრევის სერზე. მეორე, სოფლის აღმოსავლეთით – ე.წ. „ნაციხ-ვართან“.

ძველი ნასოფლარია შემორჩენილი „მამულებად“ წოდებულ ადგილთან. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნატეხი ქვით ნაგები რამდენიმე შენობის ნაშალი – ფასადით ხეობისკენაა მიმართული; ზურგით – კლდეში არის შეჭრილი; ფიქსირდება გალავნის მცირე ფრაგმენტებიც.

ნასოფლარის ქვემოთ გამოვლენილი სამაროვანი – II-IV სს თარიღდება. არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ინვენტარი: – მრავალფეროვანი სამკაულები, თიხის და მინის ჭურჭელი, რკინის შუბისპირები, ისრისპირები, დანები, ბრინჯაოს წინწილები, აბზინდები, საკიდები, ზარაკები, ჯიხვის გამოსახულებიანი ფაბულა და სხვ. დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

კუჭეჭა და ხარანაულები

სოფელი კუჭეჭა, ადრე უფრო ზემოთ, ველ-ტყიან ფერდობზე იყო განთავსებული – მაღაროსკარის პირდაპირ, არაგვის მარცხენა მხარეს. ძირითადად, გაბიდაურთ თემის ხარანაულებით იყო დასახლებული.

მოგვიანებით ჩამოსახლდნენ ჭალაზე.

„მათ ადგილას მოსულან ბუღნიანი და მუშტანი.“ „ცნობილი მოლექსე ჭრელა მუშტაშვილი აქედან იყო“ (გ. ხორნაული).

ხარანაულების ორსართულიანი სახლის კედლები და ნაწისქვილარი – ნასოფლარის აღმოსავლეთით (500 მ-ზე) მდებარეობს (ე.წ. „მუნჯათ გორზე“).

36 სულისგან შემდგარ მათ ოჯახს, დიდხანს, განუყოფლად უცხოვრია. მოგვიანებით შეუსყიდიათ თავადი ფავლენიშვილის მამულები და იქ დამკვიდრებულან.

ხალხური მესიერებისმიხედვით, გამორჩეული მეცხვარეები იყვნენ როგორც სიმდიდრით, ისე გარჯა-შრომით. საერთო მეურნეობას ჯერ მამისიმედ ხარანაული განაგებდა, შემდეგ მისი ვაჟი – იოსები, რომელიც, თედო რაზიკაშვილის ცნობით, „ფრიად გონიერი და სირცხვილ-ნამუსიანი კაცი იყო – დიდი შესმენილი“.

მთავარმართებელის „საოჩხორო ნადიმზე“ (თბილისში) – მან ხალხიც გააოცა და მთავარმართებელის ყურადღებაც მიიპყრო – 300 ცხვარი შეწირა მეფისნაცვალის ქველმოქმედებას...

*

1934 წლის აღწერით – კუჭეჭაში, 10 კომლი სახლობდა (35 სული): – ხარანაულები, ბუღნიაშვილები, ბერიძიაშვილები, ჩოხელიშვილები და ტუქსიშვილები.

1973 წელს გ. ხორნაულმა 13 კომლი აღრიცხა (28 სული): – ჩოხელაშვილი – 6, ბერიძიაშვილი – 3, გორთამაშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა გვარი.

სოფლის ქვემო ნაწილს, სადაც ჩოხელაშვილები სახლობდნენ, „ჩოხელანი“ ერქვა (გ. ხორნაული).

ე.ნ. „საყდართგორაზე“ – განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვანია. სწორკუთხა აკლდამებს – მორკალული გვერდითი კედლები და ბრტყელი სიპებით შედგენილი გადახურვა აქვთ.

კუჭეჭას სამხრეთ-აღმოსავლეთით (1 კმ-ზე) მდებარე „ციხიათის ნასოფლარი“ – შუა საუკუნეებით თარიღდება. გამოვლენილია, ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები – ბანურსახურავიანი (4X3 მ.) ნასახლარი; მისგან აღმოსავლეთით, ზურგიანი კოშკის ნანგრევებია; დასავლეთით – ოთხსვეტიანი საზარე, სადაც გაბიდაურების შენირული – სპილენძის მოზრდილი ზარია ჩამოკიდებული.

3 კმ-ის დაშორებით მდებარე აკამათის ნასოფლარი 14 ნასახლარისგან შედგება. განვითარებულ შუა საუკუნეებს. შენობები ნატეხი ქვის მშრალი წყობით არის ნაგები. აღმოსავლეთის მხარეს – კოშკის და გალავნის ნაშთია შემორჩენილი; სამხრეთით – ხატის ნანგრევები.

სოფლის დასავლეთით მდებარე – მაღალი მთის წვერზე, დანგრეული ეკლესის ქვებით – ხატის ახალი საბრძანის გაუკეთებიათ: –

დაბალი გალავანით შემოფარგლულ, წრიული ფორმის პატარა ეზოში – შირიმის ოთხნახნაგა ($0,5 \times 0,5$ მ. სიმ. $0,9$ მ.) ქვა დევს, რომელიც ცერად ჩამოკვეთილი თარო-თია დასრულებული. დასავლეთის ნახნაგზე ოთხი ნახევარსვეტი აქვს გამოყვანილი; მათ შორის თითო ნახევარწრიული ჩაღრმავებაა. ანალოგიურად არის გაფორმებული ჩრდილოეთის და სამხრეთის ნახნაგებიც. აღმოსავლეთის ნახნაგი სადაა. სალოცავის ჩრდილოეთით, თუნუქის კონუსისებრი სახურავით გადახურული – საზარე დგას.

მამისიმედ ხარანაულის შემწეობით (XIX ს-ში) აშენდა ნასოფლარის სამხრეთით მდგარი დარბაზული ეკლესია ($6,8 \times 3,8$ მ.). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით; ღარიანი კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს.

სოფლის სასაფლაოზე, მხატვრული ღირებულებით ყურადღებას იპყრობს – იოსებ ხარანაულის საფლავის ქვა. მისი გადატანა საქ. სახ. მუზეუმში სურდათ, მაგრამ ხალხმა არ დაანება.

*

ფშავიდან წასულ ხარანაულებს, ქსნის ხეობაში – მდ. ცხრაზმულის და ლორისწყლის შესართავთან უცხოვრიათ.

მრავალი ცხვარ-ძროხის პატრონი, მშრომელი, მდიდარი, გონიერი და გავლენიანი ხალხი ყოფილა.

ლომისის ეკლესის კარის შებმასთან დაკავშირებული დავა – ლეგენდის თანახ-მად, ხარანაულის რჩევით მოვარდა: –

ჭიდაობაში გამარჯვებული (ქსნელის) მახარეს შეაბეს კარი.

მთიულ პატაშურებს – დეკანოზობა ერგოთ: –

„ხარანაულმა ითავა,
ქსნისკე შეაბა კარები,
დეკანოზები ინიშნა,
საყდარს დაკიდეს ზარები“...

*

ხარანაულთ გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა თანამედროვე კაი ყმის სახელი: –

პოეტი და პროზაიკოსი, ბესივ ხარანაული – რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატია.

ლევან ხარანაული – ცნობილი ადვოკატი, სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

საშევარდნო

გ. ხორნაულის ცნობით, საშევარდნო იმ კლდეების სახელია, სადაც შევარდნები ბუდობენ.

ერთი ასეთი კლდე – ძალზე ფრიალო და მიუდგომელი, აფხუშოს ტყიანი ფერდობის თავზეა; მეორე – შარახევის ზემო ნაწილში. ამ კლდის გამო ეძახდნენ ამ სოფელს საშევარდნოს.

1973 წელს, იქ – ბოძაშვილების 3 კომლი სახლობდა (3 სული).

შარახევი

სოფელი – ორ ნაწილად – ზემო და ქვემო შარახევად იყო დაყოფილი.

სოფლის თანამოსახელე ხევის სათავესთან – ახუნის უღელტეხილზე გადამავალი ძველი გზა, თიანეთის რეგიონს – გომენრის, გუდამაყრის და ხადას ხეობებთან აკავშირებდა.

1876 წელს – ზემო შარახევში, 15 კომლი სახლობდა; ქვემო შარახევში – 13.

1886 წელს – ქვემო შარახევში – 13 კომლი აღრიცხეს: – ფადიურიშვილების – 4; ხუმარაშვილების – 3; ბაიაშვილების – 2; ხადულაშვილების, პეტრიაშვილების, პაპუჩელაშვილების და ბუნახიშვილების 1-1.

ზემო შარახევში 15 კომლი დარეგისტრირდა: – ხარანაულების – 4; ბოძაშვლების – 3; გედელაურების, ხმაკზელიშვილების და ჩოხელიშვილების 2-2; რაიბულაშვილების და ხმალცელიშვილების 1-1 (სცსა, ფ. 254, აღნ. III, დოკ. 1760).

1934 წლის აღწერით, ორივე სოფელში ერთად – 28 კომლი (98 სული) აღრიცხეს: – ჭინჭარაულები, ტუქსიშვილები, ბოძაშვილები და წიკლაურები.

1973 წელს გ. ხორნაულმა – ტუქსიშვილების, მარაულების და ჭინჭარაულების 10 კომლი აღწერა (15 სული).

*

მდინარე შარახევის მარჯვენა ნაპირზე, ტყეში (ნასოფლარ ევედრეულების ჩრდილოეთით), მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია ($5,4 \times 5$ მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის განაპირას მდგარი წმინდა მარინეს ეკლესია ($5 \times 3,5$ მ.) – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს. ორივე კარი შიგნით თაღოვანია, გარეთ – არქიტრავული.

*

შარახევი – ნიჭიერი პოეტის და ხალხური სიტყვიერების შემკრების – ვასილ ჩოხელაშვილ-ტექსიშვილის სამშობლოა. დიდი წვლილი აქვს შეტანილი სალექსიკონი და სადიალექტოლოგიო საქმიანობაში. 1937 წელს რეპრესირებული იქნა და მისი სახელი დავიწყებას მიეცა.

შარახევში დაიბადა ცნობილი პოეტი, ივანე ქართველიშვილი – ვაჟა-ფშაველას და გაბრიელ ჯაბუშანურის პრემიების ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ამავე სოფლიდან იყო (სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელწოდების) დუშეთის რაიონული გაზეთის რედაქტორი, უშანგი ბოძაშვილი – ცნობილი პოეტი-მოკაფიავე.

როგორც დუშეთში ყვებიან: – ერთ ხალხმრავალ სუფრასთან, მომხიბვლელი გარეგნობის სტუმარ (ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორ) ქალბატონთან ერთად – უშანგი ბოძაშვილი და ბაბუა ალუდაურიც მსხდარან. ღვინით ამაღლებულ განწყობილებას, თურმე – კაფია მოჰყვა და ბაბუამ – უშანგი ბოძაშვილს „გაანდო“ თავისი ხვაშიადი: –

სტუმართა შორის მე უფრო,

მომწონს ეგ შენი კოლეგა.

ქარ რო ყვითელ თმებს გაუშლის,

ნატკენ გულ გავაყოლება.

უშანგი: –

ხვარ დაგეფანტა გონება –

კოლეგას უნდა კოლეგა!

ბაბუა: –

ჭკვიანად ვიყვნათ ორნივა –

არ დაგვინახონ ცოლებმა.

უშანგი: –

ცოლს არას ჰკითხავს ფშაველი,

რაიც გულს მაეწონება...

*

მდ. შარახევი ფშავის ქვემო საზღვარს წარმოადგენს.

მის ზემო წელზე – თიანეთის მუნიციპალიტეტის მიჯნაა, სადაც ფშაველთა რამდენიმე ნასოფლარია შემორჩენილი: –

ლახატოში – მგელიაშვილებს და ხუციშვილებს უცხოვრიათ. იქედან იყო ცნობილი მოლექსე ყრუვ-გიორგი (მგელიაშვილი).

ბუჭყინტაში, 1873 წელს – 11 კომლი სახლობდა: – შავერდაშვილები, პაპუჩელაშვილები, ბუკუკიშვილები, ბაიაშვილები, ქუმსიაშვილები და რაზიკაშვილები. ამ სოფლის მიმდებარედ – „ქვისკარებში“, დაიბადა ცნობილი მოლექსე, იოსებ ბაიაშვილი.

*

შარახევის ხიდიდან ჩინთამდე, ფშავ-ხევსურეთისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ, ფშავლებით დასახლებული კიდევ რამდენიმე სოფელია (თვალივი, გუდრუხი, ხარჭიშო, ნეძიხი).

თვალივი და გუშარაშვილები

სოფელი – არაგვის მარცხენა მხარეს, გორმალლის მთის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს.

არაგვს გაღმა, კლდის ქიმზე მდგარი თავმორდვეული ციხე – „მელექსის პირით“ გვამცნობს:

„თამარ მეფემ ამაშენა, სისხლის წვიმის წინა წელსა,
ჭალაით ქვა ამაზიდეს, ხელი მააწვდიდა ხელსა“...

თვალივის ტყიანი ფერდობებიდან იწყება ფშავი – საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე.

აქედან მიემართება ფშავ-ხევსურეთის და ერწო-თიანეთისკენ მიმავალი გზები.

1886 წლის აღნერით – იქ, გუშარაშვილების 4 და თურქიაშვილების 1 კომლი სახლობდა – 26 მამაკაცი და 29 ქალი (სცსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1819).

ანდრეზის თანახმად: როცა არაბულ-ჭინჭარაულთა ძალმომრეობით, სისაურების გვარი ბარისახოდან აიყარა – მათი ლეგენდარული წინაპრის, სანაგ სანაგის ძის სამი ვაჟიდან – ორი, არაგვის ხეობის მთისწინეთში (თვალივსა და ზენამხარში) გადასახლდა; მესამე – ლიქოკის ხეობაში.

თვალივში დასახლებულმა ძმამ დაუდო-ო სათავე გუშარაშვილების გვარს.

ისინი, დღესაც – ხევსურეთიდან გადმოტანილ და სოფლის თავს („სისაურთა საჯვარობოში“) დაბრძანებულ (გვიანდელი შუა საუკუნეების) ნიმთან (ქრისტიანული ელფერით), აღავლენენ თავიანთი ისტორიული გვარის სალოცავის – ხმალას კულტს სადიდებელს.

*

სოფელი, უფრო ადრე, ფერდობის შუა წელზე იყო განთავსებული, ჭალიდან 3 კმ-ის დაშორებით.

მოგვიანებით, გზის პირზე გაჩნდა ახალი დასახლება – ე.წ. თვალივის ძირი, სადაც თვალწარმტაც წალკოტში იდგა – გურიაში თვითმპყრობელობის სასჯელს თავარიდებული პატრიოტის, ვაჟა-ფშაველას მეგობრის – ბესარიონ შანიძის, ცნობილი დუქანი.

თვალივიდან დაიწყო ბესარიონის ძმისწულის, აკადემიკოს აკაკი შანიძის ფოლკლორული მოღვაწეობა.

თვალივთან არის დაკავშირებული 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების რამდენიმე ეპიზოდიც:

ხევსურეთისკენ მიმავალი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ პირველი შეტაკება სამთავრობო ჯართან – თვალივში მოხდა.

მანმადე, ლევან რაზიკაშვილმა და პავლე შანიძემ (ბესარიონის ვაჟმა) – „დიდ-

ძალი იარაღი მოიტანეს ქალაქიდან. დუქნის სხვენში ჰქონდათ დამალული და იქიდან ურიგებდნენ სანდო პატრიოტებს“ (ივ. ლიქოკელი, „ხევსურები და ქაქუცა“, 2006 წ.).

მაღაროსკართან მომხდარი ბრძოლის შემდეგ – პავლე ბესარიონის ძე შანიძე (მთიელი ვაჟკაცების განუყრელი მეგობარი და თავგამოდებული პატრიოტი) – ბოლ-შევიკებმა შემთხვევით დაატყვევეს და იქვე დახვრიტეს.

ამ ეპოპეასთან დაკავშირებულ ამბებს მიყვებოდა – ბესარიონის ძმის შვილი და სეხნია, ჩემი ბავშვობის მეგობარი – ბესარიონ (ბესო, ბესიკა) შანიძე. დედით ხუ-ცურაულს – განსაკუთრებული სითბო ჰქონდა ფშავის მიმართ – „როგორ არიან ჩვენებიო“ – შემეხმიანებოდა ხოლმე და ემოციურად გამოხატავდა თავის სითბოს...

კორონავირუსის პიკზე დაიღუპა.

ვერ დავიტირეთ.

ხარჭიშო (ხარტიშო)

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სოფლის მიმდებარედ, ტყიან ზეგანზე მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია – „ხარჭაშნელ ეპისკოპოსთა“ მთავარი სალოცავი იყო.

მათი ეპარქია (XIII ს-ში) – ერწო-თიანეთს, ფშავ-ხევსურეთს და თუშეთს მოიცავდა.

სალოცავი ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია კლდის დამუშავებული ქვით და შირიმის გათლილი კვადრებით. შესასვლელის თავზე ქვიშაქვის დიდი ქვაა ჩასმული, რომელზეც XV ს-ის ასომთავრული წარწერაა. ამავე პერიოდს განეკუთვნება საკურთხევლის წინ აღმართული აგურის კანკელი, რომლის არქიტრავის ფსკერზეც 15 წმინდანია გამოსახული. ეკლესიას გარშემორტყმული ჰქონდა გალავნი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩაშენებული იყო ოთხსართულიანი კოშკი. შემორჩენილია რამდენიმე ნაგებობის და მომცრო ეკლესიის ნანგრევებიც (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

იოანე ბატონიშვილის ცნობით: – როცა ლაშა-გიორგის აცნობეს თავისი გულისსწორის, დედოფალ სუსანას („გალარიბებულ და ძველ თავადთა, კლდე-კარის ერისთავთა გვარის – მიწობილიძეთა შვილის“) – გარდაცვალების ამბავი. „მეფე იქნა დიდად მწუხარე, მოვიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის (ხარტიშოს) ეკლესიასა შინა... ყრმა იგი დავით წარმოიყვანა და მიაბარა დასა თვისსა რუსუდანს...“

*

ხარტიშო – ლონგინოზ ზაქაიძის სამშობლოა – დუშეთის რაიონზე ამაგდარი კაცის, რომელმაც თავისი ხელით ამოსხმული „ქალმებით“ დაამთავრა საშუალო სკოლა და, თავისივე კაიკაცობით, მეტად მაღალ თანამდებობებზე იმოღვანა საქართველოს მაშინდელ მთავრობაში. დუშელებს შორის ვერ ვიხსენებ მასზე მაღალი თანამდებობის და გავლენის მქონე პიროვნებას. მისი მცდელობით, 1970 წელს, ფშავ-ხევსურეთი მოინახულა ვასილ მუავანაძემ და საკუთარი თვალით იხილა, ამ კუთხის მცხოვრებთა გაუსაძლისი ყოფა. ამას მოყვა უზენაესი ხელისუფალის შესაბამისი რეაგირება – რისი გამოძახელიც იყო ის დიდი ძვრები, რომელიც რეგიონში უინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის პერიოდში მოხდა.

ლ. ზაქაიძემ განსაკუთრებით იზრუნა მშობლიურ სოფელზე. 1985-1991 წ.წ-ში, მისი თაოსნობით, ხარტიშოში – პურპროდუქტების სამინისტროს დამხმარე მეურნეობა შეიქმნა. დაიწყო ფერმებისა და გზების მშენებლობა; შეიყვანეს ჯიშიანი მსხვილფეხა საქონელი; სოფელს გადაეცა სატვირთო მანქანები, ტრაქტორები და სხვ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. დასაქმდა მოსახლეობა...

მაშინ – იქ, 30-მდე კომლი სახლობდა. დღეს, ორიოდე მოხუცი ცხოვრობს.

გუდრუხი

ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით დამშვენებული ეს უძველესი სოფელი, არაგვის დაგუბებამდე, ქართლის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობდა, ხეობის მარცხენა მხარეს, ტყიანი ფერდობის ძირში; ძველი უინვალიდან 4 კმ-ის დაშორებით.

ცხოვრობდა 23 კომლი. ძირითადად, ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებული – გორთამაშვილები, წონკოლაურები, გიგაურები და ქიზიყელები...

ამჟამად წყალსაცავის ფსკერზეა.

ახალი გუდრუხი თვალივის ძირში დააფუძნეს და ხალხიც იქ დასახლდა.

ნეძიხი

შარახევის ხიდიდან ზემო ხორხისკენ მიმავალ გზაზე პირველი დასახლებული პუნქტი ნეძიხია. ახლა წყალსაცავის თავზეა და ფშავს მიეთვლება, რაკი, გვიან, ფშავ-ლებით შეივსო (გ. ხორნაული).

1886 წლის აღწერით ორი ნეძიხია დაფიქსირებული: –

ერთში – ორტოლაშვილების 5 და კარიაულების 3 კომლი სახლობდა; ამავე სოფელში ცხოვრობდნენ – კობაიძეები, ჩოხელები და გულმაგარაშვილები, სულ, 11 კომლი, 27 მამაკაცი და 32 ქალი.

მეორე ნეძიხში ცაბაურაშვილების 5 კომლია დაფიქსირებული, 13 მამაკაცი და 10 ქალი (სცსასა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1814).

ნეძიხში ცხოვრობდნენ აგრეთვე ხორნაულნი, ყორიაულნი და ცაბაურნი.

ხორნაულების ნაწილი – აქ, კაწალხევიდან მოსულა.

გულმაგარანი არაბულების საგვარეულოს ბასხაჯაურთ თემის წევრები არიან. ბუდე-ხევსურეთის სოფ. ბაცალიგოში სახლობდნენ და იქიდან წამოსულან ნეძიხში.

ყორიაულნი, ადრე, ჭორმეშავსა და ბუჩუკურთაში სახლობდნენ.

ცაბაურნი – შატილის თემის სოფ. ხახაბოდან გადასახლებულან კაწალხევში. მათი ნაწილი, მერე – ნეძიხში ჩამოსულა (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, გვ. 76).

ხახაბოელთა თემი ფშავში

უკანაფშავის ცნობილი თავხევისბერის, ბიჭურ ბადრიშვილის, ცნობით: – ხახაბოელნი ფშავის XII თემს წარმოადგენენ და მათ, ლაშარის ჯვარში – ყველა თემის მსგავსად, თავიანთი საჯარე ჰქონდათ – რომელიც ჯვარისკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორაკის თავზე – უკანაფშავის თემის საჯარის მეზობლად იყო

განთავსებული. დანარჩენი საჯარეები, უფრო ქვემოთ – ერთიმეორის მიყოლებით მდებარეობდნენ (ვ. ბარდაველიძე).

ხახაბოელთ თემის შემადგენლობაში შედიოდნენ: – მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები, რომლებიც, უფრო ადრე, ფშავის გოგოჭურთ თემში იყვნენ გაერთიანებულნი და მათი გვარი ჰქონდათ მიღებული.

მოგვიანებით, ისინი ხახაბოში გადასახლდნენ; თან წამდლვარეს ლაშარის ნიში; ფშავის ახალი თემი დააფუძნეს და საკუთარი გვარ-სახელი აღიდგინეს.

რამდენიმე სალოცავი ჰქონდათ: –

ფშავიდან გადატანილი ლაშარის ნიში, თავადი ბელლისანგელოზის ჯვარი, „გიორგი წყაროსგორულის ჯვარი“ (რომელიც, გადმოცემის თანახმად, კახეთიდან, სოფელ მატანიდან არის მოყვანილი) და „ვაკის (ჭალის) ჯვარი“ – იგივე ადგილისდედა (ვ. ბარდაველიძე).

ადგილისდედა ხახაბოში ადრე, არ ყოფილა. სოფ. ცაბაურთიდან, მოსულა ერთი კაცი, იმას მოუყვანია და დაუარსებია... „მერე გაძლიერებულა ეს ხატი და „გამხდარა ადგილისდედად.“ იმ კაცის „ჩამომავლობიდან არიან – მამიაურები ან ცაბაურაშვილები. მათგან ზოგნი მოსახლეობენ ხახაბოში, ნაწილი გადასულა ფშავში – სოფ. კანალხევში“ (რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 143).

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – ხახაბოში მცხოვრები მინდიკაურები ძირად მათურელები არიან. იქ არის მათი მამა-პაპის ნაქონი ქავციხე. სამნი ძმანი ყოფილან. „მათურიდან წამოსულან და ამ სამი ძმიდან ერთი ხახაბოში დასახლებულა, მეორე – ხახმატში, მესამე გუროში.

მთხრობელის მიხედვით, „ხახაბოში დასახლებულისა ჩვენა ვართ – მინდიკაურები; ხახმატში დასახლებული ძმისა – ალუდაურები არიან, გუროში კი გოგოჭურებად იწერებიან.

ხახაბოში არიან კიდევ ხოსიაურები, ხახიაურები და მამიაურები. ისინიც ფშავიდან არიან მოსულები. ზვიადაურებიც ჩვენსავით ფშავიდან არიან მოსულები – მუქოდან.“

ფშავის გიგაურთ თემი ანუ დათვის-გველეთელი გიგაურები

„თბილისიდან ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე, ფშავის ხეობას ორწყალთან რომ ავცდებით, იქ სადაც დათვისის წყალი არაგვს უერთდება, მივადგებით ხეობიდან ოდნავ შემალლებულ პატარა მინდორს, რომელსაც დღესაც „გიგაურთ ველს“ ეძახიან. ადრე იქ სახნავ-სათესი მიწები იყო; კარგა ხანია გაყამირდა. ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარს უკავია გზისძირობა... დათვისის ხეობის ყველა სოფელი დღეს არაბულებითაა დასახლებული. ადრე ეს ადგილები გიგაურების კუთვნილება ყოფილა.

ერთთავად საავდროდ გამზადებული დათვისის თავი ავი ტაროსით უმასპინძლდებოდა კაცის ნახელმხრალს.

უამინდობა, ხშირი სეტყვა... თავიანთი სალოცავის წყრომის ნიშნად მიუჩნევიათ გიგაურებს – მიუტოვებიათ ეს ადგილი და ბარში გადასახლებულან.

დაახლოებით ოთხასი წლის წინ აიყარნენ, მინდორს კი, დღესაც გიგაურების სახელი შემორჩა. ამ ადგილას, სადაც „ადრე დროშათ საპრანისი და მცირე სალოცავი წიში იდგა, გამოდიოდნენ თავადი მთავარანგელოზის ჯვრის ყმები, აღზევებული გველეთელ-დათვისელი გიგაურები და გზას უკეტავდნენ ფშაველ-ხევსურთ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1992 წ. გვ. 53).

ისინი ფშავის ერთ-ერთ ძირითად თემს წარმოადგენდნენ, ლაშარის ჯვარის ყმები იყვნენ და საკუთარი საჯარე გამორჩეულ – ცენტრალურ ადგილას ჰქონდათ გამართული. ბარისახოს ხმალას (მთავარანგელოზსაც) ყმობდნენ, მაგრამ მამა-პაპათაგან იცოდნენ ანდრეზი – ლაშარის ჯვარის დამფუძნებლის, ლაშა გიორგის, უერთგულესი გიგაური მსახურის შესახებ, რომელიც გარდაცვლილ მეფეს – საკუთარი ხანჯალით ზედ დააკვდა.

იმასაც ამბობენ, რომ – გიგაურების ზოგიერთ დედაკაცსაც კი – ნება ჰქონდა – ლაშარის ჯვარში საკლავი დაეკლა.

*

ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობის შემდგომ, დათვისელ-გველეთელი გიგაურები ჭართალში გადასახლდნენ.

მათი აყრა, ერთი გადმოცემის მიხედვით, ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული: – ვიღაც გიგაურმა ისრით, თურმე, მაშინ მოკლა ბაცალიგოს ციხის პატრონი – სახელოვანი თინიბექი, როცა ის ზურაბ ერისთავისკენ – ხმალში შესაბმელად მიისწრაფოდა.

ზურაბის ჯარში ერიაო, მაშინ, მოლალატე გიგაური.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, „ვინმე გაგა გიგაური,“ ზურაბს ხევსურეთის დამორჩილებაში ეხმარებოდა და მის მარცხს მოჰყვა გიგაურების გადასახლება. „სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ... თუ არ გადასახლდებოდნენ... ხევსურული თემებისგან მოიკვეთებოდნენ“ (რ. თოფჩიშვილი).

უფრო სარწმუნო ვერსიით: – გიგაურები თემის სასჯელს არ გაჰქიცევიან. პირიქით – ბუზუურების, სამხარაულების და ბევრი სხვა გვარის მსგავსად, ისინიც მსხვერპლი გახდნენ ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობებისა.

ამას ადასტურებს გიგაურების მიერ მეფე ერეკლე II-ის ძის, გიორგი ბატონიშვილისადმი წარდგენილი შემდეგი უსტარი:

„ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმთავითვე დათვის-გველეთი და წინკარი ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვიარა, ის მამული იქაც გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშავში გაიზარდა. ჯერ ღმერთსა ვფიცავ და მერე თქვენ მზესა, რომ იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან განუყრელნი გახლავართ. მამულიც, ხატიც ყველა საერთო გვაქვს. დღეს ადგილი ნათხოვრათა გვაქვს. ყმა თქვენი ვარ, ისევ ჩემს სამკვიდრო მამულს უნდა მოვეჭიდო. ფშავნი სულ იმისაკენ არიან, ხადილასაც ამათ თქვენი მზე აფიცეთ, თუ რამ არ შემიფიცავს, ესენი მოგახსენებენ“ (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1794 წლის 21 სექტემბერს გიორგი ბატონიშვილისადმი მიმართული წერილი, ტ. VIII, გვ. 292-293, 1985 წ.).

წერილი ადასტურებს, რომ გიგაურები ფშავიდან თანამოძმეთა სასჯელს არ გაქცევიან. ისინიც ზურაბმა აყარა.

ერისთავები შუღლს აღვივებდნენ მთიელთა შორის.

მათმა მოსყიდულმა კაცებმა ჩამოაგდეს მტრობა – გიგაურებს, სისაურებსა და სამხარაულებს შორის. გათიშეს საარაგვოს მცველი სამი ძლიერი გვარი.

გიგაურები სათიბზე მყოფ სამხარაულებს (აკუშოსთან) დაეცნენ და უმოწყალოდ ხოცეს ერთმანეთი.

ორი კაცით მეტი მოუკლავთ სამხარაულებს და იმ ორი კაცის თავში გიგაურებმა ფსითხის მამულები აიღეს.

ამის შემდგომ, როცა იმავე ერისთავის მოსყიდულმა გიგაურმა თინიბექ ბაცალიგველი მოკლა – ორი კაცის თავში აღებული ეს ადგილი – გიგაურებმა ერთი კაცის თავში მისცეს ველგუჯაურებს.

*

დათვის-გველეთიდან ოთხასი წლის წინ აყრილი გიგაურები, გვიანობამდე და-დიოდნენ წინაპართა სალოცავში. საკუთარი მამულების დაპრუნებაც სცადეს, მაგრამ კუთვნილი რომ ვეღარ მიიღეს, „ერთ ახალ წელს, დღეობაზე კიდევ მისულან გველეთში; მთავარანგელოზის ჯვარში წინაპართა ნაგები საიდუმლო სამალავი მოურღვევიათ, თას-განძი ამოულიათ და „თავისი ჯვრები ჭართალში წაულიათ.“

*

ზურაბ არაგვის ერისთავის ზეობისას პერიოდში (გველეთისა და დათვისის გარდა), გიგაურები სახლობდნენ ბლოსა და არხოტშიც (ჭიმლასა და კვირიწმინდაში), სადაც თავიანთი ციხე-კოშკები ედგათ.

ბლოველი ბერდია გიგაური (მამუკაური) თავის სოფელში ებრძოდა არაგვის ერისთავს.

ორწყალი

„ადგილს, სადაც ხევსურეთის შფოთიანი არაგვი გამეტებით ეხეთქება ფშავის მთებში შობილ სეხნიას, ორწყალი ჰქვია.“ მისგან მარცხნივ (მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით) პირაქეთ-ხევსურეთის მიწა-წყალი იწყება, მარჯვნივ – ბუდეფშავია.

ეს ვიწრო და კლდიანი ჭალა მტერთაგან მუდამ შეუვალი იყო.

ამ გზით – „ვერცერთმა მტერმა ვერასოდეს ვერ შეაღწია. მათ შორის ბოლშევიკების მარბიელმა ჯარმაც“ (გ. ხორნაული).

1922 წლის აგვისტოში – იქ, სერიოზული შეტაკება მოხდა წითელი არმიის საბრძოლო შენაერთებსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმს“ შორის: –

გზათა შესაყარზე გადმომდგარი, „უთოსავით წამოწვდილი უზარმაზარი კლდე“ – აჯანყებულებმა წინასწარ დაიკავეს. მის ქიმებს შორის საიდუმლოდ ჩასაფრდნენ და ზემოდან დაჰყურებდნენ გზას, რომელსაც ხევსურეთისკენ მიმავალი სამთავრობო ჯარი ვერ ასცდებოდა. რამდენიმე ათეულ მებრძოლს, აქედან, ასეულობით მოწინააღმდეგის განადგურება შეეძლო.

შეფიცულები „გრძელ-ჭალიდან ორწყლამდეც“ ჩასაფრდნენ (დაახლოებით 5 კმ-ის მანძილზე, სადაც ხეობა განსაკუთრებით ვიწროა).

მდევარი, როგორც იქნა, ორწყლამდე შეიტყუეს და, უსაფრთხოებაში დარწმუნებულმა მათმა სამეთაურო შტაბმა – „სრული სამხედრო წესრიგის დაცვით,“ ჯარი ხაფანგში შეიყვანა (ალ. სულხანიშვილი).

ასეთი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩანაფიქრიც.

ბრძოლა ერთ კვირას გაგრძელდა. წითელი არმიის შენაერთები მხოლოდ თავის გადარჩენას ცდილობდნენ. იყო ასობით ადამიანის მსხვერპლი.

შეფიცულთაგან არავინ დაღუპულა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა, ფშავ-ხევსურთა დახმარებით, თავისი საბრძოლო ამოცანა შეასრულა.

აღნიშნული ეპიზოდი ქვეყნისთვის სასიკეთოდ უნდა დასრულებულიყო მაგრამ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტმა (ე.წ. „დამკომმა“), თავისი გეგმა ვერ განახორციელა.

ფშავ-ხევსურეთი განირეს და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მარტო დატოვეს...

ორწყალთან – დღეს, ნუგზარ მანჯაფარაშვილის ქანდაკება გადმოგვყურებს – ფრთხიამოყრილი დაჭრილი არწივი!

ალბათ, ვაჟა-ფშაველას პოეტური შთაგონებით შექმნილი – საქართველოს სტილიზირებული განსახიერება.

ବ୍ୟାକୁଳ ପରିମାଣ

ხევსურეთი – აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი, ღრმა ხევებით დაღა-
რული კუთხეა.

ვარაუდობენ, რომ მისი გეოგრაფიული სახელწოდება – „ხევ-სურეთი“ აქედან მოდის.

„სიტყვა ხევსური, ან ხევური – ნიშნავს ხეობის, ხევის მცხოვრებს“ (რაფ. ერი-სთავი).

„საკუთარ სახელს (ხევსურს)... ნაწილაკი ურ ან ელ ემატება და აქცევს მას ზედ-სართავად“ (ა. ზისერმანი).

საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს, აღმოსავლეთით – თუშეთი და ფშავი ესაზ-ლვრება; ჩრდილოეთით – ჩეჩენ-ინგუშეთი; დასავლეთით – ხევი; სამხრეთით მთიუ-ლეთ-გუდამაყარი.

ქისტეთ-ჩეჩენეთისგან მითხოს და მაისტის მთები ჰყოფს.

ფშავის საზღვარი მცირე ბორბალოდან იწყება; ლიქოის მთით აკუშოს წყალის სათავემდე მიდის... იქიდან, ბეტისჩრდილზე და კიშეევზე გადადის.

*

ხევსურეთის არაგვს რამდენიმე სათავე აქვს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის დათვისჯვრის მონაკვეთიდან მომდინარე ხახმატისწყალს, სოფელ გუდანის ქვემოთ, მარჯვნიდან უერთდება: – გორშეღმის და ბლოს წყალი; ცოტა ქვემოთ, როშკის ხიდთან, საძელიდან და აბუდელაურის ტბებიდან გამომდინარე როშკისწყალი. გაერთიანებული მდინარე, შემდგომში, გზადაგზა იკრებს ოხერხევის და ჩირდილისწყალს; გიგაურთ ველთან (ბარისახოს ქვემოთ) არაგვს უერთდება დათვისურა, რომელიც სათავეს 2900 მ-ზე მდებარე საჩალის მთიდან იღებს.

მარცხენა მხრიდან (ბარისახოდან ორწყლამდე) ხევსურეთის არაგვს მხოლოდ ორი შენაკადი – ლიქოკისწყალი და აკუშურა ერთვის.

*

კავკასიონის მთავარი ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფის. მის ჩრდილო-აღ- მოსავლეთის მხარეს (არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებს) – პირაქითი ხევსურე- თი ეწოდება.

ასა-არლუნის სათავეებში მდებარე მეორე მხარე, სადაც არხოტელები და შატილიონ-მილმახვილები სახლობენ, პირიქითი ხევსურებითა.

რამდენიმე ხევსურთ-სოფელი (ბაკურხევი, ჯუთა..) გუდამაყრის და ხევის ადგილებშიც არის შეხიზნული.

პირიქითი ხევსურეთი სამი ხეობის (არდოტის, არხოტის და შატილის) აუზს მოიცავს. პირაქეთი (ბუდე) ხევსურეთის „ხალხი ადგილების, ანუ მდებარეობის მიხედვით არის ოთხად გაყოფილი და თავთავისი სახელი ჰქვია. ერთი არის „გორშელ-მი“, მეორე „წყალსიქითი,“ მესამე „ხახმატის ხეობა“ და მეოთხე არაგვის ხალხი (ალ.

ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 236).

მხოლოდ არაგვის ხეობაში მოქცეული თემები იწოდებოდნენ ხევსურებად; პირიქ-ითელები – შატილიონებად და არხოტიონებად მოიხსენიებდნენ თავს.

*

პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთის წყალგამყოფი „არხოტის თავია“ (3050 მ.), რომელზეც არხოტ-როშკის ბილიკი გადადის. არხოტელები მას როშკის გადასასვლელს ეძახიან, როშკელები – არხოტის გადასასვლელს.

პირიქითა მხარეს უფრო მაღალი მდებარეობა აქვს; შემოზღუდულია – კიდეგანის (4213 მ.), ცროლის (3950 მ.), მახის (3875 მ.) და ამუღო-თებულოს (4507 მ.) მყინვა-რებიანი ქედებით.

არხოტის წყლის (იგივე ასას) ხეობა მაღალ (3000-4000 მ. სიმაღლის) მთებს შორის არის მოქცეული. მისი სათავე კავკასიონიდან მომდინარე ცირცლოვანისა და ჭიმლის წყლებისგან შედგება. ისინი გზადაგზა იკრებენ: კალოთანის, ტანის, ბისნის, ტერ-ლის, თათელის წყლებს და სოფ. ახიელიდან ჩრდილოეთით მიემართებიან.

ამღიდან 25 კმ-ის დაშორებით, არხოტის წყალი ქისტეთის ტერიტორიაზე გადა-დის და სოფ. ფეუდან (იგივე, გოშტიგაურიდან) ასას სახელწოდებას იღებს.

შატილის წყალი სათავეს ხევსურეთის წყალგამყოფი ქედიდან – დათვისჯვრის მთიდან იღებს (რომელზეც ბარისახო-შატილის გზა გადადის). მდინარე – წუბროვანის და გუროს წყლის შენაკადებით ივსება და ისიც ჩრდილოეთით – ჩეჩინეთისკენ მიე-დინება.

არდოტის წყლის სათავე ანდაკის და არჭილოს მწვერვალებიდან იწყება. ანდაკის ქედი (2745 მ.) ფშავ-ხევსურეთის წყალგამყოფია. მასზე გადადის ფშავიდან შატილში მიმავალი გზა.

არდოტის წყალს – ანგელოზა და ჭანჭახის წყალი ერთვის. ეს ორი მდინარე ანა-ტორასთან ერთდება, მერე – მდ. არღუნის სახელწოდებით ჩეჩინეთში შედის.

*

რაფ. ერისთავს ცნობით (1824-1901 წ.წ.), თუშ-ფშავ-ხევსურთა დიდი ნაწილი, მათ დღევანდელ საცხოვრებელ ადგილას, საქართველოს ბარიდან არის მოსული: – „ამაზე აშკარად მეტყველებენ მათი სახის ნაკვთები და ისკ, რომ ისინი ძველი ქარ-თული წიგნიერი ენით საუბრობენ... არაბულ-ჭინჭარაულების წინაპარი, ძალიან დიდი ხნის წინათ, კახეთის სოფელ მაღრანიდან (ახმეტის რაიონი), რაღაც დანაშაულის გამო ბატონს გამოექცა და ფშავის ხეობაში, სოფ. აფშოს შეაფარა თავი... მოხუცს ორი ვაჟი ჰყოლია – არაბა და ჭინჭარა (რ. ერისთავი, „ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები“, 1986 წ. გვ. 58).

ა. ზისერმანის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ხევსურები ჩამომავალნი არიან სიღნაღის ახლოს მდებარე სოფელი – მაღაროს, მკვიდრი კახელის, რომელიც გამო-ქცევია თავის ბატონს, მოსულა ფშავში და სოფ. აფშოში დასახლებულა.

მიფიქრია იმაზეც – „ხევსურები ჩამომავლები ხომ არ არიან ჯვაროსნებისა... ამის საბუთად მეჩვენება მათი და ჯვაროსანთა რაინდების იარაღის და ჩაცმულობის მსგავსება... გვერდებზე კალთებჩაჭრილი ზედა სამოსი; ტყაპუჭებზეც ჯვრები აქვთ

ამოქარგული... აბჯარშიც ისეთი ელემენტები აქვთ, ჯვაროსნებს რომ ჰქონდათ...“ (ა. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში, ნაწ. I, 1879 წ.).

მეგანძურების (არაბულ-ჭინჭარაულ-გოგოჭურების) ხევსურეთში დასახლების შესახებ რამდენიმე ანდრეზი არსებობს: –

ერთის თანახმად, მათი წინაპარი – გუდანში, ფშავის სოფელ შუაფხოდან მოსულა, მეორეს მიხედვით – უინვალიდან, მესამე ვარიანტით – კახეთის სოფელ მატანიდან არის მოსული.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: –

კახეთიდან წამოსული მეგანძურების წინაპარი ჯერ ფუძნარში დასახლებულა, იქიდან გადასახლებულა აფშოში, აფშოდან – გუდანში.

„ანდრეზების ურთიერთშედარება და კრიტიკული ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ სამი გვარის წინაპარი ბარიდან მთაში თანდათანობით უნდა იყოს დასახლებული... ის გეოგრაფიული გარემო საიდანაც არაბულ-ჭინჭარაულ-გოგოჭურების წინაპრები ხევსურეთში გადასახლდნენ, მჭიდროდ დასახლებული იყო და ეს გადასახლება, გადმოცემების ყველა ვარიანტის შესაბამისად, უსათუოდ, წინაფშავის ტერიტორიიდან მოხდა (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, გვ. 13, 2003 წ.).

ერთ-ერთი ვერსიის შესაბამისად – ხევსურეთის დღევანდელ ტერიტორიას, უძველეს დროში, საათაბაკურო ენოდებოდა. ათაბაკური არაბას, ჯინჭარას და გოგოჭას მამა იყო. ტერიტორიის სახელწოდება კი – ბაკურიდან და ათაბაგიდან მოდის.

დროთა განმავლობაში, მეგანძურთა წინაპრი ძმები – თანდათან გამრავლდნენ და გაიყარნენ.

ანდრეზის თანახმად: –

ჭინჭარას შთამომავლები გუდანში დარჩნენ და ჭინჭარაულების გვარს მისცეს და-საბამი. არაბას შთამომავლები ზეისტეჩოში წავიდნენ და მათგან არაბულების გვარი წარმოსდგა. გოგოჭას შთამომავლები ჭორმეშავში დასახლდნენ და გოგოჭურების გვარს დაუდეს სათავე.

„ჯინჭარაისები – გუდანს დარჩნენ და გუდანის ჯვარის მსახურება ინატრეს. არაბაისები – გორშელმას გადავიდნენ და სიმრავლე ინატრეს. გოგოჭურნი, ჭორმეშავს დადგნენ და სახელი ინატრეს.“

ხევსურეთის ძლიერების გარანტის ეს სამი რიცხვმრავალი გვარი წარმოადგენს. ისინი „გუდანის ჯვარის მეგანძურები“ გახდნენ და მისი დროშით, თითქმის, მთელი ხევსურეთი დაიკავეს.

„ეს გვარები ერთი კაცის შვილებიდან არის წარმოშობილი. ყველანი ემორჩილებოდნენ გუდანის ჯვარს და ერთის ძალით ებრძოდნენ ახლოურ თუ შორეულ მტერს, იპყრობდნენ ადგილებს, ხევსურეთშიც კი იღებდნენ ბეგარას“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 332).

*

XIX ს-ის აღწერების თანახმად, ხევსურეთში 28 გვარი სახლობდა (არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური, წიკლაური, ხარხელაური, ბურდული, გიგაური, ზვიადაური, ქისტაური, ქერაული, ქეთელაური, ალუდაური, შეთეკაური, დაიაური, ქიბიშაური,

ჯაბუშანური, ბალიაური, ცისკარაული, ოჩიაური ნაროზაული, თეთრაული, გაბური, მინდიკაური, ხოსიაური, მამიაური, ზარიძე (ხორნაული), ლიქოკელი, მურლუევი).

ეთნოგრაფიული ცნობებით – სხვა ხევსურული გვარებიც ფიქსირდება. ბევრი მათგანი ამოწყდა, ზოგი გადასახლდა, ზოგიც ხარ-ქობით შეეკრა ძლიერ გვარს და საკუთარი დაკარგა.

რამდენიმე გვარის ამოწყვეტის მიზეზად მათ მიერ სალოცავის ან მეზობლების კუთვნილი ადგილ-მამულის მითვისება სახელდება. გაბუდაყებული მამიშვილობების ამოწყვეტა ხდებოდა როგორც თემის, ისე ცალკეული პიროვნებების მიერ. იყვნენ მამიშვილობები, რომლებიც თემიდან გამოცალკევებას ლამობდნენ და ამის გამო იქნენ ამოწყვეტილნი – მთლიანად ან ნაწილობრივ.

ხევსურეთის ისტორიული ეპიზოდები

ბარელი ფეოდალები მოსვენებას არ აძლევდნენ მთიელებს. არც ისინი აკლებდნენ მათ ხელს (საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში), როცა სამეფო კარს „არღა-რა მორჩილებდნენ.“

XVI ს-ის II ნახევარში ფშავ-ხევსურნი რამდენჯერმე დაეცნენ მუხრან-ბატონებს და დიდი დავლათ-ალათით გამობრუნდნენ უკან.

1561 წელაც „მოუხდნენ მუხრანს, ხოლო აშოთამ ძემან ბაგრატ მუხრან-ბატონისა-მან ბრძოლა უყო... მოსწყვიდნა იგინი და აოტნა, გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 407, 1979 წ.).

არაგვის ერისთავებმა რამდენჯერმე სცადეს მთიელთა დამორჩილება, მათი ბატონყმობის უღელში შებმა.

შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, „ცოტა ხნობით, მთიელებმაც სწიეს მონობის უღელი, ცოტად მაინც იგემეს ყმობის გემო.“

„მძიმე იყო იგი უღელი, მეტად მწარე იყო ყმობა, ამიტომაც წყევითა და კრულვით იგონებენ იმ შავსა და ბნელს დროს...“

„რა წლებში ხდებოდა ეს ლაშქრობები არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ რამდენად მართალია, რომ ინტერვალი ომებს შორის შვიდ-შვიდი წელი იყო. ცხადია, რომ ხევსურების აწიოკება ზურაბის მიერ რამდენიმეჯერ მომხდარა 1620 წლის ახლო“ (აკ. შანიძე).

„ქართლის ცხოვრება“ არაფერს გვამცნობს ამ ბრძოლებზე. მხოლოდ გაკვრით, ორიოდე სიტყვით აღნიშნავს: –

„ამ უამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თავისად.“

„იმ უამებთა შინა“ შეეხო ზურაბ არაგვის ერისთავის ბინიერი ხელი ფშავ-ხევსურეთსაც...

ამას ხალხური ზეპირსიტყვიერება გვამცნობს.

სალექსო, სასიმღერო და საცრემლო გამხდარა – ზურაბ ერისთავის საძრახისი ლაშქრობანი.

შემაძრწუნებელია ხალხურ მელექსეთა გოდება.

ამაღელვებელი და საამაყო „მთის ლომთა“ საქმენი საგმირონი.

არაფრით არ დაცხრა ზურაბ არაგვის ერისთავის ბოროტი სული.

სიმამრის – თეიმურაზ I-ს (1589-1663 წ.წ.), სახელით და მზაკვრული გეგმით – ხევსურები თრუსოში სალაშეროდ წაიყვანა. მედგრად აომა. გამარჯვების აღსანიშნავი ნადიმის შემდეგ კი, სამოც რჩეულ ხევსურს, „მთვრალს და მძინარეს“, მისი ბრძანებით – „თავები დასჭეს...“

ხოცვა-ულეტაში აქტიურად მონაწილეობდნენ თრუსოელი ოსები.

ხევსურები ბახტრიონის ომში

1659 წლის ზაფხულში – „ბელადი ხოშურაულის“, ლეგენდარული თუშის – ზეზვა გაფრინდაულის და მათი თანამებრძოლების: – გურგენ ჭინჭარაულის, ბერდია გიგაურის, ფუნჩია და გოგოთურ არაბულების, გოგოლაურის, ძმები გულუხიძეების, ალავერდელი ფუნჩიაშვილის, შველაიძის, სალირაშვილისა და სხვათა მონაწილეობით – საქართველო აღსდგა შაჳ აბას II-ის მიერ კახეთში ჩამოსახლებული თურქმანების წინააღმდეგ. ქრისტეს რჯულის და თავისუფლების დასაცავად – კახი, თუში, ფშავ-ხევსური და მთიულ-მოხევე – ზვავად მოსკდა; „თურქმენთა დასახლებებს მოედვნენ და დედა-წულიანად გაულიტეს ყველა, ვისაც ამ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური სალოცავი მიწისა და წყლის შებილწვაში“.

მთიელთა თავდადება შარავანდად გასდევს ვაჟა-ფშაველას გენიალურ „ბახტრიონს“: –

„როშკით მოვიდნენ ხევსურნი:
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამლითა – ბათაკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია,
გუდანელთ ჩამოსძლოლია
ხოშარეული ხარია,
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიმდლვარეს ქარია,
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია,
ხახმატელთ ცხენის ფეხის ხმამ
შააზრიალა მთანია...“

პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ხოშარეული – სახალხო გმირის ხოშურაულის (თუ ხოშარაულის) პროტოტიპია (ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ხოშურაულად მოიხსენიება).

ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, კახეთის აჯანყების მონაწილე – ხევსურთა ჯარის წინამდლოლი, ნადირა სალირის ძე ხოშარაული, ბაცალიგოს თემიდან იყო. „გადმოცემის თანახმად, აჯანყების სხვა მეთაურებთან ერთად შეუპყრიათ, შაპისთვის მიუგვრიათ და სპარსეთში წამებით მოუკლავთ“ (ტ. 11, გვ. 504).

დ. გოგოჭურის ცნობით: – ბახტრიონის ბრძოლის ამსახველ ხალხურ გადმოცემებში მოხსენიებული, „ნაიბის კარვის ხმლით ამჩენი სალირიშვილი“ – იგივე ნადირა სალირის ძე ხოშურაულია, თუმცა, ზოგი მკვლევარის აზრით, „სალირიშვილი“ თუში ყოფილა და სახელად რქმევია „მეტი“.

ჯერ კიდევ უწვერული ნადირა ხოშურაული, ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით – არაგვის ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიწრთო. ბესარიონ გაბური მას – ხირჩლა ბაბურაულის, მარტია მისურაულისა და მამუკა ქალუნდაურის გვერდით მოიხსენიებს.

ერთი ანდრეზის თანახმად: – ნადირა ხოშურაულს ბახტრიონის ომში „თათრის ხანი“ მოუკლავს და ნადავლიდან ჯილდოდ საუკეთესო ხმალი მიუღია.

მეორე გადმოცემის მიხედვით, „გასული საუკუნის 40-იან წლებში, სოფ. მისახში – ლაგაზა ხოშურაულის სახლში ინახებოდა, მათი ლეგენდარული წინაპრის, ნადირა ხოშურაულის ხმლის ნატეხი, რომელიც ბახტრიონში, 1659 წელს, თათრის კარვის აკაფვისას გაუტყდა ხევსურთა ლაშქრის თავკაცს“ (ივ. გლიქოველი).

ხევსურები და ერეკლე II

თეიმურაზ II-ის მეფობის (1744-1760 წ.წ.) უკანასკნელ წლებში – როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, ხევსურეთი კახთა მეფეს განუდგა.

წესრიგის დასამყარებლად ერეკლე ბატონიშვილი – იქ, უმკაცრესი განზრახვით წარიმართა... მაგრამ თემის თავკაცები სოფ. ლულთან დახვდნენ და მორჩილება აღუთქვეს – უაზრო სისხლისღვრას მოერიდნენ.

გონივრული გადაწყვეტილება მიიღო ტახტის მემკვიდრემაც: –

სწორად აღიქვა ხევსურთა „სჯულზედ წახდომის მიზეზი“... „შეიწყნარა მათი წარმართი რჯული“, შემოირიგა ისინი და თავი – გუდანის ჯვარის მოძმედ გამოაცხადა.

ბატონიშვილმა იაზრა რომ, მთიელების ამ კასტაში – „ჩაუქრობლად ღვიოდა ქრისტიანობის ნაპარწევალი, რომელიც ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის უამს აბრდღვიალდებოდა ხოლმე...“

აღნიშნულის შემდგომ, ერეკლეს მეფობის მთელი პერიოდის (1760-1798 წ.წ.) განმავლობაში, ხევსურები ერთგულად ემსახურებოდნენ სამეფო კარს: – მეფის ამაღაში იყვნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ ომებსა თუ ბრძოლებში.

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად: – ერეკლე როცა ხევსურეთში მივიდოდა – პირველად, გუდანის ჯვარის ბელელში შედიდოდა და „ხატთან საუბრობდა“. მერე გამოდიოდა ხალხთან და „ჯვარის სურვილს“ ამცნობდა, „მის ბრძანებას ახმოვანებდა“: –

„ჩემი ყმანი ხევსურნი მოემზადენით, ჩემი დროშა ააბით – საქართველოს მტერი შემოესევა, ხთისაგან გამარჯვება ვითხოვე და მიბოძა – ჩემს ფხასისხლიანს ხმალს შემოვირტყამ და ომში თქვენთან ერთად ვიქნებიო.“

ხევსურნი, ამის შემდგომ, „თითოობით მივიდოდნენ ბავრაყთან, ამოილებდნენ ხანჯალს, დროშის ტარზე ჭდეს გააკეთებდნენ და დაიფიცავდნენ: –

როგორც ეს ჭდე ამოვარდა, ისე ამოვარდეს ჩემობა, თუ სამშობლის გულისათვის სიკვდილამდინ არ ვიბრძოლო და მტერს ზურგი ვუჩენოო“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 209-213).

„ნათათრალი“ პატარა კახი, 1744 წელს, გორის ბრძოლის წინ, გუდამაყრის გავ-

ლით ავიდა ხევსურეთში – გუდანის ჯვარში ილოცა და მეომრები მომავალი ლაშქრობისათვის შემოიპირა.

1746 წელს, ერეკლემ თრუსოს დასალაშქრავად იახლა ხევსურნი.

ეს ბრძოლა მათვის შურისძიება იყო: –

„ოსების ჩვენც გვჭირს ზიანი“-ო – განაცხადეს მათ და გულისხმობდნენ ასი წლის წინანდელ ამბავს, როცა ზურაბ არაგვის ერისთავმა – იქ, რჩეული ხევსურები ამოხოცა.

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით: – „თრუსო გალენეს ხევსურთა, აისრ რო კალო ძნიანი.“

მელექსე განსაკუთრებით გამოარჩევს თოთია გაიდაურის და მედროშე თამარისძე ჯინჭარაულის მამაცობას.

ხევსურები ასპინძის ომში

ომან მდივან-ბეგი 1770 წლის ასპინძის ომის ასეთ ეპიზოდს აღწერს: –

„ოდეს იხილნა მეფემან ირაკლი ეს ჯარები მიწევნილი, მაშინვე თვით გამობრუნვა რაოდენითამე ჩინებულითა და შინა-ყმათა თვისითა და შვიოდითა ხევსურითა, განპსჩირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე და იყვნენ ყოველნი მეფისა-თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი. თუმცა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯენ, გარნა განვრცელებისათვის დავიდუმე... იქმნა ბრძოლა ძლიერი ... თვით მეფემან მოჰკლა დალისტნის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა და მყისვე ივლტოდნენ ოსმალ-ლეკი“ („ქართლის ცხოვრება, II, 492).

ყურადსალებია, რომ მემატიანე ომში თავგამოჩენილ თავადებს არ მოიხსენიებს („განვრცელევისათვის დავიდუმე“-ო, ამბობს), მაგრამ გვერდს ვერ უვლის შვიდ ხევსურ მეომარს – ალბათ, განსაკუთრებული ღვაწლის გამო.

ასპინძის ომის მონაწილე შვიდი გმირიდან – ალ. ჭინჭარაულის ცნობით, ღერნა გუგუას შვილი და ჯამშათა ივანეური – გუდანელები იყვნენ, ლომნი გაგაის შვილი – ბაცალიგოველი, ბიტურათ აბა – ბლოველი... („მთას ვიყავ“, 1980 წ.).

ჯამშათა ივანეური – ყურაულების განაყარ გუდანელ ჯანშაისძეთა (ჯამშაისძეთა) წარმომადგენელი უნდა იყოს.

ლომნი არაბული, „გაგაის შვილი“ – ჩუჩაყეურ-თინიბექაურთა მამიშვილობიდან იყო. მის ჩამომავლებს „სოფ. ბაცალიგოში ჰქონდათ ერეკლე მეფის წერილი თუ წყალობის სიგელი, ლომნისათვის ბოძებული“ – რომელიც, ბოლშევიკური არეულობის დროს („საიმედოდ შესანახად“) – კედელში ჩაუტანებიათ. გასული საუკუნის 50-იან წლებში ის სახლი დაანგრიეს, მაგრამ სიგელი ველარ იპოვეს. „ალბათ, ნესტისგან დალპა და დაიშალა, ან თაგვმა მიაგნო და დაკუნა“ (გ. არაბული, ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.).

ასპინძის ომის გმირი იყო, მეფე ერეკლეს პირადი მცველი, ლიქოკელი სანაგ სანაგის ძის ჩამომავალი (ლივის შტოდან), საქვეყნოდ განთქმული ხმლის პატრონი – ძალიკა ბენიას ძე ხიმიკაური.

1871 წელს, ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილ, ასპინძის ომთან დაკავშირებულ ხალხურ ლექსში – „ავარდა ბატონიშვილი“, მოხსენიებულია ლიქოკელი ხევსური,

სუმბატა ლოხაურისძე, რომელიც იმ ომში დაიღუპა. სქოლიოში ჩამოტანილი ინფორმაციის თანახმად: – მისი შთამომავლები თიანეთში სახლობდნენ და ფიცხელაურებს ეძახდნან.

*

„ხევსურეთის წინაშე დიდ ვალში ვართ. ეს იყო მთლიანად მხედრული ტომი, საქართველოს მთებისა და საზღვართა მცველი, ყარაული, რომელიც საოცარი გმირობით, თავგანწირულობით იცავდა ჩვენს მთებს თავდამსხმელი მოძალადებისაგან. ხევსურნი მთაშიც ღვრიდნენ სისხლს და ბარშიც, მათ ქართლ-კახეთზე მოწოდილი არაერთი მტრის ზვავი გაუბრუნებიათ უკან და არც ყოფილა ბრძოლა საქართველოსათვის, რომ გმირ ხევსურ მამულიშვილთ მკერდი არ მიეშვიროთ ხმლისა თუ ისარტყვისაკენ და რამდენ ხევსურს შემოუნარცხებია თავისი სიჭაბუკე და სიცოცხლე ნარიყალას კედლებისათვის, თბილისის დასაცავად ჩაუყრია ძვლები. ვინ დასთვლის მათ სახელებს... გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას ნათქვამი: „ხევსურთ, რა ზვავმა მთისამა, წინ აიმძღვარეს ქარია, ხახმატელთ ცხენის ფეხის ხმამ შააზრიანა მთანია“... განა დასავიწყარნი არიან ის ხევსურნი, რომელთა მხენეობის წყალობით მოვიგეთ ასპინძის ომი! როდესაც ტოტლებენის უკან გამობრუნებით ქართული ჯარი „შედრკა“, ხოლო გაამაყებული, გააფთრებული ლეკი-ოსმალნი ზრიალითა და ყიუინით წამოვიდნენ ქართველებზე, „მეფის ჯარნიც შეიძრნენ, დაინყეს ლტოლვად“. გამოქცეულებს აედევნა მეფე ერეკლე „და ევედრებოდა დაბრუნებას“, მაგრამ „ვერავის ასმია მცირედთაგან – კიდე“. მაშინ გმირი ერეკლე ხმალამოღებული თვითონ გამობრუნდა მტრისაკენ რამდენიმე შინაყმითა და „შვიდითა ხევსურითა“, „განსწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხელად, ვიდრე სიკვდილამდე. ერეკლესა და გმირ ხევსურთა ვაჟუაცურმა საქციელმა ასწია ქართული ლაშქრის განწყობილება და ყველამ ვიცით, რა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა ასპინძის ომი. ჩვენმა ოფიციალურმა მატიანემ არ იცის სახალხო გმირთა ხსენება, მაგრამ აქ ვერც მას შეუკავებია თავი... ჩვენი მეფები გამარჯვებულ გმირებს მამულითა და „სითარხნით“ აჯილდოებდნენ, რა უნდა მიეღო ხევსურს ჯილდოდ? ბრძოლების შემდეგ ისინი ბრუნდებობნენ თავის პირქუშ ხევსურეთში ჭრილობებითა და მარილის ქვებით. მხოლოდ ერთხელ ერეკლე მეფემ გამოჩენილ გმირს, ხევსურ ძალლიკა ხიმიკაურს წალკის ხეობა აჩუქა, მაგრამ ხევსურმა იუარა და სამაგიეროდ ერთი განთქმული ხმალი გამოსთხოვა...“ (გ. ლეონიძე, „ლიტერატურული საქართველო“, 06.02.1981 წ.).

ხევსურები კრწანისის ომში

კრწანისის ომთან დაკავშირებული „სამხედრო მობილიზაცია“ ერეკლემ 8 სექტემბერს გამოაცხადა. გადამწყვეტ ბრძოლამდე თრიოდე დღე იყო დარჩენილი (ამინდიც უვარგისი). საარაგვოს და ფშავ-ხევსურეთის მაშინდელი მმართველის, ვახტანგ ბატონიშვილის ირგვლივ, მეომართა პირველი (ძირითადი) რაზმი („მორიგე ჯარი“, აზნაურნი, აზატ-თარხანნი და მათი მსახურ-მოლაშქრენი) – დუშეთში, ბატონიშვილის რეზიდენციასთან, ალბათ, 9 სექტემბრამდე შეიკრიბა, რადგან 10 სექტემბრის საღამოს, ისინი უკვე კრწანისში, ბატონიშვილის გვერდით, წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის დროშის ქვეშ იდგნენ – ს. კაკაბაძის მონაცემებით, დაახლოებით 800 კაცი – „არაგვი-

დან 300... ხევსურნი და თუშნი, ვარაუდით – 500“ („კრწანისის ომი“, გვ. 112-113).

მორიგე ჯარში გაერთიანებული იყვნენ: – ხევსურები, ფშავლები, მოხევები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელნი და ჭართლელნი.

კრწანისის ომში დაღუპული 3500 ქართველიდან, ხალხმა განსაკუთრებული შარა-ვანდით შემოსა, დიდი იაკობ გოგებაშვილის მიერ სამას თავდადებულ გლეხად სახ-ელდებული – სამასი არაგველი.

მათი რაზმი, რომელშიც (მთიულებთან, გუდამაყრელებთან, ხანდოელებთან და ჭართლელებთან ერთად, ამავე რეგიონებში მცხოვრები მოხევეები და ფშავ-ხევსურ-ნიც შედიოდნენ) – მთიელების საომრად ჩამოდინების მეორე ტალღაა, რომელმაც კრწანისის ომს (მორიგე ჯართან შედარებით) გვიან „ჩამოუსწრო“ და, სავარაუდოდ, 10 სექტემბრის დამეს (განთიადამდე, ან სულაც გადამწყვეტი ბრძოლის მიწურულში) – კრწანისის ველზე შეუერთდა ვახტანგ ბატონიშვილის ძირითად რაზმს, რომელსაც, მაშინდელი სამომოსვლო გზის და უფლისწულის ადგილსამყოფელის გათვალ-ისწინებით – დუშეთში ვერ ჩაუსწრო.

ლ. სანიკიძის ლეგენდის თანახმად, 11 სექტემბრის გარიურაჟზე, 300 არაგველი უკვე საბრძოლო მზადყოფნაში იდგა – კრწანისის ველზე.

პროფესიონალი სამხედროების აზრით, თბილისისკენ მომავალ ირანელთა კოლონას „სულ მცირე 30 კმ. სიგრძე უნდა ჰქონოდა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერეკლეს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად – ჯერ უნდა შუაზე „განყვეტილიყო კრწანისი-სეიდაბადის დავაკებაში ჩამოწოლილი ეს ირანული ურჩხული.“ მისი თავი, ავანგარდი, რომელსაც თვითონ შაპი მოუძღვოდა – კონტრიერიშზე გადასულ ქართველთა მთავარ ძალას „უნდა გაესრისა“. ურჩხულის ტანი კი, ანუ, ირანელთა მთავარი ძალები, ამ მომენტისთვის, დროებით მაინც უნდა შეკავებულიყო, რათა ხელახლა არ შეერთებოდნენ „მოკვეთილ თავს“ (ივ. შაიშმელაშვილი, კრწანისის ომი, 1965, გვ. 85, გვ. 108).

„ურჩხულის შუაზე განყვეტა“ – მეფემ ვახტანგ ბატონიშვილს დააკისრა.

მისი რაზმის გმირობას უნდა გადაეწყვიტა ომის ბედი.

საბრძოლო შემადგენლობაში იყვნენ: – „მამაცნი ხიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი“ (ალბათ, 300 არაგველიც) – სულ 2000-მდე მეომარი.

ალა-მაჰმად-ხანის ავანგარდმა როგორც კი ორთაჭალის ვიწროებში დაიწყო შეს-ვლა, ვახტანგ ბატონიშვილის მეომრები – სეიდაბადის სამხრეთი კედლებიდან (გზის პერპენდიკულარულად) დაიძრნენ საიერიშოდ: – „შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მაღალთა მათ კლდიერთა გორათა და მთათა ზედა და ბრძოდეს ესრეთითა სიმხნითა... მოსდრიკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად“.

„ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიინივნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად-ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენიმე მხედრობათა ალა-მაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, და-ვით ბაგრატიონის ისტორია, 1972 წ. გვ. 35).

თავს არ იზოგავდნენ ქართველები.

„ურჩხული იგი ეცემოდა, იფლითებოდა, სისხლით სკდებოდა, იქცეოდა, მაგრამ მაინც წინ მოხოხავდა“.

მისი თავი – ტანს თითქმის მოსცილდა კიდეც, მაგრამ ქართველთა ძალებიც ინურებოდა. ერეკლეს უკანასკნელი რეზერვები გამოჰყავდა და, ამასობაში, შაპის წი-

ნასწარ გათვლილი მანევრით, მტერმა შავნაბადას ქედიდანაც იწყო ბრძოლის ველზე დაშვება. სწორედ ამ დროს, ძლიერი ნისლი გაიფანტა და მთებიდან – სპარსელების ხელისგულზე გადაიშალა თბილისის დამცველთა სავალალო მდგომარეობა (მათი სიმ-ცირე).

ეს იყო ომის საბედისწერო მომენტი...

„ურჩეულის ტანი ისევ გადაება მის თავს...“

დიდი ალბათობით, ამ „უკვე წაგებულ ბრძოლაში“ დაეცა 300 არაგველი გლეხი.

მათ შესახებ მემატიანე დუმს. ისტორიული დოკუმენტი არ ჩანს. მხოლოდ ხალხური პოეზია, ეთნოგრაფიული მასალა და რამდენიმე მწერლის (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, იაკ. გოგებაშვილი, ლ. სანიკიძე...) ნაწარმოები გვაწვდის მწირ ინფორმაციას.

*

როგორც კი თბილისი აიღო, აღა-მაჰმად-ხანმა – ერეკლეს შესაპყრობად მხედრიონი გაგზავნა ნახჭევანის ბატონის, ქანქარლუ ქალბალი ხანის სარდლობით.

ანანურის მიმართულებით წასულმა ამ რაზმმა, უინვალამდე ისე იარა – გზაში არავინ შეხვედრია. ყველა გახიზნული იყო – ყველაფერი დაცარიელებული.

უინვალს რომ მიაღწიეს (სავარაუდოდ, 15 სექტემბერს), სწორედ მაშინ მოდგა იქაურობას, სამასამდე ხევსური (ანუ, კრწანისის ომის მონაწილე საუფლისწულოს მესამე რაზმი).

გვიან გაეგოთ ქვეყნის გასაჭირი და „მგლურით“ მოეშურებოდნენ სამველად:

„სამასამდე ხევსურნი ქვეითნი კაცნი ხევსურეთით მომავალ იყვნეს ტფილისად“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, „დავით ბაგრატიონის ისტორია“, 1972 წ. გვ. 42).

ამავე მიდამოებში მომთაბარეობდა ერეკლეს ნებართვით შამშადილელი ალი-სულთანი: – „ჩინებული კაცი და მეფის ირაკლის მიერ დიდად პატივცემული, მის-ანდო და ერთგული მეფისა“ – რომელსაც ორასი ცხენოსანი მებრძოლი ახლდა.

სამასმა ხევსურმა და ორასმა შამშადილელმა ცხენოსანმა შეუტია ოთხი ათას სპარსელს.

ვინრო ხეობაში შეებნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ და სასტიკად დაამარცხეს.

ტყვეები ერეკლეს მიჰვარეს ანანურში.

მეფემ „ანიჭნა ლირსი ჯილდონი.“

*

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, კრწანისის ბრძოლებში მონაწილეობდნენ ძმები – მამუკა და ჯოყოლა არაბული-რკინაულები.

ჯოყოლა – პირველ, ცხენოსან ლაშქარს გაჰყოლია; მამუკა – უინვალთან სარდლობდა, თურმე – ქვეითებს.

ორივე ცოცხლები დაბრუნდნენ.

ცოცხლად დაბრუნებულან აგრეთვე: – ჭიელი ჭინჭარაულების მამიშვილობის, კურდლელას ძენიდან: – მამა-შვილი მგელა და აბა ჭინჭარაულები; მგელიაურთიდან – ოთხი ძმა: – ბერდია, ხირჩლა, ივანე და ნუნუა.

ნიახურის ბრძოლა

საქართველოს მზე – ერეკლე II, 1798 წლის 11 იანვარს ჩაესვენა.

თითქმის მყისიერად დაიწყო სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლა სამეფო ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით: – ორი დედოფლის – დარეჯანის და მარიამის ფრთებს შორის; რუსეთის მომხრეთა და მონინააღმდეგეთა – გიორგი XII-ს და ალექსანდრე ბატონიშვილს მომხრეთა შორის.

ხევსურეთის (ერთ დროს, მტკიცედ შეკრული) ერთი მუჭა მოსახლეობაც ორად გაიყო.

ისინიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

1800 წლის 7 ნოემბერს, სოფ. კაკაბეთთან – ე.წ. ნიახურის (დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი) ბრძოლის წინ, ქართველების და რუსების გაერთიანებული ჯარის პირისპირ (რომლის სარდლად გიორგი XII მოიაზრებოდა) – ლეკების 10000 კაციანი ლაშქარი იდგა – ომარ ხანის მეთაურობით.

მათ შორის იყო ალექსანდრე ბატონიშვილის 1500 კაცანი რაზმიც.

ბატონიშვილის მიზანი გიორგი XII-ის ტახტიდან გადაყენება იყო.

თოთია გაიდაურმა ბრძოლის წინ იქადაგა და ხევსურებს მოუწოდა მეფის მხარეს დამდგარიყვნებ.

მათი ნაწილი, მაინც, ალექსანდრე ბატონიშვილთან მივიდა.

როცა გაირკვა რომ – ქართველ-რუსთა ლაშქარს გიორგი XII ვერ უსარდლებდა, ბატონიშვილისთვის ბრძოლამ აზრი დაკარგა და სამშობლოს მიმართ ულირსი ქმედებისგან თავი შეიკავა.

ლეკები დამარცხდნენ.

გუდანის ჯვარმა ერთმანეთის სისხლი არ დააღვრევინა თავის ყმებს.

*

ერეკლე II-ის სიკვდილის შემდგომ – რუსეთმა ფეხქვეშ გათელა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი და მფარველის ნაცვლად, დაუნდობელ აგრესორად მოევლინა დაუძლურებულ საქართველოს.

იმპერიის აღთქმული მშვიდობის დამყარებაც – „ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა“.

ქართველი, ადრე, საქართველოსთვის იბრძოდა; ეხლა, რუსეთი იყენებდა ქართველებს იმავე მაჰმადიანი ქვეყნების წინააღმდეგ – „რუსეთის დროშის სადიდებლად და დიდი იმპერიის საზღვრების განსავრცობად იღვრებოდა ქართული სისხლი.“

განადგურების ზღვარზე მისული ქართველობა – მაინც ვერ ეგუებოდა „ერეკლეს სახლის ასეთ დამდაბლებას.“

საზეიმოდ გამოცხადებული მანიფესტიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ „საშველად მოსული ერთმორწმუნე მფარველების წინააღმდეგ“, 1802 წლის ივლისში, კახეთის აჯანყება დაიწყო.

ხევსურები ფიცს სდებდნენ, რომ საქართველოს უკანასკნელ დედოფალს (მარიამს) – „ურყევ ჯებირად შემოერტყმებოდნენ“ – მაგრამ ბედის სამწუხარო ირონიით, რუსეთმა „სასტიკის და ვერაგულის გზით ჩაკლა“ ქართველი ხალხის ეს ჯანყიც (თამარ და ამირან პაპავები, მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი, 1956 წ.).

ხევსურები და 1804 წლის მთიულეთის აჯანყება

არავინ იცის როგორ წარიმართებოდა საქართველოს პედი, 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში, ფშავ-ხევსურებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა.

ამბობენ რომ: – მეამბოხეთა პირველ შეკრებას 800 ხევსური დაესწრო. მოწოდებას ფშავლებიც გამოეხმაურნენ. თითქოს, საერთო სამზადისასაც შეუდგნენ, მაგრამ, შემდგომში, ადგილი ჰქონდა მოსყიდვას – ქრთამის აღებას (იხ. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები გვ. 320, 1804 წლის 12 ივლისის № 95 პატაკი).

ფშავ-ხევსურეთის ბოქაულმა, დურმიშხან ჩოლოყაშვილმა – მთავარმართებლს აცნობა აჯანყების სამზადისის შესახებ.

ხალხის მოსასყიდად – სანდო პირები (ალექსანდრე მაყაშვილი და დავით ქობულაშვილი) გაგზავნეს. გაატანეს ასი თუმანი.

ქრთამმა გაჭრა და ფშავ-ხევსურებმა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიიღეს.

გაბრიელ ყაზბეგის კაცებიც მისულან ხევსურეთში: – მიუტანიათ კარგი ძლვენი, ფული და გაბრიელის პირით უთხოვიათ, რომ ამბოხებაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

ათასამდე ხევსური მოლაშქრე მაინც შეგროვდა გუდანის ჯვარში; გამართეს ბჭობა; ქადაგად – უკვე საკმაოდ ხანში შესული, თოთია გაიდაურ-ჯინჭარაული – დასცეს.

სახელოვანმა ხევისბერმა – ამბოხებულთა მარცხი, სისხლის წვიმები და ბაგრატიონთა დალევა ინინასწარმეტყველა.

ბლოველმა, ღულელებმა და ბისოელ-ხახმატელმა ხევსურებმა ბრძოლაზე უარი თქვეს. სალაშქროდ გამზადებულნი – დაშლილან.

ხიტალეთ მამუკამ (არაბულ-რკინაულმა) გორშელმის ხევსურები მაინც აამხედრა; მათ ლიქოელები მიუერთდნენ და ხავსურთა ნაწილი ამბოხებულ მთიულ-მოხევეთა გვერდით დადგა.

აჯანყებულები მთელი ხევსურეთის მონაწილეობას ითხოვდნენ.

ხევსურები ყოფილი გადაჭრილ პასუხს არ იძლეოდნენ.

ბოლოს, სარფიან გარიგებაზე წავიდნენ: – გ. ყაზბეგის ციხე-სახლში შეხიზნული რუსის რაზმის ამოსაწყვეტად, 700 ხევსური გადმოვიდა და მდინარე სწორ პირას დაბანაკდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, შეთანხმდნენ: – „მოპოვებული ქონება თანაბრად გაეყოთ, მაგრამ ტყვედ აყვანილი რუსები არ დაეხოცათ...“

„ხალხს ეხლაცა სწამის, რომ რუსის ლაშქარი დარიალში ვერ შემოვიდოდა, გუდანის ბორაყს ვერ გაუმაგრდებოდა – თოთია გაიდაურს რომ არ ეღალატნა და ფულით მოსყიდული ვიღაცა ყაზბეგისაგან – უკან არ დაბრუნებულიყო“ (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

თოთია გაიდაური

გუდანელი თოთია გაიდაური (ჯინჭარაული) – გუდანის ჯვარის სახელიანი ხევისბერი და ქადაგი, ერეკლე მეორესთან დაახლოვებული პიროვნება იყო.

დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ხევსურეთში: – „ქადაგობს გადიაური, ბრძანებს გუ-დანის ჯვარიო“ – გვამცნობს სახალხო მთქმელი.

თოთია ბევრ ისტორიულ ბრძოლაში იდგა ერეკლეს გვერდით: –

1746 წელს – თრუსოს და თერგის ხეობებში ლაშქრობისას ახლდა; მონაწილეობდა ასპინძის და კრწანისის ბრძოლებში.

ამბობენ, რომ კრწანისის მარცხის შემდეგ – დაჭრილ-დაჩეხილ ინა ქიჩბარაულთან და აპა კურდელისძესთან ერთად შეძლო – სისხლში ამოვლებელი და დაფლეთილი სალაშქრო დროშის – გუდანის ჯვარში დაბრუნება.

1800 წლის 7 ნოემბერს – მონაწილეობას იღებდა და დაიჭრა კიდეც ნიახურის ბრძოლაში...

ძნელი იყო ქადაგის სამსახური.

ომში მომავალ ხევსურთა ბედი – წინასწარ უნდა განეჭვრიტა.

იმასაც ამბობენ რომ: – ფხოვის ჯვართა ქადაგ-ქურუმი, ხშირად, „ამა ქვეყნის ძლიერთა“ – ფარულ დავალებებსაც ასრულებდნენ.

*

ქართ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ხევსურეთის თემებს შორის ბრძოლა ატყდა იმ საბალახე გადასახადის მითვისებაზე, რომელსაც, ხევსურეთის მთებში მდგარი – ფშაველი, თუში, ქისტი, თუ გუდამაყრელი მწყემსები იხდიდნენ.

„ძველს დროში“, აღნიშნული ბეგარის ნაწილი მეფის მოურავს მიჰენდა და, რაკი ეს გადასახადი მოიშალა – ხევსურებმა მისი მითვისება მოინდომეს.

თავად მათ შორის მოყვა ამ ამბავს სისხლისმდვრელი დაპირისპირება.

ერთმანეთს შეახსენეს მივიწყებული სადავო შემთხვევები. ზოგმა იარაღს მოკიდა ხელი და გაყაჩალდა.

ეს ავისმომასწავებელი ტენდენცია უფრო გააძლიერა რუსული კაპიტალის შემოჭრამ. გზა გაუხსნა ალებ-მიცემობას – მოსახლეობის ქონებრივ დიფერენცირებას.

რუსი მოხელეები ხელს უწყობდნენ მთიელების ერთმენეთთან დაპირისპირებას. არდოტელებმა მათი წაქეზებით შეწყვიტეს (სამასიოდე წლის წინათ დაწესებული) გუდანის ჯვარის ბეგარა. ჩამოვარდა შუღლი. მეგანძურები და არდოტელები ყოველ ნაბიჯზე მტრობდნენ ერთმანეთს; გზას უკრავდნენ, უსაფრდებოდნენ – იარაღით ებმოდნენ ერთმანეთს და... 1900 წელს თიბათვეში, კიდევ ერთხელ დაიძრა გუდანის ჯვარის ყმათა ლაშქარი – არდოტისაკენ.

ორივე მხარის უხუცესებმა ძლივს დააშოშმინეს ახალ-უხლები.

ორ კვირას გრძელდებოდა რჯული.

„მთელი ხევსურეთის თემ-თემის თავკაცებმა ბჭენი – თუშეთიდან და ქისტეთი-დანაც მოიწვიეს... როგორც იქნა, „მოარიგეს თოფ-იარაღზე შეყრილი ხალხი.“

ქისტი შუაკაცების რჩევით – ორივე მხარემ ამხილა ხელისუფლების მიერ მოსყიდული – მტრობის ჩამოგდების მოთავენი.

ჯურუმი დააკისრეს მათ – ჯვარის სასარგებლოდ.

*

XX საუკუნის დასაწყისში, ხევსურეთი ისევ თემური თვითმმართველობის ტრადიციებით ცხოვრობდა – სახელმწიფო მმართველობისგან მიტოვებული მხარე

იყო. ვერ ჰგუმბდნენ სახელმწიფო კანონმორჩილებას და, მაინცდამაინც, არც ხელისუფლება იწუხებდა თავს, ამ სიდუხჭირეში მხცოვრები ხალხის მმართველობისათვის.

*

ნაპოლეონის რუსეთში შექრამ – კიდევ ერთი ბიძგი მისცა საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

ძლიერი მტერი ალექსანდრე I-ის ტახტს აზანზარებდა.

„განახლდა დროებით შეწყვეტილი ბრძოლა – აქამდე ფარული და საიდუმლო... ძველმა ლომმა ფაფარი აიყარა“.

სისხლისგან დაცლილ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაპარტახებულ საქართველოში ეს აჯანყება დაიწყო მაშინ, როცა ქვეყანას ბრძოლის შესაძლებლობა არ ჰქონდა – მაგრამ არ ჰქონდა არც სხვა გზა.

მიწასთან გასწორებულ ერს, მოყვრად მოსული მტრის პოლიტიკამ, უკანასკნელი ძალა მოაკრებინა და საქართველო უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ ომში კვლავ ჩაება.

„სასტიკი და თავხედი, დაუმარცხებელი რუსი ოფიცრები და სალდათები თავქუდ-მოგლეჯილები ტოვებდნენ პოსტებსა და იარაღს, შიშით შეძრნუნებულები და გონებადაბინდულები გადარჩენას ევედრებოდნენ ღმერთს“ (აკ. გელაშვილი, „კახეთის 1812 წლის აჯანყება“, 2003 წ. გვ.168).

აჯანყების მეთაურთა ნამდვილი ლიდერი, მათი სულისჩამდგმელი და წინამდლოლი, საქართველოში რუსეთის რეუიმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, ერეკლე II-ს და დარეჯანის მეხუთე ვაჟი – ალექსანდრე ბატონიშვილი იყო (1771-1844 წ.წ.).

მისი, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო წერილები „არნახულ საბრძოლო ჟინსა და განწყობას ბადებდნენ ხალხში. ამის დასტურად იკმარებს ხევსურეთის, ფშავისა და მთიულეთის ხალხთა ერთობლივი დარაზმულობა, რისთვისაც ალექსანდრეს თავისი წერილებითა და მთის სალოცავებისათვის გაგზავნილი შესაწირავებით მიუღწევია“ (ნ. ბერძენიშვილი).

1812 წლის 1 სექტემბერს ბატონიშვილი საქართველოში შემობრძანდა და აჯანყებულებს ახალი ენერგია შემატა.

იმპერიის ჯარებს მძიმე დღეები დაუდგა, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო. ხალხი მოიქანცა; დახმარება „არსაით სჩანდა“. ომი იწირავდა ასობით მოსახლის სიცოცხლეს და მისი გაგრძელება კარგს არაფერს უქადდა ქვეყანას (ნ. ბერძენიშვილი).

ამასობაში, რუსეთმა გამარჯვებით დაასრულა ნაპოლეონთან ომი, რამდენიმე ძლიერი მარცხი აგემა სპარსელებს და საქართველოშიც თავის სასარგებლოდ გადახარა სასწორი.

ქართველები გატეხა მტრთა სიმრავლემ და დამხმარე ძალების მოუსვლელობამ. მებრძოლთა რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა და აჯანყებაც თანდათან დაცხრა.

ალექსანდრე ბატონიშვილი იძულებული გახდა, ხევსურეთში გახიზნულიყო. ერთ წლამდე შატილში დარჩა და იქიდან ცდილობდა ხელახალი ბრძოლის ორგანიზებას.

აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო კავკასიის მთავარმართებელი (რატიშჩევი), რომელმაც მრისხანე გენერალიტეტს მოუყარა თავი და ბატონიშვი-

ლის შესაპყრობად, ერთი მუჭა ხევსურების წინააღმდეგ, დიდი სამხედრო ოპერაციის სამზადისი დაიწყო.

ფშავლებს რომ რუსის ჯარისტვის გზა არ შეეკრათ, კახეთში დაბინავებული მათი ცხვარი ამანათში გარეკეს. ისინი იზოლირებული იქნენ, მაგრამ რუსთა მხედრობას, გზადაგზა, ხევსურების და ქისტების რაზმებთან ძლიერი შეტაკებები ჰქონდა. მამაცი მთიელები მტერს (რომელიც ხევსურეთში – სამი: ანუნთის, ფხიტუს და არაგვის ხეობებიდან შემოიჭრა) – წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

რუსებმა ოცზე მეტი სოფელი გადაწვეს, გადაბუგეს და მიწასთან გაასწორეს – სისხლით მორწყეს მთელი ხევსურეთი.

ბატონიშვილმა რკალი გაარღვია და დალესტანში გადაიხვენა.

*

პირველი მსოფლიო ომის არეულობის დროს, ქისტებმა ფშავლებს თორლვა ძაგანის ძის მიერ დაწესებული ბეგარი გაუხსენეს. ამ ამბავს ზოგიერთი პირიქითელი ხევსურიც აჰყვა – კაცები გაგზავნეს და ბეგარის განახლება მოითხოვეს.

ფშავლებმა ცივი უარი განაცხადეს. ქისტებმა, ამის გამო, რამდენჯერმე დალაშერეს ფშავი და განახლდა მტრობა.

1918 წლის ზაფხულში, რუსეთის მოსაზღვრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე კონტროლის დაწესების მიზნით, ნ. უორდანიას მთავრობამ, ხევსურეთის გავლით, მცირე ძალისმიერი წარმომადგენლობა გაგზავნა ქისტეთის საზღვართან.

მშვიდობისმყოფელების ეგიდით თუშ-ფშავ-ხევსურთა ამალა ჩეჩინეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფ. ჯარეგოს მიადგა.

მორიგების თუ შერიგების ნაცვლად – მათ ჯერ ბინძური პროვაკაცია მოაწყეს – მერე იქედან გამოიქცნენ და ისედაც მტრად მოკიდებული ხევსური მეზობლები ქისტებს შეატოვეს.

ხევსურები ადგილიდან არ დაძრულან.

ქისტების გონიერებით, იმ მომენტში, სისხლისღვრა თავიდან აცილებული იქნა, მაგრამ ხევსურთა შორის იყო, ქისტების მტრის, უჭყუათ სულხანაურის (ჯინჭარაულის), ბიძაშვილი – გიგია, რომელსაც სულხანაურის მოკლული ქისტის თოფი ჰქონდა წამოლებული.

ქისტებმა იარაღი იცნეს და მისი მოკვლა განიზრახეს.

სამმა ხევსურმა: – მგელიკათ დათვიამ (ცნობილი დასტაქრის, მგელიკა ლიქოკელის ვაჟმა), აკუშელმა კირკილაურთ იმედამ და ლეიბაისკურელმა ჩიჩით კვირიკამ – გიგიასთან ერთად, ქვითკირს შეაფარეს თავი.

ქისტებმა შუამავალი გამოგზავნეს და თოფის დაბრუნება მოითხოვეს.

ხევსურებმა შუამავალი მოკლეს.

ატყდა ულმობელი სისხლისღვრა, რომელსაც 90-მდე კაცი შეეწირა – უმეტესობა თუში და ფშაველი.

ქისტებს დათვიას მოკვლაც უნდოდათ, მაგრამ მათი უხუცესი თავკაცის, ალუმხაჩის, მცდელობით – რომელიც დათვიას მამასთან მეგობრობდა, გამოუშვეს – მაგრამ ცხენ-უნაგირი დაატოვებინეს.

*

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან (1918 წლის 26 მაისს) – ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფო უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

გადაუდებელი აუცილებლობა ეროვნული გვარდის შექმნა გახდა. შემორჩენილი სამხედრო ფორმირებები თბილისის დასაცავადაც არ იყო საკმარისი. სასწრაფო მოგვარებას საჭიროებდა ჯარში ძარცვა-გლეჯის შემთხვევები. რესპუბლიკის მტრები მიტოვებული სამხედრო საწყობების ძარცვაზე იყვნენ გადასულები.

გენერალ გ. მაზნიაშვილს მოსვლია აზრად, ხევსურების ჩამოყვანა: –

„მეტი ჯანი არ იყო... ჩემი თხოვნით გაიგზავნა ხევსურეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. მოკლე ხანში ჩამოყვანეს ტფილისში ოთხასამდე ხევსური. ისინი მაშინვე დავაბინავეთ სამხედრო სკოლის შენობაში. დავანაწილეთ გუნდებად, დავუნიშნეთ საკმაო რიცხვი ოფიცირებისა, შევმოსეთ, შევაიარაღეთ და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე შეძლება მოგვეცა გამოგვეყენებინა ისინი სამხედრო ქონების საწყობების სადარაჯოდ“ (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990 წ. გვ. 16).

არსენალის დაცვა დიდ სადარდებელს უხსნიდა ქვეყნის ხელისუფალთ, რადგან ოთხასი ხევსურის თბილისში ჩამოყვანა, მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა სახელოვან სამხედრო გენერალს.

სხვადასხვა რაზმებში გაერთიანებული ხევსურები, 1918-1921 წ.წ., აქტიურად მონაწილეობდნენ დემოკრატიული საქართველოს ყველა საბრძოლო ოპერაციაში. ძირითადად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენოსანთა რაზმში და შალვა ქარუმიძის ფეხოსანთა შემადგენლობაში. ამ მეთაურებთან მათ ძველი ნაცნობობა აკავშირებდა (ადრე, ისინი ორგანიზატორულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ხევსურებში – ეძებდნენ და იძენდნენ მომხრეებს).

ხევსურმა მეომრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ფრონტიდან მობრუნებული 16 რუსული ეშელონისგან თბილისის დაცვაში. მახათასა და სოლან-ლულის ქედზე განლაგებულმა ქართულმა საარტილერიო ბატარეამ – გადამწყვეტი როლი შეასრულა თბილისის აოხრებისაგან გადარჩენაში.

რუსეთის ჯარმა ქალაქზე შეტევა ვეღარ გაბედა და გეზი ბაქოსკენ აიღო.

*

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან დაიწყო რუსი და ქართველი ბოლშევიკების შეთანხმებული მოქმედება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათი ძალისხმევით, 1921 წლის 25 თებერვალს – თბილისში მეთერთმეტე არმიის წითელი კავალერიისტები შემოვიდნენ და საქართველოს ოკუპაცია განახორციელეს.

მარქსისტული იდეებით მოხიბლული მოსახლეობის ნაწილი, სიხარულით შეეგება საქართველოს ხელახალ ანექსიას.

„ბოლშევიკური ჭირი სწრაფად მოედო ერის სხეულს. თითქოს ქვესკნელის ბნელი წიაღიდან ამოიზარდნენ უღვთო, ურწმუნო, უეროვნებო, სისხლის მაძიებელი სასტიკი ადამიანების ლეგიონები. მონამლეს ახალგაზრდების გული და გონება.“

„მათგან იქმნებოდა საგანგებო რაზმები, იზრდებოდა მილიციის რიგები. ვინც მათთან არ იყო ყველა მტრად გამოცხადდა და უნდა განადგურებულიყო.“

რუსები და მათი თანამოაზრე ქართველი აქტივისტები, ოკუპაციის პირველივე დღეებიდან შეუდგნენ საუკეთესო მამულიშვილების დევნას, გადასახლებას, დახვრეტას, ქვეყნის დაწიოკებას.

„სისხლმა ახალი სისხლი მოითხოვა და ისინიც ყოველგვარი ყოყმანის და სინანულის გარეშე სპობდნენ, ვინც სულ მცირე ხნის წინ მათი თანამემამულე, თანასოფლელი, თანამეინახე იყო.“

აღნიშნულის პარალელურად დაიწყო პატრიოტების ძალთა მოკრებაც. ქართველების ნაწილი თავისუფლების დაკარგვას ვერ შეეგუა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება.

დაიწყო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაბრუნებლად სამზადისი.

გაჩაღდა ბრძოლა გამარჯვებულ და დამარცხებულ ქართველებს შორის.

არალეგალურად არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაციის მიზნით, 1922 წლის აგვისტოში, ერთიანი ორგანო – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (ე.წ. „დაკომი“) – შექმნეს.

მათი გეგმის თანახმად, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ტალღა, პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით – ხევსურეთიდან უნდა დაწყებულიყო. როგორც კი რუსის ჯარი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებმებოდა – მცხეთის მხრიდან, მისთვის უნდა ზურგში დაერტყა, გორი-დუშეთის მიდამოებში მდგარ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის კუთვნილ პარტიზანულ რაზმს – რომელსაც მ. ლაშქარაშვილი თავკაცობდა. ორივე დაჯგუფებას ერთიანი ძალით უნდა გაენადგურებინა მტერი და თბილის მისდგომოდა. ამ დროისათვის, შეიარაღებული გამოსვლები მთელი საქართველოს მასშტაბით ჰქონდათ დაგეგმილი. აჯანყებას საყოველთაო-სახალხო ხასიათი უნდა მიეღო და რუსეთის განდევნით დამთავრებულიყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ხევსურეთი

მუსირებს აზრი, თითქოს, ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის ხევსურეთის მიმართულების ჩაბარება, მისი იქაური წარმომავლობის გამო მოხდა.

„შენ ხომ ხევსური ხარ წარმოშობითო – ხან ვინ ეტყოდა ქაქუცას და ხან ვინ... ხევსური ვარო, არ უარობდა ისიც და ისე გამოდიოდა, რომ თავისი არსებობით ძალდაუტანებლად ამთლიანებდა კახეთსა და ხევსურეთს... დიახაც ხევსურიაო – იქადნიდნენ მასპინძლები და ახალუხლებს უამბობდნენ, თუ როგორ დაჭრილიყო ერთ ბრძოლაში სახელგანთქმული ხევსური მეომარი, დაკოჭლებულიყო და ამიტომაც „ჩოლოხა“ შეერქმიათ; მეფეს თავადობა ებოძებინა მისთვის განსაკუთრებული ქველობისათვის და ბარში დაესახლებინა, სწორედ იქ, სადაც ახლა ჩოლოყაანთ ციხე წამომართულიყო, სოფელ მატანში...“

მითოსის ქარგა იქსოვებოდა ქაქუცას სახელის ირგვლივ და ჯერ მისი გვარი ეხეოდა ამ საბურველში...

მერე – ხალხური ეტიმოლოგია „ჩოლოყას“ ჯერ „ჩოლოხას“ დაამგვანებდა და სიუჟეტიც უკვე მზად გახლდათ...

გრიგოლ რობაქიძე კი სხვაგვარ მითოსს უქსოვდა გარს ჩოლოყაშვილთა გვარს,

ქალდეურ ხანამდე ჩასდევდა მის ფესვებს და ირუბაქიძის გვარს უკავშირებდა... თითქოსდა ამ გვარს დაჲყოლოდა მზის ნიშანი ძველთაძველი უამიდან... მეთოთხმეტე საუკუნეში კი ორად განტოტვილიყო ირუბაქიძეობა – მაყასა და ჩოლოყას საგვარეულოებად (რ. ჩხეიძე, შავი ჩოხა, 2009 წ. გვ. 185).

ასე იყო თუ ისე, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ნარუშელი კვალი დატოვა ფშავ-ხევსურეთის ისტორიაში, ისევე როგორც 1922 წლის ე.წ. ხევსურეთის აჯანყებამ.

კახეთში დაფუძნებულმა მისმა მცირერიცხოვანმა რაზმმა (9-10 კაცის შემადგენლობით), უპრობლემოდ მიიმსრო იქ ჩასახლებული ხევსურები: – თომა ბალიაური (ბადიათ თომა), დიმიტრი ცისკარაული (ფუნჩათ ბაბუა), აბიკა გიგაური (ბაბუათ აბიკა), ბაია ნაროზაული, უშიშა ნიკლაური, ალეკა გოგოჭური და თომა ბალიაურის სხვა ნაცნობ-მეგობრები – აშროშანიდან. თეთრინყლებიდან შემოუერთდნენ მათ – გიგია ბიძურას ძე და გიგია ადიას ძე არაბულები, ბიძურა და მიხა ჭინჭარაულები, მიხა არაბული, მამუკა ქეთელაური, ჯოყოლა გოგოჭური (გიგით ჯოყოლა), ხვთისო არაბული და სხვანი.

ჩოლოყაშვილის დაცვაში იყვნენ: – ტუჩათ ნიკო (გოგოჭური), ლევანათ ნიკო (მურღუევი) და ჩალხთ გიორგი (ალუდაური).

„ბევრი უძილო, დაძაბული ღამე ჰქონდათ მათ – ერთად გატეხილი და შვიდი ფუთი მარილი ალოკილი...“

მუდმივ კონტაქტში იყო შეფიცულებთან, მთისა და ბარის ხევსურთა მეხიდური – ლევან გაგას ძე გოგოჭური (მეხარიათ აძია) – ხევსურთაგან ერთ-ერთი პირველი ერისკაცი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, ხევსურეთის ჭირ-ვარამის მუდმივი გამზიარებელი და მთავრობასთან შუამავალი. ჯერ კიდევ ჭაბუკი წავიდა ის თბილისში. დაუახლოვდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს და ეროვნულ-სოციალურ ორომტრიალში ჩაება. 1922 წლის ისტორიულ პროცესებში – ქალაქის მოწინავე საზოგადოებისა და მთიელების საიმედო მეკავშირე იყო. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან...

*

როგორც საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ, 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება, თავიდანვე განწირული იყო. დამკომმა, ბევრი მიზეზის გამო, თავისი გეგმის შესრულება ვერ შეძლო.

ჩოლოყაშვილის რაზმი განწირული და მოტყუებული აღმოჩნდა.

ხევსურები მარტონი დარჩნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კომუნისტებმა დაწვეს და გადაბუგეს მათი სოფლები.

ხალხი იძულებული გახდა ტყეში გასულიყო.

ფშავ-ხევსურეთის ტყე-ხევები ყაჩაღებით გაივსო.

სასტიკად იდევნებოდნენ – მიხა ხელაშვილი, თომა ბალიაური, ბენინტურ ხორხელი, ლევან ხავაზურაშვილი, დათვია, ადადა და ზვიადა ლიქოელები, მამუკა ბურდული, ლევან სულხანიშვილი, გამიხარდი და მამუკა ქიატაურები, აბიკა ჭინჭარაული, სულხანაურ არაბული და სხვ.

ენით აუნერელი ბარბაროსობის შემდეგ, ულუკმაპუროდ დარჩენილი სოფლების თავკაცები ბარისახოში დაიბარეს და შერიგებას – იარაღის მთლიანად ჩაბარების შემთხვევაში შეპირდნენ.

ხევსურებმა – სისხლისღვრის შეწყვეტა და გადარჩენილი მოსავლის აღების შესაძლებლობა ითხოვეს.

მოჩვენებითი შერიგების ცერემონიალი ბარისახოს „კანცელარიაში“ გაიმართა. ყველა სოფლიდან 2-3 წარმომადგენელი დაესწრო და უვარგისი იარაღი მოიტანა.

ხევსურთა შუაკაცი ჩირდილელი მამუკა ხთისიას ქ არაბული იყო.

1922 წლის სექტემბერის ბოლოს, რუსები და მათი მომხრე ქართველი მარიონეტები – გადაბუგული და ნაგვემი ხვსურეთიდან გაიკრიფნენ.

წავიდნენ და მოსახლეობამაც პირი შეკრა: –

არავითარი თანხმობა მორჩილებაზე!

არავითარი გადასახადები, კომპერატივ-კოლექტივის დაარსება, კერძო საკუთრების ხელყოფა, გაკულაკება...

ხევსურეთმა უნდა იცხოვროს ძველებური, ტრადიციული წესებით...

*

მომდევნო 15 წლის განმავლობაში, ხევსურეთში – საბჭოთა ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა.

ადგილობრივი საბჭო მხოლოდ ქალალდზე იყო შექმნილი.

მისი შენობა დაწვეს და თანამშრომლები გაყარეს.

დარჩა მხოლოდ მილიციის პოსტი, რომელსაც ხალხი სათოფეზე არ ეკარებოდა.

ამავე პერიოდში, ბოლშევიკებმა საფუძვლიანად დაისადგურეს – ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავში. გააქტიურდა ხევსურეთისკენ მიმართული შესაბამისი ღონისძიებებიც: – ხალხის გადაბირება, საავტომობილი გზის გაყვანა, სახელმწიფო დაწესებულებების მშენებლობა. ვითარება თანდათან შეიცვალა და ხალხის ნაწილი კომუნისტებს მხარეს გადავიდა.

ახალმა თაობამ კომუნიზმის „ნათელი მომავლისათვის“ დაიწყო ბრძოლა.

1937 წლის მასიური რეპრესიების პერიოდში, შესაბამისმა უწყებამ – ხევსურეთში არ არსებული კონტრრევოლუციური საქმიანობის პროცესირების მიზნით, აგენტი-პროვოკატორები შეაგზავნა. გამოავლინეს 48 „აქტივისტი.“ ჩამონათვალში მოახვედრეს ყველა, ვინც საბჭოთა ხელისუფლების სავარაუდო მოწინააღმდეგედ მიიჩნიეს.

სახელმწიფო ტერორი განსაკუთრებული სისასტიკით შეეხო ლიქონის თემს, რომელიც მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა როგორც 1922 წლის აჯანყების დროს, ისე მომდევნო პერიოდში.

ლიქონები – იარაღით ხელში, დიდხანს აგრძელებდნენ ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

ეს უაღრესად დრამატული პროცესები დაწვრილებით აღნერა ამ კუთხის მკვიდრმა, ივანე ლიქონელმა – თავის წიგნში „ხევსურეთის სისხლიანი 37“.

*

სახელმწიფო სტრუქტურების ხევსურეთში ფუნქციონირება – ფაქტობრივად, II მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

უკვე არსებობდა გზა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები – ქვეყანა ომის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პროცესში იმყოფებოდა და ხე-

ლისუფლებამ, იქაც – კოლმეურნეობების შემოღება (კერძო მფლობელობის გაუქმების მცდელობა) წამოიწყო – რაც ხევსურისთვის არსებობის წყაროს გადაკეტვას ნიშნავდა.

საზოგადოებრივ საკუთრებას თავისად არ თვლიდა – ეს ჯიუტი და გაუტეხელი ხალხი.

შედეგი ვერც მკაცრმა ადმინისტრაციულმა აგრესიამ გამოილო.

ცოტა მოგვიანებით, ვიღაც ხელისუფალის თავში მოიხარშა „ბუნებისაგან და-ჩაგრული მშრომელების გადარჩენის კონცეფცია“ – ანუ, ხევსურეთის მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების იდეა და, 1951 წლიდან – ე.წ. გეგმიური გადასახლებები დაიწყო.

უამრავი სოფლი მოიშლა და გაუკაცრიელდა.

„ხევსურები აყარეს და ბარში ჩამორეკეს მზრუნველობის საბაბით.“

სიკეთის სახელით მთავრობა ბოროტებას ჩადიოდა. მისი ქმედებები – მამა-პაპურ ფუძეზე შეზრდილი ხალხისთვის, უბედურების მიზეზი გახდა.

მშობლიურ კუთხესთან განშორებით გამოწვეულ ტკივილს ხევსურები ვერ იგუებდნენ: – რამდენიმემ ხანჯლით მოიკლა თავი, ზოგმა თავი ჩამოიხრჩო – ზოგი დარდმა მოკლა.

1952 წლის ბოლოს ხევსურეთში ხევსური თითქმის აღარ დარჩა.

შესართავის მოწმაო

ფშავის და ხევსურეთის საზღვარზე მდებარე პირველი სოფელია არაგვის მარჯვენა მხარეს, ტყიან გორზე – მდ. დათვისურას და ხევსურეთის არაგვის შესართავის მაღლა.

როგორც ნათელა ბალიაური გვამცნობს: –

„აქაურები გვარად ფიცხელაურები არიან. მათი სათიბი მთა აფშოს (ფშავის) მხარეს იყო. ამ ადგილზე, ნინა დროში, ფშავლები და მოწმოვლები ერთმანეთს ეკიდებოდნენ.“ ხევსურები დახოცეს კიდეც, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს. ის მამული, რომელსაც – შემდგომში ყველა მოწმოელი თიბავდა – „ხმლით დაიჭირეს!“

„მეფის-დრო რომ შეიცვალა, მოწმაოს ორი ძმა სახლობდა: – ბათია (ბათირა) და აბა – „ხონდათ მამისები იყვნენ.“

აბას – ცოლად არხოტიონი თეთრაულთ ქალი ჰყავდა, დედიკა; მისგან ჰყავდა ქალი და – ვაჟი სხვა ცოლისგან.

ბათირას ცოლი იყო გუდანელი სამძიმარი, ვისგანაც ორი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა.

ბათირა – ძალიან ამაყი, „დღიანი და ილეთიანი“ (გამორჩეული, თვალსაჩინო) ხევსური იყო. ერთ დღეს – თურმე, თავზეხელალებით განუცხადა თავის მოძმეთ: – აფშოს „მთებს ნულარ მოსთიბთ, ფშავლისად წართმეული მთა მე მეკუთვნის, მაგ სათიბის გულისათვის ჩემი პაპა და იმის მამა არიანო დახოცილნი...“

„ვერაფერი გააგონეს...“ და მისივე მოდგმის ხალხმა (შინშ-მამიშინშებმა, სახლიკაცებმა და ხონდათ მამისებმაც კი – თათუამ, ქორიამ და აბიკამ) – ორივე ძმის (ბათირას და აბას) ოჯახებიანად მოსპობის გადაწყვეტილება მიიღო.

ჯერ ბათირა მოკლეს, მერე: – აბა, ბათირას ცოლი და მათი ვაჟი.

„აბას ვაჟი (ბაბუა), ცხრა-ათი წლისა, დათვისელმა მარამიძეთ უთრუგამ გაიტაცა და ისე გააქრო, არავინ იცოდა სად გადამალა... ბათირას ორი ქალი და აბას ცოლ-ქალი როშკას გააპარეს...“

დახოცილი ძმები სასაფლაოზე არ მიიტანეს.

„ძალს დაჰკრეს თოფი – მათი სულის სახსარი ეს იყოსო.“

აკუშოში გათხოვილმა მათმა დამ (ანუ, გადარჩენილი ბავშვების მამიდამ) – „ბაკურხეველ მამიძმათ გაუგზავნა კაცი – გვიპატრონეთო!“

ქუდზე კაცი წამოვიდნენ ბაკურხევლები და მოწმაოელთ ყველაფრის რჯულის წესით შესარულება მოსთხოვეს: – დააკვლევინეს ძალლის სამხნელო, ჯვარ-ჯარისკაცის სამხსნელო, დამარხეს მკვდრები, მოკრიფეს ცოცხლად დარჩენილები; აბას ვაჟი შემოისვეს ცხენზე და ბაკურხევში წაიყვანეს.

ბაბუა, ჯერ იქ იზრდებოდა, მერე მამიდასთან – აკუშოში.

ბათირას ქალები, ჯერ დედიძმებთან, გუდანში იყვნენ, მერე, ისინიც მამიდასთან ცხოვრობდნენ – სანამ თავის მოვლას თავად შეძლებდნენ.

ცოტა ხნის შემდგომ, საფიცხელაურო კიდევ ერთხელ დაემუქრა მოწმოელთ; დაა-

ფიცეს! დახოცილების ხიზანი სოფელში დაბრუნეს და თვითონ პატრონბდნენ. ოცი წლის შემდეგ, ბაბუამ ყველაფერი დაიბრუნა, რაც მოწმაოში ეჯუთვნოდა. ბათირას და აბას მკვლელებიდან: – თათუა, მთაში ცხენებმა გაიკალოეს; ქორია – შეიშალა; აბიკა მშვიდად დაბერდა და პურს ბაბუა აჭმევდა.

რაღაც მიზეზის გამო, ბაბუამ თავი მოიკლა.

„ქალები და ორი ვაჟი დარჩა“ (ნ. ბალიაური, ხევსურული ქრონიკები, 1995 წ. გვ. 38-40).

*

დ. ფიცხელაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

გუდამაყრელ ფიცხელაურებს, აბანს – თავიანთი სამი მამიშვილობა ახსოვთ; თათუანი – ხუთი ძმანი ყოფილან.

რაღაც ტრაგედიასთან დაკავშირებით, ორივე მამიშვილობას – ბაკურხევში ცხოვრებაზე გული გასტეხია და მოსაზღვრე ხევსურეთის სოფლებში უფიქრიათ გადასახლება.

„წავიდნენ, თურმე, ოთხი ძმანი თათუაშვილნი და აბა თავისი შვილებით.“

„მოწმაველმა განაყრებმა“, ისინი (მარტიანი) – მიწის სიმცირის გამო, ვერ მიიღეს და იძულებული გახდნენ – გველეთელი ველგუჯაურ არაბულებისთვის წაერთმიათ სოფ. აჭეხა (რომელიც გიგაურების გადასახლების შემდეგ ჰქონდათ დაკავებული).

თათუას ჩამომავლები იქ დასახლდნენ, გამრავლდნენ და რამდენიმე გვარად დაიშალნენ.

აბას შვილები ბაკურხევში დაბრუნდნენ, რადგან აჭეხაც მიუდგომელი და მცირე მიწიანი გამოდგა (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

*

ხანგრძლივი დროის განმავლობაში – მოწმაო თანამოძმეთა საადგილმამულო დავის ასპარეზად იყო ქცეული.

ამ ბრძოლებს რამდენიმე მამიშვილობა შეენირა.

მაღალი სიკვდილობა ხალხმა ურთიერთ შუღლს, მძლავრობას, სახვთო მიწების მიტაცებას და ღვთის რისხვას მიაწერა: –

„კინონის“ მძლავრობით მთელი სოფელი დროებით აყრილა და სხვაგან გადასახლებულა – მითვისებული ჰქონიათ როგორც მეზობლების, ისე სალოცავის ადგილები.

„ნანაისძენმა“ – მამულები წაართვეს მეზობლებს და სოფელმა ერთობლივი ძალით ამოწყვიტა ისინი.

„ალბექანთ“ – სახლი აუშენებიათ ჯვარის ადგილში...

*

მოწმაოს მფარველი საქერწვერის (მთავარანგელოზის) ჯვარია; „ფშავიდან არისო მოსული“ – სოფ. ცაბაურთიდან.

აღდგომიდან მე-15 კვირას, შაბათ დღეს – იქ, ათენგენობას აღნიშნავენ.

მის ქვემოთ, ბაცალიგოს პირქუშის ნიშია.

„ორივე ხატის დღეობა ერთ დღეს მოდის.“

„მთავარია ბაცალიგობა. იქ იკვლება საკლავი.

მთავარანგელოზში მხოლოდ სანთელს ანთეპენ“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

სოფლის მოშორებით (საქერეში), მაღალ მთაზე, წმინდა გიორგის ხატია, სადაც მარიამობას აღნიშნავენ.

მოწმაოელი არაბულები ბაცალიგოშიც დადიან სალოცავად.

*

1855 წელს – მოწმაოში, 17 კომლი სახლობდა (28 მამაკაცი და 24 ქალი);

1926 წლის აღწერით, არაბულების 23 კომლი (87 სული) დარეგისტრირდა – ჩუ-ჩაყეურ-ფიცხელაურების შტოდან.

„ამ სოფელში სულ არაბულები ვართ, ძირად ფიცხელეურები. ბაკურხევიდან ვართ გადმოსული... უწინ ეს ადგილი ცაბაურებს ჭერიათ“ – გვამცნობს ვ. ბარდაველიძის მთხოვნელი.

ბალათერ არაბული

ძირის-ძირობით ჩუჩაყეურ-ფიცხელაურების ურჯუკათ მამიშვილობის წარმომადგენლია არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული, მაიაკოვსკის სახელობის საერთაშორისო პრემიის, დავით აღმაშენებელის, ილია ჭავჭავაძის და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი – „ფაზისის“ და ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დავით აღმაშენებელის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე – ბალათერ არაბული.

მისი ლექსები თარგმნილია იტალიურ, ესპანურ, რუსულ, ინგლისურ, ბულგარულ, უკრაინულ, სომხურ, მონღოლურ, ლატვიურ და სხვ. ენებზე, შესულია რამდენიმე პოეტურ ანთოლოგიაში. იყო – საქართველოს საერთო-ეროვნული მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, გაზეთ „ლომისის“ და უურნალ „ნობათის“ მთავარი რედაქტორი – უურნალ „ცისკარის“ პოეზიის განყოფილების გამგე – საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაცია „ნუგეშის“ პრეზიდენტი.

მოწმაოში – მისი მამა-პაპის ნასახლარი არის შემორჩენილი.

პოეტი სულისშემძვრელი სიტყვებით ეხმიანება დაცარიელებულ მშობლიურ კუთხეს: –

„ნუ გამახსენებთ ბავშვობის სოფელს,
რომელიც უკვე აღარ არსებობს
და სადაც ახლა ნასახლარებში
შალან-ჭინჭარი ჩასახლებულა,
სადაც ყორეებს
მოსდებია შამბის ბურუსი
და ორლობეც
უცხო ბალახს გადაუფარავს...“

აქ აღარავინ მეუბნება:
„მახვედ მშვიდობით, ჯვარ-ანგელოზთ ებარებოდე...“

ჭირვეული მეზობლები

გადმოცემის თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავის ზეობის პერიოდში, ერთმანეთის მეზობლად სახლობდნენ – დათვისელი გიგა გიგაური, ცაბაურ-გოგოჭურთა ჩამომავალი ბეკი ბეკურაული და ლიქოკელი მარტოკაცი – მამესწვერა ფიცხელაური.

მამესწვერა – მოწმაოსა და აჭერაში, იმ მამულების დაცვას ცდილობდა, რომლებსაც გიგაურები და ბეკურაულები ედავებოდნენ.

სადავო ადგილები – „ისრის მისაწვდენ მანძილზე“ ჰქონდა მონიშნული.

გიგაურები და ბეკურაულები უფრო ახლოს იდგნენ იმ სოფლებთან და მისი მამულების მითვისებას ცდილობდნენ.

სამივე გვარი მტრად მოეკიდა ერთმანეთს.

გიგაურის სამართლით, ჯერ კიდევ ქრისტეს რჯულამდე, ეს ადგილები – სოფ. ბლომდე, მის გვარს ეკუთვნოდა.

მამესწვერამ: – გიგაურებზე წინ, გუდანის ჯვარმა და მეგანძურებმა დაიჭირესო ეს ადგილები.

ცაბაურ-გოგოჭურთა ჩამომავალმა – ბეკი ბეკურაულმა, სათავისოდ გამოიყენა მამესწვერას ნათქვამი: –

მაშინ, ეს ადგილი ჩემიც არის – რადგან მეგანძურის ძმა, გოგოჭა – პაპა იყო ჩემიო...

გიგაური რის გიგა იქნებოდა, ხმლისთვის ხელი რომ არ წაევლო. რამდენიმე მამული ძალით წაართვა მანწმოვლებს.

ბეკურაულმა და ფიცხელაურმა თანამოძმეთ სთხოვეს დახმარება...

სამაგანძუროს ხევსურნი, იმ დროს, ქისტეს ლაშქრავდნენ. გიგა გიგაური მათ ეხმარებოდა და ჭორმეშიონ-ბაცალიგველებმა – დაპირისპირების მშვიდობიანად მორიგება სცადეს.

ცოტა მოგვიანებით, საქმეში ბეკურაულის მომხრენი, ცაბაურნი და ბაცალიგველთ მოძმე ახადელი ფშაველები ჩაერივნენ – მუქარა შეუთვალეს გიგას.

მუქარა ეგრე არ უნდაო – გიგამ: ფშავლებს წინკარელი გიგაურები აუმხედრა და მოწმავლებს დათვისის წყალზე ჩადგმული წისქვილები დაუნგრია – წყალი ჩემი მხრიდან მოდისო...

ქირა-მინდის მიცემას – მამესწვერამ ახალი წისქვილის გამართვა არჩია – ქაჩის გორზე.

იქაც მიუვარდა გიგაური და დაუნგრია: – ქარი ჩემი (ანუ, საჩალეს) მხრიდან უბერავსო.

ამოუვიდა ყელში მამესწვერას – არ ჩამორჩა ჭირვეულ მეზობელს: – მზე ჩემი მხრიდან ამოდისო და საფქვავის გაშლის ნება არ მისცა.

გიგამ გორზე აიტანა ქერ-ხორბალი.

დაეცა ფიცხელაური და პურიანი ფარდაგები აუბერტყა...

ერთმანეთის შიშით აღარ ეძინათ ჯაჭვგაუხდელ მეზობლებს.

მამესწვერამ შეუვალ კლდეში გამართა სიმაგრე-სახიზარი. ველარაფერს გახდა

გიგაური. ვერაფრით გამოიტყუა კლდიდან მოწინააღმდეგები.

არაგვის ერისთავის მოსყიდულმა, იანვარა უძილაურმა – ლალატით მოკლა იგი. მკვლელს – ასეთი სკაბრეზით მოიხსენიებს სახალხო მთქმელი:

„ქურდ-ბოზო იანვარაო,
დედა გიგინეს ვირითა,
შენ მაჰკალ მამესწვერაი,
კოშკი ნაგები კირითა...“

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა სახელიანი ვაჟკაცის, ბეკი ბეკურაულის სახელიც:

„ბეკმა თქვა ბეკურაულმა:
ხმალმა ვერ დამაშინაო,
გიგაურაის ფრანგულმა
კოჭუკულმ გამაფრინაო,
დაგლიჯა ფარის გორგვლები,
ბორბალა დამარბინაო.“

გველეთი

სოფელი არაგვის ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, მაღლა გორზე, ზ.დ. 1550 მ-ზე.

ადრე – ეს ადგილი, ბლოდან ჩამოსულ გიგაურებს სჭერიათ.

ბარისახო, მაშინ, დასახლებული არ იყო. გუდელას მდგარა მხოლოდ მითხოდან წამოსული ქისტი სანაგი (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საჯულტო ძეგლები, ტ. II.).

მას შემდეგ, რაც ზურაბ არაგვის ერისთავმა გიგაურები აყარა, გველეთში პაცალიგოდან ჩამოსახლდა – სახელიანი ვაჟკაცი, ბიჩინაგა – გვარად არაბული. მისმა ჩამომავლებმა ბიჩინაგურობა გაიგვარეს და სხვა არაბულებისგან განსხვავებით, ბიჩინიგაურებად დაეწერნენ.

მათი რამდენიმე მამიშვილობა (დავითაურნი, ბაყილანი, ზეზვანი) საადგილმამულო დავას შეენირა.

ბაყილანი – „სიმრავლის გამო აზეზეურებულან, დაუწყიათ სიამაყე. ალარც ჯვარი სწამდათ... ალარც სოფლის უღური... ამიტომ თანდათანობით შემცირდა მათი მამა.“

ჯვარის ადგილიდან არ აიყარნენ და „ამ მიზეზით გათავებულან დავითაურნი“.

*

1855 წელს, გველეთში – 5 კომლი სახლობდა (9 მამაკაცი და 5 ქალი);

1926 წლის აღნერით, არაბულ-ველგუჯაურების 20 კომლი დარეგისტრირდა (45 მამაკაცი და 41 ქალი).

*

გველეთელი ველგუჯაური იყო არსენა არაბული – საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმის ვიცე-პრეზიდენტი (კურიორებდა – სამონადირეო-სათევზაო მეურნეობის ორგანიზაციულ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებს).

*

„გველეთის თავზე“ (საკმაო დაცილებით) მდებარე მთავარანგელოზის ჯვარი, ადრე, გიგაურების სალოცავი ყოფილა.

დღემდე შემორჩენილია იმდროინდელი ექვსი სამანი.

ხუთზე – „ანდრეზ ალარ ას.“

მეექვსე, რომელიც განცალკევებით არის განთავსებული – ხუთასი წლის წინ ჩაუდგამს გიგაურების გვარს – როცა სისვაურები ძმად შეყრიან.

გველეთელების ადგილისდედა ღვთისმშობელი (პირქუშის საპრძანისით) – სოფლის თავში მდებარეობს. ყორით შემოფარგლულ და იფნის ხეებით შემოსილ ტერიტორიაზე – ორი კოშკია განთავსებული. ერთი – ადგილისდედა ღვთისმშობელს ეკუთვნის; მეორე – პირქუშს და – ბაცალიგველი ბიჩინგაურების საერთო სალოცავის ადგილობრივ ნიშს წარმოადგენს.

დათვისი

არაგვის ხეობის მარჯვენა მხარეს, გველეთსა და მოწმაოს შუა მდებარეობს – ხეობის კუდისკენ, გიგაურთ ველიდან 4 კმ-ს დაცილებით.

„დათვებ ყოფილა იქ ბევრი, ლექსიც ას“:

„დათვისისა ჭალაზედა დათვი მეეხეხებაო,

ქვას ესრევენ ხიმშირანი, თოფი არ ეხერხებაო.“

არსებობს ტოპონიმი „დათვის სორო“, სადაც ზამთრის პირზე, კიშხევიდან გადმოსული დათვი – ყოველთვის შედიოდა დასაწოლად. დათვისელები ადიოდნენ და... პირდაპირ სოფელში ჩამოაგორებდნენ ხოლმე“ (გ. ხორნაული).

მთის ფერდობზე მდებარე ერთ ადგილას, რომელსაც „შეღმსოფელს“ ეძახდნენ, თავდაპირველად, გიგაურები მდგარან.

მერე, მათ ნასახლარზე, ბაცალიგოდან წამოსული („ვინმე ოსი“) გორელაური დასახლებულა, რომელიც იქ – „მწყემსად დადიოდა“, არაბულობა მიუღია, „მამიშვილითი გორელაური შეურქმევიათ და დათვისის მთელი ადგილები მისთვის დაუთმიათ.“

დ. ფიცხელაურის ცნობით (სავარაუდო, XVII ს-ის დასაწყისში), გველეთში ახალ-დასახლებულ არაბულ ველგუჯაურებს – მოჯამაგირედ ჰყოლიათ ვინმე გორელაური (გადმოცემით, ოსი ეროვნების კაცი), რომელიც დათვისის ხეობის ერთ-ერთ გორზე ყოფილა დასახლებული. ამიტომ დაურქმევიათ მისთვის გორელაური (პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

დასახლებულა გორელაური გველეთში, მაგრამ „ვაი ამ დასახლებას – გველეთელ არაბულებს გასაქანი არ მიუციათ მისთვის. არც საძოვარი დაუნებებიათ, არც სახნავ-ნათესი დაუნდვიათ და თავიანთი ცხვარ-საქონლისთვის შეუჭმევიათ... შეწუხებულა ნებიერ გორელაური, ხადუს წასულა და ზაიელისთვის დახმარება უთხოვია... მას, ჯუთაში, სახელგანთქმულ ბიჩინგაურისაკენ გაუსწავლებია...“ და მისი დახმარებით დამკვიდრებულა გორელაური დათვისში (თ. ოჩიაური).

ამის შემდგომ, ჯუთიდან – დათვისის ჭალაზე გადმოსახლებულა იქაური არაბულების რამდენიმე კომლი – ახალსოფელს ეძახდნენ იმ უბანს.

ბ. გამყრელიძის ცნობით, ჯუთელი და დათვისელი არაბულები მამიშვილობით ბიჩინაგურები არიან. ეს არის ძველი მამიშვილობა, რომელსაც დათვისში გამოეყო ახალი მამანი: – მარაისძენი, იდიანი, თოხოლჩანი, შვიდხინკალანი (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

ვ. ბარდაველიძის მთხოვნელის ვარაუდით: –

„ბიჩინაგურებ უნდა იყვნენ გველეთელებიც, მაგრამ ჩვენგან შორს არიან. კავკა-ვანი და ბარისახვანი (ანუ, ველგუჯაურები, გ.ქ.) გველეთელებისკენ იხრებიან (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).“

„ჯუთიდან რომ წამოსულან, გველეთელებისთვის წაურთმევიათ მამული, „რომელიც იმდენ ნაწილად განანილებულა, რამდენიც მებრძოლ ხმლიანი ყოფილა – საოცდასამად... მერე ზოგი ისევ ჯუთას წავიდა და თავის ბიძაშვილს დაუტოვა მიწა... რამდენი ჩამოვიდა, რამდენი დარჩა და რამდენი წავიდა – არ ვიცი... აქ ეხლა სამი მამა ვართ: – იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი. იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ და ჩვენ ძმათაშვილები ვართ. გორელანი ცალკე არიან, სხვანია...“

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს, ციტირებულმა „მთხოვნელმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცის. ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ. ისიც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ისინი ერთსა და იმავე დროს არსებობდნენ – როგორც სამი ცალკეული მამათა კოლექტივი... თოლოხჩას, რეალურად, ერთი ძმა ჰყავდა – თამარისძე. მათი შთამომავლობიდან შეიქმნა ჯერ ორი მამათა კოლექტივი: თოხოლჩანი და თამარისძენი, რომლებიც ამავე დროს ერთ საძმოს შეადგენდნენ; შემდეგში თოხოლჩას ოთხი შვილის (სუსუას, მანგიას, გარსიას და ფშაველას (ანუ, შალვას) შთამომავლობა ჩამოყალიბდა ოთხ მამათა კოლექტივად (სუსუანი, მანგიანი, გარსიანი და შალვანი, ანუ, ფშაველანი. ყველა ისინი ერთ, თოხოლჩათ საძმოს შეადგენდნენ. ასევე, თამარისძე – ოთხი ვაჟიშვილის (იდიას, უთურას, გაგას და თამარისძის) შთამომავლობამ მოგვცა ოთხი მამანი (იდიანი, უთურანი, გაგანი და თამარისძენი), რომლებიც თამარისძეთ საძმოს შეადგენდნენ... თოხოლჩათ და თამარისძეთ საძმოები ერთ თემს – იმედათ თემს შეადგენდნენ. ანუ, თემის ეპონიმი იყო იმედა, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია: – თილილა და მარაისძე, რომლებიც ისევე როგორც იმედა ეპონიმები გახდნენ – მათგან განვითარებული ჯერ მამების კოლექტივებისა, შემდეგ საძმოებისა და ბოლოს, სოფლის თემისა“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

გ. ხორნაულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„ამაყი ხალხი ყოფილან გორელაურები, მაგრამ ერთი უბედურება დამართნიათ: – ბოლოს, მამაკაცი იშვიათად იბადებოდა მათ გვარში და მეზობელი სოფლები ავი-წროებდნენ სიმცირის გამო.“ მაშინ უთხოვიათ არაბულებისთვის: – დასახლდით დათვისში, ურთიერთს ძმად მოვეკიდნეთო და – ასეც მომხდარა.

„ამის შემდეგ გორელაურნი არაბულობაზე გადასულან და დღესაც, გორელაურთ უკანასკნელი ჩამომავალი დათვისში ცხოვრობს, სამოც წელს გადაცილებულია და ეს გვარი მისით უნდა დასრულდეს, რადგან ვაჟი არა ჰყავს“...

თ. ოჩიაურის ცნობით: – გიგაურთ მიწაზე დასახლებული გორელაურები და არაბულები „დიდი ამბით ხვდებოდნენ მამა-პაპათა სალოცავში დღეობებზე მისულ

გიგაურებს: – ხეობის ბოლოს, ველზე ეგებებოდნენ საგანგებოდ ნადულარი ლუდითა და თაფლით სავსე ჯამით. ასე გრძელდებოდა მანამ გიგაურებმა იქ სიარული არ მიატოვეს“.

*

1855 წელს, დათვისში – 22 კომლი სახლობდა (46 მამაკაცი და 29 ქალი);

1926 წლის აღწერით არაბულების 28 კომლი (114 სული) დარეგისტრირდა, ძირითადად: – ბიჩინგაური მარაისძენი და ციხელაურნი.

ბ. გამყრელიძის ცნობით: –

დათვისის საცხოვრებელი ნაგებობები ხეობის სხვადასხვა მხარესაა განლაგებული და მათ სხვადასხვა უბნებად მოიხსენიებენ. ყველაზე ძველ უბნად „გალმა ქუჩა“ მიაჩნიათ, სადაც სახლები გზის პირას იყო განლაგებული. შემდეგ, ხეობის მეორე მხარეს, „საიფქლის გორზე“ ასულან (სადაც მარაისძენი ცხოვრობდნენ). თილილაანიც საკმაო მანძილით მოწყვეტიან სოფლის ძირითად დასახლებას და ცალკე უბანი შეუქმნიათ – რომელსაც ახალსოფელს უწოდებენ. ბოლოს სოფელში თილილაანი და მარაისძენი დარჩენილან. თოხოლჩანი ჯუთასა და ბარისახოში გადასახლდნენ, შვიდხინკალანი – გომბორში; დიანი – ახმეტასა და ქისტაურში (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

სხვა ცნობების მიხედვით: –

დათვისელები – „ჯვართვაკეს ზეით, სადაც გრილწყალია, იქ ცხოვრობდნან...“

„ახოთგორი სოფელი იყო ხთიშობლის ჯვარის ბოლოზე – ხალხი აიყარა იქიდან...“

„სახილეში, ერთ დროს, ქეთელაურები ცხოვრობდნენ, იმ ადგილს ჰქვია ორხევთ-შუა... გორელაურს გველეთელებისთვის ეს მამული უთხოვია და რო არ მიცეს – მერე დაკარგეს მთელი ტერიტორია...“

„ზენდათვისი ნაბაკურის ტერიტორიაზე არის, იმის ზევით ზენდათვისის თავია, კიდევ უფრო ზემოთ – საირმიას გორი...“

„მაგათ კიდურზეა ჩვენი და მოწმავლების საზღვარი.“

*

დათვისის მიმდებარედ – სამი სასოფლო სალოცავია: – ნაბაკურის ანგელოზი, ხთიშობელი და ადგილის დედა. დღეობას ერთად – წელიწადსა და ამაღლებას იხ-დიდნენ.

სამამაო სალოცავები დათვისელებს ადრინდელ სამოსახლო ადგილებში აქვთ.

ციხელაურების სალოცავი ბაცალიგოს პირქუშის ჯვარია. გორელაურები, მანგიურანი და იდიანი მისი ყმანი იყვნენ – ამ სოფელიდან არიან მოსულები.

დავითურათ სამამო სალოცავი – ზეისტეჩის ჯვარია.

საერთო-საგვარო სალოცავის – გუდანის ჯვარის ნიში, დათვისში არა აქვთ. ბაცალიგურის ნიში არის (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

გიგა გიგაური

დათვისში ედგა საკუთარი კოშკი გიგა გიგაურს.

გოლიათური აღნაგობის ამ სახელგანთქმულ ვაჟკაცს – „კისერში სამჯერ განასკული, ვერძის რქასავით დაგრეხილი ულვაში და შვიდმტკაველიანი ცელი“ ჰქონდა.

„სოფლიდან სამთო შარაგზაც თავად გაიტანა,“ დღესაც რომ „გიგაის ნაშარავალს“ ეძახიან.

მთავარანგელოზის ჯვარის ხევისბერი, თემის უფროსი, მთელს არაგვის ხეობაში სახელგანთქმული მეომარი იყო.

„ვაჟკაცობაში, კაც-შუაკაცობაში, მთიბელ-მამკალში ტოლს არავის უდებდა... გვერდს ვერ აუქცევდნენ გიგას სიტყვას შეყრილ ბჭე-კაცებში; ძნელად გადასაწყვეტი საქმეების მოგვარებაში“ (თ. ოჩიაური).

მისი თავკაცობით (XV-XVI სს-ში) აღზევდნენ დათვის-გველეთელი გიგაურები. ისინი სახლობდნენ აგრეთვე წყალსიქითასა და არხოტ-მიღმახევში, ფშავში დაკავებული ჰქონდათ წინკარი და კანალხევი. საერთო საფშავლო სალოცავის, ლაშარის ჯვარს ყმებიც იყვნენ და ბარისახოს ხმალა – მთავარანგელოზის ყმანიც – იქ აბამდნენ თავიანთ სალაშქრო დროშას. საგვარეულო სალოცავები ჰქონდათ – ჭიშებში, ბლოში, გველეთ-დათვისსა და გიგაურთ ველში.

აქტიურად მონაწილეობდნენ ლაშქრობებში.

„სამეგანძუროს ქისტეთ რო ულაშქრავ, გიგაისად უთხოვავ ჯარი, ქისტეთით ნადავლი რომ მაუღავ, ბელლისკარ მაუტანავ... გიგაურ-ზვიადაურისად მაშინ სკამ მიუცავთ.“

დღესაც, საპატიო ადგილას ძევს გუდანის ჯვარში – ქვის ის გრძელი სკამი, რომელზედაც ძლიერებისა და სიმტკიცის სიმბოლო – გაშლილი ხელის მტევანია ამოკვეთილი (შ. არაბული).

გიგა გიგაურის, სანაგ სანაგისძის და შიო სამხარაულის წინამდლოლობით – მთიელებმა რამდენჯერმე დალაშქრეს მუხრანბატონები.

გიგა შიშის ზარს სცემდა სამეზობლოსაც.

ბოლოჟამს, ისე გათავმეტდა, რომ მთელი არაგვის ხეობის ბატონ-პატრონობა მოინდომა.

რითი დამთავრდა მისი გაბუდაყება – არავინ იცის.

„მისი ნადგომი ნაკოშკარი ადგილი დათვისში, უნჯის ანგელოზის ჯვარმა დაიჭირა“ (შ. არაბული).

მის „ეპიტაფიად“ შემოგვრჩა ხალხური მელექსის ტევადი სტროფი: –

„ბლოელ ყოფილა გიგაი,
ოსაურ მეომარია,
ხმლითა სჭერია ადგილი,
მტრისგან სდგომია ძალია...“

*

ბევრმა დათვისელმა დაიმკვიდრა თანამედროვე კაი ყმის სახელი: –
კობა არაბული – ცნობილი პოეტი, კინოდრამატურგი და პუბლიცისტია. დააფ-

უძნა ეროვნულ ტრადიციათა ალორძინებისა და დაცვის შემოქმედებითი ცენტრი „სერაფიტა“. ხელმძღვანელობს მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონს.“ მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის მუშაობაში. მოამზადა ხევსურეთის ეკონომიკური განვითარების პროგრამა და მიწაზე კერძო-სათემო მფლობელობის მოდელი.

პოლკოვნიკი – გიორგი არაბული, სხვადასხვა დროს, საგარეჯოს, დუშეთის და თიანეთის რაიონების კრიმინალური პოლიციის უფროსად მსახურობდა.

ცნობილი სპორტსმენი, სპორტის ოსტატი კრივში, ირაკლი არაბული – საკავშირო ტურნირების სამგზის გამარჯვებულია, ოთხგზის პრიზიორი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მეორე ადგილოსანი – რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელი.

პოლკოვნიკი – დავით არაბული, სამთავრობო დაცვის უფროსად მსახურობდა; იყო შსს-ს შტაბის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი.

აჭერა

გველეთსა და ბარისახოს შუა მდებარე, მაღალ კლდიან-ტყიანი გორის თხემზე განთავსებული ნასოფლარია – ზედ გადმოჰყურებს ბარისახოს.

ფიცხელაურები სახლობდნენ (კოტორანი, მარტიანი და ბაგრატანი).

„ტყე გაუჩებიათ, ხელისგულის ოდენა მიდამო მოუსწორებიათ და საცხოვრებლად უქცევიათ. სოფლის წარსულს რომ შეიტყობ, მაშინ მიხვდები, რა სატკივარი აქვს გადატანილი თითოეულ მის მცხოვრებს – რა უმინობა, უპურობა და ამის გამო სხვებთან ბრძოლა ადგილისათვის“ (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, საერთო წარმომავლობა აქვთ ბაკურხევში, მოწმაოსა და აჭერაში მცხოვრებ არაბულ-ფიცხელაურების დიდ ნაწილს.

„ძნელად მისადგომობის გამო, სოფელი ადრევე დაიცალა. ომის შემდგომ პერიოდში ცხოვრობდა არაბულების ერთი თუ ორი კომლი. მათ შორის – მკითხავი ალ-დია“ (გ. ხორნაული).

აჭერაში ადრე მცხოვრები, ვინმე შანთია კალაური, როგორც ხალხური ზეპირ-სიტყვიერება გვამცნობს – „თანდათან გამრავლდა და აღარაად ვის აგდებდა, არც ხალხს და არც ჯვარ-ჯვარისკარს. გახდნენ თექვსმეტი სული.... გათამამდნენ და თავის დავლათს ხთიშვილთ დავლათზე მაღლა აყენებდენ“...

ბარისახო

გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1460 მ-ზე.

შედარებით გვიან დაფუძნებული სოფელია – ამჟამად, ხევსურეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი.

ამბობენ რომ: – ამ ადგილას (სავარაუდოდ, XV საუკუნის ბოლოს), პირველად – ჩეჩენეთიდან მოსული სისაურები დასახლდნენ. მათი სალოცავი – ხმალა (შემდგომში, მთავარანგელოზი) – ხევს გაღმა მდებარეობდა, გუდელასთან, პატარა გორაკზე – კლდის ძირში.

უფრო ადრე, ანდრეზის მიხედვით – იქ, ალვის ხე მდგარა, რომელსაც მირონი

სდიოდა. „ცას – ოქროს შიბით ყოფილა მიბმული...“ ზურაბ არაგვის ერისთავს მოუჭრია, არიშაულის დალატით.

შემდგომ აუშენებიათ ეკლესია, რომელსაც „თავიდანვე ჰქონდა მიკუთვნებული მამული-ხოდაბური – გუდალას... ულავით ამუშავებდნენ მას და მისი ნაღალურით იხდიდნენ დღეობის წესებს“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 234).

ლეგენდის თანახმად, გუდელასთან მდგარი ციხის და ალვის ხის ქვეშ, საიდუმლო დარანი ყოფილა. წმინდა ხიდან ჩამომდინარი მირონი წვეთავდაო – იქ ჩადგმულ ქოთანში. იქ ჩაიყვანა, თურმე – გუდანის ჯვარმა გახუა მეგრელაური. იქედან წამოილოო მირონი გუდანის ჯვარში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ბარისახოს ხმალას ანგელოზისადმი შენირული (XII-XIV სს) რიტუალური წყლის ჭურჭელი, ლომის გამოსახულებით, რომელზეც XVII-XVIII სს-ის წარნერაა შემონახული: „შემოგწირე მარაულმა საღირამ ხმალას და მთავარანგელოზსა.“

*

რამდენიმე წლის განმავლობაში, ხმალა-მთავარანგელოზის ეკლესიას დიაკვნად მსახურებდა მიხა ხელაშვილი.

სალოცავი ფშავ-ხევსურეთის გზის მშენებლობის დროს დაანგრიეს (1930 წელს). მის ადგილას მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი აშენდა – ე.წ. „ციხეურა“, რომელიც XX ს-ის ბოლოს დაინგრა. „ქვითვირის ძირი მთელივე გამოჩნდა“ და ნაეკლესიარზე – მრევლისა და მამა იოსებ გაჩავას ძალისხმევით – ხმალა-მთავარანგელოზის სალოცავი აღადგინეს.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სანამ ბარისახოს (სისაურების შემდგომ) – „მეგანძურები დაიჭერდნენ“ – იქ, პავლეურებიც მდგარან.

„მრავალრიცხოვანი გვარი ყოფილა... მანამდინ იყვნენ... აწუხებდნენ ხალხს. მოხნულ-დათესილ ყანებში უშვებდნენ პირუტყვს და არავის ეპუებოდნენ. ამაზე გაწყრა გუდანის ჯვარი და ჩაუგდო ისინი ხელში მტერს“ (ალ. ოჩიაური).

დიდი ალბათობით, ბარისახოდან ლტოლვილმა პავლეურებმა დააფუძნეს – ჭართალსა და ანანურს შორის მდებარე, გვარის თანამოსახელე სოფელი (პავლეური), სადაც, 1774 წლის აღნერით – მათი 13 კომლი სახლობდა.

მომდევნო აღნერებში, აღნიშნული გვარი აღარ ჩანს, მაგრამ სოფლის მცხოვრები – თავს ხევსურეთიდან მოსულებად მიიჩნევენ. ერთი, ძირ-გვარად ჭინჭარაულს ასახელებენ, მეორენი – ლაშქარაულს (რ. თოფჩიშვილი).

იმასაც ამბობენ – თითქოს, გუდელადან წასული ლაშქარაულები ფასანაურთან ახლოს დასახლდნენ და, დღეს, პავლეურის გვარს ატარებენ.

გავიდა დრო. დადგა მეგანძურთა ზეობის უამი და არაბულ-ჭინჭარაულებმა ხმლით დაიჭირეს ბარისახო.

არაბულების გვარი იქ წარმოდგენილია ველგუჯაურთა და ჩუჩაყეურთა ძირებით; ჭინჭარაულთა გვარი – ნადირაბადთა და კურდლელაურთა ძირებით (პ. გამყრელიძე,

ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

გ. რადეს ცნობით, 1855 წელს – ბარისახოში, 20 კომლი სახლობდა (47 მამაკაცი და 36 ქალი).

1926 წლის აღწერით არაბულებისა და ჭინჭარაულების 28 კომლი დარეგისტრირდა (115 სული).

*

ძველი ბარისახო (მთის ფერდობზე შეყოლებით) – სამ უბნად (ზენ, შუა და ქვენ ბარისახოდ) იყო დაყოფილი.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს: –

„ქენბარისახოს თავისი ჯვარი ჰყავს – ზენბარისახოს თავისი.

ქენბარისახოში კვირაეს ჯვარია;

ზენბარისახოში: – წმ. გიორგის ჯვარი, ღვთისმშობლის ჯვარი, სანება ახოს წვერისა და გერგეტის კოშკი.“

ღვთისმშობელს – არაბულები და ჭინჭარაულები ლოცულობენ.

წმინდა გიორგის ჯვარში დათვისელებიც დადიან: –

„დროშა სამი იყო, ერთი ჩვენი – ორი დათვისელთა... წინ-წინ სამივე დროშა დათვისში ყოფილა... მერე გაყრილა სოფელი და ერთი დროშა ჩვენ, არაბულ-ჭინჭარაულებს დაგვრჩა – ორი იმათ.“

სოფლის საერთო სალოცავი – ახოს წვერის სანება, ზენბარისახოდან სამხრეთით მდებარეობს, ტყეში, მთის წვერზე.

გერგეტის სალოცავი კოშკები, გადმოცემის თანახმად (მოხევეთა გამოცდილების გათვალისწინებით), ხევსურებმა – სეტყვის საწინააღმდეგოდ მოაბრძანეს ხევიდან; ააგეს: – ბარისახოს, ბუჩუკურთის და ოხერხევის მთებზე (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 35).

ბარისახოს სასაფლაო – შუასოფლის სამხრეთით არის განთავსებული, პატარა გორაკზე, რომელსაც „საფლავთ გორი“ ეწოდება. სამარხები განაწილებულია გვარების მიხედვით... გორის ჩრდილოეთი მხარე – ჭინჭარაულთ უკავია, ცენტრში არაბულები არიან დაკრძალულნი... საფლავები ორი ტიპისაა: ერთი – კოშკების მსგავსი, მეორე წარმოადგენს მიწაში ჩადგმულ სიპს, რომელსაც „მოწამე“ ჰქვია“ (ვ. ბარდაველიძე).

*

პირველი დაწყებითი სკოლა, ბარისახოში – 1890 წელს გაიხსნა.

ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი „მთელს ხევსურეთისათვის და ორი არაგვის ხეობაზე მდებარე ფშაველთა საზოგადოებისათვის“. მასწავლებელად ვაჟა-ფშაველას ძმა, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა) დაინიშნა. მოსაზღვრე სოფლებიდან ბავშვებს სიარული უჭირდათ და სკოლაში სულ 7-8 მოსწავლე დადიოდა.

1899 წელს, ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ 10 მოსწავლისათვის თავშესაფარი მოაწყო, „გზის მახლობლად, დავაკებულ ფერდობზე, მდგარ ქვიტკირის კარგა მოზრდილ შენობაში“, მაგრამ, ხევსურები სწავლით მაინც არ დაინტერესდნენ.

უფრო ფშაველები აქტიურობდნენ და შუაფხო-მაღაროსკარის საზოგადოებამ

ფშავში მოინდომა სკოლის გახსნა. საზოგადოების ნაწილმა, ჩარგალში მოითხოვა მისი აღდგენა, ნაწილი – მაღაროსკარში ცდილობდა ახალი სასწავლებლის გახსნას. დავა მაღაროსკარის სასარგებლოდ გადაწყდა. პირველ მასწავლებლად იქაც ბაჩანა (ნ. რაზიკაშვილი) დაინიშნა.

*

XX ს-ის 30-იან წლებში, სოფლის ძველი ადგილსამყოფელის ქვემოთ (ლ. ბერიას მითითებით), განთავსდა ხევსურეთის დღევანდელი ადმინისტრაციული ცენტრი, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებით (სასოფლო საბჭო, სკოლა-ინტერნატი, საავადმყოფო, მაღაზია, სასტუმრო).

1934 წელს, საზეიმოდ გაიხსნა ფშავ-ხევსურეთის გზა (დუშეთი-ბარისახოს მიმართულებით), რომლის მშენებლობაც 1930 წელს დაიწყო.

ბარისახოელი სისაურები

რ. ხარაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – „სისვაურების პაპას კაც მაუკლავ ჭანთეთ... ბიძა-ძმისწულნ ყოფილან და შატილში მასულან.“

„ძმისწულ შატილში დამრჩალ... იქიდან მოდიან ჩვენ განაყარნ ანატორელნი...“

„ბიძისაგან – ლიქოკელ სისაურებ გამრავლებულან...“

„სანაგ ჰრემევივ ამ პაპაჩვენს.“

„წამასულ და შაჰყურივ გველეთ გიგას (გიგაურს)... გიგას მიჰბარებივ.“

სანაგი

შატილიდან მოსული სანაგი, გადმოცემის თანახმად, დათვის-გველეთელ გიგაურთა მომიჯნედ – მანამდე დაუსახლებელ ადგილზე დამკვიდრდა.

„სახლ ბარისახოჩი გაუკეთებავ. სისაურთ ხოლნი ჰქვიან ეხლაც იმ ადგილს. ბალათერაის სახლ სისაურთ ხოლში ას...“

მეზობლებს, რომლებსაც, მცირე მიწების გამო, ისედაც ძალმომრეობა ჰქონდათ ერთმანეთთან, სანაგის გამოჩენა არ ეჭაშნიკათ – მათთან გამკლავება მას – მარტოს გაუჭირდებოდა და დამხმარედ – გიგაურები შეარჩია.

ის ჯერ „შორიდან უვლის მათ ციხე-კოშებს; მკლავთით ძლიერი მთიბელი და მკელი – ხშირად ეტანება მეზობლების მუშაში;“ გიგაურებთან შეკედლებას ცდილობს, მაგრამ უარით ისტუმრებენ: –

„ურჯულოს ჯვარში ძმად ვერ შევიყრითო.“

ბოლოს (გველეთის), მთავარანგელოზის ჯვარში თეთრი ხარით მივიდა („ხარქვაბი ქნა“) და სისკაურთ მთელი გვარის სახელით ითხოვა ძმობა.

დათანხმდნენ და, გიგაურ-სისკაურთა ძმობის ნიშნად, იმავე სალოცავში – სამანი ჩადგეს.

დღესაც ადგილზეა ხუთასი წლის წინ ჩაგდებული ეს ძეგლი.

*

ქისტეთიდან მოსული სისაურები – იქ მოლაშქრე ხევსურებს გვერდით დადგნენ, „როგორც იქაური ადგილ-გარემოს კარგი მცოდნენი.“

„თავკაცობდნენ მათ გალაშქრებას მითხოში და სხვაგანაც... სადაც კი დასაბე-გრავად წავიდოდნენ – ხმალას დროშას აპამდნენ და გამუძღვარებდნენ წინ ჯარს – ვიდრე მათ მეგანძურები აქედან აყრიდნენ და გუდანის ჯვარის დროშით დაიწყებდნენ წინამძღვრობას“ (ალ. ოჩიაური).

მეგანძურების გვერდით მდგარმა სანაგმა, ანდრეზის თანახმად, ბრძოლაში მოკლა ქისტთა ბელადი – საკაისშვილი. ხევსურებმა მათი კოშკები დალენეს, სოფლები გაბეგრეს და დავლა-ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ.

რატომ იქცნენ სისაურები საკუთარი ტომის მტრებად?!

რ. თოფტიმშვილის ცნობით, მათი წინაპარი, უფრო ადრე, საქართველოს ბარიდან ყოფილა ქისტეთში წასული. უცხო გარემოში დიდხანს ვერ გაუძლიათ და უკან (საქართველოში) დაბრუნებულან.

სანაგის სანაგი

სანაგმა როცა ძლიერების მწვერვალს მიაღწია, გადმოცემის თანახმად – სწორფერი ქალები გაიჩინა და მათი ლამეული სტუმარიც გახდა.

ამბობენ რომ: – ერთ გიგაურის ქალს მისგან ვაჟი ეყოლა, მაგრამ არავინ იცოდა, ვინ იყო ბავშვის მამა.

ერთხელ, ხატისკარზე თავშეყრილ ხალხში სანაგიც გარეულა. მისმა სწორფერმა ქალმა (რომელმაც შვილსაც სანაგი დაარქვა) – ბავშვს პატარა მშვილდ-ისარი მისცა და უთხრა: – იმ ნაბადწამოხურულ კაცს ესროლე და უთხარ: – სანაგის სანაგმა დაგკრაო.

პატარამ დედის დავალება შეასრულა და გამულავნდა მამის ვინაობაც: – ჩემი შვილიაო, უთქვამს სანაგს...

*

სანაგ სანაგის ძე მალე დავაუკაცდა და მამაზე მეტად გაითქვა სახელი.

ჯერ კიდევ უწვერულმა დაასრულა მამის დაწყებული კოშკის მშენებლობა; მერე, ხმალა-მთავარანგელოზის გამძღო-ხევისბერი გახდა, სალოცავის მიმდებარე ტერიტორიიდან განდევნა მეფის მოხელენი, მიითვისა ხმალა-შურისციხის კოშკები და შიგ თავისი ხალხი ჩააყენა... გიგა გიგაურთან და შიო სამხარაულთან ერთად, რამდენ-ჯერმე დალაშქრა სამუხრანბატონო: –

„სისაკურ გიგაურები და ორნი ძმანი ბურდულნი, მცხეთას ჩაუხტეს ბატონსა, დააწყებინეს ძუნძული“ – გვამცნობს სახალხო მთქმელი.

მუხრანის დალაშქრა 1561 წელს მოხდა.

*

ბარისახოს ხმალა-მთავარანგელოზის ჯვარს იქ მცხოვრები არაბულ-ჭინჭარაულებიც ყმობდნენ, მაგრამ, ჯერ კიდევ სანაგ სანაგის ძის სიცოცხლეში, მეგანძურები

უკვე საგრძნობლად ავინწროვებდნენ მათ სიახლოვეს მდგარ სხვა გვარებს – გუდანის ჯვარის მამულების გათავისუფლებას ითხოვდნენ.

„სხვა გვარებს“ დათმობა – არც უფიქრიათ.

სისკაურ-გიგაურებს გვერდით დადგნენ ქმოსტელ-ლელისვაკიონი ბურდვიაულები. ისინიც „გუდანის ჯვარის საბეგრო ადგილებში“ იდგნენ და სამუდამოდ ცდილობდნენ იქ დამკვიდრებას.

აკუშელთა თავკაცს, „ქუდნისლას თხრილიანი კოშკების ციხისთავს,“ შიო სამხარაულსაც – ცუდად ენიშნა მომიჯნე მეგანძურთა მოთხოვნები. ბარისახოში მასაც წილი ედო და არაბულ-ჭინჭარაულების წინააღმდეგ საპრძოლველად – სანაგის სანაგს დაუმოყვრდა:

„შიო ვარ სამხარაული, სკამს ვზივარ ახოვლისასა. სანაგის სანაგს ქალს მივცემ ყმაწვილსა თხუთმეტ წლისასა. არც არა ჩემ ქალ სწუნობდა, ნაბიჭვარს დუსურბნისასა“ – გვამცნობს ხალხური მთქმელი.

(განსხვავებული ვერსიის თანახმად, სანაგის სანაგს ცოლად – ბარისახოს მკვიდრის, გვარად პავლეურის ქალი შეურთავს).

ასე იყო თუ ისე, არაგვის ხეობის ძლიერი გვარები ხმალა-მთავარანგელოზის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ და მისმა გამძლო-ხევისბერმა, სანაგ სანაგის ძემ – გუდანის ჯვარის (ანუ, არაბულ-ჭინჭარაულების) სამეტოქეოდ – „წითელ-ატლასის დროშა ააბა.“

ბრძოლა მეგანძურების გამარჯვებით დამთავრდა და, როგორც ანდრეზი გვამცნობს, სანაგის სამი ვაჟიდან: ორი – არაგვის ხეობის მთისწინეთში (თვალივსა და ზენამხარში) გადასახლდა; მესამეს (სანაგის სანაგს) – ძმადნაფიცი ჰყავდა (გვარად ბასხაჯაური) ლიქოკის ხეობაში და იქ დამკვიდრდა.

სავარაუდოდ, ამავე პერიოდში მოხდა სისაურების – ხადას და ქსნის ხეობათა მთიან ადგილებში გადასახლება, სადაც მათ ახალი გვარი (დორეული) მიიღეს (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 17-18-19).

ანდრეზის თანახმად: –

ხმალა-მთავარანგელოზის ჯვარს „განძი ჰქონდა, რომელშიც ე.წ. „დევა-ტაფანი ერია – ვერცხლის ძველისძველად გაკეთებული თასები.“

„სისაურები რო აყრილან – სალოცავის დროშა თან წაულიათ და განძი გაუყვიათ“.

ვ. ბარდაველიძის და ალ. ოჩიაურის ცნობებით: –

ლიქოკის ხეობაში წასულებმა, განძის ნაწილი ახალ სალოცავში – კარატეს (კოპალას) ჯვარში გადაიტანეს (დაიკარგა 1922 წლის მოვლენების დროს).

რამდენიმე კომლი თვალივში გადასახლდა და განძის ნაწილი მათ წაიღეს. ნაწილი „თიანეთის მარჯვეს“ დასახლდა, სადაც საკუთარი სალოცავი დააარსეს.

*

გადმოცემის თანახმად, სანაგ სანაგის ძე ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაიღუპა – მტრის მიყენებული ჭრილობებით.

გოგოთურ ჭინჭარაული და უჭკუათ სულხანაური

„იმ ხანებში თუ ვინმე მთით იყო დაინტერესებული და ხევსურეთში მოუწევდა მოგზაურობა, უთუოდ გოგოთურ ჭინჭარაულის ოჯახში უნდა მისულიყო. ის იყო მათი მასპინძელი, მეგზური და მეანდრეზე... მას ხშირად სტუმრობდნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები, მიხეილ (ქაიხოსრო) ზანდუკელი, დავით პავლიაშვილი, აკაკი შანიძე, სერგი მაკალათია და სხვ... კაცთ-კითხული კაცი იყო, მცოდნე და შემნახავი ძველი ტრადიციებისა, განსაკუთრებით განიცდიდა გასული საუკუნის დასაწყისის ქვეყანაში შექმნილ ვითარებას – მის გავლენას მთიელებზე, „დრო-უამის გამოცვლას,“ მთიელთა ოდითგანვე დადგენილი ზნეობრივი ნორმების მოშლას (შ. არაბული).

„ხევსურთაზე მეტი იყო სიმტკიცით, სიმაგრით, პურადობით, პირდაპირობით, გვარის, ოჯახისა და ჯვარის წესების დაცვით, თავმოყვარეობით, ხევსურეთისათვის თავდადებულობით“ (ნ. ბალიაური).

თავის შვილთან, სულხანაურთან ერთად მონაწილეობდა ვაჟა-ფშაველას მიერ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ჩატარებულ ფშავ-ხევსურთა ყრილობებში – რომელიც მისი თავკაცობით იმართებოდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი ხევსურეთში როცა შევიდა, გოგოთურ ჭინჭარაულის სახლში დაბანაკდან.

„ბარისახოში, სადაც ჩვენ ვბინადრობდით – გოგოთურის ეზო და სახლი იყო. იქვე იდგა ქვითვირის პატარა ციხე, რომელიც გოგოთურის შვილს სულხანაურს ეკუთვნოდა. ის ისეთი ვაჟკაცი ყოფილა, რომ თურმე მარტოდ-მარტო დადიოდა ჩეჩინების სოფლებში და ხოცავდა თავიანთ მტრებს“ (ალ. სულხანიშვილი).

„სულხანაური სწორთაზე დიდად მამაცი, იარაღში კარგად გაწვრთნილი, ხევსურეთის რჯულის მცოდნე, თავმდაბალი და მხიარული ახალგაზრდა იყო; ძველი ოთხი კლასის ცოდნაც ჰქონდა (ნ. ბალიაური). საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ შემოირიგა იგი: – სამსახური მისცეს, ოფიცრის ჩინით ეროვნულ მილიციაში შეიყვანეს – მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბევრი ხევსურის მსგავსად, ისიც იძულებული გახდა – ტყეში გასულიყო.

საქართველოში არსებულმა იატაკქვეშა ორგანიზაციებმა მეამბოხე „ტყის ძმების“ გადაბირება დაიწყეს და ისინი სახელმწიფოსთვის ორმაგად საშიშნი გახდნენ. განსაკუთრებული ზედამხედველობა დაწესდა მათზე; სოფლებში საეგზეკუციო რაზმები ჩააყენეს და ტყეში გასულთა ოჯახების დარბევა დაიწყეს.

სულხანაური მესისხლე ხევსურებმა მოკლეს.

შვილმკვდარ მამას ტკივილით უთქვამს: – „ჩემ შვილს მაგის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა – მტერს მიჰყვებოდა – მტრის ხელს მხოლოდ ეს გამასდისავ....“

*

შვილის სიკვდილის შემდეგ, გოგოთურმა ათ წელს კიდევ იცოცხდა.

ისე დაიხოცნენ, არ შერიგებულან.

ძველის და ახლის ბრძოლის მიჯნაზე, პატრიარქმა ხევსურმა ერთადერთ ვაჟს –

ადათის დარღვევა არ აპატია...

სიკვდილის წინ, ახალი ტალავარი ჩაიცვა – შეჰყარა სახლიკაცები, „მოაყვანინა შვიდი-რვა წლის ყმანვილებიც კი და, განაცხადა: –

„მე თავს მოვიკლავ!“

„იცოდეთ, ვისთან რა საქმე გვაქვს გასარჩევი – სამტროც და სამოკეთეოც...“

„გამთენისას ხირიმის ხმას შაუძრავ მთები.“

*

„გუდანის ჯავრის ბეღელში დგას სულხანაურის შენირული სპილენძის ტაბლა, რომელზედაც ჯვარის ქადაგ-ქურუმი უამის წირვის ვერცხლის შიბიან რიტუალურ თასებს დააბრძანებენ და მეოთხე ჩამოყოლებაზე, სხვა სახელიან გუდანის ჯვარის ყმა ხევსურებთან ერთად, გოგოთურისა და სულხანაურის სულის სადიდებელსაც იტყვიან“ (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები).

კორშა

ხევსურეთის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ბარისახოს ქვემოთ, გზასა და მდინარეს შორის მოქცეულ ვიწრო ვაკეზე – ზ.დ. 1300 მ-ზე.

დასახლება XX ს-ის 50-იან წლებში გაჩნდა, როგორც ბარისახოს უბანი. ადრე, საძოვარი ადგილი ყოფილა ე.წ. „დიდი ჭალა.“

ბარისახოდან იქ, კიბესავით კლდეზე ჩადიოდა ბილიკი, რომელსაც „კიბირჭიან“-ს ეძახდნენ.

სოფლის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ხევსურეთის ყოფის ამსახველი XVIII-XIX სს-ის ექსპონატები: – ქალისა და მამაკაცის სამოსი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ავეჯი, სპილენძის ჭურჭელი, ფოტომასალა და მუზეუმის გამგის, შ. არაბულის, ფერწერული ტილოები.

მუზეუმი მისი თაოსნობით და სანდრო შანიძის ქველმოქმედებით არის აგებული.

ლიქოკის ხეობა და ლიქოკის თემი

ორწყლის ზემოთ, არაგვის მარცხენა მხარეს, აკუშოს და ლიქოკის ხეობები მოჩანს. ქვაბულო-აკუშოს მთაგრეხილი ჰყოფს მათ.

ლიქოკისწყალი – საქარის (აჭე-ხახმატის გამყოფი) ქედიდან მოედინება და ხევსურეთის არაგვს პატარა ვაკესთან ერთვის, რომელსაც „სალაშქრო ჭალას“ ეძახდნენ.

ხეობა – შურისციხის და „ხმალაის კლდეების“ მტკიცე ჭიშკრით იყო მტრისგან დაცული.

არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე შურისციხის სამაროვანი – XII-XIII სს-ით თარიღდება. გათხრებით გამოვლენილი ინვენტარი (ბრინჯაოს სამაჯურები, საყურები, ლილები, საკინძები, მინის მძივები და თიხის ჭრაქები) დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული.

ამბობენ: – ჩეჩინურ ენაზე – „ლიქოკი“ მთის ძირს ნიშნავსო.

როგორც ალ. ოჩიაური გვამცნობს: – იქ, „სამ ციხე მდგარა; ერთი ბასხაჯაურთა

– ჭალაის სოფელ; მეორე, იმის პირდაპირ – ბორტველთ ციხე და მესამე კვათელთ ციხე“ (ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ.).

სისაურების მოსვლამდე, აკუშოს და ლიქოკის ხეობებში: – კივკაზაურები, ყურაულები, მარანაულები, მარიამულები, პოხილაურები, ჭეტკოველები და გელ-დიაურები მდგარან. მათი დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში, თუშეთში წასულა; ზოგი – მეზობლებს დაუხოცავს, ზოგი – „ჯვარს გაუთავებია“.

ადრინდელი მცხოვრები – ბაციონთა, კვითიონთა და სხვათა სახით – კოპალას აუყრია... „თორმეტ გვარ ამავსწყვიტეო“ – მთხოვნელის პირით გვამცნობს ხთისშვილი.

„ბაციონნი – სოფ. ბაცედან ჩანან წარმომდგარნი...“ „ბაცალიგო ბაცეთ სოფელს ნიმნავს...“ „ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტი მდებარეობს ქისტეთშიც – არგუნის ხეობაში...“ ეს მიუთითებს იმაზე, რომ... „ლიქოკის ხეობაში, ადრე უნდა არ-სებულიყო ქართველთათვის უცხო ბაცბურ-ქისტური მოსახლეობა“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ. გვ. 77).

„ქაჯავეთის ლაშქრობაში“ მოხსენიებულია ბაცბური წარმომავლობის ვინმე – ლიქოკელი ჭოლიკიშვილი, რომელიც, იმ დროს – თავის ძმობილ ქაჯს, „ხთისკრობის“ დღესასწაულზე სტუმრობდა. მიმხდურებმა ისიც დაატყვევეს, მაგრამ კოპალამ, როგორც თავისი ყმა, „გამოიხსნა და შინ უვნებელი გამოისტურა.“

ლიქოკელებს ძმობა ჰქონიათ წყალსიქითელ ხორნაულებთან. ზურაბ ერისთავის ლაშქრობის დროს, ისინი მათ გვერდით მდგარან. ისე უომიათ – „კარატის ჯვარის სადეკანოზო ბეღელში მათთვის, სახორნაული ბროლის ქვა დაუდვიათ, რომელზეც მხოლოდ სალოცავში მისულ ხორნულს ჩამოსვამდნენ ხოლმე...“

აკუშო-ლიქოკის ხეობებს, დროთა განმავლობაში, მხოლოდ შეყრილობის გზით მიღებული ლიქოკელის გვარი შემორჩა.

მის ოთხ ძირითად შტოს მოიხსენიებენ: – ბასხაჯაურებს, სისაურებს, თაუგანს და ოჩიაურებს (განსხვავებული ვერსიით, ვაჩიაურებს).

ამბობენ რომ: – სამ ზემოაღნიშნულ განშტოებას, ხეობაში – ბასხაჯაურები დახვედნენ. მათი მამები ერთად შეყრილან, გაფიცულან, ლიქოკელის გვარი მიუღიათ და კარატეში ძმობის სამანი ჩაუდგამთ.

ივ. ლიქოკელის ვარაუდით, „ძნელი დასაჯერებელია... რომ (სისაურებს) იქ, თათრული წარმოშობის ბასხაჯაურთა (თავშიშველათა) გვარი დახვდა. ვფიქრობ, ეს გვიან წარმოშობილი სუროგატი თქმულებაა. ნამდვილი ანდრეზი ამბობს, რომ ბასხაჯაურნი წარმოიშვნენ ომში ტყვედ წამოყვანილი თათრისაგან, რომელიც შეიწყალეს – „ნუ მომკლავთ ძიმა (ძმა!) ვარო“ – შეძახილის გამო. დაარქვეს მას „ძიმა“ და მისი „ცხრა ძე“, ანუ, „ძიმაისძენი“, შემდგომში – აქტიურად იბრძოდნენ ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ეს XVII საუკუნის ამბავია. სანაგის შთამომავლობა კი აქ – XVI საუკუნიდან ჩანს (1568 წელს მათ მუხრანში ილაშქრეს)... „ძიმა“ მოყვანილი უნდა იყოს ბახტრიონიდან, ან ცოტა ადრე, ყიზილბაშებთან რომელიღაც ბრძოლიდან (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

თ. ოჩიაურის ვარაუდით: – „ლიქოკელი ბასხაჯაურნი საქართველოში თათრების გამოჩენამდე იდგნენ.“

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„ლიქოკელები სხვადასხვა წარმოშობისანი არიან... შედგებიან ოთხი გვარისაგან, მაგრამ ლიქოკელებად იწერებიან.“ ამ ოთხში, სამი გვარია-ო მთავარი, რომლებიც მკვლევარს – ხუნჩალაურების, ხახონაურების და ჩალხურიძეების ფრატრიებად აქვს დაყოფილი. „მეოთხე გვარი ბასხაჯაურებია...“

„ოთხივე გვარში აკრძალულია ერთმანეთში ქალის გათხოვება“ (გ. თევდორაძე, „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში,“ 1930 წ.).

ციტირებული მკვლევარის მიერ შედგენილ ხუნჩალაურების ფრატრიაში შედიან: – თაბაურნი, კოლონი, ჩოთანი, მაგიერანი, კურეტანი, პასუხანი, ხაწენი, ტუხანი, ობოლანი, ჭინჭანი, ხიმიკაურნი და ბალარანი.

ჩალხურიძეების ფრატრიაში: – ჯახანი, ბერანი, ლომიკანი, ყრუანი, ნათელისძენი და ფშაველანი.

ხახონაურების ფრატრიაში: – შუქაიძენი, უპერანგონი, ხახიკაურნი, ხახუანი და გამიხარდიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ: – ლიქოკის ხეობელი სისაურები და ბასხაჯაურები; კიმხელი თაუგანი და თუშეთიდან გადმოსული ოჩიაურები (ვაჩიაურები) – სხვადასხვა წარმომავლობის გვარებია და მათი შეყრილობით შეიქმნა ახალი ქართული გვარი – ლიქოკელი.

კიმხელი თაუგანის შთამომავლები, ამჟამად – ლიქოკელის გვარით, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში სახლობენ.

ჭალისოფელში სახლობდნენ თუშეთიდან მოსული ოჩიაურები (ვაჩიაურები).

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს: – ლიქოკელების მდგენელი გვარების გაერთიანება, ფაქტობრივად, მათი ერთ ტერიტორიულ თემში გაერთიანება იყო. ეთნოგრაფიული მასალები იმ დასკვნის საშუალებასაც იძლევა, რომ ადრე ლიქოკის ხეობაში მოსახლენიც ერთ ტერიტორიალურ თემად იყვნენ გაერთიანებულნი – კარატეს კოპალას გარშემო (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 18-19).

ლიქოკელი სისაურები

როგორც უკვე აღვნიშნე, ლიქოკელი სისაურების წინაპრები მეგანძურებმა ბარი-სახოდან აყარეს.

ცნობილ ვაჟაკაცს, ხმალას ჯვარის გამძლო-ხევისბერს, სანაგის სანაგს (გვარად სისაურს), ანდრეზის თანახმად, ძმადნაფიცი ჰყავდა ბასხანჯაური. ლიქოკის ხეობა, მაშინ, თითქმის, დაუსახლებელი ყოფილა – მისულა და მის მეზობლად დასახლებულა.

სანაგის ძის შთამომავალთაგან, როგორც ივ. ლიქოკელი გვამცნობს, ცნობილია სამი ძმა (მეორე თუ მესამე თაობა): – ხუტი, ლივი და დათვია.

ხუტის შთამომავალი ნებიერულნი-დან, „ამჟამად, აღარავინ არის – ამასწყდის!“

ლივი და დათვია, საკმაოდ რიცხვმრავალი და ცნობილი ქვეგვარების – „ჩალხურთა“ და „ხიმიკაურთა“ მამამთავრებად იქცნენ.

ჩალხურები – ბოქჩილოსა და კარწაულთაში დამკვიდრდნენ.

დათვიას მონაგარი – სოფელ შუბანში დასახლდა, მაგრამ, მალე – „ჯვარმა აყარა“

(ანუ, მეზობელთა ძალმომრეობამ აიძულა – ადგილის შეცვლა).

შუბანიდან ოტებული დათვია – აჭეში გადასახლდა და ცნობილ ბრძენკაცს, მამუკა გელდიაურს, ჩაესიძა. მისი შვილის თუ შვილიშვილის – ხახიკის, შთამომავლობამ ამ სოფლიდან გააგრძელა არსებობა-მოღვაწეობა (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

შ. არაბულის ცნობით: –

სამი სისაური ძმიდან: – დათვია (სახალხო გმირის – ხახიკის მამა), რომელსაც აჭიონი გელდიაურის ქალი ჰყავდა, სოფ. კვათეს გადასახლდა – გელდიაურის საქალოზე (ანუ, ზესიძედ). მეორე ძმა – ღივი, ბოქჩილოს ნასულა; მესამე ძმა – ხუტი კი, იქვე – „ხუტიანთ კარს“ დასახლებულა (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები, 1999 წ. გვ. 65).

*

სისაურთა ნაწილი, დროთა განმავლობაში, ლიქოკიდან – ხადას და ქსნის ხეობის მთიან ნაწილში გადასახლდა, სადაც ახალი გვარი (დორეული) მიიღეს (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 17-18-19).

ქსნის ხეობაში გადასული ლიქოკელი სისაურების ერთი ნაწილი, რომელსაც ჭურთის ხევში დორეულის გვარით უცხოვრია – ამჟამად ქართლ-კახეთშიც სახლობს. მეორე ნაწილი, რომელიც წითელულებად დაწერილან – საძეგურში და გეზევრეთში ცხოვრობენ. მათმა გვარმა, დროთა განმავლობაში, ფონეტიკური ცვლილება განიცადა; გაჩნდა – წითური და მწითური (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი).

ხადას თემში მისულ სისაურებს, ჯერ ქალაქეთის კოშკებთან უცხოვრიათ, მერე, იქვე ახლოს, სოფ. იუხოში გადასულან და ქვიცურის გვარს ატარებდნენ. მათი განაყრები არიან ამჟამად კახეთში მცხოვრები სამნიაშვილები და ვლადიკავკაზში გადასახლებული ქუცურები (ქვიცურები).

ხადელ სისაურთა განაყარია გომურთა გვარიც.

იუხოს ახალ უბნად ითვლებოდა მათი („გომურნის“) დასახლება.

ლიქოკის ხეობიდან წასულებად მიიჩნევენ მთიულ ჭიკაიძეებსაც. ისინიც ძირად სისაურები ყოფილან – სამი ძმანი: – ხაბაი, დათვია და ხუცესი. „რაღაც დაუშავებიათ იქა და მთიულეთში წამოსულან.

მათი ახალი სამოსახლოს ადგილას – ადრე, ტყე ყოფილა; გაუჩეხიათ – გაყრილან და სამ კომლად დასახლებულან.“

„სამად დაუნთიათ ცეცხლი – ვიღაცამ ერთად არ დაგვხოცოსო“...

დღეს, ისინი მთიულეთის ერთ-ერთ ძლიერ გვარს წარმოადგენენ.

*

ბარში ჩასახლებული სისაურები, ძირ-გვარის გარდა – ოცამდე ახალ გვარს ატარებენ.

ქობულო

აკუშოს და ლიქოვის ხეობის წყალგამყოფი ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, ლიქოვის ხეობის მარცხენა მხარეს – არაგვის შესართავთან ახლოს, ზ.დ. 1350 მ-ზე.

გ. ხორნაულის ცნობით, ქობულოს – ძველად, ბულნაცარი რქმევია. მკვლევარი – ორივე სახელწოდებაში, ყურადღებას ამახვილებს „ბულ“ ძირზე, მაგრამ რას ნიშნავს – გაურკვეველია-ო.

1873 წელს, ქობულოში – 11 კომლი სახლობდა;

1926 წლის აღნერით, ლიქოკელების 13 კომლი დარეგისტრირდა (50 სული);

1974 წელს – 4 კომლი აღრიცხეს (18 სული);

ივ. ლიქოკელის ცნობით, „სისაურები არიან ქობულოელი უპერანგონი და შუქა-ისძენი – ძველი ხახონაურები.“

*

სოფელს მიმდებარე მთის ფერდობზე, მაღრან-ქობულოს ღვთისშობლის ჯვარი დგას – გზის მარჯვენა მხარეს.

მისი უნჯი ყმანი ლიქოკელ სისაურთ გვარის დადლათ მამის შთამომავლები ყო-ფილან.

სალოცავის კომპლექსში ორი კოშკი და ერთი ორფერდა სახურავიანი შენობაა.

სოფლის ადგილისდედის სალოცავი მაღრანის გორზეა; ადრე, მას დარბაზიც ჰქო-ნია. ამჟამად, მხოლოდ კოშკი დგას.

ტოპონიმ კეოსთან, სადაც – ძველად, სოფლის საზამთრო ბინები იყო, კოპიტის და იფნის ხეებს შორის, ხმალას – სისაურთა ადრინდელი სალოცავის ნიშია (ალბათ, ბარისახოდან მოტანილი). მის კოშკთან ქობულოელი ქალები ლოცულობენ (ვ. ბარ-დაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ.).

სოფელის მიმდებარე ჭალაზე – ტყიანში, შემორჩენილია ტოპონიმი „ბერლოვინის სასვეე“ – სადაც „სვე უთესავთ ბარისახოელ ბერლოვანთ – ჭინჭარაულების ერთ მამაშვილობას“ (გ. ხორნაული).

მგელიკა ლიქოკელი

მედიცინის ისტორიაში შევიდა სახელგანთქმული თვითნასწავლი ქობულოელი დასტაქარი, მგელიკა ბაძიურას ძე ლიქოკელი (ბაძიურათ მგელიკა ხახონაური).

„ლურსმნის თვითნაკეთი ხვენითა და ხის ხმალიკით“ (XIX-XX სს მიჯნაზე) – თა-ვისქალას 100-მდე ტრეპანაცია ჰქონია გაკეთებული. ბალახებისაგან დამზადებული წამლებით არჩენდა „ნაჭრევიანებს.“ იყო ბრძენკაცი, ანდრეზების უბადლო მცოდნე და გამავრცელებელი.

„97 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით სავსე – ჭრილობის შეხვევისას მუშაობდა, როგორც კარგად ნაწვრთი ხელოვანი... ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჭრილობისა და რომელიც იყო დახელოვნებ-

ული მკურნალობაში. საითგან? ვეკითხებოდი ჩემს თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევსურები დანაშთია რომელიღაც კულტუროსანი ხალხისა, აქ თვალნათლივ მტკიცდებოდა... თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯადოსანს, რომელიც იდგა ჩემს წინ ვითარ ლანდი პრე-ისტორიული ხანიდან. მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალა“ (გრ. რობაქიძე).

ღვანლმოსილი მკურნალი, ღრმა სიბერეში დასნეულდა. საკუთარი დაავადების მიმართ უძლური აღმოჩნდა და, აუტანელი ტკივილების გამო, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

სხვა ხევსური მკურნალები

ბევრი ხევსური აქიმი იყო დახელოვნებული მკურნალი. ზოგ მათგანს (ალეკა ოჩიაურს, გუგუა ჭინჭარაულს, ბენინა არაბულს, თათარა წიკლაურს და სხვ.) – დღე-საც, დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ.

მაშველათ გიგია (ლიქოკელი) – ნატყვიარის მკურნალობის უბადლო ოსტატი, ვა-ჟა-ფშაველას „მანდილის“ ერთ-ერთი პერსონაჟის – „ექიმ გიგიას“ პროტოტიპია:

„ხელთ ყავარჯენი უპყრია, თავზე ვერცხლი აქვ დაკრული, მხარიღლივ ჩანთა ჰკიდია, დიდი მადლი აქავ დარგული, შიგ ულაგია წამლები, ათას წაკუნში შაკრული“...

ხალხური ქირურგიის განვითარებას – ხევსურეთში ხელი შეუწყო, ამ კუთხისათვის დამახასიათებელმა – „ჭრა-ჭრილობის“ ჩვეულებამ.

„კეჭნაობა“ – იქ, ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

თავ-პირი ხევსურებს სულ დაშნითა და საცერელით ჰქონდათ დასერილი.

დათვია ლიქოკელი

ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში თხზავდნენ ლექსებს და სიმღერებს – ცნობილი დასტაქარის ვაჟზე, დროის კვალობაზე – განათლებულ, უებრო ხმლოსანსა და ტყვიის მსროლელზე.

რამდენიმე მთავრობას მოესწრო.

ყველა უსამართლოდ მიაჩნდა და ყველას წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა.

მასთან იკრიბებოდნენ ტყები გასული სხვა აბრაგები (მიხა ხელაშვილი, ლევან ხავაზურაშვილი, ლევან სულხანიშვილი...) – კონტაქტი ჰქონდა ქაქუცა ჩილოყაშვილს და ნიკოლოზ ზანდუკელს.

ქაქუცას ხევსურეთში შემოსვლის წინააღმდეგი იყო. მისი გამარჯვების არ სჯეროდა. წინასწარმეტყველებდა: – მას გამოდევნებული ჯარი, ხევსურეთს აიკლებსო, მაგრამ ხალხს იარაღი ასხმული ჰქონდა და დათვია ლიქოკელიც მათ გვერდით დადგა.

აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შემდგომ, საბჭოთა მთავრობამ ზოგი აბრაგი შემოირიგა, ზოგი მოისყიდა, ზოგი ერთმანეთს დაუპირისპირა. მოღალატის ტყვიას და მეტების ციხეს ვერავინ გადაურჩა.

მხოლოდ დათვიას ვერ მოუხერხეს ვერაფერი. 15 წელი დაეხეტებოდა ტყე-ღრეში. ყოველ ნაბიჯზე კვალში ედგნენ, მაგრამ მაინც ახერხებდა თავის დაღწევას.

1934 წლის 25 ნოემბერს, ბარისახოში საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრების ზეიმს – ლ. ბერია დაესწრო.

ამბობენ, რომ მისი ხევსურეთში მისვლის მიზანი, დათვია ლიქოკელის შემორიგებაც იყო.

შესვედრა შედგა.

ბერიამ აბრაგს სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა შესთავაზა. დათვიამ – იუარა! ქვეყნის პირველი პირი ხელშეუხებლობას შეპირდა და ტყეში გასულ სხვა ხევსურებთან შუამდგომლობა სთხოვა: – თუ ისინიც იარაღს დაყრიდნენ, ხელისუფლება დანაშაულს აპატიებდა.

დათვია ვერც ამაზე დათანხმდა: – მხოლოდ საკუთარ ქმედებაზე ვარო პასუხისმგებელი.

ამ შესვედრის შემდგომ, მოუხელთებელი აბრაგი, ინჟინერმა ვ. გეჯაძემ. (რომელიც ხევსურეთის საავტომობილო გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა) – სამუშაოდ მიიღო...

დადგა 1937 წელი. დაიწყო მასიური რეპრესიები და შემორიგებული დათვია ლიქოკელი, ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური აჯანყების მცდელობის მოგონილი ბრალდებით – დააპატიმრეს.

14 გასამართლებული „ბრალდებულიდან“ – მხოლოდ მას მიუსაჯეს დახვრეტა. ძნელად დასაჯერებელი გამოდგა მისი სიკვდილი.

კოჭლა, ანუ ბაძიურათ ბაბო

1922 წლის ორწყალის ბრძოლამდე, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმი სამანევრო ოპერაციებს აწარმოებდა, როგორც ალ. სულხანიშვილი გვამცნობს: – ერთმა ცალფეხა მოხუცმა სამთავრობო ჯარის ხუთ ჯარისკაცს იარაღი აჰყარა – საკეტები გამოაძრო, აბგაში ჩაილაგა, თოფები მათვე აჰკიდა და ბარისახოსკენ გამორეკა. მოჰყავდა, თურმე, ტყვეები და თან ტუქსავდა: – „თუ მეტი შნორ არ გაქვთ, რაიდ მოჰდიხართ საბრძოლველად“ – ო.

ის მოხუცი გახლდათ, ცნობილი თვითნასწავლი დასტაქრის, მგელიკა ლიქოკელის ძმა – „კოჭლა“, ანუ, „ბაძიურათ ბაბო.“

მის დანახვისას, „ჩვენს შორეულ ბავშვობაში, წარმოვიდგენდით ხოლმე ილია ჭავჭავაძის გლახას... ჭალაში მდგარი ქოხის კარებში რომ შევნიშნავდით, ძლივს მოძრავ საპყარ არსებას... მაგრამ, თუ გულდასმით მოვუსმენდით უფროსების საუბარს, ლეგენდებად ჩაგვესმოდა – ახალგაზრდობაში შეუდრეკელი ვაჟუკაცის – ბაბოს ნამოქმედარი... იქნებოდა ეს მიღმახევური სოფლის, არდოტის მცხოვრებთადმი შებმა – მარცხენაში შუბით და მარჯვენაში ხანჯრით შეიარაღებული მარტო კაცისა – თუ მამა ბაძიურას მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ ბაბრზე (განსაკუთრებული სიდიდის დათვზე) ხმლით დატევება... გაგვიგონია იმ ხუთი კაცის დატყვევების ამბავიც... იმ დღეს ეს „უიარაღო და საპყარო“ კაცი შეეჩეხა მწყობრში უდარდელად მომავალ, მხარზე თოფგადაკიდებულ მტრის რაზმს. ზედ მიადგა თუარა – მეწინავეს თვალის დახამხამებაში მიაბჯინა გულზე თოფის ლულა, რომელიც საგანგებოდ გადაჭრილი, შენიღბული ჰქონდა მარჯვენა ყავარჯინის ტოტებს შორის... გონს მოსვლა არ აცალა ისე განაიარალა ხუთივე...“

„რაც ეხება მის დაკოჭლებას: – ტყეში, წიფლის ჭანდარის მოჭრისას, ხეს მოუყოლებია ქვეშ და დაუჩეჩქვია ბარძაყი... სახლში გაუკეთებია ამპუტაცია მის უფროს

ძმას, მგელიკას და კვლავ მამულის დამცველთა რიგებში ჩაუყენებია ეს მოუდრეკელი სულის ვაჟკაცი“.

„ლიქოკის ჭალაში რომ შევდივართ, გავცდებით თუ არა დათვიას უმცროსი შვილის, ჩალხა ლიქოკელის სახლს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ტყიანი ფერდობის ძირში – ნალკოტივით შემკული ჭალაა, რომელსაც, დღესაც, „კოჭლაის ჭალას“ ეძახიან (ივ. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, გვ. 92-93).

*

სოფ. ქობულოდან იყო ციტირებული ტექსტის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი, რამდენიმე საინტერესო წაშრომის, მათ შორის – „ხევსურეთის სისხლიანი 37“-ის ავტორი, ივანე ლიქოკელი.

მაღრანი

ამჟამად – ნასოფლარია, ლიქოკის ხეობის მარცხენა მხარეს, აკუშოსკენ გადასავალ გზაზე მდებარე – მაღალ მთაზე, ზ. დ. 1860 მ-ზე.

ლიქოკის და აკუშოს ხეობების დამაკავშირებელი ადგილია.

ნასოფლარის მიმდებარედ, ტყე-ველიანი ფერდობია სახელწოდებით – ფსითხი. მისგან სამხრეთით, ძველი ნასახლარები ფიქსირდება. გადმოცემის თანახმად, იქიდან ხალხი ხატს აუყრია.

რაფ. ერისთავი და გ. რადე სოფელ მაღრანს არ მოიხსენიებენ. ალბათ, ქობულოს უბნად მიიჩნიეს, იმის მიუხედავად, რომ მისგან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს.

მაღრანელი კოლუანი, ივ. ლიქოკელის ცნობით, სისაურ ხუნჩალეურთა მამიშვილობის განაყრები არიან.

კეო-კარწაულთა და ჩალხურნი

სოფელი კარწაულთა – ლიქოკის ხეობის ბოლოდან მესამე კმ-ზე იყო განთავსებული, ხეობის მარჯვნა მხარეს მდებარე მაღალ მთაზე – ზ.დ. 1755 მ-ზე.

1974 წელს – 3 კომლი სახლობდა.

სავარაუდო, მისი უბანი იყო კეო – ლიქოკისწყალის შესართავთან, გორის ძირში მდებარე პატარა დასახლება, რომელიც, ერთ დროს, აჭერაში მცხოვრები არაბული ფიცხელაურების ერთ-ერთ მამიშვილობას – მარტიანთ, მიუთვისებიათ.

ლიქოკელებმა ჯვარს დაარისხესო ისინი.

„კარწაულთა საბოსლო იყო ბოგჩილოსი... ჩვენ ჩალხურნი ორთ... ჩვენ და ბაგჩილოელნ ერთნი ორთ“ – გვამცნობს ერთ-ერთი იქაური მთხრობელი.

კარწაულელთა სასოფლო სალოცავს, ფინალეს (ადგილისდედას) – ბოქჩილოშიც უდგას დარბაზი და კოშკი, „სადაც წელინადს და ამაღლებას იხდიან“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.II, 1982 წ.).

სოფლის ძირითადი მცხოვრებნი იყვნენ სისაურები – სანაგის ჩამომავალი ჩალხ-

ურნი. მათი ერთ-ერთი შთამომავლის – ღივის, შვილებმა – სომეხამ და მინდოდამ, ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში ისახელეს თავი.
მინდოდას შვილი იყო ჩალხი. მის შთამომავლებს ეწოდათ ჩალხურნი.

*

შ. არაბულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ჩალხური ცალკე გვარია და ლიქოვის ხეობაში, სისვაურთა მოსვლამდე იდგა.

ჩალხურთ აბა

კარნაულთას მცხოვრები იყო – ერეკლე მეფის დროის სახალხო გმირი, „სამის ლეკის ბელადის მამკლავი“ – აბა ჩალხაური (აბა თოთიას ძე, ანუ, თოთიათ აბა).

ქისტ-ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში მან თავისი „ბანარაულა“ ხმლით გაითქვა სახელი – რომლის თიკუნიც კარგი ხმლის ეპითეტად იქცა, შემდგომში:

„აფშინას ბანარაულის შუქი შორს გაიფინება“-ო, გვიდასტურებს ჩარგლელი გენიოსი.

„ხმით მატირალი“ ლიქოველი ქალები, სიამაყით და კვეხნით „ამუქარებდნენ“ სხვებს – ჩალხურის „ბანარულას“.

მისი ხმალი დიდხანს ჰქონდა შემონახული, როგორც უძვირფასესი განძი – აბას ჩამომავალს, გიგიათ მგელას (ლიქოველს).

ამჟამად, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

ბოგჩილო

სოფელი – ხეობის სათავისეუნი (მის მარცხენა მხარეს) მდებარეობდა, კარატის მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე – ზ.დ. 1600 მ-ზე.

1873 წელს – 4 კომლი სახლობდა;

1926 წლის აღნერით, ლიქოველების 13 კომლი დარეგისტრირდა (65 სული);

2014 წელს – კარნაულთას, აჭესა და ბოგჩილოში აღარავინ ცხოვრობდა.

ამბობენ რომ: – ადრე, ბოგჩილოს საბოსლო იყო კარნაულთა.

იქ დაბრძანებულ სასოფლო სალოცავს – ფინალეს, ბოგჩილოშიც ედგა დარბაზი და კოშკი.

ორივე სოფლის მცხოვრებნი – ძირად, სანაგის ჩამომავლნი იყვნენ – ჩალხურთ მამის სისაურები: – ბოგჩილოელი – ჯახანი, ლომიკანი, ბუენანი, მინდოდანი – და კარნაულთელი სუხანი (ივ. ლიქოველი).

ჭალაისოფელი და ბასხაჯაურები

ნასოფლარი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ლიქოვის ხეობის სათავეში, ხეობის მარცხენა მხარეს – ზ.დ. 1760 მ-ზე.

1873 წელს – 10 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით, ლიქოველების 10 კომლი დარეგისტრირდა (38 სული).

ივ. ლიქოკელის ცნობით, ჭალისოფელში სახლობდა თუშეთიდან მოსული ოჩიაურების ერთი და ხეობის უძველესი მკვიდრი ბასხაჯაურების ორი მამიშვილობა (დანაჭრელანი და ფილანი), რომლებსაც სისაურებთან სისხლით ნათესაობა არა აქვთ. ძმადნაფიცობა ჰქონდათ და ბოლოს, ყველა ლიქოკელებად ეწერებოდნენ.

*

ჭალისოფლის მიდამოებიდან (შუბნურისა და კარატის ჯვართა შემწეობით), ბასხაჯაურებმა აჟყარეს ბაცბური გვარები: – ბაციონი, კვათიონი, ჭეტკოელი, ბორტვიონი... მაგანძურების მოძმე გელდიაურნი... ფიცხელაურნი, მარიემულნი, ყურაულნი, პოხილაური... და, ბოლოს – ძმად შეფიცული სისვაურებიც – რომლებიც შუბნურიდან ლიქოკის ხეობის სხვა სოფლებში გადასახლდნენ.

„ძლიერი და რიცხვმრავალი ყოფილა ლიქოკის ხეობის უძველესი მკვიდრი გვარი, „თათარი“ ბასხაჯაური.“

„მათი წინაპარი „მთიბლური“, ანდრეზის თანახმად – „პირველად, უფრო მაღალ მთაზე მდგარა... იმ დასახლებას რქმევია „ბასხაჯაური“ – რაც თათრულად, თურმე, „არა აქაურს“ ნიშნავს.“

მოგვიანებით ჩამოსახლებულან ისინი – ჭალაში (ანუ, ჭალისიფელში).

თ. ოჩიაურის ვარაუდით: –

„მათი „თათრობა“ „სრულიად სხვა რაიმე მიზეზის გამო უნდა იყოს შეთხზული, რადგან ლიქოკელი ბასხაჯაურნი საქართველოში თათრების გამოჩენამდე უკვე იდგნენ.“

„ბასხაჯაურთა თანამოძმენი ყოფილან თუშეთიდან თუ ლეკეთიდან მოსული „თათარი ძიმაისძენი“, რომლებსაც „მეზობელთა სამუქაროდ“ მოუყვანიათ შუბნურის ჯვარი, რომლის ადრინდელი სახელი ყოფილა – დალი ხაჯი...“

„ბასხაჯაურნი – ამ ხატის უნჯი ყმანი გამხდარან – მსხვერპლად, თურმე, ცხენებს სწირავდნენ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

გადმოცემის თანახმად, ე.წ. ნერგის ანგელოზის კერაში, რომელსაც, ადრე, „დალი ხაჯის“ უწოდებდნენ – იფნის ხე ამოსულა და ამის გამო აყრილან შუბნურის მცხოვრები.

„წმინდა გიორგის ხატთან ბევრი ნაშალი და დაქცეული ხოვლებია. 63 უნდა იყოს. მათი უმრავლესობა შამბნარითაა დაფარული“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.II, 1982 წ.).

ლიქოკელი ყურაულებიც ბასხაჯაურთა ძალმომრეობით აიყარნენ. ისინი ტილჩე-ძექურთას და გუდან-გორშელმის ხეობებში გადასახლდნენ – თანამოძმებთან.

უფრო მოგვიანებით მოსული სისაურებიდან, ხახიკაურების წინაპარი დათვია, ბასხაჯაურების იძულებით – აჭეში წავიდა.

„თავგასულობის გამო... ბასხიჯაურის გვარი სამჯერ ისე გაათავა ჯვარმა... ერთ კაცზე მისულან...“ კარატეს – მათი გამრავლება არ უნდოდა, მაგრამ არც სრული ამონყვეტა სურდა, რადგან – ტახტის ყმანი, უცვლელი ხევისბერნი და ქურუმ-ქადაგნი იყვნენ... (შ. არაბული).

დროთა განმავლობაში – ბასხაჯაურები ლიქოკელის გვარზე გადავიდნენ.

თუშეთში ოდითგან მდგარი მათი თანამოძმენი, დღესაც, ბასხაჯაურები არიან.

*

„ჭალისოფლის თავზე – ვაკობზე, ადგილის დედის ნიშია („ხებეზა“), სადაც ჭირნახულის სამხევენროს კლავენ და ხატს – კარგ ამინდს შესთხოვენ“ (ვ. ბარდაველიძე).

სოფლის სიახლოვეს მდგარი „სათემო-სალიქოკო“ სალოცავი, იახსრის ჯვარი, სისაურების ერთ-ერთი მამის – ხუტის მამიშვილობის (ნებიერულნის) სამოსახლო ადგილში ყოფილა. „არ აიყარნეს“ ჯვარის საბრძანისიდან, „იახსარი გაუწყრა და ქალ-ქალიშვილიანად ამონყდნენ.“

„მათ მამაში, ერთპაშად, ოცამდი კაცი ითვლებოდა, თურმე, ხმლისა და თოფის ამტანი.“

სალოცავის უნჯი ყმანი სისაურები ყოფილან – „მათ მოუდიოდა ხევისბერობაც.“

ჯვარის დარბაზის უკან, მთის დაფერდებაზე – სიპერბიანი, პირამიდული ფორმის – „თამარის კოშკი“ მდგარა.

მინან ბასხაჯაური

ჭალისოფელის მიმდებარედ – საკულტო ნიშად ქცეული მინან ბასხაჯაურის საფლავია („დასტურთ საყენება“).

როგორც ანდრეზი გვამცნობს, „ციდან შიბის და ხატის სახით ჩამოსული კარატის ჯვარი“, მას შემდეგ, რაც ლიქოკელმა მწყემსმა გოგონამ (მინან ბასხაჯაურმა) და ბულალაურთ პატარა ბიჭმა (ბულალაურ ნანდაურმა) გაინანილეს – გოგონა ამ სალოცავის მკადრე გახდა.

„ჯვარ მინანს რგებივა და თავ ჯვართად შაუწირავ. ხატში მამკვდარა მოხუცებული. ვერ დაუძრავ ხალხს იმ ადგილშიით და იქ დაუმარხავთ“.

გადმოცემის თანახმად, სალოცავის მიდამოებში, ადრე, ისეთი ხალხი მდგარა, რომელებიც ხთისშვილს და მის მკადრეს – „არაფრად აგდებდნენ“ (ანუ – სარწმუნოებრივად თუ ეთნიკურად განსხვავებულნი იყვნენ).

ისინი – „სრუ დაულევავ ამ ხატსა...“

„ერთკე ჭეტკოელნ ყოფილან – გაუთავებია; მეორენ – კვათიაონნი, ბაციონნი, მარნეულნი...“

ხევსურთა რელიგიური რწმენის თანახმად, კოპალა რომ ხსენებული გვარებისთვის სასურველი (მისაღები) ღვთაება ყოფილიყო – „არც ამონყვეტდა და არც იმათ მამულებს დაეპატრონებოდა“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

*

ნახევრად მითოლოგიური წმინდა ქალწული – მინან ბასხაჯანური, დღემდე ითვლება კარატეს ჯავრის დამფუძნებლად, მის მეენედ და ქურუმ-ქადაგად.

სხვა სალოცავებშიც – „წინა-წინ იმას დაუწყავ ხევსურეთ ქადაგობა...“

ზოგი ანდრეზი – „წინოობით“ მოიხსენიებს.

აჭე და სისაური ხახიკაურები

ნასოფლარი მდ. ლიქოვისწყალის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს, ხეობის სა-თავეში – ზ.დ 1900 მ-ზე.

1873 წელს – 18 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით, ლიქოკელების 13 კომლი დარეგისტრირდა (51 სული).

სოფელი ორ უბნად იყო გაყოფილი: – ბაცედ და სატრედეთ.

მათ შეუა – გორზე მდებარე მამულს, დღესაც, „გელდიაურთად“ მიჩნევენ.

იქ, მამუკა გელდიაური მდგარა, მთელ ხევსურეთში სახელგანთქმული ბრძენებაცი:

„ჰკიოთხავდეს გელდიაურსა ანდრეზსა წინა-წინასა. გელდიაურიც განურჩევს ჯერ ჭკუას, მერე რკინასა“ – გვამცნობს სახალხო მთქმელი.

მამუკას ნადგომი – დღეს „ხატისად არის მიჩნეული.“

„სანამ ლიქოკელები მოვიდოდნენ, გელდიაურები მანამ დალეულან – ნაწილი აყ-რილა და წიფრანს დასახლებულა.“

მამუკა, ალბათ, უძეო და – აჭეში, გელდიაურების ბოლო წარმომადგენელიც იყო, რადგან მასთან „საქალოზე“ (ანუ, ზესიძე) მისულა – ბარისახოდან ოტებული – დათვია სისაური (სახალხო გმირის – ხახიკის მამა, ან პაპა).

ივ. ლიქოკელის ცნობით: –

აჭელი სისაურები არიან: – ობოლანი, ხელიანი, გამიხარდინი, ბლარანი და ხიმი-კაურნი (ძველი ხახიკაურები).

თავისი „ცოდნითა და თავდაჭერილობით, მორწმუნეობითა და თავმდაბლობით, ქალ-ზალსა, სუსტსა და ბერავისადმი მხარდაჭერით“, XVIII საუკუნეში, გამორჩეული კაცი ყოფილა დათვიათ გიორგი: – „მასთან მიდიოდა ყველა ჭკვისა და რჩევის საკითხავად. მის სიტყვას და პრინციპებს – სწავლობდნენ, იხსომებდნენ და იცავდნენ თაობები“ (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

*

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, ადგილის დედის ნიში ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელშია, მაგრამ მისი მთავარი საბრძანისი სოფ. აჭეა. „მახვენარი იქ საწირ-საკლავით მიდის, ლოცულობს, საქონლის გამრავლებას შესთხოვენ და როცა დეკული პირველ ხბოს მოიგებს, ადგილის დედას დაუკლავენ“.

„სისოურები ხუცობდნენ“ ამ სალოცავში.

*

აჭედან მთიულეთში წასულ, ერთი სისაურის შთამომავლებს – სოფ. ჭიკათკარში დაუფუძნებიათ და ჭიკაიძედ დაწერილან.

მათი ნაწილი, მოგვიანებით, ბოდავის ხევში გადასახლდა, ნაწილი ერწოში წავიდა; ნაწილი საგურამოში დამკვიდრდა და ჭიკაშვილად დაეწერა.

ხახიკ სისაური და ხახიკაურები

სისაურთა საერთო გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი მოდგმის, ხახიკაურთა მამა, გადმოცემის თანახმად, ხახიკი იყო – რომელსაც სამი ვაჟი ყავდა – ხუნჩალე, ხახონი და ოჩონა.

მათგან მოდიან: – ხუნჩალეურნი, ხახონაურნი და ხელა-გეჯუდანანი.

როგორც ივ. ლიქოკელი გვამცნობს: –

ყველაზე მეტად ხუნჩალეს შთამომავლები გამრავლდნენ (ბლარანი, ხიმიკაურნი, ჭილჭანი, დადღა-სუმბატანი, ობოლანი, მაგიერანი, კურეტანი და ბულეჯანურნი). ისინი („შაღმა და გაღმა“) – ლიქოკის მთელ ტერიტორიაზე განაწილდნენ. ზოგი მათ-განი ამონყდა, ზოგი აქეთ-იქით მიმოიფანტა…

„ბულეჯაურნი – გათავდნენ.“

ხუნჩალეურთა შტოდან ბევრი კაი ყმა მოდის (ჩაბაკის ივანეური, ბულეჯან და სუმბატა ლოხაურისძენი, მინდოდა და სომეხა, ბლარათ ძალლიკა, ჭილჭათ კვირიკა და სხვ.).

ხელა-გუჯედანანთ წარმომადგენლის, ოჩონას შთამომავლები დღემდე არსებობენ – ზოგი მთაში, ზოგი ბარში.

„მათი წინაპარი სწორედ ის ოჩონაა, აფრენილ როჭოს ხმლით რომ წარჰკვეთა თავი ჰაერში“ (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

*

ხახონის შტო (ანუ, ხახონაურნი), XVIII ს-ის დასაწყისიდან, თითქმის, მთელს ლიქოკის ტერიტორიაზე განაწილდნენ: –

აჭეში (ბაცეს) გამიხარდინი დამკვიდრდნენ – თოთიას, ძიკურას, ბაძიას, ბაჭყის და მათი შთამომავლების სახით.

ხახუანი – ქვემო ლიქოკში (კეო-ქვაბულობი) გადასახლდნენ და, XIX საუკუნეში, ორ მამიშვილობად გაიყვნენ: – შუქაისძენად და უპერანგონად.

ხახიკის შთამომავლებმა ლიქოკისა და აკუშოს ხეობების რამდენიმე სოფელი დაიკავეს: –

კამურთაში – ბლარანი დასახლდნენ; ქვაბულოს ჩრდილში – ჭილჭანი და ბექურანი; ხმელაგორა-სახრინას – მაგიერა-პასუბანი; მალრანს – დადღა-სუმბატანი; აკუშოს (ზურაბ ერისთავის მიერ სამხარაულთა განდევნის შემდეგ) – მაგიერანი, პასუხანი და კურატანი დაეპატრონენ; კიმხს – გეჯურანანი და ა.შ. (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

დროთა განმავლობაში, ლიქოკელების ნაწილმა ბარს მიაშურა; ნაწილმა – ოდესაც, თუშეთში წასულ თანამოძმებს.

ხახიკაურებმა – მომიჯნე აკუშოსთვის დაიწყეს ბრძოლა.

ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე მდებარე ეს პატარა სოფელი, სამხარაულების აყრის შემდგომ – სადავო და სამტრო გახდა.

მამულები, რომელიც სამხარაულებმა (ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისათვის) – ლიქოკელებს უბოძეს, ფშაველ უძილაურებს ჰქონდათ დაკავებული. მათი თავკაცი – ამალღი იყო მასზე გაბატონებული და გაღმა-გამოღმა მხარეს

არავის აჭაფანებდა.

ხახიმა – მისი მოკვლა გადაწყვიტა და „სანადიროდ,“ ჯერ კიდევ უწვერული თავისი ვაჟები (ხახონი და ხუნჩალე) გაიყოლა.

„ლამით, ისრის მისაწვდენ მანძილზე ჩაუსხდნენ ამლალის სახლს და მოფარებულ ადგილას საყუჩი გამართეს.“

„ხახონის ნასროლმა ისარმა მოჰკელა ამაღლი...“

„მისი სიკვდილის შემდეგ, უძილაურთას, აღარვინ გამოჩნდა დაკარგული ადგილის დამბრუნებელი.“ შერჩათ ხახიკის შთამომავლებს აკუშო, მაგრამ ბრძოლა მაინც დიდხანს გაგრძელდა.

XVIII ს-ის შუა პერიოდში, აკუშელმა ბრმა გოლიათმა, მგელათ მგელამ – თავში ქვის დარტყმით მოკლა – ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად მოსული უძილაურთა თავკაცი...

დავა სამეფო კარამდე მივიდა...

ასწლეულების მტრობა, როგორც იქნა, დაძმობილებით დამთავრდა.

აკუშელი ხუცესი, გიორგი ლიქოკელი და უძილაურთ ხევისბერი, იოსებ კოჭლიშვილი, ყოველ ციხეგორობას – ხატისკარზე დროშების გადაჯვარედინებით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ხახონ ხახიკის ძე სისვაური (ხახიკაური)

აჭიონი იყო სანაგ სანაგის ძის ჩამომავალი, ლიქოკელ ხახონაურთა მამა – ხახონ ხახიკის ძე სისვაური (ხახიკაური).

როგორც ანდრეზი გვამცნობს (სავარაუდოდ, XVIII ს-ში), თუმეთიდან მომავალ ლიქოკელთა სალაშქრო-სამლოცველო ჯვარიონს, რომელთა უმეტესობაც, ჭანთეთ-ტერელოდან თავსისხლს გამორიდებული სანაგის ჩამომავლები იყვნენ, ნაროვნის (ბორბალოს) ლელესთან, მეკოპრე ლანგ ისთიბარი დახვდა – ასევე, ჭანთელ-ტერე-ლოელ-ფხონეხელი მთიელებით – როგორც მოსისხლე მტერი.

სამოცმა ქისტმა გზა შეუკრა თორმეტ ლიქოკელს.

ამ ბრძოლაში იქცა სახალხო გმირად ლიქოკელ ხახონაურთა მამა, კარატეს ჯვარის მედროშაე დასტური, აჭიონი – ხახონ ხახიკის ძე სისვაური (ხახიკის ხახონი, ხახიკაური).

სასტიკ ბრძოლასა და ისრების ზუზუნში – ხახონი „ქვაზე შედგა, ზარ-დროშა ააჩ-ქამა, კარატეს ჯვარი მშველელად და შემწედ მოიხმო... მერე დროშა მიწაში ტარით დაარჭო და დაარისხა: – „ვინც ამას სამტროდ გადმასცილდების – სამ დღეზე მეტი არ იცოცხლოს, კარატეს ჯვარი გაუწყრესო...“

მერე, მტრის ბელადს „ისარი დაჰკრა... ყელში გასჩინდა, თურმე, ნატყორცნი“ – მომხდურთა შორის უპირველეს ქისტს.

ამ დროს, „კოპალა-კარატიონიც ჩამოეშველა, თურმე, თავის ყმათ – ვაც-ვერძის სახით...

იხუვლა კარატის ჯვარის ბეგარმა და რქებით გადათელა ქისტთა რიგები...“

სასიკვდილოდ დაიჭრა-ო თავად ხახონიც.

ულაკ მარიემილისძე გასძლოლია მის შემდგომ ხევსურთ ჯვარიონს:

„შიგ შადგა მარიემული,
ფერს დაიდებდა მგლისასა,
ზოგნი მასთესნა კლდე-კართა,
ზოგნი ნახრამთ ხერა წყლისასა...“

ხახონი – იქვე (ნაროვანს) დამარხეს.

კოშკი ააგეს იმ ადგილზე და საძირკველს დალენილი ხმლები ჩაატანეს: –

„ბორბალ აგებენ ციხეთა, ბროლ-მარილაის ქვისასა,
ლიბულ უდგამენ ვადათა ხახიკო ხოხანის ხმლისასა...“

დაწესდა ადათიც: –

„გამვლელმა იმ ადგილას თეთრი ბროლის ქვა უნდა გადააგდოს და თქვას: –

„ღმერთმა გაცხონოს, ხახონო, შენ ჩამომავლობაში არ დაილივას ხმლიანი...“ (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

დღემდე შემორჩენილია „ბროლის ქვათ გროვა“, რომელსაც „ბროლმარილაის ციხედ უხმობენ.“

თუმეთს მიმავალი ჯვარიონი ამ ადგილას „დროშას აბრძანებს.“

*

ნაროვნის ბრძოლის მონაწილეთ შორის ხალხური ზეპირსიტყვიერება მოიხსენიებს აგრეთვე: – ძალლიკა ხახიკაურს, ჯახნა ჩახლურს, ტინთელ თათარაულს, ჩაბაკის ივა-ნაურს, ვინმე – ბუშნსა და ბაღათერას.

ძალლიკა ხიმიკაური

სოფელ აჭეს, მადქვილოს გორზე ედგა თავისი ციხე-კოშკი სანაგ სანაგის ძის ჩამომავალს (ლივის შტოდან), ასპინძის ომის გმირს, მეფე ერეკლეს პირად მცველს და საქვეყნოდ განთქმული ხმლის პატრონს – ძალლიკა ბენიას ძე ხიმიკაურს.

მის შესახებ ვაჟა-ფშაველაც გვამცნობს.

მოვუსმინოთ ჩარგლელ გენიოსს: –

„ასპინძაში, როცა გაშელართული, თავგაჩენილი ერეკლეს ხმლითა კოხტა ბელადი სულსა ჰლევდა, მეფეს მაშინ თან ახლდნენ შვიდინი ხევსურნი ძალლიკა ხიმიკაურითურთ. ლეკ-ოსმალოს ჯარი, ნახა-რა უბედურებაში თავის სარდალი, აირია წეროს გუნდივით, როცა მას არწივი დაუტევს. სხვა ჩვენმა ჯარმაც მოუსწრო ამ დროს. ერეკლემ შეუძახა ქართველთა ჯარს: „ხმალი ამ წუნკალებს, ქართველები!“

გამხნევებული მეფის გამარჯვებით ჩვენი ჯარი დაერია დაწიოკებულ ლეკ-ოსმალოთ და დაუწყო თიბვა, როგორც ბალახს. ყველა მხედართა გარჯას ერეკლე თავის თვალითა ჰქედავდა. ყველაზე მეტად მოეწონა იმას ხიმიკაური ძალლიკას ხმალი და მისი ომი: – თითო შემოკვრით კაცს შუაზე სხეპდა. ერეკლე ომის დროს რას ეტყოდა, მაგრამ ომის მეორე დღეს დაიბარა ძალლიკა თავისთან და სთხოვა ძალლიკას, შენი ხმალი დამითმე და ფასი, რამდენიც გინდა, მიიღეო.

– ბარევალ ე ხელნ დამჭრენ, ერეკლევ! – უპასუხა ძალლიკამ.

– აი ჩემ ხმალს მოგცემ – სთქვა ერეკლემ, სართო სხვა იქნება.

– ვაი დედასა მტრისასა, ერეკლევ ბატონიშვილო, ეგ ხო ჩემ მოკვლა იქნების?!
მამკალ კიდეც, რაკი ხმალს გამამართომ.

ერეკლემ იცოდა კარგად, ვაუკაცისათვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო, მაგრამ რა ექნა, რომ თვითონაც ვაუკაცი იყო და ხიმიკაურის ხმალიც მეტისმეტად მოეწონა.

საქმემ იარა და იქამდე მივიდა, რომ დაუთმო ძალლიკამ და მის ნაცვლად მიიღო სხვა ხმალი და ერთი თოფი, რომელიც დღეს ხევსურეთში ინახება ხიმიკაურების ოჯახში; ამ თოფს ხევსურნი „ბატონიაანთეულ თოფს“ ეძახიან და ვისაც სურს მისი ნახვა, ამ სახელით შეუძლიან მოიძიოს და ჰანახოს.

ძალლიკა ხიმიკაურს იმ ვაუკაცობისა და ერთგულებისათვის, რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა; ის „ნაჩუქრობის ქაღალდი“ ამ 7-8 წლის წინათ მე ვნახე ძალლიკას შვილიშვილის ხელში. სპილენძის კოლოფში შენახული ჰქონდათ და იქნება დღესაც ისევ ჰქონდეთ; პატრონი დავას აპირობდა და არ ვიცი, საქმე როგორ წაუვიდა. ხოლო ის კარგად ვიცი, რომ დღეს მის პაპისთვის ნაჩუქარ მამულით სხვანი სარგებლობენ, სხვა მფლობელობს.

ალბათ განტურა ძალლიკა, „გულს შამოეყარა“, რომ ხმალი „ნაართვეს“ და ალარც ადგილი, მამულ-დედული ინდომა – მეფისგან ნაჩუქარი.

ამის შემდეგ, როცა კი ერეკლე ლაშქარს დაიბარებდა მთიდგან, ძალლიკა ხიმიკაურს პირველად მოიკითხავდა, მაგრამ ძალლიკა ადგილიდგან აღარ იძვროდა საომრად. მტერთან სალაშქროდ გამზადებულ ხევსურთა „ახალუხლებს“ კი ამას აბარებდა: – „უთხარით ერეკლე ბატონიშვილს, ავად არის-თქო ძალლიკაი...“ (ვაუა-ფშაველა, „ძალლიკა ხიმიკაური“).

ძალლიკასთვის მამულების ჩუქებას თ. რაზიკაშვილიც ადასტურებს: –

„მეფე ერეკლეს, თიანეთის მხარეზე, მისთვის მთელი რამდენიმე სოფელი მიუცია, მაგრამ ძალლიკამ ვადა გაატარა და ეხლა ის წყალობის წერილი – ისე უგდიათ...“

ეთნოგრაფიული ცნობებით, ხიმიკაურის შთამომავალი სისაურები, მოგვიანებით მაინც ჩასახლდნენ, მათი დიდი წინაპრისათვის, ოდესლაც, ბოძებულ მამულში – სოფელ ალაჭანს...

მეფისაგან ბოძებულ „ნაჩუქრობის ქაღალდსა და აზნაურობას,“ საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ – „ძალა ჰქონდა დაკარგული.“

მამულებსაც სხვები იყვნენ დაპატრონებულნი.

*

ძალლიკა ხიმიკაურის ისტორიული ხმალი – დღეს, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

კახოშვილი სისაურები

რ. თოფჩიშვილის ცნობით, შარახევსა და თიანეთში ჩასახლებული ლიქოკელი სისაურები, XVII ს-ში დაიშალნენ: – თურქიაშვილებად, სულხანიშვილებად, გონჯილაშვილ-მოსიაშვილებად, პატურაშვილებად და უშიკაშვილებად (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია, 1984, გვ. 19).

სისაურებიდან ნარმომდგარი რამდენიმე გვარი, დროთა განმავლობაში, ერთმანეთს ისე დაშორდა, რომ მათ შორის ნათესაობის ხსოვნა დაიკარგა. კერძოდ, ზემოთიანელი კახოშვილები, გონჯილაშვილები და ბატონის მკვლელობისთვის თიანეთი-

დან იმერეთში გახიზნული, „ერთი თიანელი სისაურის“ შთამომავლები, რომლებიც სისვაძეებად დაეწერნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბავშვობა – ზემო თიანეთში (კახოიანებში და მგელიანებში) მაქვს გატარებული – ჩემს უახლოეს ნათესავებთან.

საარქივო დოკუმენტების წარმოდგენამდე, ჩემს ბავშვურ მესიერებაში შემორჩენილ ცნობებს გაგაცნობთ: –

მდ. ალაჭანის (ალაჯანის) ორივე მხარეს, კახოშვილების 5 კომლი ცხოვრობდა – მათ დასახლებას ეძახდნენ კახოიანებს.

მათი ორი მამიშვილობა (კოტეანი და ლუარსაბიანი) მდინარის მარცხენა ნაპირზე სახლობდნენ, სამი (ივანეანი, გრიგოლანი და იორდანიანი) – მდინარის დინების მარჯვენა მხარეს.

კოტეანთ კომლის უხუცესის, კოტეს (კოტეას), ორი ძმა (ბაგრატა და კოფია) – უმემკვიდრეოდ დაეღუპა. კოტეს – ორი ვაჟი ჰყავდა: დავითი და ისიხი. დავითის ვაჟები (ტრისტანი და ცეზარი) ჩემი დეიდაშვილები იყვნენ. გვარის გამგრძელებელი მხოლოდ ცეზარს დარჩა, დიდი პაპის თანამოსახელე – კოტე.

ისიხი – მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.

ლუარსაბიანს ეძახდნენ ორ ძმას: – გიორგის და ლუარსაბს. ლუარსაბს სამი ვაჟი ჰყავდა: – რადია, ზურია და ვიქტორა; გიორგის ორი: – ერასტი და თენგიზი.

ივანედან (ივანეანიდან) მოდის ზაქარა – ჩემზე ცოტა ხნით უმცროსი – გოდორას მამა.

გრიგოლანი იყვნენ ძმანი – სოლომონი და სიმონი. სოლომონს სამი ვაჟი ჰყავდა: – ისიდორე, ლევანი და შაქრო. სიმონს ორი ვაჟი: – მიხო და ოსია.

იორდანე კახოშვილი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მისი ვაჟი – ელგუჯა (ჩემი სწორი და ბავშვობის მეგობარი), თიანეთში ცხოვრობდა დედასთან.

კახოშვილების ხუთივე კომლი – (მაშინ, ჩემი ხნის) გოგია თოთიაურის მეზობლად სახლობდა.

საარქივო დოკუმენტების თანახმად (სცსაა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 274, 1873 წელი; ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1752, 1886 წელი) – კახოშვილების წინა გვარი სისაურია. ისინი ორი გვარით – კახოშვილით და სისაურით არიან მოხსენიებულნი.

1873 წელს, სოფ. ტუშურთკარში, აღწერილია (№ 59) დავით ხიზანას ძე კახოშვილი, 38 წლის; მისი შვილები: ხიზანა (15 წლის), მიხეილი (14 წლის), ხვთისავარი (13 წლის), დიმიტრი (7 წლის). დავითის ძმა, მწირია; მისი შვილი, ანდრეი (15 წლის), ეგნატე (1 წლის).

დავითის ნათესავები: – თევდორე პაპას ძე (30 წლის) და მათე ბეროს ძე (23 წლის).

1886 წელს აღწერილია: –

(№ 56) კახოშვილი (სისაური) ხიზანა დავითის ძე (27 წლის); მისი ძმები: – მიხეილი (26 წლის), ხვთისავარი (25 წლის), დიმიტრი (19 წლის).

(№ 79) კახოშვილი (სისაური) მწარია (49 წლის); მისი შვილები: – ანდრეი (27 წლის), ეგნატე (13 წლის), დათიკო (8 წლის).

(№ 80) კახოშვილი (სისაური) თევდორე პაპას ძე (42 წლის).

(№ 81) კახოშვილი (სისაური) მათე ბეროს ძე (35 წლის).

ეჭვგარეშეა, რომ ჩემს მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოხ-

სენიებული კახოშვილების 5 კომლი – XIX ს-ის აღწერებით დარეგისტრირებული კახოშვილი-სისაურების შთამომავლები არიან.

არც ის არის გამორიცხული რომ: – ტუშურებსა და კახოიანებში მცხოვრები ჩემი ბავშვობის მეგობრები (და ნათესავები) – ძალლიკა ხიმიკაურის შთამომავლები იყვნენ.

*

თიანელი სისაურების სალოცავი – სასისოურო სამდმათა სალოცავი ყოფილა.

გონჯილაშვილები

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ზემო თიანეთში მცხოვრები გონჯილაშვილ-მოსია-შვილები ლიქოკელი სისაურების განაყრები არიან (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია, 1984, გვ. 19).

დათვისში არსებობს ტოპონიმი „გონჯილაყანანი“.

გონჯილა კაცის სახელი ყოფილა. მისი ოჯახი ზემო თიანეთში – ჯიჯეთში, გა-დავიდა და ამ მამიშვილობის ხევსურებმა – გვარად გონჯილაშვილი მიიღეს (გ. ხორ-ნაული).

გვარის ცნობილი წარმომადგენელი იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინ-სტიტუტის ზოგადი ქირურგის კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი გივი გონ-ჯილაშვილი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მამუკა გონჯილაშვილი – თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელია.

მათი გვარი, დღეს – თიანეთში, თბილისა და რუსთავში სახლობს. თიანეთის რაიონში 154 გონჯილაშვლია, თბილისში – 71, რუსთავში – 16 (ავთ. სილაგაძე და ანზ. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, 1997 წ.).

აჭელი, მოხევე და ქსნისხეველი ფიცხელაურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად (სავარაუდოდ, XVI საუკუნეში), სოფ. აჭეში, ლიქოკელების გვერდით – გუდამაყრიდან ხევსურეთში დაბრუნებული ბაცალიგოელი ფიცხელაურები დასახლდნენ (ალუდიკანის ერთ-ერთი მამიშვილობის – გამრეკელას შტოდან). მამესწვერას (XVII საუკუნე), ჩაბაკის ივანაურის (XVIII საუკუნე) და სხვათა წინაპრები.

მათი ნაწილი, დროთა განმავლობაში, თიანეთში გადასახლდა (კერძოდ, 1871 წლის ასპინძის ომის მონაწილე, სუმბატა ლოხაურისძე ფიცხელაური); ნაწილი – ხევში (ქოსლელი და სტეფანენიშვილი ფიცხელაურების სახით), რომლებსაც, XIX საუკუნის დასაწყისში, ქსნისხეველი (შემდგომში, აზნაურის რანგში ამაღლებული) ფიცხელაუ-რები გამოეყვნენ (არჯევანის შვილები – არქიეპისკოპოსი დოსითეონი და მისი ძმები).

იოანე ბატონიშვილის ვერსიით: – კავკასიის მთით მოსული აზნაურ ფიცხელაურ-თა წინაპრები ცნობილი არიან „ადრევე დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1299-სა.“

ხევში, სოფელ ქოსელში მისული ფიცხელაურები, გადმოცემის თანახმად, იქაურმა ფადიაურებმა ამონყვეტეს. თვითონ – მეზობლად, სოფ. ახალციხეში გადასახლდნენ და ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი მოხუცი ფიცხელაური ქოსელში დატოვეს. იმ მოხუცისგან წარმოსდგა-ო ორი ფიცხელაური ძმა.

ერთი მათგანი ქოსელში „დამრჩალა“, მეორე – სტეფანწმინდას დასახლებულა.

ვალ. ითონიშვილის ცნობით: –

სტეფანწმინდელი და ქოსლელი ფიცხელაურები „ცალ-ცალკე „საგოროულოების“ ბუნებას ამჟღავნებენ, ვინაიდან თითოეული მათგანის ფარგლებში რამდენიმე „გორია“ მოქცეული, ხოლო ორივე სოფელში მცხოვრები ფიცხელაურები, ხევის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ფიცხელაურებთან ერთად, „სახლიკაცობაში“ ანუ საფიცხელაუროში ერთიანდებიან.“

ქოსელში მცხოვრები ფიცხელაურების „საგოროულო“ მრავალი „განაყრობის“ მომცველი ერთეულია. მასში ერთიანდებიან ძველისძველი „ადრეგანაყარნი:“ – ღერენი, გელიენი, ბუშკიენი... მათთან ერთად დამოწმდა ისეთი ერთეულების არსებობაც, რომლებიც დასახელებული „ადრეგანაყრების“ „განაყრები და განაყართა განაყრები“ არიან. ამგვარი სეგმენტაციის შედეგად ქოსლელი ფიცხელაურების შიგნით ოცზე მეტი დასახელების ნათესაური ჯგუფის ათვლა ხერხდება. ყველა ამ ჯგუფის გამაერთიანებელი სახელწოდებაა ქოსელი, რომელიც ფიხცელაურების საგვარეულოს ერთერთი განშტოების ეპონიმის – ქოსელის სახელიდანაა წარმოებული“ (ვლ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 1960 წ. გვ. 72).

ლურბელა ფიცხელაურის სახელს უკავშირდება დაბა ყაზბეგის ძველი სახელწოდება – სტეფანწმინდა. მისი ბერობის სახელი ყოფილა სტეფანე.

მოხევე გოჩა ფიცხელაურის შესახებ არსებული გადმოცემა, საფუძვლად დაედო ალ. ყაზბეგის ნაწარმოებს, „ხევისბერი გოჩა.“

*

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქსნის ხეობელი ფიცხელაურები, რომლებმაც აზნაურის წოდება მოიპოვეს და ახალგორის მოურავები გახდნენ.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: – აზნაურობა მეფისგან მიუღიათ. მეფესვე გადმოუყვანია ისინი ხევიდან ქსნის ხევის სოფელ წირქოლსა და იკოთში (ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოსტორიული საკითხი, „მაცნე“, 1987 წ.).

იოანე ბატონიშვილის (1768-1830 წ.წ.) – „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერის“ (ანუ, განსხვავებული ვერსიის მიხედვით): –

აზნაურ ფიცხელაურთა „წინაპარი არიან ძველადვე კავკასიის მთით მოსულნი და მოსახლენი ქსნის ხეობასა შინა. ცნობილნი ადრევე დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1299-სა და შემდგომად მეფისა თეიმურაზისა და მეფისა ირაკლისაგანცა პატივცემულნი და მოხელედაცა დადგინებულნი ქსანსა შინა და არიან ან რაოდენიმე სახელად: 1. ბოქოულთ ხუცის შვილები 2. არჯევანის შვილები 3. რამინის შვილები 4. გიორგის შვილები 5. ივანეს შვილები 6. საამის შვილები 7. ბეჟანის შვილები 8. ამირანის შვილები 9. ბერის შვილები 10. თექთუმანის შვილები“ (გვ. 48, რიგითი № 9).

ქსნისხეველი ფიცხელაურები – გულმოდგინედ ირჯებოდნენ საქართველოს სამეფო კარის სამსახურში. ფლობდნენ სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებს. ყმე-

ბი ჰყავდათ – ლამისყანაში, ქირქოლში, იკოთში, ძეგლევში და კორინთაში. რუსული მმართველობის დამკვიდრების ადრეულ პერიოდში, როცა ერეკლე მეორის მიერ გაუქმებული საერისთაოს მამულების – ქსნის ერისთავებისთვის დაბრუნებამ, იქაური მოსახლეობის სერიოზული მღელვარება გამოიწვია და რუსული მმართველობისადმი დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა – აზნაური ფიცხელაურები აქტიურად დაუპირისპირდნენ ქსნის ერისთავებს.

არქიეპისკოპოსი დოსეთიოს ფიცხელაური

როგორც კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან ჩანს, რუსეთის წინააღმდეგ შფოთის წამომწყები და მთავრობის ურჩინი იყვნენ აზნაურები: – გლახა, ლუარსაბ და ნიკოლოზ ფიცხელაურები (ტ. IV, გვ. 458).

განსაკუთრებით აქტიურობდა მათი უმცროსი ძმა, მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი, ერისკაცობაში დიმიტრი ფიცხელაური (1774-1830 წ.წ.) – ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე – ქვათახევის, შიომღვიმის, თირის, ხოფის და ლარგვისის მონასტრების წინამდღვარი; ურბნისის, გორის, ოსეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ეგზარქოსის და კავკასიის მთის ქორეპისკოპოსი, გორის სავიკარიოს მღვდელმთავარი... ახალგორის მოურავის არჯევან ფიცხელაურის მეოთხე ვაჟი.

1811 წელს, საქართველოს კათალიკოს ანტონ II-თან ერთად, დოსითეოს ფიცხელაური – რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში დაბრუნებას ვეღარც ეღირსებოდა, მაგრამ, შემთხვევით გაუღიმა ბედმა. რუსეთის საიმპერატორო კარი კავკასიელი მთიელების, განსაკუთრებით ოსების, გაქრისტიანებით დაინტერესდა. იმპერატორმა (ალექსანდრე პირველმა) – დოსითეოსის პროექტი მოიწონა და ოსეთის სასულიერო კომისიას ჩაუყენა სათავეში.

1815 წლის გაზაფხულზე, არქიეპისკოპოსი ფიცხელაური საქართველოში დაბრუნდა და სასულიერო საქმიანობა განაგრძო...

ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიაში განისვენებს.

„მარხია მარცხნივ გვერდით კლიროსისა. წარწერა ქვაზედ გადასულია, რადგან დოსითეოსის დამარხვიდან დიდი დროა გასული (დ. ლამბაშიძე, „ანანურის ტაძრის წარწერილობანი“, „მწყემსი“, 1895 წ. № 5-6).“

აკუშო და სამხარაულები

ნასოფლარი – თანამოსახელე მდინარეობს, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე – ქუდნისლა მთის ძირში (ზ.დ. 1460 მ-ზე).

„ახლოს ნახვიდავ ქუდნისლა,
შასაძახებლად ტიალი...“

ამ ხეობის სოფელებს (აკუშოს, ბულალაურთას, კიმხს) მისასვლელი ლიქოკის ხეობიდან ჰქონდა – ქობულოს ზემოთ მდებარე ნასოფლარის მაღრანის სიახლოვეს.

აკუშო მისმა – მდებარეობამ ისტორიულ ადგილად აქცია.

ნასოფლარის მიმდებარე მაღლობიდან მშვენივრად მოჩანს, ოდესლაც, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, პირაქეთი ხევსურეთის ციხე-სიმაგრენი.

ჯერ კიდევ შემორჩენილია – თხრილიანი საგუშაგო კოშკები, რომლებიც ამ ხეობის მიმდებარების მქონე მდებარეობას და მათ გადაიზარდა.

ბის უძველეს მკვიდრ – სამხარაულებს ეკუთვნოდა.

ამბობენ რომ: – მათი ადრინდელი გვარი ჯამარაულია.

სისაურების, უძილაურების და ბულალაურების მომიჯნედ – მაშინ, აკუშოსა და კიმხში, სამხარაულები და სერაულები მდგარან.

სერაულების არსებობა – „სერაულთ ახოს“ ტოპონიმზე დაყრდნობით ივარაუდა მ. კანდელაკმა.

გ. ხორნაულის ცნობით, „სერათ ახო“ – ნასახლარებია, სადაც სერა სამხარაულის ოჯახი ცხოვრობდა.

ფშავ-ხევსურეთის დასალაშქრავად წამოსული მტერი – ხშირად მიადგებოდა ხოლმე ამ სოფელს.

აკუშო – მოიხსენიება ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძოლების ამსახველ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

ერთი ახალი წლის დილას, ზურაბი მოულოდნელად დაესხა თავს სამხარაულებს. ასეთი სადღესასწაულო დღისათვის – ვერაგულად გათვლილ თავდასხმას – მედგრად დახვდა მაინც აქაური „ქორ-შავარდნის ჯარი.“

თავგამეტებით უომიათ და, როგორც მელექსე გვამცნობს – დიდი ზარალით უკუ-აქციეს არაგვის ბატონი:

„კალოს გორთ ჩამამდინართა ისრით დასცვითნეს ყიანი.

უქას აწითნეს წისქვილნი, აკუშოს თავნი კლდიანნი.

ზურაბ ჩატირის ჩარგლის-კართ, როგორც რო ქალი თმიანი.

მსახურებ ეუბნებიან: „ზურაბ ვერ იყავ ჭკვიანი,

აკუშოს რად მიხვიდოდი? ჯვარი ხყავ დობილიანი“.

მოგდიეს ვანხევამდია, მშვილდნი მოგჭეხდეს რქიანნი,

მოგდევდესთ, მოგანუხებდესთ, ხმალნი მოგნკეპდესთ ფხიანნი.“

ავადხსენებული ამ ახალი წლის დღიდან რამდენიმე თვის შემდეგ („წელიწადიდან – კარატობამდე“), ზურაბ არაგვის ერისთავი განმეორებით დაესხა თავს – სალოცავად (კოპალეს) მიმავალ სამხარაულებს.

„დიდ ზარალში ჩაცვივდნენ“ მომლოცველები.

აჭელი სისაურ-ხახიკაურები დაშველებიან მეზობლებს, მაგრამ მაინც „იმარჯვაო“ ზურაბმა – უმოწყალოდ ხოცა, თურმე, ქართველი მთიელები.

ამ გამანადგურებელი თავდასხმის შემდგომ, სამხარაულები აკუშოს ხეობიდან აიყარნენ. თავიანთი ადგილი სისაურ-ხახიკაურ-ხუნჩალეურებს მისცეს და მამა-პაპის საცხოვრისი მიატოვეს.

მათი მიგრაცია ერწო-თიანეთში („საცა სიონია იქ...“) და ხანდოში მოხდა.

როცა იორი დააგუბეს, თიანეთში წასული სამხარაულობდნენ – ზოგი სართი-ჭალაში ჩასახლდა, ზოგი – ახმეტაში.

ხანდოში გადასახლებული სამხარაულები, მოგვიანებით, მელიქიშვილის გვარზე გადავიდნენ.

მათი მამიშვილობებია: – ბაბრიანი, თომაანი, გზირიანი, ნადირიანი (იგივე ჩაჩქანი), ჯამარიანი, ხულიანი, ობლიანი, გაგაიანი...

1774 წლის აღწერით, ხანდოს სოფელ წინამხარში (წინა ციხეში) სამხარაულების – 7 კომლი სახლობდა.

1831 წელს – სამხარაულ-მელიქიშვილების 12 კომლი (სცსსა, ფ. 254, დოკ. 1245).

1860 წლის აღნერით მელიქიშვილების 17 კომლი დარეგისტრირდა.

*

აკუშო-ლიქოვის ხეობებს გამყოფ მთაგრეხილზე, რომელიც უდელოს მაღალი თხემით მთავრდება (ზ.დ 1700 მ-ზე) – განთავსებულია ლიქოკელების მთავარი სათემო სალოცავი – „ვერაგი მტრის, ყველა სახის უნმინდური ძალის და ქვეცრიელთა დამთრგუნავი“ – კარატეს (კოპალას) ჯვარი.

აკუშელი და უძილაურთელი ფშავ-ხევსურნი – იქ, ერთობლივ დღეობას, „ციხეგორობას მართავენ.“

სალოცავის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საკოდე, ბელელი, საქვაბე და სამი „კოშკი.“

„კოშკები“ – ერთიმეორისგან რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული – ყრუ მასივებია.

ერთი მათგანი, რომელიც ბელის უკან დგას – „დროშის საბრძანის“ წარმოედგენს.

ბელელი, გადმოცემის თანახმად, ფშავლებს აუგიათ.

სალოცავის სათავსოს – ხის კოჭზე, სამი ზარი დევს. ყველაზე მოზრდილი (20 სმ. სიდიდის) – წარწერის მიხედვით, „წელსა 1870 თიბათვს“ შეუნირავს ივანე მაჩურეშვილ-გოგოლაურს.

საქვაბის კერასთან ჩამოკიდებული, ე.წ. „ქაჯავეთური ჯაჭვი“, გადმოცემის თანახმად, გახუა მეგრელაურის დროინდელია: – „რო გაუყავთ ნადავლი, კარატეს ერგონ ეს ნაწილარი“.

„საქვაბის უკან, ყორით ნაგები სასანთლე კოშკია... მის მახლობლად, კლდეზე მდგარი ციხე – თამარის სახელს ატარებს“ (ვ. ბარდაველიძე).

სალოცავში სამი სამანია ჩადგმული: –

ერთი – ბასხაჯაურთა და ლიქოკელთა შორის ძმობისაა, მეორე, მათი ერთმანეთში ქალის არ გათხოვებისა, მესამე – სისხლზე შურისგებისა (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ.).

კარატეს ჯვარის დარბაზში მიიცვალა და მის სიახლოვეს განისვენებს – მარადქალნული, მინან ბასხაჯანური.

აკუშოს სიახლოვეს მდებარე წმ. გიორგის ჯვარი წარმოდგენილია ხეებშუა აღმართული „კოშკის“ სახით – მშრალად ნაგები ყორის ნიშით და იქვე, ნანგრევი შენობით“ (ვ. ბარდაველიძე).

*

1855 წელს, აკუშოში – 24 კომლი სახლობდა (48 მამაკაცი და 33 ქალი);

1926 წლის აღნერით – ლიქოკელის გვარით დარეგისტრირდა 22 კომლი (91 სული).

ივ. ლიქოკელის ცნობით, აკუშელი სისაურები იყვნენ – ხაწენი, პასხუანი, მაგირანი, კურეტანი და ტუხანი.

კიმხი

სოფელი – აკუშოს ქვემოთ, ხეობის მარჯვნივ მდებარე ფერდობზე იყო განთავსებული.

„იქ არის ნიში შუბნურისა, რომელსაც ნერგის ანგელოზობით ლოცულობენ.“

გადმოცემის თანახმად, პირველად კოპალეს დაუჭერია იქ ადგილი. მერე – დაუპატიურია შუბნურის ჯვარივნები და ნიში გაუკეთებიათ.“

კიმხი – XX ს-ის 60-იან წლებში დაცარიელდა.

იქაური (თაგუნის ძირის) ლიქოკელები, ამჟამად, ყვარელის და ახმეტის რაიონებში (ძირითადად თეთრწყლებში) – ლიქოკელის გვარით სახლობენ.

*

კიმხის ქვემოთ, ციხეგორი (კოპალას საბრძანისი) და სოფელი ბულალაურთაა (სადაც ბულალაურები და ზურაბაშვილები სახლობდნენ).

*

აკუშო-ლიქოკის ხეობათა სისხლიან მიწაზე ასწლეულების განმავლობაში არ იყო სიმშვიდე.

კარატის ჯვარის ბორაყი – „გაუეკაური“, მუდამ წინ მიუძღვდა ათასი ჯურის მტერზე ამხედრებულ ლიქოკის მამაც შვილებს.

1800 წლის 7 ნოემბერს, როცა ქართველი ბატონიშვილები (გადამთიელთა ჯარებით) ერთმანეთს ებრძოდნენ – ის, თავის მედროშესთან ერთად შეენირა ნიახურას ბრძოლას.

ჯვარის დასტური, ბლარა ხახიკაური – გაუეკაურით მხარზე და ხმლით ხელში დაეცა ბრძოლის ველზე.

მაშინ დაიკარგა კარატის ბორაყი, რაც ლიქოკის უბედურების ნიშნად იქნა მიჩნეული (ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37, 2010 წ.).

1813 წლის აკუშოს ბრძოლა

აკუშოში სახლობდნენ ალ. ბატონიშვილის თანამებრძოლი ძმები – სუნბატა და ბაბუა მგელიასშვილები.

აღნიშნულის გამო, 1813 წლის ზაფხულში, შატილიდან მობრუნებული რუსის ჯარი, რომელმაც ალ. ბატონიშვილი ხელში ვერ ჩაიგდო, დიდი სისასტიკით შეიჭრა ლიქოკის ხეობაში.

ხალხმა – ტყესა და ხეობებს შეაფარა თავი.

მტერმა ქუდნისლას ციხე-კოშკები გადაწვა, მიწასთან გაასწორა და აკუშოს დაეცა.

ხევსურებმა საფრებიდან აუტეხეს სროლა და სერიოზული ზარალი მიაყენეს.

მტერმა დაბლა დაშვება დაიწყო.

მამუკა და ჯოულა არაბულ-რკინაულები ლიქოკელებთან ერთად, ხმალდახმალ ჩაჰუცნენ და სამთავრობო ჯარი – აკუშოს ჭალაში მოიმწყვდიეს – სადაც დათვისელ-

გველეთელ ხევსურები იყვნენ ჩასაფრებულები.

„მოასწრეს წყალ-წყულში ხევსურთა, იძლივნეს რუსნი და მოკვდა უმრავლეს ხუთასისა... დასჭრეს მუნ ყაფლანიშვილი ყაფლან მაიორი“ (თ. ბაგრატიონი).

ბრძოლაში თავი ისახელეს – ჭილჭათ კვირიკამ, ურკუკა გორელაურმა და პასუხამ – რომელმაც ტყვია დაჰკრა ყაფლანისშვილს.

1922 წლის აკუშოს ბრძოლა

ფხიტუსთან გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა მთავრობას – რუსის ჯარის და მარქსისტული იდეებით მოხიბლული ქართველებს თანადგომით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელში ჩაგდების და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საბოლოოდ მოსპობის შანსი გაუჩნდა.

აღნიშნული მიზნით, სისხლისმღვრელ ეგზეკუციასთან ერთად, მთელი ხევსურეთის ირგვლივ – რკალის შეკვრა გადაწყვიტეს.

ამ რთული სამხედრო ოპერაციის მარშრუტები სამი მიმართულებიდან იქნა დაგეგმილი. ცენტრალური: – ფშავის არაგვიდან; მარცხენა: – გუდამაყრის მხრიდან; მარჯვენა: – ივრის ხეობაზე.

სამივე მხრიდან შემოსული სამხედრო ნაწილების შეერთება უზრუნველყოფდა რკალს (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ალყაში მოქცევას) – თითქმის, მთელი ხევსურეთის ირგვლივ.

წითელი არმიის ცენტრალური შენაერთი ორწყლიდან შემოვიდა, უკანაფშავის ხეობაში შევიდა და არაგვის სათავეებამდე დაიკავა იგი.

ერთადერთი თავისუფალი გასასვლელის, უკანა ფშავის ტერიტორიის ბლოკირების მიზნით, აგვისტოს ბოლოს, ივრის სათავეებისკენ გამოემართა წითელი არმიის ძლიერი შენაერთი, რომლის ამოცანაც ჩოლოყაშვილისთვის (ფშავის მთებით) კახეთისკენ გასასვლელი გზის გადაჭრა და პირაქეთი ხევსურეთის რკალში მოქვევა იყო.

სექტემბრის პირველ დეკადაში, აღნიშნული საბრძოლო დანაყოფი, აკუშო-ლიქოკის ხეობათა სათავეებში შემოვიდა.

სადამსჯელო ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა პ. ძნელაძეს ჰქონდა დავალებული; აკუშოს ბრძოლის მეთაური კ. ლესელიძე იყო.

ლიქოკელები ხეობათა მიუვალ სიღრმეებში (იჩიტ-ლომელთანის ძირში) გაიხიზნენ. მათ გვერდით დადგნენ – ბარისახოს, გველეთის, დათვისის, მოწმაოს მცხოვრებნი და ზემო ხევსურეთის „კაი ყმანი.“

მტერი აკუშოსწყალის შუა წელზე დაეშვა და ფშავის სოფლის, უძილაურთას თავიდან („ირემთ კალოდან“) დაიწყო აკუშოს დაბომბვა.

დარწმუნდნენ რომ სოფელი დაცლილი იყო და ჭალისკენ დაიწყეს დაშვება.

ტყიან ფერდობებზე ჩასაფრებული ხევსურები ხელისგულივით დაჰყურებდნენ მათ.

ვინც მდინარის გასწვრივ გამოჩნდებოდა – „პირდაპირი დამიზნებით ცელავდნენ“...

მტერმა ფეხის მოკიდება ვერ შეძლო და, მთებზე განლაგებული ქვემეხებიდან, ცეცხლის ალში გაახვიეს დაცარიელებული სოფელი.

სახლ-კარის ზამთრის პირზე გადაბუგვა – ხევსურისათვის სიკვდილის ტოლფასი იყო.

გააფთრებული ბრძოლა კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, აკუ-შოსა და ლიქოკის ხეობათა გამყოფ (დაახლოებით 5 კმ-ის სიგრძის) ქედზე.

სამთავრობო ჯარი ქედის თხემის დაუფლებას ცდილობდა. ხევსურები ამის ნებას არ აძლევდნენ და ბრძოლით – თანდათან, კარატის მწვერვალზე ადიოდნენ.

აკუშო – აუღებელად აღიგავა პირითგან მიწისა...

გადამწყვეტი ბრძოლა კარატის მწვერვალზე მოხდა – სალოცავი კოშკის წინ გაშლილ 50-ოდე კვ.მ. ფართობის ბორცვზე: –

„ძლევამოსილი კარატის ჯვარი თავისი საბრძანებელი კოშკიდან და ლიქოკის წმინდა ზეციდან დაჰყურებდა თავის ყმათა შეუდრეველ სიმტკიცეს – ჰმატებდა ძალას და გამარჯვების რწმენას“.

„უღმერთო და უწმინდური რუსის ჯარისკაცის ქუსლი არ მიიკარა ამ წმინდა მთამ.“

მტერი იძულებული გახდა, აღმოსავლეთ კალთებზე დაშვებულიყო და ჭალაის სოფლისკენ აეღო გეზი.

იქიდან „თავსლელის“ (გუგას ჯვრის) გავლით, აჭის თავისკენ (საქარის მთისკენ) წავიდნენ და ამ მიდამოებში შეუერთდნენ – უკანა ფშავის სათავეებიდან წამოსულ წითელ რაზმებს...“

„დაიკავეს მთათა გასასვლელები: – საქარე, ხახმატის თავი – ჩხერი და ველკეთილისკენ გასასვლელი ქედი („დათვის ჯვარი“).“

„ამით, სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის, ხევსურეთის ირგვლივ – რკალი, ფაქტობრივად, შეიკრა...“

აკუშოს ბრძოლაში თავი ისახელეს: –

აბიკა, ლაგაზა, ბათირა, ადუა, გორგა, ბენია, ბორძა, ბერდია და ივანე ლიქოკელებმა – სოფ. აკუშოდან;

ბაბო, დათვია, მგელა, თათარ და ჩაჩაურ ლიქოკელებმა – სოფ. ქვაბულოდან;

გიორგი, ბაბუკა და ხოლიგა ლიქოკელებმა – სოფ. აჭედან;

ხახონ, ლერენა, მგელა და გიგია ლიქოკელებმა – ბაქჩივალო-კარნაულთიდან... (ივ. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა გვ. 144-145).

ბევრმა ვაჟკაცმა დაიმსახურა საკუთარი სახელის ლირსებით მოხსენიება ჯვარში თუ ერში გამართულ ტრადიციულ ჯართა შეყრაზე: –

„ბედიანაიმც დაჯდების ლიქოკ, ლიქოკელთ ჯარზედა,

სათავეს უსხენ უფროსნი, აჩქამდებიან ჭკვაზედა,

ბოლოში ახალუხლები – ხელი მიუდის ხმალზედა.“

ჩირდილის ხეობა

ბარისახოდან ორ-ნახევარ კილომეტრზე მდებარე ხეობაში, რომელიც არაგვთან ჩირდილისწყალის შესართავიდან იწყება, რამდენიმე პატარა სოფელი იყო განთავსებული (ჩირდილი, ბუჩქურთა, უკანახო, ლიფოდა, უბანი...).

უკანახოში, ძირითადად, ბექაურები და წიკლაურები სახლობდნენ. მათი ადგილი

მოგვიანებით დაიკავეს – გუდანიდან და ჭიედან მოსულმა ჭინჭარაულებმა.

დროთა განმავლობაში, მეგანძურებმა მთელი ხეობა დაიპყრეს.

ჩირდილში – გორშელმის ხეობიდან (სოფელ ხიტალედან) მოსულან არაბულები; ბუჩქურთას – ჭორმეშავიდან ჩამოსახლდა ბუჩქურა გოგოჭურის მამიშვილობა.

ჩირდილი

ნასოფლარი – ტყიანი სერს გადაღმა მდებარეობს, გუდამაყრის ქედის აღმოსავ-ლეთ კალთაზე – ზ.დ. 1350 მ-ზე.

იქაური არაბული რკინაულები ხიტლედან და უკანხადუდან მოსულან.

მათი ერთი მამიშვილობა, გადმოცემის თანახმად, სალოცავის ადგილში დამდგარა და ხატს ამოუწყვეტია.

გადარჩენილა პატარა ბიჭი, რომელიც რკინაულ თადიაურებს ხიტალეში წაუყვა-ნიათ და იქ გაუზრდიათ.

„ჯვარს ეს ოჯახიც უნდა გაეძეგა, მაგრამ ყმაწვილი რომ უსუსური, უდანაშაულო იყო, ამიტომ გადარჩა და ისევ მომრავლდა მათი მამა“ (ალ. ოჩიაური).

1855 წელს, ჩირდილში – 15 კომლი სახლობდა (33 მამაკაცი და 28 ქალი);

1926 წლის აღნერით არაბულების 15 კომლი დარეგისტრირდა (70 სული), ძირითა-დად, რკინაული-თერმოზაულები (თერმოზანი, ჯაგვედანანი, ადიანი, ხირჩლანი, ნაოგურანი, არაბანი, ხელმოკლიანი, ბახალანი, ფანცქალანი, თადიაურნი და ბეკიანი).

სოფლის მიმდებარედ ორი სალოცავია განთავსებული: – წმინდა გიორგის ჯვარი და ხთიშობლის ჯვარი.

ორივე უკენახოს ფუძის ანგელოზის მოძმედ ითვლება.

დედახთიშობლის კომპლექსი სოფლის განაპირას, ტყიან ფერდობზე მდებარეობს. მის შემადგენლობაშია: – საქვაბე, ბეღელი, კვრივი და საზარე.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.): – ბეღელი ოთხკუთხა ნაგებობაა, სიპი ქვის მშრალი წყობით ნაშენი. გადახურუ-ლია ფიქალის ორფერდა სახურავით. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. სათავსის შუაში საცეცხლურია; მის ზემოთ ჰკიდია რკინის ჯაჭვი. დასავლეთის კედელზე მიღ-მულია ხის გრძელი სკამი და მოჩუქურთმებული ტაბლა.

საზარე – დარბაზის დასავლეთით დგას. სიპი ქვის მშრალი წყობით არის ნაგები. მისგან დასავლეთით, მთის ფერდობზე, ანალოგიური ნაგებობაა, რომელსაც ოთხ-კუთხა ფორმის გრძელი (წონოლა) ქვა ადევს.

უფრო ქვემოთ – „დობილთ კოშკია“; მას – ჯვარის ტყე და სოფლის სასაფლაო აკრავს (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 38).

საჩალის მთაზე, წიფლის უზარმაზარი ხეების ტევრში, ჩირდილელთა კიდევ ერთი სალოცავი, წმინდა გიორგის ჯვარის (გიორგი ოქროს მშვილდოსანის) კომპლექსია განთავსებული.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საკოდე, საზარე და საქვაბე.

მამუკა და ჯოულა არაბულ-რკინაულები

სოფ. ჩირდილის სასაფლაოზე, „უზარმაზარი იფნის ხეების ქვეშ, ერთი ძველი – კირით ნაგები, ყრუ საფლავის კოშკი დგას, რომელიც ხევსურეთის რჯულმდებელს – აპარეკათ მამუკას აუგია თავისი სახელოვანი წინაპრებისათვის.

კოშკის სამარხში მამუკა ივანეს ძე არაბული განისვენებს – „დიდ მამუკას“ სახელით ცნობილი.

მისი წინაპრები ჯერ ზეისტეჩოში მდგარან, მერე – ხიტალეს.

მათი ნაწილი, მოგვიანებით, ჩირდილში დამკვიდრებულა – საიდანაც „ვინემ ფაშა“ აუყრიათ (ფაშური) და მისი მამულები დაუჭერიათ“ (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები).

ხევსურეთის ისტორიას შემორჩა მამუკასი და მას უმცროს ძმას, ჯოულას სახელი: –

ჯერ კიდევ ჭაბუკებს მიუღიათ მონაწილეობა კრწანისის ომში.

ღულის გზის „გატანის“ და ამ დიდად საშუალო საემის მშვიდობიანად მოგვარებისათვის, საკარგყმო დაუდგამთ მათვის გუდანის ჯვარში.

1804 წლის მთიულეთის აჯანყებაშიც მონაწილეობდნენ.

1813 წელს ალექსანდრე ბატონიშვილს გვერდით მდგარან და მისი დავალებით, ფხიტუს უღელტეხილს იცავდნენ.

აკუშოსთან ხმალდახმალ ებრძოდნენ – შატილიდან მობრუნებულ რუსის ჯარს.

*

ჩირდილელმა „ახალუხლებმაც“ დაიმკვიდრეს თანამედროვე კაი ყმის სახელი: –

მრავალი მონოგრაფიის და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა (გიორგი) არაბული – საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და მეცნიერული მიღწევებისათვის, კემპრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა რიცხვშია შეყვანილი.

სპორტის ოსტატი – გიგო არაბული, პოლიციის პოლკოვნიკია.

შხატვარი და ეთნოგრაფი – შოთა არაბული, ბესტსელერად ქცეული წიგნის „ნარჩევი ხევსურების“ ავტორი.

ბუჩუკურთა და ბუჩუკურები

სოფელი – გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, უკანახოსა და ჩირდილს შორის მდებარობს – ზ.დ 1800 მ-ზე.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბუჩუკურების გვარი გოგოჭურებიდან მოდის. მათი ძირძველი წინაპარი (ბუჩუკურა გოგოჭური) ჭორმეშავიდან გადასულა ჩირდილის ხევში. მის შთამომავლებს ბუჩუკურობა გაუგვარებიათ და ახლად მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელი დაუფუძნებიათ.

მოგვიანებით, ისინი ბუჩუკურთადან წასულან (ზურაბ არაგვის ერისთავს გადაუსახლებია) მთიულეთსა და ხევში (გვიდაქესა და ახალციხეში).

მოხევე ბურუურების (ბულელიანების) ცნობით, ისინი იმ ბურუურა გოგოჭურიდან მოდიან, რომლის შთამომავლებიც – თამარ მეფემ ჭორმეშავიდან ხევში – ხდეს ხეობის საყარაულოდ ჩაასახლა.

არც იმას გამორიცხავენ რომ: – უფრო მოგვიანებით, ზურაბ არაგვის ერისთავმაც გადაასახლა იქ – ერთი მეამბოხე გოგოჭურ-ბურუური.

*

ხევსურული ანდრეზის თანახმად: –

პირაქეთი ხევსურეთის მკვიდრი ბურუურების განაყარი – გოგოჭურთ გვარი – თორლვა ძაგანისძემ დაასახლა ფშავში, თუმეთსა და პირიქითი ხევსურეთის ზოგიერთ სოფელში.

1974 წელს – სოფ. ბურუურთას ხევისბერს, ჯურხას, ვ. ბარდაველიძისთვის უთქვამს:

– „ჩვენ... ჭორმეშავიდან ვართ; იმაზე წამოვსულვართ იქიდან, რომ მიწა აღარ გვყოფნიდა. ჩვენი სალოცავია თავადი მთავარანგელოზის ჯვარი... ძველად აქ ბურუურები მდგარან, მერე მთიულეთში გადასულან. ლაშქრობა ყოფილა, ლეკებს ულაშქრავ... ამაზე შეწუხებულან და აქედან წასულან. მერე ეს ადგილები ჩვენ ხალხს დაუჭერია... ეხლაც მოდიან სოფელ გვიდაქედან მთიულები აქ სალოცავად...“

როგორც ჩანს – ბურუურთაში, გოგოჭურები და ბურუურები სახლობდნენ; ბურუურა გოგოჭურის შთამომავლები წავიდნენ; სხვა მამიშვილობის გოგოჭურები კი დარჩნენ – ან უფრო მოგვიანებით დასახლდნენ თავიანთი ძველი სახლიკაცების ნაფუძნარზე – მათ მიერ მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელში.

*

მთიულეთსა და ხევში ბურუურთა გადასახლების რამდენიმე ვერსია არსებობს: მიგრაციის მთავარ მიზეზად მიწების უკმარისობას ასახელებენ – ზოგიც მესისხლეობას.

ს. მაკალათიას ცნობით, ბურუურებს კაცი მოუკლავთ და ხევსურეთიდან ამის შიშით გამოხიზნულან („მთიულეთი“, გვ. 80) – განსხვავებული ვერსიით, ლეკებს გამორიდებიან.

ერთი ანდრეზის თანახმად, 9 ბურუური ძმის მამიშვილობა აღზევდა და ძალადობაზე გადავიდა.

ამას მოყვა „ორი დიდი გვარის: ბურუურების და წიკლაურ-ბექაურების სისხლიანი საქმე“ რომელმაც მთელი ხევსურეთი შეძრა.

შ. არაბულს – „წინაპართგან სმენია,“ როგორ გადავიდნენ ძალადობაზე ბურუურები; როგორ წაართვეს უკენახოვლებს – „სალახორხისა“ და „შუაცხვირის“ მიწები; როგორ უხოციათ ბიძა-დისშვილებს ერთმანეთი და ბოლოს, როგორ დარევიან ერთმანეთს მთელი სოფლები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დავის საგანს წარმოადგენდა წისქვილთა ადგილები და სათიბი ფერდობები. წიკლაურები, ხარხელაურები, ბექაურები და

თლოშიაურები – მიწისა და წყლის გულისთვის, იარაღით დარევიან ბუჩუკურებს: – მდინარე სისხლით შეღებილა. განგაშის ზარს – გუდელამდე მიუღწევია. ეს შემზარავი ფაქტი „ხმით ნატირლებშიც“ არის შემონახული (ქართული ხალხური პოეზია, V ტომი, გვ. 96).

ამბობენ რომ: – დაპირისპირებულ მხარეთა დაოკება, მხოლოდ მეზობელი სოფლების დიდი ძალისხმევით მოხდა.

შეკრებილან ჭკუასაკითხავი მსაჯულნი და „სჯულს კანონით“ ბუჩუკურები გაუმტყუნებიათ.

გიგა გიგაურს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა და უკანახოელი ქალის – ხადაანთ ბექაურის, შვილი იყო, უთქვამს: –

ბუჩუკურებმა დაარღვიეს დადგენილი საზღვრები. როგორც იყო, ისე უნდა აღდგეს და სადავო მიწები უკანახოელებს დაუბრუნდესო.

ბუჩუკურები ყაბულს არ ყოფილან, მაგრამ შეუვალი ყოფილა გიგაც: –

„თუ თანახმანი არ ხართ, გიგაურებიც უკანახოვლებს მივემხრობით და ხმალმა გადაწყვიტოსო სიმართლე...“

ბუჩუკურები მორიდებიან მტერმოურეველ გვართან დაპირისპირებას.

*

წიკლაურ-ბექაურებსა და ბუჩუკურებს შორის ჩამოვარდნილი მტრობა, სავარაუდოდ, მალე შეწყდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუჩუკურები არ შეიფარებდნენ ზურაბ ერისთავის მოკლული, ერთ-ერთი შარვენეული ძმის (მიქას თუ შარვანას) – მეუღლესა და მცირენლოვან ვაჟს – რისთვისაც ბექაურები დღემდე ემადლიერებიან ბუჩუკურებს.

*

უკანახოელებსა და ბუჩუკურებს შორის მომხდარი ზემოაღნიშნული ხოცვა-ულეტა შესაძლებელია, ბუჩუკურთა მიგრაციის მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ ხალხურმა მეხსიერებამ უფრო ჰეროიკული ვერსიაც შემოინახა.

ეს ამბავი ზურაბ (განსხვავებული ვარსით, ნუგზარ) არაგვის ერისთავის ხევსურეთში ლაშქრობას უკავშირდება.

გადმოცემის თანახმად: –

ბუჩუკურების შეუვალი ციხე მრისხანე ფეოდალმა ღალატით აიღო. ექვს ძმას თავები დასჭრა, სამი – ვაჟუაცობისთვის დაინდო. ორი მათგანი ხევსურეთიდან აყარა და ერთმანეთის მოშორებით – მთიულეთის გვიდაქესა და ხევის ახალციხეში გადაასახლა. მესამე ძმა – ერთი ვერსიით, ბუჩუკურთაში დატოვა; მეორე ვერსიით – ტონჩაში, დუშეთის რაიონში ჩაასახლა.

თქმულებაში – „ბუჩუკურები და ზურაბ ერისთავი“, რომელიც შეტანილია მ. ჩიქოვანის რედაქციით გამოცემულ წიგნში – „ქართველ მთიელთა ხალხური პოეტური შემოქმედება“ – ვკითხულობთ:

„ცხრა ძმანი იყვნენ ხევსურები.

ზურაბ ერისთავს ჰყავდა ჯარი.

დაიპყრო ყველა ხალხი, მაგრამ ეს ცხრა ძმა ვერ ჩაიგდო ხელში.

ციხე ჰქონდათ.

შემდეგში თქო იმან, მე ვინც ამ ხალხს ხელში შამიყრეინებს ფეხზე დავაყენებ და ოქროთი დავფარავო.

მემრე თქო იმათმა მამიდამა: – ეს ოქრო ბევრია... გავცემ ჩემ ძმისწულებსო და უთხრა ზურაბს: – შენ ცხენებს ნალები უკულმა დააკარიო.

– მერე უთხრა თავის ძმისწულებს: – წავიდა ძალლი ზურაბიო, აღარ არი აქაო. გადით გაინიავდითო.

გამოვიდნენ თითო-ოროლა. ნახეს, არავინ არის. ნალებით ნახა ყველაყამ, რომ წასულა ძალლი ზურაბი. გაიხარეს, ზოგი ბანაობს, ზოგი წევს, ზოგმა იარაღი აიყარა.

მემრე თქო, ი ძალლმა ბებერმა: – ეხლა დააწყვეს გულიო. გავიდა ზურაბთან: – ეხლა ისენი გარეთ არიან, დაატანე ხელიო.

დეეცნენ!

რალა უნდა ექნათ?!

მემრე, ექვსს მააჭრეს თავი, სამი დააგდეს.

მოხარშეს ძმის ხორცი და იმ სამ ძმათ მიუტანეს. უთხრეს: – ხევსურნო, როგორია ძმის ხორციო?

ისე შენ დაბერდი, როგორც ძმის ხორცი გემრიელიაო, უპასუხეს.

გამწარდა ზურაბი: – დააყრეინეთ თავებიო!

მერმე თქო, მოიცა, ესენი მაგარი ჯიშისა არიან, გამოგვადგებიანო. ერთი აქ დადგა გვიდაქეს, ერთი ახალციხეს, ერთი ტონჩიას.

მერმე ნახა ზურაბმა: აა, ე ძალლები, ზურგი ზურგს მოუფარებიათო, ისევ ერთ-ურთის იმედს არიანო.

ამ სამი ძმის მონაგარნი არიანო მთელი ბუჩუკურები...“

თქმულების ეს ვარიანტი თანხვდება ი. ახუაშვილის ეთნოგრაფიულ კვლევებს სოფ. ტონჩიაში ერთ-ერთი შეწყალებული ძმის გადასახლებასთან დაკავშირებით.

*

ბუჩუკურთელთა შემდგომი მიგრაციის სერიოზული მიზეზი გახდა 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

სამთავრობო ჯარმა პირწმინდად გადაწვა ეს სოფელი.

მოსახლეობამ დედანულიანად მიატოვა საცხოვრისი და მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა...

1886 წელს, იქ, გოგოჭურების 27 კომლი სახლობდა (სცსა, ფ. 254, ალ. III, დოკ. 1731);

1926 წლის აღწერით მათი 10 კომლი დარეგისტრირდა (44 სული).

*

ბუჩუკურთელი მეცნიერი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ლევანის ძე გოგოჭური – ხევსურული მელექსეობის საგმირო საწესჩვეულებო პოეზიის საკითხებს იკვლევდა. „ქართული ხალხური პოეზიის“ თორმეტომეულის მომზადებისათვის, 1988 წელს (სხვებთან ერთად), საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

*

ბუჩუკურთელთა სალოცავი – ხთიშობელი და მთავარანგელოზის ჯვარი იყო. ორივე, ნასოფლარის თავზე, ერთმანეთის გვერდით მდებარეობს.

უფრო მაღლობზე, ბებერი იფნების ძირში მდგარი – ღვთისმშობლის ხატია.

მთავარანგელოზის ჯავრის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან, მშრალად ნაგები საზარე კოშკი დგას. მის ზარზე – შემდეგი წარწერა იკითხება: –

„შამ გნირეთ ფუძის ანგელ-ს შინჯაშვილმა გივმა და ძმებმა ჩემმა ჩ. ყ. ნ. ზ“ (ანუ, 1857 წელი).

სალოცავის მთელ ტერიტორიაზე უზარმაზარი იფნის, მსხლისა და ბებერი თელის ხეებია.

დასავლეთის მხარეს, დიდი თელა დგას – დროშათ საპრძანისი.

გარშემო ლოდები აქვს შემოვლებული.

სასანთლე ნიშის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩამოქცეული კვრივია – დიდი, მასიური ქვებისგან აწყობილი და გალავნით შემოზღუდული.

სოფლისგან – ადგილისდედის ჯვარს „დაბალი ყორის გალავანი მიჯნავს.“

მისგან სამხრეთით, „ხატის მიწაზე – სოფლის სიპერდებიანი სასაფლაოა, სადაც მამიშვილობებს თავთავადი ადგილები სჭერიათ. რამდენიმე საფლავზე კოშკი დგას, დანარჩენი სამარხები მოგრძო და ბრტყელი ფიქალით, ან წვრილი ქვებით არის დაფარული“ (ვ. ბარდაველიძე).

მამუკა გოგოჭური (ბუჩუკურთელი) და ბარისახოელი სადარა არაბული

ფშავ-ხევსურეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა 1905 წლის რუსეთის რევოლუციას. შეგულიანებულმა მოსახლეობამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ფიცი დადო. ადგილობრივი მოხელეები გადააყენეს. მართვა-გამგეობა ისევ თემმა აიღო თავის თავზე.

ფიცის მონაწილეთა შორის მამუკა გოგოჭური და სადარა არაბულიც ყოფილა.

ამ ორი აბრაგის შესახებ რამდენიმე ლექსი და სიმღერაა შემორჩენილი.

ხალხი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებად მოიხსენიებს.

გადმოცემის თანახმად, ისინი თავს დაესხნენ თიანეთის მახლობლად დაბანაკებულ სამხედრო ნაწილს. ერთი ჯარისკაცი მოკლეს და დღისით-მზისით იარაღი გაიტაცეს.

მთავრობამ უკიდურეს ზომებს მიმართა: – გამუდმებით იგზავნებოდა პოლიციელთა რაზმები. „არბევდნენ მერცხლის ბუდესავით კლდეებში მიმალულ სოფლებს.“ შეიძყრეს და ანამეს მათი ოჯახის წევრები, მათ შორის ქალები და მოხუცები.

სადარასათვის ძნელად ასატანი გახდა – მისი მიზეზით სოფლების აწიოკება, შინურების წამება.

თავის განირვა გადაწყვიტა – თბილისის გუბერნატორის მკვლელობის განზრახვით.

ამ საქმეზე მიმავალი – დუქანში მოწამლეს, გრძნობადაკარგული შეიპყრეს და ჩამოახრჩეს.

დიდი გლოვა გამოიწვია მისმა სიკვდილმა: –
„იწყინეს მაგის სწორებმა,
ტანზე ჩაიცმენ შავსაო,
ქალ-ზალს დაუდგა წემუტუნი,
თავზე იგლეჯენ თმასაო...“

*

მამუკა ბუჩუკურთელი („ვაჟაით მამუკა“ გოგოჭური) – თითქმის, ერთი საუკუნის შემდეგ ისმენდა ამბებს – ხევსურეთში რუსეთის (1813 წლის) სადამსჯელო ექსპედიციის სასასტიკის შესახებ.

ისმენდა და „გულში ამოეჭრა“ მათი სიძულვილი.

სადარა არაბულის მკვლელობის შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე გაუსხლტა პოლიციელთა ალყას; ვერაფერი მოუხერხეს და მისი ლიკვიდაციის მიზნით, გუდამაყრელი მეცხვარე, ბოლენა ჩოხელი, მოისყიდეს.

ბალთაში ჩაიტყუეს...

შეპყრობის მომენტში, სიცილით შემოიხსნა პატარა ხანჯალი, სამხედროს ქარქაშიანად გაუწოდა და, როცა გახარებულმა ოფიცერმა ხანჯლის ბუდეს ხელი წაავლო – მახვილი გულში ატაკა.

ძვირად დაუსვა მტერს თავისი სიცოცხლე: –

ვიდრე გონს მოვიდოდნენ, კიდევ რამდენიმე კაზაკი გამოასალმა წუთისოფელს, რკალი გაარღვია, გაიქცა და... ტყვიებით დაცხრილული დაეცა...

*

მისი მკვლელობიდან 10 წლის შემდეგ, ანუ, 1912 წელს, მისმა მცირენლოვანმა შვილებმა, მამის მეგობრების და თანამზრახველების – „მოხევე ქერათ აქსიას“ (აქ-სია ქერაშვილის) და უქათ მამუკა ბურდულის შემწეობით – შორიდან დამიზნებით მოკლეს ბოლენა ჩოხელი....

უკანახო

სოფელი გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, ჩირდილის ხეობის კუდში – ზ.დ. 1920 მ-ზე.

ამბობენ რომ: – მისი სახელწოდება, ბარისახოს უკან, ანუ, ქედს გადაღმა მდებარეობასთან არის დაკავშირებული.

ჭინჭარაულების დამკვიდრებამდე, იქ: – ბექაურებს, წიკლაურებს, თლოშიაურებს, ხარხელაურებს და ბუბუნაურებს უცხოვრიათ.

მესისხელეობის გამო, ბუბუნაურები გუდამაყარში გადასახლდნენ; წიკლაურების გვარში გაერთიანდნენ და მათ წიკლაურ-ბუბუნაურებად მოიხსენიებდნენ.

1873 წლის აღწერით, ხორხის ხეობის სოფელ სონდისველაში – გუდამაყრის სოფელ ბოსლიდან მისული ბუბუნაურების ორი კომლი სახლობდა.

უკანახოდან მიიჩნევენ ფშავში წასულებად ნათელაშვილებს (მათი წინა გვარი ვერ დგინდება).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, უკანახოს მიდამოები, დროთა განმავლობაში, გუდანიდან და ჭიედან მოსულმა ჭინჭარაულებმა დაიპყრეს.

ჭიედან – ფანდურაანთ და ხარშუაანთ მამიშვილობები ჩამოსახლდნენ; გუდანელი საკურდლელაუროს მამიდან – ბუზვანი და ფშაველანი; სანადირაბონიდან – ჯინჭარანი, გარიელანი, გუგუანი, ხახანი, ბათირანი.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, უკანახოში სახლობდა ღულიდან მოსული ქისტაურების – ჯილალაანთ და ნარჩიტაანთ მამიშვილობის, ორი კომლი. მათი ნაწილი, მოგვიანებით – ღულში დაბრუნდა.

*

1855 წელს, უკანახოში – 19 კომლი სახლობდა (41 მამაკაცი და 35 ქალი);

1926 წლის აღწერით ჭინჭარაულების 30 კომლი დარეგისტრირდა (126 სული, ძირითადად – ფანდურანი, ჯინჭარანი და მშაველანი).

*

საჩალე მთის წვერზე, ტყეში, ბექაურ-წიკლაურთა მთავარი სალოცავის – პირიმზე ფუძისანგელოზის კომპლექსია.

მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, დარბაზი, საკოდე და საქვაბე.

დარბაზის ჩრდილოეთი ნაწილი ფერდობშია შეჭრილი. გადახურულია ორფერდა სახურავით. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან საკოდე ეკვრის.

ეკლესია – უაფსიდოა; აღმოსავლეთის კედლის ღერძზე სწორკუთხა სარკმელი აქვს გაჭრილი. მის ქვეშ ოთხკუთხა ტრაპეზი დგას. გადახურულია თუნუქის ორფერდა სახურავით. სამხრეთის მხრიდან მიშენებული აქვს საზარე – ნატეხი ქვის მშრალი წყობით ამოყვანილი ორი კედელი, რომელთა შორის გადებულ ხის ძელზეც – ზარია ჩამოკიდებული.

ძირითადად, „დარ-ავდრის – ცა-ლრუბელთა სალოცავია“, სადაც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სათემო დღეობა – ახორბა იმართება.

„ახოს აღება“ (ანუ, „ახოს ატეხვა“) – მთიელების უძველესი ტრადიციაა.

სახნავ-სათესად იყენებდნენ ტყის გაკაფვით და ჯირკების დაწვით გამოთავისუფლებულ ადგილებს.

(სულხან საბას ცნობით: – ახო არის „საყანური გაკაფული“).

სადღეობო ლუდის ხარშვა და საჯაროზე კოდით დადგმა – ბექაურ „შარვანიანთა“ მამიშვილობის ვალდებულება ყოფილა.

გადმოცემის თანახმად, მტერს ამოუწყვეტია ისინი. გადარჩენილა მხოლოდ ერთადერთი ქალი – პატარა ვაჟით.

„იმ ქალს უთქომ: – ყველა ამამიწყვიტეს, ერთი შარვალიანი-ლა დამრჩაო“ და აქედან წარმომდგარა მათი კომლის სახელი – „შარვანიანი“ (იგივე შარმანაულები).

„სუ რო არ ამოწყდნენ“, ამიტომ ჰქონიათ „სადები“ (ხატის ხარკი) – „ამიტომ ადულებენ ლუდს ახორბის დღეობისათვის.“

*

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა სახელიანი უკანახოელი ვაჟკაცების – მიქა და თანგულა შარვანაულების საგმირო საქმენი.

ბექაურები

წიკლაურები და ბექაურები გუდამაყრის ტერიტორიაზე მოსული ხევსურები არიან.

ერთი ვერსიის მიხედვით, სამი არხოტელი ძმიდან: – ერთი იქ დარჩენილა, მეორე როშები დასახლებულა და მესამე – უკანახოში.

თ. ოჩიაურის ცნობით: –

უკანახოელ ხირჩლას (რომლის შთამომავლობაც გუდამაყარში გადავიდა), ორი შვილი ჰყოლია – წიკა და ბექა.

წიკა საწყალი, ბეჩავი ყოფილა; ბექა მამაცი და გამჭრიახი.

„ბექას მოუშორებია წიკა. ძაღლი გაუჭრიათ შუაზე და ძმობა გაყრილა. ფუძის ანგელოზშიც – გაუყვიათ ადგილი. უკეთესი მოედანი ბექას მიუთვისებია, წიკასთვის უთქვამს – შენ ჩემ მოედანზე ნუ მოხვალო, ცალკე მიუცია მისთვის ადგილი.“

წიკლაურ-ბექაურთა გვარის – უკანახოში, დღეს, აღარავინ ცხოვრობს. დღევანდელ მოსახლეობასთან (ჭინჭარაულებთან), მათ – „ნათესაობის თვალსაზრისით, არაფერი საერთო არა აქვთ.“ როცა გუდამაყრელი ფუძის ანგელოზის ყმები სალოცავად მიდიოდნენ, არ შეიძლებოდა რომ მეგანძურებიც იმ დროს მისულიყვნენ. ისინი, ამავე ხატში, სხვა დროს ლოცულობდნენ...

„არამც თუ ახლო, არამედ ერთმანეთში თავმეთავეობაც კი ჰქონიათ.“

როგორც ჩანს, „წიკლაურ-ბექაურების აყრასთნ და მათ ადგილზე მეგანძური ჭინჭარაულების დამკვიდრების ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ბექას წინაპრებს უკანახოს რამდენიმე უბანში (აჭხა, არყნი, ლიფოდა, ხიჯალი, ხელაურთა) უცხოვრია. ადრინდელი მათი გვარი „აღარავის ახსოვს“.

„უცხო ტომის ხალხმა ამონყვიტა.“

გადარჩენილა მათი გუდამაყრელი რძალი, რომელიც „მამის სახლში“ (გუდამაყარში) დაბრუნებულა და „იქ შესძენია ბექაი.“

როცა ბექას შთამომავლები დავაუკაცდნენ, გადმოცემის თანახმად, ისევ წინაპარების ნაფუძნარზე, უკანახოში, დაბრუნდნენ.

ამავე პერიოდში, წიკლაურების ერთ-ერთი მამიშვილობაც მოსულა იქ – როშკადან.

„ბექაი და წიკვაი ერთმანეთს შეხვდნენ და ძმად გაიფიცნენ...“

„ბექაანი“ როცა მომრავლდნენ, მცირე მიწების თუ მეტი უსაფრთხოების მიზნით, ისევ დედულეთში (გუდამაყარში) დაიწყეს ჩასახლება.

უკანახოდან, ბოლო, შარვანიანთ მამიშვილობა წასულა.

მანამდე, ისინი ხვდებოდნენ ძველ ფუძეზე სალოცავად მისულ თანამოძმებს.

აღნიშნული მამიშვილობის ორი ძმა (მიქა და შარვანა) ზურაბ ერისთავთან ბრძოლას შეენირა. ერთი მათგანის ფეხმძიმე ცოლი, ქმრის მოკვეთილი თავით – მშობლიურ გუდამაყარში გამოიხიზნა და ამით გადაურჩა უეჭველ სიკვდილს. მეორე ძმის მეუღლე და მცირენლოვანი ვაჟი – ბუჩუკურებმა შეიფარეს.

*

დროთა განმავლობაში, ბექაურებთა ძირებს – შემდეგი მამიშვილობები გამოეყო: – თორელანი, ხადანი, დიდებაანი, შარვანიანი, მიქაანი, ბაიანი, ობლიანი, ცუცქუნაურნი... ძირად ბექაურები არიან – აფთარაანი, გულოიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი... მათმა ნაწილმა მამის სახელები გაიგვარა: – ბექაურის შვილად, ხადას შვილად, თორელას შვილად, მიქას შვილებად და დიდებას შვილებად დაეწერნენ...

ხარხელაურები

უკანახოს ძირძველი მკვიდრნი არიან.

ხევსურები ვართო – ამბობენ, მაგრამ თავიანთ ძირებს არც წიკლაურ-ბექაურებს უკავშირებენ, არც მეგანძურებს და არც რომელიმე სხვა ხევსურულ გვარს.

არც ანდრეზად მოუდით: – რა ძალით, ან როგორი გონიერებით შეძლო ამ ერთი ბენო გვარმა თავისი ერთი მუჭა სამოსახლოს და თვითმყოფადობის შენარჩუნება – მრისხანე მეგანძურებისა და წიკლაურ-ბექაურების საბრძოლო არეალში...

თუ არ მოინდომე – ვერც დაიჯერებ!

XVIII ს-ში აყრილან, დუმაცხოში (გუდამაყარში) გადასახლებულან და თავიანთი სალოცავიც გაუჩენიათ იქ – „ხარხელაურთ კვირია“.

1774 წლის აღნერით, დუმაცხოში – მათი 6 კომლი სახლობდა.

1886 წელს – ხარხელაურების 18 კომლი დარეგისტრირდა (სცსა ფ. 254; აღნ. III, დოკ. 1799, გვ. 22).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როგორც გვარის უხუცესები გვამცნობენ – ვიღაცას რაღაც არ შეარჩინეს და მესისხლეთათვის კვალის არევის მიზნით – წიკლაურის გვარზე გადავიდნენ.

ხორხში, ერნო-თიანეთსა და შირაქში მიგრირებულმა ხარხელაურებმა საკუთარი გვარი შეინარჩუნეს.

1873 წელს – დუმაცხოდან ხორხში წასული ხარხელაურების 3 კომლი აღირიცხა. მათი ნაწილი, ქედს გალმაც სახლობდა, სოფ. კომშიანში – ჩოხელების და უიჟიაშვილების გვერდით.

„ადგილი მოსწონებიათ და იმიტომ ჩამოსახლებულან“.

თიანეთის რაიონის სოფელი დევენაათხევი, XIX ს-ის პირველ ნახევარში, ხარხელაურებით იყო დასახლებული.

ცოტა მოგვიანებით, სოფელ დილმელაურიდანაც შემოიკრიბეს მათ ბიძაშვილ-ნათესავები (დიდება და პავლე ხარხელაურები).

ყველა მათგანის ძირი დედასოფელისკენ – უკანაახოში, მიდის.

იქ იყო მათი წინაპრების სალოცავი, „იქ ღრღნიდნენ ლაგმებს მათი სადოლეულაყები“: –

„აი, ამ სერით გადმოდგებოდა მთვარე,

ხევსურ დიაცის მკერდივით ავსილი.

აი, აქ ელაგა ხმლები, სისხლით დასვრილი,

მაგრამ არაფერი იყო საოცარი....

ენები დაუანგებიათ ზარებს,

აღარავინ აღარ ხსნის საყდრის კარებს...

დავიძარ,
სიბნელეში შევცურე...
ხომ იყო ალმაღალი ცეცხლი ხევსურათს?
სადაა?!
სადა!“

ასეთი სულისშემძვრელი შეძახილით მიმართავს წინაპართა საბუდარს – ხევსური კაი ყმა და უფრო დიდი განზომილების პოეტი – ტარიელ ხარხელაური.

ბრძოლა ფხიტუს მთაზე

1922 წლის ივლისის მეორე ნახევარში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმი ბარისახოში დაბანაკდა.

ბინა დაიდეს გოგოთურ ჯინჭარაულის (უჭკუათ გოგოთურის) სახლში, რომელიც სოფლის თავში იდგა.

მათ წინ – ლიქოკის ხეობა იყო გადაშლილი.

მარჯვნივ – აჭეხა-გველეთ-დათვისისა და მოწამოს მთები.

მარცხნივ – ფხიტუ-ოსაურა-ჭაუხის მთების მიმართულებით, ჩირდილ-ბუჩუკურ-თა-უკანახოს სათავეები.

კარგად მოჩანს – ღული-ჭიე-ძეძეურთისაკენ გასავლელი ფერდობები.

„მიდამო სრულყოფილად აკონტროლებს მთელი ქვემო ხევსურეთის შესასვლელ კარებს და სტრატეგიულად უნაკლო პუნქტად უნდა ჩაითვალოს (ივ. ლიქოკელი, ხე-ვსურები და ქაქუცა, გვ. 83-84).“

შეფიცულთა რაზმის მთელი ყურადღება ისევ „ორწყლის“ (ფშავის) მიმართულებით იყო გადატანილი.

საბედისწერო ხაფრთხე კი – მტერს სხვა სტრატეგიული მიმართულებიდან ჰქონდა დაგეგმილი.

ზენა ახოდან მშვენიერი დერეფანი არსებობს, ფხიტუს ულელტეხილით – გუდამაყრის ხეობაში (სოფელ ბაკურხევში) გადასასვლელად.

ფხიტუ – ორივე მხრიდან ადვილად მისადგომი, საშუალო სიმაღლის მთაა.

მისი თხემის მფლობელი აკონტროლებს წინ გადაშლილ ხეობებს.

სამთავრობო ძალებმა ორწყალთან დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეს და შეფიცულთა რაზმის განადგურება – გუდამაყრის მხრიდან გადაწყვიტეს.

მათი სამხედრო დანაყოფები, ფასანაურის გავლით, გუდამაყრის ხეობაში შევიდნენ და ბაკურხევის მიმდებარე სოფლები (საჩალიაჭალა, სიჯანაანი, თოთიაურები) – სასწრაფოდ დაიკავეს.

იმ ადგილებში, ორწყალის მსგავსი ბუნებრივი სიმაგრე არ არსებობს, არც დიდი ხეებია, არც დიდი კლდე რომ – საფარად, ან სნაიპერული სროლისთვის იქნეს გამოყენებული.

საბრძოლო არეალში მცხოვრები ხევსური ფიცხელაურები მომხდურებმა ასევე სასწრაფოდ დაატყვევეს, აბიკა ფიცხელაურის (ყუდათ აბიკას) „ჭერხოში“ გადაუკეტეს კარი და თოფიანი ყარაულები დაუყენეს.

მხოლოდ ერთეულმა ვაჟაპეტაშვილმა მოახერხეს – ფხიტურის მთაზე მდგარ მეამბოხე

თანამოძმებთან მისვლა.

გუდამაყრის მხრიდან თავდასხმა – შეფიცულებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, მცოდნე მეგზურებთან ერთად მოინახულა საბრძოლო არ-ეალი, მაგრამ თავდაცვითი გეგმის შედგენისას, ყველაფრის მხედველობაში მიღება (ალბათ, ძალების სიმცირის გამო) – ვერ შეძლო – ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი რისკები.

სამთავრობო ჯარმა – მეტად მოსახერხებელი პოზიცია შეარჩია, ბაკურხევიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბორცვი, ე.წ. „ჯვართ ტყე“, საიდანაც კარგად ჩანდა შეფიცულთა მიერ დაკავებული ფერდობები; შესაძლებელი იყო პირდაპირი დამიზნებით სროლა.

ორიოდე დღის სამზადისის შემდეგ, წითელი არმის ნაწილებმა, მთის ფერდობებზე, ნელი – მაგრამ მასირებული ასვლა დაიწეს, ძირითადად, ღამით, რათა, ხევ-სურთა ბრძოლის მთავარი იარაღი – სნაიპერული სროლა, სიბრძლეში გამორიცხული ყოფილიყო.

ჯარი თანდათან უახლოვდებოდა მთის წვერს;

დიდი მსხვერპლის ფასად იკავებდა ახალ პოზიციებს.

განსაკუთრებით სისხლისმღვრელი გამოდგა ბოლო დღე, როცა სამთავრობო ჯარმა (ტყიანი ფერდობებით) ქვიშიანის გამაგრებულ ხაზს მიაღწია. სწორედ ამ დღის იჩინა თავი გაუთვალისწინებელმა გარემოებამ: – აჯანყებულთა მეთაურებს დაუცველი დარჩათ უღელტეხილის მაღალ ქედზე მდებარე ადგილი – ნარიანა, სადაც მონინალმდეგ სარდლობამ ერთი საბრძოლო შენაერთი – შემოვლითი მანევრით (ქიდაქის ყელის ავლით) – გაგზავნა...

მტერი თავზე წამოადგა შიშველ მთაზე მდგომ პატრიოტებს.

ცეცხლის იქიდან გახსნა – ქვიშიანის მისადგომებთან წითელი ჯარის გამოჩენას დაემთხვა და... ამით ყველაფრი დამთავრდა.

„რას გახდებოდა რამდენიმე ათეული მამაკაცი რეგულარული ჯარის წინააღმდეგ?!

იმის მიუხედავად, რომ ყოველი ქვა და მას ამოფარებული ხევსური – ცალკე ციხესიმაგრეს წარმოადგენდა“ (ივ. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა).

*

ამ საბედისწერო ბრძოლის შემდგომ, ბუდე ხევსურეთის მოსახლეობამ დედანულიანად მიატოვა თავისი საცხოვრისი – მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა.

სამთავრობო ჯარმა პირწმინდად გადაწვა საუკუნეთა მანძილზე ცოდვა-ჭირით ნაშენები სოფლები (ბუჩქურთა, უკანახო, ლიფოდა, აკუშო, ბისო, ხადუ).

ჩირდილის მოსახლეობამ თეთრი ალამი გამოფინა და ამით გადაირჩინა თავი...

აუცილებელი გახდა თვითგადარჩენის ნაბიჯების გადადგმა და გადაიდგა კიდეც (ივ. ლიქოკელი).

ოხერხევი

სოფელი – „ძალზე მიუდგომელ (თანამოსახელე) ხეობაში“ მდებარეობდა – ზ.დ. 2180 მ-ზე.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.) – ჩირდილისხევის და ოხერხევის წყალგამყოფ ქედზე, ძველი ნამოსახლარი ფიქ-სირდება. თარიღდება შუა საუკუნეებით. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის ნაშთი და ბუჩქნარით დაფარული – მოზრდილი ნასახლარი ორმო.

ალ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ადრე – ოხერხევში, ურჯულო ბადრიაულის ძლიერი გვარი მდგარა, რომელსაც „საწადინოდ უხოცია მეგანძურები...“

ჯვარს – ქადაგის პირით უთქვამს მათთვის: –

„ბევრი ვეცადე ხთის კარზე და გავტეხე ბადრიაულ-კინკოზაურის დავლათიო...“

არ დაუჯერებიათ არაბულ-ფიცხელაურებს – მაგრამ, როცა „ზვავი დასცემია ბადრიაულებს და სამოცი ხმლიანი ერთად მოუკლავს“ – ისინიც მისდგომიან გადარჩენილ (ქისტად მიჩნეულ) ბადრიაულებს, მთლიანად ამოუწყვეტიათ და მათ ნადგომ ადგილში დასახლებულან (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ.).

1855 წელს, ოხერხევში, – 8 კომლი სახლობდა (17 მამაკაცი და 13 ქალი);

1926 წლის აღწერით ფიცხელაურების 10 კომლი დარეგისტრირდა (44 სული, ძირითადად – გამრეკელნი, ღერენანი, ტუჩუფერნი, კუკუანი და ფაშურნი).

უკანაახოს და ოხერხევის წყლებს, შუაში – „ფაშურის გორი“ ჩამოსდგამს, სა-დაც „ფაშურთ“ – ფიცხელაურების ქვეგვარს, უცხოვრია. რამდენიმე ოჯახი ყოფილა. ადრე აყრილან და ბარში გადასახლებულან. მათი ნაწილი, დღეს, ფიცხელაურად იწერება, ნაწილი – ფაშურიშვილად (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სა-ლოცავია, 2019 წ.).

დროთა განმავლობაში, მეგანძურებმა „დააკანონეს“, რომ – დინიფხოს საბერნის ტერიტორია – ბაკურხევიდან ოხერხევის მზისპირის ჩათვლით, გუდანის ჯვარის სა-ბეგრო იყო და მამა-პაპიდან არაბულ ფიცხელაურებს ეკუთვნოდა.

დ. ფიცხელაურის ცნობით, ოხერხევი მათ ქმოსტელ ბურდულებს წაართვეს. „მთის მთელ სიგრძეზე არხი გათხარეს და მათ პირუტყვს იქით ალარ უშვებდნენ. ამ შუღლში მთელი საჩუჩეყაურო მონაწილეობდა“ (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

ბურდულებს – ძმად შეყრილი გიგაურები აქეზებდნენ და ეხმარებოდნენ.

როცა ბურდვიაული უსაჯურისძე ფიცხელაურების წინააღმდეგ იბრძოდა – გიგაურები ედგნენ გვერდით (შ. არაბული).

წყალსიქითის (როშკის) თემი

როშკისწყალის ხეობაში განთავსებული წყალსიქითის თემი რამდენიმე სოფელს აერთიანებდა (ლელეს, ღელისვაკეს, ქმოსტს, ხორნაულთას, ბლოს...) ზოგი მათგანი, თავის მხრივ იყოფოდა, ცალკეულ სოფლებად თუ უბნებად, კერძოდ: – როშკა (გაღმა

როშვად, კიბალაურებად, ქირცინანად), კილდეშუ (გურიანად, გარდალახულანად), ყერყეტა (მეფაფიანად, ბასილნად, კობლენად), გარბანი (ყაბელნად), ფაფარენა (თურმანაულნად, კიბალაურებად და ბერდიშვილად)...

ხეობა სხვადასხვა გვარებით (ძირითადად, ბურდულებით, წიკლაურებით და გიგაურებით) იყო დასახლებული.

ღელისვაკე და ველთაურები

სოფელი – ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობდა, როშვისწყლის არაგვთან შესართავის მაღლა, ტყიანი ფერდობის თავზე – ზ.დ. 2150 მ-ზე.

როშვის თემის პირველი სოფელი იყო ხეობის მარჯვენა მხარეს.

ადრე, უფრო მაღლა (ქედზე გადასასვლელთან) ყოფილა განთავსებული.

იმ ადგილს რქმევია ღელე.

მერე ჩამოსახლებულან ქვემოთ – ვაკე ადგილზე, ანუ, ღელის ვაკეში.

1855 წლის აღწერით, ღელეში – 7 კომლი სახლობდა (14 მამაკაცი და 7 ქალი);

1926 წლს – ღელისვაკეში, ბურდულების 15 კომლი დარეგისტრირდა (62 სული).

მის მიმდებარედ ყოფილა განთავსებული ფხოველთა უძველესი სალოცავი – „ხთისკარი“. ზაფხულის დღესასწაულის დროს, იქ, მთელი ფხოვის მოსახლეობა იყრიდა თავს. „ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მეტოქეობდნენ სხვადასხვა თემ-წყლისა და ჯვარის ყმანი – მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ცხენთა-რბოლაში, ძალოსნობაში, მღერა-თამაშში; ანუ – როგორც მემატიანე წარმართ ქართველებზე ამბობს: – იყო „განცხრომა და როკვანი“, „სააშიკონი სიმღერანი... ნადიმნი... დიდთა ჭამითა და სმითა...“ (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები, 1999 წ. გვ. 59).

მარიამწმიდის გორზე ძეველი საფლავებია შემორჩენილი. „ხარის ტყავივით სიპებ ამოდის იქიდან... ანდრეზ არავის ახსონ.“

ღელისვაკე ერთი გვარის ხალხით – ბურდულებით იყო დასახლებული.

ბურდულებად იწოდებოდნენ ველთაურნიც.

ისინი წარმოშობით მთიულები არიან. მათი მამა ჯერ ჯუთაში გადასახლებულა, იქიდან – ქმოსტის თავზე მდებარე მინდორზე, ე.წ. „ველის ყანაში“ მისულა, სადაც ხარ-ქობით შეყრია ბურდულებს და მათ გვარზე დაწერილა (ვ. ბარდაველიძე).

დროთა განმავლობაში, ველთაურები გამრავლდნენ; რამდენიმე მამად (ჩეკურაულებად, ყარდანაულებად, ტოლანად, საგინანად, ტაუზანად, ბაჩიკელანად...) დაიყვნენ და მიმდებარე სოფელებში (ღელისვაკეში, ქმოსტში, საპერწეს) დასახლდნენ; მათი 3 კომლი გუდამაყარში (ბაკურხევეში) გადასახლებულა.

ალ. ნაზლაიძის ცნობით: –

ველთაური – ქავთარაძეთა გვარის ერთ-ერთი მამაშვილობა იყო მთიულეთში. ქმოსტიდან – თემზის ხევის სოფ. ცხვარიჭამიაში ჩასახლებული ველთაურთ მამის ბურდულები (ძირად ქავთარაძენი) – ამჟამად, ქმოსტელის გვარს ატარებენ. ერწოს სოფ. ნადოკარში დასახლებული კი – ქავთარაძეებად ეწერებიან (ალ. ნაზლაიძე, ქავთარაძეთა გვარი, 2010 წ. გვ. 12).

ღელისვაკელი ველთაურები წყალსიქითელთა სათემო ხატის – დიდგორის ჯვარის, ყმები იყვნენ. მის უნჯ ყმებად ჩეკურაულები ითვლებოდნენ – რადგან მათ მამას

(ჩეკურას) წამოუყვანია ჯუთადან დიდგორის (წმინდა გიორგის) ჯვარი.

სოფლის ადგილისდედა (ხთიშობელი) პატარა გორაკზე განთავსებული, რომელიც ხელოვნური ყორლანის შთაბეჭდილებას ახდენს. ბებერი მუხის ხეებით შეფენილ მის მწვერვალზე – ნიშის ნაშალია, რომელიც უფრო ლოდების გროვას წარმოადგენს. მისი უნჯი ყმანი საგინანი ყოფილან.

კოპალა უნჯის ანგელოზის ყმებად თავბერაულები ითვლებოდნენ (ვ. ბარდაველიძე).

ქმოსტი და ბურდულები

ბურდულების სამკვიდრო სოფელი, ქმოსტი (ამჟამად ნასოფლარი), როშკას და ლელისვაკეს შუა იყო განთავსებული, როშკისწყალის მარჯვენა ნაპირზე, ზ.დ. 1970 მ-ზე; გორის იმ მხარეს – „სადაც ჩრდილია და ზამთარში მზე ნაკლებად უდგება. როშკა – მზის გულზეა, პირმზითში“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ.).

ბურდულები აქ მთიულეთიდან მოსულან. თავდაპირველად უცხოვრიათ ოსენაურთაში.

„როცა საქართველოს მტერი ესეოდა და ხალხი ტყე-ღრეში იმალებოდა“, სანადიროდ წამოსულა სამი ძმა. „ქმოსტის მიდამო ტყით ყოფილა მაშინ დაფარული. მოსწონებიათ ადგილი და დასახლებულან... მერე შეიქმნა სოფლები – ქმოსტი, ლელისვაკე, საბერზე და იღლიაი“ – სადაც ერთი საერთო წარმომავლობის და ერთი ძირის ხალხი ცხოვრობდა, რომლსაც საერთო ხატი ჰქონდა (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

*

1855 წელს, ქმოსტში, 21 კომლი სახლობდა (46 მამაკაცი და 23 ქალი);

1926 წლის აღნერით ბურდულების 19 კომლი დარეგისტრირდა (77 სული).

გ. თევდორაძის ცნობით: –

ქმოსტში ორი მთავარი გვარია – ველთაური და ბურდული.

ველთაურების ფრატრიაში მკვლევარი თავბერაულებს და საგინაურებს მოიხსენიებს; ბურდულების ფრატრიაში – ყარდანაულებს, ბაჩიკელანს, ბურდულებს, ჩაკურაულთ და ტოლანს.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

ბურდულების გვარი – სამ სხვადასხვა წარმომავლობის შტოს აერთიანებს: – ხე-გსურ თავბერაულებს, დვალ ბერდიაულებს და მთიულ ველთაურებს.

მათი რამდენიმე მამიშვილობა (ყარდანაულნი, თინიბექანი, ტაუზანი) – მთლიანად ამონყდა: – ზოგი თემიდან მოკვეთეს, ზოგმა ნებაყოფლობით მიატოვა ხევსურეთი; ზოგის ამონყვეტის მიზეზი – სათემო, საჯვარო და პირად საკუთრებაში არსებული მინების მითვისება იყო.

„ტაუზათ გაძევების მიზეზი – ძმობის ღმერთის დალახვა და მეტად თავისაკე მიწეულობა ყოფილა.“ „იმათი ჯარჯო – მამულებს ღარიბებისაგან ყიდულობდა და ცოტა ფასს აძლევდა...“

„ომანი“ – ყველაზე მდიდრები ყოფილან, „მაგრამ არ სწამდთ არც ჯვარი, არც ღმერთი. მამულები დაიჭირეს ჯვართან ახლოს... და ამის გამო გაათავა ხატმა.“

„სამანანთ მამაც ამოწყვეტილა“: – „მათი სახლიდან გამამდინარი ლამფის შუქი, ლამლამობით, თურმე – ჯვართ ადგებოდა. ამას ვერ იხდენდა სალოცავი და სულ ამოწყვიტა ისინი“ (ალ. ოჩიაური).

ძლიერი გვარი ყოფილა ბერდიაული. ისინი – ჩირდილში, ჩხუბას, ქმოსტში, ღელისვაკესა და როშკში სახლობდნენ. „თითქმის მაგანძურს არ უთმობდნენ კაცრივ-ლობით.“ ბევრი სასიკეთო საქმეც უკეთებიათ: – გაუწყვეტიათ ლეკები; ბოდავიდან მოუტანიათ მინდორის ჯვარის ნიში და ხევსურეთი ამით უხსნისთ – შვიდწლიანი გვალვის შემდეგ. მერე – გაამაყდნენ, თურმე, მძლავრობას მიჰყვეს ხელი და საკუთარი მედროშეც მოკლეს – „გაუწყრათ მინდორის ჯვარი და სულ ერთიანად ამოწყდნენ“ (ალ. ოჩიაური).

ქმოსტში მოსულად ითვლება უსაჯურთა მამიშვილობა. ისინი „უფრო ბურდულებია და არა ველთაურები“. შთამომავლობით ოსები არიან – მაღრან-დვალეთიდან მოყვანილი ტყვის შთამომავალნი. ხევსურთა ლაშქარის ნინამძლოლი იმ ბრძოლაში, სახელგანთქმული ქმოსტელი ბერდიაული – „უვაშიშვილობით ყოფილა უტედური...“ მისთვის უჩუქებიათ მეთემებს პატარა ოსი ტყვე; „მაგის „უსაჯი“ (უკანონო) შვილი იყოსო.“ გაზარდა, ბერდიაულმა ბიჭი და „მის შთამომავლებს დაერქვათ უსაჯურნი“ (ვ. ბარდაველიძე).

*

როშკიონ-ქმოსტიონის სათემო სალოცავი – დიდგორის ჯვარი (ანუ, ვეშაგის წმ. გიორგი), როშკის სიახლოვეს მდებარეობს. „ხევიდან მოსულ თურმანაულს დაუარსებია.“ მისი უნჯი ყმანი ველთაურები იყვნენ.

კომპლექსის შემადგენლობაშია: – „დარბასი“ (საქვაბე-საკოდით), სახელოსნო და ორი კოშკი.

„სახელოსნო – დარბაზს ჩრდილოეთიდან აკრავს. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. გარედან, კარს ზემოთ, კედლის გაყოლებაზე, ქვის თაროა, რომელზეც – ჯიხვის რქები, სხვადასხვა ზომის თასები და უამრავი ზარაკებია მოთავსებული. თაროს ზემოთ, კედლის სიბრტყიდან გამოშვერილ ქვაზე, ჩამოკიდებულია ორი ზარი“. დიდი ზომის რუსული ყაიდის ჯვარს – ქართული წარწერა აქვს: – „საგინაშვილებმა, ნანა-ძემ და აპარეკამ დასამწყალობლად შემოგწირე მათლა წმინდა გიორგის.“

სახელოსნოს შიგნით, მარჯვენა კედლებით, ხატია, რომელზეც სერობაა გამოსახული, იქვე, მინაში ჩაფლული ფერადი სურათია – თეთრ ცხენზე გველეშაპის დამახვრელი წმინდა გიორგის გამოსახულებით.

ხის სკამების ზემოთ, დროშის ტარზე ჩამოსაცმელი ჯვარია – წარწერით: – „შემოვწირე ბოჭორნის წმინდა გიორგის ეკლესიას ნინო ქისტაურმა იანვრის ქცეისტაურის მეუღლემ“ (ვ. ბარდაველიძე).

ქმოსტელთა (სეტყვის საწინააღმდეგო) სასოფლო სალოცავის, თეთრი გიორგი მინდორის ჯვარის ნიში, როგორც უკვე აღვნიშნე, ბოდავიდან არის მოტანილი. მისი უნჯი ყმანი უსაჯურნი ყოფილან.

გადმოცემის თანახმად:

ღალის მიცემა არ მიცემასთან დაკავშირებით, ვინმე „უსაჯურმა თეთრი გიორგის დეკანოზი მოკლა და ხატ-განძი მის ოჯახში დარჩა.“ ამის გამო, „ამოსწყდა“ მკვლელის ოჯახი. მათ ადგილას „თეთრი გიორგი დაარსდა“ და დამნაშავის ბიძაშვილები

გახდნან მისი უნჯი ყმანი.

სეტყვის საწინააღმდეგო ხატობა ტრადიციული რიტუალით სრულდებოდა: –
სოფ. ბოდავიდან, იქაური ჯვარიონი, საათენგენოდ მოაბრძანებდა ქმოსტში –
დარ-ავდრის თეთრი გიორგის ხატს. ხევსურები (ორწყალთან) – ხარსა და საკლავს
მიაგებებდნენ და, ბოდავის წმინდა გიორგის დროშით, მათთან ერთად მოემართე-
ბოდნენ ქმოსტის ნიშთან, სადაც მათი საერთო ხატობა იმართებოდა.

ბოდავის ჯვარიონს – ამის შემდგომ, ბუდე-ხევსურეთის სხვა სოფლები ეპატი-
უებოდნენ (როშკა, ბლო, ზეისტეჩო, წონხადუ, უკანხადუ, ბაცალიგო, ატაბე, ჩხუბა,
აყნელი, ხახმატი, ჭიე, ოხერხევი, ძეძეურთა).

დაცდილი ჰქონიათ: –

როცა ბოდავის ხატი არ მობრძანდებოდა – ნათესები, თურმე მაშინ ისეტყვებოდა.

*

გადმოცემის თანახმად, საერთო ჯვარისყმობა აკავშირებდა ერთმანეთთან წყალ-
სიქითელ ბურდულებს და წიკლაურებს.

დიდგორის ჯვარის ძალით იყვნენ ისინი გაერთიანებულნი – უფრო მოზრდილ
ტერიტორიულ თემად.

ქმოსტელი ბურდულები „ხარით შეყრილები“ იყვნენ ახიელის თემთანაც – ჭირსა
თუ ლხინში მხარს უმაგრებდნენ ერთმანეთს.

ხევსურეთის მთავარი სალოცავის, სახმთო გუდანის ჯვარის საბრძანისში, ბეღლის
კარიბჭის თავზე იკითხება – ვინმე ვასო ბურდულის მიერ ამოკანრული სიტყვები: –

„მე ავაშენე და ხალხს დარჩეს“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანე-
თის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ხევსურეთი, გვ. 8, 1982 წ.).

*

დროთა განმავლობაში, ბურდულების ნაწილი ხევსურეთიდან ერწო-თიანეთსა და
გარე კახეთში გადასახლდა (ფოლოდაშვილები, პანკელაშვილები, ბურდულიშვილე-
ბი...) – ნაწილი, მთიულეთში – ხადას თემში დამკვიდრდა.

ქმოსტიდან წასულებად მიიჩნევენ თავს, ამჟამად, მლეთაში მცხოვრები ბურდ-
ულები (პოვლიანი, შიუკიანი, ჭაბუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, ჭიჭოლიანი, ვაჟიყი-
ანი, თადულიანი, ლეგიანი, აფთიანი, მჭედლიანი, ბეჟანიანი, ქურთავლიანი, როდო-
მიანი, ზალაანი, კოკოლიანი, ბურდულიანი, ხუციანი და სხვ.).

მათი ნაწილი, ქსნისა და არაგვის ხეობათა ბარში, ქართლის ველზე, თრიალეთში
და სამცხეში გადასახლდა.

ბურდულების ერთი შტო – უკანა ფშავში, ჭიროს თემში იყო გადასახლებული.
ისინი ჯერ ამანათად მიიღეს, მერე მამულები მისცეს და თავიანთი სალოცავების
ყმებად აქციეს.

ივრის ხეობის ზემო წელში, სოფელ არტანში სახლობდა ჭიროდან გადასახლე-
ბული ბურდულების რვა კომლი.

მათ წინაპარ სამ ძმას, უფრო ადრე, „მლეთაში ბატონები დაუხოციათ და ჭიროში
გაქცეულან“ („მიუვალ ადგილას“). მიუყვანიათ საკლავი და ხატში შეფიცვიან იქაურ
ფშავლებს.

მათი ნაწილი ხუციშვილის გვარზე დაეწერა.

ფშაველი ბურდულები, დროთა განმავლობაში, ბარისკენ – ბაზალეთის და შირაქის მიმართულებით „დაიძრნენ“ („ბაზალელი“ უნდილაშვილები და შირაქელი პარკაულები).

სინდაურისძე

როგორც ანდრეზი გვამცნობს: – ქმოსტელი მონადირე, გიგა სინდაურის ძე, „ბოძივით შაყუდებულ“ ჭიუხის ყველაზე მაღალ წვერზე – „ჯიხვებს აჰყოლია.“

„ესვრის, თურმე და გადაჰყრის...“

ყველაზე დიდი ხარჯისვი უფრო მაღლა წავიდა – წვერისკენ...

მიჰყვა სინდაურისძეც.

ჯიხვმა იფრინა და უფსკრულში გადაიჩეხა.

ჩახედა მონადირემ, თვალი შეუშინდა და ვეღარც ის გადარჩა.

სინადურის (სინადურიძის) მაღალი უნდიდა ხალხმა აბუდელაურის ტბასთან ალმრთულ იმ ულამაზეს ჭიუხთა მასივს.

ვისი გვარის იყო, არავინ იცის.

ზოგი მთქმელი როშკიონად მიიჩნევს; ზოგი – უკანაახოელ წიკლაურ-ბექაურთა ჩამომავლად (შ. არაბული).

ხორნაულთა ხორნაულები და ზარიძეები

როშკაზე გადადიოდა ხორნაულთაში მიმავალი ბილიკი.

ხეობის სათავეში, კავკასიონის მთავარი ქედის ძირში იყო განთავსებული სოფელი ბლო, მის ქვემოთ იყო – ხორნაულთა.

მათ შორის მანძილი 4,5 კმ-ია.

ერთი ვერსიის თანახმად: – ხორნაული ხორნაბუჯელნი არიან.

ხორანბუჯი შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი იყო დედოფლისწყაროს რაიონში. ის-ტორიული ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციის – კამბეჩოვანის, ცენტრი.

მკვლევართა აზრით: – „ხორნაბუჯი და ხორანთა“ – სიტყვა „ხორნი-ს“ ფუძიდან არის მიღებული.

ამ ფუძეში ხედავენ სპარსულ ხორან-ს (მზეს) და თა-ს (მთას);

ვარაუდობენ რომ: – „ხორან“ თუ მზეა, ხორანბუჯის კომპოზიტში, შესაძლებელია – „მზის კერპის ბურჯი“ მოიაზრებოდეს.

გადმოცემის თანახმად, ხორნაულების წინაპარი, ბარში ლაშქრობის შემდეგ, წიკლაურებს ნაალაფევში მოუყვანიათ (რ. თოფჩიშვილი).

როშკელმა წიკლაურებმა შეიფარეს იგი. თავიანთ მამულში დაასახლეს და ქალიც მიათხოვეს.

მათი შთამომავლები დიდხანს დადიოდნენ, თურმე, დედულეთში სალოცავად.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით, როცა თათრებმა ხორანბუჯი ააოხრეს, ერთი იქაური თავადის ცოლი და მცირენლოვანი ვაჟი – როშკელებმა შეიფარეს. მათი ადგ-

ილსამყოფელი – მაშინ, დღევანდელი ხორნაულთის თავზე ყოფილა. ბავშვი იქ გაზრდილა, კარგი ვაჟკაცი დამდგარა და „აღარსად გაუშვიათ.“

ხორნაულთის ადგილი მისთვის მიუციათ და მამიძმობაზე შეფიცულან. ალბათ, ამაზეა ნათქვამი: –

„როშკიონ-ხორნაულებმა ერთ ჯამში ჩაიჩიქესა...“

გ. ხორნაულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, 9 ძმამ დაუდო სათავე ხორნაულთა 9 მამიშვილობას: – სიხანს (ანუ სიხარულანს), ასხავარანს, ივანიკანს, წვერბედენანთ, კაცრიელთ, ჯამრულიკანთ, ხეთეშაურებს და ზარიძეებს (ჩემი საწუთორო-სამზეო, 2017 წ. გვ. 22).

სამაგანძუროსგან თავდაცვის მიზნით, ხორნაულები ხარით შეეფიცნენ ბლოველებს და ლიქოელებს.

ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობის დროს, ლიქოელებს – მათი ძლიერი მხარდაჭერა ჰქონიდათ.

მადლიერების ნიშნად, კარატის ჯვარში მათ – „სახორნაულთო ბროლის ქვა“ დადეს, რომელიც სადეკანოზო ბელელშია და მასზე მხოლოდ სალოცავში მისულ ხორნაულს ჩამოსვამდნენ ხოლმე.

ზურაბის ვერაგობით, როცა თრუსოში, სამოცი ხევსური მეომარი დახოცეს, გადმოცემის, თანახმად, მხოლოდ გახუა ხეთეშაურმა – ხორნაულთა ერთ-ერთი მამიშვილობის კაცმა შეძლო იქიდან თავის დაღწევა.

სუფრასთან იარაღით ჩამომჯდარა და სხვებისთვისაც უთქვამს: –

„ფარ-ხმალს ნუ იყრით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობისა.“

*

ანდრეზის თანახმა: –

ხორნაულთ ქალი – თამარული, ბაცალიგველ არაბულს ჰყოლია ცოლად. ისეთი თეთრი ყოფილა, ისეთი ნაზი კანი ჰქონია, წყალს როცა სვამდა – ჩანდა ყელში როგორ ჩადიოდა.

მეფე ერეკლეს მოსწონებია თამარაული – ხევსურეთში ყოფნისას.

„ამდგარან და დაუწვენიათ მასთან წესის-და-მიხედვით.“

ქალმა – ცნობილი ვაჟკაცი, ბიჩინაგა დაბადა, მერე – ვიღაცას ოჯახისთვის უნა-მუსობა შეუყვედრებია; აყრილან და გველეთში გადასახლებულან.

გველეთელი არაბულები მის ჩამომავლებად თვლიან თავს. ხორნაულებთან საუბრისას კი, ხორნაულ დიდიბებოს შვილობასაც ახსენებენ ხოლმე (გ. ხორნაული).

*

1873 წელს – ხორნაულთაში, 16 კომლი სახლობდა;

1946 წელს 3 კომლი დარეგისტრირდა.

ისინიც მალე აიყარნენ და, თიანეთის რაიონში, სოფ. ლელოვანში გადასახლდნენ.

ხორნაულების რამდენიმე მამიშვილობა (ბაყიანი, ჭულიანი, ივანიკანი, ჯოყოლანი და მაღალანი), სხვადასხვა მიზეზის გამო, ამოწყდნენ: –

„ჯოყოლანი... სხვა ხორნაულებთან შედარებით, კარგად ცხოვრობდნენ...“ როცა ვინმეს ოჯახს ხარჯი დასჭირდებოდა და მათ მიმართავდნენ, „ისინი ასეთებისგან

მამულებს ყიდულობდნენ – სულ იაფ ფასებში...“ „ამ შენაცოდვარზე ამოწყდნენ ქალ-ქალიშვილიანად.“

„მათი ქონება ცამეტმა კომლმა გაიყო.“

„მაღალათ ჯურხა“ განთქმული ყოფილა თავისი სიამაყით, „არ სწამდა არც ჯვარ-ჯვარისკარი და არც სოფელი. სულ მუდამ შარში, შულლში და ჭრა-ჭრილობაში იყო; სადაც ვის მამული მოქმნებოდა, გაუხდიდა შულლად, ეჭრევინებოდა და მერე მამულს წაართმევდა.“

„ბოლოს მოუნია ხალხის ცოდომ და ცოლ-შვილიანად ამოწყდა“ (ალ. ოჩიაური).

*

„ხორნაულთ თემის ერთ-ერთი მამიშვილობა „ზარიძე“ იყო.

კაცის სახელი გვარად გვიან იქცა – თიანეთში ჩასახლების შემდეგ (გ. ხორნაული, ხევსურეთის ტოპონიმია, 2014 წ. გვ. 245).

გ. თევდორაძის ცნობით: –

ზარიძეები (სიხანი, ხეთეშაურნი, ასხავარანი, ივანიკანი, ჯამრულიკანი, წვერბე-დენანი და კაცრიელანი) – წიკლაურების გვარში შედიან. მათი „განაყარნი ცხოვრობენ ფშავისხევშიც, სოფ. კანალხევში და ხორნაულებად იწერებიან. როგორც ჩანს, ამ გვარის ეს შტო თავისი ძველი მოსახლეობის ადგილთან, სოფ. ხორნაულთასთან, კავშირს არა წყვეტენ და ამიტომ, გვარიც ამ სოფლის სახელიდან გაუკეთებიათ – ხორნაულები... მათი ძირეული, ძველისძველი გვარი ორია – წიკლაური და ზარიძე.“

ხორნაულ-ზარიძეების უმეტესობა, XIX საუკუნის ბოლოს, სოფ. ხორნაულთიდან უკვე მთისწინეთში იყო გადასახლებული – კანალხევში, ბოდავსა და ერწო-თიანეთში.

მათი განაყრები არიან ჯამაგიძეები და ცალულელაშვილები.

ჯამაგი ზარიძე ძალიან ძლიერი კაცი ყოფილა.

სოფელ დევენაათხევსა, გადმოცემის თანახმად, სახელი – მისი დევთან ორთაბრ-ძოლის გამო შეერქვა.

*

„ბლოს და ხორნაულთას საერთო სალოცავი აქვს – „წვერნი“, რომელიც ხორნაულთის ზემოთ არის განთავსებული, მთის წვერზე“ (ვ. ბარდაველიძე).

ხატობების დროს, ალნიშნული სოფლების მცხოვრებნი, ერთმანეთის საგვარეულო სალოცავებშიც დადიოდნენ. ბლოველი გიგაურები ხორნაულთის – „ჭიხეშის (ჭიჭახის) ჯვარში“ (რომელიც სოფლის გაღმა მხარეს მდებარეობს); ხორნაულები – ბლოველ გიგაურთა – „მუხის გიორგის ჯვარში“.

„ეს ორი გვარი ხარით შეყრილები არ არიან და ერთმანეთში, ძველიდანვე – ქალს ათხოვებენ“ (ვ. ბარდაველიძე).

ხორნაულთა „სალოცავი ძლიერად ითვლება. მეზობელი თემის ხუცესნი იქ ვერ ბედავენ ხუცობას – მარხეა (ძლიერია, დანაშაულს არ აპატიებსო).“

„როგორც ნანგრევებიდან ჩანს, ძველად ხატის ადგილას სოფელი უნდა ყოფილ-იყო – ჭიხეში.

ათენგენობას (19-20 ივლისს) იქ კურატებით მოდიან ხორნაულ-ზარიძენი“ (გ. ხორნაული, ხევსურეთის ტოპონიმია, 2014 წ. გვ. 245).

გიგი ხორნაული

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერი და მწერალი, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმიკის კვლევით განეული უზარმაზარი შრომით, გაქრობის პირას მისული – მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა შეგვინარჩუნა.

ერთი მართალი კაცი, რომელმაც პატიოსანი შემოქმედის მძიმე და უმადური ჭაპანი ზიდა.

ორი ათეული წელი – მისი შრომები ჩემი სამაგიდო წიგნები იყო.

ვაჟა ხორნაული

თვალსაჩინო პოეტი და მთარგმნელი – ოცამდე პოეტური კრებულის და ლიტერატურული წერილების ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია ბულგარულ, რუმინულ, უნგრულ, უკრაინულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

როშკა და წიკლაურები

სოფელი – არხოტისკენ მიმავალ ხეობაში მდებარეობს, მთიულეთ-ფშავის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე – აბუდელაურიდან ჩამომდინარი ერთ-ერთი ხევის ნაპირას (ზ.დ. 2000 მ-ზე).

„მიწოლილი მთა მოფენილია მყინვარისაგან ჩამოტანილი ვეება, სახლისხელა ლოდებით“ (გ. ხორნაული).

ხევსურეთის ერთ-ერთი უძველესი, დიდი და ძლიერი დასახლება იყო – ისტორიული როშკა-ქმოსტის თემის ცენტრი.

მასზე – მნიშვნელოვანი შიდა სამიმოსვლო გზები გადიოდა.

სოფლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით (როშკისწყლის მარცხენა ნაპირზე), გვიანდელი შუა საუკუნეების ნასოფლარია. ფიქსირდება ნატეხი ქვით ნაგები რამდენიმე ნასახლარი.

ნასოფლარებია – ფაფარენა და გალმა როშკაც; გარბანი და ყერყეტა როშკის უბნები ყოფილა.

„გარბანი არც ჩანს უზარმაზარი ლოდების გვერდით. ბუნების რაღაც მოვლენას ეს ლოდები ჭიუხისთვის მოუგლეჯია და უწესრიგოდ გალმა-გამოლმა მიმოუყრია“ (თ. ოჩიაური).

სოფლის ზემოთ, მდ. აბუდელაურის სათავეში (ზ.დ. 2812 მ-ზე), ულამაზეს სუბალპურ მდელოზე, კლდის გიგანტურ ლოდებს შორის, მყინვარული წარმოშობის ღრმა, ფსკერამდე გამჭვირვალე (გამდინარე ხასიათის) სამი ტბაა. თოვლის, მყინვარისა და წვიმის წყლით საზრდოობს. განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. წლინადის დროთა მიხედვით, ფერს იცვლის, რასაც ღვთაებრივ სასწაულად მიიჩნევენ.

გადმოცემის თანახმად, ამ ტბას შეაფარა თავი იახსარის ლახტს გადარჩენილმა ერთ-ერთმა დევმა, რომელიც მას შუაფხოდან გამოექცა და ტბაში ჩაიმალა. იახსარიც თან ჩაჰუცა – მოკლა, მაგრამ აღარც თვითონ ეწერა ტბიდან ამოსვლა – საყმოს რომ ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი არ დაეკლა.

როცა ასეთი ზვარაკის სისხლი ტბას მოასხურეს, იახსარი მტრედის სახით ამოფრინდა და, „ლიქოკის თავს, კარატის წვერზე დაბრძანდა“ (სადაც კოშკი და საზარეაუგეს).

*

სოფელი როშკა წიკლაურების ძირძველი დასახლებაა.

მათი თავდაპირველი საცხოვრისი, ერთი ვერსიის თანახმად – ფშავია.

„ჯიხვიანთ კაცს ამანათად დაუყენებავ... ემაგ მაშარასა“ ვინმე წიკლაური. „ერთ ქობ-კოკან მიუციან იმას, ოღომც მანდ გაგვიშვიო და... დამდგარა... იმას კიდევ სხვა მაუყვანავ, იმას კიდევ სხვა... და ამასობაში გაკეთებულა სოფელი“ (გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978 წ. გვ. 150).

უფრო მოგვიანებით, წიკლაურების ერთ-ერთ მდიდარ, ძლიერ და ხალხმრავალ კომლს – მაშარაში, „ხატი გამიზეზია“ და 11 მამაკაცი ერთ დღეს დაღუპულა.

გადარჩენილა პატარა იმედა და დედამისი.

წამოსულან და ხევსურეთის სოფელ ღელისვაკეში დასახლებულან.

იმ დროს, როშკაში, თურმე, არავინ ცხოვრობდა.

„ხევსურთ საჯოგე“ და „ქისტების სამზირი“ იყო – სადაც „ხალხს ხოცდნენ“.

„როშკა-აბუდელაურის გაუვალი ტყით დაფარული მთა-ხეობები მზირ-მეკოპრე-თა, მონადირეთა და ნადირ-ფრინველთა სამფლობელოდ იყო ქცეული.“

დავაუკაცებულ იმედას, თურმე, სამი ვაჟი შეეძინა. ისინი აღუდგნენ-ო წინ ქისტებს თარეშს. საგმირო საქმენი ჩაიდინეს და, ტყით დაფარული როშკის მიდამოები, საკარგყოდ მოიპოვეს.

დროთა განმავლობაში, ერთი ძმა ამღაში გადასახლდა, მეორე – უკანაახოში, მესამე – როშკაში დარჩა.

მოგვიანებით, როშკასა და ქმოსტ-ღელისვაკეში მდგარ სხვადასხვა წარმომავლობის მცხოვრებთ (ჩურთაულებს, კალაურებს, სინდაურებს და სხვ.) – ორი გვარი მიუღიათ: როშკოვნებს – წიკლაური; ქმოსტელ-ღელისვაკელებს – ბურდული.

*

განსხვავებული ვერსიის თანახმად, წიკლაურების ფაფარენელი (როშკელი) წინაპარი, გვარად თურმანიძე, ადრე, უინვალთან „მდგარა“. კახელი თავადები (ჭავჭავაძეები) მტრობდნენ და – ამის გამო გახიზნულა ხევსურეთში: –

„თურმან ვარ ფაფარენელი,
კითხვა რად გინდათ გორისა,
ხორხი დავწვი და მაღარო,
უინვან ჯავრი მაქ ორისა –
თიანეთ ჭავჭავაძისა – გაუმაძლარის ღორისა...“

*

მესამე ვერსიის მიხედვით, წიკლაურების წინაპარი – ახმეტელი შანას შვილი (შანაშვილი) ყოფილა – გავლენიანი, მდიდარი, დიდი მამულების და მრავალი ცხვარ-ძროხის პატრონი.

თავად ჭავჭავაძეებთან უთანხმოების გამო, მისი ერთ-ერთი შთამომავალი, სახ-ელად ბასილი, იძულებული გამხდარა – ცოლით და სამი ვაჟით, უკანა ფშავის სოფ. მაშარაში გახიზნულიყო, სადაც, ზაფხულობით „დაუდიოდა საქონელი“.

ვერც იქ უგრძვნიათ თავი უასფრთხოდ და ხევსურეთში გადაკარგულან.

„ბასილას ძეთ“ ლეკებთან ბრძოლებში უსახელებიათ თავი; როშკის ტერიტორია საკარგყმოდ მიუღიათ და ფაფანერას დამკვიდრებულან.

მათი შთამომავლები, გადმოცემის თანახმად, პაპის სახელისგან ნაწარმოებ გვარ-ზე – ბასილაურზე გადავიდნენ.

უფრო მოგვიანებით, ამ გვარის შიგნით გამოიკვეთა, მათი თვალსაჩინო წარმო-მადგენლის, წიკვას (წიკლაურების პატრონიმის), ძლიერი შტო, რომელიც, შემდგომ-ში, სამ მამიშვილობად დაიყო:

ერთი – გაღმა როშკაში დასახლდა;

მეორე – არხოტის სოფ. ამღაში;

მესამე – ბუდე ხევსურეთის ჩირდილის ხევში (სოფ. უკანაახოში).

ასე დაედო სათავე ნამდვილი წიკლაურების სამ შტოს: – „როშკიონს“, „ამღიონს“ და „უკანაახოელებს“.

*

ანდრეზის მიხედვით – არხოტში, თავდაპირველად, ფაფარენელი თურმანის შვი-ლი – ბერდი წიკლაური დასახლდა.

მან დაუდო სათავე ბერდიშვილთა მრავალრიცხოვან და სახელოვან მამიშვილო-ბას.

იმ პერიოდში, ამღაში, მისი ძირძველი მკვიდრნი: – ჭოლიკაურები (გატუსვლიანი), უთრუებიანი (შულლიანი), ბახალაურები და სხვ. გვარები მდგარან – რომლებიც, დრო-თა განმავლობაში, წიკლურების გვარზე გადავიდნენ.

ამღელი წიკლაურებიდან წარმოსდგნენ, მათთან გაერთიანდნენ და, დღეს – წიკლაურის გვარს (მთლიანად, ან ნაწილობრივ) ატარებენ – შემდეგი მამიშვილობები: – ბასილანი, ბერდიშვილი, გაგანი, ნისლაურნი, ბაიანი, აბაისძენი, ჩაჩაურნი, გიორ-განი, ბახანი, ჭოლიკაურნი, უთურგანი, მარაისძენი, ბახილაურები (ქარჩანი, ძმაურნი, ჩინგლანი) და სხვ.

*

1855 წელს, როშკაში, 27 კომლი სახლობდა (45 მამაკაცი და 35 ქალი).

1926 წლის აღწერით წიკლაურების 30 კომლი დარეგისტრირდა (137 სული).

როშკელი წიკლაურებიდან მოდიან: – ქირციანი, გადაღახულანი, გურიანი, ჯოუ-ლიკანი და კიბაღაურნი.

სხვა გვარების მათთან „შედგომის“ ფაქტი არ დასტურდება.

არხოტელი და უკანაახოელი წიკლაურების ზოგი შტო ნამდვილია, ზოგი – წიკლაუ-

რობაზე შემდგარ-შეფიცული.

როშკელი წიკლაურების რამდენიმე მამიშვილობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამოწყდა: –

ყაბელნი, თურმე – „მდიდრად ცხოვრობდნენ, სხვის მამულებს ეტანებოდნენ“ და იმიტომ;

ბასილანის ამოწყვეტის მიზეზი – ტყუილად დაფიცება და ჯვარის მამულების მითვისება ყოფილა.

როგორც ნ. ბალიაური გვამცნობს: –

„ჯოყოლიკათ მამიდან ძალიან მამაცი ვაჟკაცები გამოდიან... მათი მამის ერთ კაცს ჩალხია ერქვა. ბორუყოთ ჩალხიას ეძახდნენ. ძალიან ზორბა, მხარბეჭიანი, მაღალ კისრიანი, ლამაზი, ამაყი ვაჟკაცი იყო – პურადიც და გულადიც, მოჩხუბარიც. თან ძალიან ლარიბიც.“

*

ალ. ნაზლაიძის ცნობით: –

„უკანახოელი წიკლაურები მთლიანად გუდამაყარში გადაიკრიფნენ“.

მათი საცხოვრისი იყო: – მაქართა, სიჯანანი, ფახვიჯი, საჩალისჭალა, ზანდუკი, დიხჩი და ლუთხუბი.

ამ კუთხის ორი ძირითადი გვარის – წიკლაურის და ბექაურის წინაპრები („წიკვაი და ბექაი“), ანდრეზის თანახმად, უკანახოში ძმად გაიფიცულან. მერე, ხასიათით ვერ შეწყობიან ერთმანეთს და გაყრილან.

„ბექაი ბექაურად დარჩალა, წიკვაი – წიკლაურად“.

*

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ხევსურეთში მცხოვრები წიკლაურები ერთ ფრატრიას წარმოადგენენ; მის შემადგენლობაში შედიან მათთან გაერთიანებული გვარებიც: – მარაისძენი, ხაციკანი, ცოტუანი, ბევრანი, გურიანი, ქირცინანი, კობელანი, ფოქარანი, გადალახულანი, ყაბელანი, წურწუმელანი, ბერდიშვილიანი, გილანი, ბაჩიკელანი, ჩუგაურნი, კიბალაურნი, ბერდიანი, აბაისძენი, ბახანი, ჭოლიკაურნი, ცინგლანი, კიკისძენი, უთრუგიანი, ძაბურანი, ჩაჩაურნი და ახალანი.

„ხევსურეთის ფუძემდებელ გვარად წიკლაურს არ სცნობენ,“ მაგრამ – „სიმრავლით ისინი, თითქმის, ყველაზე ძლიერები არიან და არაბულებსაც კი ეჯიბრებიან.“

ხევში გადასახლებული წიკლაურების განაყარნი „გვაროვნულ ურთიერთობას არ სწყვეტენ, თავიანთ ფშაველ მოგვარეებთან. ფშაველების თქმით, ეს წიკლაურები ხევსურეთიდან სოფ. ბლოდან, გადმოსახლებული წიკლაურის ჩამომავლები არიან. ის კი, კაცის მოკვლის გამო ყოფილა გამოქცეული სამშობლოდან“ (გ. თევდორაძე).

ერთი ანდრეზის თანახმად, ხევსურეთიდან ხევში – ამლელი წიკლაურები გადასახლდნენ. მეორე ვერსიის თანახმად, მოხევე წიკლაურები – გუდამაყრიდან (უკანახოელთა შტოდან) არიან წასულები.

*

სოფელი როშკა მრავალი უბედურების მომსწრეა.

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, 1620 წელს ზაფხულში, ზურაბ არაგვის ერისთავი – ხევიდან, დიდი ლაშქრით შეიჭრა ხევსურეთში.

თავდასხმა ძლიერი და მოულოდნელი იყო: –

„როშკას ატირდეს ციხენი,
ბლოს სახლნი ქვიტკირისანი;
როშკის ხორხს ზურაბ ჩამაჯდა,
შუქნ ჩამაუშვნა მზისანი...“

ხევსურებმა გარიგება სცადს. ხარკი შესთავაზეს მრისხანე ფეოდალს.

ერისთავმა ყმობა მოითხოვა. გუდანს მიადგა და ავის მომასწავლებლად დაბანაკდა.

„სანეს დაგროვდნენ ხევსურნიც, პატრონნი ადგილისანი“: –

ზურაბო, დაჯე, დაგვეხსენ,
ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი,
თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
ხოჯეგნ კარ გვიდგან ხვთისანი;
მაგვივლენ მთას იქითელნი,
ნაპირის ადგილისანი...“

უთანასწორო ბრძოლაში ხევსურები დამარცხდნენ. დაგვიანებით მოჭრილი მამუკა ქალუნდაურის მაშველი რაზმი – ბეგენ-გორს წამოენია მტერს და სასტიკად გაუსწორდა.

ღულის წყალი შეღებეს მათი სისხლით...

*

ამბობენ რომ: – როშკიონმა ჭრელა ნადირაშვილმა არაგვის ერისთავის ორეული მოჰკლა ციხიდან ნასროლი ისრით.

„ზურაბი, თურმე, ჯართ შუაში იმალებოდა.“

იმასაც ამბობენ რომ: – როშკელი წიკლაურები გორშელმელ არაბულებს დახმარებიან – ქისტებთან ბრძოლაში.

„მას აქეთ, ყოველ ათანგენობას, გორშელმელთა მთავარ სალოცავში, ბაცალიგოს პირქუშის ჯვარში, საკარგყმო ლუდი დუღს, წიკლაურების სადღეგრძელოდ“ (ალ. ნაზლაიძე).

*

როგორც ვ. ბარდაველიძის მთხოვნელი გვამცნობს: –

„როშკისა და ქმოსტის სალოცავებში დიდგორის ჯვარი ყველაზედ უფროსი ას. ხთისგან აქვ მალოცვილი შაძლებაი. დევ-კერპთაც ებრძვის და, გაჭირვების დროს, მტერსთანაც შაუძლავ დახმარება... წიკლაურები და ჩვენ (ბურდულები) ახლო-ახლოს ვორთ – იმათ გვაქვ საერთო ჯვარი. წინ-წინაზე ეგ ჯვარი ჩვენი სოფლის ახლოს ყოფილა... მარტო ჩვენ ვყოფილვართ... სხვებ არ ყოფილან მიბარებულები... მემრ,

რომელიმნიც მოსულან.“

გაღმა-როშკაში – „კიდევ ერთი სალოცავი ას, მთავარანგელოზი.“

მას მხოლოდ როშკიონი ლოცულობდნენ.

მის მახლობლად, ძველი ციხის ნანგრევებია.

ხატის ჩრდილოეთით მდგარ კვადრატული ფორმის ნაგებობას – რომელსაც ყორის გალავანი გაუყვება, „ძენგლს“ უწოდებენ.

ქვემოთ, ციცაბო კლდის ძირში, მას – ბლოსნიალი ჩამოუდის (ვ. ბარდაველიძე).

„დევთდედის“ (ავსულთა დედის) სალოცავია „ციხურა“, სადაც მხოლოდ დედა-კაცები მიდიან საწირავით. ეხვენებიან, რომ მათ ოჯახს ავსულები არ მიუსიოს (ვ. ბარდაველიძე).

*

თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც წიკლაურების შტონაყარი გვარების წარმოქმნის, ისე მათთან დანათესავების პროცესი.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მათ რამდენიმე ათეული მამიშვილობა გამოეყო: – ლომიანი, შივიანი, ლეგიანი, ბუდლუნაანი, ბერიძიანი, ბანანუნიანი, ვაზ-დეგიანი, ჭაიანი, დათვენი, ლეგუშიანი, ბენინიანი, ლერნიანი, ციფანი, ხიზანიანი, ჩამილიანი, აბენი, ჯანგირანი, თორელანი, მერაბიანი, ბოლონანი, თანგულანი, მარტიანი, ალექსიანი და სხვ.

წიკლაურებს გამოეყვნენ: – გუდამაყრელი ბექაურები, მთიული გვიანიშვილები, ქარჩოხელი ქანაშვილები და წიპტაურები; ცხრაზმელი ბაშარულები; ერწო-თიანელი ჯანგირაშვილები და ბასილაურები; ატენისხეველი თოფჩიშვილები; ორბეთელი ხელაშვილები; ლაგოდეხელი წიკლაშვილები... (ალ. ნაზლაიძე).

სხვადასხვა მამიშვილობების წარმოქმნის პარალელურად, წიკლაურებს ბევრი სხვა გვარის ხალხი შეეკედლა, შეეფიცა და რიტუალური ადათ-წესების დაცვით – განიკლაურდა. მათ გვარზე გადასულან: – გუდამაყარში – სოფ. ბახანში მცხოვრები ჩობალაურები, ფახვიჯელი იგრიაულები, ათნოხელი თამნიაურები; დიხჩი, ლუთხუბში, მაქართასა და ზანდუკში მცხოვრები თლომიაურები; ხევსურეთიდან დუმაცხომი მისული – ხარხელაურები და ბუბუნაურები.

მათ მოიხსენიებენ, როგორც – ჩობალაურთ, თამინაურთ, ბუბუნაურთ და ხარხელაურთ წიკლაურებს.

არიან – წიკლაური-წიპტაურები, წიკლაური-თამარაულები, წიკლაური-ახალაშვილები, წიკლაური-ბასილაშვილები და სხვ.

გუდამაყრელი წიკლაურების დიდი ნაწილი – მთიულეთში, ხევში, ქსნის ხეობაში, თრიალეთის მთებში და ბარში ჩამოსახლდა.

მთიული წიკლაურების მამიშვილობებია: – ლომიანი, თლამნიაურნი, ბუბულაურნი, ნატიანი, ვაიდაგიანი და კოტორიანი (ს. მაკალათია).

როშკის მოსახლეობის ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX საუკუნიდან დაიწყო.

არხილოსკალოში გადასახლებული როშკელი ივანე წიკლაური (კიბალაური) – „იქ-იდან ესათუთებოდა თავის მშობლიურ მთებს, როშკის სანახებს. ფანდურის ხმაზე იბადებოდნენ ლექსებად ქცეული სიმღერები. ოცნებით ლანდავდა მონატრებულ საარაგოს, მთებზე დაწნულ ბილიკებს და ახალგაზრდობის დროინდელ განცდილ-დანახულის საგზლით კვებავდა თავის ლექსებს“ (ვახუშტი კოტეტიშვილი): –

„შენ გეხვეწები, ცისკარო, თუ ხარ მთას მიმავალია,
ვიცი დახყურებ როშკასა, მიამბე, შამიბრალია,
სოფელს ლიშნობით გასწავლი: ყველკან ქვის გალავანია,
ლიბუდან სანაპირომდე სწყევენ ლალუმის ქვანია,
ბიბინებს თეთრი არაგვი, სოფლისგვერდ ჩამდინარია,
სოფლისთავ ფიცარკლდეთანა წევს მძიმე ხარავანია,
საჯუთო – საარხვატოზე ძოვს თორმეტ ფარა ცხვარია,
როშკის ხოს იალაღზედა დგას რემათ ქარავანია,
ქერით ნაკვებებს ხვადებსა აკრავ ფოლადის ნალია,
ხფენავ-ლა იალაღები? ხყუდიანა-ლა მთანია?“

ბლო და გიგაურები

ბლო – პირაქეთი ხევსურეთის უკიდურესი სოფელია. როშკის და ბაცალიგოს ხეობებს შუა, „არხვატის მთის ძირში“ მდებარეობს – ზ.დ 1930 მ-ზე.

„ერთ ჭიშეხელ ხევსურს, რომელსაც გიგა რქმევია, შვილი გაუგზავნია სანადიროდ.
დაჰყოლია ვაჟი ხეობას, მოუკლავს ნადირი და როცა შინ დაბრუნებულისთვის უკითხ-
ავთ: – სადამდე იყავიო? – „ბლომდე“ (ანუ, ბოლომდეო) – უთქვამს“.

აქედან წარმოსდგა, თურმე, სოფლის სახელწოდება, სადაც გიგაურების ძლიერი
გვარი მდგარა.

განაპირა ადგილი იყო და მტრის შიშიც მეტი ჰქონდათ.

ცხრა-ათთვალიანი ციხე ჰქონიათ ბლოელ გიგაურ-მამუკაურებს. იმ ციხეში იხ-
იზნებოდნენ – მტრის თავდასხმის დროს (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები,
1977 წ.).

სოფელი რამდენიმე უბნად იყო დაყოფილი: – „აბაბუხნა“, „ქალქვისთავი“, „ჭალ-
აისკარი...“

„ბალიაურებს – სახლი ბროლსთან სდგომიათ.“ „იქედან არიან არხოტში წასულნი.“

1873 წელს, ბლოში – 38 კომლი სახლობდა;

1926 წლის აღნერით გიგაურების 28 კომლი დარეგისტრირდა (111 სული).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სოფელი მთლიანად დაიცალა.

„60-იან წლებში კვლავ მიბრუნდა გუდრუხიდან ჩაჩაურ გიგაური.“

დღეს, ყველაფერი ნანგრევებად არის ქცეული.

*

ს. მაკალათიას ცნობით: – „გიგაურთ წინაპარი“ ზვიადაური იყო.

რ. თოფჩიშვილის კვლევებით: – საერთო წარმომავლობა აქვთ ხევსურ გიგაურებს, ზვიადაურებს და ფშაველ წონკოლაურებს... ამ სამი გვარის წინაპარი სამი ძმა – „მცხეთიდან ყოფილან მოსულნი“: – ბლოში დასახლებულს – გიგაურის გვარისათ-
ვის მიუცია დასაბამი; არდოტში დასახლებულს – ზვიადაურის გვარისთვის; ფშავის სოფელ მუქოში დასახლებულს – წონკოლაურებისათვის (ქართული გვარ-სახელების
ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 20-21).

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად: –

გიგაურ-ზვიადაურთა წინაპარები, ადრე, ფშავის სოფელ მუქოში მდგარან. იქიდან წამოსულან ხევსურეთში – რადგან, მათი ერთ-ერთი მამის დასტურობის უამს, თასი დაკარგულა და, თემს იძულებით, სამ ძმას დაუტოვებია სოფელი.

ერთი მათგანი, სახელად ზვიადი, მაშინ ჯერ კიდევ უკაცრიელ, არდოტის მიდამოებში დასახლებულა და ზვიადაურის გვარისათვის მიუცია დასაბამი. გიგა – ბლოს დამკვიდრებულა, შუქია – კვირიწმინდას. მათგან წარმომდგარა გიგაურთა და შუქიაურთა გვარი... მომდევნო წელს – მუქოში, დაკარგული თასი უნახავთ, მაგრამ გასახლებული ძმები უკან აღარ მიბრულებულან (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, ხევსურული გვარები, წ. I, 2003 წ. გვ. 20-21).

როგორც პოეტი გიორგი გიგაური გვამცნობს: სამი ხევსური ძმიდან – გიგამ გიგაურების გვარი აწარმოა და სოფელ ბლოში დასახლდა; თეთრა – სოფელ ჭიმლაში დამკვიდრდა; წონკა – ფშავის ხეობაში წავიდა საცხოვრებლად.

რამდენადმე განსხვავებული ვერსიით, ოთხი ხევსური ძმიდან: – გიგა, ბლოში დასახლდა; ზვიადი – არდოტში; წონკა – ფშავის სოფელ მუქოში; თეთრამ – საცხოვრებლად ჭიმლა აირჩია და მისგან თეთრაულების გვარი წარმოსდგა.

*

„ბლოელნი ძველი დროიდანვე გამოირჩეოდნენ ტანიანობითა და ახოვნებით. გავიხსენოთ – გიგა გიგაური, ბერდია მამუკაური, ძმანი აბაბუხნელნი, აფშინათ აბა, ალავერდანი...“ (შ. არაბული).

იმასაც ამბობენ, რომ მათი ჩამომავალი იყო გოლიათი – გიორგი სააკაძე.

მწერალ გ. შატბერაშვილის ცნობით, სააკაძეობა მან მაშინ დაირქვა, როცა უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული (თხზულებანი, ტ. IV, გვ. 15, 1975 წ.).

ალბათ, ალნიშნული ინფორმაციის საფუძველზე თვლიან, რომ: – XVII საუკუნეში, ხევსურეთიდან აყრილი გიგაურების ნოსტე-ახალციხე-კასპის რაიონებში ჩასახლება, შემთხვევითი არ იყო; ისინი თავიანთ ბარელ თანამოძმებთან წავიდნენ.

*

მკვლევართა აზრით, გიგაურების გვარი სოფელ ბლოდან დაიწყო. მათი თავდაპირველი საცხოვრისი იქ იყო.

„აქედან წასულან – სამხრეთით, დათვისის თემის სოფელ გველეთში და ჩრდილოეთით, არხოტის თემის სოფელ ჭიმლაში. აქედან წასულა გიგაურის ბიძაშვილი ზვიადაური – პირიქითა ხევსურეთის სოფელ არდოტში და წონკოლაური – უკანაფშავის სოფელ მუქოში“ (ალ. ნაზლაიძე).

„აქედან წასულა გიგაურის ბიძაშვილი ანთაური წინაფშავის სოფელ კაწალხევში და გუდამაყრის სოფელ ლუთხუბში“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

ზურაბ არაგვის ერისთავის ზეობის უამს, დათვის-გველეთელი გიგაურები ჭართლის სოფლებში გადასახლდნენ. 1774 წელს – სარეკოტუბანში, მათი 4 კომლი სახლობდა; ზენუბანში და კოლოტაში 9-9; მუგუდაში – 12. ამავე სოფლებში მკვიდრობდნენ

ისეთი გვარებიც, რომლებიც ძირად გიგაურები იყვნენ და თავს მათ განაყრებად მიიჩნევდნენ (ჩიტაურები, ჯიქურები, ციხელაშვილები, შალვაშვილები, ხარებაშვილები, გუდაშვილები, გოგიშვილები, კოტორაშვილები, პაპიაშვილები და სხვ.).

XVIII–XIX სს მიჯნაზე, არხოტელი გიგაურების ნაწილი ხევში გადასახლდა. რატომლაც, გვარი დაუფარავთ და ჩეკიაშვილებად დაწერილან.

XIX საუკუნის აღწერებში მოხსენებული ჩეკიაშვილები მოხევე გიგაურების წინაპრები არიან.

საკუთარი გვარი მათ მოგვიანებით აღიდგინეს.

*

ბლოელი გიგაურების მთავარი სალოცავი – მუხის წმინდა გიორგის ჯვარია. ლოცულობდნენ აგრეთვე – „მიქაელ – მთავარ ანგელოსსა“ და „გიორგი მგზავრის ანგელოსს“ (ვ. ბარდაველიძე).

მიგრაციული პროცესების დროს, მათ თან მიჰქონდათ როგორც სათემო, ისე საერთო საგიგაურო სალოცავის ნიშები.

გიგაურები და გიგაურყოფილი გვარები, რომლებიც, დღეს, მთელ საქართველოში სახლობენ და 50-მდე შტონაყარ გვარს ითვლიან – საერთო საგვარეულო ხატობის დროს – „სამღვთო გამოსაღებს“ (ე.წ. „საგიგაუროს“) მთელ გიგაურებში აგროვებდნენ („ჭართლიდან მცხეთამდე“).

„ეს ადათი ერთგვარად ჰკრავდა გიგაურთა ძველ თემს, გიგაურთა დიდ გვარს და მისგან შტონაყარ ათეულობით საგვარეულოს – სოციალურ ერთობას უნარჩუნებდა“ (რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ. გვ. 46-49).

ბერდია მამუკაური (გიგაური)

XVII საუკუნის ბლოველმა სახალხო გმირმა, ბერდია მამუკაურმა, სახელი ზურაბ არაგვის ერისთავთან და მის მოურავთან, შიოლა ღუდუშაურთან ბრძოლით გაითქვა.

ადრე, ერისთავებთან კარგი ურთიერთობა ჰქონია. მათ გვერდით მდგარა მთიულებთან და გუდამაყრელებთან ნუგზარ ერისთავის ბრძოლის დროს.

ზურაბის ვერაგობით – მამუკა ქალუნდაურის საწინააღმდეგო შეთქმულებაშიც მონაწილეობდა (ამის სანაცვლოდაც მიიღო სოფელი კარკუჩი).

თრუსოს სისხლიანი ნადიმის შემდგომ, იქცა – ზურაბის და მისი მოურავის მოსისხლე მტრად.

ტოლს არ უდებდა აღზევებულ ღუდუშაურს: –

„საკარგყმო დადგეს ხევსურთა: შიოლას ვინ სცემს ფარზედა?

– შიოლას ბლოელ ბერდიამ შამუარ მარჯვენაზედა;

მოკლიამ გაიპრიალა, შუქნ გადიყარნეს მთაზედა;

მოკლიამ ჩამააცვითა, სისხლი განითდა ტანზედა,

შიოლა განითლებული განირა ხევის წყალზედა...“

კარკუჩაში დასახლებული მამუკაური იძულებული გახდა, ბრძოლით მიეტოვებინა არაგვის ერისთავის ბოძებული ადგილი – უბრძოლველად არ დათმო იგი...

თემმა დააფასა ბერდია მამუკაურის ღვანლი: –

„საკარგყმო დაუდგამთ“ და „ჯარზეით ქალიც აურჩევიათ...“

მისი ჯაჭვის მკვეთელი ფრანგული (ე.წ. „მამუკაურა“) გვიანობამდე შემონახული ჰქონდათ შთამომავლებს.

ამჟამად, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

აბა ბიტურას ძე გიგაური

ბლოელი გოლიათი, აბა ბატურას ძე გიგაური (ბიტურათ აბა, ბიტურაული) – იმ „შვიდ ხევსურს“ შორის მოიაზრება, რომლებიც მეფე ერეკლეს ახლდნენ ასპინძის ომში.

შვიდივე საარაკო სიქველით და შემართებით იბრძოდა საყვარელი მეფის გვერდით. იბრძოდნენ მეფის გმირობით ფრთაშესხმულნი, საკუთარ მიწაზე, საკუთარი ცის ქვეშ, საკუთარი ქვეყნის დასახსნელად (ლ. სანიკიძე).

აბა – თავისი გოლიათური ტანით და ჯან-ლონით, განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. ერეკლე, თურმე, ფალავნებთან საჭიდაოდაც იბარებდა.

გოლიათი ყოფილა მისი მამაც – ბიტურა გიგაური, რომელსაც ორი ვაჟი ჰყოლია – აბა და ნათელისძე. ორივე მამასავით სრული და ძლიერი. „ნეკნები და მკერდის ძვალი მთლიანი, ფიცარივით მასიური ჰქონიათ.“

ნათელისძე – დეკანოზ-ხევისბერი იყო ბლოს მიქელ მთავარანგელოზის ჯვარში.

*

ბლოდან წარმომავლობდა პოეტი გიორგი გიგაური: –

„რა ვიყავ, რა ვარ – არავინ იცის,
არც ის იციან ხვალ რა ვიქნები,
მე ვიცი მხოლოდ; მტვერი ვარ მიწის,
ტრვიალი – ლექსის, ტყდომა ფიქრების.“

*

უშრეტი ენერგიის მქონე დაუღალავი კაცი, ბლოელი ჩაჩაურ გიგაური – რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, „მანძილა ხარივით ეწეოდა ერთკომლიანი სოფლის უდელს“. მრავალი განსაცდელი და მეხთატეხა ჰქონდა ნანახი. ოცდაორი კომლი რომ სახლობდა ბლოში, იმისი მომსწრეც იყო და იმისაც, თუ უგზოობამ, გაჭირვებამ და „უკუღმართი კაცის უკუღმართად მიღებულმა გადაწყვეტილებამ – როგორ აჰყარა გავერანებისა და გატყიურების პირას მიყვანილი ერთ დროს კაცრიელი ხეობა. თვითონ კი იქ დარჩა, სოფელი ასოფლა, კერა არ გააცივა“ (გ. ჭინჭარაული).

გორშელმის თემი, არაბულები და ატაბელი გოგოჭურები

ანდრეზის თანახმად: როცა მეგანძურთა მამები გაიყარნენ – არაბა ბოსტანიგოს დასახლდა, სოფელ ჩხუბასთან – „ტყეში მდებარე ვიწრო ადგილას“.

იქიდან გადავიდა ზეისტეჩოს.

ბოსტანიგოს დარჩა ხოშურაული – მისი უფროსი ვაჟი.

გორშელმის ხეობაში, მაშინ, კავეასიანთა ჩამომავალი გვარები მდგარან (კივე-

ზაურები, წივილაურები, ვეშაგურები...). არაბულების გამრავლება-გაძლიერების შემ-დგომ, ისინი იძულებულნი გახდნენ, აყრილიყვნენ – გასცლოდნენ იქაურობას, ან ალზევებულ არაბულებს შეფიცვოდნენ.

მეგანძურების ამ შტომ ხალხის სიმრავლით გაითქვა სახელი (მთელი ხევსურეთის, თითქმის, მესამედს შეადგენდნენ).

ალ. ოჩიაურის ცნობით, ისინი – ჯერ ორ შტომ, ბიჩინაგურებად და ჩუჩიაყეურებად გაიყვნენ – „მერე კიდევ სხვა მამებად.“

რიცხვმრავალი გვარი ზეისტეჩოში ვეღარ დაეტია. იმძლავრეს მეზობელ თემებზე და საგვარეულო ძირების მიხედვით, ჯერ ხევსურეთის მომიჯნე სოფლებში გადან-ანილდნენ – მერე (XVI-XVIII სს) – ხევის, გუდამაყრის, ერწო-თიანეთის და ახმეტის რეგიონებს მიაშურეს; XIX-XX საუკუნეებში – საგარეჯოს, თელავის და დედოფლი-სწყაროს რაიონებში დასახლდნენ.

არაბას ჩამომავლებიდან და მათთან შემდგარ-შეფიცული გვარებიდან, დროთა განმავლობაში, ახალი მამიშვილობები წარმოსდგა (ახალაშვილები, ბერიკაშვილები, გულმაგარაშვილები, ვეშაგურები, იარაჯულები, კარიაულები, ფაშურიშვილები, ძამ-საშვილები, ხიტალიშვილები და სხვ.).

გ. არაბული მათ 4 ძირად – ბიჩინაგურებად, რკინაულებად, ველგუჯაურებად და ჩუჩიაყეურებად ყოფს (ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.).

ჩუჩიაყეურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, არაბულების გვარში – ჩუჩიაყეურთა ძველი მამა (სავარაუდოდ, XIV-XV სს-ში), სამ ახალ მამად – ბუღნიაურებად, თინიბექაუ-რებად და ფიცხელაურებად დაიშალა. ბუღნიაურ-თინიბექაურნი არაბულებად „დამ-რჩალან“; ფიცხელაურთ მამის არაბულებმა – ფიცხელაურობა გაიგვარეს.

გ. არაბულის ცნობით: –

ჩუჩიაყეურების „ძირს“ წარმოადგენენ – თინიბექაურნი, ფიცხელაურნი, ბუღნიაუ-რნი და ხოშარაულნი. ამ ქვეგვარებიდან მხოლოდ ფიცხელაურები დამკვიდრდნენ ცალკე გვარად – სხვა გვარები, კვლავ, არაბულებად იწერებიან („ცხოვრება და პოე-ზია“, 2010 წ.)

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, თინიბექიდან მოდიან ბაცალიგოში მცხოვრები მამები: – ალდიანი, თინიბექნი და შიშნიანი.

ალდიანის მამაშვილობებია: – კვირიკანი, კურდლელანი და გაგანი;

თინიბექნისა: – ვეშაგურნი და აშიკანი;

შიშნიანის: – კუკუანი და გაგუანი.

*

ანდრეზის თანახმად: –

ხევსურეთში ლაშქრობის დროს, ზურაბ არაგვის ერისთავმა ხმალში გამოიწვია ბა-ცალიგოს ციხის პატრონი – სახელიანი ვაჟკაცი, თინიბექი. ხევსური თავდაჯერებით წარიმართა საქართველოს მეორე ხმალთან შესაბმელად – მაგრამ, „ვინმე გიგაურმა, რომელიც ზურაბის ჯარში ერია“ – შორიდან მოკლა იგი ისრით.

ერთი ვერსიის თანახმად, ეს გახდა გიგაურების არაგვის ხეობიდან აყრის მიზეზი.

*

ჩუჩაყეურთა სახელიან მამიშვილობებს „ორი საკარგყმო მოუდიოდა“: –

„პირველი იყო თუხავისა, რომელსაც ქისტები ისე შეუწუხებია, რომ პირობა დაუდეს: – „ნუღარას გვავნებ და წელინადში კომლზე თოხლს გადავიხდითო.“

მეორე საკარგყმო – ხირჩლა ბაბურაულის იყო.

„ამ სახელგანთქმული მეომარის სახელი ხმირად შეგხვდებათ ძველ საგმირო ლექსებში. მისით ამაყობს თერმოზაულთ მამის ჩამომავლობა (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 92 და 158).“

ჩხუბა და მისახი

ბ. გამყრელიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ადგილი, სადაც ახლა სოფელი ჩხუბაა, ტყით ყოფილა დაფარული. მის შიგ მდებარე პატარა ველზე დასახლებულა ბაცალიგველი ბუღნიაურთ მამიშვილობის ერთი ოჯახი, რომელიც თანდათან გამრავლდა და ტყე გაკაფა.

ეს იყო ჩხუბაში მცხოვრები არაბულების ყველაზე ძველი მამიშვილობა.

ასე დაფუძნდა, გორშელმის ხეობის ქვემო ნაწილში, ჩუჩაყეურ-ბუღნიაურების პატარა სოფელი.

დროთა განმავლობაში, მათ რამდენიმე მამიშვილობა გამოიყო: – ომალიკანი, ბარღულანი, ალაქანანი, მგელიკანი, თათუანი.

ბარღულანი, ალაქანანი და მგელიკანი ერთი განაყოფები არიან;

ომალიკანი და თათუანი ერთმანეთთან უფრო ახლო ნათესაობას ამჟღავნებენ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

რ. ხარაძის ცნობით: –

ბუღნიაური – რკინაულთა ძირის ერთ-ერთი ძველი მამა იყო. მკვიდრობდნენ ბაცალიგოში, ჩხუბასა და აყნელში. ფშავში, სოფ. კუჭეჭაში გადასახლებული მათი ნანილი – ბუღნიაშვილად ეწერება.

გ. არაბულის, როგორც ალაქანანთ მამიშვილობის წარმომადგენლის, ალბათ, უფრო საფუძვლიანი ინფორმაციით – ბუღნიაურთ მამა ჩუჩაყეურთა ძირიდან მოდის. მათგან წარმოსდგნენ ბაცალიგოელი და ჩხუბელი – ომანი (ანუ ომალიკანი), თათუანი, გამრეკლიანი და მგელიკანი. ომანიდან მოდიან თაძიკურნი და ნუნუანი; მგელიკანიდან – ალაქანანი და ეშმანიქანი.

სოფ. ჩხუბას უფრო ადრინდელი ნასახლარი – „კა ადგილას ას“, („სახატურას“), სადაც ადგილის დედის ნიშია.

„სალოცავს არ მაუხდენავ ხალხი და აუყრია.“

ბ. გამყრელიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ჩხუბადან, ერთი კომლი – ხეობის მეორე მხარეს გადავიდა საცხოვრებლად. ცუდ, კლდიან ფერდობზე, მიუდგომელ ადგილზე დასახლდა და საფუძველი დაუდო კიდევ ერთი დასახლებული ერთეულის – მისახის არსებობას.

ეს იყო ფშავის სოფ. ხოშარადან მოსული მწყემსის ოჯახი, რომელმაც არაბულის გვარი მიიღო და – მამიშვილობით ხოშარაულთ ეძახდნენ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

*

1926 წლის აღნერით, ჩხუბასა და მისახში ერთად – არაბულების 8 კომლი სახლობდა (36 სული, თინიბექაურნი და ბულნიაურნი).

*

ჩხუბადან გახლდათ ხევსური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი რუსთველოლოგი და ეთნოგრაფი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, „ვეფხისტყაოსანის“ აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქტიონის წევრი – გიორგი არაბული.

ხოშარაულნი

ამ გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით, რამდენიმე მოსაზრებაა:

6. ურბნელი მას ფშავის სოფელ ხოშარას უკავშირებს.

ბ. გამყრელიძის ცნობით, სოფ. მისახის პირველმოსახლე იყო ფშავის სოფ. ხოშარადან მოსული მწყემსი, რომელმაც არაბულის გვარი მიიღო და – მამიშვილობით ხოშარაულს ეძახდნენ.

გ. არაბულის თანახმად: – ხოშარაული არაბულ-ჩუჩაყეურთა ძირის ერთ-ერთი მამაა და მისგან მისახელი – ბაკურანის, ველისანის და ბერდიანის მამიშვილობები მოდიან.

რ. ხარაძის მიხედვით – მისახში, აყნელში და დათვისში მოსახლე ხოშურაულები – არაბულ-ჩუჩაყეურთა გვარზე გადასული, რკინაულთა ძირის ერთ-ერთი ძველი მამის ჩამომავლები არიან და „ამ გვარის უძველესი ფორმა ხოშორული უნდა იყოს“ („ხევსურული ძირი და გვარი“).

რ. თოფრიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – ისინი ხარ-ქვაბით შეყრილები არიან არაბულებთან (თავდაპირველად, გვარი არ შეუცვლიათ – მოვიანებით შეერწყნენ-ო მათ). სუსტი გვარი ყოფილა, სამ-ოთხ ოჯახს ვერ გასცდნენ და მიუყვანიათ სამხვეწრო ხატში... მას მერე ითვლებიან ბაცალიგოს პირქუშის ყმებად („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, წ. I, ხევსურული გვარები, გვ. 33, 2003 წ.).

იაკ. ახუაშვილის ცნობით: – თავის დროზე, არაბულთა გვარში შევიდნენ (ანუ, ხელოვნურად დაუნათესავდნენ მათ) – რკინაულები, ველგუჯაურები, ბიჩნიგაურები და ხოშურაულები.

ერთი ანდრეზის თანახმად: – „ხოშურაული არაბას უფროსი ვაჟი იყო,“ რომელიც ჯერ ბოსტონიგოს მდგარა, მერე – მისახში; მოგვიანებით, „მცირე გვარი გამხდარა; ბაცალიგველ ბაცას შეუვიწროვებია ისინი. ძალმორეულებს ზეისტოჩელი არაბულები-სთვის მიუმართავთ და, ერთიანი ძალით, ბაცა ბაცალიგოდან აუყრიათ...“

არიან ხევსური (მისახელი) და ფშაველი (გოგოჭურთ და გაბიდაურთ თემების) ხოშურაულები.

მათი მოდგმის რეალურ დასაბამს საუკუნეთა ბურუსში შევყევართ.

ნადირა ხოშარაული

ქართული ენციკლოპედიის თანახმად, ნადირა საღირის ძე ხოშარაული – ხევ-სური სახალხო გმირია, სოფელ ბაცალიგოს თემიდან. 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე, ხევსურთა ჯარის წინამძღოლი. გადმოცემის მიხედვით, აჯანყების სხვა მეთაურებთან ერთად შეუპყრიათ და შაჰისთვის მიუგვრიათ სპარსეთში, სადაც წამე-ბით მოუკლავთ; ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონა-ჟის (ხოშარეულის) პროტოტიპია (ტ. 11, გვ. 504).

პოეტი მას ოდნავ შევცლილი გვარით მოიხსენიებს: –

„გუდანელთ ჩამასძღოლია ხოშარეული ხარია“...

ხალხური ზეპირსიტყვიერება გმირ ხოშურაულს მოიხსენიებს.

აღნიშნული გვარი „იმ თავიდან ამ თავამდე ხოშურაულად იწერება და იხსენება უკლებლივ ყველა სიმღერასა და თქმულებაში“ (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები).

*

ბახტრიონის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის, ნადირა ხოშარაულს ჯილ-დოდ საუკეთესო ხმალი მიუღია და ახმეტაში მამული.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მოიხსენიება, როგორც „მამკლავი თათრის ხანისა“ და „სათაოდ ამღები ხმლისა“.

იმასაც ამბობენ რომ: – სპარსეთში საწამებლად არ გაუგზავნიათ, ცოცხალი გა-დარჩა – მაგრამ ქვეყნისათვის თავდადება არ დაუფასდა: –

ხევსურები – ბახტრიონის ბრძოლაში ბევრი მისი თანამებრძოლის დაღუპვის გამო ემდუროდნენ.

„ვერც ბატონმა შეინახა, თურმე, კაი ყმა...“ და, „ერთხელაც, კახეთს წასული, შინ აღარ დაბრუნდა...“.

„ვერავინ გაიგო, სად და როდის დაიღუპა“ (გ. არაბული, ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.).

პირდაპირი მემკვიდრე ნადირა ხოშარაულს არ დარჩენია.

XX ს-ის შუა წლებამდე, მისი ძმის, გამიხარდის შთამომავლები – ისევ სოფ. მის-ახში სახლობდნენ.

ბახტრიონის ბრძოლაგამოვლილი ხოშურაულის ხმლის ნატეხი – დიდხანს ჰქონ-დათ შემონახული.

ხიტალე

რკინაულების ერთ-ერთი მამიშვილობის ნასოფლარია – ჩხუბას გაღმა.

„ძალზე ვიწრო ადგილი სჭერიათ, კლდიან ფერდობზე.“

„სალოცავის ადგილში დამდგარან და ხატს ყველა ამოუწყვეტია.“

გადარჩენილი ერთადერთი პატარა ბიჭი, რომელიც რკინაულების სხვა მამიშვი-ლობას – თადიაურებს გაუზრდია.

„ჯვარს, თურმე, ეს ოჯახიც უნდა გაეძეგა, მაგრამ ყმაწვილი რომ უსუსური,

უდანაშაულო იყო, ამიტომ გადარჩა და ისევ მომრავლდა მათი მამა“ (ალ. ოჩიაური).

*

1926 წლის აღწერით, ხიტალეში – არაბულების 7 კომლი სახლობდა (37 სული).

აყნელი

ხევსურეთის არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ხეობის ქვემო ნაწილში, ჩხუბას თავზე – ზ.დ. 1800 მ-ზე.

1873 წელს არაბულ-ფიცხელაურების 10 კომლი სახლობდა (ალუდიკანი და მილხანი).

1926 წლის აღწერით მათი 10 კომლი დარეგისტრირდა (43 სული).

სოფლის დასავლეთით (0,5 კმ-ზე) მდებარე გორაკზე, გუდანისკენ გადასასვლელ გზაზე, მუხათკარის ხატის ნიშია, რომელსაც გუდანის საღმრთობით მოიხსენიებენ.

გადმოცემის თანახმად: – „გელდიაურ რო გათაულ ჟამისგან, მაშინ არ ყოფილა გუდანის ჯვარ აქ ამოსული.“ „როცა იგი სანეს დაპრძანდა, აყნელშიც (მუხათკარშიც) მაშინ გაჩენილა.“

ფიცხელაურების სასოფლო სალოცავი – „მუხისწვერი შევარდენი“, ანუ მუხისკრელი იყო – სოფელ აყნელში.

სათემო სალოცავი – ბაცალიგოს „პირქუში ცეცხლისალიანი“.

საერთო სამეგანძურო ჯვარი – „სამხთო ბერი ბაადური“ (სოფელ გუდანში).

ბაცალიგო

ხევსურეთის არაგვის და გუდანისწყალის ხეობათა გამყოფი ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს – ზ.დ. 1900 მ-ზე.

„აქ ქისტ მდგარ, ბაცა ხქვივნებივ... იმაზე ხქვიან“ ეს სახელი.

„მისახელი კაც შამახკვდომივ და აყრილან“ – ისევ ქისტეთში გაქცეულან.

მათ ადგილზე ჩამოსახლდნენ ზეისტეჩოელი არაბულები. დიდი ეკლესია ააგეს და, მას შემდგომ, გორშელმის ცენტრი გახდა სოფ. ბაცალიგო.

1855 წელს, იქ – 23 კომლი სახლობდა (61 მამაკაცი და 43 ქალი);

1926 წლის აღწერით არაბულების 18 კომლი დარეგისტრირდა (63 სული).

*

სოფელის სასაფლაოსთან, მთის წვერზე, რომელსაც „ქავი“ ეწოდება, არაბულების სათემო სალოცავია განთავსებული – ბაცალიგოს პირქუშის ჯვარი.

ანდრეზის თანახმად: –

„პირქუშ რო მამკვდარ და ხთის ნასახად გადაქცეულ... მემრ ახადს (ფშავში) მისულ და იქ დაარსებულ...“ „მაშინ ბაცალიგველნიც იქა მდგარან – ძმობა ხქონავ ახადელთან...“ „პირქუშ რო მამკვდარ, ბაცალიგველენ წამასულან... პირქუშის ჯვარიც გამახყოლივ – ხოლოთ მოძმე ახადს დამრჩალ...“ „ერთი მოძმეც იორზე ხყავს დამრჩალი. წინ-წინ იქ ყოფილ იმისი წიში...“

ბ. გამყრელიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„ზეისტეჩიშვილი ყოფილა სამი ძმა – ფიცხელა, ბუღნია და თინიბექა.“ გაყრის შემდგომ, მათი ნაწილი, ბაცალიგოში წასულა. იქიდან მოხდა არაბულების გორშელმის ხეობის სხვა სოფლებში განსახლება.

ზეისტეჩიშვილი არაბულები ოთხ მამიშვილობად დაიყვნენ (ალდიანი, ბუღნიაურნი, თინიბექნი და შიშნიანი).

„შინშია, ალადა და თინიბექი ძმები იყვნენ. ამათი შთამომავლობიდან ყალიბდება სამი ნათესაური გაერთიანება: – შინშიანი, ალადანი და თინიბექანი. სამივე მამიშვილობა ეპონიმის სახელს ატარებს.“

თინიბექმა სოფელში კოშკი ააგო, რომელსაც თინიბექაურთ ციხეს ეძახიან. გადმოცემის თანახმად: – ცხრა სართულიანი იყო და თინიბექი ცხრა წელიწადს აშენებდა. ერთ-ერთი მშენებელი ქისტი ჰყოლია. მის შვილს თინიბექის შვილმა, თურმე, ჭიდაობაში აჯობა და განანყენებულმა მამამ, „ციხის მარჯვენა მხარეს საძირკვლად ჩეთის ქვა (სუსტი, ადვილად შლადი) დაუდო.“

ალნიშნულის გამო, „ციხემ მარჯვენა მხრიდან დაიწყო ნგრევა...“

კოშკი – ზენ ბაცალიგოსა და ქვენ ბაცალიგოს შუა მდებარეობდა. მას არაერთგზის შეუფარებია არაბულები გარეშე მტერთა თუ ზურაბ ერისთავის შემოსევის დროს (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.) – სოფლის ქვედა ნაწილში მდგარი თინიბექაურთ კოშკი (4,5X4,5 მ. სიმ. 9,25 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს ორი სართული. ჩრდილოეთის ფასადზე – კარის თავზე, სიმეტრიულად განლაგებულია სამ-სამი პატარა დეკორატიული ნიში აქვს.

როგორც დ. ფიცხელაური გვამცნობს: –

ბაცალიგოში სამი ციხე მდგარა: თინიბექას და ბუღნიაურთ ციხე – ქვენ-ბაცალიგოში; ფიცხელაურთ ციხე – ზენ ბაცალიგოს – რომელიც მოგვიანებით, დაუშლიათ და მისი ქვით იქვე აუშენებიათ ეკლესია, რომელიც დღესაც დგას.

*

ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ბაცალიგველი კაი ყმის თუხაკ ჩუჩაყურის სახელი, რომელსაც ქისტები დაუბეგრავს.

დ. ფიცხელაური მოიხსენიებს უფრო თანამედროვე ბაკურსეველ კაი ყმას – ბაძია ფიცხელაურს, რომლის თაოსნობით და ფინანსური მხარდაჭერით – თუნუქის სახურავი გადახურეს ბაცალიგოს პირქუშის ჯვარს. ამ სიკეთის გამო – თემი, სალოცავის კარზე, სიცოცხლის ბოლომდე უდგამდა მას სადიდებალ კოდს.

ალბათ, ეს უკანასკნელი საკარგყმო იყო, რომელიც ხევსურეთის ჯვარ-სალოცავებში პიროვნებაზე იდგმოდა.

ფიცხელაურნი

ფიცხელაურთა გვარმოდენილობა ბაცალიგოდან მოდის.

მათი გვარსახელი საერთო წინაპრის, გვარის მამის, საკუთარ სახელს უკავშირდება. ბაცალიგოელ ფიცხელა არაბულზე მოდიანო ფიცხელაურები (ს. მაკალათია, ხე-

ვსურეთი, თბ. 1984. გვ. 75).

ამბობენ რომ: – ფიცხელაურთ მამის არაბულები, თავდაპირველად, ორ მამად – მარტიანად და ალუდიკანად გაიყვნენ.

ალუდიკანი გუდამაყარში წასულან.

საერთო წარმომავლობა აქვთ – ბაკურხევში, მოწმაოსა და აჭეხაში მცხოვრებ არაბულ-ფიცხელაურების დიდ ნაწილს. მათი ერთი შტო ხევში (იქიდან ქსნის ხეობაში) გადასახლდა. მეორე – ერწო-თიანეთში (საიდანაც კახეთის სოფლებში გადაინაცვლეს). მათი კოშკები დღესაც დგანან – მარტყოფში, პატარძეულსა და ხოდაშენში.

ფიცხელაურთ განაყრები არიან ფაშურები (ფაშურიშვილები) და ბერიკაშვილები.

გ. არაბულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ფიცხელაურების მამიდან 16 მამიშვილობა მოდის, კერძოდ: –

აყნელში მცხოვრები ალუდიკანი და მილხანი;

ოხერხევში მცხოვრები: – გამრეკელი, ლერნანი, ტუჩუფერნი, ფაშურნი და კუკუანი;

აჭეხასა და ბაკურხევში მცხოვრები: – კოტორანი (ნახშირაულნი), მარტიანი და ბაგრატანი;

მოწმაოში მცხოვრები: – თინიბექნი, კინონი, ურჯუკანი, ხარანი, ხონდანი და კოკოშანი.

ფიცხელაურები ცხოვრობდნენ აგრეთვე – ჩხუბაში, წინხადუში, გველეთსა და ბარისახოში.

მათი მთავარი სალოცავი ბაცალიგოს პირქუშის ჯვარია.

გუდამაყრელი ფიცხელაურები

„ბაკურხევის სოფელ საკერპოში მცხოვრები ფიცხელაურები ხევსურეთის სოფელ აყნელიდან არიან გადასულნი. სამი ძმა – გოგოთური, ბერდია და გამრეკელა წასულან სანადიროდ; იქ, სადაც ახლა საკერპოა, გაუკაფავთ ტყე, ჩაუდგამთ ქოხები და ყანა დაუთესიათ... გოგოთური სამუდამოდ დამკვიდრებულა ბაკურხევში“ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ. გვ. 24).

არაბულ ფიცხელაურების (ფიცხელაურთ მამის არაბულების, ან, არაბულებთან შემდგარი ფიცხელაურების დამოუკიდებელი გვარის) ორი შტოდან – გორშელმის ხეობაში (აყნელსა თუ ბაცალიგოში) – მარტიანი „დამრჩალან“. ალუდიკანი გუდამაყარში გადასახლებულან.

მიგრაცია, სავარაუდოდ, XVI ს-მდე მოხდა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: –

გადასახლებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ბერდია და გამრეკელი ხევსურეთში დაბრუნდნენ. გოგოთური – ფიცხელაურის გვარით, ბაკურხევში დარჩა.

ბერდია – არაბულის გვარით, მოწმაოში დასახლდა და სათავე დაუდო იქაური ჩუჩაყეურების ერთ-ერთ შტოს.

გამრეკელამ – ლიქოვის ხეობა აირჩია საცხოვრისად. მისგან – აჭელი (ლიქოელი) ფიცხელაურები მოდიან: – მამესწვერა (XVII საუკუნე), ჩაბაკის ივანაური (XVIII საუკუნე), სუმბატა ლოხაურის ძე (1770 წელი).

აჭელი ფიცხელაურების განაყრებად მიიჩნევენ მოხევე (ქოსლელ და სტეფანწ-

მინდელ) ფიცხელაურებს – რომლებსაც, XIX საუკუნის დასაწყისში, ქსნისხეველი, შემდგომში, აზნაურის რანგში ამაღლებული ფიცხელაურები გამოეყვნენ (არჯევანის შვილები – არქიეპისკოპოსი დოსითეოსი და მისი ძმები).

ილია ჭავჭავაძის ცნობით, ლოხაურის ძის შთამომავლები თიანეთში – ფიცხელაურის გვარით ჩასახლდნენ.

ბაკურხევში დარჩენილი გოგოთურის ჩამომავლებიდან, დროთა განმავლობაში – ალუდიკანთ ახალი მამიშვილობები წარმოსდგა: – ახალი მარტიანი და ახალი ალუდიკანი (ანუ, მოხდა წინაპართა გვარსახელების განმეორება).

დ. ფიცხელაურის ცნობით, მისი წინაპრები – „კოტორანი“ (ანუ, კოტორათ ბერდიას შვილები – ომა და ალუდაური), ბაცალიგოდან გუდამაყარში (სავარაუდოდ, XVII ს-ის დასაწყისში), ანუ, ალუდიკანის (პირველი) მიგრაციიდან სამი საუკუნის შემდეგ მისულან – სადაც, მათი შორეული განაყრები, მარტიანი დახვდნენ, რომლებიც „თოთლიაურთ“ (ძირად ჭინჭარაულების, გ.ქ.) ნასახლარში ცხოვრობდნენ – სოფ. თოთიაურთას.

ფიცხელაურთა ორივე ამ მოდგმას, სათავისოდ დაუწყია ბაკურხევის მიწების ათვისება: – მარტიანთ (აბას და თათუას ჩამომავლებს) – ცალკე; „კოტორათ ომას ცალკე; ალუდაურს, რომელიც ქისტათ პაპა იყო – ცალკე“ (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

ცოტა ხანში, ბაკურხევი – თანამოძმეთა შორის საადგილმამულო დავის ასპარეზად იქცა. რამდენიმე მამიშვილობა ამოწყდა, კერძოდ: – ბაბუანი (რომლებიც ჯვარის მამულებსაც ითვისებდნენ) და ხორჯანი (თუ ხარაჯანი, ფიცხელაურთ ერთერთი მამა) – რომლებიც „ქურდობდნენ, ამაყობდნენ, ხოცავდნენ ხალხს – მთიულეთში და გუდამაყარში... არავის ეპოვებოდნენ. ჩვენი დავლათი ხთისშვილთ დავლათზე ნაკლები არ არისო... ჩვენ მტერი ვერ მოგვერევა, ვერც ხმლით, ვერც რისხვით, ვერც დავლათითო. ხალხი რომ აუტყდა და ახორონდა მათ საქციელზე – ჯვარიც გაუწყრა და ღმერთიც. გაუჩნდა უამი და ამათ მამაში სულ გაწყდა ქალიც და კაციც.“

დ. ფიცხელაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად:

ბაკურხევის ტერიტორია, საბოლოოდ, ორ სამეზობლოდ – „მარტიათ“ და „კოტორათ“ კუთვნილ ნაწილებად გაიყო.

„მარტიანი თოთიაურთადან ამოსახლდნენ და დაარსდა სოფელი.“

ფიცხელაურების ერთ პაპას დასახმარებლად მოუყვანია თავისი დისშვილი, ქმოსტელი ბურდვიაული – და ერთად აუთვისებიათ მიწები.

„ამიტომ, ფიცხელაურთ და საბუდართ (რომლებიც ბაკურხევში ველთაურებად დაეწერნენ) – სამამო მიწები ერთად აქვთ.“

დროთა განმავლობაში – ბაკურხევში, ფიცხელაურების შვიდი ქვეგვარი წარმოსდგა: – მარტიანი, ქისტანი, ფიცხელაურნი, ბრიყვნი, ალუდიკანი, საბუდარანი და კოტორანი. ბაცალიგოდან გადასახლების შემდგომ, ისინი ცხრა-ათ მამას ითვლიან.

მარტიანი იმდენად ადრე გაყოფილან ორ შტოდ, რომ დავიწყებული ჰქონიათ თავიანთი გენიალოგია. არ სცოდნიათ მერამდენე შინშები იყვნენ.

(თუ დადგენილი წესის თანახმად, თაობათა შორის მანძილად 35 წელს მივიჩნევთ – მათი გადმოსახლება, არანაკლებ, სამი საუკუნის წინათ უნდა მომხდარიყო, გ.ქ.).

აბანს – თავიანთი სამი მამა-შვილობა ახსოვთ; თათუანი – ხუთი ძმანი ყოფილან; რაღაც ტრაგედიასთან დაკავშირებით, გული გასტენიათ ბაკურხევში ცხოვრებაზე და

ხევსურეთში დაბრუნებულან.

„წავიდნენ ოთხი ძმანი თათუაშვილნი და აპა თავისი შვილებით.“

„მოწმაველმა“ განაყრებმა, მიწის სიმცირის გამო, ვერ მიიღეს და იძულებული გახდნენ, გველეთელი ველგუჯაურ არაბულებისთვის წაერთმიათ სოფ. აჭება, სადაც თათუას ჩამომავლები „რამდენიმე გვარად გამრავლდნენ.“

აპას შვილები ისევ გუდამაყარში დაბრუნდნენ.

ბაკურხევში მცხოვრები კოტორათ ბერდიას შვილების (ომას და ალუდაურის) ჩამომავლები, დროთა განმავლობაში, ორ მამიშვილობად ჩამოყალიბდნენ: –

ომასი – კოტორად დარჩნენ; ალუდაურისანი – ქისტანად იწოდებიან.

ომას ხუთი ვაჟიდან – ორი, მგელა და მანგია (ნაბშირაული), დუშეთის მაღლა, სოფ. მგლიანებში დასახლდნენ, სადაც – ნანილი ფიცხელაურად იწერება, ნანილი მგლიშვილად (დ. ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

*

გუდამაყარში ფიცხელაურების მიგრაციის ორივე წარმოდგენილი ვერსია (პ. გა-
მყრელიძის და დ. ფიცხელაურის), შეიძლება ითქვას, რომ – ერთმანეთს ავსებს.

შეუსაბამობა ჩანს – სხვადასხვა ეტაპზე მიგრირებულ მამიშვილობათა სახელებში, კერძოდ: –

ალბათ, უფრო ადრინდელი გადმოცემის თანახმად (ანუ, მიგრაციის პირველ
ეტაპზე), ფიცხელაურთ მამის არაბულებიდან ბაცალიგოში რჩებიან მარტიანი; გუ-
დამაყარში მიდიან – ალუდიკანი.

დ. ფიცხელაურის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (ანუ, მიგრაციის მეორე
ეტაპზე) – „ბაკურხევში“ წასულ „კოტორათ“ – მარტიანი იქ ხვდებიან.

თუ ორივე ვერსიას სარწმუნოდ მივიჩნევთ და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ
ფიცხელაურების მეორე მიგრაცია სამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მოხდა, გამორ-
იცხული არ არის რომ – „კოტორანთ“ (ანუ, პირველი ვერსიის თანახმად, ბაცალიგოში
დარჩენილ მარტიას ჩამომავლებს), გუდამაყარში – ალუდიკათ დიდი პაპისგან წარ-
მოდგარი ახალი მამიშვილობები დახვდნენ (ახალი მარტიანი და ახალი ალუდიკანი).

*

ფიცხელაურთა გვარმა ბევრი სახელოვანი შვილი მისცა სრულიად საქართველოს.
მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, მშენებლები, ლიტერატორები, იურისტები,
კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები. ბევრი მათგანის შესახებ
ადრინდელ წაშრომებში მოგახსენეთ. ამჟამად, რამდენიმე ახლად მიკვლეულ მოღ-
ვაწეს წარმოგიდგენთ: –

ცნობილი მშენებელი და პირველი ქართველი დოქტორი არქიტექტურის დარგში,
სიმონ ფიცხელაური – სხვადასხვა მშენებლობებს თავიაცობდა: თბილისში, ერევანში,
მახაჭუალაში, ჭიათურაში, ფოთში... მისი ავტორობით გაკეთდა მრავალი ცნობილი
კურორტის პროექტი აჭარასა და აფხაზეთში, აბასთუმანში, ახტალაში, მენჯში, წყ-
ალტუბოში...

თეთრგვარდიელი გენერალი, ალ. ფიცხელაური (რომელიც მ. შოლოხოვს „წყნ-
არ დონში“ ყავს მოხსენიებული) – ემიგრაციაში წავიდა; დაკრძალულია პარიზში (დ.

ფიცხელაური, პირქუში ფიცხელაურების სალოცავია, 2019 წ.).

საქართველოს სახალხო მხატვარი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, იოსებ ფიცხელაური 19 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და ცნობილი გამომგონებელია.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ალექსანდრე ფიცხელაური, სამრეწველო-საპროექტო საქმიანობას ეწეოდა კერამიკისა და საერთოდ სილიკატური მრეწველობის დარგში. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 2 წიგნის ავტორია. მის მიერ შედგენილი 30 პროექტით აშენდა 40 საწარმო; თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა კერამიკის ფაკულტეტი, რომელსაც, თითქმის 40 წელი ხელმძღვანელობდა.

მხატვარ თინათინ ფიცხელაურის ნამუშევრები დაცულია მოსკოვის მხატვართა კავშირის საცავში, ბიშკეკის – ხელოვნების სახელმწიფო და ალმა-ატის სახელმწიფო მუზეუმებში. პოლონეთისა და იტალიის კერძო კოლექციებში. მუშაობდა კინოსტუ-იდია „ქართულ ფილმში“ კოსტუმების მხატვრად.

უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი, გიორგი ფიცხელაური – „თბილავიამშენის“ დირექტორის მოადგილის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა.

ზეისტეჩო

წინხადუს დაბლა ხეობაში მდებარეობს, ზ.დ. 2000 მ-ზე.

ამ სახელწოდების ქვეშ 5 სოფელი იყო გაერთიანებული: – უსტამალაე, ორბეულ-თა, ჭილონი (ანუ ჭალისოფელი), ესაჩუ და ხორიელი (ვ. ბარდაველიძე).

მეგანძურთა გაყრის შემდგომ, „არაბულის გვარის ყველა ხალხი“ – ზეისტეჩოს, დღევანდელი სახმოთ ჯვარის ადგილსამყოფელში დასახლდა....

ხატს აუყრია ისინი („ჩემს მახლობლად ნუ ხართო!“).

ამის გამო, რამდენიმე მამიშვილობა ზემოაღნიშნულ სოფლებში გადასახლდა, ზოგი – ხევსურეთის სხვა ადგილებში.

სალოცავის გალავანთან არსებული ძველი ნასახლარები... მათ მიმდებარედ, საარაბულოს ციხე-სიმაგრისა და ადგილისდედის საკულტო ნაგებობის არსებობა – „საკ-მაო საბუთებია იმისა, რომ, უძველეს დროს, არაბულები ზეისტეჩოს ჯვარის მეზობლად სახლობდნენ“ (ვ. ბარდაველიძე).

მოსახლეობის გადასახლება-გადანაწილების შემდგომ, საარაბულოში მოექცა: – ჯუთა, აყნელი, ბაცალიგო, წინხადუ, უკანხადუ, ჩირდილი, ბარისახო, მოწმაო, გველეთი, ხიტალე, ოხერხევი... გუდამაყარში – საკერპო და გორულთა.

ზეისტეჩოში გაიყვნენ არაბულები ოთხ ძირად (ბიჩინაგურებად, რკინაულებად, ველგუჯაურებად და ჩუჩაყეურებად).

1855 წელს, იქ – 13 კომლი სახლობდა (25 მამაკაცი და 14 ქალი);

1926 წლის აღწერით – 13 კომლი დარეგისტრირდა (54 სული; ბიჩინაგურებიდან – იმედანი; რკინაულებიდან – თერმოზაულნი).

სოფლის საერთო სალოცავი – გუდანის სახმოთ ნიშია, რომელიც ძველი ნასოფლარის მიმდებარედ, მეჩერი ტყით შეფენილ მთის კალთაზეა განთავსებული.

მის შემადგენლობაშია: – ბელელი, საქვაბე, ჭერო (ანუ სახელოსნო), ჯვარის კარი, კვრივი და გალავანი.

ბელელის მთავარი ფასადის კედელში ჩატანებულ ძელზე – ჩამოკიდებულია ზარი, რომელზეც შემდეგი წარწერა იკითხება: –

„შემოვწირე თემისა ფულითა ზეისტეჩოს სამხთოს ბაბოა აპა შვილი სამი თუმანი ფასი ბათირა გუა ჯანშვილი...“

„გუდანისა და ზეისტეჩოს სახმთო – ერთმანეთის მოძმენია. ერთის გვარისანი არიან“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველის მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

ხირჩლა ბაბურაული

XVII ს-ის სახალხო გმირი, ზეისტეჩოელი ხირჩლა ბაბურაული (რკინაული, თემ-როზაულთ მამიშვილობიდან) – შიშის ზარს სცემდა მტერს. ლექსებისა და თქმულებების მთელი წყებაა მის შესახებ შემირჩენილი:

„ძალიან მეომარ ყოფილა...“

„ხალხს დაუმარცხებლად მიაჩნდა.“

„მარტო – მარტია მისურაული, ბერდია მამუკაური და ხირჩლა ბაბურაული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქრის ხელის შამქცევნი“. *

*

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, „სისხლის წვიმების“ დასაწყისში, მეგანძურთ გვარების მეომრები საერთოდ არ ჩანან. ზოგი მელექსე მათ სყვედურობს კიდეც:

„ლაშქრობა დაუგვიანდა დიდსა გუდანის ჯვარსაო,
ხირჩლასა ბაბურაულსა, მაგის მოკლია ხმალსაო...“

თრუსოს სისხლიანი ნადიმის შემდეგ იქცა ბაბურაული – ზურაბ ერისთავზე შურისმაძიებლებად.

ჯერ, მისი მოკვლა სცადა: – „ორნაყალთ მაღალზე“, გზა შეუკრა, მაგრამ სფარიდან ნასროლი ისრით – მისი ორეული მოკლა...“ მერე, ირნმუნა რომ – „გონს გადასული მამაცობა გამარჯვებას ვერ მოუტანდა“ – და ხმალი და გონება ერთდროულად დაუპირისპირა მრისხანე ფეოდალება:

ჯერ, გუდანის უშუალო მეზობლები, „ურნმუნო“ კივკოზაურები და ქიჩბარაულები დაიზავა; მერე, კავშირი აღადგინა ლიქოვის ხეობის მკვიდრ – „მეგანძურთა მოძმე გვარებთან“ (გელდიაურებთან, პოხლიაურებთან, ფიცხელაურებთან, ყურაულებთან, მარიემულებთან) – რომლებიც, კარატის ჯვარის ყმათაგან შევიწროებულნი – იძულებულნი გახდნენ, „მას შეყროდნენ.“ შემოირიგა ღალატისთვის მოკვეთილი არიშაულების გვარი და ღულელ ქისტაულთა ძლიერი თემი კვლავ გუდანის ჯვარის სალაშქრო დროშის ქვეშ დააყენა. გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო ხევსურეთისა და ხევის ასაკლებად მოჭრილ ქისტ-ლეკთა ბელადის, გაგაის ძმის ლაშქრის განადგურებაში. მისი წინამძღვრობით დაამარცხეს ხევსურებმა, ქისტეთში ალზევებული – ახვათა, ალდისძეთა და ქარსამაულთა გვარები; ალკვეთეს არაგვის ერისთავების წაქეზებულ ქისტ-ლეკთა თარეში და მტერს – თუხაკ ჩუჩეყაურის დადებული ბეგარი გაუმკაცრეს.

ბაბურაული მედგარ წინააღმდეგობას უწევდა არაგვის ერისთავს, ერჩოდა მათ მოხელეებსა და მომხრეებს – ხევსურებს მათი უღლისაგან იცავდა.

„გუდანის ჯვარში საპატიო სკამი დაუდგამთ მისთვის, როგორც ჯილდო – გმირობისა და კაი ყმობისა...“

„საკარგყმოც“ ჰერონიათ დაწესებული: –

„ახალწელინადს – გუდანის ჯვარში დასტურები ლუდით სავსე ჩხუჭს (პატარა კასრს) გამოიტანდნენ და ხირჩლას ვაჟყაცობას დალოცავდნენ, მის დამსახურებას საჯაროდ აღიარებდნენ, სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ და საგმირო-სახოტბო სიმღერებს უმღერებდნენ“ (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები).

დროთა განმავლობაში „ლაშქრობა-მეკოპრეობას მიყოლილმა ბაბურაულმა“, საკუთარი კეთილდღეობა მოიწყო; ქონება დააგროვა და გამდიდრდა.

ანდრეზებდან ჩანს, მისი თემიდან გამოყოფის მცდელობის ავისმომასწავებელი ნიშნებიც.

გაბუდაყებულმა კაი ყმამ, ბოლოს, გავლენიანი მტრები მეტად მოიმრავლა და – ამით შეშფოთებულმა თემროზაულებმა, თემიდან მოკვეთეს.

ბაცალიგვლელმა ბუღნიაურებმა შეიკედლს იგი – ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად.

უკვე ჭარმაგი ბაბურაული, ბეგრის თაობაზე, კიდევ ერთხელ მიეჭრა, თურმე, მითხოვლებს – ხმლით გაექაჩა სახნავად გასულ ამასშვილებს და საუიკას მოუკლავს თოფით...

„მის ნასახლარში, ზეისტეჩის, სადაც ციხე-კოშკის ნაშთიც არის შემორჩენილი, ახლა, გუდანის ჯვარის მოძმე – სახატეს მდგომი ანგელოზის ჯვარი არიან, რომელიც გუდანიდან – ალაველ-ვაკედან აბდანებულან და ბაბურაულის სახლ-მამული დაუჭერიათ“

ციტირებული მკვლევარი ცნობით: –

XX საუკუნის ბოლოს, „ხირჩლა ბაბურაულის წარმომავლობა-მამაშვილობის შესახებ, მისი ზეისტეჩიდან მოკვეთის მიზეზებზე და საკარგყმოს კუთვნილებაზე – არაბულების სამ მამიშვილობას (თემროზაულთ, ბუღნიაურთა და არაპათ) – კარგახანს ჰქონდათ დავა...“

„ბელლისკარ სამჯერ შაყრილან“, მაგრამ სადავო საკითხი ვერ გადაუწყვეტიათ.

გუდანის ჯვარში დაწესებული სკარგყმო – დაკარგულა“.

სახელიანი და მამაცი მეომრები ყოფილან ხირჩლას ძმები: – გოგოთური, ფუნჩია და მათი ბიძაშვილი, გამახელა. ლაშქრობებში მუდამ თან ახლდნენო ისინი ხირჩლა ბაბურაულს (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები).

ატაბე

გორშელმის ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს, მთის ფერდობზე – ზ.დ. 1700 მ-ზე.

გოგოჭურების პატარა სოფელი იყო საარაბულოში. ჩიტონის, ზეზიანის, ხადულანის და მარაისძეთა მამიშვილობები სახლობდნენ.

„ბატარა ადგილი“ ეჭირათ.

„ძალით ორთ შამოჭრილები საარაბულიჩი – გუროვლები ორთ“, გვამცნობს ერთ-ერთი იქაური მთხრობელი.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

ჩიტოთ მამის წინაპარი, მთაში ბარიდან არის მისული. ჯერ ჯუთას დასახლებულა – მერე, იქაური არაბულების ორ წინაპართან ერთად, ატაბეს დამკვიდრებულა და „კვირიეს ჯვარს გახდომია ყმად.“

ცნობილი არქეოლოგის, გიორგი გოგოჭურის ცნობით: – მისი წინაპარი (იმავე ჩიტოთ მამიშვილობიდან), სახელად კოკიტა, ლეპაისკარის მიმდებარედ სახლობდა – აყრილახევში. იქიდან ამანათად მისულა ატაბეს. არაბულების ქალი შეურთავს და მოგვიანებით, საადგილმამულო დავასთან დაკავშირებით – ცოლის ნათესავებს მოუკლავთ.

მის თავში მისცეს-ო არაბულებმა – გოგოჭურებს ატაბეს ადგილი.

ციტირებული მკვლევარის ინფორმაციით: –

ჭორმეშიონი ქაცუაურნი და ატაბიონი ჩიტონი ძმათა შვილები არიან; აყრილახევში საერთო (საკმაოდ მოზრდილი) სასაფლაო ჰერიტაჟი – რაც იქ ცხოვრების მათ ხანგრძლივ პერიოდზე მიგვითითებს.

*

1873 წელს – ატაბეში 9 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით გოგოჭურების 12 კომლი დარეგისტრირდა (47 სული).

მათი სასოფლო სალოცავი, „კვირიეს ჯვარი“ – სოფლის თავზე, მაღალ – ძნელად ასავალ მთაზე მდებარეობს; დაფარულია ხშირი ტყით და გვერდით წყარო ჩამოუდის.

„ურბნელი ნიკოს“ ცნობით: –

„ძლიერ ხატად ითვლება, დიდი ძალა აქვს და მორიგე ღმერთის შემდეგ ხსენდება; ხმელთ-მოურავად არის წოდებული. „თვითონ ღვთის პირად არის და მხოლოდ იასაული უყენია ატაბეში. ზღვის კიდემდე რაც კი რამე მოხდება ხმელეთზედ, „ხმელთ-მოურავის“ საქმეა, ყველაფერი ამას ეკითხვის, თითოეული ანგელოზი ამას ეკრძალვის, ემორჩილების. უბრალო ვინმე ხომ არ არის – მორიგის ახლო კარავი უდგია და სამწერლო აქვს გამართული (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს: –

ხატის კედლებზე (გარედან), მრავალი ზარია ჩამოკიდებული. ყორით ნაგები ოთხკუთხა ფორმის ნიშის გვერდით – მოჭრილ ხეზე ჩამოკიდებულ ზარზე – ასეთი წარწერა იკითხება: –

„შემოგწირეთ ესე ზარი ჩვენ ოთხი მამის კაცთ წელაურთ ბეიდოურთა ქუელნურთა და წითელაურთ ჩვნო ბატონო ჭებეს წმინდო გიორგი... ჩყლგ (1833) წელსა“. –

ეჭვგარეშეა რომ – წარწერის დამკვეთნი ფშავლები არიან და ზარიც სხვა სალოცავისათვის არის შენირული.

ჭებეს წმინდა გიორგის საბრძანისი ვერ დავადგინე.

როგორც – ბ-ნ, ხ. მამისიმედიშვილისგან მოვისმინე, ზარზე ამოკითხულ „ჭებეში“ მოიაზრება უკანა ფშავის ნასოფლარი „ჭეშე“.

გ. გოგოჭურის ცნობით, ფშავლებს – ზარის დაბრუნების მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ სოფელმა არ დაანება.

*

ატაბელთა – ადგილისდედა ღვთისმშობლი სოფლის ბოლოს არის განთავსებული. იქვეა „დობილთ კოშკიც“.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), ატაბეს მდგარი არქიტექტურული ძეგლი, პეტრე გოგოჭურის საცხოვრებელი სახლი – XIX ს-ის II ნახევარშია აგებული. ნაშენია ნატეხი ქვით. სამსართულიანია, ტერასული (16X7,5 მ.). კედლების ნაწილი შელესილია თიხანარევი ნაკელით. სახურავი ბრტყელი აქვს, მიწურბანიანი. წვიმით ჩამონადენი წყლისთვის გამოყენებულია ხის ღარები ე.წ. „სანაწვეთები“.

წინხადუ ველგუჯაურები და რკინაულები

ბაცალიგოს ხეობის კუდში ორი სოფელი იყო განთავსებული – წინხადუ და უკანხადუ.

ადრინდელი მათი საერთო სახელწოდება იყო ხადუ.

წინხადუ – გუდანის გადაღმა, ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარეობს – ზ.დ. 1900 მ-ზე.

არაბულ-ველგუჯაურების ნასოფლარია.

სერს გადაღმა მდებარე ესაჩი (ანუ, ესაჩუ), ადრე, მათი საბოსლო ყოფილა.

მოგვიანებით – იქ, ბიჩინაგური მარაისძენი დასახლდნენ. ბოლო მათი წარმომადგენელი – უნცრუა არაბული, ჯუთაში გადასახლდა (გ. ხორნაული).

ელგუჯაური, „თავის დროზე, ძლიერი გვარი იყო... გორშელმ, სადაც ვის მამული მოეწონებოდათ, მოხნავდნენ და პური შინ მიჰქონდათ... ისეთი დავლათი ჰქონდათ... გუდანის ჯვარის დავლათს სძლევდა...“

„ამან უფრო გაათამამა და გააამაყა ისინი...“

ქედმაღლობა, სიამაყე და ძალმომრეობა გახდა მათი ამოწყვეტის მიზეზი.

„მუცლის ჭირი შეუდგათ და დიდ-ცოტაიანად სულ ამოწყდნენ... დარჩა ერთი ვაჟი, რომლის შთამომავლებიც არც სულ გათავებულან და არც გამრავლებულან... სამ-ოთხ მეკომურზე ზევით აღარ წასულა მათი რაოდენობა“ (ალ. ოჩიაური).

*

1855 წელს – წინხადუში, 9 კომლი სახლობდა (13 მამაკაცი და 14 ქალი);

1926 წლის აღწერით 6 კომლი დარეგისტრირდა (33 სული, ველგუჯაური ბაბუანი და სუმბატანი).

გ. ოევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად:

„წმინდა არაბულები“ სოფ. წინხადუში სახლობდნენ და იყოფოდნენ მამათა ოთხ თაობად: – ელიგუჯანი, ბარისახვანი, ობოლანი და კავკავანი“.

„რკინაულების, ბიჩინაგურებისა და ფიცხელაურების მოდგმა, ჯერ, სამი პატარა გვაროვნული ფრატრიისაგან შედგებოდა,“ მერე... გადაქცეულა არაბულების გვარის დიდ ფრატრიად, ანუ, მრავალრიცხოვან გვაროვნულ ძმათა საზოგადოებად“ (ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930 წ.).

რ. თოფჩიშვილის აზრით: – რკინაული, ველგუჯაური, ფიცხელაური და ხოშრაული... დამოუკიდებელი გვარები იყო, რომლებიც „ისტორიული და ეთნოგრაფიული თავისებურებების გამო, ხევსურეთში არსებული საზოგადოებრივი განვითარების წეს-ჩვეულების ძალით, ხარ-ქვაბით შეეყარნენ არაბულების გვარს... შეინარჩუნეს თავიანთი ადრინდელი გვარის სახელი და გაფორმდნენ არაბულთა გვარის „ძირებად“, ან მამებად...“

„ზემოთ ჩამოთვლილი „ძირები“ სინამდვილეში არიან „ძირად რკინაული“, „ძირად ველგუჯაური“ და ა.შ.“ (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, ხევსურული გვარები, გვ. 35-36, 2003 წ.).

როგორც გ. არაბული გვამცნობს – ველგუჯაურების „ძირიდან“ სამი მამა მოდის: – თავად ველგუჯაურნი, ბარისახვანი და კავკავანი.

ველგუჯაურებიდან მოდიან: – წინხადუში მცხოვრები ბაბუანი და სუმბატანი; გველეთელი – ობოლ-ქვრივნი, მგელანი, უცხვირონი, კუკუანი და იმედაურნი;

ბარისახვანიდან მოდიან: – სამუალანი, ობოლანი და დიდანი.

კავკავანიდან: – ერწოსა და ბარისახოში მცხოვრები ახალანი, მამუკანი და ჯურხაულნი.

*

ძირად წინხადუდან იყო ცნობილი მეცნიერი – ალექსანდრე (გაგა) არაბული (ველგუჯაური) – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, უურნალისტი – 300-ზე მეტი სამეცნიერო წარმომის, მათ შორის 20-ზე მეტი წიგნის და მონოგრაფიის ავტორი.

ახალა ხიტალიონი

ჯერ კიდევ XIII-XIV სს-ში გაითქვა სახელი ხიტალიონ-რკინაულების წინაპარმა – „არდოტის გამტეხმა“, ახალა (მეგელუკი) ხიტალიონმა („ჩარუხ მამამ“).

ერთი ანდრეზის თანახმად, ხიტალეს მცხოვრები იყო; მეორე ვერსიის მიხედვით – ზეისტოჩელი და, სიკვდილის შემდეგ, ამავე სოფელის ჯვარში დაუმარხავთ.

თორლვა ძაგანის ძის ერთგული თანამებრძოლი ყოფილა (ოთხზის იძიაო შური მის მკვლელებზე).

თორლვამ დაიყენა გვერდით და ხევსურეთის ცენტრალური თემებს კონტროლი დაავალა.

არდოტელთაგან შეწყვეტილი გუდანის ჯვარის ბეგარი აღადგინა და სახელი გაითქვა.

თანდათან აღზევდა, გაბუდაყდა; ქადაგ-ქურუმების სათავისოდ მართვა მოინდომა და არ აპატიეს.

გუდანის ჯვარში თავმოყრილმა ხალხმა თემიდან მოკვეთა.

ხევსურეთში აღარ დაედგომებოდა და დიდოეთში გადაიხვენა.

იქაც მალე მოიხვეჭა სახელი – ჩარუხ მამა შეარქვეს; სათავეში დაიყენეს და ხევსურეთის ასაკლებად იწინამდლვრეს.

ვერ გაიმეტა თავისი ხალხი თემიდან მოკვეთილმა. მალულად გააპარა კაცი და

ჭორმეშიონთ ამცნო: – ლეკებს ვიწრო ხეობაში შევიტყუებ და მერე, თქვენი საქმისა თქვენ იცითო...
ვერც ერთი ლეკი ვერ დაბრუნდა უკან ცოცხალი.

რაკი აღარც დიდოეთში მიესვლებოდა – არდოტელებს შეაფარა თავი.

*

თორლვა ძაგანის ძის მკვლელობის შემდგომ, მის მიერ არდოტ-მილმახევის სოფ-ლებში ჩასახლებულმა გვარებმა, რომლებსაც ანდაქ-არჭილოელი გიგაურ-ზვიადაუ-რებიც მიემხრნენ – გუდანის ჯვარის ბეგარაზე უარი თქვეს.

ჩამოვარდა დიდი მტრობა.

გაუჭირდათ მეგანძურებს და ახალა ხიტალიონი შემოირიგეს. მისი ძალისხმე-ვით დაამყარეს მშვიდობა: – „შეყარეს ყველა თემის კაცები, რჯულიან-ურჯულონი, დადვეს პირობა ურთიერთმობისა, მტრის წინააღმდეგ ერთიანობისა. აღადგინეს ძველთაგან მომდინარე საკუთრება მიწებზე და განაახლეს ბეგარი.“

„არდოტელ მურლვათ (ერთი ვერსიის თანახმად, ძირად ჭინჭარაულებმა) – ნიშნად ძმობისა, გუდანის ჯვარში საკუთარი სკამი დაიდგეს...“

*

„ერთ მშვენიერ დღეს,“ რაღაცით უკმაყოფილო ახალა ხიტალიონმა, „ისევ აიციდა გუდა-საგზალი და ბუზღუნით ბარისკენ გასწია...“

კაცმა არ იცის, სად და როგორ დალია სული.

*

მის შესანდობრად, წელიწადში – „ბეგარხოცის“ ბოლოს, ჯარზე ლუდიან ჩხუტას გამოიტანდნენ ხოლმე არაბულები (შ. არაბული).

ხიტალიონის შთამომავლები, დროთა განმავლობაში არანისში გადასახლდნენ; 1774 წლის აღნერის დროს, ხიტალისძეებად ჩაეწერნენ და, ბოლოს – ხიტალიშვი-ლობა გაიგვარეს.

ბევრი კაი ყმა ამშვენებს ხიტალიონ-რკინაულების სახელოვან მამიშვილობას: – ლერენა ხატილიონმა არაგვის ერისთავების და ქისტია ბელადის – გაგაის ძმის წინააღმდეგ ბრძოლებში გაითქვა სახელი.

მეფე ერეკლეს ომების მონაწილე იყო გახუა ხიტალიონი.

ისტორიას შემორჩა ძმების – მამუკა და ჯოყოლა არაბულ-რკინაულების სახელი.

ხიტალიონთა ჩამომავალი იყო სამხედრო მფრინავი, გვარდის პოლკოვნიკი, ზა-ქარია ხიტალიშვილი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს, მტრის ცოცხალი ძალის და ტექნიკის დიდი რაოდენობით განადგურებისათვის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (ფაშისტების 29 თვითმფრინავი ჩამოაგდო).

არანისის სასაფლაოზე მისი მონუმენტალური ძეგლი დგას (მოქანდაკე ი. ოჩიაუ-რი, არქიტექტორი დ. მოდებაძე): – გრანიტის 1,8 მ. სიმაღლის კვარცხლბეკზე ბრინ-ჯაოს ფრთებგაშლილი არწივია წამომართული.

უკანხადუ ქერაულები და რკინაულები

ნასოფლარი – გორშეღმისწყალის ზემოთში მდებარეობს – ზ.დ. 2000 მ-ზე.

1873 წელს ქერაულების 18 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით არაბულების 23 კომლი დარეგისტრირდა (109 სული, ძირითადად, არაბული რკინაულები).

ნასოფლარი ზაი – უკანხადუს უბანი იყო.

ამანათად მისულა იქ – მესისხლეობას გამორიდებული ერთი ქისჭი – მაგარი კაცი.

მისი ჩამომავლები გახევსურდნენ და გვარად „ზაიელი“ მიიღეს (გ. ხორნაული).

*

ქერაულების წარმომავლობასთან დაკავშირებული ანდრეზის მიხედვით, – როცა „სანება მფრინავ ანგელოზი ცროლის-წვერ დაარსდა, ხადუს ცხოვრობდა მხოლოდ ჩარგლით მასული ერთი ფშაველი კაცი... დაუთესია იქ ქერი და დაურქმევიათ ქერაი.“ მისგან წარმოსდგა-ო ქერაულების გვარი.

როგორც შ. არაბული გვამცნობს, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხადუელი ქერაულები – ჩარგლელებს ისევ ედავებოდნენ თავიანთ მამულებს: –

„ხევსური ამბობს ღანიშა... ჩარგალში მაქვის მამული – სამოცდასამი ხარისა; შარისთაობა ჩემია, შარისძირობა ფშავლისა...“

რ. თოფრიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ქერაულების ოთხი მამიშვილობიდან ორი („ქასანი“ და „დარაქიშანი“) – ფშავლები არიან; „დოლანი“ – ძირად დვალები (ამანათად მოსულან და ხარ-ქობით შეყრიან ქერაულებს). „წონკანიც“ შეყრილები არიან და მამის სახელის მიხედვით მოდიან“ (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, ხევსურული გვარები, გვ. 21, 2003 წ.).

ვ. ბარდაველიძის ცნობით: – ხადუს ადგილი „ბევრ ყოფილა და ქერას ზესიძედაც მოუყვანია ვინმე რკინაული – ძირად ხევსური არაბული.“

„ზესიძე ხევსურებმ არ იცოდესა-დ, რაკი მშაველ იყვ ქერა, იმით მაიყვან ზესიძედ... გათესლდ რკინაული. წმინდა სანებამ ყმად გაიხადა და რაკი სანების ყმად გახდეს – გამრავლდეს ძალიან“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 7).

ხსენებული ზესიძე რკინაულიდან, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამა წარმოსდგა (ატაბურანი, მანგიანი, სისკარანი, მწარიანი, გოგოთურანი).

მათი ერთი შტო, სოფ. ხიტალეს დადგა – კლდიან გორზე.

*

რ. ხარაძის ვარაუდით, რკინაული ადრე ცალკე გვარი უნდა ყოფილყო (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, ხევსურული გვარები, გვ. 33, 2003 წ.).

იაკ. ახუაშვილის თანახმად, ისინი არაბულთა გვარში შევიდნენ (ხელოვნურად დაუნათესავდნენ მათ) – „გაარაბულდნენ, მაგრამ რკინაულებად გაიფორმეს გვარი“. გ. არაბულის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, რკინაულების „ძირი“ ორ მამად

იყოფა: – ბალაურებად (ვირისცალანი) და თემროზაულებად.

ბალაურნიდან მოდიან: – მანგიანი, ატაბურანი, გოგოთურანი, სისკარანი, მწარი-ანი, ბეენანი და აკანი (უკანხადუს მცხოვრები).

თემროზაულებიდან მოდიან: – თემროზანი, ჯაგვედანანი, ადიანი, ხირჩლანი, ნაოგურანი, არაბანი, ხელმოკლიანი, ბახალანი, ფანცქალანი, თადიაურნი და ბეკიანი (ზეისტეჩის, ორბეულთას და ჩირდილის მცხოვრები).

ხიტლედან და უკანხადუდან, დროთა განმავლობაში, რკინაულები სოფ. ჩირდილ-ში გადასახლდნენ.

*

სანების ჯვარს მთავარი სალოცავი „უკანხადუს ას“ – ცროლის მთაზე.

მის დაარსებას ანდრეზი ხადუს პირველმოსახლეს – ქერა ქერაულს უკავშირებს:

„ლამით ცროლის წვერი განათდის, რაპრაპ დარჩის... და მერე ნახა ქერამ, რომ ტრედის სახით იჯდა მაღალს ქვაზედ მფრინავ ანგელოზი...“

„რო გათენებულა – აუგავ იქ კოშკი და ამის მემრ გაჩენილ იქ დღეობაი.“

ერთი გადმოცემის თანახმად, ეს ჯვარი – „ფშავიდან არის მოსული“; მეორე ვერ-სიის მიხედვით – თავდაპირველად, „ღილღოს მდგარა.“

„ცროლის სანება“ მეკობრეთა და მონადირეთა მფარველად ითვლება.

„თავად მეკობარი მონადირე ხევსური, აბა, ისე როგორ დადგებოდა, რომ ცალკე ხატი არ შეექმნა ამ ხელობისათვის... მათი რწმენით, ნადირობის საქმე თეთრ სანებას თვით მორიგე ღმერთმა ჩააბარა და თავისი ხელით შემოარტყა სისხლიანი ხმალი...“

„ამით არ თავდება მისი ძალა... უძეოს ძეს აძლევს... ცა-ღრუბელთა საქმეც აბარია“ (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

სალოცავის კომპლექსი უკანხადუს განაპირას მდებარე მთის ფერდობზეა გან-თავსებული. მის შემადგენლობაშია, იფნის ხეებს შორის მდებარე, რამდენიმე ნაგე-ბობა (დარბაზი, საქვაბე, საკოდე და სადროშე).

ანდრეზის თანახმად, ქაჯავეთის დასალაშქრავად წასულ ხთისშვილებს, ცროლის სანება არ გაჰყვა (ანუ, მისმა საყმომ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო).

ვარაუდობენ რომ: – ხადუს მაშინდელი მცხოვრები ჩირდილო-კავკასიური წარმო-მავლობის იყვნენ – ენათესავებოდნენ „ქაჯაველთ“ და უარი თქვეს თავიანთი ჯიშის თუ სარწმუნოების მეზობლებთან ბრძოლაზე.

*

უკანხადუელთა სასოფლო ხატი – ადგილისდედა ღვთისმშობელი (გუნდარი) ქერ-აულების და რკინაულების სალოცავია. „სოფლის შუაში ას“ – „კოხლეაურში მებურთ-ვალს“ ეძახიან.

გუნდარი – იქვე მდგარი კოშკის მეციხოვნე ყოფილა.

ბაჩინიგა და ბიჩინაგურები

ხალხური ზეპირსიტყვიერება ორ – ერთმანეთთან არცთუ დამაჯერებელი კავშირში მყოფი ინფორმაციას გვაწვდის: –

ზურაბ არაგვის ერისთავმა (XVII ს-ის დასაწყისში, 1630 წლამდე) ბიჩინაგურებს, მამუკა ქალუდაურის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომისთვის, სამოსახლო უბოძა: –

ხევში: – ჯუთას, ართხმოს და კარკუჩას;

არაგვზე: – ჩინთსა და მის გაღმა მხარეს – რომელსაც მათ სოფელი ბიჩინაგურები უწოდეს.

ანუ, XVII ს-ში, ბიჩინაგურების გვარი უკვე არსებობდა.

მეორე ანდრეზი, გვარის მამას – ბაჩინიგა არაბულს, ერეკლე II-ის დროინდელ (XVIII ს-ის) მეომართან აკავშირებს.

ალ. ჭინჭარაულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – „ხორნაულთა ულამაზესი ქალი თამარა ბაცალიგვლელ არაბულზე ყოფილა გათხოვილი. გუდანის ჯვარში, მეფე ერეკლეს მოუკრავს თვალი მისთვის – ათენგენობას. ვინაობა უკითხავს და ღამე თავის კარავში მიუყვანინებია...“ ამის შემდგომ შესძენია არაბულთა რძალს ვაჟი. დაურქმევიათ ბიჩინგა. თვალად-ტანადი ვაჟუაცი დამდგარა, მაგრამ დაცოცავდა, თურმე, სოფელში ჭორი – ერეკლეს ნაბიჭვარიაო... ამის გამო, აყრილან და გველეთს გადასახლებულან...

მიუღწევია ერეკლემდე ბიჩინაგას სიქველეს... დაუბარებია იგი... და ბევრი რამ უბოძებია – მათ შორის ლამაზი და ძვირფასი ქუდიც (ალ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 85).

შემორჩენილია ცნობა სახელიანი მეომრის ბანალური სიკვდილის შესახებაც: –

„ბატონთან – ქალაქში მიმავალი ბიჩინაგა, ფშავის ვიწრო ხეობაში, არაგვზედ გადებული ხიდ-ბაგირიდან – წყალში ჩავარდა. ბატონის ნაჩუქარი ნალიანი წუღა დაუსხლტა ხიდზე და ბატონისაგანვე ბოძებული ქუდ-პატივი არაგვმა ბატონსავე ჩაუტანა ქალაქში“ (შ. არაბული).

*

ამირან არაბულის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ბაჩინიგადან მოდიან: – დავითა, სისკარა და ციხელა;

დავითასგან მოდიან: – დევანი, დავითაურნი და შვიდხინკალანი;

სისკარასგან: – იმედა, მარაისძე, თინიბექი და სასიკარათო;

იმედანი არიან: – იდიანი, შალვიანი, თოხოლჩანი და ბაბალანი;

მარაისძენი: – გაგიელანი, ბერიაშვილი, თოთელნი და მარაისძენი;

თინიბექი-თილილანი არიან: – ქურსიკანი, ჭინჭარანი, ნათელისძენი და ჭრელანი (ჩანაწერები, 2013 წ. გვ. 77).

*

გიორგი არაბული – მარაისძენში მოიხსენიებს: – თოთელნი, მთიბელანი, გე-ჯურანის, ზარდონანის და ხუტანის (ესაჩუს, ჯუთას და დათვისის მცხოვრებთ).

იმედანიდან: – ზეისტეჩოს, ჯუთას და ართხმოში დასახლებულ – უთურნის, ჯა-

ოხანს და ადუანს.

თინიბექის მამიშვილობიდან: – ხორიელში და ჯუთაში მცხოვრებ – ივანანს, აპარეკანს და ბაკურანს.

დევანიდან: – ჭალასა და უსტამალაში დასახლებულ დავითაურნს და შვიდხინკალანს.

ციხელაურნიდან: – ბაცალიგოსა და დათვისში მცხოვრებ – ადიონანს, მანგიურანთ და გორელაურებს (ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.).

ჯუთელი არაბულები

ჯუთა – ყაზბეგის რაიონის ხევსურთ სოფელია.

სნოსწყალის სათავეებში მდებარეობს.

ბიჩინაგური არაბულები სახლობდნენ: – მარაისძენი, იმედანი, თინიბექნი, თილილანი, ბაკურანი და სხვ.

„ამ მამებში უფრო მარაისძენი თავკაცობენ, თომცა სხვებიც არაფერს უთმობენ“ (ნ. ბალიაური).

„ბერდიათ ჯურხა იყო გვარად არაბული, მამად მარაისძეთი... სახელგანთქმული მამაშვილობა იყო, ჯერ კაცმრავლობით და, მერე, ამათ მამაში სულ კარგი ახალგაზრდობა იზრდებოდა თვალად-ტანად და გულადად“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 25).

*

ბიჩინაგურთა ნაწილის ხევიდან ხევსურეთში დაბრუნებასთან – ანუ, დათვისსა და გველეთში გადასახლებასთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძის მთხოობელი შემდეგს გვამცნობს: –

„ჯუთიდან რომ წამოვსულვართ, გველეთელებისთვის წაგვირთმევია მამული, რომელიც იმდენ ნაწილად განაწილებულა, რამდენიც მებრძოლ ხმლიანი ყოფილა – სამოცდასამად... აქ უნინ გიგაური მდგარა. მერე უთქვამთ სამოცდასამი ხმლიანი დაეტევაო და სამოცდასამად გაუყვიათ ეს ადგილი. რამდენი ჩამოვიდა, რამდენი დარჩა და რამდენი წავიდა უკან ჯუთაში – არ ვიცი. თოხოლჩანი იქაც (ჯუთაშიც) არიან და აქაც. აქ ეხლა სამი მამა ვართ: – იდიანი, თოხოლჩანი და თილილანი. იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ და ჩვენ ძმათაშვილები ვართ. გორელანი ცალკე არიან, სხვანია.“

წარმოდგენილ ცნობას ვ. ბარდაველიძე ასეთ კომენტარს უკეთებს: –

„მთხოობელმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცის. ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ იდია, თოხოლჩა და თილილა ძმები იყვნენ. ისიც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ისინი ერთსა და იმავე დროს არსებობდნენ, როგორც სამი ცალკეული მამათა კოლექტივი... თოლოხჩას, რეალურად, ერთი ძმა ჰყავდა – თამარისძე. მათი შთამომავლობიდან შეიქმნა ჯერ ორი მამათა კოლექტივი: თოხოლჩანი და თამარისძენი, რომლებიც ამავე დროს ერთ საძმოს შეადგენდნენ; შემდეგში თოხოლჩას ოთხი შვილის (სუსუას, მანგიას, გარსიას და ფშაველას (ანუ, შალვას) შთამომავლობა ჩამოყალიბდა ოთხ მამათა კოლექტივად (სუსუანი, მანგიანი, გარსიანი და შალვანი, ანუ, ფშაველანი. ყველა ისინი ერთ, თოხოლჩათ საძმოს შეადგენდნენ. ასევე, თამარისძე

ოთხი ვაჟიშვილის (იდიას, უთურას, გაგას და თამარისძის) შთამომავლობამ მოგვცა ოთხი მამანი (იდიანი, უთურანი, გაგანი და თამარისძენი), რომლებიც თამარისძეთ საძმოს შეადგენდნენ. ხოლო თოხოლჩათ და თამარისძეთ საძმოები – ერთ თემს, იმედათ თემს შეადგენდნენ. ანუ, თემის ეპონიმი იყო იმედა, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია: – თილილა და მარაისძე, რომლებიც ისევე როგორც იმედა ეპონიმები გახდნენ – მათგან განვითარებული ჯერ მამების კოლექტივებისა, შემდეგ საძმოებისა და ბოლოს, სოფლის თემისა“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, გვ. 113).

*

ჯუთელი არაბულების საგვარეულომ ბევრი საამაყო მამულიშვილი მისცა სრულიად საქართველოს:

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან არაბული – ხალხური სიტყვიერების ცოცხალი საგანძურო და მისი პირუთვნელი მემატიანეა, უძველესი მითების, მითოლოგიური სახეების, თქმულებების, ლექსების და ანდრეზების შემგროვებელი და მკვლევარი, სიტყვაში ჩადებულ საიდუმლოებათა გამცხადებელი და ამომხსნელი (თ. უურული, ლიტერატურული საქართველო, 19 ივნისი, 2015).

საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ავთანდილ არაბული – ენათმეცნიერი, მწერლი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ორი მონოგრაფიის და რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 23 ტრესტის მმართველის, ცნობილი მშენებლის – რევაზ (გიგლა) არაბულის, ხელმძღვანელობით მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა. მათ შორის: – კაჭრეთის პურ-პროდუქტების კომპინატი, აბაშის კომპინირებული საკვების ქარხანა, მარნეულის პურ-პროდუქტების ქარხანა, შატილისა და გუდანის საცხოვრებელი კომპლექსი, ბაზალეთის შრომის ვეტერანთა პანსეონატი და სხვ.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მინაწილე, პოლკოვნიკი გოგი არაბული – თავდაცვის სამინისტროს კახეთის სამხარეო კონტრდაზვერვის უფროსად მსახურობდა.

მთრეხი და მთრეხელი

მთრეხის ხევი ჯუთას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

მზვარეში, ციცაბო ფერდობზე, შემორჩენილია სიპი ქვით მშრალად ნაგებ ყორეთა ნაშთები.

ამ მიღამოებში მიუთითებდნენ იმ ნასახლარზე, სადაც (ვითომ) შიოლა ღუდუშაურის მკვლელი – „მთრეხელი მდგარა.“

რა გახდა ამ ლეგენდად ქცეული მკვლელობის მიზეზი?!

რატომ მოკლა მთრეხელმა ზურაბ არაგვის ერისთავის მოურავი?!

შემთხვევით მოკლა, თუ წინასწარგანზრახვით?!

იყო თუ არა ის დაქირავებული მკვლელი?!

გმირია მთრეხელი თუ ანტიგმირი – პასუხები არაერთგვაროვანია.

XVII საუკუნეში მომხდარმა ამ ტრაგედიამ, ორ დამოყვრებულ გვარს შორის სისხლიანი მტრობა ჩამოაგდო და არაერთი ცნობილი მწერლის ყურადღება მიიპყრო.

„მარტო ის რად ლირს, ალექსანდრე ყაზბეგმა რომ სამჯერ წამოიწყო მოთხოვა ამ სიუჟეტურ ქარგაზე და სამჯერვე უშედეგოდ: ჯერ „შეწყალებული“ უწოდა, ერთი აბზაცი დაწერა და გვერდზე გადადო. მერე კვლავ მიუბრუნდა, „შიოლა ღუდუშაური“ დაარქვა და, ორიოდე გვერდის შემდეგ შეჩერდა. მესამედ „ნინოს“ სახელწოდებით განაახლა და ისიც მიატოვა... აშკარაა: ძალიან ალელვებდა ეს თემა. „ხელთ ჰქონდა მზამზარეული სიუჟეტური ქარგა, მაგრამ რაღაც ფსიქოლოგიური ბარიერი ეღობებოდა, როგორც ჩანს, სამჯერ დაწყებული მოთხოვა, ვერაფრით რომ ვერ მიუყვანია ბოლომდე“ (რ. ჩხეიძე).

ამავე თემამ, ჩვენს დროშიც არაერთი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო: – გ. კალანდაძე (ქართული ხალხური ბალადა, 1957 წელი), ტ. მახაური (უურნალი „კლდეკარი“, 1992, №2), ა. არაბული („კლდეკარი“, 1993, №2); ლ. ბალიაურის მოთხოვის, „ძმის მკვლელის“, კომპოზიციური ლერძიც შიოლასა და მთრეხელის ორთაბრძოლაა; ამავე სიუჟეტზეა აგებული გ. დოჩანაშვილის „აჩხოტელების ბატონი...“

ტიციან ტაბიძე ხოტბას ასხამს მთრეხელს და გმირის შარავანდით მოსავს.

მის ნასახლარში ჯვარია, რომელიც ყოველთვის წმინდა ადგილზე ფუძნდება. წმინდა ადგილი კი მოწმინდარის, გმირის, კაი ყმის სამკვიდროა (ამ. არაბული).

მთის კანონზეა დაფუძნებული რ. ჩხეიძის განსხვავებული პოზიცია: –

„რაკი და-ძმობის ფიცი ალალ, შეურყვნელ ურთიერთობას და ერთგულებას მოითხოვს, როგორც ფიცით შეკრულთა, ისე მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან, „პაპის კარკუჩიდან აყრაც“ არ უნდა გამხდარიყო მთრეხელისთვის მთის ამ ძლიერი ტრადიციის, და-ძმობის ფიცის გატეხის საფუძველი. უფრო მეტიც, შიოლას რომ ეს უსამართლობა მართლაც ჩაედინა, და-ძმობის ფიცი მისთვის ხელის-შემკვრელი უნდა გამხდარიყო, ასეთი სასტიკი შურისძიებისათვის.“

ანდრეზის თანახმად: –

მთრეხელი შიოლას დასთან (ანუ, ქერეთ რძალთან) და-ძმობის ფიცით იყო შეკრული, მაგრამ შიოლას მტრობდა, რადგან აჩხოტის ბატონს მთრეხელის „პაპა კარკუჩიდან ეეყარა და გეეგდა...“

იმასაც ამბობენ რომ – შიოლას სიკვდილით დასჯა სათემო საბჭეომ გადაწყვიტა (რადგან ხევში გაბატონებას აპირებდა) და მთრეხელი განაჩენის შემსრულებლად მოისყიდა: –

„როცა ერისთავის მიერ აღზევებულმა შიოლამ აჩხოტში კარავი დაიდგა და ხევის ბატონობა მოინდომა, შეიყარა თემობა, უყარეს სოფლებს წილი, თუ ვის უნდა რგებოდა მისი მოკვლა და ერგო კარკუჩას. თემობიდან დაბრუნებულმა კარკუჩელმა კაცებმა სოფელი შეჰყარეს და ახალგაზრდებს შეეკითხნებ: – „ერთი კაცი მოჰკლავს, თუ მთელი სოფელი, ჩვენ გვერგო წილში შიოლაო!?!“ „მთრეხელს უთქომს, მე მაკვლამო!“ რადგან მისი „პაპა შიოლას ეეყარა კარკუჩითა და გეეგდა, ამისთვი იმის ჯავრი ჰქონდა მთრეხელსა და იმიტომ თქო: მე უნილოდ გავალო.“

ამ გარიგების შესახებ ღუდუშაურმა თავისი კაცისგან შეიტყო: –

„შიოლას ძმისწული ჰყვანიყო და იმას შეეტყობინა მისთვის ეს ამბავი“ (ა. შანიძის ჩანაწერიდან).

ცოტა ხნის შემდეგ, უკვე საქმის კურსში მყოფი მოურავი, მთრეხელს შემთხვევით შეეყარა და ახირებით ჰქითხა: – „სად მიგაქვს ძღვენიო?!

„შენს დასთანაო, უპასუხნია მთრეხელს,“ რომელსაც „ფიცი ჰქონდა ნათქომი შიოლას გათხოვილ დასთან.“

„ვიცი, რაც ძღვენი მოგაქვსო,“ უთქვამს სამტროდ გამზადებულ შიოლას და მისთვის მშვილდის წართმევა განუზრახავს...

აკ. შანიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

მოურავი გუდამაყარში მიდიოდა „ურჩი ყმის“ ჯალაბაურის დასარბევად, რომელსაც „ბეგარა არ მიუცავ.“ მას გზაში შემთხვევით შეყრია „სასტუმროდ გამართული“ მთრეხელი (არხოტელი ხევსური, დედით ყამარაული), რომელიც სიონში გათხოვილ დასთან მიდიოდა. შიოლამ მისთვის ჯერ ცხენის – შემდეგ მშვილდის წართმევა მოინდომა, მაგრამ ხევსურს არ დაუთმია და მოუკლავს მოურავი: –

„არ გაუტიე მთრეხელი, ხევს მიმავალი დისასა. ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რალად სთხოვდი რქისასა“ – ბრალს სდებს ხალხური ლექსი აჩხოტის ბატონს.

შიოლამ – „არ დაიშალა, გადასწვდა, მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა“ და...

მთრეხელმაც: – „გულს დახვრა, სხვაკე გაღვარდა, ფალავანს აჩხვატისასა.“

წარმოდგენილი ვერსიის მიხედვით, მთრეხელი მოსყიდული მკვლელი არ არის და არც შიოლა მოუკლავს წინასწარ განზრახვით.

მკვლელობის შემდგომ, ნაცვლად იმისა რომ ღუდუშაურებს განერიდოს, ის სწორი მიდის და „წყეულს ციხესთან“ შესძახებს: –

„მე მოგიკალით შიოლა, გინევთ წყლის პირას მკვდარიო.“

ანუ, მკვლელი არ იმალება, ნებაყოფლობით მიდის მოკლულის ციხესთან და მომხდარის შესახებ თავად ამცნობს იქ „შემოჯარულ“ მის მოძმეთ.

თავზარდაცემული სწორების სასწავლოდ შურისძიების მიზნით, მასაც მოსაკლავად გაეკიდებიან. დევნილი სოფ. ახალციხემდე მიაღწევს – ყოვლადწმინდის ეკლესიაში შეეცდება თავის შეფარებას, მაგრამ: –

„კარნ არ დაუხვდეს ლიანი.“

„კლიტე ვერ გაუტეხავ, მშვილდიც იმ კლიტეს ისრის დაკვრის დროს გაუტეხივ... გადამხტარ და პირდაპირ შიოლას დის (ქერაშვილების) ბანზე შამხდარ.“

სასიკვდილოდ განწირული მკვლელი, მისი ხელით დღედაბნელებულის დის, მაგრამ თავისი დადნაფიცის იმედზე რჩება: –

„მივა და შაიხვენების ძმისა მამკლავი დისასა: დაო, ვერ შამინახავდი? მამკლავსა შენი ძმისასა“ – ეკითხება იგი დადგაფიცულს.

უპრეცენდენტო შემთხვევაა: – ძმის მკვლელი მოკლულის დას დახმარებას და სიცოცხლის შენარჩუნებას სთხოვს XVII საუკუნის ხევის მიყრუბულ სოფელში, სადაც „სიკვდილი თვით უფალს გაუჩენია მტრისადა.“

„სხვა თუ ვინ შემოხვენილას ძმისა მამკლავი დისასა?“ – სასოწარკვეთილი კითხულობს დადნაფიცი, რადგან „ანდრეზად ასეთი რამ არ მამდინარა.“

ფიქრის დროც არა აქვს... მდევარი მისწრებაზეა; გადაწყვეტილება წამებშია მისაღები და 15 წლის მოხვის ქალი („მთვარე ხუთმეტისა“), რომელსაც „სტუმარ-მასპინძელიც“ არ წაუკითხავს (ვაუა ჯერ არ დაბადებულა!), დიდი შინაგანი ტკივილით იღებს გამაოგნებელ გადაწყვეტილებას:

– „შამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა,“ ანუ, ძმაზე, ძმის

სულზე ფიქრი არ სცილდება მისი სიკვდილით გულდაფუფქულ დას... მაგრამ ძმადნაფიცს – თავშესაფარს მაინც აძლევს.

იგავმიუწვდომელი ქმედებაა, მაგრამ – მთის კანონიდან გამომდინარე.

(თავშესაფარს სთხოვდა ნაძმობი, მისი ძმის მკვლელი, მაგრამ მასთან ფიცით შეკრული).

გადააბიჯა მთრეხელმა – ქერეთ კარის ზღურბლს და დადნაფიცის შურისმაძიებელი ძმებიც მოიჭრნენ („რისხვასა ჰგავდნენ ღვთისასა“).

ქერა სანადიროდ იყო წასული.

გადაწყვეტილება ისევ ქალს (დარეჯანს) უნდა მიეღო და ასეთი სიტყვები შეაგება მომხდურთ: –

„შინ ნუ შამახვალთ, მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა, თორო მე შაგეომებით, აბჯარს ავიღებ ქმრისასა...“

ამ სიტყვებში მუქარაც ისმის და ვედრებაც! ნაწნავის მოჭრა რჯულის დაკარგვის ტოლფასია, მაგრამ სისხლის ასალებად მიჭრილი „ძმანი“ დასაც არ ინდობენ: –

„გააღე, თორო შენც მაგკლავსთ,
დღეს დაგიბნელებთ მზისასა!“

სასონარკვეთილი ქალი ძმებს ემუდარება და აფრთხილებს კიდეც: –

„შაფარებული სტუმარი
უნდა იფიქრათ, ვისასა!
თუ არად აგდებთ სირკხვილსა,
რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?!
ის არ შაგარჩენთ სტუმრის თავს,
წესს არ დაარღვევს მთისასა...“

*

არად ჩააგდეს „მამულნმა“ ხვეწნა-მუდარა „დაისა;“

„მახველეს“ მის სახლში სტუმარი:

„დახვრიტეს როგორც ცხავია...“

*

სტუმრის მოკვლისათვის ქერას შურისძიებას უბედურებათა მთელი ჯაჭვი გადაება: –

„ამან გამოიწვია ღუდუშაურთ მხრით სისხლის ძიება, რასაც შედეგად სამ-სამი მკვდარი მოჰყვა: სამი ქერეეთი და სამიც ღუდუშაურთი.“

მათი ურთიერთ მუსვრა სათემოდ განსასჯელი გახდა და, ბოლოს, როგორც იქნა – სამარადისო ძმობით დასრულდა.

გუდანის თემი

მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს, გუდანის თემის სამი სოფელი იყო განთავსებული: – ღული, ჭიე და ძეძეურთა; მარჯვნივ: – გუდანი, ჭორმეშავი და ზენუბანი.

გავუყვეთ ღული-ჭიე-ძეძეურთას მიმართულებით.

ლული

ამჟამად ნასოფლარია – გუდანის მოპირდაპირედ, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე – ზ.დ. 1680 მ-ზე.

„ლულის ჭალა“ ეწოდება ხევსურეთის არაგვის ვიწრო, კლდიან ხეობას – ოხერხ-ევიდან როშკისწყლამდე. სამანქანე გზის გაყვანამდე, ისეთი ვიწრო ადგილი იყო, ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა. „სამუქაროს“ ეძახდნენ, რადგან მოშუღარნი წასძახებდნენ ხოლმე ურთიერთს: – „შავიყრებით ლულის ჭალასო...“ ანუ, გვერდს ვერ ამიქცევ და იქ, გაგისწორდებით.

„ლულის ძირს სალი კლდეები არაგვს მუჭაში სწურავენ.“

*

ლულის მთაზე, დიდრონი ხეების ჩრდილში, მცირე დავაკებაა, რომელსაც „სანა-გის საჯარეს“ ეძახიან.

ამ მწვანედ აბიბინებულ მინდორზე, ოთხნახევარი საუკუნის წინ უგროვებია ფხოველთა ჯარი – ხმალას ჯვარის ხევისბერს, სანაგის სანაგს – მუხრანბატონების თუ ჩრდილოელი მეზობლების დასალაშქრავად (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები, 1999 წ. გვ. 56-57).

*

სოფელის ძირითადი გვარი, ქისტაური – ხევსურეთში მოსულად ითვლება. ქისტის მოდგმისანი არიან და სოფ. ლულ-ჩხორეგოდან მესისახლეობის გამო წამოსულან. ერთი ძმა – ხევში დასახლებულა, მეორე – ფშავში (შუაფხოს), მესამე – ჭინჭარაულებს ხარ-ქობით შეჰვერია – გუდანის გამამა, „მთის ძირში, მიუციათ ადგილი“ – რომლისთვისაც, მათი ყოფილი სამოსახლოს (ლულ-ჩხორეგოს) ანალოგით, ლული დაურქმევიათ.

არქეოლოგ გიორგი გოგოჭურის ცნობით, საჭინჭარაულოში შემავალი ლულელნი (სოფ. ლულში მცხოვრები ქისტაურები) შემდეგ მამიშვილობებად იყოფიან: – გამახ-არენი, ალუდნი (პეტრენი) და ხუტიანი (ანუ, იდუკანი, ბერდიანი, გაგანი, აძიკანი და ქოჩიანი).

დროთა განმავლობაში, ისინი ისე გაძლიერდნენ, ხევსურებს თავს ამეტებდნენ, გზას უკეტავდნენ და მათ – ძნელი, მომქანცველი ბილიკებით უხდებოდათ სიარული.

ქისტაურების შიშით ლულის ჭალაზე გავლას ვერ ბედავდნენ.

ძმებმა, მამუკა და ჯოყოლა არაბულ-რკინაულებმა გადაწყვიტეს სამართლიანობის აღდგენა: – „ლულზე გზა ჩვენ უნდა გავიტანოთო – უთქომთ და ქისტაურების მომწიფებულ ყანაზე, ცხენებით გადაუვლიათ.“

ლულელებმა დათმობა ამჯობინეს.

ამ საჭირბოროტო საქმის უსისახლოდ მოგვარებისათვის – ძმებისთვის საკარგყმო დაუდგამთ გუდანის ჯვარში.

*

ღული – მრავალი უბედურების მომსწრეა: –

ქისტ-ლეკთა გაერთიანებული რაზმის თავდასხმისას (რომელსაც ჩაგვირილა და უსუფი წინამძღვრობდნენ) – ქისტაურებს ცოლ-შვილი ციცაბო კლდეში გამართულ „სახიზარისთვის“ შეუფარებიათ და „თავად კარზე დასდგომიან.“

მტერმა დიდი დანაკარგით შეძლო სიმაგრის ალება.

უმოწყალოდ ხოცეს ღულელებიც.

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, საიქიოში მისულმა ქისტაურებმა, თურმე, წინაპრებს შესჩივლეს: –

„ერთი სოფელი მთელ ლაშქარს ვერ გავსწვდით... გავწყდით... დანარჩენ ხევსურთ მხარ არ გვიჭირეს“-ო.

ამბობენ რომ: – დასახმარებლად მარტია მისურაულის რაზმი მიიჩქაროდა, „მინილთან მტრის რაზმს გადაჰყრიან და ამის გამო დაჰყვიანებიათ...“

ხალხური ზეპირსიტყვაობის თანახმად, „კვიცმანაკლავის გორზედა (მარტია მისურაული) კლდეს მაეფარა, კიოდა, გამაერია ლეკებსა, სისხლი წყალივით დიოდა, ვერ მიეშველა დროზედა, თაოდაც ამას ჩიოდა...“

შელექსის მოხსენიებულ გორზე, ლეკებს კვიცი დაუკლავთ და გამარჯვების ნადიმი გაუმართავთ.

ამიტომ შემორჩა-ო იმ ადგილს „კვიცდანაკლავის“ სახელი.

*

რ. თოთხიშვილის ცნობით: –

ქისტაურების რამდენიმე მამიშვილობის 15 ოჯახს (ლეგაანთ, ჯილალაანთ და სხვ.), მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ერწო-თიანეთის სოფელ ამტნისხევში (დღევანდელი ღულელები), თავად ხიმშიაშვილისაგან შეუძენიათ მამული და იქ დასახლებულან.

1898 წელს, ღულიდან ღულელებში 30 კომლი ჩასახლდა („მოამბე“, 1898, № 6, გვ. 86).

1926 წლის აღწერით, ღულში, ქისტაურების 17 კომლი სახლობდა (69 სული);

1974 წელს 5 კომლი.

*

საირმია – საკმაოდ მოზრდილი მინდორია ღულის-ჭალაში.

„მის ზემოთა მხარეს, ერთი ვეება რიყის ლოდი იდო, რომელიც მჭედელთ გაგას საჯილდაო ქვა გახლდათ... გაგა ბაცალიგველი კაცი იყო (გვარად არაბული), გოლიათური ღონის პატრონი, ვაჟას გოგოთურის ყაიდისა. როცა გაგა „ქვენისკე“ (ქვემოთკენ) წამოვიდოდა სამგზავროდ, ამ ლოდს აიღებდა, მინდვრის ზემოთავიდან ქვემოთავში წამოიღებდა და იქ დადებდა. „მჭედელთ გაგას ქვენისკე ჩაუკლავ“-ო, იტყოდნენ მგზავრი ხევსურები. ბევრი თავმომწონე ვაჟკაცი ამაოდ ეჯაჯგურებოდა „გაგას ქვას“. დაბრუნდებოდა გაგა ბაცალიგოსკენ და „თავის ქვას“ მინდვრის ზემოთავში აიტანდა. „მჭედელთ გაგა შინ ყოფილა“-ო, იტყოდნენ მგზავრები, რაკი ქვას მინდვრის ზემოთავში ნახავდნენ, ისევ ამაოდ ეჯაჯგურებოდნენ, მაგრამ ქვა გაგას

ჩამოვლამდე იმავე ადგილზე იდო, სადაც გაგა დატოვებდა“ (ალ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 94).

*

ღულელი იყო ცნობილი მელექსე, პაპილთ ნია – რომელიც, სახელგანთქმულ ფშაველ მოკაფიავეთ – ტოლს არ უდებდა.

ამავე სოფლიდან იყო მინდიათ ახალაც – სარკასტული ღექსით მიწასთან რომ გაასწორა რუსეთის იმპერატორი და, ამის გამო, დასაჭერად დასდევდნენ.

ჭიე

ამჟამდ, ნასოფლარია, გუდანის მოპირდაპირედ – მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს.

ჭინჭარაულებით იყო დასახლებული.

„გუდან მოვიდა ლაშქარი, ჭიე კარვებმა შაფარა“ – ავის მომასწავებლად გვამც-ნობს სახალხო მთქმელი – ზურაბ არაგვის ერისთავის ხევსურეთში ერთ-ერთ და-ბანაკებას.

სოფელს (სამხრეთის მხრიდან) სათიბ-საძოვრებიანი ჯვარის მთა გადმოყურებს. მის გამო, ჭიელებს დავა ჰქონიათ ლიქოკელებთან.

ვერ მორიგებულან და ლიქოკელებს კარატის ჯვარისთვის შეუწირავთ იგი.

შემდგომში, ვერც ერთი მხარე ვეღარ მოიხმარდა.

ამ ბრძოლაში, ჭიელთა მხრიდან, თავი უსახელებია ვინმე ბიას: –

„შენ ის არ ხარავ, ჯვარის მთას რო ხფარიკაობდიო?!”

მასზე მოსთქვამს ხევსური ქალი „ხმით ნატირლებში.“

გადმოცემის თანახმად, კრწანისშიც უომიათ ჭიელ ჭინჭარაულებს: –

კურდღელას ძენიდან მამა-შვილი ყოფილა წასული – მგელა და აბა. ორივე ცოცხალი დაბრუნებულა. ერთ-ერთ ნაჭრილობები მკლავს მგელა, თურმე, ვეღარ ხმარობდა. მგელიაურთიდან ოთხი ძმანი წასულან: – ბერდია, ხირჩლა, ივანე და ნუნუა...“

„ნუნუაი ვარ, ძმობილო, გადმოხვენილი ჭიელით.“

ვაჟა-ფშაველა, თურმე, ამ ერთ-ერთი ძმის სახელს იყენებს „სტუმარ-მასპინძელ-ში“.

*

1873 წელს – ჭიეში, 18 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით ჭინჭარაულების 9 კომლი დარეგისტრირდა (28 სული; კურდღელას ძენი, ყიუილანი, მგელიაურნი, ხარშუანი და ალიანი).

ჭიელმა ჭინჭარაულებმა თიანეთის რაიონში დააფუძნეს სოფლები – საჭიურე და ჭიაურა.

ძეძეურთა

ჭიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჭინჭარაულების ნასოფლარია – უფრო ადრე დაცლილი.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – ჭიეს, ძეძეურთასა და გუდანში, ძველად – ყურაულები მდგარან.

„ძალიან ამაყი ხალხი ყოფილა, მაგრამ ისეთი თავიანიც, რომ „მამკლავ-მამკვდართ ერთად შეჰერიდნენ და მამკვდრის პატრონს ნებას არ მისცემდნენ მამკლავი მოეკლა...“

„ვინ დასხამს მამკლავ-მამკვდართა ყურაულთ მეტი ჯარზედა?“

ჭინჭარაულებამდე გუდანში ისინი ყოფილან თავხევისბერებად – მათ ეკითხებოდა ხევსურეთის ავ-კარგი.

იმასაც ამბობენ რომ: – „არაფრად აგდებდნენ არც ჯვარს, არც იმის ყმათ. ეტანებოდნენ გუდანის ჯვრის მამულებს, ხნავდნენ და პურს თავის სასარგებლოდ იყნებდნენ. წილს არ აძლევდნენ ნალალურში...“

„გაუწყრა გუდანის ჯვარი, შეუდგათ ავადობა და სულ ამოწყდა ეს მამა ქალქალიშვილიანად“ (ალ. ოჩიაური).

სახელგანთქმული ხმალი ჰქონდათ მათ, თურმე („ყურაულა“): – „ვინც იმას ომში შეიტანდა, გამარჯვებული ბრუნდებოდა... გვარი რო ამოწყდა, ბოლო კაცს შერჩა ის ხმალი“ – სახელად მგელას.

„იმ დროს, ხარხოს, თურმე, ვეფხვი ბუდობდა.“

(დღემდეა შემორჩენილი ტოპონიმი, „ვეფხვის სურონი“ – „კლდე, სადაც ვეფხვი ყოფილ...“)

„მგელას უთქომ“: –

„ვეფხვი თუ მამკლავს, უთავისო კაცი ვარ, უკაცურობას მოვრჩები და ჩემთვის მადლია; თუ მოვკალი – სახელიც დამრჩება და ქვეყანას ჭირს მოვაშორებო...“

„ძეძეურელთ მგელა ყურაულისძე შაბმივ ვეფხვს ხმლით, მაუკლავ და თაოდაც მამკვდარ...“

მათი ბრძოლა ერთ-ერთი ნაირსახეობაა ვეფხვისა და მოყმის ამბისა, რომელზეც უბრწყინვალესი ბალადაა შექმნილი.

მგელა – „სულ დაფლითა ვეფხვმა... მაგრამ თაოდაც წაიქცა – რადგან ხმალი ტვინამდე დასულიყო...“

„დახოცეს ერთმანეთი და გათავდა ყურაულთ მამაც.“

მათ განაყარებად მიიჩნევენ გუდანელ ჯანშაისძეთ.

ერთ-ერთი მათგანი (ჯანშაისძე; ჯამშაისძე; ჯამშათა ივანეური) – ასპინძის ბრძოლის მონაწილედ სახელდება.

სახელიანი ხმალი „ყურაულა“, გუდანელ უჭკუათ შეუძენიათ.

მათი შთამომავლების ოჯახში ინახება, ბარისახოში (შ. არაბული).

*

1873 წლის აღწერით, ძეძეურთაში – 10 კომლი სახლობდა;

1926 წელს – 9 კომლი დარეგისტრირდა (38 სული).

გუდანი

ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე მდებარეობს, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე – ზ.დ. 1720 მ-ზე.

მეგანძურების (არაბულ-გოგოჭურ-ჭინჭარაულების) დედასოფელია.

დასახლების მიმდებარედ, გუდანისწყალის მარჯვენა ნაპირზე, ქვიტკირით ნაგები ორი ოთხკუთხა კოშკი დგას: – იმედას ციხეს და თამარის ციხეს ეძახიან.

იმედას ციხე – სახალხო გმირის, მამუკა ქალანდაურის ხელით არისო ნაგები.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფელში მდგარი ორი ორსართულიანი, ტერასულ-ბანიანი საცხოვრებელი სახლი – არქიტექტურულ ძეგლებად არის მიჩნეული. ერთი მათგანი (მ. ჭინჭარაულის, ზომით – 9,1X8,7 მ. სიმ. 7,2 მ.) – XIX ს-ის მიწურულით თარიღდება. მეორე (ს. ჭინჭარაულის) – XX ს-ის დასაწყისით.

1855 წელს, გუდანში – 34 კომლი სახლობდა (81 მამაკაცი და 57 ქალი);

1926 წლის აღწერით – ჭინჭარაულების 19 კომლი დარეგისტრირდა (68 სული).

*

ანდრეზს იმის შესახებ, თუ როგორ დასახლდა მეგანძურების მონადირე წინაპარი გუდანის ადგილში, ანუ „ერთმა ვერძისა ქისამა,“ როგორ შექმნა – „გუდა და გუდანი“, დღეს, პატარა ხევსურებიც ყვებიან.

„წინწინ“, „დიდ ხატ რო ას (გუდანის ჯვარი) – იქ,“ კავკაზაურნი მდგარან. ბერბაადურს აუყრია ისინი – „შეუყენებავ ავადობაი იმ სოფელზედა, ჭირეულობა აუტეხავ და ნახევარს წელჩი სრუ მთელი გაუწყვეტავ ი ხალხი, არავინ არ დამრჩალ.“

„იმათ ნაფუძნარჩი თაოდ (გუდანის ჯვარი) დაარსდა-ო.“

„თაოდ დამჯდარა ადგილის მფლობელად, საყმოს მფარველად, ლაშქრის მოთავედ და მტერზე გამარჯვების მომტანად.“

მემატიანეც გვამცნობს – იქ, ხევსურებზე ადრინდელი მოსახლეობის არსებობის თაობაზე.

„ეს ძველი ეთნიკური ფენა კულტურულ-ეთნიკურ კავშირშია ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან“ (გ. ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955 წ. გვ. 392-393).

თ. ოჩიაურის ვარაუდით, „კავკაზაურთა აყრა-გაწყვეტის თქმულებაში შემონახული უნდა იყოს ისტორიული ფაქტის გამოძახილი – ჩ.ნ. III-IV სს-ში, მეფე საურმაგის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიონთა ჩამოსახლებისა და მათთან ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლისა“ (ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

*

გადმოცემის თანახმად, მეგანძურებმა (ანუ, გუდანის ჯვარის განძის მცველმა არაბულ-გოგოჭურ-ჭინჭარაულებმა) – ზენუბანში, სალოცავის ადგილში მცხოვრები ქიჩიბაურებიც აყარეს.

ვ. ბარდაველიძის ცნობით: –

„სახმთო გუდანის ჯვარში დაყუდებული იყო წისქვილის ქვა დარჩენილი – კიმ-

კაზაურებისა და ქიჩბარაულებისაგან... მას შემდეგ, რაც ისინი ჯვარმა აყარა“ (აღ-მოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძე-გლები, ტ. II, 1982 წ.).

*

მეგანძურების წინაპართა მიგრაციასთან დაკავშირებით, რაფიელ ერისთავი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: –

„ძალიან დიდი ხნის წინათ, კახეთის სოფელ მალრანიდან, რაღაც დანაშაულის გამო, ბატონს გამოექცა ერთი გლეხი და ფშავის ხეობაში, სოფ. აფშოს შეაფარა თავი“ („ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები“, 1986 წ. გვ. 58).

ირ. გოგოლაურის ცნობით, ამანათი ფშავლებმა მიიღეს, დაასახლეს და „საამანა-თოც“ მისცეს.

მოგვიანებით, ისინი – აფშოდან გუდანში გადასახლდნენ.

*

„გუდანი მთიელის საცხოვრებლად არ დაიწუნება: – გაშლილი მიდამო, გარშე-მორტყმულ მთის ქედებზე სახნავ-სათიბი, საძოვარი და წყალ-წისქვილიც სოფლის მარჯვედ...“ მაგრამ, როცა გუდანის ჯვარი საკუთარ ბელელში შებრძანდა, ანდრეზის თანახმად: „მაშინვე მოითხოვა თავისი საარსო, კარგი მამულები, წლიური დღეობები და მოსამსახურენი.“ რაც სოფელში მამულები იყო, თითქმის სულ, ჯვრის საკუთრებაში გადავიდა. ხალხი სანაცევროდ – საღალედ ხნავდა ხატის მამულებს. საკუთარი სახნავ-სათესი არ ყოფნიდათ. „ჯვარში ბევრი იყო ქერი, მაგრამ ხალხი ღარიბად ცხოვრობდა.“ „სალოცავის პური ხმარდებოდა ლუდს და სხვა საჯვარო ხარჯებს.“

დროთა განმავლობაში, როცა მეგანძურები საკმაოდ გამრავლდნენ, მათი ისედაც მცირე მიწების გადანაწილება დაიწყო – რასაც უსისხლოდ არ ჩაუვლია.

საბოლოოდ, ჯინჭარაისები, ანუ ჭინჭარაულნი, „გუდანს დარჩნენ და ჯვრის მსახურება ინატრეს;“ არაბაისები – „გორშელმას გადავიდნენ და სიმრავლე ინატრეს;“ გოგიჭაისები – „ჭორმეშავს დადგნენ და სახელი ინატრეს.“

*

„არაბაი თავხმელ ყოფილა“, ჯერ ბოსტანიგოს დასახლებულა, „მემრ, „ბაცალიგ-ოში-დ და ზეისტეროში მდგარ, ორგან.“

ბოსტანიგოს, ბოლოს, მისი უფროსი ვაჟი „დამრჩალა“ – ხოშურაული.

გორშელმის ხეობაში – დროთა განმავლობაში, არაბულების რამდენიმე სოფელი დაფუძნდა (ჭალა, ესაჩუ, ხორიელი, უსტამალაე, ორბეულთა).

ჭინჭარაულები, ძირითადად, გუდანში დარჩნენ.

მერე, თანდათან, გადასახლდნენ: – ჭიეს, ძექეურთას, ბარისახოში, ჩირდილში, კისტანსა და შატილში; ლებაისკარსა და ქაჩუსაც ჭინჭარაულებს უცხოვრიათ.

გოგოჭურები ხევსურეთის ექვს სოფელში დამკვიდრდნენ: – ატაბეს, ბუჩუკურ-თას, გუროს, სახილსა, ჭორმეშავსა და გოორგწმინდაში.

*

მეგანძურები, თანდათან, კიდევ უფრო მომძლავრდნენ, აღზევდნენ და, გუდანის ჯვარის დროშით, მეზობელი ხევსურთ სოფლების „შემომტკიცება“ დაიწყეს („ხევსურეთის თავდაპირველი მკვიდრნი ვართ და ბაგრატიონთა მოძმეაო გუდანის ჯვარი“).

შეუპოვარმა მეზობლებმა საკუთარი სათემო-მოლაშქრე ხატები დაუპირისპირეს თანამოძმეთ: ხმალა – ბარისახოში; კოპალა – ლიქოვის ხეობაში; გიორგი ნაღვარ-მშვენიერი – ხახმატში; სანება ცროლის-წვერისა, ხადუში...

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, დიდხანს (XVII-XVIII სს-მდე), გაგრძელდა.

მაგანძურებმა ერთიმეორეს მიყოლებით დაიკავეს და დაბეგრეს როგორც პირაქე-თა, ისე პირიქითი ხევსურეთის სოფლები.

გუდანი – ერთიანი ხევსურეთის რელიგიური და სოციალური ცხოვრების ცენტრი გახდა.

იქ იყო მათი უდიდესი სალოცავი და მთავარი სალაშქრო დროშის („ბორაყის“) საბრძანისი.

სამეფო ჯარში ხევსურები ამ დროშით გამოდიოდნენ.

„მისი აბმა გუდანის ჯვარის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.“

გუდანში იჯდა თავხევისბერი, ვისაც ხევსურეთის ავ-კარგი ეკითხებოდა.

გუდანის ჯვარი

თანამოსახელე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით – ყოფილი ზენუბის ფარგ-ლებში მდებარეობს.

წარმოდგენილია – ოთხი ერთმანეთზე მიდგმული (ფიქლით ნაგები) სწორკუთხა შენობებით, რომლებიც ძველი საკულტო ნაგებობების შემორჩენილ საძირკველზეა დადგმული (XIX ს-ის დასასრულს).

კარიბჭის თავზე, ვინმე ვასო ბურდულის მიერ ამოკანრული წარწერაა: –

„მე ავაშენე და ხალხს დარჩეს...“

შესასვლელის მიმდებარე ერთ-ერთ ქვაზე, მკრთალად ამოკვეთილია ადამიანის ორი ხელი. ასეთივე გამოსახულებებია ჩრდილო-დასავლეთის კედელში დატანებულ ქვის ზედაპირზე (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ.).

ჯვარი – წარმართული ღვთაება იყო, რომელმაც, ისტორიულ გარემოებათა გამო, დროთა განმავლობაში, ქრისტიანული ელემენტები შეიძინა.

იოანე ბატონიშვილის ცნობით: –

იმ პერიოდში, როცა „ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა... და იქცეოდნენ არაწმინდებით – მაშინ მეფე (ლაშა) გიორგი წავიდა ფშავს... წარილო მოჭედილი ჯუარი და ნაწილი წმინდისა გიორგისა. მოეგებნენ ფშაველი... მეფემან შეიწყნარა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა... ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი... დაასვენა ნაწილიცა იგი და მოუბოდა ბავრაყი.“

„აგრეთვე ხევსურეთსა შინა მიბრძანდა და მათაცა მისცა ჯუარი და ბავრაყი...“

„იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იღეს...“

მას შემდეგ, „ფშაველი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარად“, ხოლო ხევ-

სურნი „გუდანის ჯუარად“ და მოძმეთ ბაგრატიონთა...“ (კ. კეკელიძე, ახალი ლიტ-ერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I.).

*

ხევსურთა ზეპირსიტყვიერებით: – სამეგანძუროს მთავარი ღვთაება, „გუდანის ნაწილიანი და მფრინავი ხატი“ – ხთისშვილთა თანადგომით, გახუა მეგრელაურს მოუყვანია „გერგეტ-ბეთლემიდან.

მორიგე ღმერთთან ათანაბრებდნენ მის ძალას.

ძირითადად, მოლაშქრე ღვთაება იყო. „ნისლისფერი ცხენი ჰყავდა... გაჭირვების დროს მიეშველებოდა ხოლმე თავის ყმათ,“ როცა „შემოსძახებდნენ“ და დახმარებას სთხოვდნენ.

მეგანძურთა ზეობის პერიოდში, გუდანის ჯვარის (ანუ, საღმთო-ბერი ბაადურის) საბრძანისი – ხევსურეთის ყველა თემის თავშეყრის ადგილად იქცა: –

„იქ იკრიბებოდნენ ბჭე-ხევისბერნი სალაშქროდ წასვილის გადასაწყვეტად, ჩვეულებითი სამართლის რჯულის ნორმების დასადგენ-შესაცვლელად, მძიმე სისხლ-მესისხლეობის საქმის განსახილველად. ამ ჯვარში სვამდნენ ახალწელინადს ქადაგს, რათა გაეგოთ მომავალი წლის მანძილზე რას უქადდა მათ მორიგე ღმერთი... (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

დიდი საერთო დღეობა იყო სანეობა.

სანე – გუდანსა და ბაცალოგოს შუა მდებარე მთაა, სადაც გუდანის ჯვარის ნიშია განთავსებული. წელიწადში ერთხელ (ივლისში) იხდიდნენ ამ დღეობას. სალოცავად ყველა კუთხის ხევსურნი მოდიოდნენ.

თავხევისბერს ეკითხებოდა ხევსურეთის ავ-კარგი: –

„გუდან აგებენ ბეღელსა, ზღუბლად უდებენ სინასა.

ხელითხავდის გელდიაურსა ანდრეზსა წინა-წინასა.

ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა, არგამგონისად – რკინასა...“

აღზევებული მეგანძურები გუდანის ჯვარის საფარ ქვეშ ლაშქრავდნენ მეზობლებს – არბევენ და ძარცვავენ მათ ჯვარ-სალოცავებს.

ხევსურთა ამ ღვთაებას ჩეჩინები და ინგუშებიც ყმობდნენ.

ამიტომ მოიხსენიებენ მას რჯულიან-ურჯულოთა სალოცავად.

*

გუდანის ჯვარში ორი სამანია ჩადგმული: –

„ერთი – მეგანძურთა ძმობის სამანი ას...“ „როსაც გათავთავადდის ძმანი – სამან ჩავდგით, ძმობა რო ისევ გვეჭირასავ.“

„მეორე სამანი ხევისბერ თოთია გაიდაურზე ას...“

„ანგელოზ უხედნავ მას, ეშმაკებ უხედნავ... როშკელებს გაუთიკუნებავ, გაულე-ქსებათ.“

*

„წინათ, ხევსურეთში ვინც დიდ სახელს იქმოდა, საკარგყმო მოუვიდოდა წელი-წადში.“

„სახელად ითვლებოდა ქისტებზე გამარჯვება; უფრო მეტად – მათთვის ბეგარის დადება; ქისტეთში ქისტის მოკვლა – შურისძიების მიზნით.“

„საკარგყმოს ჯერ იმას დაუდგამდნენ ვინც სახელს იზამდა და მერე იმის გვარს. გვარი სახელობდა ერთი კაცის სახელით და წელიწადში საკარგყმოს მისაღებად მთელი გვარი მიღიოდა.“

გუდანის დღეობებში სამ საკარგყმოს მოიხსენიებდნენ.

ორი – არაბულ ჩუჩეყაურთ მოუდიოდა: –

პირველი – ბაცალიგველი თუხაკისა იყო, რომელსაც ქისტები დაუბეგრავს („ნულ-არას გვავნებ და წელიწადში კვამლზე თოხლს გადავიხდით“).

მეორე – ხირჩლა ბაბურაულის ეკუთვნოდა (არაბულ-რკინაულის).

მესამე საგარგყმო ჭინჭარაულთ გვარის იყო: –

ბალათერა ჭინჭარაული ღამით მისულა მითხოს, თავისი ბიძაშვილის „მამკლავი სახელიანი ქისტი მოუკლავს და მშვიდობით დაბრუნებულა.“

*

საკიდელის ჩამოხსნა მტრის ოჯახის სრულ ფიზიკურ და მორალურ განადგურებას მოასწავებდა.

გუდანის ჯვარში ორი საკიდელი ჰქონდა: –

ერთი, მარტია მისურაულს შეუწირავს, მეორე – ხირჩლა ბაბურაულს.

*

საერთო სათემო სალოცავის, გუდანის ჯვარის გარდა, მეგანძურებს საგვარო და სასოფლო ხატებიც ჰქონდათ: –

საჩუჩაყეუროს სამამო სალოცავი პირქუშის ჯვარი იყო, სოფ. ბაცალიგოში.

საბიჩინგაუროს სამამო სალოცავს ზეისტეჩის ჯვარი წარმოადგენდა.

საჭინჭარაულოს საგვარო სალოცავი „ნახარელა ხთიშობელი“ – გუდანის ჯვარის მიმდებარედ არის განთავსებული.

არაბულ-ჭინჭარაულებისგან განსხვავებით, გოგოჭურები სამი დიდი სალოცავის ყმები იყვნენ: – ხახმატის, გუდანისა და ლაშარის ჯვრების. ბუჩუკურთაში თაყვანს სცემდნენ ადგილისდედა-ხვთიშობელს და მთავარანგელოზს; ხევში – ახალციხის ყოვლადწმინდას, წმინდა ათინოგენსა და ლალანგურის წმინდა გიორგის.

ჭორმეშავი

გუდანსა და ჭორმეშავს ერთი ქედი ჰყოფს.

ნასოფლარი, რომელიც არაგვის ვიწრო ხეობას გადაჰყურებს („დაქცეულ ციხე-კოშკთა ნაშთებს და კლდეში გამოკვეთილ ბუნებრივ სიმაგრე-სახიზარს“), ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ხეობის მარჯვენა მხარეს – ზ.დ. 1900 მ-ზე.

„ადრე, ყომენჩავი რქმევია და – უფრო აღმოსავლეთით მდებარე გორზე ყოფილა განთავსებული.“

„ხატს აუყრია იქიდან ხალხი“ (გ. ხორნაული).

„ძველ ჭორმეშავში რამდენიმე ციხეა – ყველა დანგრეული და გადამწვარი“. მათ შორის ერთი მარტია მისურაულის სახელს ატარებდა; მისგან მოშორებით იწყება „ტინის კლდეები, მიუკარებელი და მართლაც შავი. ამ კლდეში მდებარეობს მარტიას გამოქვაბული, რომელიც ჭორმეშიონთა გადმოცემით, მტერს არასოდეს აულია. ამ მეტად ძნელმისასვლელ ბუნებრივ გამოქვაბულში ახლაც პოულობენ საბრძოლო იარაღებსა და სხვა ნივთებს.“

„ძველს სიმღერებში მარტიას გაუტეხლობა ყოველთვის ამ შავ კლდესთანაა დაკავშირებული“ (დ. გოგოჭური).

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად: –

ჭორმეშავი მინასთან გაასწორა ზურაბ არაგვის ერისთავმა.

1813 წელს, ალექსანდრე ბატონიშვილს გამოდევნებულმა რუსის ჯარს გადაწვა. მერე, დრო-უამმა დაანგრია და შემუსრა...

კლდოვან სიმაგრესთან მისასვლელი ქვის კიბე-საფეხურები წაიშალა და ხავსმა დაფარა.

*

ამ ძველთაძველ ნასოფლარს გოგოჭურები თავიანთ ძირეულ კერად მიიჩნევენ. დღეს, იქ აღარავინ ცხოვრობს.

დრო-უამს დაუფანტავს მისი მკვიდრნი: – ნაწილი ბუჩუკურთაში წასულა, ნაწილი ფშავში; ზოგი ხევში გადასახლებულა – ზოგი ერწო-თიანეთში.

1855 წელს, ჭორმეშავში – 12 კომლი სახლობდა (28 მამაკაცი და 17 ქალი;

1926 წლის აღწერით გოგოჭურების 11 კომლი დარეგისტრირდა (41 სული);

1992 წელს 2 კომლი (9 სული).

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს, ნასოფლარში ორი კოშკი იყო შემორჩენილი. ერთ-ერთ ექსპედიციას იქიდან წამოულია ხუცესის ჯვარი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

გოგოჭურები

გოგოჭური – ფხოვის ერთ-ერთი ძირძველი და თავდაპირველი გვარია.

დ. გოგოჭურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

მისი განშტოებები „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. ამ ძველ გვარზე ამჟამად მხოლოდ ხევსურები ეწერებიან და ისიც ნანილილა. გოგოჭურის გვარს ატარებს ერწოსა და კახეთში ადრევე ჩასახლებული ფშაველი ცაბაურ-გოგონელაშვილების რამდენიმე ოჯახი. არის მაგალითები, როდე-საც ბიძაშვილებიდან ერთი ნაწილი ძველ გვარს გოგოჭურს ატერებს, მეორე – ახალ გვარზე იწერება. უფრო მეტიც, ერთი ძმა გოგოჭურის გვარს ატარებს, მეორე – გოგ-ნელაშვილს (ფშავლები), უფროსი ძმის ოჯახი გოგოჭურებად იწერებიან, დანარჩენი ორი ძმისა კი – ყვარიაულებად (ხევსურები).

ყვარიაულ-გოგოჭურები ყვარადან გუროში გადასახლებულან და იქაური

გოგოჭურებისგან გამოსარჩევად, თავიანთი ძველი სოფლის ყვარას მიხედვით, ყვარიაულები უწოდებათ. საქმე ის არის, რომ ყვარა დიდიხანია ფშავს ეკუთვნის, გური – ხევსურეთს. ეს გვარი კი ორივე სოფელს თავის მოთემედ თვლის. გოგოჭურთა განშტოებად ყვარიაულთა გვარი ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ იხსენიება, მაგრამ დღემდე ვერც ძველი გვარი გაუმტებიათ მისატოვებლად.

გოგოჭურების განშტოებანი ჯერ კიდრვ 200-300 წლის წინათ ატარებდნენ ორ გვარს ძირეულსა და შეძენილს, ამასთან, ძირეული გვარი უფრო თემს ასახავდა, რადგან ისინი საერთო ხატის ყმანი იყვნენ, შეძენილი გვარი უფრო კონკრეტულად მიუთითებდა „მამიძმობის“ იმ განშტოებაზე, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ...

გოგოჭურთა არცერთ განშტოებას არ მოეპოვება გადმოცემა იმის შესახებ, თუ რომელ კუთხეში გაჩნდა პირველად ეს გვარი, ყველა მათგანს აქვს თქმულებათა და გადმოცემათა ტრადიციული ვარიანტები იმის შესახებ, თუ რომელმა წინაპარმა მისცა მათ ახალი გვარი (ასახელებენ რაზიკას, ბუჩუკას, ღუდუშას, სულაკას, გოგნელას და სხვ.). მიუხედავად ამისა, ყველა ეს განშტოება დღემდე ერთიმეორის „მამიძმებად“ ითვლებიან და მათი უმეტესობა ბოლო დრომდე თავს მიიჩნევენ „სამამიძმო“ ხატის „ყმებად“. ვფიქრობთ, ეს გვარი ჯერ კიდევ მანამ არსებობდა, ვიდრე ფშავისა და ხევსურეთის ცალ-ცალკე ეთნიკურ ერთეულებად ფორმირება მოხდებოდა, ვიდრე ამ კუთხეს საერთო სახელი, ფხოვი ერქვა და ამ სახელით იხსენიებდნენ როგორც მეზობელი ტომები, ისე ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები.

გოგოჭურთა ძველი გვარიდან განშტოვდნენ და ახალ გვარებად იქცნენ ალუდ-აურები და ქეთელაურები (ხევსურეთში), ღუდუშაურები (ხევში), ბუჩუკურები (მთიულეთში), სულაკაურები (თუშეთში), გოგნელაშვილები და რაზიკაშვილები (ფშავში). ალნიშნული გვარის ზოგიერთი განშტოება: ალექსაურები, ფილაურები, ყვარიაბულები, მრელაშვილები და სხვ. მთიდან ადრევე ჩამოსახლებულან და ამჟამად კახეთისა და ერწო-თიანეთის მიდამოებში ცხოვრობენ. დედაგვარი თუ მისი განშტოებანი თავის შიგნით კიდევ არიან დაწვრილ-ეთეულებული ე.წ. მამიშვილობებად, რომელთაც ცალკე გვარებად ჩამოყალიბების ტენდენცია გააჩნიათ.

მათი საგვარო ხატი ხევსურეთშია.

ხახმატის ჯვარში როგორც ფუძე ხატში – სალოცავად ერთნაირად მიდიოდნენ როგორც ხევსურები, ისე ფშავლები და თუშები, მოხევეები და მთიულები (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, გვ. 44-46, 58-59-61, 1977 წ.).

დღეს, ოცდახუთზე მეტი განაყარი და შეყრილ-შეკედლებული გვარია გოგოჭურთა შემადგენლობაში.

ხევში – მათ მამიშვილებად ასახელებენ რაზიკას, ღუდუშას, ბუჩუკურას და ქერას (ქერაშვილების პატრონიმს).

მიიჩნევენ რომ – ბუჩუკური გოგოჭურების შტონაყარი გვარია და ბუჩუკურა გოგოჭურიდან მოდის. იმასაც ამბობენ რომ – მოხევე ქერაშვილების ძირძველი წინაპრები გოგოჭურები და ბუჩუკურები არიან.

არ არსებობს ერთიანი აზრი ფშაველი და ხევსური გოგოჭურების ძირებთან დაკავშირებით.

ვ. ბერიძიაშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ფშაველი „გოგოჭურების გვარს სათავე დაუდო გოგოჭა ცაბაურმა. მის შემდეგ ამ თემის ხალხი ხან გოგოჭურებად იწოდებიან, ხან კი ძველი სახელით – ცაბაურებად.

ამ ორ სახელწოდებას შორის არავითარი განსხვავება არ არის. მათში მხოლოდ ერთი თემი იგულისხმება...“

„ფშავში რაიმე გადმოცემა, მითუმეტეს, საბუთი არ არსებობს, რომ ამ თემის ხალხის წინაპარი საიდანმე მოსულიყოს ფშავში. ასე რომ, უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ამ გვარის ფშაური წარმომავლობა...“

„ფშაური სათემო გვარის – გოგოჭურების პარალელურად და, დღეს, სრულიად დამოუკიდებლად, ხევსურეთში არსებობს გვარი გოგოჭური...“

„აქვთ თუ არა რაიმე კავშირი ფშაველ და ხევსურ გოგოჭურებს, თუ უბრალოდ, ეს გვარი ამ ორ კუთხეში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა? დღეს რაიმეს დაბეჯითებით დამტკიცება ალბათ გაჭირდება, მაგრამ ვარაუდი კი, ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა შეიძლება...“ (ვ. ბერიძიაშვილი, სიყალბე მეცნიერების მანტიაში, 2010 წ.).

ხევსურული ანდრეზის მიხედვით: –

პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრი ბურუკურების განაყარი გოგოჭურთ გვარი – თორლვა ძაგანისძემ დასახლა ფშავში, თუმეთსა და პირიქით ხევსურეთში.

მეორე გადმოცემის თანახმად: – მოწმაოს მამულებზე დავის დროს, ცაბაურ-გოგოჭურთა ჩამომავალმა, ბეკი ბეკურაულმა განაცხადა: – ეს ადგილი ჩემიც არის, რადგან მაგანძურის ძმა, გოგოჭა – პაპა იყოო ჩემი...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვარაუდის დონეზე წარმოვიდგინოთ გოგოჭურების ხანგრძლივი ციკლური მიგრაციის ასეთ სქემა: –

1. მათი გადასახლება (გუდანის შემდეგ?!?) ჭორმეშავიდან იწყება.
2. ბურუკურა გოგოჭურის მამიშვილობა აფუძნებს ბურუკურის გვარს და სოფელ ბურუკურთას.
3. ბურუკურების განაყარ გოგოჭურებს (XIII ს-ში) – თორლვა ძაგანისძე ასახლებს ფშავში, სადაც, დროთა განმავლობაში ფუძნდება გოგოჭურების – უფრო მოგვიანებით კი, ხახაბოელთა თემი (მას შემდეგ, რაც გოგოჭურები, მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – პირიქითა ხევსურეთში (არდოტში, ანდაქის ხეობაში) გადადიან.

რ. თოფრიშვილის ცნობით: – მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – გოგოჭურთა (ფშავის ტერიტორიალურ) თემში ხარ-ქაბით იყვნენ შეყრილნი, მიღებული ჰქონდათ გოგოჭურის გვარი და მოგვიანებით (ალბათ, ხახაბოში დასახლების შემდეგ, გ.ქ.) აღიდგინეს საკუთარი გვარ-სახელი (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, გვ. 26, 2003 წ.).

ციტირებული მკვლევარის თანახმად, გოგოჭურებში შეყრილად ითვლება კიდევ ორი მამიშვილობა, კერძოდ: – „ზეზიანი“ ძირად თუშები არიან, „ხადულიანი“ ფშავლები. ისინი, ატაბეში, ამანათად მისულან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: – მიღმახეველ დაიაურებს, მინდიკაურებს, მამიაურებს, ხოსიაურებს და ხახიაურებს ფიცით ძმობა აკავშირებს გოგოჭურების გვართან.

*

გოგოჭურები ხევსურეთის 6 სოფელში მკვიდრობდნენ (ჭორმეშავი, ატაბე, ბურუკურთა, სახილი, გური და გიორგიშმინდა).

ძირითადი საცხოვრისი ჭორმეშავი იყო.

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს: –

მათი გვარი „ფრატრიებად არ იყოფა... განაყარნი არა ჰყავს... რაც, აღბათ, „იმით უნდა აიხსნას, რომ... რაღაც მიზეზით ვერ გამრავლდა ისე, როგორც არაბულები-სა და ჭინჭარაულების გვარი... მისი შემადგენლობა ასეთია: – მეხარიანი, სუიკანი, ბათაკანი, ქერხოსანი, მოზღარნი, ფასიორანი, მეგრელანი, ხონანი, უთურგანი, დათვისბაბონი, დორეჯალანი, ჩიტონი, თარხანი, ნათუშარანი, ყორიაულნი, მონანი, კოკინანი და ხადულანი“.

არქეოლოგ გიორგი გოგოჭურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, საგოგოჭუროს შემადგენლობაში შედიოდნენ: – გუროელნი, ალდიაურნი, ატაბიონნი, მისურაულნი, ხახმატიონნი, ბისოველნი და ხახაბოელნი.

გუროელნი იყვნენ: – ბაჩაყაურნი (ბათაკანი) და ახურანი;

ახურანის განაყოფებია: – სუიკანი და ქერხოსანანი.

სუიკათ განაყოფებია: – თამარისძენი, სადარანი, დევანი, ბათავიანი და კანათანი; ქერხოსანანის განაყოფებია: – თათუანი, წიქანი და ბათურანი (სოფ. გურო);

ალდიაურნი იყოიან შემდეგ მამებად: – თარხანანი, თოთიანი, მეხარიანი, მეგრელანი და ნათუშარნი-შაბურანი (სოფლები: – ჭორმეშავი და ბუჩქურთა);

ატაბიონნი არიან: – ზეზიანი, ჩიტონი, ხადულანი და მარაისძენი (სიფ. ატაბე);

მისურაულებიდან მოდიან მარტიანი; მათი განაყოფებია: – ფასიორანი და ხონანი (სოფ. ჭორმეშავი);

ხახმატიონი არიან ალუდაურები. მათი მამიშვილობებია: – ფერაულნი, მშაველანი, ალრქასურნი, ლაგაზაურნი, გამლვივარაულნი და ბაჩიქვაურნი (სოფ. ხახმატი).

ბისოველინი გვარად ქეთელაურები არიან. მათი მამიშვილობებია: – სულხანაანი, ლორანი, ცელიანანი, ლომანი და კინნანი (სოფ. ბისო).

ხახაბოელნი ცხოვრობენ ხახაბოში: – ხოსიაურები, მინდიკაურები, ხახიაურები და მამიაურები.

*

გოგოჭურები ფხოვის სამი დიდი სალოცავის: – ხახმატის, ლაშარის და გუდანის ყმები არიან. ბუჩქურთაში თაყვანს სცემდნენ – „ადგილისდედას,“ „ხვთიშობელსა“ და „მთავარანგელოზს“. ხევში – ახალციხის ყოვლადწმინდას, წმინდა ათინოგენსა და ლალანგურის წმინდა გიორგის.

მათი საგვარო ხატი ხახმატის ჯვარია.

ანდრეზის თანახმად: –

როცა ჭორმეშავის მკვიდრ, გახუა მეგრელაურს „სიკვდილის დღე მოსვლია,“ მის ნასახლარში (ხის შენობის სახით) დაარსებულა – ხახმატის ჯვარის სამძიმარის სამლოცველო – „წმინდა გიორგის ფიცრული.“

(სამძიმარ ხელი ყელ-ღილიანი – გახუას, თურმე, ხორციელ ქალად ეჩვენებოდა).

უფრო მოგვიანებით – იქ, ფიცრულის ნაცვლად, იმავე სალოცავის ქვის კომპლექსი აშენდა.

მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, ე.წ. საწოლა და ორი საზარე.

დარბაზი – ფიქლით ნაშენი ოთხკუთხა ნაგებობაა (თითქმის, მთლიანად დანგრეული). მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში – „სიბის სამწირველო ყოფილა მოწყო-

ბილი“; დასავლეთის კედელში დატანებულია პატარა თახჩა.

საწოლა – დარბაზის აღმოსავლეთით მდებარე ოთხკუთხა ნაგებობაა, სანახევ-როდ მიწაში ჩამჯდარი.

დარბაზსა და საწოლას შორის – ჯავრის კარია (მოსწორებული ტერიტორია). მის ჩრდილოეთით ორი საზარე დგას – ფიქლით ნაშენი კოშკისებრი ყრუ ნაგებობები.

გახუა მეგრელაური ქაჯავეთის დალაშქვრა და გუდანის ჯვარის მობრძანება

სოფ. ჭორმეშავის მკვიდრი, ანგელოზებთან წილნაყარი ხორციელი არსება – გახუა გოგოჭური, მეგრელაურთ მამის კაცი გახლდათ.

ეს ნახევრად მითოლოგიური პიროვნება, რომელსაც დაბადებიდან ყელზე „ოქროს გირკალი“ გამოჰყავა, „ნინნინ“ ხახმატის ჯვარის მკადრე იყო.

„ჯვართან ჯვარი ყოფილა და კაცთან კაცი.“

ზებუნებრივ, ღვთაებრივ შესაძლებლობებთან ერთად, ის სწორუპოვარი მეანდრეზეა. გვიყვება „უხსოვარი დროის“ ამბებს, რომელთა მონაწილეც თავად იყო.

„ქაჯავეთის ლაშქრობა“ – რომელიც „მასტის გატეხას“ და „დიდი დიდოეთის გაბეგვრას“ უკავშირდება – სავარაუდოდ, ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა შორის – ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში მოხდა.

„ქაჯუეთს“ – ფშავლები ქისტეთს ეძახდნენ (თ. რაზიკაშვილი).

ხევსურები – „ქაჯავეთს“ შატილთან მდებარე ქაჩუს ციხეს უკავშირებდნენ (დ. გოგოჭური).

ფხოველი ხთისშვილნი – ანდრეზის თანახმად, ქაჯავეთს – ხახმატის ჯვარის, გიორგი ნაღვარმშვენიერის წინამძღვრობით ლაშქრავენ (მეგრელაური მისი მკადრე იყო). უფრო სწორად კი – საომრად ხახმატის ჯვარის სალაშქრო დროშით მიემართებიან.

ჯვარიონის ერთადერთი ხორციელი არსება გახუა.

ისიც თავის სხეულს უღელტეხილზე ტოვებს და სულის სახით მიფრინავს.

„ქაჯთა ქალაქი“ და სამჭედლო, ანდრეზის მიხედვით, მიმხდურებმა ნაცარ-ტუტ-ად აქციეს; წამოასხეს ნახირი (ხვასტაგი); წამოიღეს დავლა-ალაფი (ცხრაენიანი ზარი, ვერცხლის თასი, ცხრა ძალიანი ფანდური, სასრევ-სამართებელი, სასწორ-საწყაო და სხვ.) – რაც „ქაჯავეთური განძის“ სახელით არის ცნობილი.

ნადავლთან ერთად წამოიყვანეს „ქაჯის ქალები“: – ხელი სამძიმარი ყელლილიანი, თამარქალი, მზექალი, აშექალი, ხოშექალი, სეითქალი, ამენქალი...

გიორგი ნაღვარმშვენიერი მათ – „ხთიშვილთა ტოლი ძალის და შაძლების მიცემას დაპირდა“ – „დობილებად“ გაიხადა ისინი; სამძიმარი, მზექალი და თამარქალი „მონათლა“ კიდეც;

დანარჩენები „ქაჯებად დარჩნენ...“

*

როგორც გადმოცემა გვამცნობს, გახუა მეგრელაურმა ხთისშვილთა თანადგომით შეძლო გერგეტის მთიდან გუდანის ჯვარის მობრძანების ლეგენდარული მისის შეს-

რულება. როცა „ნაწილიანი, მფრინავი ხატი“ საკუთარ „ბეღელში შევიდა“, გაქად-აგებული მეგრელაურის პირით ამცნო საყმოს – რა იყო მისთვის საჭირო (კოშკი, ბეღელი, ჭერო და ა.შ.). ისიც უთქვამს: – დევ-კერპთან (ვეშაპთან) მეომარი წმინდა გიორგი ვარ და, რაკი ხანში შევედი – ბერი ბაადური მქვიანო.

ამის შემდგომ, ხახმატის ჯვარის მკადრე მეგრელაური, ხევსურეთის ახალი უდიდესი სალოცავის ქურუმ-ქადაგი გახდა.

აქედან დაიწყო მეგანძურების აღზევება; „ხატის „საფარველდადებულ“ მეგრე-ლაურთან და გუდანის ჯვართან ერთად, მათი „სამისიონერო“ (რეალურად დაპყ-რობითი) მსვლელობა; არსებობისათვის ბრძოლა – მეზობელ გვარებთან, თემებთან თუ ტომებთან.

სწორედ ამ ამბებს გვამცნობენ გახუა მეგრელაურის ანდრეზები. ის თან დაჰყუება გუდანის ჯვარის მეომარ მსახურებს – თუშეთის, არხოტის თუ ქისტეთის ადგილე-ბში...

გაივლის დრო და, ხალხის თვალში – „გახუასაც გაუვა ყავლი“: –

„ცოლ-შვილობას გამოუდგა“, ვეღარ წმინდობს, მარხვას ტეხს – ვეღარ ემსახურე-ბა-ო ჯვარს...

იმასაც ეჭვობდნენ, თითქოს, „ხთიშვილთა მიერ მოპოვებული განძიდან“ – რაღაც მიითვისა.

„აირია მეგრელაური – გადაილახა.“

ბოლოს – „უამმა“ იმსხვერპლა მთელი მისი ოჯახი.

წინასწარ სცოდნია „უამთ მოსვლის“ შესახებ – გაუფრთხილებია ხალხი... ჯვარის განძიც სამალავში „დაუფლავს“.

იმ ადგილას, „დღესაც ქანავს ქვიშა და თანდათან უფრო ფარავს იმ განძს.“

ანდრეზის თანახმად, მეგრელაურის ნასახლარი – „ჯვარმა დაიჭირა“.

„იქ, ახლა, გოგოჭურთ თემის სალოცავი ფიცრულის ჯვარნი არიან.“

მამუკა ქალუნდაური

გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი ლაშქრობის შემდგომ, სახალხო გმირის, მამუკა გოგოჭურისთვის – საკარგყმოსთან ერთად, „ქალიც აურჩევიათ,“ მაგრამ უარი უთქვამს – „მე ქალი კი არა ხმალი მინდაო.“

აქედან მოდისო ქალუნდაურის თიკუნი.

„უფრო სარწმუნო ის არის, რომ მისი მამიშვილობა (ქვეგვარი) ქალუნდაური სწორედ ქალის სახელიდან – ქალუნდა-დან უნდა მოდიოდეს (მსგავსად ხოშარეული-სა). ეს სახელი საკმაოდ გავრცელებულია ხევსურ ქალთა შორის“ (დ. გოგოჭური).

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, სავარაუდოდ, 1620 წლის ზაფხულში, ზურაბ არაგვის ერისთავი ბუდე ხევსურეთში ხევიდან შეიჭრა და სწოს ხეობით გუდანს მიადგა.

თავდასხმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, ხევსურებმა მუქარანარევი მორჩილება აღუთქვეს: –

„სანეს დაგროვდეს ხევსურნი, პატრონნ ვართ ადგილისანი... ზურაბო, დაჯე, დაგვეხსენ, ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი, თორ ჩვენაც შამოგეცდებით, ხოჯეგნ კარ გვიდგან ხვთისანი; მაგვივლენ მთას იქითელნი, ნაპირის ადგილისანი...“

ყმობა მოითხოვაო ზურაბმა და „ასტყდა სშინელი სისხლის ღვრა.“ ხევსურები დამარცხდნენ.

წაგებული ბრძოლის შემდეგ, დაგვიანებით მოჭრილი მამუკა ქალუნდაურის რაზმი მტერს ბეგენ-გორთან წამოეწია – დიდ ხევში: –

„თან მოჰყვეს ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი,
ბეგენ-გორს ჩამოეწია,
ჯარნი ჭრნა ზურაბისანი...“

ბრძოლა მტრის დიდი მსხვერპლით დასრულდა: –

„ღულის ძირს წისქვილნ დაბრუნდის, ზურაბის სისხლის წყლისანი...“

ბესარიონ გაბურის ცნობით: –

როცა მამუკა „დასწევის ზურაბის ლაშქართ... სცემია მას ხმლით წყალში, მოუკლავს ერთი, ორი, სამი... ისე, რომ თორმეტი კაცი ერთბაშად დაუხოცავს...“

მეთორმეტე ყირამალა დამდგარა...

ეს ნიშანი იყო ღვთისგან... მეტის მოკვლით – „ცოდვა მოეკიდებოდა.“

გამარჯვებულ ქალუნდაურს – „ნაომარში, არგამოქცევის სამანი ჩაუდგამს.“ გუდანიდან გორშეღმისკენ მიმავალი გზის თავზე – ჯაჭვის კალთით აუტანია დიდი ქვა და მინაში ჩაუყუდებია, როგორც ნიშანი „ერისთავის დამარცხებისა და ცოდვის მიტევებისა“.

„მამუკას უფიქრია, რომ ასეთი მძიმე მარცხის შემდეგ ერისთავი ვეღარ გაბედავდა ფშავ-ხევსურეთის დალაშქვრას, სისხლით მოსვრილი თავისი აბჯარი გამარჯვების აღმიშვნელ „სამაზნე“ დაუკიდებია და ხატისთვის შეცოდვების პატიება უთხოვია“. ვერაგ ერისთავს კი, ვერ მოუნელებია ეს მარცხი; უფრო დიდი ჯარი შეუყრია და მოულოდნელად ორი მხრიდან დასხმია ხევსურეთს.

იმ ბრძოლაშიც გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო ქალუნდაურმა (პ. გაბური).

*

სხვა მხრივ რომ ვერაფერი მოუხერხა (და ვერც თრუსო-დვალეთში ჩაიტყუა), მამუკას მკვლელობა ერისთავმა ზეისტეჩოელ ბიჩინაგურებს და ბლოელ ბერდია მამუკაურს დაავალა.

სანაცვლოდ, მამულებს შეპირდა – ხევსა და უინვალთან.

„ქალუნდაურის გონებით“ (მსგავსებით!), აბულას – მისი ძმა, თუ ბიძაშვილი მოკლეს, აბა ბართაული (რომელიც „ძალიან ჰგვანებია“ ქალუნდაურს).

გუროელი ქაცუაურნი, აღნიშნულის გამო, მოსისხლე მტრებად მოეკიდნენ ბიჩინაგურებს და მამუკაურებს.

მტრობა სამას წლამდე გაგრძელდა და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე წაიღო (შ. არაბული).

*

ლეგენდადქცეული ქალუნდაური ცნობილი ხევისბერი და ხუროთმოძღვარიც ყოფილა. ხახმატში მდგარი „ალექსაურთ და ფერაულთ ციხე – ორივე გუროელი მამუკას აგებულია-ო...“

„მოუყვანიათ იქ ხუროდ...“

ანდრეზის მიხედვით: –

„როგორც კი სამშობლოს მტერი შემოესეოდა,“ ხურო ქალუნდაურის „ნაწილიანი, მეხისპირიანი“ ხმალი, ქარქაშიდან თავისით ამოიწევდა – ბრძოლისაკენ მოუხმობდა და გამარჯვების ნიშანს აძლევდა – მუდამ სალაშქროდ გამართულ პატრონს.“

მის ხელში ჩავარდნილი „ქაჯისთმიანი ფრანგული“ და თოფი „ბუჩა“ – ადრე, თუში მონადირე მექობაურისათვის უჩუქებია „ძმობილ ვეშაპს...“

„მემრ“ – ივანე და შალვა მუქუბაურებს ამ იარაღის გამო მოკლავთ მამუკა. „ქა-ჯისთმიანი ფრანგული“ დაუბრუნებიათ და სახლის გულამოჭრილ ბოძში დაუმალავთ – როგორც ძვირფასი ნადავლი.

„გველეშაპის სოროდან გამოტანილი „ბუჩა“ – გუროში დამრჩალა.“

როგორც შ. არაბული გვამცნობს: – „ქალუნდაურის ქაჯისთმიანი“ გუროელებმა – ბოლოს, მაინც გამოისყიდეს და „გვიანობამდე ჰქონდათ.“

„ჩვენს დროში, დაუმოკლებიათ და დაშნად გადაუკეთებიათ“.

*

6. ხიზანაშვილი-ურბნელის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ქალუნდაური – ბეგენ-გორს, „დიდს ლოდს („არგამოქცევის სამანის“) ქვეშ მარხია.“

„როცა ხევსური და ხშირად ფშაველიც, ბეგენ გორზედ აივლის, უთუოდ ცხენიდამ ჩამოხტება, მონიწებით მივა და თაყვანსა სცემს... იმ დიდ ლოდს, რომელსაც თავისუფლების წმინდა ძეგლად ჰქონდან“. *

„ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ნიკო ურბნელის ყველა ცნობა რამდენადმე დასტურდება გარდა ერთისა: მას ჰქონია, რომ მამუკა ქალუნდაური ბეგენ-გორზე, ამ სალოცავადქცეული სვეტის ქვეშ მარხია. ამ შეცდომას იგი სხვა ადგილასაც იმეორებს, რასაც შემოწმების გარეშე იზიარებენ ჩვენი ცნობილი ეთნოგრაფები. ნამდვილად კი ამ ადგილას არავითარი საფლავი და „დიდი ლოდი“ არ არის გარდა ერთადერთი შვეულად ჩარჭობილი ქვის სვეტისა...“

მამუკა ქალუნდაური უფრო გვიან დაიღუპა და თავის სოფელში გიორგი წმინდაშია დასაფლავებული (დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, 1997 წ.).

მარტია მისურაული

ზურაბ ერისთავს სამარეში ჩაჲყვა კიდევ ერთი ჭორმეშიონის – ამ სოფლის კლდეში გამოკვეთილი აულებელი სიმაგრისა და იქ, ხევსურთა ფარად მდგარი – მარტია მისურაულის (გოგოჭურის) ჯავრი: –

„ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:

ხევსურეთისა ფშავისა,

ხევსურეთ ჭორმეშავისა,

ჭორმეშავ კლდისა შავისა,

შიგ მდგომის მარტიასა,

ხმალ-სისხლიანის ვაჟისა.“

„დეკის კვერნად“ წოდებული მისურაული არ ეპუებოდა არც არაგვის ერისთავებს და არც ხევსურეთის ჩრდილოელ მტრებს.

„მეთემეთა შორის მეტად გულთბილი და თავმდაბალი ყოფილა: გადმოცემები ამბობენ, რომ ხალხის მიერ მისთვის ნაბოძებ საკარგყმო-საპატიო სკამზე, რომელიც გუდანის ხატის დარბაზში იდგა, იგი არასოდეს დამჯდარა“ (დ. გოგოჭური).

„სწორები სახელს ულოცვენ;

„ვერა ვქენ“ – ეუბნებოდა.“

*

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად: – მისურაულის წინააღმდეგობის მიუხედავად, ზურაბ ერისთავმა ხატის მსახურნი ხარკის გადახდაზე დაითანხმა, იმ პირობით რომ – „ნინნინ“, ბარში „სვიან ჭალას“ მისცემდა.

დათქმის შესრულებამდე, ხარკის ამკრეფი, „ვილაც მოხევე – ჩოფინა, თუ ჩოფიკა“ – ოსი მხლებლებით მისულა ხევსურეთში და იძულებით დაუწყის პირუტყვის შეგროვება.

ქადაგ-ხევისბერნი მაინც მოერიდნენ ერისთავთან დაპირისპირებას და ჩოფინამ ბეგარი ხევისკენ გარეკა.

მარტია მისურაული და ხახმატელი იმედა ფერაული (მინანაური; რომლის დედა – მინანი, ერისთავმა, თურმე, სიკვდილით დასაჯა) – ფარულად აედევნენ მეხარკეთ.

საძელის ულელტეხილზე წამოეწივნენ და მოძალადენი დახოცეს. ბეგარი უკან გამორეკეს; თანასოფლელებს „თავთავისი ჩააბარეს“, ჩოფინეს ბატონის ნაბოძები ცხენ-იარაღი წაართვეს და ზურაბთან დააბარეს: –

„მოსაცემი ხალხმა მოგცა... იმათთან საქმე ნუ გექნება, მტრები ჩვენ ორნი ვართო...“

ამის შემდგომ – ზურაბი, „როგორც ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ – მცირე ამალით, საჩუქრებით და „ზღვენ-საკლავით,“ ვითომ, „სრულიად მშვიდობიანად ასულა ხევსურეთში – როგორც ხატის მლოცველი;“ „სანეს კარავი დაუდგამს“ და გუდანის ჯვარისთვის შესანირი მიურთმევია.

იქ დაიბარა სათითაოდ რჩეული ხევსურნი – (სიმამრის), თეიმურაზ I-ს (1589-1663 წ.წ.) სახელით, თრუსო-დვალეთის ლაშქრობაში მონაწილეობა სთხოვა და ნადავლის ნახევარს შეპირდა.

მარტია მისურაული და იმედა ფერაული (შინშები), იმავე ღამეს, ერისთავის რაზმს დაეცნენ და „ხმლითა სცეს...“

აღნიშნულის გამო, ანუ, ხატის სტუმრების დახოცვისათვის, მისურაული თემიდან „მოჰკვეთეს“ და „ხარ-ქობი“ დააკისრეს.

მხოლოდ თრუსოს სისხლიანი ნადიმის შემდეგ დააფასეს იგი – შემოირიგეს და გუდანის ჯვარში „საკარგყმო სკამი“ დაუდგეს.

გადმოცემის თანახმად – მისურაულს ლრმა სიბერემდე უცოცხლია.

„მემრ“ – მისი ციხე-სიმაგრის ნანგრევები ჯვარმა დაიჭირა და დღესაც, წმინდა ადგილად არის მიჩნეული.

პისო-ხახმატის ხეობა

პისო

ხევსურეთში ამ სახელწოდების ორი სოფელია: –

ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში“ მოხსენიებული ზვიადაურის ადგილსამყოფელი არ-დოტშია, იქ, სადაც ზვიადაურების თავდაპირველი საცხოვრისი იყო.

მეორე – ქეთელაურთა სამკვიდრო ბისოა, რომელიც გუდანსა და ხახმატს შუა – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მდინარე ხახმატისწყალის მარჯვენა ნაპირზე – ზ.დ. 1760 მ-ზე.

ბ. გამყრელიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ხახმატის დასახლების შემდეგ, მის ფუძემდებელ „ღივასთან მისულა ვინმე ბუნოელა და მასაც იქ დასახლება უთხოვია.“

ღივას – ხეობის მეორე მხარეს მდებარე ადგილი შეუთავაზებია: – გაღმით შენ იქნები, გამოლმით მეო.

დათანხმდა, თურმე, ბუნოელა: – „დაიწყო ციხეების შენება და საფუძველი დაუდო სოფ. ბისოს არსებობას“ (ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

*

ვ. ბარდაველიძის ცნობით: –

ქეთელაურების წინაპრები, ადრე, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ – ცხრაკარაში. ორი ძმიდან – ერთი, ხევსურეთის სოფელ ბისოში წასულა და ქეთელაურთა გვარისთვის მიუცია დასაბამი; მეორე, ერწო-თიანეთში „დამრჩალა.“

მისგან, თურმე, თავადი ჭავჭავაძეები წარმოსდგნენ.

ილია ჭავჭავაძე ადასტურებს, რომ სალოცავი მის წინაპრებს მთისაკენ ჰქონდათ და თვითონაც „ჯვარის ყმა“ იყო (რ. თოფჩიშვილი, „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია“, გვ. 417). დუშეთში მოღვაწეობის პერიოდში, იგი საკუთარი ინიციატივით შეხვედრია ქეთელაურებს და, პირადად უთქვამს – მათი საერთო წარმომავლობის შესახებ.

ილიას მკვლელობის შემდგომ, ქეთელაურები, თურმე, დიდი სერიოზულობით განიხილავდნენ ბერბიჭაშვილების სისხლის აღებაზე პასუხისმგებლობას.

ერთი ვერსიის თანახმად: – ქეთელაურების მამა ჯერ ხორხში დასახლებულა; იქ მიუღია თავისი გვარი. მერე – ბისოში წასულა და მტერთან ბრძოლაში დაღუპულა. მისი მცირებლოვანი ვაჟი დედას ფშავში გადაუმალავს, თურმანაულებს გაუზრდიათ და უკვე დავაუკაცებული დაუბრუნებიათ ბისოში – მამის წასახლარზე.

გ. თევდორაძის ცნობით, ბისოელი ქეთელაურების გვარი ხუთ მამათა თაობად იყოფა: – ბუჩაურნი, იდუანი, იჩუანი, სულხანანი და ცელიანი. „ამათი განაყარნი სახლობენ სოფ. სახილეში“ (გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. დათვი-სისხევის მარჯვენა მხარეს).

ქეთელაურთა მამები ყოფილან აგრეთვე: – კინწანი, ჩოდრნი, ლომანი და ლორანი; იჩუანი ცალკე მამა არ ყოფილა – ბუჩაურთაში შედიოდა, თურმე.

ალ. ოჩიაურის ცნობით: – ჩოდრნი და კინწანი ერთიმეორის განაყრები იყვნენ. კინწანი „საშინელი ამაყნი ყოფილან. უყვარდათ დამცემლობა და ძალმომრეობა. არც სოფელს და არც ჯვარ-ჯვარისკარს არაფრად აგდებდნენ. არც სხვისი, არც სა-ჯვარო მამულების მოხვნას არ ერიდებოდნენ.“ „ხალხმა მათი გათავება სიამაყეს და თავაშვებულობას მიაწერა“ (მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 109).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად ბისოსა და ხახმატს შორის ფილაურების ძლიერი გვარი მდგარა (ალუდაურებთან და ქეთელაურებთან ხარ ქვაბით შეყრილი).

„მათზე ძლიერი არავინ ყოფილა. თავიანთი დავლათით ამაყობდნენ, კაცრიელობით თამამობდნენ და არაად ვის აგდებდნენ.“

ეს გამხდარა მიზეზი მათი ხევსურეთიდან განდევნისა.

ნაწილი ზემო თიანეთში დასახლებულა, ნაწილი – სოფ. კაკაბეთსა და ახმეტაში – სადაც, ამჟამად, ფილაშვილის გვარს ატარებენ.

1855 წელს, ბისოში – 20 კომლი სახლობდა (34 მამაკაცი და 19 ქალი);

1926 წლის აღწერით ქეთელაურების 20 კომლი დარეგისტრირდა (74 სული).

სოფლის დასავლეთით, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე „ბალთანის სამაროვანი“ XII-XIII სს თარიღდება. გათხრებით გამოვლენილი ინვენტარი (მცირე ზომის თიხის ჭრაქები, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხის ცალყურა სასმისი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები, ლილები, აბზინდა, რკინის ბეჭედი, დანები, ისრისპირი, მინის მძივები და სხვ.) – დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული.

ბისოს ჩრდილოეთით, სამანქანე გზის პირას, შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების ორსართულიანი კოშკი (სიმ. 7 მ.).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.): – არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარე მ. ქეთელაურის ეზოში, აღმოჩნდა ე.წ. „საქრისტოს კიდურის სამაროვანი,“ სადაც 5 ქრისტიანული სამარხი გაითხარა. გამოვლენილი ბრინჯაოს სამაჯური და მშვილდაკინძი დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

დასახლების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთმანეთთან მიჯრით დგას – გვიანდელი შუა საუკუნეებს ორი სამსართულიანი ციხე-სახლი. მათგან მხოლოდ – 6-7 მ. სიმაღლის კედლებია შემორჩენილი.

ხევსურეთის ისტორიას შემორჩა ხუთი ბისოელი ქეთელაური ძმის („კინწის შვილების“) სახელი. ისინი ჩოლოყაშვილის ხევსურეთში შემოსვლის წინააღმდეგნი ყოფილან; მისი გამარჯვების არ სჯეროდათ და – წინასწარმეტყველებდნენ იმასაც რომ, ქაქუცას გამოდევნებული მტერი – მთელ ხევსურეთს აიკლებდა.

მოსაკლავადაც შეუკრეს, თურმე გზა – შეფიცულთა რაზმის მეთაურს...

ფხიტუსთან მარცხის შემდგომ – როცა, სახლ-კარის გადაწვის შიშით, ხალხი მტერს წინააღმდეგობას აღარ უწევდა, ბისო – პირაქეთი ხევსურეთის, ალბათ, ერთადერთი სოფელი იყო, სადაც ის 5 ძმა კიდევ აქტიურობდა.

სამთავრობო ჯარის საკმაოდ მოზრდილმა შენაერთმა, ბოლოს, მათი სოფელიც გადაწვა და ააოხრა: – „თივის ზვინებში გრიალით სკდებოდა გადამალული ვაზნები...“

ამბობენ რომ: – პატიმრობიდან თავდახსნის სანაცვლოდ, ხუთიდან ერთ-ერთი ძმა – ტუჩა ქეთელაური, მთავრობამ შემოირიგა და დუშეთის მიღიცაში სამსახურზე დაითანხმა.

მისი ფარული თანადგომით მოახერხა-ო სალომე ხელაშვილმა – თავისი ვერა-გულად მოკლული ძმის, ქაქუცა ჩოლოყაშვლის თანამებრძოლის და დღეს, ალიარე-ბული პოეტის – მიხა ხელაშვილის ნეშტის მოპარვა, რომელიც დუშეთის საპატიმროს მიდამოებში იყო ჩაფლული.

იმასაც ამბობენ რომ: – ხუთი ზემოალნიშნული ძმიდან, საბოლოოდ – ორი, მათი შორეული ნათესავის – ჩოდრათ მამუკას მსხვერპლი გახდა; დანარჩენებიც ტრაგიკუ-ლად დაიღუპნენ...

*

ქეთელაურებს და ალუდაურებს საერთო სალოცავები ჰქონდათ: – ხახმატის ჯვარი, გიორგი ნალვარმშვენიერი და „საელიაო კოშკი“, ანუ ელია-წმინდა, სადაც ერთ წელს ბისოელები დადიოდნენ სალოცავად, მეორე წელს – ხახმატელები.

ხახმატის ჯვარი

ხახმატის ჯვარი ანუ, წმინდა გიორგი ნალვარმშვენიერი, სოფელ ხახმატსა და ბი-სოს შუა მდებარეობს – ხევისპირა შევაკებაზე. ორივე სოფლის საერთო სალოცავია და გუდანის შემდეგ – ხევურეთის ყველაზე ძლიერ ჯვარს წარმოადგენს.

უჭირავს საკმაოდ მოზრდილი მინდორი – წმინდა ხეებითა და სალოცავი კოშკებით. მის დაარსებას ლეგენდა სამ ხთისშვილს – ძმებ ასკაისძეებს უკავშირებს.

უფროსი მათგანი, „აქ დამდგარა – გიორგი ნალვარმშვენიერის (ბისო-ხახმატს მთავარი სალოცავის) სახელით; მეორე, ჭორმეშავს წასულა – „ფიცრულში“; მესამე – ბოსლოვნის წმინდა გიორგის სახელით დაფუძნებულა, როგორც ხახმატელთა სასო-ფლო სალოცავი.

მთავარი ჯვრის მშენებლობა „თამარს მიეწერება...“ სალოცავი... „ამ 8 წლის წინათ გაუძარცვავთ... სოფლის მცხოვრებნი მარწმუნებდნენ, რომ მოპარულ ნივთებში იყო თამარის დროის წარწერიანი ოქროს თასები და, სალოცავის კარების თავზე წარწერა – რომლის თანახმადაც, ეკლესიის საძირკვლის ჩაყრას თავად მეფე ესწრებოდა (ნ. ხუდადოვი, ჩანაწერები ხევსურეთზე, 1890 წ. გვ. 70-71).

ხახმატის ჯვარის ინვენტარში ვ. ბარდაველიძე მოიხსენიებს – „თამარის ვერცხლის თასს“, „რომელიც განსაკუთრებულ პატივშია, მაგრამ XVIII საუკუნეზე ადრინდელი არ არის.“

*

გიორგი ნალვარმშვენიერის კულტი საკმაოდ ფართედ იყო გავრცელებული აღ-მოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: – მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავში, თუშეთ-სა და მთის მოსაზღვრე ზოლში, ივრის ხეობასა და ერწოში. ფშავლები და თუშები ხევსურეთშიც დადიოდნენ სალოცავად. ჩეჩენ-ინგუშებიც სტუმრობდნენ მას, რათა ქრისტიანული სალოცავისთვისაც ეთხოვათ – ბედი და დოვლათი.

ხახმატის ჯვარს (ისევე როგორც ლაშარის და გუდანის ჯვრებს) ამიტომ მოიხსენიებენ – რჯულიან-ურჯულოთა სალოცავად.

ხახმატის ჯვარში ლოცულობდნენ ნალვარ-მშვენიერის მიერ ქაჯავეთიდან

მოყვანილ დობილებსაც: – აშექალს, სამძიმარ ხელ-ყელლილიანს, მზექალას, ამენ-ქალსა და სიმენქალს. განსაკუთრებით სამძიმარს, რომელიც ითვლებოდა ნაყოფი-ერების მიმნიჭებლად და მფარველად, შუამავლად შემცოდე ხორციელსა და გამწყ-რალ ღვთაებას შორის. ამავე ხატს ეხვეწებოდნენ შვილიერებას, ნაწველ-ნადლვების ბარაქას, ცხენების მომრავლებას და დაცვას (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

„ხახმატის ხატია – ძალა, მისი მოქმედების ასპარეზი ფართეა. ის არ სჯერდება ლაშქრის სარდლობას – მტერი, ქურდი, მავნე ნადირიც კი მას ემორჩილება... ხალხი დარწმუნებულია, რომ თუ ხახმატის ხატს სურს, მტერი ვერას იზამს“ (ნ. ხიზანაშ-ვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

*

სალოცავის შემადგენლობაშია: – ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული სამი ნაგებობა (სალუდე, დარბაზი, საკოდე) და რამდენიმე სალოცავი კოშკი.

ანდრეზის თანახმად: –

ფშავ-ხევსურეთის ხთისშვილნი ქაჯავეთს – ხახმატის ჯვარის წინამძღვრობით ლაშქრავენ. ანუ, მისი სალაშქრო დროშით ხდება „ქაჯავეთის ლაშქრობა“ და „დიდი დიდოეთის გაბეგვრა“.

„თამარის კოშკი“ („ჯვარის ციხეში“) ინახებოდა ქაჯავეთიდან წამოლებული ფან-დური და ფურის რქა-ჩხუტი, რომელსაც „მარტორქას“ ეძახდნენ.

„საზარები“ („სამძიმრის კოშკი“), „სადაც ახალწელინადს დილის ზარს დაჰკვრენ“

– ორი ზარი და ქაჯავეთიდან წამოლებული გრდემლი იყო მოთავსებული.

„ნაღვარმშვენიერის კოშკის თაროზე (ნიშში) იყო დასვენებული სალოცავის ხატი.“

„ათენგენობა დღეს, იქ ეყუდა სალოცავის დროშაც.“

ხახმატი

ალუდაურების დედასოფელია.

თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მდ. ხახმატისწყალის მარჯვენა ნაპირზე – ზ.დ. 1940 გ-ზე.

არაერთგზის ჩანს ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში: –

„ცოტა რამ მკრთალი ნათელი ხახმატის ხატშია ჩნდებოდა, სანთლები ენთო ყორ-ეზე, ალი იფნებსა ჰევდებოდა, ხან ცისკრად გამოაშუქის, ხან კი მინელდის, ჰერე-ბოდა, სულმაპრძოლ სნეულსა ჰევდა, ტანჯვა-ვაებით კვდებოდა...“

ძველს დროში, ხუთი სოფელი ყოფილა ხახმატის ადგილში: – „ძალლაურები,“ „ხეთეშაურები“, „მჭედლურები“...

ამჟამად, აღნიშნული „მამიშვილობები, დაკარგულია... არავინ არაფერი იცის მათი...“

მიიჩნევენ რომ: – მჭედლურები აქედან არიან ფშავში გადასახლებულნი.

ბ. გამყრელიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ხახმატის პირველმოსახლე იყო ვინმე ლივი, რომელიც „ბატონყმობას გამოექცა“ და ამ „უდაბნოს“ შეაფარა თავი. უსაფრთხოების მიზნით, მან – ისეთი ციხე-სიმაგრე აიგო, „მტერს რომ შუბითა და ისრით ვერაფერი დაეკლო.“ მერე, თავის „ყველფ კერაში“ ამოსული ხე ავის მომას-

წავებლად მიიჩნია; იმ ადგილს გაეცალა და ხევის მეორე მხარეს, უკეთესი ციხე-სახლი ააშენა; მიწის ქვეშ გაიყვანა დარანი; იქიდან წყალს იმარაგებდა და ცხოვრობდა უდარდელად.

(მისი შთამომავლებს, დღეს – გამლივარაულთ ეძახიან).

ცოტა ხნის შემდეგ, ღივის სამოსახლოს, თურმე – სამი-ოთხი კომლი შეემატა. ერთად ვიცხოვროთო – უთხოვიათ...

უფრო მოგვიანებით მისულა წიქარაული (ალექსაურთ მამა), რომელმაც „კისერი თანდათან გაისქელა“: – ღივის მეტს აზგარიშს არავის უწევდა, არავის არაფერს ეკითხებოდა და თანასოფლელებმა ხევსურეთიდან გააძევეს.

(განსხვავებული ვერსიით, ალექსაურების წინაპარი, რაღაც მიზეზის გამო, თუ-შეთიდან ხახაბოში მისულა; იქიდან – ქისტეთში (გამიროში) წასულან და, მოგვიანებით, გადმოსახლებულან ხახმატში. მათ განაყრებად ითვლებიან: – ზენა ლაგაზანი, იერისონი და ქათნიანი, რომლებიც თიანეთის რაიონის სოფელ ფიჭვთანაში გადასახლდნენ).

ბ. გამყრელიძის ცნობით, ღივასთან მისულა, ბონუელაც – საიდანლაც გამოქცეული კაცი და მასაც ხახმატში დასახლება უთხოვია. ღივის – ხეობის მეორე მხარეს მდებარე ადგილზე მიუნიშნებია: – გაღმით შენ იქნები, გამოღმით მეო – უთქვამს და ქეთელაურების ამ წინაპარს – იქ დაუწყია ციხეების შენება.

გამლივარაულთ მამის კაცებს, ერთხელ, გზაზე მომავალი ბალლი უნახავთ.

უთქვამს: – ოხერტიალი ვარ და მწყემსად დადგომა მინდაო.

დაუტოვებიათ თავისითან...

ბიჭი რო „აიჩეჩა და ცოლის მოყვანის დრო დაუდგა, ქალი მოგვარეს, ცალკე საცხოვრებლად გაიყვანეს, სახლი აუშენეს და თავიანთი ადგილის მეოთხედი მისცეს...“ „წარმომავლობით ის ბალლი თათარი ყოფილა და მამიშვილობით ბაჩიქოური შეარქვეს.“

მისი შთამომავლები, დღეს, ალუდაურის გვარს ატარებენ.

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: – „ბაჩიქოურთ მამანი თუშები არიან“.

ზენაათ წინაპარიც თუშეთიდან არის მოსული. ბატონს გამოქცევია და აქ შეუფარებია თავი.

თავშემოფარებულნი არიან ფერაულნიც.

ზემოაღნიშნული ორივე მამიშვილობა ხევსურეთიდან ადრე აიყარა.

მათი აღარავინაა იქ დარჩენილი. შემორჩენილია მხოლოდ ფერაულთ ციხე.

ყველაზე გვიან ხახმატში ფშაველანი (ფშავლები) მისულან. ჯერ ხახაბოში დასახლებულან, მერე ხახმატში გადასულან და ხარ-ქვაბით შეყრიან ალუდაურებს.

ბ. გამყრელიძის ფრაგმენტების სახით წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ, ინფორმაციას (წიგნიდან – ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები) – მცირეოდენი განსხვავებით ადასტურებს და რამდენადმე ავსებს ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალა.

მისი მთხოობელის თანახმად: –

„პირველად უშიშაურნი და გამლივარაულნი ვყოფილვართ ხახმატში, სხვა არავინ ყოფილა... ჩვენი გვარი უშიშაური იყო. მერე ალექსაურზე ჩაუწერიათ და, ბოლოს, ალუდაურები გავხდით.“

„მშაველა ფერაულნი რომ იყვნენ, იმათგან ცალკე ყოფილან უშიშაურნი...“

„ბაჩიკაურნი (ანუ, ბაჩიქოურ-ბაჩიქვაურნი) და გამლივარაულნი სხვანი არიან; ერთი მამისა არ იყვნენ. ახლობლები კი იყვნენ. ბაჩიკაურნი თუში მწყემისდან მოდიან.“

„ცალკე გვარი ყოფილა – გილაური. ისინი ჯერ გამლივარაულებთან გაერთიანებულან, მერე, მათთან ერთად შესულან ალუდაურების გვარში...“

„ალექსაურნი, ფშაველანი და ფერაულნი ხახაბოდან მოსულნი არიან.“

„მარტო ჩვენ (ალექსაურნი) და მშაველა-ფერაულნი ვართ ხახაბოდან...“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982წ. გვ. 77-78).

*

XIX ს-მდე, ხახმატში უცხოვრია ყორიაულების გვარს და მათი სალოცავი ჭორმე-შავის წმინდა გიორგი ყოფილა.

გ. თევდორაძის ცნობით, ყორიაული გოგოჭურთა გვარის ერთ-ერთი მამიშვილობაა.

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

ფშავის სოფელ მათურიდან ხევსურეთში წასულა სამი ძმა: ერთი – ხახაბოში დასახლებულა, მეორე – ხახმატში, მესამე – გუროში. როგორც მთხრობელი გვამცნობს: – „ხახაბოში დასახლებულისა ჩვენა ვართ – მინდიკაურები; ხახმატში დასახლებული ძმისა – ალუდაურები არიან, გუროში კი გოგოჭურებად ინერებიან.“

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ერთიან კონტექსტში, თუ იმ ცნობასაც სარწმუნოდ მივიჩნევთ, რომ თორლვა ძაგანის ძემ გოგოჭურები – ფშავში ბუჩქურთიდან გადასახლა – შესაძლებელი გახდება გოგოჭურთა მიგრაციის ასეთი სავარაუდო წრედი შეიკრას: ჭორმეშავი-ბუჩქურთა-ცაბაურთა-ხახაბო.

*

დ. გოგოჭურის ცნობით, ალუდაურები და ქეთელაურები გოგოჭურთა ძველი გვარიდან განშტოვდნენ (ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, 1977 წ.).

განსხვავებული ვერსიით, მათ ფიცით ძმობა აკავშირებთ.

„რელიგიური“ (საადგილმამულო) ომების დროს – გუდანის ჯვარის ბეგარისაგან თავის არიდების მიზნით შეკრეს-ო მათ ეს ძმობა.

„ხელთან“ (ხახმატის ჯვართან) გაიფიცნენ არაბულებისა და ჭინჭარაულების წინააღმდეგ.

„დობილების შიშმა და „ხელის“ რისხვამ ალაგმა, თურმე – მათი თავგასულობა“ (6. ხიზანიშვილი-ურბნელი).

*

1855 წელს, ხახმატში – 43 კომლი სახლობდა (97 მამაკაცი ად 66 ქალი);

1926 წლის აღწერით ალუდაურების 16 კომლი დარეგისტრირდა (69 სული).

ხახმატის მთელი მოსახლეობა, დროთა განმავლობაში, ალუდაურის გვარზე გადავიდა.

„არც თუ ისე დიდ ხნის წინათ ხახმატი ტიპიური ხევსურული სოფელი იყო,

მჭიდროდ შეკრული, ხალხმრავალი, მცოდნე ჭარმაგი კაცებით, ლამაზი ქალ-ვაჟებით სავსე... როგორ მეუცხოვა ეს გარემო კარგა ხნის შემდეგ, როცა რამდენიმე გვერდ-შელენილი სახლიდა ვნახე გადანგრეულ ნასოფლარზე, დაბლა ხახმატის ჯვარის მე-დიდური იფნების ნაცვლად აფეთქებათა შედეგად გარუჯულ-გამხმარი ხის ტოტები, მოშლილი ჯვარ-ჯვარისკარი“ (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

გზის მშენებლობის გამო აფეთქებულ ლოდების ნამსხვრევებს ჩამოუმტვრევია სახატო იფნები და გაუხმია.

„ახლა მკვდარი იფნები დგანან ფეხზე – მაინც წმინდა ხეებად ითვლებიან, არავინ ჭრის, არავინ ეკარება“ (აღ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 104).

ხახმატის, ამ უძველესი ხევსურული სოფლის, მიდამოები საკმაოდ მდიდარია ის-ტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით: –

მის მიმდებარედ გამოვლენილი „გორისყანის“ სამაროვანი X-XII სს განეკუთვნება. გათხრებით მოპოვებული ინვენტარი: – მინის ინკრუსტირებული მძივები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, გეომეტრიული ორნამენტით გრავირებული ბრტყელი სამაჯურები; ბეჭდები, ჭვირული ბალთები, სარკეები, აბზინდა, მშვილდსაკინძები, რკინის დანები, ვერცხლის რგოლები... და საკიდად გამოყენებული ვერცხლის არაბული (VIII ს-ის) მონეტა – დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

ხახმატისწყალის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ლელისკარის სამაროვანი – XI-XII სს თარიღდება. გათხრებით გამოვლენილი ბრინჯაოს გრავირებული სამაჯური და ბეჭედი – დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული.

*

ხალხური ზეპირსიტყვიერება ხახმატში – ფერაულთ, ალექსაურთ და ლაგაზათ ციხე-კოშკებს მოიხსენიებს.

პირველი ორი, გადმოცემის თანახმად, სახალხო გმირის, გუროელი მამუკა ქალუნდაურის აგებულია. კაი ყმა კარგი ხელოსანიც ყოფილა. „მოუყვანიათ ის ხუროდ, ფული მიუციათ და აუშენებია“ (ვ. ბარდაველიძე).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.) – ხახმატში, დღემდე შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი შუა საუკუნეების ფერაულთ ციხე (3,6X3,6 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს ორი სართული და III სართულის ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში თითო შეწყვილებული სათოფურია.

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ლაგაზათ მამასაც ჰქონია თავისი ციხე, რომელიც „გზის ძირში იდგა“ (და მისი მშენებლობის დროს ააფეთქეს) – „ზენა-ლაგაზათ ქვიტკირს უწოდებდნენ.“ მისი ამშენებელი ყოფილა ვინმე ქათნია (ალექსაურთ შტოდან)... წყალი გაუყვანია, მორები უზიდავს, ქან-ქან ნამოულია ქვა და ციხე ქვითკირით აუგაა.“ მის მამიშვილობას (ქათნიათ) სხვა ციხეც უშენებია, მაგრამ ლეკებს მოუსწრია და დაუხოცია ისინი (ვ. ბარდაველიძე).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), ხახმატის ცენტრალურ ნაწილში მდგარი ხირჩლა ალუდაურის სამსართულიანი (ტერასულბანიანი) საცხოვრებელი სახლი – XIX ს-ის არქიტექტურული ძეგლია. ნაგებია ნატეხი ქვის მშრალი წყობით. სართულები ერთმანეთს – საძრომით და გადასატანი ხის კიბით უკავშირდება. სართულშუა გადახურვა და ბრტყელი მიწურბანი-

ანი სახურავი – ქვის მასიურ ბურჯზე და ხის სვეტებზეა დაყრდნობილი.

*

1876 წელს, ხახმატში, „წიგნის მცოდნე ერთი კაცი ყოფილა – ბერდია გამლივარ-აული. ორ-სამ წელიწადში ამას კითხვა უსწავლებია თექვსმეტის ყმაწვილისათვის და ამათში ხუთმა წერაც იცისო... ქების და პატივისცემის ღირსია ბერდია გამლივარაული მეტადრე იმისთვის, რომ უფასოდ და უსასყიდლოდ ასწავლის. თვით ყმაწვილკაცია 31 წლისა და სათემო საქმეებსაც სოფელი მას ანდობს ხოლმე“ („სასოფლო გაზეთი“, №3, 1876 წ.).

ამ ღვთისნიერი კაცის მოღვაწეობიდან 14 წლის შემდეგ, ხევსურეთში არც სკოლის ხსენება იყო და არც ცოდნის მიღების სურვილი გააჩნდა ვინმეს.

როგორც 1890 წლის „მოამბის“ კორესპონდენტი გვამცნობს: – „ამისთვის ჯერ ხალხი უნდა მომზადდეს... რომელიც უყურებს განათლებას, როგორც მავნე სენს. მისულს არ ენდობიან, თვითონ ხევსური კი, რომელიც მასწავლებლად გამოდგება, არ ჩანს“.

*

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა – პიროვნული ღირსებით, ჭუა-გონებითა და სი-მამაცით ცნობილი ხახმატელი ხევსურის, გიორგი ალუდაურის სახელი, რომელმაც, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდში დგომის პოლიტიკური ბრალდებით, რვა სრული წელიწადი მოიხადა საპყრობელები (ა. არაბული).

*

ხახმატელია თანამედროვე კაი ყმა, სპორტსმენი, ფოტოხელოვანი და ლიტერატორი – რამდენიმე ბესტსელერად ქცეული წიგნის ავტორი, ბაბუა ალუდაური. მის მიერ, ხევსურული ადათ-წესებით დადგენილი კაცის კაცობის მოთხოვნათა ალსრულებაზე – დუშელები ასეთ ეპიზოდსაც ყვებიან: –

90-იანი წლების გაზეთ „არაგვში“, რომლის რედაქტორიც ბაბუას მეგობარი, უშანგი ბოძაშვილი გახლდათ, ოპოზიციური წერილებიც იბეჭდებოდა. აღნიშნულის გამო, რაიონის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მისი ადგილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის იმდროინდელ დირექტორს – ბაბუა ალუდაურს შესთავაზა.

ბაბუამ „თავაზიანი“ უარი განაცხადა მეგობრის პრესტიჟულ თანანდებობაზე: – ოპოზიციურ წერილებზე ვერც მე ვიტყვი-ო უარს...

იმავე საღამოს, მესამე სახარებას – მეგობარებს შორის ასეთი კაფია მოჰყვა: – ბაბუა –

უ. ბოძაშვილის „არაგვსა“

პოზიცია აქვს მცდარია.

სტატიებიდან უბერავს

ოპოზიციის ქარია.

ეტყობა „პურჩისტებთანა“

კავშირ გააბა მყარია.

დაჰკარით „კრემლის აგენტსა“,

დაუნაძოძეთ ძვალია.

დააფაროდით გულზედა
გაზეთის ეგზემპლარია.
ჩამასხით სტირალშია
ორივ ლამაზი ქალია.
დიაც კი არას იტირებს –
შუშუნა ჩემთავმკვდარია.

უშანგი –

არც შენ გიტირებს დიაცი –
თინა მთიულის ქალია.
ან რაად უნდა გიტირას –
ხევსურ რა სატირალია.
ისე კარგად სწერ, ეტყობი
ფშავლებთან ნაწაწლარია.
დამეშველენით, ფშავლებო,
კინთურამ გამკრა ბწკალია.
ბაბუა ალუდაური
წინწვრის არაყით მთვრალია...

გიორგი ბოსლოვანის ჯვარი

ხახმატელთა სასოფლო სალოცავი, გიორგი ბოსლოვანის ჯვარი, სოფლის განაპიროს მდებარეობს. ბებერი იფნებით და გამხმარი ხებით არის შემოზღუდული.

„ამ ადგილში, აუარება ბოსლები ყოფილა.“

სალოცავის დამფუძნებელ ხთისშვილს (სამ ასკაიძე ძმათაგან ერთ-ერთს) აუყრია ისინი და იქ, „ბოსლოვნის წმინდა გიორგის სახით დამდგარა.“

ჯვარის შემადგენლობაშია: – საქვაბე, საკოდე და კლდეების აფეთქებით ნახევრად ჩაქცეული დარბაზი. ფიქსირდება ნახევრად დანგრეული სალოცავი კოშკები და ფიქლის მშრალი წყობით ნაგები წმინდა გიორგის სვეტი – პატარა ნიშით, სადაც წმინდა გიორგის ხატი იყო დასვენებული (ვ. ბარდაველიძე).

ხახმატის ჯვარს ორი სამთო სალიცავი ჰქონდა: – აბულისწვერი და დათვისჯვარი.

საყმო – ვაჟიშვილებს ჯერ დათვისჯვარში, შატილისკენ გადასასვლელ უღელტეხილზე მდებარე ნიშთან მიაბარებდა (ქვის ჯვართან, რომელიც რუსების მიერ ნანგრევებად არის ქცეული) – საკლავს გაიყვანდა, „მისამბარეოს“ იქ გადაიხდიდა და – მერე, სოფლის ჯვარში გარევდნენ.

სალოცავის ტერიტორიას შუაზე ჰყოფს ჯვართ-ხევი (ანუ, „კაკნიელოურა“). კარგად მოჩანს უკან აწვერილი მთები და, მათ შორის ყველაზე შვეული, აბულას მთა.

„აბულა ორია: – გალმა და შელმა.“

„შელმა აბულა შეუვალია...“

„არავინ იცის, იქ, კოშკი არის, თუ არა, მის ქვედა ნაწილს ჯერ არავინ გასცილებია...“

„მედღეობენი მხოლოდ ქვედა ნაწილს აღწევენ... იქ ხოცავენ საკლავს და უკან ბრუნდებიან“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიცი-

ული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ.).

*

მას შემდეგ, რაც ხახმატის მთელი მოსახლეობა ალუდაურის გვარზე გადავიდა, მისმა მდგრენელმა მამიშვილობებმა – თავ-თავისი სალოცავი მაინც შეინარჩუნეს, კერძოდ: –

გორის მცავანი – გამღივარუალთ და ბაჩიქოურთ დობილნი;

ციხურნი – მშაველა-ფერაულთ დობილნი;

ზენაციხე – ალექსაურთ დობილნი და სხვ.

ღივის ციხე-სახლი „საწმინდარ-სამანანულო“ სამსხვერპლო ნიშად იქცა, სადაც უშვილო ქალები მსხვერპლს სწირავდნენ და ძეს შესთხოვდნენ მამაზეციერს.

ხახმატის მცხოვრებნი, „სეტყვის მოსაშორებლად“, თურმე, ქისტების – (მაისტის) ხატსაც ლოცულობდნენ... ღრუბელი და ბურუსი იმ მხრით მოდის და სეტყვა-ხორხოშელას იქაური ხატი მოგვავლენს ხოლმეო“, ამბობდნენ და – „საკლავსაც უკლავდნენ იმ ხატს“ (ნ. ხიზანაშვილი ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.).

*

ხახმატი პირაქეთი ხევსურეთის ბოლო სოფელია. მისგან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ველკეთილის უღელტეხილი იწყება. იქიდან გზა შატილის ხეობასა და მიღმახევში გადადის.

„იოლი, უსაფრთხო გადასავალია, ალპურ სიმწვანეში ჩაძირული. დეკიანებით შეჩითული. აქ არც თოვლი დევს ზაფხულობით, არც მისი ნაჟურით ჩარეცხილი კლდიან-ქვიშიანი ბილიკებია“ (თ. ოჩიაური).

ველკეთილზე – პატარა ვაკეა, რომელსაც „სანაგის საჯარეს“ ეძახიან.

ჯარი იქ შეუკრებია სანაგის. „ამ ადგილას მდგარან.“

ფარდობს გადაღმა საუცხოო წყაროა, „წოვაის წყალი“ – სადაც ყველა მგზავრი ისვენებს. „ალბათ იყო ვინმე წოვა, ვის სახელსაც ეს წყარო ატარებს...“ (დროება, № 7, 1898 წ. გვ. 12).

უკვე შატილის ხეობაში გადავდივართ.

არდოტი – მარჯვნივ გვრჩება.

ზურგს უკან, ლეგენდარული სინდიურისძის მწვერვალი და ჭიუხის სხვა საჯიხ-ვეებია. მათ გადაღმა ალ. ყაზბეგის მყინვარწვერი და ხარ-ჯიხვთა საიალალო. „წუბროვანს იქით, თუშ-ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე ლაპლაპებს ბორბალას ბებერი და მელოტი თავი“ (ალ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 110-112).

(წუბროვანიდან ხელმარცხნივ, პირველი ხეობა ხახაბოსკენ მიდის; ხელმოკლის ხეობა – ანდაქ-არჭილოსკენ მიემართება).

ქ ე რ ე ს ტ უ ლ ე ბ უ ს ტ უ ლ ე ბ ი

გურო-შატილის მხარე

ლეპაისკარი

დათვისჯვრის ქვემოთ, შატილის თემის პირველი სოფელი მოჩანს – ლეპაისკარი, თავისი ცნობილი ციხით და კალოიანი სახლებით.

1855 წელს – იქ, 13 კომლი სახლობდა (28 მამაკაცი და 19 ქალი);

1926 წლის აღწერით ჭინჭარაულების 12 კომლი დარეგისტრირდა (46 სული).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.) – ნასოფლარის ტერიტორიაზე მდგარი ჭინჭარაულების ციხე-სახლი გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ორსართულიანია. ჩრდილოეთიდან უფრო გვიანდელი მინაშენი ეკვრის... ძლიერ დაზიანებულია.

სოფლის მიმდებარედ რამდენიმე სალოცავია განთავსებული (ბოსელათ ციხე-ეკლესია, ადგილის დედა, ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი, ნახარელა).

ვ. ბარდაველიძის ცნობით: –

ადგილის დედა – ძველ ნასოფლართან მდებარეობს. ხალხის რწმენით – იქ, „დობილები“ მომრავლებულან, ამის გამო აყრილა სოფელი და ლეპაისკარში გადასახლებულა.

„ბოსელათ ციხე“ – „ბოსელათ მოშაბათის“ აგებულიაო, შამილის დროს.

„ლეპაისკარი და კისტანი მაშინ ერთი სოფელი ყოფილა.“

ციხის მახლობლად მდებარე სალოცავი, გადმოცემის თანახმად – ციხის დროს აშენდა.

მეკეზის ანგელოზი მოგვიანებით დაპატრონებია ბოსელათ ციხეს.

ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. მის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საქვაბე, საზარე კოშკი და საჯარე. საყმო დარწმუნებულია, „რომ იქვე იმყოფება ღვთისმშობლის მაცილი, რომელიც ხალხს ნისლის ან ხარის სახით ეჩვენება ხოლმე და აგიუსებს“ (ვ. ბარდაველიძე, გვ. 123).

ამ დიდი გავლენის მქონე სალოცავს (სადაც ამაღლებას დღესასწაულობენ) – გუდანიდან წამოსული ჭინჭარაულების სამი სოფელი ყმობდა – შატილი, კისტანი და ლეპაისკარი.

ანალოგიური სალოცავი მათ გუდანშიც ჰქონდათ და აქაც, მისი სახელწოდებით გადმოუტანიათ (ვ. ბარდაველიძე, გვ. 122).

ნასოფლარის ტერიტორიაზე მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია (სადაც ყველა დღეობას იხდიდნენ) – XIX ს განეკუთვნება. ამჟამად, მთლიანად დანგრეულია (ამ სალოცავში ინახებოდა – ღვთისმშობლის, მთავარანგელოზისა და ნახარელას დროშები).

სამანქანე გზიდან 300 მ-ის დაშორებით მდგარი ხუთსართულიანი კოშკი (სიმ. 15,5 მ.), გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. გეგმით კვადრატულია ($4,2 \times 4,2$

მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. ზოგან შელესილობის ფრაგმენტები აქვს შემორჩენილი. აღმოსავლეთით, შესასვლელის ზღურბლის ქვაზე, ამოკვეთილია წრეში ჩასმული ტოლმელავა ჯვარი; მის გვერდით გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც ფარ-ხმალი უჭირავს. სახურავის ქვეშ, შელესილ ზოლზე, მოწითალო საღებავით – ადამიანი და ცხოველებია გამოსახული.

ლებაისკრელი ყოფილა „ვინმე კაი ყმა – აბაშა, რომელზედაც ლექსები უთქვამს ხალხს... ამავე სოფლიდან ყოფილა, ცნობილი მელექსე და უმამაცესი ხევსური, გაიათ ბაბუა – რომელმაც, თურმე, ვერძები „გამაულალა“, მიზუელ ქისჭის – ჩოთეშა შვინდელიკაშვილს, რომელსაც 1898 წელს ჩაფარ-ურიადნიკობის ოცი წლის სტაჟი ჰქონდა თიანეთის მაზრის სახანოს საზოგადოებაში (დროება, № 7, 1898 წ. გვ. 12).

1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაბშობის შემდგომ, როცა შატილში თავშეფარებული ალექსანდრე ბატონიშვილის შესაპყრობად წამოსულმა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკმა ლებაისკარამდე მოაღწია – მათ, საძელის უღელტეხილით გადმოსული, გაბრიელ ყაზბეგის „მთიელთა ასეული“ შეუერთდა და, 1813 წლის ზაფხულში, „ხევსურეთის დამსჯელმა ექსპედიციამ“ – იერიში გურო-შატილზე მიიტანა.

კისტანი

კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, მდინარე არღუნის ხეობაში, ზ.დ. 1800 მ-ზე.

გზა – რამდენადმე გამლილ ჭალას მიუყვება.

ძველად, უფრო ზემოთ მდებარე გორზე ყოფილა განთავსებული – იქ, სადაც ყვითელხავსმოკიდებული ქვიტკირების და ციხეების ნანგრევები მოჩანს.

რთულ კლდოვან რელიეფზე მდებარე ციხე-სოფელი ორ კომპაქტურ უბნად იყო გაყოფილი: –

ძირითადი ნაწილი, საყოფაცხოვრებო და თავდაცვითი ფუნქციის მქონე 30-მდე ციხე-სახლს მოიცავს.

ტერასულად ნაგები შენობები ისე მჭიდროდაა მიდგმული ერთმანეთზე რომ – ერთი სახლის გადახურვა, მომდევნოს გამოსასვლელ ტერასას წარმოადგენს.

ნაგებობათა კედლების გარე კონტური, სოფლის საერთო გალავნის ფუნქციას ასრულებს.

სოფლის მეორე უბანს, ოდნავ მოშორებით, მაღალ ქარაფზე მდგარი – ორი წმინდა თავდაცვითი ხასიათის ნაგებობა და საკულტო-რელიგიური დანიშნულების ძეგლები წარმოადგენენ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.) – კისტანის მიმდებარედ, ნასოფლარ ჭეჭყეთის ფერდობზე მდგარი ჭინჭარაულების ციხე-სახლი, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. გეგმით ტრაპეციულია ($7,6 \times 7,2$ მ.) – სამსართულიანი. ნაგებია ნატეხი ქვით. სახურავი და სართულშუა გადახურვა ჩაქცეული აქვს.

ნასოფლარის დასავლეთით, კლდოვანი მთის კალთაზე განთავსებული ცხრაძმათ კოშკი – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. გეგმით ოთხკუთხაა ($4,2 \times 3,8$ მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სართული (სიმ. 7,5 მ.).

სამანქანე გზიდან 1,5 კმ-ზე აბულეთაურთ ციხე დგას. თარიღდება გვიანდელი

შუა საუკუნეებით. მის შემადგენლობაშია: – კოშკი, ციხე-სახლი და კედლებით შემოზღუდული ეზო. კოშკი ხუთსართულიანი (სიმ. 14,5 მ.). ციხე-სახლი – სამსართულიანი (თითოეულ სართულზე თითო ოთახია).

სოფლის სამხრეთით, სამანქანე გზიდან 2 კმ-ზე მდგარი ავთანდილაანთ ციხე – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ერთმანეთთან ახლოს მდგარი, ორი სხვადასხვა ზომის ციხე-სახლისაგან შედგება და 3,5 მ. სიმაღლის გალავნით არის შემოზღუდული. უფრო მოზრდილ ციხე-სახლს, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, კედლის მთელ სიგრძეზე, გალავნით შემოზღუდული ეზო ეკვრის (12,3X7,3 მ.). მომცრო ციხე-სახლის პირველი სართულის (ჩრდილოეთი სარკმლის) საპირე ქვაზე – ხელის მტევანი, წრე და ჯვარია ამოკვეთილი. სამხრეთის სარკმლის საპირე ქვებზე, ერთ მხარეს, ფარი და ხმალია გამოსახული; მეორე მხარეს, მამაკაცის ფიგურა – რომელსაც ერთ ხელში ფარი უკავია, მეორეში – ხმალი.

*

კისტანსა და ჭეჭყეთში, ადრე, პაპკიაურები მდგარან.

მესისხლეობის გამო, ჭეჭყეთელები – ხორხში წასულან; კისტნელების ნაწილი ამოწყვეტილა, ზოგს – ჭინჭარაულებისთვის შეუფარებია თავი.

ამოწყვეტის მიზეზი სიმდიდრე და სიამაყე ყოფილა.

იმ დროს, იქ – „23 კომლი სხვა გვარისა და ორნი ძმანი პაპკიაურნი – თორელის შვილნი მდგარან... თორელი ყოფილა ძალიან ამაყი – სოფელში არავის არაფრად აგ-დებდა. არც რაად ჯვარ-ჯვარისკარი გააჩნდა, არც ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ოცდასამ კომლში ის მარტო იყო, სხვა მოგვარე არ ჰყავდა, მაინც უმკლავდებოდა მთელ სოფელს... ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც მამაზე შეტად ამაყები იყვნენ. შიშის ზარს სცემდნენ კისტნელებს. ბევრი ჰქონდათ ძალით დაჭერილ-მითვისებული მამულები და ტყეები... სოფელი რასაც პირს დააწყობდა, თუ ჭკუაში არ მოუვიდოდათ, ჩაუშლიდნენ“ (ალ. ოჩიაური).

*

ჭინჭარაულები – კისტანში გუდანიდან გადასახლდნენ.

იქიდან გადასულან ქაჩუს და მერე მთელი შატილი დაუკავებიათ.

1855 წლს – კისტანში, 16 კომლი (35 მამაკაცი და 35 ქალი) სახლობდა;

1926 წლის აღნერით – ჭინჭარაულების 9 კომლი დარეგისტრირდა (24 სული).

მათი სასოფლო სალოცავი იყო ღვთისმშობელი.

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: –

„შატილისა და კისტანის ღვთისმშობლის ჯვარი – ორივ ერთია...“

„თავი ხატი ღვთისმშობლისა გუდანშია – შემდეგ, კისტანსა და შატილში.“

„სამივე ჭინჭარაულების სალოცავია.“

„გუდანში სალოცავად მხოლოდ „მეზღვნენი“ მიდიან – ვისაც საკლავი ყავს მისაყვანი, ის წავა შატილიდან.“

„ასევეა კისტანის ღვთისმშობლის დღეობაზეც.“

„გუდანში – შატილივნების ცალკე სკამი დგას.“

„კისტანში სკამები არ არის, მაგრამ საბინაოებია. გუდანელების საბინაო ცალკეა, კისტანელებისა – ცალკე.“

*

ციხე-სოფელის მარცხენა მხარეს, ერთი პატარა ხეობაა. ოდესლაც – იქ, ორი სოფელი ყოფილა – ზეზე (ანუ, ზემო) და ქვექვე (ანუ, ქვემო) – იჯე.

აღნიშნული ხეობის შესასვლელში – მოგვიანებით, კისტნელები დასახლებულან და ახალი სოფელი დაუფუძნებიათ – იჯისკარი.

ზეზე იჯეში მცხოვრებ (ქისტური წარმომავლობის) ჩუმელაურებსა და იჯისკარე-ლებს შორის, უთანხმოება ჩამოვარდნილა. ხევსურებს მეზობელი სოფლები მიხმარებიან, ერთად დასხმიან თავს ჩუმელაურებს და გაუწყვეტიათ.

ხალხური მელექსე უფრო დაწვრილებით გვამცნობს ამ ამბავს: –

„კისტანში ობოლაურნი ჯარს ყრიან ხევსურისასა,

შატილით შატილივნების, გუროელთ ახლებისასა,

ჩქარობენ მამისაურნი, ომ ღგულავ თენებისასა,

მაუვლენ ბაბკიაურნი (პაპკიაურნი), ბოლოს ჰეგვან არწივისასა.

ომ იქნა ზეზე იჯესა, დაელნებას ჰეგვან ცისასა,

დალივნეს ჩუმელაურნი დილას, ამაეს მზისასა,

კვირობდნენ სისხლში გასვრასა ფერაულთ ფრანგულისასა.

გაიქცა ჰამაიკაი, გზა გაიტანა მთისასა,

მტრისაკე გაჯავრებული კბილით პირსა ხვრეტს ქვისასა.“

ლექსში მოხსენიებული ჰამიკაი, გადმოცემის თანახმად – შატილში, ჭინ-ჭარაულების ერთ-ერთ ქვეგვარს (თაიყათ) შეკედლებია და ხარ-ქვაბით შეყრია.

*

ამავე სოფელში მომხდარ სხვა ეპიზოდზე მეორე მელექსე შემდეგს გვამცნობს: –

„კისტანს მოვიდა ლაშქარი ლეკისა ახვაისაო,

აბულეთაურთ ციხესა კარი არ შახსნან ხისაო!

შიგა შავიდა ხოლიგა, თეთრი მანძილა ტყისაო...“

*

1813 წლის ზაფხულში, „ხევსურეთის დამსჯელმა ექსპედიციამ“ – კისტანი სასტიკად დაარბია.

შატილიდან გამობრუნებულ რუსის ჯარს ხევსურები ამავე სოფელთან – წყალწყალაში, ჩაუსაფრდნენ და სასტიკად გაუსწორდნენ.

ჭინჭარაულები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, როცა მეგანძურები გაიყარნენ, სამი ჭინ-ჭარაული ძმიდან – ერთი გუდანში დარჩენილა, მეორე – კისტანში გახიზნულა, მესამე – შატილში წასულა და ქაჩუს დამდგარა.

გ. თევდორაძის ცნობით: –

ჭინჭარაულების გვარი ორ მთავარ ფრატრიად – მგელიაურებად და კურდლე-ლაურებად არის გაყრილი.

მგელიაურების ფრატრიაში შედიან: – ბერლოჯანანი, აზუზიანი, ფანდურანი, ხა-

შიანი, უჭკუანი, მგელიაურნი, ყვირილანი, ჭინჭარანი, ნასთვლევანი, ხეცერაულნი, ყიზილანი და ხოსრონი.

ყურდლელაურების ფრატრიაში არიან: – მანგიანი, თიაყანი, კოკონი, შაბურანი, ჯალაბაურნი, ჯარიანი, გვიანანი, ყურდლელანი, მწოვანი, ამულეთაურნი, ავთანდილანი, სუმელჯანი, ჯაოხანი, ჩიჩინი და ივანიკანი.

*

არქეოლოგ გიორგი გოგოჭურის ცნობით: –

საჯინჭარაულო იყოფოდა შემდეგ ძირითად მამებად: – 1. საკურდლელაურო 2. სანადირაბო 3. ღულელნი 4. ლებაისკრელნი (მამისაურები) 5. კისტნელნი (ობოლაურნი) 6. ჭეჭყეთელნი (ბაბკიაურები) 7. შატილიონნი 8. მიცუელნი 9. არდოტელნი.

1. საკურდლელაუროში შედიან: – ვეფხვანი, ბურკვანი, ჯილალანი და ნადირნი.

ვეფხვანი არიან: – ჯარიანი, ნასთვლევანი, ხოსრანი, ყიშილანი და კურდლელისძენი (გუდანისა და ჭიეს მცხოვრებნი).

ბურკვანი არიან: – მშაველანი და თათარანი (გუდანისა და ზენუბანის მცხოვრებნი).

ჯილალანი არიან: – დავითანი, გაიდაურნი და უჭკუანი (გუდანისა და ბარისახოში მცხოვრებნი).

ნადირნი არიან: – ბუბუჩელანი, მგელიანი, ყვირილაურნი და ხაშიანი (ძეძეურთას და ბარისახოში მცხოვრებნი).

2. სანადირაბოში შედიან: – ხარშუანი, ფანდურანი, ალიანი და ჯანიკაურნი (ბერლოჯანანი და აზუზნი) – ჭიეს, უკანახოსა და ბარისახოში მცხოვრებნი.

3. საჭინჭარაულოში შედიან ღულელნი (სოფ. ღულში მცხოვრები ქისტაურები): – გამახარენი, ალუდნი (პეტრენი) და ხუტიანი (ანუ, იდუკანი, ბერდიანი, გაგანი, აძიკანი და ქოჩიანი).

4. ლებაისკრელი მამისაურები არიან: – ბოსელანი და გვიანაურნი.

5. კისტნელი ობოლაურნი არიან: – აბულეთაურნი, ათანდილანი, ივანიკანი, მგელიკანი და ჯულურანი.

6. ჭეჭყეთელი ბაბკიაურების მამიშვილობა მითითებული არ არის.

7. შატილიონ საუთურგაულოში შედიან: – ჯალაბაურნი, გილიკაურნი, ბულაურნი, შაბურანი და მანგიანი.

შატილიონ საგილიკაუროში შედიან: – გოგოთურანი, ბაგრატაულნი, ბეკოურნი და თიაყანი.

8. მიცუელნი არიან: – შეთეკაურნი (ქასანნი და თაძიანნი); დაიაურნი (წიქანი და ჯოყოლანი (სუხიაშვილები, ხაძეშვილები); გიონი (სამუკანი და ზვეხენი).

9. არდოტელნი არიან მურლვანი და ზვიადაურნი, ბაისერანი.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, გუდანის შემდგომ, ჭინჭარაულები თან-დათან დასახლდნენ: – ზენუბანში, ჭიეს, ძეძეურთას, ბარისახოში, უკანახოში, კისტანსა, ლეპაისკარსა და შატილში.

ყველა აღნიშნულ სოფელს ჭინჭარაულთ თემს უწოდებდნენ.

მათი დედასოფელი გუდანია.

*

ჭინჭარაულების ბარისახოში დასახლების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს:

– გუდანში, ხევს გაღმა, სოფლის ძირითადი დასახლების პირდაპირ მდებარე მინდორზე, რომელსაც ვეძისვაკეს ეძახიან, ცხოვრობდა ვინმე ელგუჯა, მამაშვილობით ბერლოჯანი, რომელიც მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. მის ფეხმძიმე ცოლს ვაჟი შეეძინა და მასაც, მამის პატივსაცემად – ელგუჯა დაარქვეს.

ანდრეზის თანახმად, ელგუჯა ელგუჯას ძე ბარისახოში მიდის და მისი შთამომავლობა იქ მრავლდება.

რაკი მათი წინაპარი დედის მიერ (უმამოდ) გაზრდილი იყო, ბარისახოელმა ჭინჭარაულებმა – გუდანში, დედის პატივსაცემად დააწესეს ხატობა, რომელსაც ქალქალიშვილობას ეძახიან.

დღეობაზე მისულ ჭინჭარაულებს იქ ჯანიკაურებად მოიხსენიებდნენ.

დამწყალობების დროს, ხუცესი იტყოდა: – „ჯანიკანურო გამრავლდითო.“

*

ბარისახოში ცხოვრობს ჭინჭარაულების მეორე მამიშვილობაც – აზუზანი.

ისინი ჭინჭარაულებმა იძმეს, რომ გვარი უფრო მრავალრიცხოვანი ჰქონდათ (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ.).

ციტირებული მკვლევარის ცნობით, ჭინჭარაულების საკუთარ (საგვარო) სალოცავში, რომელსაც ნახარელა ღვთისმშობელი ენოდება და გუდანის ჯვარის ქვემოთ მდებარეობს – „ამაღლების სწორზე, ქალ-ქალიშვილობის დღეობას მართავდნენ – აზუზნი და ბერლოჯანანი.“

ეს ორი მამა ერთმანეთის ახლო განაყრები არიან.

გადმოცემის თანახმად, მათ პაპას ვაჟიშვილი არ ჰყოლია... ბევრი მსხვერპლი შეუწირავს, მაგრამ ისევ ქალი შესძენია.

„მათ მეზობელს კი, იმავე დროს – ვაჟი..“

ერთ ლამეს, ქალ-ვაჟის დედები ერთად ყოფილან. გადაუხედიათ გარეთ და დაუნახავთ, რომ ნახარელას მიდამო განათებული იყო.

ხთიშობელს, თურმე, ხთიშვილნი მოუგიდნენ სტუმრად და ზეიმობდნენ.

ქალის დედას უთქვამს: –

„დაილოცენით, ათასიმც მადლი გაქვთ, ნუმცარაით შამისაწყინდებითო.“

ვაჟის დედას უთქვია: –

„დაგწყვევლნასთ ღმერთმ, ქვე რეებილ ანათებებ აი ნახარელასო.“

„დილას რომ ამდგარან, ქალის დედას ვაჟი აუყვანია თავის აკვნიდან და ვაჟის დედას – ქალი.“

„ქალის დედის მადლის მათხოვნაზე მისი ქალი ხთიშვილთ ვაჟად მოუქცევიათ. ვაჟის დედის დაწყევაზე კი, მისი ვაჟი – ქალად.“

„ეს ვაჟი იყო აზუზთა და ბერლოჯანათ პაპა.“

„იმისი შთამომავლობა გამრავლებულა და შექმნილა ორი მამა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 232-233).“

*

უკანახოს – ჭიედან, ჭინჭარაულების ფანდურაანთ და ხარშუაანთ მამიშვილობები გადასახლდნენ;

გუდანელი ჭინჭარაულების საკურდლელაუროს მამიდან უკანახოს მოსულან: – ბუზვანი და ფშაველანი; სანადირაბონიდან: – ხარშუანი, ფანდურანი, ჯინჭარანი, გარიელანი, გუგუანი, ხახანი და ბათირანი.

*

განასხვავებენ გვარ-ძველ და შეყრილ-შემოფიცულ ჭინჭარაულებს.

ხევსურეთის გარეთ, ჭინჭარაულების ათეულობით შტონაყარი გვარი სახელდება, კერძოდ: –

ერწო-თიანეთში: – თოთიაურები, იდუკაშვილები, ფარეშიშვილები, ხიბლაშვილები, სუხიაშვილები და დავითაშვილები.

არაგველი – უთრუგაშვილები, ჩხუტიაშვილები, ხევსურიშვილები, ბანცურები, სინჯარაძეები, ჭინჭარაშვილები, ხულუზაურები, ბენუაშვილები, ქოჩორაშვილები და ჭრელაშვილები.

ფშაველი მისრიაშვილები;

მთიული არაგველებიდან: – კეკიშვილები და დარძულიძენი;

ქსანის მთიულებიდან: – გამხიტელაშვილები და მარტიაშვილები;

*

ჭინჭარაულთა გვარის წარმომადგენლები არიან: –

XVII ს-ის I ნახევარში მცხოვრები სახალხო გმირები – აბა და მაშველა ჭინჭარაულები.

კრწანისის ომიდან ცოცხლები დაბრუნებულან მამა-შვილი მგელა და აბა ჭინჭარაულები – კურდლელას ძენიდან; მგელიაურთიდან – ოთხ ძმას უსახელებია თავი: ბერდიას, ხირჩლას, ივანეს და ნუნუას.

ალაზნის ველზე ჩამოსახლებულ ყიზილბაშებს ღვთის რისხვად ევლინებოდა შურისმაძიებელთა რაზმი – გურგენა ჭინჭარაულის წინამძღვრობით.

ბაძია ჭინჭარაული ცნობილი დასტაქარი ყოფილა (თვითონ ამზადებდაო წამლებსაც).

ჭინჭარაულთა გვარიდან მოდიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები: –

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი ჭინჭარაული – გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, 7 მონოგრაფიისა და 250-მდე

გამოკვლევა-თეზისის ავტორი.

„მკითხველი და მსმენელი საზოგადოება მას იცნობს, როგორც სახუმარო-სალა-ლობო მაქსიმების დიდოსტატს; ღვედივით მოქნილი, შოლტივით მოქნეული სიტყვის ავტორს; სამაგალითო მეცნიერსა და მელექსეს...“

„უყვარდა სამეგობროს გულითადი ტაბლა და მამა-პაპური მოლხენა; წასულების გახსენება, შესანდობრები და მათი ჩანადინარის თხრობა; საგმირო ამბებით ტკბობა, თრობა და ხანდახან ღამეების თეთრად თენებაც“ (ამ. არაბული, ეთ. თათარაიძე).

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მიხა ჭინჭარაული, ოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

მშვენიერი წიგნი – „შატილი“ მიუძღვნა მან თავის მშობლიურ კუთხეს.

გური

კისტანის შემდეგ – ხეობა ერთბაშად ვიწროვდება, თითქმის, ერთმანეთს ებჯინება მთის კალთები. „მანამდე წყნარი, დატოტვილი და მდორედ მდინარე შატილის წყალი – უცებ ბრაზიან, შმაგ მდინარედ იქცევა (თ. ოჩიაური).“

შატილამდე 7,5 კმ-ზე მდებარეობდა სოფ. გურო, რომელიც თავისი ცნობილი გალავანშემორტყმული ციხით, მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო – არხოტში, ისართლელის უღელტეხილით (ჭანის ხეობაში) გადამავალ გზაზე.

ლებასკარისა და კისტანისაგან განსხვავებით, გურო-გიორგიშვილი – გოგოჭურებით იყო დასახლებული.

მათი მამიშვილობა წარმოდგენილი იყო ქერხოსანანის სახით. ცხოვრობდნენ აგრეთვე: – „ერთი კანათათ მამის კაცი – თორელი და ქაცუაურნი – რომლებიც კიდევ იყოფოდნენ მამებად“: – სოსანანად და კვირიკანად. ისინი ერთი-მეორის შორეული განაყრები არ არიან – „თავ-თავის პაპების სახელზე წარმოიშვა ახალი მამები“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ქრა-ქრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 92).

1855 წელს, გუროში – 31 კომლი სახლობდა 62 მამაკაცი და 43 ქალი (ძირები: – ახურანი, ქაცუაურნი და ბაჩაყაურნი; მამები: – ბათაკანი და სუიკანი; მამიშვილობები: – სანათასძენი, თამარისძენი, სადარანი, დევანი, ბათაკანი, კანათანი; ქერხოსანი: – თათუანი, წიქანი, ბათირანი და ომანი);

1926 წლის აღნერით – გოგოჭურების 5 კომლი დარეგისტრირდა (20 სული).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008წ.), გოგოჭურების საგვარეულო კოშკი, რომელსაც „ბათაკეთ ციხეს“ უწოდებდნენ, XVII-XVIII სს განეკუთვნება. ხუთსართულიანია (სიმ. 15 მ.), ნაგებია ფიქლით და ნატეხი ქვით. გადმოცემის თანახმად, მასზე არაერთი ქისტის მარჯვენა ყოფილა გაკრული.

გურო-გიორგნიდელთა მთავარი სალოცავი გუროს სანება (სახმთო) იყო, რომელიც „პირველად, სოფლის მაღლა მთაზე დაარსებულა.“

რაკი ზამთარში ხალხის მისვლა – იქ, ძნელი იყო, მერე – ჩამოსულა და სოფლის ახლოს დაბრძანებულა.

ამ ჯვარს ბუდე-ხევსურეთში ჰყავდა ორი მოძმე: – გუდანის სახმთო ჯვარი და უკან-ხადუს ცროლის სანება (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, 2005 წ. გვ. 286).

*

1813 წლის ივნისში, ალექსანდრე ბატონიშვილის შესაპყრობად შატილში მივლინე-
მულ რუსეთის სადამსჯელო ექსპედიციას, გუროზე უნდა გაევლო.

გენერალმა სიმონოვიჩმა ბატონიშვილს ჩაბარება მოითხოვა.

ხევსურებმა, რომელთა გვერდით მოხევეები და ქისტებიც იდგნენ, მისი ელჩი სი-
ცოცხლეს გამოასალმეს.

მოხდა დიდი სისხლისმღვრელი შეტაკება.

რუსეთის რეგულარულმა ჯარმა – ოთხი მხრიდან, ოთხი სარდლის მეთაურობით
შეუტია ხევსურეთის ამ პატარა სოფელს.

მთიელები თავგამეტებით იბრძოდნენ, დაუფიქრებლად მიდიოდნენ სიკვდილზე
და წინ – მათი თავისუფლების ხელმყოფთ იმძღვარებდნენ... ბოლოს, „ხელჩართულ
ბრძოლაში გადაეშვნენ და ველური აღტკინებით ეკვეთნენ მტერს.“

უსასტიკესი და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, რომელმაც 36 საათზე მეტხანს
გასტანა – გური დაეცა.

ბრძოლაში 700-მდე ხევსური დაიღუპა გმირის სიკვდილით.

რუსებმა სოფელი დაანგრიეს, გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს.

ჯერი შატილზე მიდგა.

გიორგინმინდა

სოფელი ხევსურეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, თანამოსახელე
მდინარის მარჯვენა მხარეს, ზ.დ. 2000 მ-ზე.

სახელწოდება – იქ არსებული წმინდა გიორგის სათემო სალოცავთან არის დაკა-
ვშირებული.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით – ე.წ. ციხეთგორაზე გამოვლენილი სამაროვანი
ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება.

გათხრებით გამოვლინილი: – მოშავო და ლეგამონაცრისფრო ზედაპირიანი, მსხ-
ვილკენჭებნარევი და ქსოვილიანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს მავთულის ორრკალ-
ნახევრიანი სამაჯური, ხვიები, რგოლები და ძვლის სახვრეტები – დუშეთის არქე-
ოლოგიურ ბაზაშია დაცული.

სამაროვანის მახლობლად, მდინარის მარჯვენა ნაპირზე – ე.წ. „ნასისხლართან“,
ძველი ნამოსახლარი ფიქსირდება.

როგორც მ. ჭინჭარაული გვამცნობს (შატილი, 2008 წ.): –

„გიორგინმიდაში“, ადრე, ფშავლები ცხოვრობდნენ.

ლეკების ლაშქარს გაუწყვეტია ისინი.

სადაც მათი შეტაკება მოხდა, იმ ადგილს ეძახიან „ნასისხლარს...“

„ლეკების შემოსვის შემდეგ, გიორგინმინდის ხეობის შესასვლელთან, არღუნის
მარჯვენა მხარეს – ლამაზი, მაღალი კლდის თავზე აშენებულ ქავ-ციხეში ცხოვ-
რობდა – შატილიონი ჯალაბაურების სიძე, საგინა გიორგინმიდელი“, რომელმაც – იქ,
„ბართლომეს ღამე“ მოუწყო, თავის მოყვრებს – შატილიონ ჯალაბაურებს.

ამ ხოცვა-ულეტის შემდგომ, შატილელებს დაუკავებიათ ეს ოხრად დარჩენილი
მამულები და, XIX ს-ის ბოლოს მიუყიდიათ – გუროელი გოგოჭურებისთვის.

1926 წლის აღნერით – იქ, გოგოჭურების 39 კომლი სახლობდა (176 სული).

*

1901 წელს, ორ სამაგანძურო გვარს (ანუ, გურო-გიორნმინდისა და შატილის მო-სახლეობას შორის), სამეზობლო საზღვრის დარღვევასთან დაკავშირებით (რომელსაც მდინარეზე გადებული „მაღალხიდი“ ჰყოფდა), საშინელი სისხლისღვრა მოხდა, რომელსაც ოცამდე კაი ყოის სიცოცხლე შეეწირა.

სისხლიანი შეტაკების ადგილს – „ნაშუღლარს“ ეძახიან.

ათეულობით წლები დასჭირდა ამ ორი მონათესავე გვარის შერიგებას და გაუთავებელ მესისხლეობას.

ჯალაბაურები

ერთი ვერსიის თანახმად, ჯალაბაური შატილელი ჭინჭარაულების მამიშვილობაა და „უთორუგაულთ ძირის ერთ-ერთ მამას წარმოადგენდნენ“ (რ. ხარაძე).

ალ. ოჩიაურის ცნობით: – ჯალაბაური შატილის დამოუკიდებელი გვარია, რო-მელიც „კაცრიელებით და სიამაყით გამოირჩეოდა.“

„ხევსურეთშიც ამაყობდნენ და ფშავსაც ანუხებდნენ“.

ეს გამხდარა მათი ხევსურეთში ამონვეტის და მეზობელ ტომებში (ფშავსა და გუდამაყარში) მიგრაციის მიზეზი.

განსაკუთრებული სიამაყით, თურმე, თათარ ჯალაბაური გამოირჩეოდა, რო-მელიც ადათ-წესების დარღვევას არ ერიდებოდა.

სოფელს მისი საქციელი არ მოსწონდა, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ეუბნებოდა.

თათარს ხუთი ვაჟი (მათ შორის შატილის ციხისთავი ვარდან ჯალაბაური) და ერთი ქალი „ჰყავნდა“.

„ეს ქალი გიორგინმინდელ საგინას მაუყვანავ ცოლად.“ მისი ცოლიძმებიც „თა-ვაყრილ ხალხი ყოფილან,“ ჩაგრავდნენ, თურმე, სიძეს – ართმევდნენ ყველაფერს.

„რო აღარ მაასვენეს“ – საგინამ „მათი დალევა“ გადაწყვიტა და დახმარებისათვის გარა თურმანაულს მიაკითხა ფშავში...

ფშაველ თურმანაულებსა და შატილელ ჯალაბაურებს – იმ დროს, სისხლ-მოსისხ-ლეობა ჰქონიათ ერთმანეთში.

გადმოცემის თანახმად: –

ფშავლებს – ჩეჩინეთიდან მოტაცებული პირუტყვი შატილის გავლით მიჰყავდათ. იქ გათხოვილი თუშის ქალი გამოჰყოლიათ უკან, შატილელი ჯალაბაურების გაზ-რდილი – „მაგ პირუტყვში ჩემი საქონელიც ურევია და ნუ წაიყვანთო.“ ერთ ფშავ-ელს სამკლავიანი ნიდაყვი უკრავს სახეში. სისხლი დასდენია ქალს და ასეთი მისულა ჯალაბაურებთან.

თოფით მოუკლავს ის ფშაველი ვაჟუსძე ჯალაბაურს – თავისი ქვითკირიდან...

*

რაკი ჯალაბაურების სისხლი საძიებელი ჰქონდათ, გარა თურმანაულმა და საგი-ნამ „პირობა დასდვეს“.

გიორგწმინდელმა ლუდი დაამზადა, „დანიშნულ ღამისად“ ცოლეურებს თავი მოუყარა და გარა თურმანაულიც მოადგა მათ – ფშაველთა ლაშერით.

იელნარევი ლუდით კარგად შემთვრალი ჯალაბაურები დანდობილად, უიარალონი დახვდნენ მტერს.

დარევიან ფშავლები და ამოუწყვეტიათ ჯალაბაური ძმები (ვარდანა, ყამარისძე და მგელურა).

მხოლოდ წიქა ჯალაბაური გადაარჩინა, თურმე, მეგობარ ქალთან ყოფნამ.

გარას ლაშქარი – გიორგწმიდიდან „შატილს დაეცა ჯალაბაურთ ქვიტკირს.“

იქ დარჩენილი ჯალაბაურები ისე ამოხოცეს, მათი გვარის მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელებილა დარჩენენ: –

„შატილს ქავის კარს ატირდა ჯალაბაურის ქალია;
აღარ მავიდის წასული მჭედლურ და წიქა, ძმანია...“

*

ასეთი ხოცვა-ულეტის შემდგომ, გარა თურმანაულმა „მაიყვანა საგინაი და თავის სოფელში, გოგოლაურთაში დააყენა. ადგილ-მამულიც აქ მისცეს და სახლ-კარის გაკეთებაც უშველეს. ეხლადაც იმათი ჩამომავლობა გოგოლაურთას – ხახონიშვილობით ეწერებიან“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ.).

თურმანაულებსა და ჯალაბაურებს შორის დიდი მტრობა ჩამოვარდა.

ორმა გადარჩენილმა ჯალაბაურმა ძმამ – წიქამ და მჭედლურმა გააგრძელეს ფშაველთა სისხლის აღება.

მტრობას, რომელიც ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა, დიდი მსხვერპლი მოყვა ორივე მხრიდან.

ბოლოს, სხვადასხვა თემის უხუცესებმა მოსისხლენი შერიგებაზე დაითანხმეს. „ადულეს ლუდი, ერთი ხარი დაკლეს და ლაშარის ჯვარში ერთად შეყარეს.

კენჭებით დაითვალეს ორივე მხარის მსხვერპლი. ჯალაბაურების მოკლულებმა გადააჭარბეს ფშაველებისას, მაგრამ რაკი სისხლის აღება უნდა დამთავრებულიყო. ფშაველმა ხევისბერმა – ჭარბი კენჭები პეშვით შეაყარა ლაშარის ჯვარს და წარმოსთქვა: –

„შენნიმც ყმან იქნებიან დღეის შემდეგ ჯალაბაურნიო“.

ამბობენ რომ: – ჯაჭვი და ლაშარის ჯვარის სამსახური ჯალაბაურებმა მაშინ დაიდვეს.

„შეუკაცებმა ორი ჯალაბაურთ ყმანვილი... დააყმეს ლაშარის ჯვარს – მტკიცე ზავის ნიშნად.“ ისინი სალოცავის მიმდებარედ დაასახლეს. ერთმა მათგანმა მჭედლობა ისწავლა და „დღეისნამდის მაუდის იმათ გვარს მჭედლობაი...“ იმათ ადგილს მისრიანთკარი დაერქვა და ისინიც „მისრიაშვილებად დაეწერნეს, ხოლოთ ამათ ძირითად გვარ კი ჯალაბაური ას. ისინი დღესაც იქავ არიან და კა განწყობილობაი აქვთ შატილის ჯალაბაურებთან (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 251).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, წიქასგან გამრავლებული ჯალაბაურნი – ზოგი ფშავში დასახლებულა, ზოგიც გუდამაყარში – ნაწილი თიანეთში წასულა.

როგორც გ. თევდორაძე გვამცნობს, ჯალაბაურებიდან მოდიან: – არჩემანი, მურღვანი, კოჭლანი და ცინკორანი („ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში,“ 1930 წ.).

შატილი

შატილის ჭალა იმდენად ვიწროა, ერთ ნაპირზე წაქცეული ხე, მეორე ნაპირს წვერს გადაუწვდება, ხიდად გაიდება... სოფელი ხეობაში ისეა შემჯდარი, ვიდრე ზედ არ წაადგები, ვერსაიდან მოჰკრავ თვალს (თ. ოჩიაური).

მთის არქიტექტურის ეს იშვიათი ძეგლი, ანუ, მტკიცედ შეკრული ციხე-სოფელი – კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, საქართველო-ინგუ-შეთის საზღვარზე, მდინარე შატილისწყალისა და არღუნის შესართავთან, ზ.დ. 1400 მ-ზე.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (ნ. ანდლულაძე, თ. დვალი, 2008 წ.): –

გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

განთავსებულია მიუვალი მთის კეზზე. უკავია 1 ჰა ტერიტორია და ერთმანეთზე მიდგმული ციხე-სახლებით ქმნის ერთ მთლიან თავდაცვით სისტემას.

მისი სამედოვ ჩაკეტილი ზღუდე, რომელიც რელიეფს მიუყვება, ერთმანეთთან მიჯრით მდგარი შენობების გარეთა კედლებია.

შესასვლელი – სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აქვს – მდინარეზე გადებული ხის მორების ხიდით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად აიყრებოდა – სოფლის ჩასაკეტად.

კარიბჭედან, ქვის კიბით იწყება – ორი-სამი მეტრი სიგანის ვიწრო ქუჩა (ე.წ. „ინგური“), რომელიც შენობათა შორის არსებულ რთულ რელიეფს აუყვება, სოფელს შუაზე ყოფს და მის ჩრდილოეთ კიდემდე აღწევს.

წინათ – შინიდან გარეთ გამოუსვლელად შეიძლებოდა სოფლის შემოვლა.

შემორჩენილი ხის კიბეები, შენობათა ზედა სართულებს, ჭერში გაჭრილი ხვრელებით აკავშირებდა ერთმანეთთან.

თავდაცვითი საჭიროებიდან გამომდინარე – ციხე-სოფლის შენობები, რელიეფის შესაბამისად ისე იყო ტერასულად განლაგებული, რომ ერთი სახლის სახურავი – მეორს ბანს წარმოადგენდა.

სოფლის ძირითადი ნაგებობები ციხე-სახლებია (ქვიტკირები).

საცხოვრებელ სართულზე მოწყობილი ჰქონდათ კერა, იდგა ოჯახის უფროსის სა-ვარძელი – გრძელი ზურგიანი სკამი და გეომეტრიული ჩუქურთმით შემკული ავეჯი.

თავდაცვითი სართულის ოთხივე კედელში სათოფურებია მოწყობილი.

სოფლის დასაწყისში – დასავლეთის კიდესთან, ოთხკუთხა, ცალმხრივ გახსნილი – ფიქლით ნაგები შენობაა, ე.წ. საფიხვნო – საჭირბოროტო საკითხებზე მამაკაცები-სთვის სამსჯელოდ თავშესაყრელი ადგილი.

მის მახლობლად – სამრევლოა. იქვეა საქონლის საბძლური და სალუდე.

წყალგალმა, შატილისწყალის ვიწრო ტოტთან, ადრე, წისქვილები ყოფილა. წყალ-გალმა იყო სოფლის სასაფლაოც.

შატილი ოთხი ძირითადი უბნისგან შედგებოდა: – ზენაუბანი, შუასოფელი, ქავი და ქვენაუბანი. ზოგჯერ, მამიშვილობათა დასახლებასაც გამოყოფდნენ: – თიაყათ კარი, ანატორელთ კარი და სხვ. (მ. ჭინჭარაული, შატილი, 2008 წ.).

*

შატილიონი ჭინჭარაულები საუთრუგაულოდ და საგილიკაუროდ იყოფიან.

გილაკაურებიდან მოდიან: – ბაგრატაულნი, კოკონი, თიაყანი და გოგოთურანი (რომლებიც XIX ს-ში გათავდნენ). უთურგაულებიდან: – ბადურიკანი, ბულოურნი, მანგიანი, შაბურანი და ჯალაბაურნი (მ. ჭინჭარაული).

ვახტანგ მეფის „დასტურლამალის“ ერთ-ერთი მინაწერის შესაბამისად (ჩლპთ) – ანუ, 1789 წელს, პირიქითი ხევსურეთის სოფლები: – კისტანი, გური, შატილი, ხახაბო და მუცო – სადედოფლო ყოფილა, ანუ, დედოფლის გამგებლობაში შედიოდა.

*

შატილი ბევრი უბედურების მომსწრეა: –

1812 წელს, რუსთაგან დევნილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, შატილში – (გოგოთურთ მამიშვილობის) ბაბლია ჭინჭარაულის ქვიტყირს შეაფარა თავი (სადაც ერთნლამდე დარჩა).

ეს განაპირა კოშკი – ადრე, მტერს მოკვეთილი მარჯვენებით ყოფილა „მორთული.“

1813 წლის ზაფხულში, როცა ბატონიშვილის მდევარმა სადამსჯელო ექსპედიციამ გური მიწასთან გაასწორა – ჯერი შატილზე მიდგა.

რუსებმა ზარბაზნებით და 2500 ჯარისკაცით შეუტიეს ციხესოფელს, რომელიც, საუკუნეების განმავლობაში, ხევსურეთის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის სიმბოლოდ იყო ქცეული.

შატილიონი ტყვიებზე წავიდნენ, ხმალდახმალ გადაეშვნენ და, თითქმის, მთლიანად შეაწყდნენ რიცხვმრავალ მტერს.

ბრძოლაში 600-მდე ხევსური, ქისტი და მოხევე გაწყდა.

რუსები მკაცრად ასაიდუმლოებენ დანაკარგებს. ხევსურეთის ამ სამკვირიან ხოცვა-ულეტას ისინი – თავიანთი სამხედრო ისტორიის გამორჩეულ მოვლენად მიიჩნევენ.

„ისინიც კი, ვინც სუვოროვთან ერთად ალპები გადალახეს, აღიარებდნენ, რომ ეს ექსპედიცია გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ალპური...“

რუსებმა ოცზე მეტი სოფელი გადაწუგეს, გადაბუგეს და მიწასთან გაასწორეს – სისხლით მორწყეს მთელი ხევსურეთი.

ბატონიშვილმა რკალი გაარღვია და დაღესტანში გადაიხვენა.

*

1843 წლის 15 ივნისს, შატილს დასარბევად მოადგა შამილის სახელგანთქმული ნაიბის, ახვერდი ხანის, ხუთიათასკაციანი ლაშქარი.

თავდასხმა რიგით მერვე ყოფილა.

შატილიონი სიმაგრეებში შეიკეტნენ. ეს ერთი მუჭა ხალხი სამი დღის განმავლობაში იგერიებდა სასტიკ შეტევას.

ორმოცდაათამდე მომხდური ამოხოცეს;

ახვერდი ხანი სასიკვდილოდ დაჭრეს და მისი სირცხვილნაჭამი ლაშქარი დიდად დაზარალებული აიძულეს – უკან გაბრუნებულიყო.

ომის ნადავლში, რომელიც მტერმა ადგილზე დატოვა, აღმოჩნდა ბეჭმი ტყვიით

გახვრეტილი ნაბადი ახვერდისა, რომელსაც დიდხანს უფრთხილდებოდნენ ხევსურები, როგორც ძვირფას რელიკვიას (ა. ზისერმანი, მოგზაურობა შატილში, „კავკაზი“, № 18, 1847 წ.).

გაირკვა, რომ შატილიონთა ამ გმირობამ შამილის უფრო დიდი გეგმები ჩაშალა და ამით რუსეთის საიმპერატორო კარის ყურადღება მიიპყრო: –

უზენაესი განკარგულებით: –

გარდა რამდენიმე გიორგის ჯვრისა, მედლებისა და სამასი ჩარექი პურისა, ხევსურებმა მიიღეს ხუთი ფუთი თოფისწამალი და ათი ფუთი ტყვია...

ახვერდ-მაჰმადისგან დანგრეული ქართული სალოცავის ნაცვლად, შატილში რუსული ეკლესია აშენდა; სოფელს შემოერტყა გალავანი და მის კედელში („იმ უღიმდამი სამლოცველოს მახლობლად“), ჩატანებულ იქნა დაფა, რუსული და ქართულენოვანი წარწერით: –

„უმაღლესის ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთად – დამარცხებისათვის ახვერდი მაჰმადისა და მისთა შეყრილთა ჯართა ჩყმგ (1843) წელსა შინა. აღშენებულ არს განკარგულებით კნიაზისა ნამესტნიკისა ჩყმთ (1849) წელსა.“

*

1855 წელს – შატილში 43 კომლი სახლობდა (99 მამაკაცი და 92 ქალი);

1926 წლის აღნერით – ჭინჭარაულების 50 კომლი დარეგისტრირდა (213 სული).

1970 წელს დაიწყო ციხესოფლის სარესტავრაციო სამუშაოები.

1972 წელს ჩატარდა 12 კოშკის არქეოლოგიური კვლევა.

1998-2000 წ.წ. მსოფლიო ბანკის ეგიდით მოპოვებული გრანტით, არქიტექტორმა ვაჟა ჭინჭარაულმა შატილის რესტავრაციის ძირითადი სამუშაოები ჩატარა.

2019-20 წ.წ. საქართველოს ძეგლთა დაცვის სამსახურმა აღადგინა დაზიანებული ორი კოშკი.

ანატორი

შატილიდან 2-3 კმ-ზე მდებარეობს, მდინარე არღუნის და მიღმახევის შესაყართან – კლდოვანი მთის კონცხზე – სადაც, არქეოლოგიური გათხრებით, XI-XV სს, ტერა-სულად განლაგებული, ფიქლით ნაგები, ბანურსახურავიანი ნაგებობები გამოვლინდა.

აღნიშნულის მიმდებარედ – „ერთმანეთზე მიჯრით ნაგები, ქვის სიპებით თავშეკრული“ აკლდამებია – სავსე ადამიანთა ძვლებით, რომლებიც: – „მნახველთა ხელით უთავბოლოდ აყრილ-დაყრილი – სიპის სკამ-ლოგინებზეა მიმოფანტული.“

ანდრეზის თანახმად: –

„თამარ მეფეს, აქ, თათრები უხოცია...“

„ტრედივით დაფრინავდა, თურმე, მთიდან მთაზე...“

„ისეთ ლურჯა ცხენზე იჯდა, მიწა ვერ უძლებდა და – კლდეებზე ატარებდა...“

„მისი ტორები კლდესაც მიწასავით „ჭლიკნავდა“.“

„ჯვარისკენ მიმავალ ბილიკზე კლდეში არის რამდენიმე ასეთი „ნაჭლიკარი“. წყალს – კლდე ისე „ამოუჭამია“, რომ მართლა ჰგავს ცხენის ნატორალს – „ანატორს“ (ალ. ჭინჭარაული).

ნასოფლარის მიდამოებში თავს იყრიდა ჩეჩინეთ-ინგუშეთიდან, დაღესტანიდან, თუშეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან და ქართლ-კახეთიდან მომავალი გზა-ბილიკები.

ოდესლაც, იქ სიცოცხლე დუღდა; ანატორის ჯვარი ჯვრობდა და წარმართი საყ-მოს სამსახურს იღებდა.

ტყიან კონცხზე მდებარე მთავარანგელოზის ჯვარს, წარმართობის ჟამს – ანატო-რის ჯვრად მოიხსენიებდნენ.

„წმინდა ნადირის“ (ჯიხვის, არჩვის, შველის) მფარველი – ძლიერი სალოცავი იყო. ახლომახლო მცხოვრები ქისტები და პირიქითელი ხევსურებიც ლოცულობდნენ.

საიდან მოსულა არავინ იცის, რადგან ადრინდელი თავისი ყმები – ანატორელები, რაღაც დანაშაულისათვის სულ ამოუწყვეტია (ვ. ბარდაველიძე).

სალოცავის შემადგენლობაშია: – დარბაზი, დარბაზის კარი და საზარე.

დარბაზი – ფიქლის მშრალი წყობით ნაშენი, ოთხკუთხა ნაგებობაა. კედლებად, სამი მხრიდან – კლდე არის გამოყენებული.

საზარე – დარბაზის სამხრეთ კედლელთან მდგარი – მცირე ზომის კოშკისებრი ნაგებობაა.

გადმოცემის თანახმად: –

არხოტისა და ხონის ჯვრები – ანატორის ჯვარის მოძმენი არიან.

დღეს, სამივე მთავარანგელოზის სახელწოდებით მოიხსენიება.

უფროსად არხოტის ჯვარი სახელდება, მეორე – ანატორის ჯვარია, მესამე – ხონის ჯვარი.

„ძალი და შეძლება მათ მეტ-ნაკლები ჰქონდათ – უფროს-უმცროსობის შესაბამ-ისად.“

*

აკლდამების სამხრეთ-დასავლეთით, მთის ციცაბო ფერდობზე, მარიამწინდის დარბაზული ეკლესია დგას ($8,4 \times 4,5$ მ.). განეკუთვნება IX-X სს. დასავლეთიდან გვი-ანდელი მინაშენი ეკვრის.

ძლიერ დაზიანებულია.

არქეოლოგიური გათხრებით, ინტერიერში გამოვლინდა შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილი ოთხნახნაგა სანათლავი.

აღმოჩნდა, VIII-IX სს-დან XII-XIV სს-მდე პერიოდის, ინვენტარი (მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატეხები, სამაჯურები, სათითეები, მონეტები და სხვ.), რომელიც დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

*

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით – მაღალი, მიუვალი კლდის თავზე, ქაჩუს ციხის კომპლექსია განთავსებული. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ერთ-მანეთის გვერდით განლაგებული ოთხი ციხე-სახლი ერთიან სათავდაცვო სისტემას ქმნის. მათ შორის კავშირი – ვიწრო (1-1,3 მ.) გასასვლელებით მყარდებოდა.

ანატორელი სისაურები

ერთი (ალბათ, უფრო ადრინდელი) ანდრეზის თანახმად – ოდესლაც, „ბევრი ხალხი – შვიდ მამამდე ყოფილან ანატორის ჯვრის უნჯი ყმანი.“ „მათ ეკუთვნოდა, თურმე, მთელი შატილის მთა-ბარი“ (წარმომავლობა არ სახელდება).

მერე მოსულან ჭინჭარაულები – „ძალით შეხიზვნიან ქაჩუს ციხეს... დაუწყიათ მათი შევიწროება – ადგილ-მამულების წართმევა და აყრა-გადაშენება.“

ანატორელებს, ერთხანს, უძლევია კიდეც ისინი – წყლის მოსატანადაც ვერ ბე-დავდნენო – ციხის გარეთ გასვლას; „ქარაფის ძირას, მდინარე არღუნამდე, ნარ-თის გორგლები ჩაუშვიათ, მისი გამონაწური უსვამთ“, მაგრამ ანატორელთა ყოფნა-არყოფნა – ბოლოს, თურმე, ღვთის რისხვამ გადაწყვიტა:

„ვიღაც გიუ ანატორელს სალოცავის ხატისტვის მხარი მოუტეხავს. გამწყრალა ღვთისშვილი და უამი გაუჩენია, არ დაუწყდვია არც ის, არც თავისი საყმო.“

„მარტო ერთ დღეს – სამოცი ხმლიანი დაწოლილა სასიკვდილო სარეცელზე.“

„უამთაგან ისარ-ნაკრავი, ჯერ ისევ ცოცხალი ავადმყოფი შედიოდა აკლდამაში, ითავისუფლებდა ადგილს და წვებოდა სიკვდილის მოლოდინში.“

სოფელი აღიგავა პირითგან მიწისა.

„წყლის ავი შეუილი და მიცვალებულთა საცავების მტკნარი სიჩუმე“ – აკლდ-ამებთან ურთიერთს ერთვის.

მნახველს კარგა ხანს მიჰყვება იქ მიღებული მძიმე განცდა.

*

მეორე (ალბათ უფრო გვიანდელი) ეთნოგრაფიული ვერსიით, ჩეჩინეთის სოფ. ჭან-თეთიდან, ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტეთის სოფელ მიზუში (ალბათ, XV საუკუ-ნეში) მისულა – მკვლელობის გამო თავგამორიდებული კაცი, რომელიც – მერე, ჯარეგაში დამდგარა ამანათად.

მისი ორი ვაჟი – სანაგი და ნიქორი, მოგვიანებით, ხევსურეთის სოფელ ანატორში გადმოსახლდნენ – ქისტეთის მოსაზღვრე თავისუფალ ადგილზე.

მათი გვარი იყო სისვაური.

ახალმოსახლენი სახელის მოპოვებას შეუდგნენ და მოიპოვეს კიდეც.

სანაგის ასპარეზად პირაქეთი ხევსურეთი იქცა.

ნაქორის მოდგმამ დიდხანს იბოგინა ანატორში და, ბოლოს, ჭინჭარაულებთან საადგილმამულო დავას შეენირა.

ერთი მათი კაცთაგანი გადარჩენილა და თუშეთისტვის შეუფარებია თავი.

ჭინჭარაულებმა იფიქრეს, რომ გადარჩენილი სისაურის შთამომავლები, ოდესმე მაინც მოაკითხავდნენ წინაპართა ადგილს, ისევ სადავო გახდებოდა საქმე და – მან-გიურთ და ბაგრატაულთ კაცებმა, მოსალოდნელი მესისხლეობის თავიდან აცილების მიზნით, ამონწყვეტილი მეზობლების შთამომავალი – თუშეთიდან თავად მოიყვანეს, თემის წევრად მიიღეს და თანასოფლელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, შატილში დაასახლეს.

XX ს-ის პირველ მეოთხედეში, ისინი ჭინჭარაულის გვარზე გადავიდნენ და ანა-ტორელი ჭინჭარაულები შეერქვათ;

მომდევნო წლებში, შატილი მათ საბოლოოდ დატოვეს; ქსნის ხეობაში, მუხრანსა და თიანეთში გადასახლდნენ. ნაწილმა სისაურის გვარი აღიდგინა, ნაწილი ანატორელებად დაეწერნენ.

*

ანატორელი და ლიქოკელი სისაურების ნათესაური ურთიერთობა, საუკუნეების მანძილზე, მათი ხევსურეთის ტერიტორიაზე ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა.

მიღმახევი

ხევსურეთის ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა თავისი მოსახლეობით, ბუნებით, მდებარეობით, არქიტექტურით და ყოფის ცალკეული ელემენტებით. მისი მშვენებაა სახელგანთქმული ციხე-სოფელი.

მუცო

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მაღალი კლდეების თავზე მდებარეობს, არდოტის ხეობის შუა ნელზე.

გადმოცემის თანახმად, 5 ძმის დაუფუძნებული სოფელია: –

„ერთს ერქვა ვარდანა, ვისგანაც შეთეკაურები მოდიან;“

მეორე ყოფილა – კოჭლი ჩოლხა (ჩოლოხა), ვითომც, კახელი ჩოლოყაშვილების მამა;

მესამე – მესისხლეობის გამო, თუშეთში გახიზნულა და მისგან უზღარაულები მოდიან.

მეოთხეს – ცოლ-შვილი არ ჰყოლია;

მეხუთე ძმის შთამომავალი ყოფილა – თორლვა ძაგანი.

„როცა ამ სოფელს მოინახულებ, შატილი კარგავს იმ ზემოქმედების ძალას, რაც ასე ატყვევებს მის პირველად მნახველს. მაღალი მთის პიტალოდან აყვანილი ციხე-ქვიტკირებით – იგი მიუდგომელ, ზღაპრულ ციხეს ჰგავს. მაღალი მთის კონცხზე, ფრიალოს გასწვრივ, ცის სილურჯეში – საცხოვრებელი ქვიტკირების კონტურები ილანდება, უფრო დაბლა, ციცაბო კლდეს თორლვას ციხე მიკვრია. დაგამუნჯებს ცადაზიდული კოშკ-ქვიტკირების შეკრული ბურჯი; ამ ბურჯიდან ატყორცნილი ჩარდახიან-სიპერდიანი ტანწვრილი ციხე...“

უჩუმრად დგანან შამბით და ღორლით ავსებული ჩაქცეული ნასახლარები.

ძრნოლა გიპყრობს, უფსკრულის თავზე გაჭრილ ბილიკზე რომ ადიხარ.

გარეშე მტერის როგორი შიში უნდა ჰქონოდა აქ დასახლების მოთავეებს, ანდა რა ცოდნა სამშენებლო ხელოვნებისა – ვინც ფრიალოზე დაუდო ლიბო ამ ნაგებობებს (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

ციხე-სოფელი ერთიან საფორტიფიკაციო სისტემას – ჩრდილოეთიდან მომავალი გზების ავანპოსტს წარმოადგენს.

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით –

რთული რელიეფის მქონე სამ ტერასაზეა განთავსებული.

ზემოდან პირველი, ოვალური ფართობის ტერასაა – ყველაზე ადრინდელი. ჩრდილოეთიდან – „თორლვაის კოშკით არის დაცული;“ სამხრეთიდან – ციხე-სახლებით; აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან – ციცაბო კლდეთა ქარაფებით.

ტერასის შუა ნაწილში – წმინდა გიორგის ჯვარი და მაღალი სათვალთვალო კოშკია განთავსებული.

სალოცავი – სიპით მშრალად ნაგები შენობაა. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან – სიპით ნაგები გალავანი აკრავს. სამხრეთის მხარიდან – გალავნად გამოყენებულია კლდე. „კახეთში რო ალავერდის წმინდა გიორგია იქიდან არის მობრძანებული.“

მის მიმდებარედ, ყორით შემოფარგლული ეზო ყოფილა, ე.წ. „ბროლის კალო.“

არდოტის ხეობაზე გამავალი გზის ზემოთ – კლდეზე, „თირლვაის“ სამსართულიანი ციხე-სახლი დგას – ოთხსართულიანი კოშკით (სიმ. 11,7 მ.) – თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 7 მ-ია.

*

შუა ტერასაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის მიჯრით დგანან. მათი გარეთა კედლები საბრძოლო ზღუდეს ქმნის. ძირითადად, ოთხსართულიანი შენობებია, ყოფილა ექვსსართულიანიც. დახრილი ცალფერდა სახურავებით – სიპედით, ან ბანით – ჭურხოთი ყოფილან გადახურულნი.

ციხე-სოფლის ყველა ქუჩა, ჩიხი, შესახვევი, თუ კიბე სათავდაცვო-საფორტიფიკაციო დანიშნულებით არის გათვალისწინებული.

ციცაბო კლდეზე მდგარი ჩოლოყანთ კოშკი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. სამსართულიანია (სიმ. 11,7 მ.).

კახეთ-მატანის თავადების, ჩოლოყაშვილების წინაპართა კუთვნილებად მიიჩნევენ მას ხევსური მთქმელები.

*

ციხე-სოფელის ქვედა – მესამე ტერასაზე, სასაფლაო და სამლოცველოებია განთავსებული.

იქვე მდგარი ბორჩაშვილების ციხე-სახლი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. კოშკი ოთხსართულიანი ყოფილა (სიმ. 12,8 მ.) – ციხე-სახლი სამსართულიანი.

„მუცოს ციხის სანახებში ერთი უზარმაზარი ლოდი იცავს ხეობის ყელს... ბინდი-სას თუ მიეახლებით იმ ლოდს მუცოს ციხიდან, ასე იტყვით, ლოინიაო, მამალი აქლემი საომარი, დაუჩინებიაო ამ აქლემს, მუხლს ასვენებსო, რათა ადგეს მერე და უდაბნოს ეახლოს ისევ: თუ მეორე მხრიდან მიუახლოვდი, ფრთიანი ლომი გეგონება, ლომისტანიანი ფრინველის ჯანგიანი და ნისკარტიანი ქიმერა და ყოველ დროში, ყოველ პოზაში, ყოველი მხრიდან სხვადასხვა აღნაგობისა მოგეჩვენება იგი“ (კ. გამსახურდია).

კლასიკოსის მიერ აღნერილი ლოდი, ციხე-სოფელის შუაგულში – სამლოცველო-სთან დევს. თორლვა ძაგანის ძეს „თავისი ხელით აუტანია“ და ხალხი „თორლვაის

სკამად“ მოიხსენიებს.

გადმოცემის თანახმად: – საკუთარი ციხის მშენებლობის დროს, თორლვას – ანატორიდან (ანუ, ექვსი კმ-ის სიშორიდან), გაუმწკვრივებია ხალხი და ასე, ხელიდან ხელში გადაცემით უზიდიათ სამშენებლო ქვა.

იმასაც ამბობენ: – ციხის კედელში დატანებულ ერთ ქვაზე – თორლვას სიმაღლეაო მინიშნებული.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მუცო ჭინჭარაულების, დაიაურების, შეთეკაურების, ნაცაურებისა და ქისტი ბორჩაშვილების საცხოვრისი იყო.

გიორგი გოგოჭურის ცნობით: –

შეთეკაურნი არიან: – ქასანნი და თაძიანნი;

დაიაურნი: – წიქანი, ჯოყოლანი (სუხიაშვილები, ხაძეშვილები);

გიონი: – სამუკანი და ზვეხენი.

გადმოცემის თანახმად: –

თორლვა ძაგანის ძეს თუშეთიდან და მატან-კახეთიდან მოუყვანია შეთეკაურნი (შეთეშვილები) და ხოსიურნი.

დაიაურნი (ანუ, ალხანოვები, „დაიას შვილები“) წარმოშობით ლეკები არიან სოფ. ხულანტიდან. დედა ჰყავდათ შეთეკაური. მათ პაპას (იკაკოს) კაცი შემოკვდომია ლეკეში, წამოსულან „სამნი ძმანი და თორლვას ჯარს შეჰყურიან...“ მერე – ხარ-ქობით შეეყარნენ, თურმე, ჭინჭარაულებს და ისე გამრავლდნენ – „25 იარაღის წამლები ყოფილან... დაყოყოჩებულან, თურმე და ხალხს არაფრად აგდებდნენ; ხელში დაუჭირავთ – შატილი, ხახაბო, მიცუ, არდოტი.“

ამ ოთხ სოფელს, ბოლოს, პირი შეუკრავს და მთლიანად ამოუწყვეტია ისინი.

გადარჩენილა ერთადერთი ქალი (სახელად დაია): – „ხახაბოელ მამიაურებს არ გაუშვიათ – ჩვენი ქალია, ერთი კვირის გათხოვილია და არ მოგაკვლევინებთო.“

„ქნილა ის ქალი ორსული.“

ბიჭი შესძენია და მისგან ახალად წარმომდგარან დაიაურები, რომლებსაც – დედის პატივსაცემად მიუღიათ ეს გვარი.

*

ალ. ოჩიაურის ცნობით: – ხევსურები და ნაწილობრივ ქისტებიც, „ერთ სოფელში არა, მაგრამ ერთიმეორეს ნახევარი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ. მათ ერთიმეორესთან ნათესაობაც ჰქონდათ. აქაური ქალები ქისტებზედაც თხოვდებოდნენ. იშვიათ შემთხვევაში, ქისტის ქალებიც თხოვდებოდნენ ხევსურებზე... ენა ერთიმეორისა ორივემ კარგად იცოდა. ხევსურებმა ქისტური ენა ზედნიწევნით კარგად იცოდნენ. ერთიმეორეშიც ქისტურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ქცევაც ქისტებიდან ჰქონდათ გადმოღებული, უფროს-უნცროსობა, სტუმართმოყვარეობა, სტუმრის დაცვა, სისხლის აუცილებელი აღება...“ (მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 86).

1855 წელს, მუცოში – 13 კომლი სახლობდა (29 მამაკაცი და 16 ქალი);

1926 წლის აღწერით – დაიაურების 31 კომლი დარეგისტრირდა (148 სული).

*

მუცოელნი – მთავარანგელოზის, ბროლისკალოს წმინდა გიორგის და ვაკის ანგელოზის ყმანი იყვნენ.

გადმოცემის მიხედვით: – „მთავარანგელოზის ხატი შატილიონ სალირა ჭინჭარაულს ხელზე მოუდიოდა – გამოფრენია და ხონეს გორი შეურჩევია საბრძანისად.“

იქ აღუმართავთ მისი კოშკი-სამრეკლო.

არსებული მწირი ინფორმაციის თანახმად, მრავალი უბედურების მომსწრე ციხესოფელი, 1769 წელს – მთლიანად გადაწვეს და ნანგრევებად აქციეს (?!).

შამილის 1820 წლის შემოსევის შემდეგ კი, მუცოში სიცოცხლე (თითქმის) აღარ განახლებულა.

თორლვა ძაგანისძე (ძაგანი)

თორლვა ნახევრად მითოლოგიური გმირია – ნაწილიანი (ბეჭზე მთვარისა და მზის ნიშანი აზის, ტყვიაგაუმტარი ჯაჭვის პერანგი აცვია) – დიდი ღონის და გამჭრიახი გონების პატრონია.

მელექესენი ხოტბას ასხამენ მის ვაჟკაცობას.

თავისუფლებისმოყვარე – უბატონო მთის ხალხი გულუბრყვილო ნებაყოფლობით ემორჩილება მის საბატონო ულელს. ამაყობენ მისი ყმობით და ღმერთის სწორ ზეკაცდ მიიჩნევნენ.

ძაგანის წარმომავლობა ბურუსით მოცულია. ლეგენდებს ყვებიან მის შესახებ: –

„თორლვა ყოფილა ხევსური – ხელმწიფის ნაბიჭვრია“.

„ბაგრატიონთა ნაბიჭვარი იყოო, ხევსურეთში აღზრდილი, ხევსური ქალის ნაშობი.“

რამდენიმე ისტორიული (XVII-XVIII სს-ის) პიროვნება სახელდება მის მამად: – ერეკლე I, კონსტანტინე კახთა მეფე, ერეკლე II და მისი შვილები (იმის მიუხედავად რომ – მუცოში მდგარი თორლვას ციხე ბევრად უფრო ადრინდელია და XIV-XV სს ძეგლს წარმოადგენს).

ხალხურ საგმირო ბალადასთან დაკავშირებულ კვლევაში, ტ. მახაური – თორლვას ძაგანისძეთა გვართან აკავშირებს; ასაბუთებს რომ ის, XI-XIII სს ძაგნაკორელი ფეოდალების, ქართლ-კახეთის ერისთავთ-ერისთავების, ძაგანისძეთა შთამომავალია.

როგორც მემატიანე გვამცნობს: – ულუ დავითისგან დამფრთხალმა თორლუა პანკელმა (ძაგანისძემ) – ფხოვის შეუვალ მთებს შეაფარა თავი.

ამ ცნობას რამდენიმე ხევსურული ანდრეზი შეესატყვისება.

ერთი მათგანის მიხედვით: –

„მიცუს – თავადის შვილ მასულ ბარჩიით გამარიდებული. რად გამავარდნილ იქნებოდა იქითა, ეგ კი არ ვიცი. ის ოჩერედით უნახავ ხალხს... ერთრედ წასულან ქალნი და უთქომავ იმათად დედას: „მაგანავ თუ თავ მაგთხოათავ, თავ არ დაამადლოთავ.“

„თავადს ცუცქიაურების ქალი მასწონებავ და იმასთან მისულ“...

„ის თავად ვინ ყოფილ, არ ვიცი, ძაგანისძეთა კი ყოფილარის.“

„იმ თავადისგან გასჩენივ მიცუელთ ქალს თორლვა...“ (აღ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, 1980 წ. გვ. 85).

მეორე ანდრეზი აღნიშნულის შემდგომი პერიოდის შესახებ გვამცნობს: –
გაზაფხულზე – ბარიდან მოსულან და დევნილი ბატონიშვილი უკან წაუყვანიათ.
„მთაზე რო ავიდნენ, ბატონმა ხშირ-ხშირად თავის უკან ბრუნება დაიწყო“ და
კითხვაზე, თუ რატომ იყურებოდა უკან – უპასუხა: –

„მანდ ძალლის მუცელში თესლი დამრჩა და ის მაღონებსო...“

ცუცქიაურების ქალმა ნაწილიანი ვაჟი დაბადა. ქადაგ-მისნებმა მისი „დიდებულე-
ბა“ დაადასტურეს, თორლვა (მამის სახელი) დაარქვეს და გვარიც ძაგანისძე (ძაგანი)
მისცეს.

ვარაუდობენ, რომ ძაგანის წარმომავლობის აღნიშნული ვერსია რეალობასთან
ახლოსაა – იმის მიუხედავად რომ, სიკვდილის წინ, თორლუა პანკელი მემკვიდრის
არსებობას არ ადასტურებს და სინაზულით ამბობს: –

„მარტო ვარ და სიკვდილითა ჩემითა უმკიდრო იქნების მამული ჩემი“-ო.

*

თორლვა ძაგნიძე, ისევე როგორც ყველა სახალხო გმირი, სასიკეთო საქმეებით
იწყებს მოღვაწეობას: –

აღკვეთა მეზობელ მთიელთა „მზირობა და მეკოპრეობა.“ ჯერ კიდევ ჭაბუკმა
მოკლა – თუში თუ ლეკი სახელიანი ვაჟუაცი – ვაჟუსძე (იგივე ვაზუზი, თუ ზაზულია)
– რომელსაც აკლებული ჰქონდა ქართლ-კახეთის მთა-ბარი; „ყაჩაღობდა, თავს ესხ-
მოდა, მიუდიოდა ტყვები;“ ხადელთა თავკაცს, მიდელაურს, ცოლი მოსტაცა... ხელთ
ეპყრა – დიდოეთი, თუშეთი, ფშავი და ხევსურეთის დამორჩილებასაც ცდილობდა.

ძაგანისძე – თანდათან, თითქმის, ნებაყოფლობით იმორჩილებს მეზობელ ტომებს.

თავდაპირველი მისი ასპარეზია თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დიდოეთი და ქისტეთი.

მერე, „კახეთს გადაეჩვია...“ „იქაურ თავადებს წილ-ვალს სთხოვს და არაგვზედაც
„ადგილს იკვლევს“ – ცეცხლითა და მახვილით ცდილობს ახალი მამულების დამკვი-
ღრებას.

აშენებს სოფელ-სიმაგრეებს, ხევსურეთში ასახლებს (მის მორჩილ) სხვადასხვა
ტომის თუ თემ-წყლის გვარებს: – „ქისტურ-დიდოურ ლემურონს, ალხანოვ-დაიაუ-
რებს და დიდოელ მურლვანს. მატან-კახეთიდან მოჰყავს თუში შეთეკაურნი (შეთეშ-
ვილები) და ხოსიაურნი.“

„ფშავში, თუშეთსა და პირიქით ხევსურეთში ასახლებს – ბუჩუკურების განაყარ
გოგოჭურებს.“

მის არეალში ექცევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სახალხო გმირთა
მთელი თანავარსკვლავედი: – ახალა ხიტალიონი, თილისაძე, ჯალაბაური, გარა თურ-
მანაული (თავისი გეგმებით) და სხვ.

„არდოტის გამტებ“ ახალა ხიტალიონს თორლვა თავის სამსახურში აყენებს და
ხევსურეთის კონტროლს ავალებს.

თუში თილისძე მისი დავალებით ლაშქრავს, კახელი დიდებულების წაქეზებით –
მის წინააღმდეგ ამხედრებულ ფშავს...

ზღაპრულ სამოსელში ეხვევა ძაგანის სახელი – მითოსური გმირის დონეზე ადის
და ერთი ნაბიჯი რჩება გაღვთაებამდე.

გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალა მას უკვე აღზევებულ, მოძალადე პიროვნებად
წარმოგვიდგენს: –

მისი ამალა საბატონო უღელში აბამს თანამოძმეთ; „ჯარის შემოშვება“, ანუ ბეგარა-გადასახადის ძალით აკრეფა, ჩვეულებრივი მოვლენა ხდება.

„თარეშ-მეკოპრეობით“ გაბუდაყებული პიროვნების ბოლო – მთაში მუდამ ტრაგიკული იყო და არც თორლვა ძაგანის ძე წარმოადგენს გამონაკლისს.

იწყება მისი დაცემა; ჰკარგავს „ხთის დავლათს“ – ახლოვდება მისი ბედისწერაც.

„თავად დაიკავა ვაჟუსძის ადგილი... თვითონ დაიჭირა მისი ხელობა... ზაზულიაც და თორლვაც ორივე საზიზლარი მტარვალები ყოფილან“ (თ. რაზიკაშვილი).

დავლათწართმეული ძაგანისძე ყოფილი ძმობილის მსხვერპლი ხდება.

ფშაველმა მჭედელმა ჩონთამ – „თავისი ხელით გაუჭედა და აუსხა“ მას სასწაულ-მოქმედი ჯაჭვის პერანგი. ბოლოს კი – თორლვასგან შეურაცხყოფილმა, ნაავადარმა და დავრდომილმა მჭედელმა, თავად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი – „დავლათი-საგან განწირულ ძმობილს...“

„მალულად, ნელა – ჩარდახიდან მოზიდა მშვილდის საბამი...“ და „ჩაფუფქა“:

„თორლვავ, ნუ დამემდურები, ძალისა მოგე ძალიო. შვიდ წელს ვარ ნაავადარი, სამსა კი – ნაცივარიო. მუხლით მოვზიდენ ბოძალსა – ხელში არა მაქვს ჯანიო“ – ასეთი სიტყვებით მიმართავს მკვლელი თავის მსხვერპლს – მელექსის ენით.

ძაგანის სიკვდილს არავინ დაუმწუხრებია.

„უძმო და უმამისძმო“ თორლუა მარტო მუცოელმა თანასოფლელმა წაასვენეს და დაიტირეს.

ხონე, ხონესჭალა და შეთეკაურები

მუცოდან ხონე-ხონესჭალის მიმართულებით, დღეს უკვე – სამანქანე გზა მიდის. მარჯვნივ ანდაქ-არჭილოს და ხახაბოს ხეობა გვრჩება.

ხონისჭალა – მუცოსწყლის მარჯვენა შენაკადის ვაკეზე მდებარეობს – ზ.დ. 1670 მ-ზე.

ხონე უფრო ზემოთ ყოფილა განთავსებულუ, იქ – სადაც, ადრე, საზამთრო საბოსლოები ჰქონდათ შეთეკაურებს.

1873 წლის აღწერაში არც ერთი ზემოაღნიშნული სოფელი მოხსენიებული არ არის. იქ მცხოვრები შეთეკაურები უფრო მოგვიანებით მოსულან მუცოდან.

1926 წელს, ხონეში – ბორჩაძე-მოსეგაშვილების 6 კომლი სახლობდა (36 სული); ხონის ჭალაში – შეთეკაურების 11 კომლი (64 სული).

ერთი ვერსიის თანახმად, შეთეკაური მუცოს ერთ-ერთი დამფუძნებელი გვარი – „მიცოს ამომთხრელი ვარდანას შვილები“ არიან.

განსხვავებული ვერსიით, თორლვა ძაგანის მიერ მატან-კახეთიდან მოყვანილ თუშებად მიიჩნევენ.

იმასაც ამბობენ, რომ თითქოს, ჩოლოყაშვილების განაყრები ყოფილან.

*

მიღმახევის სამი სოფლის – ხონის, ხონისჭალის და მუცოს საერთო სალოცა-

ვი – ხონის გორზე დაბრძანებული მთავარანგელოზის ჯვარია, რომელიც არდოტის სომხოს გიორგის მოძმედ არის მიჩნეული.

ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, „ხონის გორიდან წამოვა ცეცხლი და სომხოს გორზე ჯვარში ჩავა – ვითომც და, თავის მოძმესთან სტუმრად მიმავალი მუცუს სალოცავი.“

*

ხონისჭალა შამილ შეთეკაურის სამშობლოა – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის – მცენარეული მრავალფეროვნების სპეციალისტისა და ეკოლოგისტის.

ანდაქი

მუცოდან ხონე-ხონისჭალის მიმართულებით მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს – სამი ხევი იყრის თავს: – შუაში, ხელმოკლის ხეობაა; მარცხნივ – ანდაქ-არჭილოსი, მარჯვენივ – ხახაბოსი.

ზ.დ. 2748 მ-ზე მდებარე ანდაქის უღელტეხილი – ფშავის არაგვის სათავეებს (უკანაფშავს) მდინარე ანდაქის ხეობასთან აკავშირებს.

სოფელი თანამოსახელე მდინარის ნაპირზე მდებარეობდა, არდოტსა და არჭილოს შუა – ჭალის პირზე, ზ.დ. 1550 მ-ზე.

1873 წლის აღწერაში მოხსენიებული არ არის.

უფრო მოგვიანებით დაუფუძნებიათ არდოტიდან მოსულ ზვიადაურებს.

1926 წელს – იქ, 10 კომლი სახლობდა (49 სული).

1974 წელს ზვიადაურების 3 და მურლოევის 1 კომლი დარეგისტრირდა (22 სული).

არჭილო

ნასოფლარი ანდაქის ხეობის სათავეში, ბორბალოს ძირში – ზ.დ. 1800 მ-ზე მდებარეობს.

როგორც გ. ხორნაული გვამცნობს, მისი სახელწოდება ქისტურად – შავს, ბნელს ნიშნავს.

1873 წლის აღწერაში მოხსენიებული არ არის.

„გვიან გაჩენილი სოფელია.“ „არდოტიდან გადმოსულა ჭარბი ხალხი – გვარად ზვიადაურები.“

1926 წლის აღწერით მათი 8 კომლი სახლობდა (73 სული);

1992 წლის 2 კომლი (3 სული).

არჭილო-ხახაბოს შუა მდებარე მაღალ მთაზე, რომელსაც ხოლიგისწვერს ეძახიან, წინათ, მდიდარი სალოცავი ყოფილა. „ჰერნია დროშა და განძი ოქრო-ვერცხლისა.“

ადრინდელი მისი სახელი აღარავის ახსოვს. ახლა, ხოლგის წვერის ანგელოზს ეძახიან (ვ. ბარდაველიძე).

ბორბალოსკენ მიმავალ გზაზე, კლდეში – „კოპალაის წყალი გამოსჩეფს.“

ანდრეზის თანახმად: –

„დროშიონს მოშიებია... ამ ადგილას მაუფიქრებია დასვენება და მემრ უთქვამთ“:
– „აქ პურ როგორ უნდა ვჭამათ, წყლისად სად ვირბინოთო...“
„ხევისბერს მათრახ დაუკრავ კლდისად: – „აბა, კოპალავ, თუ რა ძალა გაქვ, წყალ
გამაიყვანეო“ – უთქვამს.
„კლდე გახლეჩილა და გამოსულა ცივ წყალი“ (გ. ხორნაული).

არდოტი მურღვანი და ზვიადაურნი

არდოტი მდ. ანდაქის მარცხენა მხარეს მდებარეობს, მუცოსა და ხახაბოს შუა,
კლდიან გორზე – ზ.დ. 1820 მ-ზე.

ერთი ანდრეზის თანახმად: –

ამ ადგილას პირველად მოსულა ჭინჭარაულთ კაცი, გუდანიდან ძმა-ბიძაშვილების
მოკვეთილი – მეტსახელად მურღვა (ანუ, შარიანი, მაშულლარი, მარღვიელი).

ნადირობისას, „დაჭრილ ირმებს გადაჰყოლია, ღატოხზე ავლით გადასულა წურტ-
ლის ჩრდილ და იქიდან ჩასულა არდოტის ჭალაში. დაუსინჯავს ადგილი და მას-
ნონებია...“

სახლის გაკეთებაც განუზრახავს, მაგრამ – მხარზე დასჯდომია მტრედი.

„მიმხვდარა, რო ის ადგილი ჯვარის დაჭერილი იყო“ და მისი სალოცავი „სომხოს
გორზე“ დაუარსებია.

„თვითონ ქავში დასახლებულა, მოუყვანია ცოლი და გამრავლებულა.“

*

განსხვავებული ვერსიის მიხედვით: –

ჭინჭარაულების პატრონიმის (ჯინჭარას) ორი ვაჟიდან – ერთი, შატილში დარჩე-
ნილა; მეორეს: – „ხან სად უვლია, ხან სად... გვარი აურევია“ და, ბოლოს – „მოძმეთ-
გან დევნილ-მოკვეთილი, არდოტში წასულა.“

*

არსებობს ცნობები მურღვას როგორც ფშავური, ისე უცხოური წარმომავლობის
შესახებაც.

ერთი გადმოცემის თანახმად: – მურღუევების (მურღუშვილთა) ნამდვილი გვარი
მურღულია. მათი წინაპრები დიდობი (ლეკები) ყოფილან და შვიდი საუკუნის წინ
გადმოსახლებულან ხევსურეთში.

იმასაც ამბობენ რომ: – ისინი თორღვა ძაგანისძემ ჩამოასახლა, მის მორჩილ –
სხვადასხვა ტომის თუ თემ-წყლის გვარებთან ერთად.

*

„მურღვანის“ ჭინჭარაულთა ძირებიდან წარმომავლობას, რამდენიმე ფაქტით ას-
აბუთებენ: –

XVII ს-ის დასაწყისში, როცა ურჯულო მეზობლები არდოტელებს – „შუახორხას
და ანგელოზთა“ მთების წართმევას უპირებდნენ – მათ მხოლოდ გუდანელი ჯინ-

ჭარაულები ჩამოეშველნენ.

ბრძოლაში 12 გუდანელი ვაჟკაცი დაღუპულა.

ამ ამბის გამო, არდოტელნი – გუდანის ჯვარს ამდენივე საკლავს აძლევდნენ და – მეცამეტეს, მათი სულის მოსახსენიებლად – არდოტში კლავდნენ.

მოშულლარმა მურლვამ მტერთან ბრძოლაში ისახელა თავი. ამის გამო – გუდანიდან მას ჯვარ-ხატების არდოტში გადაბრძანების ნება დართეს.

სხვა ჯიშ-ჯილაგის რომ ყოფილიყო, არავინ მისცემდაო ამის უფლებას.

სიბერეში შესული მურლვა, გუდანელ ძმა-შინშებს – „შესარიგოდ მიუწვევიათ ბელლისკარს“.

„გუდანის ძირიდან („ნისქვილები რომ დგას იქიდან“) – ჯაჭვის პერანგის კალთით, სალოცავში აუტანია მას გრძელი ქვა და – უთქვამს“: –

„ჩვენი სათავე აქით იწყებავ...“

„არდოტით ხალხ რო მავავ, სკამივ იმათად იქნებავ,“

„არ მინდავავ ჩემი სახელის ხსენება რო აღარ იყვასავ,“

„ჩემ შევილბოლოს ჩემ სახელიდან მიეცით გვარი, გუდანავ სკამი და კითხული ჩემიავ...“

ის ქვა დღესაც დევს გუდანის ჯვარში და მურლვათ სკამს ეძახიან.

*

„XVII-XVIII სს-ში, მურლვანი ძლიერ კაცრიელნი ყოფილან; გაზრდილა არდოტი:

– არჭილო-ანდაქის სახით მომატებია საზამთრო საბოსლე ადგილები.“

XVIII ს-ის II ნახევრიდან დაიწყო მათი მიგრაცია უკანაფშავის სოფლებში (ჭიდალ-ში, ელიაგზასა და ჩალახევში).

„მათი დიდი ნაწილი, დღეს, არდოტელის გვარს ატარებს; ნაწილი სხვა რამდენიმე გვარად ეწერება: – მურლვაის ქე, მურლვაშვილი, მურლუევი (ან მურლოევი), თორ-ლვაშვილი, ჩიტაშვილი, სალუქაური, აფციაური, ზვიადაური, ჭინჭარაული – რეალუ-რად კი, „ყველანი ერთ კერაზეით, ერთ ცეცხლზეით გაყრილები არიან“ (ნიკ. ზვიად-აური, გაზ. კომუნისტი, მურლვანი, 1987 წ. 25 აგვისტო).

*

არდოტი ზვიადაურების ბუდე სოფელია.

აქედან წასულან ისინი ანდაქსა და არჭილოში.

ადრე, უფრო მაღლა უცხოვრიათ – არდოტის ბისოში, სადაც საკუთარი სალო-ცავიც ჰქონდათ – ბისოს ხოდაბურთ ყარაული.

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად, ბლოელ გიგაურთა წინაპარი – გიგა, არდოტელი ზვიადაურების წინაპარი – ზვიადი; მუქოელ წონკოლაურთა წინაპარი – წონკურა და ჭიმლელ თეთრაულთა წინაპარი, თეთრა – ძმები ყოფილან.

მათი პირვანდელი საცხოვრისი იყო – სოფ. ბლო.

1855 წელს, არდოტში, 19 კომლი სახლობდა (50 მამაკაცი და 38 ქალი).

1926 წლის აღწერით ზვიადაურების 25 კომლი დარევისტრირდა (124 სული).

არდოტის ხეობის შეუ წელზე მდებარე არქიტექტურული ძეგლი – (ორსართულიანი), ნატეხი ქვით ნაგები და ბანურსახურავიანი წისქვილი (4,2X3,52 მ.) – საქა-

რთველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.) – კარგა ხანს კიდევ მოქმედი ყოფილა.

სოფელში მდებარე ღვთისმშობლის ჯვარი (11X9 მ.) – XIX ს. განეკუთვნება. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია თლილი ქვა. ძლიერ დაზიანებულია: – ჩამოშლილია გუმბათის მნიშვნელოვანი ნაწილი – მონგრეულია კედლები.

„სომხოზ გიორგის ჯვარი“ – სოფლის დაბლა, ანდაქის და არდოტის ხეობათა წყლების შესაყარში მდებარეობს – მაღალ, ძნელად მისადგომ კლდეზე. ორი – ძველი და ახალი ნაგებობით არის წარმოდგენილი. იქვეა აკლდამებიც.

„სომხოზ გიორგი იმიტომ ჰქვია, რომ სომხეთიდან მოსულა“ (ვ. ბარდაველიძე).

არდოტის სამხრეთ ნაწილში მდგარი ზვიადაურის კოშკი – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ხუთსართულიანია (სიმ. 16,75 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ზემოთ, თანდათან ვიწროვდება და საფეხუროვან-პირამიდული სახურავით მთავრდება. სალოდეების ქვეშ არსებული შელრმავებები, ჩრდილოეთის ფასადზე, ჯვრისებურად არის განლაგებული; აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადზე – რომბისებურად.

კოშკი 1978 წლის ზამთარში დაინგრა.

როგორც 100 წლის მოსუცს, კიბლე მურღუევს – ხ. მამისიმედიშვილისთვის უთქვამს: –

„დაინგრა ზვიადაურების კოშკი და არდოტს ფერ აპხდა.“

სოფლის სურათები „მრავლად არის შემონახული“.

მათ „შორის ყველაზე ძველია გერმანელი მოგზაურის გოტფრიდ მერცბახერის მიერ 1893 წელს გადაღებული ფოტო და ნახატი. კარგი იქნება, თუ ფოტოზე დაყრდნობით კვლავ აღდგება არდოტის კოშკი, ციხეები და მთელი სოფლის არქიტექტურა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ახალ სიცოცხლეს მისცემს მთელ კუთხეს“ (ხ. მამისიმედიშვილი).

ხახაბო

სოფელი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, მდინარე ანდაქის ხეობაში – ზ.დ. 2150 მ-ზე.

მინდიკაურების, ხახიაურების, ხოსიაურთა და მამიაურთა საცხოვრისი იყო.

1855 წელს მათი 23 კომლი სახლობდა (53 მამაკაცი და 38 ქალი).

1926 წლის აღწერით 26 კომლი დარეგისტრირდა (137 სული).

ირ. გოგოლაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – ხახაბოში მცხოვრები მინდიკაურები ძირად მათურელები არიან.

იქ არის მათი მამა-პაპის ნაქონი ქავციხე.

სამი ძმანი წასულან მათურიდან: – ერთი, ხახაბოში დასახლებულა, მეორე – ხახმატში, მესამე – გუროში.

როგორც ციტირებული მკვლევარის მთხობელი გვამცნობს: – „ხახაბოში დასახლებულისა ჩვენა ვართ – მინდიკაურები“; „ხახმატში დასახლებული ძმისა – ალუდაურები არიან; გუროში – გოგოჭურებად იჩერებიან.“

მინდიკაურების მსგავსად, მიღმახევში ფშავიდან მისულები არიან – ხახიაურები, ხოსიაურები, მამიაურნი და ზვიადაურები (ირ. გოგოლაური).

განსხვავებული ვერსიის თანახმად: –

ხახიაურები წარმოშობით თუშები არიან; მათი წინაპარი ჯავრეგაულის გვარს ატარებდა.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, ფშავის სოფელ ცაბაურთიდან მისულან მამიაურები ანუ ცაბაურაშვილები. ზოგი მათგანი ხახაბოში მოსახლეობს, ზოგი ფშავის სოფელ კანალხევში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II).

გ. თევდორაძის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: – ელიაგზასა და ჭიდალში მცხოვრები მამიაურები „ჩამომავლობით ხევსურები არიან.“ მათ ფრატრიაში მკვლევარი აერთიანებს: – გუდიანთ, მამიაურებს და ჯუელაურთ.

ჯუელაურნიდან მოდიან: – ლამაზანი, სუტინანი, ბორონი და პაპანი.

რ. თოფჩიშვილის – გვარად ხოსიაური მთხრობელის თანახმად, მათი წინაპარი კახეთის სოფელ მატანიდან „ხატს წამოუყვანია“ – რქმევია დათიკუ: – „მთელი ხახაბო საგოგოჭურო ვიყავით, გოგოჭურის გვარს ვატარებდით. ხოსიად გვეძახდნენ და დიდი ხანი არ არის, რაც ხოსიაურად დავიწერეთ. საერთოდ, თავიდანვე ხოსიაურის გვარის ვიყავით, მაგრამ გოგოჭურებში შევდიოდით“ (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, გვ. 26, 2003 წ.).

ციტირებული მკვლევარის თანახმად: – მინდიკაურები, ხახიაურები, ხოსიაურები და მამიაურები – გოგოჭურთა (ფშავის ტერიტორიულურ) თემში ხარ-ქვაბით იყვნენ შეყრილნი, მიღებული ჰქონდათ გოგოჭურის გვარი და მოგვიანებით (ალბათ, ხახაბოში დასახლების შემდეგ, გ.ქ.) აღიდგინეს საკუთარი გვარ-სახელი.

უკანაფშავის ცნობილი თავხევისბერს, ბიჭურ ბადრიშვილის ცნობით, ხახაბოელნი ფშავის XII თემს წარმოადგენდნენ და ლაშარის ჯვარში საკუთარი საჯარე ჰქონდათ.

ლაშარის ნიში, როგორც ჩანს – მათ ხახაბოშიც წამიძღვარეს. სოფლის მიმდებარედ, „იქვე, კლდის ძირშია“ განთავსებული და სიპებისაგან მშრალად ნაგებ პატარა კოშკს წარმოადგენს (ვ. ბარდაველიძე).

*

ხახაბოს მიდამო მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით: –

ნასოფლარის მიმდებარე დავაკებაზე განთავსებული „ვაკის ჯვარი“ (ადგილის-დედა) – ოთხკუთხა ფორმის კოშკით (2,2X2,3 მ. სიმ. 4,8 მ.) არის წარმოდგენილი. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

როგორც ვ. ბარდაველიძის მთხრობელი გვამცნობს: –

ადგილისდედა ხახაბოში ადრე არ იყო. ფშავის სოფელ ცაბაურთიდან მისულა ერთი კაცი – „იმას მოუყვანია და დაუარსებია.“

მერე – „გაძლიერებულა ვაკის ჯვარი“ და „გამხდარა ადგილისდედად.“

„იმ კაცის ჩამომავლობი არიან მამიაურები ანუ ცაბაურაშვილები.“

„ძველს ხახაბოსთან“ – მთის ფერდზე მდებარე საყანე ადგილშია განთავსებული „გიორგი წყაროსგორულის ჯვარი“.

გადმოცემის თანახმად: – კახეთიდან, სოფელ მატანიდან არის მოყვანილი. ხახაბოელ ბატარათ მამას, „პატარიას“, კახეთში კაცი შემოკვდომია, მოუპარავს იქაური ხატი, გამოქცეულა და, ზამთარში – წელიწად-დილას მოსულა ხახაბოში. იქ გაფრენია ხელიდან ჯვარი და – წყაროსგორს, უკვე დაარსებული უნახავთ ხახაბოელებს.

ბატარათ რამდენიმე კომლი გვიანობამდე სახლობდა ხახაბოში.

დღემდე შემორჩენილია ტოპონიმი „ბატარათ ყანა.“

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღალი კლდის თავზე, თავადი ბეღ-ლისანგელოზის ჯვრის კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაშია: – ბეღ-ლი, საქვაბე და საზარე.

ბეღელი ფიქლის მშრალი წყობით ნაშენი ოთხკუთხა ნაგებობაა. საქვაბე – დასავ-ლეთის მხრიდან აქვს მიდგმული. საზარე – ათიოდე მეტრის დაშორებით – შემაღ-ლებულ ადგილზე მდებარეობს.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.), არდოტის ხეობის ზედა წელში, ნასოფლარ ძველ ხახაბოში მდგარი, ვაჟა მინდიკაურს ციხე-სახლი – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. სამსართულიანია (სიმ. 7,5 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. სახურავი და სართულშუა გადახურვა ჩატარებული აქვს.

არხოტი

მდ. ასას ხეობის სათავეშია განთავსებული.

„ღმერთის ტახტივითაა ჩადგმული მთებს შორის“ (გოდერძი ჩოხელი).

კიდეგანის უღელტეხილით (სიმ. 3235 მ.) – სნოს ხეობას უკავშირდება.

ხევსურეთს სოფლებთან (გიორგწმინდა, რომელი, ბლო) – მხოლოდ საფეხმავლო ბილიკებით ჰქონდა კავშირი.

„მთლად ცალკეა... მთები რომ შეიკვრის, გზა მარტო ქისტებისკენ რჩება... ზამ-თარში ლაშქარი რომ დაგვეცეს, მთა-გზის გასვლამდე ვერავინ გაიგებს“ (ნ. ბალიაუ-რი, ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

ბუნებრივი პირობებით – მკაცრი, ძნელად მისადგომი ხეობაა; უტყეო, თოვლ-ყინულიანი საჯიხვეებით გარშემორტყმული; მცირე სახნავ-სათესით და უხვი სათიბ-საძოვრებით.

სამიმოსვლო გზები – 8-9 თვის განმავლობაში ჩაკეტილია და ხალხი გარე სა-მყაროს მოწყვეტილი.

„ცოცხალი სამარეაო“ – უთქვამს თომა ბალიაურს.

XX ს-ის დამდეგს, არხოტში, ხუთი სოფელი კიდევ იყო – კვირიწმიდა, ჭიმლა, ახიელა, ამლა და კალოთანა.

უფრო ადრე, სხვა სოფლებიც ყოფილა (თათხელი და ორბეულთა).

კალოთანა 1900 წელს გაუკაცრიელდა, კვირიწმიდა 1918-1921 წ.წ.

„მტერი და სიკვდილი ლანდივით დაჰყვებოდა არხოტელ ხევსურს, მაგრამ მაინც ლალობდა – ქედს არ უხრიდა; მტრის ჯიბრზე ეკაფიავებოდა სიკვდილ-სიცოცხლეს“:

–

„გამაგრდით არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა,
ვინაც მოგვიკლეს, დავლმარხათ, სხვა კიდევ გაიზრდებისა...“

„არხოტიონთ ჭირი და ლხინი მუდამ სავსე იყო სიხარულით, სიმწუხარით, შულ-ლით, მხიარულებით, სიყვარულით, სიძულვით, მტრობით, მოკეთეობით. რა არ იყო – შრომა, სიმღერა, თამაშობა, ცხენ-მხედრობა, ჭრა-ჭრილობა, თავ-მოთავეობა, კაც-შუაკაცობა, სწორფერობა, ქალის მოტაცება, ქორწილი, დღეობა და ღრეობა (ნ.

ბალიაური, ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

ისტორიული თემი ხალხური ზეპირსიტყვიერების დიდ საგანძურს ინახავს.

ერთ-ერთი ვერსით – იქ შეიქმნა „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“.

დიდი არხოტიონი გმირების სახელებიც შემოგვინახა ხალხურმა მეხსიერებამ შ. არაბულის ცნობით: –

„არხოტიონი – ჭიმლიონი იყო გაბური, ეშმა რომ დაიჭირა და ტყვედყო.

ახიელელი იყო ალიათ მგელა, კაც-ჯვარი, ქურუმი-წინასწარმეტყველი.

არხოტიონი – ამლიონი იყო ხოგაის მინდი, კაცი-ლეგენდა, მეომარი და ჯადოსანი აქიმი-მკურნალი.

ამლიონი იყო გაგა ბერდიშვილი, ბრძენკაცი და ურჯულოთა რისხვა.

არხოტიონი ორბეულთელნი იყვნენ ორბელნი – ამირსპასალარის, მეამბოხე ივანე ორბელის ნათესავნი, მეფე გიორგი მესამემ საქართველოდან რომ აჰყარა.

აბა ბასილაურმა სახელი გაითქვა, ხირჩლა ბაბურაულის მხარდამხარ, ქისტი ბელადის – გაგაის ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მამაცი და დინჯი ხალხი იყვნენ „თუში“ ბასილაურნი. მათი განაყარი იყო როშკიონი ბახალიშვილი – ხევსურთა რჯულმდებელი.

იყვნენ არა მხოლოდ კაცნი, არამედ დედაკაცნიც.

ამლიონი – ქარჩათ ქალი იყო ბუბა ბასილაური (შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები, 1999 წ.).

*

არხოტელთა მთავარი სალოცავი, ახიელის მთავარანგელოზის ჯვარი – თემის მფარველ, მოლაშქრე ღვთაებად ითვლებოდა.

„ფშავიდან არის მოყვანილი – სოფელ მათურიდან... ისეთი უკადრისი ყოფილა ხარის კყივილზე გამწყრალა და წამოსულა.“

ახიელელთა ცნობით, პირველად („ჯაბუშანურთა სადგომის სიახლოვეს“) დაარსებულა, იქ – სადაც ახლა „მიქიელ კარის მეზობელის“ სალოცავია. იქიდან შეარჩია, თურმე, დღევანდელი საბრძანისი და ადრინდელ სადგომთან თავისი მოძმე – მიქიელ კარის მეზობელი დატოვა.

კვირინმინდელი საყმოს თანახმად: – არხოტის (ანუ, ახიელის მთავარანგელოზის) ჯვარი – პირველად, მათ სოფელთან დაარსდა, იქ – სადაც ამჟამად „მიქიელ წყალშუის“ სალოცავია. იქედან წავიდა ახიელაში და, ძველ ადგილას, თავისი მოძმე – „მიქიელ წყალშუის მებურთვალი“ დაამკვიდრა.

ჭიმლელთა რწმენით: – მთავარანგელოზის ხატი, პირველად ჭიმველში დაარსდა – მაღლა მთაზე. იქიდან წავიდა ახიელში და ძველ სადგომზე, თავისი მოძმე – მიქიელ ჭიმველი დააფუძნა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

ახიელის მთავარანგელოზის ჯვრის შემადგენლობაშია: – დარბაზი, საქვაბე, ქვევრი, კოშკი, საზარე კოშკი, „ძველი დარბასი“ და ყორის გალავანი.

„დარბაზის ცენტრში ამართულია 5-განყოფილებიანი ხის დიდი ზომის „თარო-სათასე“ – იატაკიდან ვიდრე ჭერამდე აზიდული... სპილენძის ორ დიდი ზომის ქვაბში, ანუვია ჯვარის განძი: – ვერცხლის თასები ყოველნაირი ზომის და ფორმისა, წარწერიანიც და უნარწეროც; სურები, ხმალი, საწვნე...“ (ვ. ბარდაველიძე).

სალოცავის უნჯ ყმებად ჯაბუშანურები ითვლებოდნენ. ამავე გვარიდან იყო ჯვარის ხელოსანიც (ხევისბერი).

*

ხატის დარბაზის კართან ფიქალი ქვის სამანია ჩასმული – თომა ბალიაურის შემ-დეგი წარწერით: –

„1929 წ. ივნისის 18 დღეს ეს სამანი ჩადგმულია არხოტის მთელი მოსახლეობისა-გან თავსისხლის შესახებ – პირი დადგენილებისა ინახება ყველა ჯვრებში.“

მიზეზი სამანის ჩადგმისა – შემდეგი გარემოება ყოფილა: –

იმ პერიოდში – მესისხლეობა ხევსურეთის სოციალურ კატასტროფად იყო ქცეუ-ლი. არაერთი გვარი ამოწყდა. საფრთხე შეექმნა მთელი ტომის ფიზიკურ არსებობას. ასეთი მავნებელი ადათის მოსასპობად – პირველი ნაბიჯი არხოტის თემმა გადადგა და, 1927 წლის 18 ივნისს, თავ-მესისხლეობის შესახებ დადგენილება მიიღო.

მსჯელობამ დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. იყვნენ ძველი წესების შერბილების მომხრენიც და მონინაალმდეგენიც. ნდობით აღჭურვილი თემისკაცები სამი დღე და ღამე ბჭობდნენ და – უმრავლესობამ უმცირესობის წინაალმდეგ მი-იღო რამდენადმე შერბილებული და კომპარომისული – ისტორიული გადაწყვეტილება, რომელსაც 19 მამულიშვილი აწერდა ხელს.

თემის მთელი მოსახლეობის თანდასწრებით, არხოტის ჯვარში ხარი დაიკლა.

მაშინ იქნა ჩადგმული ზემოაღნიშნული სამანი.

*

„ბუნებისაგან დაჩაგრული მშრომელების გადარჩენის კონცეფციის“ – ანუ, საბჭო-თა მთავრობის მიერ შემუშავებული ხევსურეთის მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების იდეის შესაბამისად, 1951 წლიდან – ე.წ. გეგმიური გადასახლებები დაიწყო.

ამავე წლის, ათენგენობას, საზეიმოდ განწყობილი არხოტი, თავდავიწყებით ეძლეოდა მხიარულებას... ასეთი ლხინი ამ თემისთვის, ალბათ, უკანასკნელი იყო. ერთი წლის შემდეგ აწრიალდა მოსახლეობა, აიყარა და პარისკენ იპრუნა პირი (თ. ოჩიაური).

უამრავი სოფლი მოიშლა და გაუკაცრიელდა.

არხოტივნები – ბაზალეთის ტბასთან მდებარე სოფ. მლაშეში გადაასახლეს.

წამოსვლის წინა ღამე, ხანჯლური ცეკვით გაათენა სოფლის თავკაცმა, გარსია ოჩიაურმა... გათენდა და სულიც დალია... არხოტის მიწას არ გამოსცილდა (გ. ქიბიშ-აური, არხოტული მოგონებები).

*

„ცოტა ხნის წინათ ფშავში მიმავალს არხოტელი ნაცნობი შემხვდა.“

იქაური ამბავი ვკითხე. ჭიმღა სულ დაიცალაო – მითხრა, ახიელში ორი, ხოლო ამღაში სამი კომლი კიდევ ცხოვრობსო.

სულ ხუთი კომლი მთელს არხოტში! (თ. ოჩიაური).

*

ხალხის გადმოსახლებიდან ათი წლის შემდეგ, კიდევ ვინახულე ეს მხარე.

გამაკვირვა მომხდარმა ცვლილებებმა.

ახიელში მივედით.

სადღა იყო ხალხით სავსე სოფელი, მოვლილი სახლ-კარი, სოფლის შუაზე სუფთა შარაგზა.

ჩაქცეულ ნასახლარებს შორის აქა-იქ თუ ამოდიოდა კვამლი.

ნაკელის გროვა გზის პირებზე.

არც მობიბინე ლურჯი ყანები.

ჯვარ-ჯვარისკარი შამბით შეჭმული... (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

*

როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ, არხოტიონთა ნაწილი მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდა (მათ შორის გაბრიელ ჯაბუშანურის ძმა, ციცქა ჯაბუშანური, თავისი 11 სულიანი ოჯახით).

ამით გადაურჩა დაკარგვას, მთავრობის უაზრო პოლიტიკით განწირული, საქართველოს ეს ულამაზესი – სტრატეგიული კუთხე.

კვირიწმინდა

ნასოფლარია ცირცლოვანის და ჭიმლის წყლების შესართავთან.

არხოტის ხეობის პირველი სოფელი იყო – როშეის მხრიდან.

„ჯერ ჩარდახიანი ციხის წვერი გამოჩნდებოდა, შემდეგ სოფლად დარჩენილ ორი-ოდე კომლიან სახლს მიადგებოდა გზა... ირგვლივ ქვის ყორით შემოზღუდული ყანები, კაცის სიმაღლეზე აყრილი ნარი და ჭინჭარი იყო (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

სოფელი 1918-1921 წ.წ. გაუკაცრიელდა.

ადრე, ორმოცამდე კომლი სახლობდა; მხოლოდ ერთი გვარის ხალხი – გიგაურები.

მათი ქვეგვარი იყო შუქიაური, რომელიც კიდევ ორ მამად (კვირიკანად და ბათირანად) იყოფოდა.

გ. თევდორაძის ცნობით: – „სოფ. კვირიწმინდაში ცხოვრობს ერთი კაცი, თორლვა შუქიაური – 120 წლისა. მოსული კაცია არხოტის თემში. არც მახლობელი ჰყავს, არც შორეული ნათესავი“.

გიგაურების ერთი კომლი (მამუკაურთ მამიდან) ჭიმლაში ცხოვრობდა.

სამივე მამა ბლოდან იყო გადმოსული (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ.).

კვირიწმიდელი გიგაურების სასოფლო სალოცავი – მიქიელ წყალშუის მებურთველი იყო, რომელიც არხოტის ჯვარის მოძმედ ითვლებოდა და, საყმოს რწმენით, მის ნებას ემორჩილებოდა.

ჭიმლელი გიგაურები თავიანთ ჯვარს – „გიორგი კარის მეზობელს“ ლოცულობდნენ.

ხევსურები და ქისტები

ხევსურებს დიდი ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ ქისტებთან. „მესისხლეობაც ყოფილა მათ შორის; ერთმანეთის ცხვარ-ძროხას, ცხენის ჯოგსა და ხაროვანსაც იტაცებდნენ; ლაშქრავდნენ კიდეც ერთიმეორეს, მაგრამ მშვიდობიან დღეებში ერთ-მანეთის კარგი სტუმარ-მასპინძლებიც იყვნენ; ფიც-ვერცხლითაც ძმობილობდნენ... ბევრჯერ ავი დილაც გასთენებია არხოტოვნებს ქისტებისაგან, მაგრამ ამ ხალხზე მაინც მაღალი აზრი ჰქონდათ. მოსწონდათ მათი სიჩაუქე, სიმარჯვე, თავდაჭერის დიდი უნარი, ყმაწვილობიდან ვაჟკაცად გაზრდის ტრადიცია. ქისტებთან მსგავსება არხოტელებს საქებრად ჰქონდათ: –

„რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ,
მათ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მინა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით...
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!“

ასე სწორად დაიჭირა ქისტებთან დამოკიდებულების ეს მხარე ანა კალანდაძემ; შურით და მტრობით გაბოროტების ნაცვლად, დაუფარავი მოწინება იმისა, რაც მათი შეხედულებით საქებარია, გინდაც ეს თვისება მოსისხლე მტერს ჰქონდეს“ (თ. ოჩიაური).

*

„ლაშქართ შანადგომი“ წამოხურული ადგილია ჭიმლის კლდის ძირში – ცირცლოვანს“, ეძახიან.

ჯუთას დალაშქვრის შემდგომ, ქისტის ლაშქარი, ერთხელ არხოტისკენ წამოსულა; ხევსურებს იმ „შანადგომში“ შეუმნივდევიათ და სასტიკად გასწორებიან.

ტყვეობიდან თავის დაბნევის მიზნით, სამ გადარჩენილ ქისტს – ფეხები დაუსერავს (სისხლი რომ კლდეს შეწებებოდა), ისე ასულან მთაზე და ამბავი წაუღიათ (გ. ხორ-ნაული).

*

ქისტებმა – ჭიმლაში, სამი გაბური ძმის ოჯახი დედა-ბუდიანად ამოწყვიტეს. მხ-ლოდ ერთი მათგანის ცოლი და პატარა ბიჭი გადაურჩა სიკვდილს – „საქონელში ყოფილან მწყემსად.“

შინ დაპრუნებულმა დედაკაცმა (სახელად ძილუამ) – ზეზღურბლოვანი ტრაგიკული ემოციით, „ცოცხლად დარჩენილი შვილიც ქისტებს მიუგდო“: –

„აჲა, ესეც მოგიყვანეთ – გაძეხით ჩვენი სისხლითო...“

გავიდა 20 წელი.

ნახევრად შეშლილი ქალი თმაჩამოშლილი იჯდა და საქციელს ნანობდა, როცა მოსისხლე ქისტები – თეთრი დროშით ეახლნენ და, მათგან მოკლული სამი ვაჟკაცის ნაცვლად, შვილი – ქისტი ცოლით, სამი ვაჟით და ცხვარ-ძროხით დაუბრუნეს...

ამ შემზარავ დრამატურგიას მშვენიერი ლექს-ანდრეზი უძღვნა პოეტმა ბალათერ არაბულმა.

ჭიმლა გაბურები და თეთრაულები

კვირინმინდის ნასოფლარიდან მარცხნივ – მდ. ასას სათავის მიმართულებით, „სალი კლდეებით შემოსალტულ მწვერვალთა ძირში,“ სოფელი ჭიმლაა (ზ.დ. 1870 მ-ზე), სადაც სამი გვარის ხალხი ცხოვრობდა: – გაბურები, თეთრაულები და გიგაურები, „ძალიან მორწმუნე თავიანთი სალოცავებისა, კარგი სოფლობისა და ნა-თესაობის მქონენი. ცხოვრობდნენ სხვა სოფლებიდან მოშორებით და ერთიმეორეს ძალიან პატივს სცემდნენ“.

გაბურების გვარი მამებად არ იყო დაყოფილი;

გიგაურები იყვნენ: – ბოლოკაურნი და მამუკაურნი;

თეთრაულები: – ციანი, ბერდიკუნანი და იონანი.

„ამ სამში არავინ იყო ისეთი, რომ ერთიმეორის ნათესავი არ ყოფილიყო“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 45).

გაბუურების, ანუ გაბურების წინაპრებს, თავდაპირველად, ჭიშებს (ხორნაულთას) უცხოვრიათ; იქიდან წასულან ჯუთაში; ჯუთადან არხოტში გადასულან და ჭიმლაში დასახლებულან.

დამხვდური გვარები მათ ხატის მიყვანილებად მიიჩნევდნენ.

რ. თოფჩიშვილის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – გაბურები ხარ-ქვაბით შეყრიან არაბულებს, რადგან ცოტანი იყვნენ... შეყრილი გვარი თითქმის ყოველთვის გვარს იცვლიდა. გაბურების თავიანთ გვარზე დარჩენა ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს. შესაძლოა მოხდა არა ხარ-ქვაბით შეყრა, არამედ შეფიცვა, რამაც გვარის შეცვლა არ გამოიწვია (ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, წ. I, ხევსურული გვარები, გვ. 25, 2003 წ.).

„გაბურებს – ჭიმლაში, მეორე სახელსაც ეძახდნენ – შეღმათ. ეს იმიტომ, რომ ჭიმლას – ხევი ორ ნაწილად ყოფს. გაბურები ცხოვრობდნენ ხევის შეღმა მხარეს; გაღმა მხარეს... სამი გვარის ხალხი ცხოვრობდა: – თეთრაულები, მამუკაურები და ბოლოკაურები.

ორ უკანასკნელ მამას საერთო გვარი ჰქონდა – გიგაური... მოგვარეები მათ ბლოშიც ჰყავნდნენ.

თეთრაულებს და გაბურებს მოგვარე სხვაგან არ ყავდა.

„ამ რუვს, ანუ ხევს გაღმა – სამ გვარს ეძახოდნენ „გაღმათ“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 78).

*

როგორც ნათელა ბალიაური გვამცნობს: –

ჭიმლელნი – ხან გვერდით ედგნენ არხოტიონთ ღილლველებთან მტრობა-ძმობაში, ხან განზე დგებოდნენ („თავი უფრო ცალკე ეჭირათ“). ასევე იქცეოდნენ ხევსურებთან (ხადუელებთან) ბრძოლის დროსაც.

მათთან ახლოს იყვნენ შავანელი ღილლველები (ბეგარას აძლევდნენ მათ)...

ბლოშიც ჰყავდათ თავისი გვარის ხალხი (გიგაურები).

„კვირინმინდელნიც ძირად ბლოველი გიგაურები არიან, მაგრამ არხვატს სულ

გვერდში ედგნენ“ (ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

*

1873 წელს, ჭიმლაში, 14 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით – გაბურების, გიგაურების და თეთრაულების 28 კომლი დარეგისტრირდა (74 სული).

ხალხური ზეპირსიტყვიერება მოიხსენიებს ჭიმლაში მცხოვრებ შიშია და მინდია ბალახურიძეებს – ბალახურთ:

„დისწულ ორ იონეურთი, ბალახურიძე გვარია.“

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.), ნასოფლარის სიახლოვეს მდგარი თეთრაულების კოშკი გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ხუთსართულიანია (სიმ. 13,65 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ჩაქცეული აქვს სართულშუა გადახურვა და სახურავის დიდი ნაწილი. I სართული – სამალავია; II, III და IV – საცხოვრებელი; V – სათავდაცვო.

ჭიმლელთა საერთო სასოფლო სალოცავი, ჭიშველის ჯვარი – დასახლების თავში მდებარე ფერდობზეა განთავსებული.

„მისი ნაწილი, დარბაზზე მიშენებულ – თაღისებურად ამოყვანილ საზარეს უკავია.“

„საზარეში – ჯაჭვით არის ჩამოკიდებული ზარი, რომელიც გახვრეტილ ქვაზეა ჩამობმული და დამაგრებული“ (ვ. ბარდაველიძე).

სალოცავის დღეობას ჭიშველობას ეძახიან და ათენგენობას აღნიშნავენ.

თანასოფლელებს საგვარო სამამაო ჯვრებიც ჰქონდათ: –

თეთრაულებს – თავიანთი წმინდა გიორგი;

გაბურთ – მიქიელ კარის მეზობელი, რომელიც ჭიშველის ცოტა ქვემოთ და გასწვრივ მდებარეობს (ვ. ბარდაველიძე).

სოფლის მიმდებარე მთის მაღალ ფერდობზე პატარა კლდეა, რომლის ზედაპირი ხავსისებური ბალახით არის დაფარული – ახალაურთ კლდეს ეძახიან. მის ძირას ნაშალი ქვები ყრია, რომელიც ჭიმლელი გიგაურების სალოცავი, „გიორგი კარის მეზობელი“ ყოფილა.

*

ამდასა და ახიელას შორის ერთი სოფელი კიდევ იყო, თათხელი – გაამაყებულ და თავგასულ თათხელიონთა სამკვიდრო.

საუკეთესო სახნავ-სათიბი ადგილები ეჭირათ. „ხალხს არ ეპუებოდნენ და არც ჯვარ-ღმერთი სწამდათ“.

„მათ ადგილში თუ მსხვილი პირუტყვი გადავიდოდა ხალხს აღარ უბრუნებდნენ.“

იმათ შიშით, ამლიონ-ჭიმლიონთ და ახიელიელთ – ერთუთში სადენად, ოლრო-ჩოლრო სავალზე გაიღეს გზა და იმაზე დადიოდნენ“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 380).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვინმე სისკარა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თანასოფლელებზე.

რასაც ის იტყოდა – დანარჩენებიც იმას ასრულებდნენ.

ბოლოს, ამღიონთ გასძლოლია უთრუგათ კაცი, ხმალდახმალ მისულან და ერთობლივად დაულევიათ თათხელიონნი.

ჯერ სისკარა მოკლავთ – მერე, მთელი გვარი ამოწყვეტიათ: –

„ის არ ეგონა სისკარას, თუ მტერი მოერეოდა,

თავის თათხელი მზისპირი შიგიში აერეოდა,

ნინითი ნადგომ სუფრაი თუ სისხლში გაერეოდა.“

უთრუგათ კაცისთვის თემს საკარგყმოდ მიუცია საუფლო ყანა (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

ივანეურ (იონეთურ) თეთრაული

ხალხური ზეპირსიტყვიერება სამ ივენეურ-ივანაურს მოიხსენიებს – სამივეს მეფე ერეკლეს პერიოდში (ასპინძის ომის მონაწილე, ჯამბათა ივენეური – ბრძოლის ველზე დაეცა. ნაროვნის ღელესთან ბრძოლაში ლიქოკელი ჩაბაკის ივანაური სახელდება).

ჭიმღელი ივანეურ თეთრაული „ძალიან მეომარი“ ყოფილა, მაგრამ უკურნებელი სენი შეჰყრია (თმა-წვერის გაცვენა და მჭამელი). იუკადრისა, თურმე, ეს ამბავი, შეჯდა ცხენზე და ფშავში წავიდა, რათა ბრძოლაში მოკლას ვინმე სახელიანი ვაჟკაცი. ლოგინში „გულსუნადინოდ“ სიკვდილს – ბრძოლაში სიკვდილი არჩია: – „ან მოკელავ, ან მე მოვკვდები, ცოცხალმ არ უნდა ვიარო“-ო, უთქვამს და ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატის სიახლოვეს, „მთიბელში მყოფი კაცი მოუკლავს“ (ერეკლეს ჯარში ნამყოფი სახალხო გმირი – ყარტიულისძე) – გაქცეულა და მთავარანგელოზის ხატისთვის შეუფარებია თავი: – : –

„ჭიმღაში ივანეური დღეშუ გაღესავს ხმალსაო.

დედა უცხობდა საგძალსა, მამა უბამდა ჯლანსაო,

საფშაოდ გამაისტუმრებს, მამიდა დასწერს ჯვარსაო:

„წალმ გაჰყევ, ჭიმღის გიორგი, ფშავს მიმავალსა ყმასაო!“

ჩამაეწევა ღუნხევსა ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო...

ხმლითა სცემს ყარტაულასა, გამააგორებს მკვდარსაო.

ივანე ბეღელს შავარდა, წელთით დაჰკეტავს კარსაო.

შაჰჰყება ხოშარაული, აღარა ზოგავს თავსაო.

მარცხნივ კელაპტარს დაიჭერს, მარჯვნივ – შიშველა ხმალსაო.

მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კალაპტარსაო,

მაუქნევს ხოშურაული, გააგდებინებს თავსაო...“

გადმოცემის თანახმად: –

შურისძიებისთვის თავმოყრილი ფშავლები, სალოცავში სისხლის დაღვრის შიშით, სალუდეში შესვლას ვერ ბედავენ.

ბეტისჩრდილიდან მოჰყავთ მეომარი ხოშურაული, რომელიც ხატის წინაშე დაიდებს ცოდვას: –

„თავს მასჭრის“ ივანეურსა, „შაჰჰყევს ჯვარს, ჯვარის კარსაო...“

ბესარიონ გაბური

არხოტიონი იყო ცნობილი მელექსე მთქმელი და ხევსურული ზეპირსიტყვიერების ამაგდარი შემკრები, ბესარიონ გაბური (გიორგი აბაისძე). ავტორი პოემისა „შიოლა ლუდუშაური“ („შიოლა და მთრეხელი“) – რომლის ვრცელი ფრაგმენტი მოყვანილი მაქვს წიგნში „ხევი და მოხევეები.“

როგორც ამირან არაბული გვამცნობს: – პირველ მსოფლიო ომში დაჭრილი ბესარიონ გაბური, ობუხოვოს საავადმყოფოდან გამოგზავნილ პირად ბარათებში ხევსურული სიტყვა-გამოთქმების სწორად წერას ასწავლიდა თავის ძველ ნაცნობსა და მეგობარს აკად. აკაკი შანიძეს.

ახიელი

არხოტის თემის მთავარი სოფელი, კვირიწმინდიდან ორიოდე კილომეტრზე, „კიდევანის მაღალი“ მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, არხოტისწყალის მარცხენა ნაპირზე – სადაც მას კიდევანადან ჩამომდინარე მოზრდილი ხევი ერთვის.

„ახიელ“ – ქისტურად, თურმე, საჯიხევს ნიშნავს (გ. ხორნაული).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით (300 მ-ზე), ძველი ნასოფლარი ფიქსირდება, ე.წ. „ციხებინი“; თარიღდება ადრინდელი შუა საუკუნეების დასასრულით. ციცაბო ფერდობზე ტერასულად არის განთავსებული. მის მიმდებარედ აღმოჩენილი VIII-X სს სამაროვანი 1983 წელს გაითხარა. გამოვლენილი ინვენტარი (ბრინჯაოს ჭვინტიანი, რკინის ენიანი მშვილდაკინძი, ვერცხლის საყურე რგოლები, ვერცხლის არაბული მონეტა და სხვ.) დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

სოფლის ცენტრში მდგარი ბათაკათ ციხე-სახლი გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. გეგმით სწორუჟთხაა (6,6X5,5 მ.), სამსართულიანი. ზემოთ, თანდათან, ვიწროვდება. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით და კირის ხსნარით. წყობის რიგების სწორხაზოვნება დაცულია. ჩანგრეული აქვს ბანი და სართულშუა გადახურვები.

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით (2008 წ.), სოფლის ზემო უბანში მდგარი სიპედიან-ჩარდახიანი ხარათ ციხე გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება; ხუთსართულიანია, გეგმით კვადრატული, ზემოთ ძლიერ ვიწროვდება (4,8X4,8 მ. სიმ. 18,5 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ბოლო სართულის გადახურვა გუმბათოვანია. ფასადები სადა. ზოგან შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის კარის დერძზე, მაღლა – სალოდის ქვეშ, კედლის წყობაში გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი.

გადმოცემის თანახმად, ხარათ ციხე ცისკარაულების წინაპარს – აბა ჯორჯიაულს ეკუთვნოდა.

ხალხური ლექსი, ალბათ, მის მეციხოვნეს მოიხსენიებს: –

„ახიელ თეთრსა ციხესა ჩარდახი ჩამისდისაო,
შიგა ზის შუქიაური, თავს ცეცხლი გადასდისაო,
შუქიაურის ხირიმი გულმწუხრად გამოდისაო...“

შუქიაური – არხოტელი გიგაურების ქვეგვარი იყო, რომელიც ორ მამად (კვირიკანად და ბათირანად) იყოფოდა.

*

1873 წელს, ახიელში – 49 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით 22 კომლი დარეგისტრირდა (86 სული).

ჯაბუშანურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: – ჯაბუშანურთა წინაპრები თათრები ყოფილან; სასაფლაოც ცალკე ჰქონდათ და სალოცავიც.

„თათართ ჯვართ“ ეძახდნენ, სოფლის მოშორებით მდებარე, ჯაბუშანურთ საგვარო სალოცავს.

მისი დარბასის ნანგრევი კიდევ არსებობს და დღესაც, ძველი სახელი აქვს შენარჩუნებული.

„როცა თამარ მეფე მისულა არხოტში, ხალხი მოუწვევია და უკითხავს: – რამდენი ქრისტიანი და რამდენი თათარი ცხოვრობსო. უთქვამთ, ვინ რამდენი იყო და უბრძანებია მეფეს: – ცალკე თათრები დადექით და ცალკე ქართველებიო – ისინიც ცალ-ცალკე დამდგარან (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

საით მოსულან ჯაბუშანურები და რად დასახლებულან ახიელში, არვინ იცის... „ის ნამდვილად იციან, რო წინწინ აქ თათრები მდგარან და ისენ რო წასულან, ორ კაც კიდევ დამრჩალან იმათაი, ერთს ქვივნებია ალია, მეორეს ბახა...“

მათი ჩამომავლები არიან – „ალიანი“ და „ბახანი“...

„ნასახლარებ-ნადგომი ბევრგან აქვთ და ეხლადაც ხელს ზდებენ იმ ადგილებს“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 384).

ლეგენდის თანახმად, არხოტიონთა მთავარი სალოცავი, ახიელის მთავარანგელოზის ჯვარი, პირველად – „ჯაბუშანურთა სადგომის სიახლოვეს“ დაარსდა.

ალბათ, აქედან გამომდინარეა, რომ მისი უნჯი ყმანი ჯაბუშანურები არიან. მათი წარმომადგენელი იყო ხატის ხელოსანიც (ხევისბერი).

თ. ოჩიაურის ცნობით: –

„ალიათ მგელა ჯაბუშანურის შთამომავლობა მეექვსე თაობას ითვლის. თავად არხოტის ჯვრის – მიქიელის მკადრე იყო; გამოირჩეოდა თავისი ღვთისმსახურებით, ჯვარისადმი ერთგული სამსახურით, გამჭრიახობით, კაი კაცობით, ბედითა და დოვლათით. ღვთაებასთან დაახლოვებულ პირად – მეენედ, უახლოეს ხელკაცად ითვლებოდა...“ (მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.).

მგელა – ისეთი წმინდანი იყო, „არხოტის ჯვარს პირადად ელაპარაკებოდა; ყველაფერი იცოდა, ვის რა მოუვიდოდა, ვინ როდის მოკვდებოდა.“ მისი საფლავი წმინდა ალაგად არის გამოცხადებული.

მგელას ვაჟი, ახალაც – „ნაწილიანი გამოდგა; მტერი მასაც ვერაფერს აკლებდა.“

ახალას შვილი იყო ქორია. ქორიას შვილები: – გიორგი და უნცრუა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

ბალათერა ჯაბუშანური

როგორც ანდრეზი გვამცნობს: –

„ობლად დარჩენილი ბალათერა ჯაბუშანური, რო წამოზრდილა, დედიძმათას გა-დასულა სოფელ კარკუჩას, სადაც მამის მიერ მიბარებული იარალი ჰქონებიათ. წა-მოსვლისას, თავისი იარალი უთხოვია, მაგრამ დედი-ძმას არ მიუცია: – „ჯერ ბალლი ხარ, აბა, რად გინდაო“: –

„კარკუჩით გამაემართა ბალათერაი დილითა,

დედის-ძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტკრევს კბილითა.“

ისედაც გამწარებული არხოტელი მოზარდი, ჯუთის ზემოთ, ქისტების შეჰპრია და შებრძოლებია: –

„უმცრუათ ბალათერამა ხმალ მაიქნივა პირითა,

ზოგნი ჭრნა, ზოგნი ჩაკაფნა, ზოგნი წაუვლენ ჭირითა...“

უთანასწორო ბრძოლაში თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა – „მთა გარდიარა გმ-ინვითა“: –

„გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,

გადაუშალნა ქოჩორნი, გადაპოხილნი ტვინითა.

ბალათერაის დედამა თმანი დაიჭრნა ძირითა:

– „ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, ან, გაძლეს შენი ჭირითა!“

გაბრიელ ჯაბუშანური

ახიელელი იყო გაბრიელ ჯაბუშანური – ზეციური პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კაცი, რომელიც „ბედმა თუ უბედობამ, თავისი წილი საწუთოს გზა-ბილიკებზე, საკმაო სისასტიკით გვემა და ამარტვილა... არხოტის ცრიატი დილა-სალამოების უბე-შია გამონასკვული მისი შემოქმედებითი გზის წინაპირველი კვირტი და ნაყოფი; მის მხატვრულ ხილვათა ფესვი და დვრიტა მთის წმინდა წიაღში ძევს, იქ სადაც ძაფის სიმსხო, სუსტი და უსახო ნაკადული, ცოტაოდენი გამანძილების შემდეგ ზავთიან მდინარედ იქცევა და გიუმაჟი შენაკადებით მოღონიერებული წალეკვით ემუქრება დეკის უთეთრესი ყვავილით გადაპენტილ ნაპირებს...“ (ამირან არაბული, „არხოტ რო წყაროთგორია“).

თავად გაბრიელიც ემოციურად წარმოგვიდგენს საკუთარ თავს: –

„იცით, მე ვინ ვარ? – რომ არ ვთქვა ბევრი, –

მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა,

ბარათაშვილის ვარ ცოტა ცრემლი

და ერთი თასმა ვაჟას ქალმისა;

მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთი.

ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრა,

ამიტომ მქვიან ალბათ პოეტი

და მათ მუხლებთან მიხდება მოხრა.“

ბალიაურნი

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბალიაურების წინაპარი ბლოდან კვირი-წმინდაში წასული მჭედელი ყოფილა, რომელიც, „შიშიანობის დროს“ ახილიელებს შეეკედლა. სოფელს – ჯერ, სამრევლოდ მოუცია ერთი ყანა; მერე, თოთხელიონთ ამოწყვეტის შემდეგ, „სადედოში“ (სისხლის საფასურში) მიუღიათ „ნეთხიჩოს ბოძთ ტყე“. „ჭიმდელ თეთრაულებს მათი კაცი მოუკლავთ და იმაში აუღიათ“.

ბალიაურებს – „ძველად განაყარნი არა ჰყვანან. ჰყავთ ახლად გაყრილები – ძმები, ბიძაშვილები. ესენი მეტად მცირერიცხოვანნი არიან და გვაროვნული წყობილების ძლიერ სუსტ ჯგუფს წარმოადგენენ“ (გ. თევდორაძე).

მათი საგვარო სალოცავი, სოფლის შუაგულში მდებარე „ხთიშობელია“ – ადგილის დედა, რომელიც მთისა და კლდის, წყლისა და ტყის, ხალხისა და საქონლის მფარველად – ხელის მომმართავად, ფათერაკის ამცდენად და ნაყოფიერების მიმნიჭებლად ითვლებოდა.“

„ხთიშობლის ლოცვას ჩვენ არ მოვიშლიდით...“ გვამცნობს ალ. ოჩიაურის მთხრობელი... „მაგრამ ყოფილა ვინმე დათვია, რომელიც სთხრიდა სახლის საძირკველს და მის სასახლე ადგილში მოჰყვა ამ ჯვართ ნიშიც.“

იმ დროს, მარტო ერთი კაცი გვყვანდა ცოცხლად დარჩენილი (გაგა), რომელმაც წინააღმდეგობა აღარ გაუწია...

დათვიამ სახლი გაიკეთა, მაგრამ საქმე კარგად არ წაუვიდა, ცოლ-შვილიანად ამოწყდა – რადგან ხთიშობელი ჰყავდა გამწყრალი (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

თომა ბალიაური

ვინც ამ იშვიათი გარეგნობის, ბუნებრივი მომხიბვლელობის და პიროვნული ზე-მოქმედების საოცარი ძალით დაჯილდოებულ ვაჟეკაცს ხვდებოდა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის უერგულეს თანამებრძოლს) – „მის ჯადოს თავს ვეღარ აღწევდა.“

„ლეგენდად დარჩა იგი დ. კაკაბაძის, დ. ციციშვილის, მარიჯანის, ვ. შელოვსკის, ვ. ბარდაველიძის, ნ. მაკალათიას მოგონებებში. ისინი ხევსურეთის გადაკარგულ სოფელში ხვდებოდნენ მას, მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონე ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავისი პოლიტიკური მრნამსის გამო, მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და საკუთარი ცხოვრების მიზანს; მარტოკა იდგა ძლიერი, დაუნდობელი მტრის პირისპირ“ (თ. ოჩიაური).

მისი სიკვდილი თავზარდამცემი იყო მთელი ხევსურეთისათვის.

ჩეკამ ბალიაურების ერთი ტუტუცი ნათესავი მოისყიდა, რომელმაც მიპარვით მოკლა 36 წლის ასაკში.

ლადო ბალიაური

„შუაფხოში, იახსრის გორზე, ბებერი ითნებით დაჩრდილულ წმინდა ალაგას განისვენებს ფართო მკითხველი საზოგადოებრიობისათვის მიზეზთა გამო სხვათა და

სხვათა ჯერაც ნაკლებად ცნობილი რეპრესირებული მწერლის ლადო ბალიაურის ძვალ-მალი.“

თომა ბალიაურის გვერდით ყოფნამ, ბავშვობიდან აზიარა ის, იმ ზნეობრივ ღირებულებებს, რაც ხევსურეთში – კაცის კაცობის საზომად ითვლებოდა.

სწორედ ამიტომ, თომას სიკვდილით თავზარდაცემულმა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა – სწავლა მიატოვა და არხოტში დაბრუბდა.

შური იძია არა მკვლელზე, არამედ კაცზე, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა; ვისმა ენამაც შეურიგებელი მტრობა ჩამოაგდო მოძმეთა შორის.

ამ ამბის შემდგომ, იმჟამად უკვე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ლადო ბალიაური, იმ იატაკევებშა ორგანიზაციას დაუკავშირდა, რომლის საქმიანობაც „1942 წლის შეთქმულების“ სახელით არის ცნობილი.

მონადირის ყნოსვით იგრძნო რომ უთვალთვალებდნენ და – ჯუთას, და-სიძეთა ოჯახების შეაფარა თავი.

ჩეკისტებმაც – „მსხვერპლზე დაგეშილი ნადირის უტყუარი ალლოთი მიაგნეს“ – მძიმედ დაჭრეს და დააპატიმრეს.

„ძალიან კარგად ვარ, შვიდი ნატყვიარი მჭირს!“ – სწერდა საავადმყოფოდან თავის დისმენილს, იმსანად უნივერსიტეტის ასპირანტს, თინა ოჩიაურს.

„ირონიის კილოზე აულერებული ეს სიტყვები მთელი სისავსით ათვალსაჩინოებს მწერლის სულიერ სიმტკიცეს და ვაჟკაცურ შემართებასთან წილნაყარ არტისტულ ბუნებას“ (ამირან არაბული).

რამდენიმე წლის პატიმრობის შემდეგ, ლადო ყაზახეთში გადაასახლეს.

ამ სასჯელსაც ვაჟკაცურად გაუძლო, მაგრამ, უკვე გათავისუფლებული და საქართველოში გამოსამგზავრებლად გამზადებული – ტრაგიკულად, საეჭვო ვითარებაში დაიღუპა (ჭაობში დაიხრჩო).

ნიკო მაკალათიამ ჩამოასვენა მისი ნეშტი.

თომა ბალიაურის დედამ საფლავში ჩაატანა მას შვილის – ნატყვიარი სისხლიანი ჰერანგი.

ნათელა ბალიაური

„ხევსურული ქრონიკების“ ავტორი, თავისი კუთხის ამაგდარი ხევსური ქალი („ღვიძლი დაი ლადო ბალიაურისა“) – ასეთი სიყვარულით და ხუმრობანარევი საყვედურით მიმართავდა თავის მეხოტეს, საქართველოს ერთ-ერთ პირველ პოეტს:

„მიხარია, რომ ხანდახან ჩემ საყვარელ ხევსურეთსაც წინწკლებს ესვრი, მაგრამ ჩვენ მეტს მოვითხოვთ: ღულის ძირ წისქვილი შეამჩნიე, – სიბერიავის ნაშთი, ბეგენგორი კი – ვერა... არხოტ ქავ-ციხეები გამოგრჩა... ახიელს თამარ-მეფის ნაკურთხი სასაფლაოა... ჭალას – თამარ მეფის წყარო... ახლა შენ მეტყვი, მე რა, ისტორიკოსი ვარო? მაგრამ მე მაინც მინდა შენ ეგეები იკითხა...“

ერთი მითხარი, ხევსურეთი რატომ გგონიათ უკანონო გერი ან შენ, ან მეორეებსა...“

*

„ჩემო ანა! მე შენგან წლოვანება მაყენებს შორს, თორემ სულით სულ ახლოს ვარ შენთანო“, – მწერდა ნათელა ბალიაური ერთ-ერთ წერილში.

„სიცოცხლის ხალისითა და ცხოვრებისეული ინტერესებით იყო სავსე და ამიტომაც არ იგრძნობოდა მასთან ასაკობრივი სხვაობა, სწორედ ამიტომაც იყო მასთან ურთიერთობა ყოველი ასაკის ადამიანისათვის ესოდენ მიმზიდველი და საინტერესო. ვერა, „ვერ იტყოდით მის დაბერებას“! უაღრესად პოეტური ბუნების მქონეს ხევებში მონავარდე ქარების სილალე ბოლომდე გაჰყვა – ღრმა სიბერეს სულით უბერებელი შერჩა.“

*

ლექსის დიდოსტატი ალერსით ეხმიანება „თავის ნათელა დეიდას“:

„მარჯვე მუხლი გაქვს ნათელავ,

გული ყელამდე მდიდარი.

ლემადესავით გადავლე

გზები ფეხმოუკიდარი...

ცხრა წყარო გადავიარეთ

პირმზითი ნაპირმზითარი

შენებრ ქალი არ მინახავს

არც გზები ესევითარი...“

*

„ბევრი მაქვს ჩაწერილი ნათელა ბალიაურის ნაამბობი... მათი გადაკითხვისას... ზარისჭალიდან, ნაროულადან თუ ციხე-გორიდან მოპერილი ქარი უმალ წამოშლის ჩემს მოგონებებსაც – მინდორ-ველთა მაცოცხლებელი სურნელი და არაგვისა თუ თეთრახევას განუმეორებელი ხმები რომ მოაქვს ჩემამდე და „უთვალავ ფერთა“ ელ-ვარებით რომ „მათრობს და მაბრუებს დღესაც“ (ანა კალანდაძე).

ცისკარაულნი

გ. თევდორაძის ცნობით: – სოფ. ახიელში მცხოვრები ოჩიაურები, ნაროზაულები და ცისკარაულები ერთი მამისგან არიან წარმოშობილნი.

გადმოცემის თანახმად, მათი წინაპარი, აბა ქურჯიაული (თუ ჯორჯიაული), არხოტში გარბანიდან (ხევიდან) არის მოსული.

ნადირობის დროს მოსწონებია ეს ადგილი და გადმოსახლებულა.

მასვე აუგია სიპერდიან-ჩარდახიანი „ხარათ ციხე“, რომელიც, დღესაც – ახიელას სიახლოვეს დგას.

ამბობენ: – ციხის ამგებს აბამ 50 ძროხა მისცაო.

ცისკარაულების გვარში გ. თევდორაძე მოიხსენიებს: – ხარანს, თათიანს, გაგუ-ცანს, კინწილანს და ფუნჩანს.

ნათელა ბალიაურის ცნობით, მათი მამ-მამის შვილები არიან: – ხარანი, თათიანი, გაგუჩანი, კვირიკანი და ფუნჩანი.

ალ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული მასალის თანახმად: – ხარანი და ცისკარაულნი ერთნი არიან; ხარათ – ზედმეტ გვარად უწოდებენ ცისკარაულებს, ვიღაცა ხარა ყოფილა მათ გვარში. ისინი, „ხარანი, კიდევ იყოფოდნენ ცალ-ცალკე მამებად: – ძუნ-ძულნი, გაგუჩანი და ხომიზურანი... თათიანი არ იყვნენ დაყოფილნი“ (მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 127).

„ხომიზურანი, ჯიხვების გადამეტებით ხოცვამ ამოწყვიტა... შემოუწყევლია ნადირთ მწყემსს და დაილივნენ (ამოწყდნენ) ქალ-ქალიშვილიანად“ (ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

ამ მამაშვილობიდან ახლა აღარავინ არის: – „უამს დაულევია. ძალიან ამაყები ყოფილან. სოფელს არაფრად აგდებდნენ. ნადირობდნენ, ურჯულოს ხოცავდნენ, მტერს მაგრად უდგებოდნენ, მაგრამ თავიანთ სოფლელებს ხმას არ აღებინებდნენ... ერთხელაც, თურმე, საიალალოდ გაშვებული სოფლის ხარავანი ჩამორეკეს... მოისვეს დაშნებს ხელი და თავები დაჭრეს... მაშინ გაუწყრა მათ არხოტის ჯვარი და ჟამი გაუჩინა...“ (ნ. ბალიაური, ხევსურული ქრონიკები).

კვირიკათ ჰელიონით ერთი კუკუა, „კარგზე კარგი, მამაცი მონადირე. დილით შეეფარებოდა, თურმე, ნეთხოჩის და საღამოს ნადირის ხორცის ბარგს გამოატარებდა...“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტის თემი).

ვ. ბარდაველიძის ცნობით: – „ცისკარაულნი მთის ვეშაგში ინათლებიან, მიებარებიან და სახელოს იქმენ.“

ნაროზაულნი

ნაროზაულებიდან სამი ქვეგვარი მოდის – ქავთარნი, ბადანი და ჩაბაკაურნი.

მშვიდი და წყნარი ხალხი ყოფილა.

„არ უყვარდათ შუღლი და ამით კაცობა-სახელობა. თუკი ვინმე ძალით გამოიწვევდა შუღლში, სხვაზე უარესად არ დახვდებოდნენ, მაგრამ თვითონ არავის აუტებდნენ შარს.“

„მათ ცალკე გვარად ყოფილან თამარისძენი.“

ამ გვარის კაცს (ფუნჩას) დევი მოუკელავს ჯვარში და „საშვილ-საშვილიშვილოდ დაუდია ძენგლი“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 140).

*

ნაროზაულთა საერთო სასოფლო ხატია ჯაჭველი.

„შიგნით, ცალ-ცალკე ქვეგვარებად რომ იყოფიან, იმათ თავ-თავის სალოცავები ცალ-ცალკე ჰყავთ“.

ჩაბაკაურები – სასოფლო ხატს, ჯაჭველს და საგვარო სალოცავს, „მინდორის თეთრი გიორგი ჯვარს“ ლოცვაში ერთად მოიხსენიებენ: –

„ჯაჭველო გიორგი ხმელის გორისანო...“

ბადათ საგვარო სალოცავი „მთური ჯვარია“ – „მთის ვეშაგი“ („მთიშეშაგ წყაროსთავისაი“, ანუ „მთიშეშაგი გაბრიელ მთავარანგელოზი“). ოთხივე სახელი იმ ერთ

სალოცავს ეკუთვნის, რომელიც, გადმოცემის თანახმად, „ხმელს გორზე გადასვლის მერე დატოვა იქ გორულმა ჯვარმა – „როგორც თავისი ლაშქარი, მთის ყარაული.““

ის ადგილი ბადათ სახლის მიმდებარედ იყო და მათ საკუთარ სალოცავად იქცა. ქავთარნი – ორი ქვეგვარის იყვნენ (გუგუანი და ყურფარანი).

მათი და ოჩიაურების საერთო (როგორც სასოფლო, ისე საგვარო) ჯვარია – „ჯაჭველი ხმელის გორისა“.

სალოცავში მდგარი ერთი კოშკი ქავთართ ეკუთვნის, მეორე – ოჩიაურებს.

მათი სამამო საქმეები იქ ირჩეოდა.

ქავთართ გუგუანი – „მძლავრობდნენ, სახნავ-სათიბ მიწებს ძალით ითვისებდნენ; მათმა კაცმა არხოტის ჯვარის გალავანთან ხმალიც იხმარა და ეს გახდა საბაბი მათი გათავებისა“ (აღ. ოჩიაური).

რაღაც ოჯახურ გაუგებრობებთან დაკავშირებით (დიდი სიახლოვის მიუხედავად), „ოჩიაურები და ნაროზაულები ისე აირივნენ, რომ – ბოლოს, ერთმანეთთან საბრძოლველად გამოვიდნენ... ბებერმა კაცებმაც კი აიღეს ხელში ქართული თოვები.“

ამ გაუგებრობის შემდგომ, ნაროზაულთა დიდი ნაწილი აიყარა და გადასახლდა.

„დარჩა მხოლოდ ორი კომლი – ქორძას პაპა და ხიზანა“ (ნ. ბალიაური, ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

ბადა ნაროზაული (ბადათ ბადია)

„ერთ ლაშქრობაში ერეკლესთან ნაროზაულთ გვარის კაცი ბადათ ბადიაც ყოფილა, უზარმაზარი ტანისა და ღონის პატრონი, მტერთან შეუპოვარი და მედგარი მეომარი.

ბრძოლაში ერეკლეს ხმალი გადასტებია.

ბადასთვის უთქვამთ – შენი ხმალი მიეციო.

„რისთვისაც ერეკლეს უნდა ხმალი, მეც იმისთვის მჭირდება... ჩემ ხმალს ვერავის მივცემო...“

რად არ მათხოვეო ხმალი – ბრძოლის შემდეგ უკითხავს მეფეს.

– „ჩემი ხმლის გარდა, სხვას ვერ ვგუობო.“

– სამოც ხმალს მოგიტან შენი ხმლისნაირსო.

– „ამნაირი არ იქნებაო.“

– მაშ, სამოც ხმალში თუ შენსას ამოიცნობ, ეგ ხმალი შენ დაგრჩება, თუ არა – დაჰკარგავო.

დაუწყვიათ მინდორზე სამოცი ხმალი და ნაბადი წაუფარებიათ ისე – მხოლოდ მათი წვერები ჩანდა.

მისულა ბადა, დაუხედია... ერთისთვის წაუვლია წვერში ხელი: –

„ბადას შენ სხვაში არ აერევიო...“

„მშვიდობაში მოგახმაროსო! – უთქვამს გახარებულ ერეკლეს“ (ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

ოჩიაურები

„ოჩიაურები წინად გაბიდაურები ყოფილან. მათი შემდეგი გაგრძელება ჯორჭიაულის გვარში გადადის და მათი განაყარნი არიან“ (გ. თევდორაძე).

აღ. ოჩიაურის ცნობით, ისინი სამ ქვეგვარად იყოფიან: – საჩინანად, ალუდიკანად და ქალიელნად. „ყოფილან კიდევ ხირჩანი და ამოწყვეტილან..... მათი მამის ხალხი ყოფილა საშინელი ამაყი,“ განსაკუთრებით, ხირჩათ მინდია. ამოწყდნენ იმიტომ, რომ მეტად ბევრ ურჯულოს ხოცავდნენ. მინდიას 11 კაცი მოუკლავს და მეთორმეტე ტყვედ მოუყვანია.“

ორჩოლანიც ამოწყვეტილან; ზვავის მსხვერპლი გამხდარან, მაგრამ მათი გათავება ხალხმა იმას მიაწერა, რომ „სამან-სამძღვარს არ ინდობდნენ“ (აღ. ოჩიაური).

*

ოჩიაურების როგორც სასოფლო, ისე საგვარო სალოცავი „ჯაჭველია.“

„როცა ხალხი დევებისგან შეწუხდა“ – ისინი ქავთარნ ნაროზაულებთან ერთად წასულან და (თავდაცვის მიზნით), საიდანლაც მოუყვანიათ „ჯაჭველი“ – ახალი ხატი, რომელიც, თავდაპირველად, „გორული ჯვარის“ სახელწოდებით დაარსდა და – მოგვიანებით შეირჩია საბრძანისი – „ხმელ გორზე“ (ჯორჯიაულების ციხის სიახლოვეს).

ოჩიაურთ დროშათ საბრძანისის გვერდით მდგარი მეორე კოშკი – ქავთართ სალოცავს წარმოადგენს. ხეცესი ორივე გვარს ლოცვაში ერთად მოიხსენიებს („ქავთარ-ოჩიაურნი“).

*

ოჩიაურთა გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ლირსეული მამულიშვილის სახელი. მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი:

აღეკა ოჩიაური ხევსურეთში ცნობილი აქიმი-დასტაქარი იყო.

აღექსი ოჩიაურის შრომების გარეშე, „ჩვენი უნიკალური ეთნოკულტურის მთლიანობაში დანახვა და გააზრება, სრულფასოვანი ვერ იქნება. იგი უშუალო მხილველი და მონაწილე იყო ფხოვში მომხდარი არაერთი „საარდარაო“ ამბისა და დრამატული მოვლენისა. მონაწილეობდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ მოსისხლეთა შერიგების ურთულეს პროცედურებში. საკუთარი სიტყვა უთქვამს, რჯულ-სამართლის განმტკიცებისა და ქმედითუნარიანობის ამაღლების საპასუხისმგებლო საქმეში...“ (თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.).

აღექსი და ნათელა ოჩიაურების ოჯახმა საქართველოს ოთხი საამაყო შვილი, ოთხი პროფესორი აღუზარდა: – ბოტანიკოსი დედიკა და ეთნოგრაფი – თინათინ; ცნობილი მოქანდაკე ძმები: – ირაკლი და გოგი ოჩიაურები.

ძველი ქართული ეროვნული ხელოვნების – ჭედურობის, აღორძინებისათვის ირაკლი ოჩიაურს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მუშაობდა სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგში – ფერწერასა და გრაფიკაში, პორტრეტ-სა და ქანდაკებაში, მონუმენტურ დეკორატიულ ხელოვნებაში, დაზგურ გრაფიკასა, ლითონმქანდაკებლობასა და ოქრომჭედლობაში. იყო საქართველოს სახალხო მხატ-

ვარი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის კათედრის პროფესორი. მისი ნამუშევრები დაცულია: სახვითი ხელოვნების მუზეუმში („სტუდენტი გოგონას პორტრეტი“), საქართველოს ხელოვნების მუზეუმში („ირინე ჯანდიერის პორტრეტი“), ტრეტიაკოვის გალერეაში („ვაჟა-ფშაველას პორტრეტი“), სიეტლის ხელოვნების მუზეუმში – იაპონიის, აშშ-სა და სხვა მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში. ავტორია ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლისა სტეფანნმინდაში; ვაჟა-ფშაველას ძეგლისა – დუშეთში.

გიორგი (გოგი) ოჩიაური იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი – ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მისი ძირითადი ნამუშევრებია: – ვაჟა-ფშაველას ძეგლი და ქორწინების სახლის ბარელიეფი (თბილისში), „ქალის ტორსი“ (ადლერში), კომპოზიცია „ზღვა“ (ბიჭვინთაში), „სიცოცხლის ხე“ (ტექსილში), დიდების მემორიალი – კომპოზიცია „რექვიემი“ თბილისის ვაკის პარკში, დიმიტრი უზნაძის ბიუსტი უნივერსიტეტის ბაღში და მრავალი სხვ.

ოჩიაურები და ქერაშვილები

ქერაშვილი ხევის ერთ-ერთი ძირძველი გვარია.

გადმოცემის თანახმად:

როცა 16 წლის ვახტანგ გორგასალმა დარიალის ციხე გაათავისუფლა, ის „სტეფანნმინდებს“ ჩააბარა და მათ – ორი დროშა გადასცა.

მოხევეებმა ერთი დროშა ლარსთან აღმართეს; მეორე – ხდეში, გვირგალაის წვერზე.

„ეს ხდე იმდროიდან სტეფანნმინდებს თურმე ეკუთნოდათ თამარ მეფემდის.“

„როდესაც თამარი ხევში შემოსულა, სტეფანნმინდები დაუბარებია და უთქვამს: – „თქვენ ვახტანგ მეფიდან ჩვენი ერთგულები ხართ და როგორც გულადი მეომრები თქვენგან სამი კაცი ჩემს მუდმივ სამსახურში უნდა იყოსო.“

ამასთანავე, განთავისუფლებთ ხდეს ყარაულობიდან და ამ საქმეს ხევსურებს ვაკისრებო.

ამ დროიდან ხდეში ხევსურები გადმოსახლებულან და ეს ადგილი მათ ჭერიათ რუსების შემოსვლამდის“ (ს. მაკალათია, ხევი).

ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს, რომ მდინარე ქისტურას (კისტინკას) ვიწრო ხეობაში მდგარა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე, რომელიც ამ ხეობას იცავდა.

ხდეს ხეობის ხევსურ მეციხოვნეთა შორის, ანდრეზის თანახმად – გოგოჭას „სახლიდან“ წამოსულებიც იყვნენ.

მეომართა ეს კასტა, საბოლოოდ, ხევში დამკვიდრდა. მათმა შთამომავლებმა, თითქმის, 700 წელი უდარაჯეს საქართველოს საზღვრის ამ ურთულეს მონაკვეთს.

„ხდეს ხეობის ყარაულობიდან ისინი რუსებმა გაყარეს, ხდეზე და ლარსზე საქართველოს დროშები მოხსნეს და ორივე ხეობა გ. ყაზბეგს ჩააბარეს“ (ს. მაკალათია).

გადმოცემის თანახმად:

„გოგოჭას სახლიდან“ წამოსული ერთი მეციხოვნე ხევის სოფელ ახალციხეში დასახლდა.

მისი „ჩამამავლობიდან“ წარმოსდგა ქერაშვილების გვარი, რომელიც, XVII საუკუნის დასაწყისში, იმდენად აღზევდა რომ, ზურაბ არაგვის ერისთავის მრისხანე მოურავს, შიოლა ღუდუშაურს დაუპირისპირდა და მოგვიანებით – დაუმოყვრდა კიდეც...

1631-1774 წლებში, ავად დატრიალდა ქერაშვილების ბედის ბორბალი – მრავალი უბედურება დაატყდათ თავს. იქამდის მივიდა საქმე, რომ „რაღაც სახადითაც გაწყდნენ.“ მხოლოდ ერთადერთი გადარჩენილი მამაკაცი გარიდებია დაქცეულ კერას – არხოტში გადახვეწილა, სადაც ოჩიაური ძმადნაფიცი ჰყავდა. ძმასავით მიუღია ქერა და, რამდენიმე წლის შემდგომ, დამოყვრებულან კიდეც; ოჩიაურის და – შეურთავს ხიზან მოხევეს: –

„ცოლად დას მოგცემ, ძმობილო,
მჯობნია გიშრის თვალისა,
სწორედ მას შეეფერება,
დედობა ქერეთ გვარისა...“

ხალხური მექსიერების მიხედვით, დაცოლშვილებული ქერა – წინაპართა საცხოვრისს დაუბრუნდა – ხევის ახალციხეს: –

„ახიელაის ყოილმა
ხევში დაიდო ბინაო,
გატიალებულ კერასა
პატრონად მოევლინაო,
სალ კლდეზე ქერეთ ციხესა
დამცველნი გაუჩინაო,
მარტო დარჩენილ ქერასა
წყლულები მოურჩინაო...“

*

როგორც მოხევე, ისე ხევსური (ახალციხის და ახიელის) უხუცესები დაბეჯითებით ადასტურებდნენ, რომ დღევანდელი ქერაშვილები – ქერას და ოჩიაურთ ქალის შთამომავლები არიან. მათი შვილებიდან (ბულელასგან, ქერასგან და ხაფანასგან) დაინყოო ქერაშვილების „მეორედ მოსვლა“ (ქერა – საზოგადოდ ქცეული გვარსახელია).

ამდა

ნასოფლარი ახოტისწყალის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ახიელიდან ორიოდე კილომეტრზე – ზ.დ. 1720 მ-ზე.

უწინ, დიდი და ძლიერი სოფელი ყოფილა – „სხვადასხვა ჯიშის და სხვადასხვა კუთხიდან მოსული ხალხით დასახლებული.“

ბოლოს, წიკლაურები უფრო გამრავლდნენ, „სხვები ცოტანი დარჩნენ და უკაცურობის გამო, მათ მიეკედლნენ“ – წიკლაურის გვარი მიიღეს (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 63).

აღნიშნულის შესაბამისად, არხოტელი წიკლაურების ზოგი მამიშვილობა ნამდვილია, ზოგი – წიკლაურობაზე შემდგარ-შეფიცული. არიან როგორც ძალიან ახლობელი, ისე ერთმანეთთან ძალიან დაშორებული და სულ სხვა მოდგმის წიკლაურები: –

ჭოლიკაურებს (გატუსვლიანთ) სცოდნიათ, „რომ თათრის ჩამომავალნი იყვნენ.“

„როცა თათრები თარეშობდნენ საქართველოში, ერთი კოჭლი თათარი დამრჩალა აქ და იმაზე გამრავლებულან.“ მათ მამას ორი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ (ჭოლიკაურნი და ციანი). ისინი მამაცობით სახელგანთქმულნი ყოფილან, მაგრამ – „ამაყი და მოუთმინარი ხალხიც იყვნენ“ (ალ. ოჩიაური).

მათი საგვარო სალოცავი სვეტისანგელოზი (იახსარ-სვეტადჩამოსული) იყო. „მისი უნჯი ყმები ყოფილან“ (ვ. ბარდაველიძე, 1947 წლის ხევსურეთის ექსპედიციის მასალები, გვ. 41).

უთრუგანი (ანუ, შუღლიანი) „უფრო ჭოლიკაურთკე იხრებოდნენ.“ „კაი ყმობა მოუდიოდათ.“ მათი წინაპარი გასძლოლია აბობოქრებულ არხოტივნებს – გაბუდაყებულ თათხელიონთა დასათრგუნავად.

ბასილაურთ (ქარჩათ) წინაპარი თუშეთიდან ტყვედმოყვანილი კაცი ყოფილა. სალოცავი ამდის სიახლოვეს ჰქონდათ – რკენისჯვარი (იგივე პეტრე ნალვრისპირისაი, პეტრე რკენისა), ანუ – ზეზეხატი.

ამდადან ერწო-თიანეთის სოფ. კვირისხევში წასულ ბასილაურებს – ქარჩათ წიკლაურებად მოიხსენიებდნენ. იქ – ზოგი ბასილაურად დაეწერა, ზოგი ჭოლიკაურად, ზოგი – წიკლაურის გვარს ატარებდა. ამდელ მოსისხლეებს მათთვის ახალ სამოსახლოშიც მიუკითხავთ და მთლიანად დაუწვავთ მათი სახლ-კარი. აღნიშნულის გამო, კვირისხევის ნაცვლად – დამწვარსოფელს ეძახიან იმ დასახლებას (რ. თოფ-ჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან. წ. I, 2003 წ.).

წიკლაურთ გვარზე შემდგარან ამდაში თუშეთიდან მოსული ბახალაურებიც. მათი მამიშვილობები: – ჩინგლანი, ქარჩანი, ძამურანი (ახალანი) და კიკიძე-ქარჩაიძეები, მოგვიანებით – ერწოში გადასახლდნენ. ძამურანთან ახლო მდგომი მამიშვილობა, გილანი – ყაზბეგის რაიონში წასულან, სოფელ ართხმოში (ალ. ოჩიაური).

*

არხოტში – პირველად, ფაფარენელი თურმანის შვილი – ბერდი წიკლაური მისულა. მან დაუდოო სათავე ბერდიშვილთა მრავალრიცხოვან და სახელოვან მამიშვილობას.

მათი ახლო განაყრები იყვნენ – გიორგანი და აბაიზენი – ბათანი, ნისლაურნი, გაგანი და მზევინარანი... ბახანი უფრო შორს იყვნენ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 63).

გაგა ბერდიშვილი, ანუ, ბერდიათ გაგა – დავლათიანი კაი ყმა ყოფილა. გადმოცემის თანახმად: – „საორბედო სისხლიან ბრძოლებში, უფლის ნებით, საფარველი ედებოდა, უჩინარდებოდა და მტრის ტყვია არ ეკარებოდა.“ ფურთვაკეს მდებარე მისი ობოლი სამარა – ჯვარისკარივით წმინდა „ურიომშო ადგილად ითვლებოდა და როცა ჯანმაგარი თემი თემობდა, თავიანთი უბადლო წინაპრის დავლათის სადიდებლად ბერდიშვილები მის სახელზე წელიწადში ერთხელ საგანგებოდ მოვლილ ჭედილას კლავდნენ“ (ამირან არაბული).

გიორგანი – „ერთი მამაი ას წიკლაურების გვარშია-დ... სრუ სანადირო კლდეში

ისხდეს, ხოცდეს ნადირს, ზიდევდეს ხორცს... არც ბევრნი იყვნეს, სამი-ოთხ იყვნეს ძმა-შინშებ – მაგრამ დიდად სახელიან იყვნეს, როგორც მენადირეობით, ასრივ მტრისად მიყოლითად – „შურისძიებით“ (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 283-284)

აბიკათ გიგიაც წიკლაური ყოფილა, „ბერდიშვილთ მამისა და ბერდიშვილთ მამი-დან კიდევ ბაიათი.“ ამაყი ხალხი იყო და თავმომწონე. „არაფრად არავის აგდებდნენ. მაგათი წინაპრები სახელოვანი ხალხი ყოფილან ქისტებთან ბრძოლით და ამიტომ ისევ ამაყობდნენ ძველი სახელით (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2019 წ. გვ. 140).

*

1873 წელს, ამღაში, 36 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღნერით 28 კომლი დარეგისტრირდა (96 სული).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფლის სამხრეთ ნაწილში მდგარი წიკლაურ გაგათ ციხე-სახლი – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. გეგმით ოთხკუთხაა ($6,35 \times 4,2$ მ. სიმ. 5 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. სახურავი და ხის სართულშუა გადახურვა ჩანგრეული აქვს.

ამავე პერიოდს ქავისკარის კოშკი, რომელიც ხეობაში შემოსასვლელ გზას აკონტროლებდა, სოფლიდან 1,5 კმ-ზე, მდინარე ასას ნაპირზეა განთავსებული. შემორჩენილი აქვს 2 მ. სიმაღლის კედლები.

*

ამღელთა საერთო (სასოფლო) სალოცავის – სვეტისანგელოზის (იახსარ-სვეტად-ჩამოსულის) შემადგენლობაშია: – დარბაზი, ბელელი, დროშათ საბრძანისი, საზარეკოში და გალავანი.

მისი პირველი ყმანი ჭოლიკაურები ყოფილან, მერე, მთელი სოფელი ეყმო და წიკლაურ-ბერდიშვილთა საქმეებიც იქ ირჩეოდა.

ამღიონნი მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრენი არიან.

მინა არ ჰყოფნიდათ, სახნავ-სათესი ცოტა ჰქონდათ. სად არ ხნავდნენ და თიბავდნენ; ტერლას ჩადიოდნენ (ქისტების საზღვარზე) – იქაც მოჰყავდათ მოსავალი და... მტრობაც ჰქონდათ მეზობლებთან.

„არაფრად დასდევდნენ არც სიღარიბეს, არც სიკვდილს. მკვდარიც რომ ჰყავდათ, მაშინაც ხუმრობდნენ“ (ნ. ბალიაური, ხევსურული ქრონიკები, 1995 წ.).

*

ერთხელ, რაღაც ვალის გამო, მეკოპრე ქისტები დასცემიან ამღას და დაურბევიათ.

კაცები შინ არ ყოფილან.

უცებ, თურმე, ვიღაცამ დაჲკივლა და ჯაჭვ-იარაღში ჩამჯდარი ხევსური დაჩნდა – მტრისკენ გამალებით მსწრაფვი.

ქისტებმა მასში ვერც ერთი ამღიონი ვერ შეიცნეს.

ხევსურმა ფარ-ხმალი შეაურლიალა – ეკვეთა და დაჲკრა მომხდურებს.

დაპკრეს ქისტებმაც და როცა მეომარი დაეცა და ჩაჩქანი გადაუვარდა თავიდან... ოქროსფერი თმები დაეფინა მის ჯაჭვზე...

მამის ტალავერი და ჯაჭვ-იარაღი გადაეცვა – ბუბა ბასილაურს.

შეკრთნენ ქისტები.

„დაკრიფეს“ უთანასწორო ბრძოლაში მოკლული ქალი; ფარ-ხმალი თავთან დაუწყეს და „აისრ განირეს“ (ისე დატოვეს) – თავის მკვდრებისთვის არ შეუწირავთ.

ხოგაის მინდი

ანდრეზის თანახმად: –

არხოტის თემის სოფელ ამღას, როცა ხოგაის შვილი, მინდი დაიბადა – „ცაზე ორი მზე ადგა...“

ასე მოევლინაო ამ ქვეყანას მითიური, იდუმალებით მოსილი და სასწაულთმოქმედი კაცი.

არავინ იცის, ვისი გვარისა იყო (მისი მოღვაწეობის პერიოდიც ბურუსით არის მოცული).

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად: – მინდი (მინდია) ჯერ კიდევ ყმაწვილი, დაატყვევეს „ქაჯებმა“ თუ „უამებმა“, რომლებიც, თავიანთ ტყვებს ქვეწარმავლებს აჭერინებდნენ, წამლებს ამზადებდნენ და ჭამდნენ კიდევ.

წამებაში მყოფი მინდი – თავადაც იგემებს გველის ხორცს და მისანი ხდება: – ესმის ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა ენა – მათაც ესმით მისი. ურთირთგაგება და სიყვარული მყარდება მათ შორის.

მალე თავისუფლების გზასაც პოულობს და თორმეტი წლის ტყვეობას თავს აღნევს. ხდება – წინასწარმეტყველი, ბრძენი, ბუნების მესაიდუმლე. სახელს გაითქვამს როგორც სნეულთა მკურნალი და ლაშქარის მამაცი წინამძღოლი.

ბოლოს დაცოლშვილდება და „კერძოობის რკალში მოექცევა,“ იძულებული ხდება, ოჯახი გამოკვებოს: – მოჭრას ხე, მოთიბოს ბალახი, დახოცოს ნადირი... ესმის მათი მუდარა და არ ასვენებს; იტანჯება. უგრძნობი რომ გახდეს – გულს ამოიღებს, ქვას ჩაიდებს, მაგრამ ქვაც პირს იბრუნებს მისგან. კარგავს მაგიურ უნარს და თავს იკლავს...

მისი სიკვდილის ჟამი ისეთივე იდუმალებით არის (როგორც მისი გაჩენის დღე):

– „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ჩამოდიოდა მასკვლავი, მთვარე უკულმა დგებოდა, ცა ჭებდა, მინა გრგვინავდა, სული გვიანა ჰედებოდა...“

კალოთანა

ამღის სიახლოეს მდებარეობდა (700-800 მ-ზე), იქ, სადაც მისი თანამოსახელე ხევი მდ. ასას უერთდება.

იქიდან – პირაქეთ ხევსურეთში (ბლოსკენ), ჰერონიათ გადასასვლელი არხოტელებს.

სოფელში ქიჩბარაულების ორი მამიშვილობა სახლობდა (ხირსილნი და სოფარანი).

ამ გვარის ხალხი, ადრე, გუდანის (ზენუბნის) მკვიდრი ყოფილა და ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ უბრძოლია: –

„ზენ-უპნით ჩამოემართნეს ქიჩბარაულნი ძმანია. კვათეს ჩაყარეს ლაშქარი, ხოცეს ზურაბის ჯარია...“

„სახმთო გუდანის ჯვარში დაყუდებული იყო წისქვილის ქვა დარჩენილი – კიმკაზაურებისა და ქიჩბარაულებისაგან... მას შემდეგ, რაც ისინი ჯვარმა აყარა“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1982 წ.).

ინა ქიჩბარაული, გადმოცემის თანახმად, გუდანის ჯვარის მედროშე იყო კრწანისის ომში.

*

კალოთანის სასოფლო სალოცავი, სანების ჯვარი, ლეგენდის თანახმად, პირველად – გორშელმის ხეობაში დაარსდა, პირაქეთა ხევსურეთში მდებარე მთაზე, რომელსაც ცროლისწვერი ეწოდება. იქ „დაუწყიათ ლოცვა ხადუელებს და კალოთანლებს.“ მოგვიანებით გაჩენილა იგი კალოთანაში და ამავე სოფლის „საზაფხულო სამთო – შიტუში.“

„კალოთანის, ხადუს, შატუს და ცროლის სანებას ერთმანეთთან დიდი კავშირი აქვთ, ერთიმეორის მოძმეული არიან და გაჭირვების დროს ეხმარებიან ერთმანეთს“ (ვ. ბარდაველიძე).

*

„ქიჩბარაულები ძალიან ამაყი და თავმომწონენი იყვნენ. უფრო მეტად ხირსილნი ამაყობდნენ“ და, ბოლოს, სისხლ-მესისხლეობაზე აყრილან. „გიორგი და კვირიკა ქიჩბარაულებს, რაღაც მიზეზით, სტუმრად მისული ქისტები დაუხოციათ და ამის გამო გასცლიან იქაურობას“ (ალ. ოჩიაური).

მათი ადგილ-მამული (ადათის მიხედვით) ქისტების ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ „ამლივნებს უყიდიათ და... მტერიც მათ დარჩათ... ისინი არ ეპოქოდნენ მათ, დავა ჰქონდათ – ცხადად და ფარულადაც“.

ამლიონთა ძალისხმევით მოხდა კალოთანას შენარჩუნება.

(ჯერ, ტერელაში გაცვალეს, მერე – ის მთაც დაიბრუნეს).

დღეს, იქ – „ალარვინ ას, ყორენია ცარიელა.“

1850-1861 წლებში, ქიჩბარაულები ერწო-თიანეთში, სოფ. სიონთგორში და ბალებისხევში გადასახლდნენ.

მათ განაყრებად ითვლებიან მთათსოფელში მხცოვრები ჭრელაშვილები.

*

კალოთანადან იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთგული თანამებრძოლი, აბიკა გიგაური – ქისტების მეგობარი და მათი ენის კარგი მცოდნე.

ორბელიშვილი

ს. მაკალათიას ცნობით: –

ამდაში პირველად უცხოვრიათ ჭოლიკაურებს და ორბელებს – რომლებიც ძმა-თაშვილები ყოფილან.

„ბაგრატიონ მეფეს უნათლავს ისინი... და ვისაც ქრისტიანობა არ მიუღია – აყრ-ილან და თათრეთში გადასულან.“

„წასვლის წინ, ორბელებს პურის ხვავები დაუტოვებიათ კალოზე – ხალხს რომ არ ეთქვა, სიღარიბის გამო წავიდნენ.“

„ადგეს, წავიდეს ორბელნი, იმერეთს წყალსა გახდესა, იმით კი არას წავიდეს, არ იყვნეს, იმით წახდესა“.

მათი წასოფლარი და სალოცავი – კალოთანასწყალის და მდინარე ასას შესაყარ-თან მდებარეობს, „მაღლა გორზე“.

წასოფლარი ტერასულად არის განთავსებული.

ფრაგმენტულად შემორჩენილი კედლები წაგებია ფიქლის მშრალი წყობით.

ეკლესია ($5,5 \times 3,5$ მ.) ადრინდელი შუა საუკუნეების მიწურულით თარიღდება. წაგებია კლდის წატეხი ქვის მშრალი წყობით. შემორჩენილი აქვს 0,4-0,9 მ. სიმაღლის კედლები.

„ამ დამუნჯებულ წასოფლარში ოდესლაც ამაყი ორბელიანები ცხოვრობდნენ და ეხლა, მტრის მუქარაზე წაშენები კოშკების ნანგრავები, ჩინჩხებით დგანან ფიჭვებ-სა და ჩამონგრეულ კედლებს შორის. ვინ იცის რამდენი ფრთათეთრი ისარი ან შუბი გატეხილა ამ ხავსმოკიდებულ კედლებზე, რამდენი ვაჟკაცის მარჯვენა დამდნარა მათ ჩარდახებზე, რამდენი ტკბილი სიმღერა მოუსმენია ამ მიდამოს, რამდენ ლამაზ ქალს გაუვლია პატარა თეთრი ფეხებით კოშკთა შორის დაგრეხილ, ეხლა დაძველე-ბულ ბილიკებზე“ (ლ. ბალიაური, „ცრემლიანი სიცილი“).

.....
„ყველას,

ყველაფერს, დიდი ხანია, უკვე სძინავს
ხევსურეთის წალვლიან მთებში...“ (ბაღათერ არაბული).

.....

სულისშემძვრელია გაუკაცურებული სოფლები, წასახლარები, სახლის ლიბოზე გალაცებული ჭინჭარი, ჩავარდნილი ჭერი და თავხე.

განწირულების დაღი აზის ყველას და ყველაფერს.

უკვე საზარელ მიჯნამდე მივედით. ქართველები – საკუთარ მიწა-წყალს ტოვებენ. ქვეყანა კატასტროფულად ცარიელდება და მტერიც მოდარაჯებული გვყავს – ჩვენს წასახლარზე დასასახლებლად: – ჩვენს მიერვე ჩაქრობილი კერა ხელახლა რომ მოანთონ, ცამდე კოცონი გააჩალონ... მის ირგვლივ იმღერონ და იცეკვონ: – ზოგმა „წიწერნაქი“, „ზოგმა „ჯუჯალარი“, „ზოგმაც – „სიმდი“...

„უმადური ხიზანი – ქართველი ერის მესაფლავე ხდება“ (კ. ბუაჩიძე, „შავი წიგნი“).

22.04.22.

წყაროები

1. გ. ავალიანი რუსი და ქართველი ხალხების საპრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1967 წ.
2. ა. ანდრეევი, ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე, 1891 წ.
3. ა. არაბული, არხოტ რო წყაროთვორია 1997 წ.
4. ა. არაბული, ჩანაწერები, 2013 წ.
5. ა. არაბული, ამღა ჭიმღა ახიელა 2019 წ.
6. პ. არაბული, ხევსურული საგა, 2016 წ.
7. შ. არაბული, ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა, 2006 წ.
8. შ. არაბული, ნარჩევი ხევსურები, 1999 წ.
9. გ. არაბული, ცხოვრება და პოეზია, 2010 წ.
10. ი. არჯევანიძე, საქართველოს სამხედრო გზა, 1954 წ.
11. ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ. 1973;
12. თეიმურაზ ბაგრატიონი, „მეფე ერეკლე“, გაზ. „ივერია“, 1891, 51-56;
13. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 1983;
14. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, 1972;
15. იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღნერა, 1986;
16. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსნავლა (კალმასობა), წიგნი I, 1990 წ.
17. იოანე ბატონიშვილი საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღნერა;
18. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღნერა, 1986 წ.
19. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, 1982 წ.
20. ვ. ბაჩიაშვილი, ბაჩიაშვილების საგვარეულო, 2001 წ.
21. დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1989 წ.
22. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, 1959;
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ. 1973;
24. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, 1983 წ.
25. ვ. ბერიძიაშვილი, სიტყვა ლექსებად ნაქარგი, 2013.
26. ი. ბოგომოლოვი, გ. ხუციშვილი, ეს საოცარი საქართველოს სამხედრო გზა, 1983 წ.
27. ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988 წ.
28. ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 5, 1975 წ.
29. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის ეთნო-გრაფიული კრებული, ტ. 3. 1971 წ.
30. ბ. გაბური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწერი“, 1924 წ.)
31. ჯ. გვასალია, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, 1983 წ.

32. ჯ. გვასალია და სხვ. ხადას ხეობა, 1983.
33. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1955;
34. დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, 1997 წ.
35. გ. გოგოჭური, სათავეები, 2005 წ.
36. ირ. გოგოლაური, ფრაგმენტები დღიურებიდან, წიგნი I, 2017 წ
37. ირ. გოგოლაური, წერილები ფშავზე, წიგნი IV, 2018 წ.
38. ი. გულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, 1962 წ.
39. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957;
40. ვ. დოლიძე, რ. შმერლინგი, საქართველოს სამხედრო გზა, 1956 წ.
41. პ. ზაქარაია, ქსნის, მჭადიჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1954 წ. ტ. XVIII-ბ.
42. პ. ზაქარაია, არაგვისა და თერგის ხეობა, 1972 წ.
43. ექ. თაყაიშვილი, მასალები საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII საუკუნეში, 1907 წ.
44. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1939 წ.
45. რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან, 2003 წ.
46. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ.
47. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია, XVII-XX სს, 1984 წ.
48. გ. თურმანაული, ჭრელა უძილაურის გაკვეთილები, „ცისკარი“, 1981, № 3).
49. ვახტანგ ითონიშვილი, ხანდოს ხევი
50. ვახტანგ ითონიშვილი, არაგვის ხეობა, 1986;
51. ვახტანგ ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, 1989;
52. ვახტანგ ითონიშვილი, არაგვის ხეობის ისტორიის საკითხები, მაცნე, 1989 წ. №4.
53. პლ. იოსელიანი, ქალაქ თბილისის სიძველეთა აღწერა, 1866 წ.
54. პლ. იოსელიანი, თავადი ჩოლოყაშვილების საგვარეულო, 1866 წ.
55. პლ. იოსელიანი, არსებული და ნაარსებალი ქალაქები, 1850 წ.
56. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978 წ.
57. კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956 წ.).
58. ნ. კაზინცევი და დ. რაკოვიჩი, საქართველოს სამხედრო გზა, 1913 წ.
59. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, 1996 წ.
60. ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი არაგვიანი, 1971 წ.
61. ა. კიკვიძე, გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, 1941 წ.
62. ფ. ლანდი, გუდამაყრის ხეობა, 1863 წ.
63. ივ. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა.
64. ივ. ლიქოკელი, ხევსურეთის სისხლიანი 37“.
65. ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930 წ.
66. ს. მაკალათია, ხევი, 1934 წ.
67. ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1984 წ.

68. ხ. მამისიმედიშვილი, საკრალური ისტორიები, 2017 წ.
69. ნ. მისრიაშვილი, ფშავი, 2005 წ.
70. ნ. მისრიაშვილი, მისრეთიდან მისრიანთკარამდე, 2014 წ.
71. გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურლამდის, 1959 წ.
72. პ. ორბელიანი, ამბავიქართლისანი, 1981 წ.
73. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ.
74. თ. ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, 1977 წ.
75. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, 1967;
76. ჟურნალი „არაგველები“, 2006 წ.
77. რ. რამიშვილი, ნაქალაქარი უინვალი, ძეგლის მეგობარი, 1978 წ. №47.
78. გ. რჩეულიშვილი, ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1990 წ.
79. ლევან სანიკიძე, დედა ისტორია, ნაკვეთი II, 1986;
80. ვ. სიდამონიძე, ქრისტინე მჭადიჯვრელი, გელა ნათელაშვილი, პიონერი, 1961, №3, გვ. 7-8; პიონერი, 1965, №6, გვ. 27; პიონერი, 1968, №4, გვ. 21.
81. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973;
82. ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), 1951;
83. ალ ფრონელი, მთიულეთი 1804 წელს, 1896 წ.
84. ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ. 1964;
85. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1958;
86. დ. ლამბაშიძე, ანანურის ტაძრის წარწერილობანი, მწყემსი, 1895 წ. №5-6.
87. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ.).
88. ქ. შარაშენიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ. 1954;
89. გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978 წ.
90. ა. ჭილაძია ლიტერატურის მცოდნეობის ცნებები, 1971 წ.
91. ზ. ჭინჭარაული, ნახმევი შატილის ხევიდან, 2010 წ.
92. ზ. ჭინჭარაული, რაც მაგონდება, 2012 წ.
93. ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ? 1992 წ.
94. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ. 1965;
95. რ. ხარაძე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახ-იშვილის სახ. ისტორიის. ინსტ. მიმომხილველი, I, 1949 წ.
96. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 1989;
97. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ.
98. გ. ხორნაული, მთები და სახელები, 1984 წ.
99. გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, 2000 წ.
100. გ. ხორნაული, მზიანი რწმენის საუფლო, 1213 წ.
101. გ. ხორნაული, ხევსურეთის ტოპონიმია, 2014 წ.
102. გ. ხორნაული, ფშავი, 2015 წ.
103. გ. ხორნაული, ჩემი საწუთრო-სამზეო, 2017 წ.
104. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I. 1967 წ. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს-ის ხალხის აღწერის დავთრები.

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა.....	3
წიგნი მთებზე, გმირებსა და მითებზე.....	5
ფხოვი	
ხთისშვილი და დევ-კერპებთან ბრძოლა.....	13
კოპალა.....	14
იასსარი	14
პირქუში	16
კვირია	16
ფხოვის ისტორიული ეპიზოდები.....	17
ფშავი	
ტერიტორია და საზღვრები	25
ფშავის ტერიტორიალური და გვაროვნული თემი.....	26
საგზაო კომუნიკაციები	35
ლაშარის ჯვარი.....	36
თამარის ხატი.....	40
თამარის საფლავი	42
თამარის ცხვარი.....	42
ფშაველთა სათემო და სასოფლო სალოცავები	44
ფშავის ისტორიული ეპიზოდები.....	45
უკანაფშავის თემი	51
ცოხი და მეგრელანი.....	53
ელიაგზა და ბობლიაშვილები.....	54
ჩალახევი და ჩეკურიშვილები	55
ჭიდალი და ჯუელაურები	56
ვაკისოფელი და კარატიელები	56
გოდერძაულთ (ახადელების) თემი.....	58
ხელაშვილები.....	61
სამუკაშვილები	62
მესაბლიშვილები	63
გორელაშვილები	63
პატარაშვილები	63
წითელაურთ თემი	64
გაბიდაურთ (ხოშარელების) თემი	65
მისრიანთკარი და მისრიაშვილები	70
ჭიჩოელთ თემი.....	73
ხიზანაშვილები	76

ნადირაშვილები	77
ფეტვიაშვილები	78
წონკოლაურთ თემი	79
ზურაბაულთ (მათურელების) თემი	82
გოგოლაურთ თემი	87
გოგოლაურები	90
თურმანაულები	92
გარა თურმანაული	92
მგელიაშვილები	94
ბალიაურები	97
ცაბაურთ (გოგოჭურთ) თემი	100
გედეხაურები	103
ჭყრუნიშვილები	104
ლაჭაურები	104
სულა და კურდლელა	105
ბეტისჩრდილი	107
ტურანი და მჭედლურები	108
უძილაურთ თემი	109
ღანიშაშვილები	113
ნათელაშვილები	113
ბულალაურთა	114
ქისტაურთ თემი	115
ხუცურაულები	118
ბადრიშვილები	119
შუმანაშვილები	119
ელიზბარაშვილები	120
ალბუთაშვილები	120
შუაფხოელი ოჩიაურები	120
თხილიანა	121
ციგროშვილები	122
ქუთხი	122
აფშო	123
კანალხევი	125
ცალუღელაშვილები	126
მიგრიაულთა	127
ბალიაშვილები	130
მაჩხოშვილები	130
ბუთხაშვილები	131

არბაჩხანი	131
გომენარი	132
ტრისტან მახაური	135
ხომი	136
ვანხევი	136
არახიჯა	137
ინო	137
გუდარახი	137
აფხუშო	138
ჩარგალი და ვაჟა-ფშაველა	139
ჩარგლელთა თემი	141
რაზიკაშვილები	145
ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები	146
ლევან რაზიკაშვილი	147
ბაჩიაშვილები	148
ქუმსიაშვილები	149
ყოფჩა	150
ქალილო	151
კართანა	151
მაღარო	152
მაღაროსკარი და მაღაროსკარის თემი	153
კუდო-ხილიანა	155
კანატია	156
წიფრანი	157
კუჭეჭა და ხარანაულები	157
საშევარდნო	159
შარახევი	159
თვალივი და გუშარაშვილები	161
ხარჭიშო (ხარჭიშო)	162
გუდრუხი	163
ნეძიხი	163
ხახაბოელთა თემი ფშავში	163
ფშავის გიგაურთ თემი, ანუ, დათვის-გველეთელი გიგაურები	164
ორწყალი	166

ხევსურეთი

ხევსურეთის ისტორიული ეპიზოდები	171
ხევსურები ბახტრიონის ომში	172
ხევსურები და ერეკლე II	173

ხევსურები ასპინძის ომში.....	174
ხევსურები კრწანისის ომში	175
ნიახურის ბრძოლა.....	178
ხევსურები და 1804 წლის მთიულეთის აჯანყება	179
თოთია გაიდაური	179
ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ხევსურეთი.....	184
პირაქეთი ხევსურეთი	
არაგვის ხეობა, მოწმაო.....	188
ბაღათერ არაბული	190
ჭირვეული მეზობლები	191
გველეთი	192
დათვისი	193
გიგა გიგაური	196
აჭერა	197
ბარისახო	197
ბარისახოელი სისაურები.....	200
სანაგი	200
სანაგის სანაგი	201
გოგოთურ ჭინჭარაული და უჭკუათ სულხანაური.....	203
კორშა.....	204
ლიქოკის ხეობა და ლიქოკის თემი	204
ლიქოკელი სისაურები	206
ქობულო	208
მგელიკა ლიქოკელი.....	208
სხვა ხევსური მკურნალები	209
დათვია ლიქოკელი	209
კოჭლა, ანუ ბაძიურათ ბაბო	210
მაღრანი.....	211
კეო-კარწაულთა და ჩალხურნი	211
ჩალხხაურთ აბა.....	212
ბოგჩილო	212
ჭალაისოფელი და ბასხაჯაურები	212
მინან ბასხაჯაური	214
აჭე და სისაური ხახიკაურები.....	215
ხახიკ სისაური და ხახიკაურები.....	216
ხახონ ხახიკის ძე სისაური (ხახიკაური)	217
ძაღლიკა ხიმიკაური.....	218
კახოშვილი-სისაურები.....	219

გონჯილაშვილები	221
აჭელი, მოხევე და ქსნისხეველი ფიცხელაურები	221
არქიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური	223
აკუშო და სამხარაულები	223
კიმხი	226
2823 წლის აკუშოს ბრძოლა	226
2922 წლის აკუშოს ბრძოლა	227
ჩირდილის ხეობა	228
ჩირდილი	229
მამუკა და ჯოულა არაბულ-რკინაულები	230
ბუჩქურთა და ბუჩქურები	230
მამუკა გოგოჭური (ბუჩქურთელი) და ბარისახოელი სადარა არაბული	234
უკანახო	235
ბექაურები	237
ხარხელაურები	238
ბრძოლა ფხიტუს მთაზე	239
ოხერხევი	241
წყალსიქითის (რომელის) თემი	241
ღელისვაკე და ველთაურები	242
ქმოსტი და ბურდულები	243
სინდაურისძე	246
ხორნაულთა, ხორნაულები და ზარიძეები	246
გიგი ხორნაული	249
ვაჟა ხორნაული	249
რომელ და წიკლაურები	249
ბლო და გიგაურები	255
ბერდია მამუკაური (გიგაური)	257
აბა ბატურას ძე გიგაური	258
გორშელმის თემი, არაბულები და ატაბელი გოგოჭურები	258
ჩუჩაყეურები	259
ჩხუბა და მისახი	260
ხოშარაულნი	261
ნადირა ხოშარაული	262
ხიტალე	262
აყნელი	263
ბაცალიგო	263
ფიცხელაუნრი	264
გუდამაყრელი ფიცხელაურები	265

ზეისტერო	268
ხირჩლა ბაბურაული	269
ატაბე	270
წინხადუ, ველგუჯაურები და რკინაულები	272
ახალა ხიტალიონი	273
უკანხადუ, ქერაულები და რკინაულები	275
ბაჩანიგა და ბაჩანიგურები	277
ჯუთელი არაბულები	278
მთრეხი და მთრეხელი	279
გუდანის თემი	282
ღული	283
ჭიე	285
ძეძეურთა	286
გუდანი	287
გუდანის ჯვარი	289
ჭორმეშავი	291
გოგოჭურები	292
გახუა მეგრელაური, ქაჯავეთის დალაშქვრა და გუდანის ჯვარის მობრძანება	296
მამუკა ქალუნდაური	297
მარტია მისურაული	299
ბისო-ხახმატის ხეობა	301
ბისო	301
ხახმატის ჯვარი	303
ხახმატი	304
გიორგი ბოსლოვანის ჯვარი	309

პირიქითი ხევსურეთი

გურო-შატილის მხარე	311
ლებაისკარი	311
კისტანი	312
ჭინჭარაულები	314
გურო	318
გიორგიწმინდა	319
ჯალაბაურები	320
შატილი	322
ანატორი	324
ანატორელი სისაურები	326
მიღმახევი	327
მუცო	327

თორლვა ძაგანისძე (ძაგანი)	330
ხონე, ხონისჭალა და შეთეკაურები	332
ანდაქი	333
არჭილო	333
არდოტი მურლვანი და ზვიადაურნი	334
ხახაბო	336
არხოტი	338
კვირიწმინდა	341
ხევსურები და ქისტები	342
ჭიმლა, გაბურები და თეთრაულები	343
ივანეურ (იონეთურ) თეთრაული	345
ბესარიონ გაბური	346
ახიელი	346
ჯაბუშანურები	347
ბალათერა ჯაბუშანური	348
გაბრიელ ჯაბუშანური	348
ბალიაურნი	349
თომა ბალიაური	349
ლადო ბალიაური	349
ნათელა ბალიაური	350
ცისკარაულნი	351
ნაროზაულნი	352
ბადა ნაროზაული (ბადათ ბადია)	353
ოჩიაურები	354
ოჩიაურები და ქერაშვილები	355
ამღა	356
ხოგაის მინდი	359
კალოთანა	359
ორბელები	361
წყაროები	362

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com